

114/2
1930



მეამბოხე

5-6



მნათობი

5-6

ყოველთვიური მხატვრულ ღიკერაღყრული
მეცნიერულ ჰყბღიკვისღყური უყრნადი

მკლიწადი მკვიღი

მკის-იკვისი

სახადმწიღო ბამომყამღობა
მწიღისი 1930

სამკრთობი
მკრთობი
მკრთობი
მკრთობი
მკრთობი
მკრთობი
მკრთობი
მკრთობი
მკრთობი
მკრთობი



54954
4199

მხატვრული ლიტერატურა



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილენი

(1930 წლ. მაისობიდან)

უბრალო ჯგუფი როდია
ზეიმურ შეზარხოშებით,
მონაწილენი მოდიან,
ომ-გადახდილი დროშებით!..

მოდიან, მოიმღერებენ
ზღვის ქეტო-აყრალ ზვირთებით...
დროშა თუ ალის ფერია
ზედ რა დასხმია ფითრებით?

ომში მიღებულს კრილობებს
ამოკტეტკიათ ზაგენი,
და-ჰფარვენ დროშის ტილობებს
ეგ წყლულნი, მოამაგენი!..

მეტყველნი ყოველ ნაპრალით
უმჯერმეტყველეს თხოობითა,
რომ იღვა მტერი: ხანჯალით,
ტყვიით, თოფით და ცოფითა!..

მაგრამ, რა დროშა დაირხა
და ასტყდა ბრძოლის გენია,
ეგ ცეცხლის რკალიც გაიარღვა
და ჰა, დღეს ძლევაც ჩენია!..

დროშავ! გეკურთხოს დამტერი
და აღმზართველი პირველი,
მტრის თავს ხარ-მეხის დამკვრელი
ბრძოლები, გასაკვირველი,

რომ თვალისჩინად დაცული
იყავი გულსა და ხელში...
ამბორი, შხით აღანძული,—
ე მაგ დაცრეცილ სახეში!

ამბორი—შენს ტარს, აღამსა
თუ ზედ მოქარგულს ვარაყებს!
ასჯერ თუ გიძღვნი საღამსა,
ათასჯერ ის მაამაყებს,

რომ შენს ქვეშ საღმთად აწვდილან
გმირთა ქალარა თავები!
მტრის წინ ეს მეყვის ქადილად,
რად მინდა მისი ზაგები?!

ეს ისე, შეზარხოშობით
უბრალო ჯგუფი როდია,
ომში ვალ-მონდილ დროშებით
მონაწილენი მოდიან!..

წითელარმიელი

იმას უთუოდ თქვენც შეხვედებოდით
ტანკის, ზარბაზნის კანონადაში.
როდესაც მტერი მუქარით მოდის —
ის მკერდით იცავს ქვეყანას მაშინ.

იმან ირ იცის ავდარი, თოვა...
მტრის რისხვას გულში იგუბებს ზევაად, —
რომ კაპიტალის ძაღლების ხროვა
ტყვიით დაცხრილოს დაუხოგაეად.

ის დარაჯია ს.ს.რ.კ.-ასი,
გაუტეხელი, მხნე მეომარი —
როგორც მებრძოლი ერთგული კლასის
და მოქალაქე სწორუბოვარი.

მუშა წირაქმით

პროსპექტზე, დილით, ჩემ ბინის გვერდზე —
წერაქვით ხელში მომარჯეებულებს —
გუმბათგადახდილ ტაძრის კედლებზე
მაგარძარღვიანს მე ვხედავ მუშებს.

გააქვთ ნაქუჩებს გრიალი მწყობრი,
თან სეტყვასავით ძირს ცევივა ხრეწი;
და ეს ნანგრევი ისე სჩანს შორით, —
როგორც შიწაზე განრთხმული ლეში.

ვუშერ დაშლილ ქვებს და გულში ვამბობ:
რას არ შეიძლებს მასისი აღზნება,
რვალზე უმტკიცეს რკინას გაადნობს
აღფრთოვანებით ნაჭედი ნება.

თუ წინად მუშა ამავე აგურებს
აქ ალაგებდა, როგორც საპყარი —
დღეს ერთის დაკვრით ძველს ანადგურებს,
რომ ახალ ქვეყნის შეალოს კარი.

ელექტრო-მატარებელში

ელდენის ვაეთულებს
მოკონდათ რომოდა
სახლების სართულებს
გაკონდათ ზანზარი.

შეხვედრილ ველიდან
ქარხნები მორბოდენ
და ცეცხლი მიკონდათ
უზარმაზარი.

მანქანებს და ცეხებს
ბენზინი მიკონდათ
მიყაედათ მუშები
შრომაში გართული.

სადგურისაკენ
სისწრაფით მივქროდით
და იზრდებოდა
შენობა სადგურის.

თუ ჩვენი ზიანი
ქარტეხილს უნდოდა,
აჰა, მემანქანე
ხომ სადგურს მიაღდა.

გაქანებული
წინ, როგორც შურდული—
მატარებელი
არ აცდა ლიანდაგს.

მშრკსივი

შენ, მოქანცულო,
 ხანტო აქლემო,
 ჩუმათ დაეშვი
 დედამიწაზე.
 ირგვლივ სხივების
 თეთრი ალია,
 უდაბნოს ქვიშა
 კვლავ მზურვალეა.
 ახლა აინა-ბულახისაკენ
 ორივე მხრიდან
 რელსები რბიან,
 მალე ერთმანეთს
 შეეყრებიან.
 ცხელი ფოლიადო!
 მიწას ეტაკე,
 იყავი მარდი,
 იყავ ბრწყინვალე,
 გაანადგურე
 შენ ქეარტლი მალე,
 რომ დაამყარო
 მზის სისპეტაკე.
 შენ, მემანქანე,
 გადასტამბე ეს ტრამალები,
 უდაბნო ველარ
 დაგემალემა.
 ტუ-ტუ
 შიბ-შიბ
 ტუ-ტუ
 შიბ-შიბ;
 ტურკ-ტურკ
 სიბ-სიბ
 ტურკ-ტურკ
 სიბ-სიბ...
 შენ აამღერე უდაბნო, ველი,
 და ეს ტრამალი
 აავსე პურიით,
 აი დაიძრა მატარებელი,



და თითქოს ქარმა
 ნისცა დასტური,
 და ჩამოართვეს
 ხელი ერთმანეთს
 რელსებმა ისე
 ვით ვაჟაკებმა;
 შენ, მემანქანე,
 მათი ამბორი
 დაუკავშირე ჩვენს აღტაცებას.
 ისმის რელსების
 როკვა ძლიერი,
 მაშ მემანქანე
 ქარივით გასწი,
 გადაიტანე
 პური, სპილენძი,
 აურიცხავი საპალნეებით,
 განარჯვებულთ ახალ დღეებით,
 შიმშილი ყველგან
 მტერივით დასცი.
 ტუკ-ტუკ
 შიპ-შიპ
 ტურკ-ტურკ
 სიბ-სიბ...
 ახალ რელსების
 ლილისფერ ძარღვებს
 მიპყვება ბლომად
 ტყე და ხორბალი,
 ჩრდილოეთისკენ მიილტვის ბამბა—
 არ შეიძლება ამ ქროლვის დაბმა,
 მიპქრის ბორბალი.
 დებჯანო!
 რევოლიუციის დავალებით,
 უნდა შესცვალო
 სახნისი ტრაქტორით.
 ამოძრავებულ ორთქლმავალებით
 გადაგვაქვს ბამბა—
 გზა არის შორი.
 გადაბუფული
 ირგვლივ ტრამალი,
 მიპქრის ტურკსიბი,
 მიპქრის ფრთამალი.



ჩვენ ბალხაშიდან
 მოგვაქვს სპილენძი,
 იზრდება ჩვენი
 აღმშენებლობა,
 და ამ ცხოვრებით
 გახარებული—
 აღტაცებაში გული ეფლობა.
 ვართ ბედნიერი,
 რომ ეკოცხლობთ, ვმღერით,
 და სოციალიზმს ვუახლოვდებით.
 ჩვენ ავაფეთქეს
 ძველი ჯიშები,
 დახურულია
 გზა წყვედიადისკენ.
 შენ, მემანქანე,
 გასწი ქარივით—
 გასწი ოქროსფერ განთიადისკენ.

ტუა-ტუა

ტუა-ტუა

შიბ-შიბ

შიბ-შიბ

ტურკ-ტურკ

ტურკ-ტურკ

სიბ-სიბ

სიბ-სიბ!

თარგმანი ვ. ზ.

თეთრი იალკაჯი

I

განთიადისას ნისლი ტოტებ დახრილ ტირიფებივით იდგა მდინარის პირად. როცა დაბერავდა ზღვის ბორიო—ტირიფები შრიალებდა, ნისლები კი შეირხეოდნენ გადახედავდნენ ერთმანეთს და მიიწევდნენ მაღლა.

ტირიფებს შუა მოსჩანდა სკელები *)

ტირიფებს იქით—მესანდლები **) ჩუქურთმიანი ოდები.

თუ დღე ტაროსიანი იყო—ირხეოდა იალკნები, ისმოდა ძახილი მდინარის გაღმა-გამოღმიდან და აწყობდნენ მესანდლები ყირიშვი თუ ლაზეთს წასვლის გეგმებს.

სალამობით ისევ სიჩუმე დგებოდა, ამოდიოდა მრგვალი, ხშირად თათრული მთვარე და დასცქეროდა მდინარესა და ტირიფებს შორის ჩაძინებულ სოფელს.

სოფელი თათრების ნოჯიხურიდან ბოლაზამდე მიიმართებოდა:

მესანდლების ოდები ერთმანეთს გავდა, ყველას ბერძნული იერი გადაჰკრავდა: ვანიერ თაღებიანი, აივნით, აივანიან უთუოდ ალიანდრის ან უნაბის ხეები, ოდიან ჭისკარაპდე ზღვის თეთრი კენჭები, ჭისკარები ყავრით გადახურული და ჩუქურთმიანი, ჩუქურთმებს შორის ფოთლები, ხის ჯვარი, აქა-იქ ჩიტები. (მეჩუქურთმე ესტატეს თქმით მტრედები) მესანდლე მურზაყან თელიას ოდა მაინც განირჩეოდა, ის უფრო ამართულიყო, უნაბის და ალიანდრის ტოტები თაღებამდე წყდებოდა მას, ოდის პირდაპირ მიმდგარი მოაჯირიანი სკელები ხომ იმას ანობდა, რომ ის ყველაზე შეძლებულ მესანდლეს ეკუთვნოდა.

სოფელი იცნობდა მურზაყანს როგორც პატროსანს, პირდაპირს, მაგრამ მრისხანე ადამიანს.

მისი პირდაპირობის, სინდისის და შეკრული შუბლის ყველს ერიდებოდა.

მისი მრისხანების იქით გულკეთილობა და სიყვარული იდგა მაგრამ არც ისე ადვილად შესამჩნევია.

II

მთვარე უკვე ტყეს ამოფარებოდა როცა მურზაყანმა ეზოს კარები შეაღო, კიბესთან მენაიკის ლანდი შეირხა...

— გაიოზი არ მოსულა?

*) სკელები—მდინარის პირად მიშენებული ბოცა წყლის ამოსაღებად, ნაგების მისაბეჭდად.

***) სინდელი—იალკნიახი ნაღი, პომალღი.

— არა... უბასუხა თავშეკრულმა მენიკიმ და ცოლ-ქმარი ერთმანეთს შეა-
აჩერდნ.

მურზაყანმა თივთიკის წითელი ყაბალაბი მზარზე მოიგდო, ჩაახველა და
უსიტყვოთ ავიდა კიბეზე.

კედელზე შინდისფერად შეღებილ თუნუქის საბუდრიდან მბეუტავი სი-
ნათლე იხედებოდა.

როცა პატრუქს აუწიეს მაგიდაც გამოჩნდა, დაბალი, მუთაქებ შემოყრილი
ტაბტი და და ფანჯარასთან მომდგარი ხის ლანდიც მიიმალა.

ქამი ვახშობის გასული იყო, მაგიდაზე მოჩანდა მაინც: სამიოდუ წითელ
ფოთლიანი თევში, თიხის გრძელი სურა და თევშზე ლამაჯ წამოფარებული
ხმელი თევზი.

მურზაყანმა შავი გრებილის ყაითიანი ყაბალაბით იმ კუთხეს მიაშურა სა-
დაც მისი მალაყელიანი და სუფთა წაღები ეწყო, ყაბალაბის მახლობლად ფა-
რთე, ცალქარვიანი ვერცხლის საათი ჩამოკიდა.

სიჩუმეს მენიკის ფუსფუსი თუ არღვევდა.

— ის კუდიანი კარგს არგადაჰკიდებს მას, ბუტბუტებდა ის და კედელთან
მიმჯდარი გაიოზის ფეხის ხმას ელოდა.

— ან როდის უნდა მოასწროს ანძის გათლა, სანდოლი ზეგ უნდა გავიდეს.
ძველი ანძით ხომ არ გაუშვებ სადალს ამ მთაერის შებრუნების თვეს—თქვა და
ჩაახველა ისევ მოხუცმა მესანდლემ.

როცა ჭისკრის ჭრიალი მოისმა მოხუცი ცოლ-ქმარი ტყემლის წნილში ჩა-
მბალ ხმელ თევზს შეექცოდნ.

გაიოზმა ფრთხილად შემოალა კარები.

იგრძნო დანაშაული დაგვიანებულ ვახშმის მიმართ მაგრამ მიზეზი ვერ
მოენახა.

— ალიონამდე უნდა გამაღვიძოთ—თქვა მან ყრუდ და შავ ხალათის სა-
ყელოზე ლილების შეხსნა იწყო.

პატრუქი ისევ დაიწია, ოთახში ესევ სიჩუმე დაგუბდა და ფანჯარასთან
ისევ ფოთლები აშრილდა.

შუა ღამე გადასული იყო როცა სარკმელთან მოსულმა მთვარემ გადასწია
ტოტები ხის, დახედა გაიოზს.

მან უძილო თვალებით მიაჩერდა მნათობს და სიცივე იგრძნო, განთიადი
უახლოვდებოდა სოფელს, ყიოდნ მამლები და მამლების წიაყელი ბიბილოები
თანდათან მრავლდებოდა ხის კენწეროებზე.

— დამიგვიანდა—გაიფიქრა გაიოზმა, წამოდგომა, იწყო, წულები ადრე
მოიგო, წითელ ზოლებიან ჩითის პერანგზე შავი ხალათი გადაიკვა და თხელ
ტარიან ნაჯახით ფეხ აკრფით გავიდა გარეთ.

ეზოში ყალიონის განაბოლაყით სქელი და დაბალი ნისლი იდგა.

გაიოზი მიუახლოვდა ბზის ახალგაზრდა ხეს რომელიც მდინარის პირად
ბალახებში განართხლიყო.

მისი გრძელი და გამოლტილი ტანი ნახევრად გაეთალათ. გაიოზმა დაჰ-


 ქართველი

კრა ნაჯახი იქ სადაც ხეს შვისგან დაგრეხილი მერქანი დამკვრელად მტკმდა ნაჯახს ის და მკერიან ბალახით შელესილი ნაფოტები ცვიოდა მდინარეში.

როცა მურზაყანმა ნაბდის ქუდი ჩამოიფხუტა შეზობელ ოთახში გაიოხს გადას-
დახა, ხოლო როცა ნაჯახის ხმას მოჰკრა უკრი—შერცხვა, ნახევრად აუბოლუ-
ბელი ყალიონი ხელის გულზე დაიბერტყა და აივანზე გავიდა.

— მე მოხოვა გაღვიძება, თვით კი ჩამძინებია—გაიფიქრა მან და ოდნავ
შედღიმებულმა თავზე ხელი მოისვა.

ის ნელა დაეშვა კიბეზე.

ნელი ნაბიჯებით მიუახლოვდა გაიოხს.

— დაგაგვიანდა მურზა—ლიმილით უთხრა გაიოხმა.

— რაკი შენი ადგომა ვიგრძენი არ აეჩქარებულეარ—შესცოდა მოხუცმა და
როცა გაიოხმა ღიმილს უმატა დაიბნა, მაგრამ პატივმოყვარე მესანდლემ საუ-
ბარი ტაროსის აე-კარგიანობაზე გადაიტანა.

მურზაყანმა ისევ გააბოლა ყალიონი და ურთხელის ხის დაობებულ მორზე
ჩამოჯდა.

შეზღუარის გამოცდილი თვალით დახედა თრთქმის უკვე გათლილ ბზის
ხეს და კმაყოფილების ნიშნად ყალიონში გაღვივებულ თუოუნს თითი მაგრად
დააჭირა.

აბოლებდა ყალიონს და შეილის ბეჯითობით გამოწვეულ სიამოვნების გამო
წარბებ ქვემოთ ნაოკებ შემოვლებულ ღიმილს ათამაშებდა.

იქნედა ნაჯახს გაიოხი, გამოცდილ ოსტატით კერეტდა ხეს. როცა ფუ-
ტკრებმა გაიბზულიეს მდინარიდან ნისლი ამღვარიყო, იდგა კამკამა ცა და
შლიდენ იაღქნებს.

გაიოხმა ანძის ვათლა დაასრულა, ფართე თავიანი სატეხით ორ ადგილს
ამობრა ახალგაზრდა ხე. ანძის ოთხკუთხად ვათლილ ძირს რკინის ჩარჩო მო-
არგო და განარჯეებულოვით გადახედა მორზე ჩამოჯდარ მამას, რომელმაც იმ
დროს ვითომ აქ არაფერიყო ღიმილი წარბებში შეწალა და ცას მიაჩერდა.

შუადღე გადასული იყო როცა თელიების სკელესთან სიმიინდით დატვირ-
თული ახალანძიანი სანდალი იდგა.

მოდოოდენ შეზობელი მესანდლეები, შინჯავდენ ნაცნობ სანდალს და გაი-
ოხს ოსტატობას უქებდენ

მოხუცი მესანდლეები სხდებოდენ ტირიფების ჩრდილში, მსჯელობდენ სი-
მიინდის მახანდაზე, მთავრის შებრუნებაზე და აქა-იქ თელიების ამბავს ჩაურთა-
ვდენ:

— ნახე როგორ წაუფიდე სქემე, გიორგობისთვემდე ხუთი-ათასი ფუთი
ლაიტი *) უნდა გაიტანოს—სთქვა ქერა ელიზბარ ჭირიამ.

— რატომ არა, სანდალი არ უვარგა თუ ცუდი მესანდლეა—დაუმატა
ლაზარე მალანამ და მოხუცი მესანდლეები მიაჩერდენ სიმიინდით დატვირთულ
სანდალს რომელიც ჩაფლულიყო მდინარეში.

*) ლაიტი—სიმიინდი.

— დურსუნ ალას ხელობა, სარდთან აუშენებიათ — უჩვეულებულია სუბო შელგვიამ და თავის სანდალს მიაჩერდა რომელიც გაეჭრა მისი ფეხებიდან და დაეშვა.

— შენი სანდლით შენს საყოფს თუგეიტან ჩემო სუბო, გაეხუმრა შელგვიას მოლზე ჩამომჯდარი ყმაწვილი და გასაქცევით წამოიწია.

მოსწრებულმა ხუმრობამ მოხუცი მესანდლეებიც გააცინა.

— ბათუ აქეთ — გადაძახა მოულოდნელ მარცხისაგან შეწითლებულმა შელგვიამ — მესანდლეს ბათუ გვალისა რომელიც ისედაც მათკენ მოდიოდა.

ის მიუახლოვდა მოსაუბრეებს, საღამო მისცა. მორზე ჩამომჯდარი მესანდლეები მიიწ-მოიწიენ და ახლად შემოერთებულს ადგილი დაუთმეს.

ბათუ იმ მესანდლეთაგანია რომელიც სიბერის ყამს უსანდლოთ დარჩა, ის მურზაყან თელიას დროის მესანდლეა, მისივე მეზობელი, მაგრამ დიდი ხანია რაც მათ შორის მეზობლობა შეწყდა.

როცა ბათუს შეეცითებოდნენ მიზეზს ის დამნაშავესავეთ სდუნდა, მურზაყანისათვის შეეცითბვა კი ვერვის გაებედა. ამბობდნენ: ბათუმ პირი გაიტეხაო, ერთი თვე ალოდინა თელიების სანდალი სათათრეში და ასი თათრული ოქროც შეირჩინაო.

ბათუმ სცადა თავის მართლება, ფულის გადახდაც დაპირდა მაგრამ ამაოდ. მურზაყანის შეუპოვარ ბუნებას არ უყვარდა ვისიმე შენდობა-შეცოდება, და მით უმეტეს ბათუსი, რომლის დანაშაული მას წინასწარ მოუიქრებულად მიაჩნდა.

მურზაყანს პირის გამტეხ ბათუ გვალისათან — მას შემდეგ პური არ გაუტეხია, გვალეების ოჯახში ფეხი არ ჩაუდგამს.

როცა ბათუს სანდალი იმსხვერპლა ზღვამ, ამბობდნენ „ცოდვამ უწიაო“ — ცოდვა კი ბათუსი არც ისე დიდი იყო. უსანდლოთ დარჩენილმა ბათუმ ყანის თოხნას მიყო ხელი, შინაური საქონელიც გაიჩინა მაგრამ თავს მაინც დაჩაგრულად თვლიდა.

როცა გაიოზმა სანდალში ყველაფერი თავის რიგზე მიაწყო — იალქნის დაშვებულ ტარზე თეთრი ტილო გადააფარა, რომ დამეს სიმიანი არ დაენისლა, გადმოხტა სკელეზე და გადმოხტომის დროს მოგლეჯილ ტირაფის შტოს იცემდა მუხლებზე.

ნაპირთან მსხდომთ დაეა შეეწყვიტათ და სმენად ქვეულნი ყურს უგდებდნენ ენა წყლიან ტაგუს, რომელიც ყვებოდა თათრების შემოსევისა და ხუტუნია შერვაშიძის დროს ამბებს. როცა ტაგუმ ამბის მოყოლა დაასრულა — წყლის დასალევით სკელესკენ გაემართა, პეშვებით წყალი შესვა და სახე გაივრილა.

— ქალიშვილი კარგი მოგესწრო უთხრა ტაგუმ ბათუს, რომელმაც თვალი შეაგლო გვალეების სკელესკენ მიმავალ თეთრ წინწკლებიან შავ ჩითის სამოსში გახვეულ ელეს, რომელმაც ხელის ქნევით მიესალმა თავის გაღმელ მეგობრებს. რამდენიმე ცნობის მოყვარე თვალი მიაჩერდა გაიოზს და მან მიხედა, რომ მათი ფარული მიჯნურობის ამბავი შეეტყუა გულთმისან სოველს.

მოსცურავდა თანდათან ბაიდები ვალმიდან.

ეროვნული
გინგლიფთისა

შოდინდენ ამღერებული გოგო-ბიჭები.
შხიარულებოდა ნაპირი.

— აი ბურთის თამაშიც დღეს იქნება, — სთქვა სუმომ და გადახედა გაღმელებს, რომლებსაც ლელოში წასულ კვირას გამარჯვება ხედათ.

— შენ თუ წაგვიძღვები წინ, ბურთს კი არა მთას ვავიტანთ, იოხუნჯა იმავე ყმაწვილმა. აქ კი იფიცხა მეორეთ შეურაცყოფილმა სუმო შელევამ და გაქცეულ ყმაწვილს ბზის თეთრი ჯოხი დაადევნა.

— აი ვაგიწყრა ღმერთი, ავაცდინე თორემ მოგტეხდი კოჭებს, მიიძახა სუმომ და უყმაყოფილომ სკელესკენ გაემართა.

ხალხი ორათ ვაიყო.

მოთამაშეები ერთ ადგილას დაჯგუფდნენ.

ავარდა ბურთი და ავარდნისთანვე შთაინთქა სტვენასა და აწვდილ ხელებს შორის.

მოთამაშეთაგან ბურთივით შეკრული წრე გორავდა მწვანე მოღზე, ის ლობებს აწყდებოდა, ხოლო როცა სკელეებისკენ გორდებოდა შავი ხაზლის თავშალბებში ჩამსხდარი მანდილოსნები წივილით გარბოდნენ ნაპირისაკენ.

გორავდა მობურთავეთა წრე და მით აძგერებულ ქშენას ერთვოდა მოთამაშეების მხრებზე შემეჯდარი ფეხ-შიშველა ბიჭების ჭრიამული.

ელე თვალს არ აშორებდა გაიოზს, რომელსაც ბურთი ჩაეგდო ხელთ და ისე ექაჩავენბოდა თითქოს ფესვმაგარ მუხას თხრისო.

გამოდმელები თანდან მიიწყედნენ ვალმელების ლელოსკენ. ორლობებთან მიახლოვებული ბურთი ისევ ავარდა. უეცარმა ყიფინმა ამცნო ყველას, რომ ლელო გამოდმელებს ვაეტანათ. წრე უცებ დაიშალა, ვაიფანტა და მოედანი ბოძებ ამოწვდილ დამშრალ ტბას დაემსგავსა.

ორლობებთან მიმდგარ ვაიზთან მიიბზინა ელემ, გამარჯვება მიულოცა, მას თან მისდევდნენ მისი ტოლები და როცა ვაიოზის სახელო მოგლტჯილი ხალათი დაინახეს—სიცილი დაიყარეს.

ესმოდა ელეს წკრილა ხმა და აძგერებულ მობურთავეს საყელოს შებნევა ვერ მოეხერხებია.

საღამოს ბინდით წათამამებულმა ელემ გულზე ჭინძისთავი მოიძრო, ვაიოზის საყელოსკენ წაიწია, ეცემოდა მკერდზე ვაიოზს ელეს თბილი სუნთქვა და ქშენას უმატა.

როცა მან ცერებზე შემდგარ ელეს აძგერებულ მკერდის სიახლოვე იგრძნო—სული დაუგუბდა, ჭინძისთავით შებნეული საყელი მოიგლიჯა, ელეს მკლავები მოხვია მეგრამ თვალხარბ სოფელელების განკილავე თვალების მოერიდა.

— ნახვამდე ელე—სთქვა ვაიოზმა და ელეს თვალბებში მიაჩერდა.

— მალე დაბრუნდები?—შეკითხა ლოყებ შეოფლიანებული ელე და თავი დახარა.



— სულ ორიოდ კვირა თუ დამაგვიანდება— თქვა მან და სოფელს გოგობიკების მოახლოებულ ნაბიჯებით დამფრთხალი ადგილიდან *მეფე დედოფანი*
გინაპროცეკა

ტყეს ამოფარებული შთვარე მიიწედა მაღლა.

ისმოდა შინისკენ მიმავალ თავმომწონე კმაწვილების სიმღერები და სოფელში ქალებივით თავდახრილი ნისლები შემოდრიოდნ.

III

სოფლის შუაგულს, სადაც მდინარეს წყალი უტბორდებოდა, მდინარის პირად მიშენებულ იყო რამოდენიმე დაბალი ფიცრული შენობა რომელსაც „ბაზარს“ ეძახდნენ.

სოფელში განთქმული იყო გიორგიას საეპრო, ყიდულობდნენ ქალები მარჩილს, ასანთს და ძაფზე აკმულ კრენდელს, ბავშვები ფოჩვიან კამფეტებს, ხოლო კვირასალამოს დახლში ჩამჯდარი მამაკაცები ასხამდნენ წითელ გულდაუთურ ღვინოს და ბოლახისკენ მიმავალ ქალების გასაგონად სიმღერას ამბობდნენ.

თუ შემთხვევით გამვლელი ცხენოსანი სოფელში ცხენს შემოაპენებდა—საუბარში ვართული მამაკაცები უცნობს სალამით ზედებოდნენ, ხოლო მოქიფენი ფეხმოუკვლელნი იდგნენ დახლთან და სტუმარს ღვინოზე ეპატიებოდნენ. გიორგიას საეპროს წინ დაბალ, დაობებულ ბოძებზე იდგა სტავრო ბერძენის საყაო, თუ ამინდი წვიმიანი იყო გუბდებოდა საყაოში თუთუნის ბოლი და მოთამაშეთა ხმა, ხოლო მზიან დარებში იღებოდა ფანჯრები, ბოლში გახეული ხმა გარეთ გამოდიოდა და თვალზე ამღვრეული ნოთამაშენი სევამდნენ შავსა და თათრულ ყავას.

— ცუდი ამბავია— გაიფიქრა ბანზე გადმომდგარმა მურზაყანმა როცა დილის მზიდან ყავრებ აორთქლებულ საყაოს წინ შეგროვილ ხალხს მოკრა თვალი. მხრებზე წამოგდებული ყაბალახი თავზე ორფად წამოიფარა და ნელი ნაბიჯებით დაეშვა კიბეზე.

როცა მოსაუბრეთა შორის გიორგიაც შეამჩნია მიხვდა, რომ მართლა საგულისხმო რამ მომხდარიყო.

მოახლოებულ მურზაყანს ფეხზე ადგომით მიესალმეს, ადგილი დაუთმეს.

წუთით შეწყვეტილი საუბარი განახლდა ისევ.

ცხარობდნენ ისევ.

გაოცებულნი შეცქეროდნენ ერთმანეთს, რწმუნდებოდნენ თანდათან, რომ სოფელში მოსული ამბავი მართალია—რუსთა ხელმწიფეს ომი გამოუცხადებია და მეომართ ეძახდა.

მურზაყანი იჯდა ხმა ამოუღებლად, მეზობელთა მღელვარებას დამწვიდებით ადევნებდა თვალს. . .

მაგრამ მასაც შეეპარა იქვი, ღრნიდა ჩიბუხის ტარს და ფიქრობდა მან თუ რა ზიანი უნდა მოეტანა ცხრა შთას იქით ამტყდარ ომს ტირიფებს შორის შებიზნულ მესანდლეთათვის.

IV

ერქინული

ბოლაზზე დილა შეღრუბლულიყო როცა მურზაყანმა მეზობელის იალქანს მოჰკრა თვალი.

მოიწვედა ფრთათეთრი ხომალდი და მიხედა მურზაყანი, რომ მისი ადრე დაბრუნების მიზეზი ქვეყნის ახალი ფათერაკი—ომი იყო.

მოადგა სიმიდით დატვითული სანდალი ნაპირს და ნაწვიმარ სოფელში სვედა იზრდებოდა.

მეორე დღეს თელეების სანდალიც გამოჩნდა ბოლაზზე. გაიოხმა უამბო შეშფოთებულ სოფელს თუ როგორ დააბრუნეს ისინი შუა გზიდან როცა მეზობელ ნავსადგურს უახლოვდებოდნენ. ზოგი კიდევ გაუჩხრეკიათ.

— „შეიდი ხელმწიფე ომობს“—ო—დაუმატა მან ნათქვამს და იალქნის დაწვება იწყო.

— რას ამბობენ, როდის გათავდებაო—იკითხა ერთმა.

— გიორგობისთევზზე ყველაფერი მილაგდება—სთქვა მეორემ და მეზობლებს არ შეუხედათ ერთმანეთისთვის.

— რაცხა ქალაქი ყოფილა—სთქვა ისევ პირველმა—და ხომ არ გადაყვებიან თან.

— რაცხა კი არა სტამბოლია კაცო—დაუმატა წულებ შეკეცილმა მესანდლემ და ყველანი ერთმანეთს შეაჩერდნენ.

სტამბოლის ხსენებაზე ომის ადრე გათავების მსურველ მესანდლეებმა წარბები შეიკრეს.

ყოველ დღეს სოფელში ახალი ამბაეი მოქონდა, ხოლო როცა წითელი ქალღლები მოიტანა—შეშფოთდნენ.

ქალღლები აეკრნ ბორანთან, გიორგიას საეაქრო და სტავრო ბერძენის საყაოს ცარკით დახაზულ კარებზე—მეფე ამცნობდა ქვეყანას ომს და ერთგულ ქვეშევრდომთ საომრად მოუწოდებდა.

ჯარში ვაწვევის ამბაემა ჩააფიქრა სოფელი.

ჩააფიქრა მურზაყანიც.

მაგრამ ომის დასრულების მომლოდინენი ბედს ურიგდებოდნენ. საომრად-ვაწვეულნი ემშვიდობებოდნენ სოფელს.

გრძნობა მოქარბებული ახალგაზრდები უკვე ნაომრებივით სხდებოდნენ გიორგიას საეაქროში და ღვინოს ისეთებს სთავაზობდნენ რომლებს წინაღ საღამის ერიდებოდათ.

სოფელში იმატა ხალხმა და იმატა მოლხენამ.

უსაქმით დარჩენილი მესანდლეები ეძალებოდნენ ღვინოს, ელამ ბერძენის საყაოს და მასლაათს.

გაიოხი იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც იმედი არ დაკარგოდათ. მაგრამ სული მაინც შეშფოთებული დაქონდათ. ის ხან დაბადების წელს, მოიშველებდა, ხან კი მას, რომ ის დედის ერთა იყო.

გაიოხმა უხშირა გიორგიას საეაქროს.

მურზაყანი თავს არიდებდა შევილის ანგარებას, მაგრამ როცა მან გაიოხი ნააბრაგალ ძიკი ნანავასთან მომლხენი ნახა—სისხლი აემღვრა, კიშკარი დაურაზავი დატოვა და მენიკის გასაგონად გაიოხს კილაედა.

თავსაფრიანი შენიკი უაზროდ ტრიალებდა და როცა ^{მეტი 25 წელი} ვეზები გაიგო—გვალიების ოჯახის წყევლა იწყო.

— მომიჯადოეს, გულზე ცეცხლი წაუქიდეს, ღვინოს გულის დასაამებლად თუ სეამს, ამართლებდა შვილს მოხუცი დედაკაცი და წყველიდა ბათუ გვალიის ოჯახს.

გაიოზს გადაწყვეტილი ქონდა ოსმალეთიდან დაბრუნების თანვე გაეზილა მაშისათვის მისი შტაკიც განზრახვა:

— ცოლად ელე შეერთო, მაგრამ მოულოდნელმა ამბავმა თითონაც შეაფიქრა, ხელი შეეშალა და სოფელს გააგებულ თვალებით მიაჩერდა.

არ მოსწონდა მურზაყანს შვილის საქციელი. ის დაგვიანებით მოსულ გაიოზის მიერ მოტანილ ამბავს წარბეჭკვრით ისმენდა და უკმაყოფილების გამო-სამტკანებლად მენიკის თუ შეეკითხებოდა რამეს და ისიც შეშის ან დაშამშული წყლის მომარაგების შესახებ.

ღილამ რომელიც სანისლე ეწერიდან გადმოვიდა ახალი ამბავი მოიტანა:— სოფლად დარჩენილი ახალგაზრდებიც გაეწვიათ ომში და როცა მათ შორის გაიოზის გვარიც ამოიკითხეს—ნაჯახ შემოკრულ ჭანდარივით შეირყა მურზაყანი. ეცვალა ფერი. მაგრამ გულუტებ მოხუცმა შემფოთებულ თითებს კვს-აბედი მიაშველა.

ირველიც ისმოდა ჩოჩქოლი, ხმაური და ქერა კაცის წერილი ხმა:

— ერთ კვირაში ყველანი სამაზრო ქალაქში უნდა გამოცხადდეთ. დაგვიანებისთვის ხომ იცით როგორ ისჯებიან. შესანდლეები ეხვეოდნენ ქერა კაცს, ისიც უპასუხებდა ერთსა და იმავეს მრავალჯერ გაგონილ შეკითხვებზე.

მურზაყანი შეურიგდა ბელს.

მესობლების ჩოჩქოლი დროს დაკარგვად მიიჩნია, მოკეცილ ნაბიჯებით გასწია შინისკენ და თვალნაღვლიან მენიკის ამბავი მიუტანა!

ომში ახლად გაწვეულთა პატარა ოდები ამზურებდნენ ბალიშებს, საბნებს და თავსაფრიან დედაკაცებს.

ფუსფუსებდნენ პატარა დიისახლისები, ემზადებოდნენ ძის, ქნრის თუ მეზობლის გამგზავრების დღისთვის.

მოულოდნელ შემთხვევით დადარდინებული მურზაყანი დადიოდა ეზოში, ათამაშებდა აბრეშუმის ძაფზე აცმულ ქარვას და მენიკისთან წამოწყებულ საუბარს გაიოზს უკავშირებდა.

— აი ეს ხე გაიოზის დაბადების წელს დაერგე—სთქვა მურზაყანმა და მიაჩერდა ფსევბ მაგარ, ტოტებ დაბრილ ლელვის ხეს.

მენიკის მოაგონდა, რომ გაიოზის დაბადების წელს გარდა ორი ტანმორჩილი ჭანდრისა ეზოში არც ერთი ხე არ იდგა, მაგრამ მოხუცის სიყვარულით გამოწვეულ გულმავიწყობაში იტყვის მიტანა დანაშაულად მიიჩნია.

სალამოედებოდა.

დგებოდა ბინდი, ისმოდა ბინდიდან ეზოებს მომგარ საქონლის ზუილი და ბინდს ფრთა მარდი მერცხლები სერავდნენ.



მურზაყანმა იცნო გაიოზის ხმა, რომელიც ბანზე ვადნიშნავს ქსაუ-
ბრებოდა.

გაიოზი უკვე არ ერიდებოდა მამას. მურზაყანიც შეურიგდა მდგომარე-
ობას და წინასწარ დარწმუნებული, რომ შეზობლის ოჯახში მყოფი გაიოზი
ლამის სატეხათ რჩებოდა—ადრე ეახშმობდა, ადრე აფარებდა თავს ძილსა და
ლამეს.

გაიოზი ელემ სახლში მიიპატივია. ისიც დასთანხმდა:

— მხოლოდ ჯერ ბორანისკენ უნდა წავიდე, მალე დაებრუნდები—სთქვა
მან და ჩრდილი მისი აედევნა მას.

მიდიოდა გაიოზი და ნააბრაგალ ძიკი ნანას ცალთვალა საბე აგონდებოდა.

— „რას იტყვის სოფელი, მერე სად უნდა გამოვჩნდე“—ფიქრობდა ის და
ანელეზდა ნაბიჯს.

ნააბრაგალ ძიკი ნანას ძველი დრო მოაგონდა, მობეზრდა კარდაკარ უქ-
მად სიარული, ეძებდა მოკავშირეს რათა ტყისთვის შეეფარებია თავი.

მისი დიდი ხნის აბრგობაში გაწვრთნილი ჭკუა ყველა ნაცნობს დიდი
სიფრთხილით შინჯავდა—ეძებდა შესაფერ მოკავშირეს და ასეთად გაიოზ თე-
ლია შეიგულაინა.

აბრაგის გამოცდილი ჭკუა მიხვდა, რომ მიჯნური ახალგაზრდა ომში წას-
ვლას ვერ შეურიგდებოდა.

მან ღვინის სმის დროს სიტყვა მოხერხებულად ჩამოუგდო.

— რას წუწუნებ კაცი არა ხარ?—თოფი, ტყე და მისი ჯანი.

მას შემდეგ საუბარი თავისთავად გაიჩარხა, გაიოზმა ომში წასვლას ელეს
მახლობლად ყოფნა არჩია. ჯანმოკარბებულ თელიას ტყეთ გავარდნა გმირობათ
წარმოედგინა და დასთანხმდა.

— „ნეტაი შენ—ამბობდა ძიკი—სადღაც ვილაკის ტყვიამ უნდა მოგვლის,
კოცხალიც რომ დარჩე კაკად არ ივარგებ, სამი წლის სალდათობა შენ კი არა
მუხას გააბმობს“. მოაგონდა გაიოზს ნააბრაგალის სიტყვები და ნაბიჯს აუჭარა.

ამ ლამით უნდა შეხვედროდა ის ნააბრაგალს და საბოლოო სიტყვა მიეცა.

გაიოზი უახლოვდებოდა ბორანს, შორიდან ჩანდა სიბნელეში ჩამჯდარი
ბორანი და მებორანე უთუიას ფიცრული, რომელიც ლამით შემოლამებულთა-
თვის თავშესაფარი იყო, ხოლო დღისით დასიკხული ოტობაიელი მურუმები
თავს აფარებდნ მას და უთუიას ვალიდან ამოუსვლელობას ჩიოდნ.

გაიოზი მიუახლოვდა უთუიას ფიცრულს და შეჩერდა,—სიბნელეში განა-
ბული სიჩუმე უთვალთვალებდა ახლად-მოსულს.

ის შეირხა, ფიცრულს მარჯვნივ მოუარა, გაჭვარტლულ ფანჯრიდან მბეუ-
ტავ სინათლეს მიაჩერდა:

კედელთან მიმჯდარ ძიკი ნანას მისი განუყრელი მეგობარი შავი ნაბადი
მოეხვია და ჩასძინებოდა.

გაიოზი შიანერდა ნააბრაგალს და თითქოს პირველად ნახაო ცნობის მო-
ყვარეობით დაუწყო შინჯვა.

უცებ შეირბა ნააბრაგალი. ცალი თვალი გაახილა, ცაფრქვედუღნი ქუთუთოები ისევ გაფითრებული მიკროდენ ერთმანეთს. ის შიანქრტანს და სმენა გაიმახვილა.

ისევ შეიშუშნა, ჩასთვლიმა ცალი თვალით, ცალი კი ისევ გაშეშებული დარჩა ხანჯალ დაკრულ წარბ ქვემოთ.

გაიოზმა მასთან შეხვედრა მეორე დღისთვის გადასდო. მოშორდა ფანჯარას, წელი ნაბიჯით გაყვა მდინარის პირს და გზა და გზა ბეწვებ დაცენილ ნაბადში ჩაბჯდარი ნააბრაგალი აგონდებოდა, რომელიც მღვერებისაგან თავდალწეულ ნადირივით მიკროდა კედელს.

გაიოზს აოცებდა ნადარევი სიჩუმე, მაგრამ სიჩუმეს მალე გამოეყო ხმა:

— უთუთა უ... უ... უ... იძახდა მგზავრი გაღმა ნაპირიდან. გაიოზი უახლოვდებოდა ეზოს და შორდებოდა ხმას.

V

სამი დღეა მურზაყანი დაეძებს გაიოზს.

რას არ მოკრა ყური: ქალაქს მიშავალი ვნახეთო, წუხელ ბორანზე ვადიოდაო, გაღმელებს მაყრათ წაყალიოო—ხოლო როდესაც ნამდვილი ამბავი გაიგო—გარინდდა, სული დაუგუბდა...

ყაბალახი შევერცხლილი თავზე წამოიფარა და ბარბაცით მოშორდა ბორანს.

სოფელში მოდიოდა ხმები ომის, ტაროსის და სიმინდის მაზანდის შესახებ—გაიოზის ამბავი კი ვერ გაეგო მურზაყანს.

გულალალი სოფელი ამართლებდა გაიოზს:

— „ახალგაზრდაა“

— „ვერ მოშორდა მას“...

— „ქვეყნის დამშვიდებაზე ტყეს შეათარა თავი“.

პატივ მოყვარე მურზაყანი კი სხვა რიგ მსჯელობდა: კანონის (როგორც არ უნდა ყოფილიყო ის) დამრღვევი მას უღირს ადამიანად მიაჩნდა, ტყეს თავშეფარებული კი ავაზაკად. პირველ ხანებში არ სჯეროდა ვაგონილი.

მას კიდევ ქონდა იმედი, რომ შეცდომას გაიოზის თვით გამოასწორებდა.

მაგრამ ერთ დღით როდესაც მას გაიოზის ამბის გასაგებად მოსული ჩაფრები მოადგენ—აენთო, შეურაცყოფილ მოხუცს ხმა ვერ ამოეღო და მოსხლეთილ ნაბიჯებით აედევნა მათ.

სოფელში ხმებს ასეთი ამბავი დაქონდა: „მურზაყანი დაპირდა მაზრის უფროსს—გაიოზს სამ დღეში მოგვერით თუ კი არა და სწუხდებით მე თვით გაუსწორდები“—ო. მურზაყანის მცნობ სოფელს სჯეროდა მოსული ამბავი. მენიკი უკვე ხმა მალლა წაყველიდა ელეს როცა ის იდგა ნისლში და ქათმებს უყრიდა საყენს.

როცა ფოთლებით მოხატულ ცას ახედა მურზაყანმა მიხვდა, რომ ტყეში მეორეთ თენდებოდა.



— „ახლოს უნდა ვიყო“ გაიფიქრა მან და უჩქარა ნახევარსა და ერთხელის ძირებს მისდევდა ვაზივით დაგრეხილი გზა.

გზა ხშირად ნალავდა ტანს ფოთლებსა და ხავსში, მაშინ ჩერდებოდა მგზავრი, იმახვილებდა სწინას და თვალეებით ეძებდა ტყის სიჩუმენი ჩაფლულ ნიშანოთულებას.

თანდათან თხელდებოდა ტყე — უახლოვდებოდა ეწერს. როცა მან მეორეთ ახედა ეს მიხვდა, რომ ტყე უკან დარჩა. უცეში ჩაფლული ხეები კი ტყიდან გამოსულებივით იდგნენ მის გარშემო.

ეწერის გასწვრივ აწვდილმა ბოლმა ამცნო მურზაყანს, რომ კარავში ცუდი ენთო და არ იყო კარიელი.

იმედი მოეცა.

სხვა ადგილს არ აირჩევდნენ— გაიფიქრა მან.

აედევნა ტყესა და ლაქაშებს შორის ჩავარდნილ გზას.

დღე ღრუბლიანი იყო

ესა საწვიმრად ემზადებოდა.

აშრიალდა გზის პირად მდგარი ტყე — აწვიმდა ეწერს.

მურზაყანი მიაჩერდა ისლით დახურულ კარავს.

თითქოს ნაცნობ ხმას მოჰქრა ყური.

წამით გაინაბა.

მიჩერებოდა წვიმისგან დამძიმებულ კვამლში ჩამჯდარ კარავს და მის ყირიმულ თოფის შევერცხლილ ლულაზე სრიალებდნენ წვიმის თეთრი წვეთები.

მან უცებ შეიქრა წარბი. თოფი მზრიდან გადმოიღო. მოშორდა წიფელის ტანმალალ ხეს, ჩქარი ნაბიჯით გაემართა კარავისკენ, უკანასკნელად ისკუბა ადიდებულ ლელის წინ და ეძგერა გაქვარტლულ წნელით შეღობილ კარებს — კარავში ჩნდა კომლი, კომლში კი დამნაშავე ახალგაზრდების დაბრილი თავები.

ტახტზე წამოწოლილი მურზაყანი დიდხანს იგონებდა მას თუ როგორ დატოვეს კარავი, როგორ მიდენიდა ის ტყეში გაიოხს და როგორ ჩააბარა ის დანიშნულებისამებრ.

მოხუცს მოაგონდა, რომ გაიოხი მთელი გზა ხმაანოულებლად მისდევდა მას, მხოლოდ სოფელს მიახლოვების დროს სთხოვა სოფელში ნუ გამატარებ სხვა გზით ვიაროთო, მოხუცის სიმკაცრემ არ შეიწყნარა შეილის თხოვნა, ყაბალახ მოხვეული გაიოხი სოფელში პატიმარივით გაატარა. მოაგონდა ისიც, რომ ქალაქში ჩასვლის დღეს შეაკვივა გაიოხს, მთელი სხეული უკანკალებდა, მურზაყანს კი ყურადღება არ მიუტყვევია, ჯერთი სანუგეშო სიტყვაც არ გაუტყვევია ვინ იცის საით და რომელ მხარეს მიმავალ მეომრისათვის.

VI

მას შემდეგ განვლო ერთმა წელმა — სოფელში იკლო მოლხენამ, იმატა დარდმა.

ახლოვდებოდა ზამთარი და სოფელმა დაკარგა იმედი ქვეყნის დამშვიდების.

იღგენ სკელებთან აფრა დაშვებული ხომალდები და დარჩენილ სოფელი.

ელე არ ეძახდა ვალმელ მეგობრებს.

დღისით თავს აფარებდა ფანჯრებში ჩალერილ შემოდგომის მხეს, საღამოობით ატრიალებდა თითისტარს, ართავდა ძაფს და ართავდა დარღებს.

ის დიდხანს ელოდა ბარათს გაიოზისაგან მაგრამ ამაოდ.

სდუმდა გაიოზი.

დუმილის მიზეზი მისი შელახული თავმოყვარეობა იყო. თელიების ოჯახშიც ბარათი დიდი ხნის ლოდინის შემდეგ მოვიდა.

ეტყობოდა მოენელებია გაიოზს გულისწყრომა და სიყვარულით იგონებდა დედას.

ბარათს თან მოყვა პატარა სურათი.

მენიკიმ ძლივს გამოიძინო გაიოზი, რომელიც რუსულ ფარაჯაში გახეული უნუგეშო და სევდიანი თვალებით მიჩრებოდა დედას.

როგორც გაიოზი იწერებოდა მეორე მის გვერდში მჯდომი ქარიატელი ჩილაჩაეა, მისაც რუსულ ფარაჯიდან გამოწედილი თითები მუხლებზე გაეშალა და მიჩრებოდა სივრცეს.

მენიკი მალულად იწმენდა ცრემლებს, ლოცავდა მათ. შეილის ნაღელი-ანმა სახემ დააღონა მურზაყანი, მაგრამ მაინც აამა ბარათმა.

მოხუცმა იგრძნო უცხოეთში გაბიზნულ შეილის სიახლოვე. მან გადაწყვიტა გაიოზს დედის ნახელავი საჩუქარი გაუზავნოს და ახალი წელიც მიულოცოს.

განზრახვით გულდაშვებულმა მოხუცმა იგრძნო სიხარული, სახე გაიგრილა, ჩოხაზე ამოწეული ქილები შეისწორა, ცარიელი ქისა თუთუნით აავსო და სტავრო ბერძენის საყაოსკენ გაეშურა.

ისევ როგორც მუდამ დღესაც მოეყარათ თავი უსაქმოდ დარჩენილ მესანდლებს.

მეზობელი სოფლის მოქალაქე კითხულობდა გახეთს, ირგვლივ მომხდარი მესანდლეები სულგანებული უსმენდნენ მას.

მურზაყანი ყურს უგდებდა ომის ამბებს. ცდილობდა გონებით შიწდომოდა იმ მხარეს რომლის ცას სერავდა ზარბაზნის ცეცხლი.

— „რა ამბები დატრიალდა ქვეყანაზე“ — ფიქრობდა ის, მისჩრებოდა გახეთს — ესმოდა გულსაკლავი ამბები: ქალაქის განადგურება, სიკვდილი, ცეცხლი უგზო-უკვლოთ დაკარგვა.

შეეჩვიენ მესანდლეები ქვეყნის განადგურების ამბებს, შეეჩვიენ დარღსა და მსსლაათს.

VII

როცა ელემ თვალები გაახილა მოაგონდა, რომ ძილში კივილი შემოესმა. შემოფანტული თმები აიკრიბა, ფანჯრიდან შემოსულ მხეს მყარად შეუშვირა, გაინაბა.



კივილი ისევ მოესმა, ის თანდათან ძლიერდებოდა. ელეს შიშველი ფეხები ჩითის თხელ კაბაში და აივნისკენ ვავარდა.

ხალხი ვარბოდა ქუჩაში და გროვდებოდა თელიების ეზოში. ისმოდა კივილი და კივილში მენიკის ხმა.

ელეს თვალები დაუბნელდა. ებლაუქებოდა ფრჩხილებით აივნის დანამულ მოაჯირს, სასოწარკვეთილი მისჩერებოდა ხალხს და ვერ გამოეცნო ვერც ერთი.

აივანზე მალე ამოირბინეს ელეს მეგობრებმა, მოსთქვამდნენ გულაძგერებულ გოგონები, იატაკზე განართხულ ელეს ასხურებდნენ წყალს.

გაიოზის სიკვდილი ლოდევით ჩამოაწვა სოფელს, ლოდი მძიმე იყო და ვერ აეგდო მენიკის ხმას.

VIII

დრო ცვლიდა ამბებს.

როცა მეფის ტახტი შეირყა, შეირყა სოფელი.

მოვიდა იმედი. ის დადგა ბორანთან და განაგებთა სოფელს. ბორანს მოყავდა ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები. ჯარისკაცებს მოჭონდათ ამბები.

ამბები ფიცები იყო და ახლად დაცილილ ვახუშტის ცვილი იქვე ახმაურდა სოფელი.

თანდათან ჩნდებოდნენ ტყეს თავშეფარებული ახალგაზრდები, სერავდა ტყვიები ვიორგიას საეაქროს ქერს და წითელ ყაბალახთან ძიკი ნანას ხმას.

ხედებოდნენ სიხარულით მესანდლეების ოდეები ომიდან დაბრუნებულთ.

ხოლო იქ სადაც არ დაბრუნებულან— იდგა შიში და გლოვა. არ შორდებოდა ეზოს გულგაბზარული მურზაყან.

ლობიდან სვერეტდა გალაღებულ ყმაწვილებს და ობრაედა:

— ჩემი ხელით დავლუბე, ისიც ცოცხალი დარჩებოდა— მენიკი გრძნობდა მურზაყანის დარდს, ობრაედა ისიც.

ფხიზელი მენიკი ზღვაზე დაღუპულ გაღმელ მესანდლეების ამბავს წამოიშველებდა მაგრამ ამაოდ— მურზაყანს არ უმსუბუქდებოდა დარდი.

მოხუცი მესანდლე მოხარა დარდმა.

წარბები უცნაურად წამოეზარდა.

ულვაშებს უმუქებდა ჩიბუხიდან ადენილი კომლი.

მენიკი ამჩნევდა, რომ მოხუცს ელეს ამბავი აინტერესებდა.

— როგორ არის?— კითხავდა ის ხშირად.

— ხველა ბატონებიო, ამბობენ მალე გაივლისო.

— სიცხემ თუ უკლო— ჰკითხავდა ისევ მურზაყანი.

მენიკი განმეორებით მოუყვებოდა ვაგონილს, მოხუცი თელია უგდებდა ყურს, ცდილობდა წარმოედგინა ფერმკრთალი ელე, რომელიც დიდი ხანია ბანზე გადმომდგარი არ უნახავს.

ელე ჩავარდა ლოგინად, მისი გამომრთელების იმედი დაკარგულა და დარდმა და მოულოდნელმა უბედურებამ დაახიანა ცირა-ქალი.

მოხუცი მშობლები უსხდენ სასთუმალთან ავადმყოფს, არხევდენ ალის ხის შტოს, აფარებდენ შუბლზე კადრის ხის შეგრილებულ ფოთლებს, ღებულობდენ მნახველებს. პირველ ხანში ბურანში გახვეული ელე ზოდავდა გაიოზის სახელს, შემდეგ როცა სიცხე დაუნელდა, დაუნელდა ხმაც. გულშემატკივარი მეზობლები მიჩერებოდენ ავადმყოფს. ყურს უგდებდენ მის ყრუ ხველას, ანუგეშებდენ ჯორკოზე ჩამოაჯდარ ბაბის, გულაღალი დედა მათ მადლობას სწირავდა და სამაგიეროდ შეეცითებოდა მათ ნათესაეებისა და ხშირად შორეულ მოყვრების ამბებს.

როცა ავადმყოფი იბრუნებდა პირს, ღამის სატეხათ მოსული ახალგაზრდები მზიარულდებოდენ, უკრავდენ ჩონგურს, ამღერებდენ დაბალი ხმით.

შუალანისას სტუმრები იშლებოდენ. რჩებოდა ოთახში ალერსით სავსე სიმღერის ხმა და ბუბრის თაროზე ჩამოწყობილი ხილით სავსე თევზები.

შინისკენ მიმავალი სტუმრები იკვლევდენ ზვას და მსჯელობდენ მაზე, რომ წაწყმენდს მურზაყანს ახალგაზრდების ცოდვა, და გულის ტკივილით უმატებდენ რომ თუ არა მურზაყანი — გაიოზიც ცოცხალი დარჩებოდა.

ებრალეებოდა სოფელს მოხუცი თელიაც რომელსაც ვერც კი ცნობდენ.

ძველ მერეიზეს დაკარგოდა შნო, იერი, ბოხი ხმა დარბილებოდა, ის არ შორდებოდა ეზოს და არც არავის აძლევდა სალამს.

IX

ღამდებოდა...

ათვთრებდა თოვლი მიდამოს და თოვლში იფლებოდა ორშაბათი.

ბაბი იჯდა ვალევიებულ ბუხართან. ყურს უგდებდა ზენა ქარის შეუწყვეტელ ზოილს.

ქარი აწყდებოდა კედლებს, ხშირად ბუბრიდანაც დაბერავდა, მაგრამ წიფელის ხმელ კუნძებით ანთებული ბუხარი ათბობდა ოთახს.

ოთახში განაბული სიჩუჟე ყურს უგდებდა ცეცხლის ტკაციალს და ვალერსებოდა დროგამოშვებით კედლებზე აელევიებულ ცეცხლის ლანდს.

ბაბიმ ბუბრიდან ვადმოვარდნილ მუფუხალს პირი უცვალა, როცა ჩუმი კაკუნი მოესმა.

— „ქარი იქნება“ გაიფიქრა მან—მაგრამ კაკუნი ისევ მოესმა.

ბაბი წამოდგა. მან ფრთხილად გააღო წაბლის ხის მძიმე კარი და ფერი ეცვალა—კარებთან მურზაყანი იდგა.

გამოცდილი დიასახლისი არ დაიბნა, ოდნავ აკანკალებული ხმით მიუაღერა, სტუმარი სახლში მიიპატიჟა.

მურზაყანი დანაშავესავეთ იდგა კარებთან, პირველ შეხედრისთანვე შენდობა იგრძნო და გული აუჩვილდა. თოვლიანი ყაბალახი ხელზე დაიბერტყა. აცრემლებულ თვალებით ელესკენ ვაემართა, რომელიც საბანში ჩაფლული უკვე ხმა მალდა ტვითინებდა.



ბაბი თავდახრილი ჩამოვჯდა ბუნართან, მურზაყანმა კვ წყდუჩქოთუქ კშიი-
ბუტა და ათართოლეზულ ტუტებით ელესათვის გაუგებარ სიტყვებს ბუტბუტებდა.
ელე ეკვროდა მოხუცის თოვლით დანამულ ჩოხის კალთას და მურზაყა-
ნის ფართო, დაკოჭრილ ხელებში თეთრ, ფერმკრთალ თითებს აცახცახებდა.

გვიან დაბრუნებულ ბათუს ამბავი დაახვედრეს. ისმენდა ამბავს და შვილის
სიხარულს იზიარებდა. მეორე დღეს ძველმა მეზობლებმა სალაში გასცვალეს.

მას შემდეგ მურზაყანი ელეს ხშირი სტუმარი იყო. ვერ ძლებდა მარტო.
შეეჩვია ელეს.

მენიკი კი გზაენიდა თბილ რძეს, ტკბილეულს და ხილს. იჯდა ცეცხლის
პირად მურზაყან და ფიქრობდა მაზე, რომ ავადმყოფის ბედი უნდგემოა.

ესმოდა მისი განუწყვეტელი ხველა და შფოთავდა მოხუცი.

სოფლის ექიმბაშებს მოქონდათ წამლები რომლებშიც სავსე იყო: ნაწიფი
სამყურა, ფუფალი, ბაბაძარღვა და დაჭრილი ძარღვებივით დაგრეხილი ბა-
ლახები.

მეზობლები კი დატინებით ურჩევდნ ბათუს, რომ ავადმყოფისთვის ჰაერი
გამოეცვალა.

ურჩევდნ თეთრ მთას რომლის სასწაული სჯერა სამეგრელოს, სჯეროდა
ბათუს.

მას იმედი მოეცა.

ბაბიმ მოიწონა ბათუს განზრახვა.

მაღე ელექ დაითანხმეს.

გადასწვეიტეს, რომ ხეების შეფოთელის თანვე წასულიყო ბათუ სამურ-
ზაყანოს, სადაც მას მრავლად ეგულებოდა ბაბის ნათესაობა—ძმები, ბიძები და
მოკეთენი.

— ზედ მთის კალთებზე სახლობენ მუხურელები—ამბობდა ბაბი—ხელს
შეგიწობენ და ჩვენთანებში ვიქნებით. რატომ ადრე არ მოგვაგონდა—სწუხ-
და ის.

ბათუ წელში გაიმართა.

ბაბიმაც ხელი გამოიღო.

აწვდიდა ქმარს ახალს ცნობებს თეთრი მთის და თავის ნათესაობის შე-
სახებ, თან ბათუსათვის საჭირო ტანისამოსსა და სამგზავრო მასალის ამზადებდა.
წუხდა მხოლოდ მურზაყან. ეძნელებოდა ელეს მოშორება, მაგრამ გრძობ-
და, რომ ეს აუცილებელი იყო ავადმყოფისთვის.

ბათუს გამგზავრების დღემაც მოაწია.

აკილებდნ ბათუს მეზობლები და გზას ულოცავდნ.

ბათუ ხელგაშლით მიიღეს ნათესაებმა, ზოლო როცა გულდასმით მოუსმი-
ნეს ურჩიეს, რომ მიეტოვებია ძველი სამოსახლო, გადმოსახლებულიყო მათკენ
სადაც პირდებოდნ თავშესაფარს და ხელის მომართვას.

მიზეზად უსახელებდნენ მას, რომ რამოდენიმე წელი ზედიზედ მოქმედებდა თეთრი მთის მახლობლად ელეს საბოლოოდ გამომართლებს, რომ მათეს დიდი ხანია სანდალი არ ყავს და რა ესაქმება შესანდლებში, რომ სიბერის ეამს უმჯობესია თავი ნათესავეებში ივუღლოს.

დაბრუნებულმა ბათუმ გაკვიდა თავისი კარმიდამო.

გასამგზავრებლად მოეშადა.

დანიშნულ დროს მოვიდა ურემი.

ურემს მოყვებოდნენ ქალარა მურუმები — ბაბიშ იცნო დიდი ხნის უნახავი ძმები და სიხარულმა თვალები აუცრემლა.

ეზოში მეზობლებს შეეყარათ თავი.

გაღმელებიც მოსულიყვნენ.

არ ჩნდა მხოლოდ მურზაყანი.

ბათუ მიხვდა მისი მოუსვლელობის მიზეზს — მაგრამ როცა აყადმყოფი უკვე ურემზე მოათავსეს — იწყინა ბათუმ.

ელეს თხოვნით ურემი ალოდინეს ეზოში მაგრამ მურზაყანი არსად ჩნდა.

როცა ურემი აჭრიალდა მენიკი მიუახლოვდა ბათუმს:

— რა მიქნა, თავი მომჭრა — ამბობდა ის ბოდვის კილოთი — ხომ იცი მისი ხასიათი ნუ იწყენ — მენიკიმ ბათუ გაიხმო ქანდრის ხისყენ — აი ეს გამომატანა მურზაყანმა, გაიოზისათვის მიქონდა შენახულიო — და მენიკიმ უბიდან ამოიღო თათრული ოქროს თუმნიანებით სავსე პატარა ქისა.

ბათუ უჩოზდა დიდხანს მაგრამ მენიკის მუდარამ დასძლია ის.

ურემი ისევ აჭრიალდა — შორდებოდნენ ნაცნობ სოფელს და ცას.

ელე აკვირდებოდა გამცილებლებს მარგამ მათში არ ჩნდა მოხუცი.

თანდათან თხელდებოდა გამცილებლების წრე — წინ კი სქელდებოდა ბუჩქნარი, ჩნდებოდა ტყე.

ბათუ მალე გამოეთხოვა უკანასკნელ გამცილებელს.

ურემი გაუდგა ზღვის პირად გამართულ გზას.

მზეს გაეთხოო ქვიშა, ეფლობოდა ფეხი ქვიშაში ჩელას და ეზიდებოდა ტვირის.

ელე გასცქეროდა მზიან სივრცეში აწვდილ მთებს, რომლის კალთებისათვის უნდა შეეფარებია თავი.

მიღწევდა?

X

გასაბჭოებულმა სოფელმა იცვალა ფერი.

ბოლანიდან გადმოსულ ნისლს — ახლად აშენებული ხე-ტყის სახერხი ქარხნის საყვირი არღვევდა.

არ ირხეოდა მდინარეში თეთრი აფრები.

დრომ დაამსხვრია ფრთა თეთრი ხომალდები — მათ ნაცვლად მდინარეში ტანმორჩილი გემები ქმნიავდა, იტვირთებოდა ხე-ტყის მასალით და წყალსუფთა მდინარეში ტოვებდა ზეთსა და მახუთს.

სოფელ თავშალივით დაძინძილი სითხე უახლოვდებოდა ნაპირს, აგროვებდა ფიჩხსა და ნაფოტს, დალორწილ ბადესავეით იშლებოდა სქელტყემაწილის და წყლისთვის მოსული მურზაყანი საყვედურით ავსებდა სპილენძის-საქვებს.

მოხუცი ვერ ცნობდა სოფლის ახალ მოქალაქეებს, რომელთაც უხვად იზიდავდა ახლად გახსნილი ქარხანა.

ბათუს ნამოსახლარშიც უცხო ხალხი დასახლდა—ყველა ახალგაზრდები, რომელთაც გარდა თავშესაფარისა სხვა არაფერი აინტერესებდათ.

ხედავდა მოხუცი ძველი მეზობლის ეზოს ღიად დარჩენილ კარს და გული უკვდებოდა.

მდინარის პირად თუთუნის ცისფერ ბოლში ჩამუდარ ძველ მესანდლეების ნაცვლად, ხმაურა კამკავეშირელი მეზღვაურები გროვდებოდენ.

ხმა მათი მკვეთრი იყო და არ სიამოვნებდა მურზაყანს.

თუ კი გემი მიუახლოვდებოდა თელიების სკელეს მურზაყანი წყრებოდა, ვინაიდან გემის ბორბლებით აქაფებული მდინარე ახეთქებდა ნაპირს სკელესთან მიბმულ მურზაყან თელიას სანდალს, რომელიც ერთად-ერთი იყო მდინარეში ახალგაზრდა მეზღვაურების თამაში სალაში არ მოსწონდა მოხუცს და თავილობდა მას.

აიკლო დარდმა მურზაყანი.

ოდიდან ცვიოდა ყვარები და ეზოს ქარი ფოთლებით ავსებდა.

ლოგინად ჩაეარდნილ მენიკის დაკარგოდა მოთმინება, ხმა მალა უსაყვედურებდა მურზაყანს და ვაიოზის ნახვას ნატრობდა.

— რას ერჩოდი, რატომ დაღუპე... მოურიდებლად ამბობდა მენიკი და მოხუცი აღრუ ტოვებდა ოთახს.

აივნიდან გადმომდგარი აცახცახებდა ჩამომკნარ კისერს. გასცქერდა მდინარეს:—

არ ირხეოდენ ფრთა თეთრი ხომალდები
ფარვანებივით დაიხოცენ თეთრი იალქნები.

სოფელში მოსულ უცხო ხალხს კი მოქონდა:

რკინა, ფოლადი და საყვირი.

■

როცა მურზაყანი წამოდგა, ქარი გაბელებით ეხეთქებოდა კედლებს.

ის მენიკის შეუმჩნეველად გავიდა ოთახიდან.

აივანზე გამოსულმა ქარს მკერდი შეუშვირა.

გახედა სკელესთან მიბმულ სანდალს, რომელიც თითქოს ზღვის გრიგალს მოწყურებული აწყვეტას ლამობდა.

მოხუცმა გახედა ეზოს.—

ბათუს ეზოს ჭისკარი მოეგლიჯა ქარს.

ქარი აშრიალებდა ტყეს და ეძინა სოფელს.

ის მიუახლოვდა სანდალს.

დაქიმული თოკები აღრუ შეხსნა.

ვაშალა იალქანი.

აპობდა ხომალდი მდინარეს და ძალა ემატებოდა მოხუც

ქარიშხალს აეზვირთებია ზღვა.

ებრძოდა სანდალი ვრიგალს და ვრიგალმა აღრე დააძგერა ზღვას.

შესცქეროდა მკერდ-მოგლეჯილი მოხუცი აზვირთებულ სივრცეს და მისი

განზრახვა იყო—არდაბრუნება.

წიოდა ქარი... გლეჯდა იალქანს.

ის შორდებოდა ნაპირს და ევროდა სივრცეს.

როცა დამტკრეული ფიცრები ამოყარა ზღვამ, სოფლელებმა იცვნეს მურ-

ზაყან თელიას სანდალი.

დაკარგეს მისი დაბრუნების იმედი.

მენიკი კი ელოდა, ელოდა დიდხანს.

სალამობით ის წელმოხრილი ფანჯარასთან ანთებდა სანთელს, რომ სან-

დალს ადვილად მოეგნო სველე...

.

სინათლე იქაც ჩაქრა.

ქალი სარკვეში

გაგრძელება *)

VII

ნ ი ლ ა ბ ი

დილის ათი საათია.

ინჟინერი გურგენი კამარელი ზის თავის სამუშაოკაბინეტში და ქალღებებს ათვალღებებს.

ღია სარკველში პატარა ეზოდან ფოთღებღის შრიღლით შემოღღის ტფიღღისის მზიღნი აპრიღღი.

კამარელი დღხეღღეს მღვიღღის კღღენღღარღღს:

14 აპრიღღი. ოთხშღღბღღთი.

შარღღან სწორღღედ ამ დღღღეს ეწღღვია მღს ინჟინერი ვღისმღღანი, რომღღელმღღაც ასღღე ძირღღელღღად შემარღღყია მღისი დღ მღთელი ჭღვეღღნის ცხორღღება. ძღღლიღღან კარღღგღად ახსოღღეს: 14 აპრიღღი, მზოღღოდ დღღე იყო სღმშღღბღღათი.

ერთი წღღელიწღღადი—დღ ამღღდენი გღანღღცღღდა, ამღღდენი გღამარღღჯღღებღღა დღ ბოღღოს სღმინღღელი კღტღასტროღღფის მოღღოდინიღღთ თავზღღარღღდაცღღემღღული კღცღობრიღღობღღა!

ეღღელღღათერი ეს უღღფრო სიზღღმარღღსღღა ჭღვღეს, ვიღღდრღღე სინღღამღღღვიღღეს.

გღანსღღაკუთრღღებღღული სიღღმწღღვაეღღათ ვღანიღღცღღდის იღღი გღუღღის ტკივიღღს დღღეს, უღღცნღღური დღარღღბღღაზობის წღღლის თღვზღღე: რღღაღღდენი იღღმეღღდი დღღა გღამარღღჯღღებღღის ზღღლისიღღ აღღღუღღღრა მღს ამ დღღღემ დღ როღღგორ შემუღღბრღღღებღღლღღად დღღამსხღღვრღღია ეს იღღმეღღდღღბღღი სღმინღღელღღი აუღღციღღებღღლობღღამ!

კარღღზე დღღაკღღკუღღენღღეს.

— მობრღღძღანიღღთ!

შემოღღვიღღა ინჟინერი ვღისმღღანი.

— სწორღღედ თღქვეღღნზე ვფიღღქრობღღდი ამ წღღუთს,—მღღესღღლღღმა კღმარღღელი.

— ვინ იღღცის, იღღქნღღბ ცღღუღღად მღხსენღღეთ?—ღღიღღიღღთ იღღკითღღბღღა ვღისმღღანღღმა დღღაჯღღდა.

— დღღეს ერთი წღღელიწღღადი მღესრღღულღღდა, რღღაც თღქვეღღნ ამ ოთღღახში პიღღრღვეღღლღღად ფეღღბღღი შემოღღდღღით.

კღმარღღელღღმა სღღათს დღხეღღდა:

— დღღა, როღღგორღღც მღხსოღღეს, სწორღღედ ეღღმეღღე დრო იყო: დღღლის 10 სღღათი.

— რღღათიღღმე უღღნღღა ოღღინიღღშნოს ეს თღარიღღლი,—სთღღქღღვა ვღისმღღანღღმა.

კღმარღღელღღს მწღღუღღბარღღედ გღღელიღღმა:

— ეს კვიღღმღღტი თღარიღღლი დღღიდღღის ზღღემიღღთღღა დღღა სღღღღღღღუღღტით ოღღინიღღშნღღება 1933 წღღლის 25 ნოღღემბღღერს.

*) იბ. „ნღღათღღბი“ № 2—3, 4.

— ეფიქრობ, ამ შემთხვევაში წინასწარმეტყველი ხარისხის მქონე ვაისმანმა.—1933 წლის 25 ნოემბერს, სალამოს 6 საათზე, შესაძლოა კაცობრიობამ დიდი ზეიმი გამართოს.

— წინასწარმეტყველება თქვენია, ხოლო ზეიმს კაცობრიობა კი არ გამართავს, კაცობრიობას გაუმართავს მსოფლიოს უხილავ ძალთა ბრმა რეჟისორია.

— რეჟისურა უნდა ჩამოერთვის ბრმა ძალას.—სახის სერიოზული გამომეტყველებით მიაგება კამარელის ნაღვლიან ირონიას ვაისმანმა სამართებელივით მკრეხელი სიტყვებით.

— ვინ ჩამოართმევს?—ჰკითხა კამარელმა.

— ადამიანი!—უბასუხა ვაისმანმა და შავ სათვალეში ცისფერი ელვა დაანთო.

კამარელის სახეზე ირონიულმა ღიმილმა გაისრიალა:

— ოცნებაა!

— მთელს ქვეყანას საშინელი ბედისწერის უღმობელი აჩრდილი აწევს, — სთქვა ვაისმანმა.—კატასტროფის შორი გრგვინვა უკვე ანგრევს კაცობრიობის კულტურის მთავარ ბოძებს. ასე თუ გაგრძელდა, შიშისა და სასოწარკვეთილების ქარიშხალი წალგავს და გაანადურებს ადამიანთა მოდგმას უფრო ადრე, სანამ ცის სივრცეში დედამიწისა და კომეტის საბედისწერო დუელი გაიმართებოდეს.

კამარელი იჯდა დალონებული და ყურს უგდებდა ვაისმანის ხმალივით მოქნეულ სიტყვებს.

— გამოფხიზლების იმედი კი არსიდან სჩანს: კაცობრიობამ შიილო სასიკვდილო დიაგნოზი და არც ეფიქრობს გაბრძოლებას, უძლური და უიმედო ლაჩარეობით ნებდება სიკვდილს.

— ჩვენ შევცდით.—სთქვა კამარელმა.—კაცობრიობას არაფერი უნდა სკოდნოდა მომავალი უბედურების შესახებ. რა სარგებლობა მოიტანა წინასწარ გაფრთხილებამ? შიშისა და უმწეობის მორევეში ჩააგდო მთელი ქვეყანა და დედამიწა დაამსგავსა სიკვდილით დასასჯელის ცივსა და ბნელს საკანს.

— ყველაფერი თავის გამართლებას თავის დროზე იპოვის.—დამშვიდებით მიუგო ვაისმანმა.—გაფრთხილება საჭირო იყო. იმედიც მქონდა, რომ უფსკრულის წინ მღვარი კაცობრიობა გონების უკანასკნელი დაჰიმვით შესძლებდა თავის გადასარჩენ ფრთების გამოსხმას, მაგრამ ჯერჯერობით მოლოდინი არ გამიმართლდა. საჭიროა დახმარება.

— ვინ უნდა დაგვეხმაროს?—გაკვირვებით წამოიძახა კამარელმა.—ღმერთი ხომ არა?

— ღმერთი ჩვენ შევქმენით, ჩვენვე მოვსპეთ. ადამიანმა უნდა შესძლოს დანგრეული ტახტის აღდგენა.

— სხვა ღმერთისთვის?

— ერთად-ერთი ღმერთისთვის, რომლის არსებობა შესაძლებელია მსოფლიოში.

კამარელმა უცებ დაღლილობა იგრძნო. უნებურად გაეფიქრა: უნდავე სიკვდილის წინაშე დიდი გონებაც იბინდება?..

— მე კი ვფიქრობდი, — ვერ შეიკავა დამცინავი კილო, — რომ ჩვენ დავესაფლავეთ უკანასკნელი ღმერთი. თურმე ერთი კიდევ უფილა. რა ჰქვია მაინც ამ ნაბოლარას?

- ადამიანთა კოლექტიური გონება. — უბასუხა ვაისმანმა.
- შუქის ერთი წვეთია დაუსრულებელ სივრცის უნაპირო სიბნელეში.
- ერთი, მაგრამ ერთად-ერთი.
- ერთად-ერთი! ეს მართალია. — დაუდასტურა კამარელმა.
- მისი მატარებელია ადამიანი, მან უნდა აისხას „ღვთიური“ საჭურველი და ამაღლდეს ისეთ მწვერვალზე, საიდანაც უფრო ადვილად დასაზვერია „ბედის“ შეუცნობელი თამაში.
- სამწუხაროდ ადამიანმა ვერ მოასწრო ამ მწვერვალზე ასვლა.
- უნდა ავიდეს, თუ სურს ვადარჩეს. — სიტყვა ვაისმანმა.
- ვერ ავიდა. იქნებ არც იყო ღირსი. — დაუმატა კამარელმა და მცირე პაუზის შემდეგ განაგრძო: — შესაძლოა აგრეთვე, რომ მსოფლიო უფრო უფსკრულია, ვიდრე მწვერვალი.
- უფსკრული მხოლოდ მწვერვალიდან სჩანს. — სიტყვა ვაისმანმა. — მინდა თქვენც გადმოგახედოთ ამ მწვერვალიდან.
- მზადა ვარ. — უთხრა კამარელმა და იგრძნო რაღაც ახლის მოახლოება.
- დრო აღარ ითმენს. საჭიროა მოქმედება.
- მოქმედება თუ ოცნებობა?
- ვიცი, თქვენ ოცნება უწოდეთ ჩემს აზრს უხილავ ძალთა რეგისორობის გაუქმების შესახებ. მინდა ჩემი ნათქვამი დაეასაბუთო. გთხოვთ ყურადღებით მომისმინოთ.

კამარელს სხეულში ერთნატივობა დაუარა: ისეც იზიფრება გამოუცნობ საიდუმლოებით ეს შეესატყალებიანი მეფისტოფელი, ისეც აღელვებს მას უეცარი ხილვის მოლოდინი.

— დედამიწა და კომეტა უნდა დაეჯახონ ერთმანეთს. შესაძლებელია თუ არა ამ კატასტროფის თავიდან აცილება? ჩვენ ვამბობდით, რომ შეუძლებელია, ვინაიდან აქ მოქმედობენ ძალები, რომელნიც ჩვენი გავლენის გარეშე იმყოფებიან. მართალია თუ არა ეს?

- არა, მგონია თქვენ ამაში ეჭვი შეგდიოდეთ, — შენიშნა კამარელმა.
- ეს მართალია მხოლოდ ნაწილობრივ: ორ მოქმედ ძალთა შორის ერთი მართლაც ჩვენი ყოველგვარი გავლენის გარეშე იმყოფება, სახელდობრ კომეტა. მაგრამ დედამიწაზე ხომ ჩვენა ვართ უზენაესი ძალის მატარებელინი?
- ძალიან მცირე ფარგლებში.
- ფარგლებზე შემდეგ. მივიღოთ დროებით დასაშვებად, რომ ჩვენ შეგვიძლია დედამიწის მოძრაობის მართვა ისე, როგორც შემანქანე მართავს ორთქლ-მავლის მოძრაობას. კატასტროფის ასაცილებლად საჭიროა ორბიტების კრიტი-

კული წერტილი რამდენიმე წუთით ადრე გაიაროს ან კომეტიდან დადამიწამ. მაგრამ, როგორც ვთქვი, კომეტის მოძრაობის სიჩქარეს ჩვენ ვერ შევცვლით. მაშასადამე, საჭიროა დედამიწამ ან გაუსწროს კომეტას, ან ადრე გაუშვას იგი.

— ეს კარგი რამ იქნებოდა, — ამოიხმორა კამარელმა, — მაგრამ ვინ კისრულობს შემანქანებობას?

— ჩვენ უნდა ვიკისროთ.

— ვინ ჩვენ? გაუკვირდა კამარელს.

— ჩვენ ორმა. მაგრამ ხომ შევეთანხმდით, ეს შესაძლებლობა პირობითად მივიღოთ? ჯერ ანგარიშს მოვრჩეთ. ჩვენს პირობებში რომელია უფრო ადვილად შესასრულებელი: პირველი თუ მეორე ვარიანტი?

— ესე იგი?

— გაუსწროს თუ გაუშვას?

— ორსავე ვარიანტს ერთი შედეგი მოჰყვება.

— შედეგი ერთი იქნება, მაგრამ ჩემი გამოანგარიშებით მემანქანეს მეტი ენერჯია დაეზარება პირველი ვარიანტით. და აი რატომ: რომ დედამიწამ გაუსწროს კომეტას, საჭიროა ის გასცილდეს კრიტიკულ წერტილს, კომეტის იქ მოსვლამდე, დაახლოებით 400.000 კილომეტრის მანძილით, ვინაიდან იმ დროს მთვარის მდგომარეობა ისეთი იქნება, რომ ის დედამიწის ზურგს უკან მოექცევა. როგორც იცით, მთვარე, დაშორებულია დედამიწას 380.000 კილომეტრით. მაშასადამე, თუ დედამიწა წინ წაევა, უნდა გაათრიოს მთვარეც, წინააღმდეგ შემთხვევაში კომეტა ან დაეჯახება მთვარეს, ან დედამიწისა და მთვარის შუა გაიჭროლებს და შეიძლება შესცვალოს მიწისა და მისი თანამგზავრის ურთიერთობა ჩვენთვის სახიანოდ. მეორე ვარიანტით საკმარისია დედამიწის დაავიანდეს კრიტიკულ წერტილზე მისვლა მხოლოდ 10.000 კილომეტრით, რომ სრულიად უვნებლად მოიცილოს თავიდან დაუპატივებელი სტუმარი. 10.000 კილომეტრი უდრის დედამიწის მოძრაობის ექვსი წუთის გზას. (როგორც იცით, ის წამში მიჰქრის 30 კილომეტრის სისწრაფით: $30 \times 60 \times 6 = 10.800$). მაშასადამე, საჭირო იქნება დედამიწის ექვსი წუთით დამუხრუჭება.

კამარელის თვალეზში ზედიზედ იელვა: ჯადოსნური სიტყვები შეტეორებივით ჩასცივდა გამოუცნობ საიდუმლოებათა უფსკრულში და გოლიათურ ამოცანების კონტურებმა თანდათან ელვარება დაიწყო.

— დედამიწის გაქანებული ეტლის ექვსი წუთით შეგვიანება იხსნის ქვეყანას დაღუპვისაგან. — დაასვენა ვაისმანი.

— მაგრამ რა ძალა შესძლებს ამ „ეტლის“ დამუხრუჭებას? — ჰკითხა კამარელმა.

— კატასტროფამდე კიდევ დარჩა წელიწადი და შეიძლი თვე. — განაგრძობდა ვაისმანი. — ექვსი წუთით შეგვიანებისათვის საჭიროა დედამიწამ დღე-ღამეში ერთი წამით შეანელოს თავისი მოძრაობა ერთი წლის განმავლობაში. ჩვენს განკარგულებაშია კიდევ შვიდი თვე მუხრუჭების მოსაწყობად.



— ნუთუ სერიოზულად ჰფიქრობთ, რომ თანამედროვენი უფრო დღია ასეთი ამოცანის დასმა? — ჰკითხა კამარელმა. — დედამიწის წინააღმდეგობა ვიცი, რომ რკინის ლაგამით შეიძლება მისი დამორჩილება?

— ჩვენი პლანეტა ოდნავ ყალბზე უნდა შევაცნოთ, თუ გვსურს მისი გადარჩენა, თორემ უფსკრულში ჩაიშხვრება.

— როგორ ვინდათ ეს გააკეთოთ?

მე გამოვიანგარიშე, რა ძლიერების მუგლუგუნებია ამისათვის საჭირო. დედამიწის მასას და მისი მოძრაობის სიჩქარეს თუ მივიღებთ მხედველობაში, საჭირო იქნება ყოველ წამს დედამიწის ნახევარ-სფეროს წინ ელოპებოდეს სამ მილიარდ ატმოსფერული წნევის უკუმქცევი ძალა.

— ჯერ ერთი, წამში ასეთი ძალის დაგროვება და ისიც მთელი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ ტეხნიკის დღევანდელ პირობებში შეუძლებელია, მეორე — როგორ გსურთ ეს ძალა დაახვედროთ დედამიწას მის ორბიტზე? — ჰკითხა ოდნავ იმედგაცრუებულმა კამარელმა.

— ჩვენ ვლახარაკობთ დედამიწის დამუხრუჭებაზე, — საჩქაროდ უპასუხა ვაისმანი, — მაშასადამე, საჭირო არ არის გარედან წინააღმდეგობის მოწყობაზე ზრუნვა. თქვენ კარგად იცით რა პრინციპზეა აგებული თანამედროვე მაშხალიანი მანქანების დამზადება. მეცნიერებისათვის უდავოა, რომ ასეთი მანქანის შართვა შეიძლება ცის უპიერო სიერცეში. პრინციპიალურად არაერთი განსხვავება ასეთ მანქანასა და დედამიწის შორის არ არის.

— სრული ჰერმეტიკობა! — საჩქაროდვე დაუდასტურა კამარელმა.

— რაც შეეხება იმ არაჩვეულებრივ ძალის მარაგს, რომელიც საჭიროა ესოდენ დიდი ეფექტის მისაღებად, უნდა ვთქვა გადაჭრით, რომ თანამედროვე მეცნიერება უკვე მიაღწა ამ ძალის საიდუმლო კარებს.

— თქვენ გულისხმობთ ატომის შინა-ენერჯიას, — სიტყვა მიაგება კამარელმა.

— დიახ, ატომის შინა-ენერჯიას განთავისუფლებით შესაძლებელი გახდება დედამიწის მოტორად გადაქცევა. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზნებისათვის საჭირო იქნება 12 კილოგრამი ტყვიის ენერჯია, არც მეტი, აც ნაკლები.

— ვთქვით, ყველაფერი ეს შესაძლოა, — დაეთანხმა კამარელი. — მაგრამ თქვენვე ავი ამბობთ, რომ თანამედროვე მეცნიერება ამ უსახლვრო ენერჯიის რეზერვუარის კარებთან დგას მხოლოდ და ჯერ შივ ვერავეინ შესულა! რა საფუძველი გაქვთ იფიქროთ, რომ შეიძლი თვის ვადაში მეცნიერება არაჩვეულებრივ ძალას გამოიჩინს და იერით აიღებს ამ დარკინულ უბნეს? მეტადრე ახლა, როცა კულტურის მაჯისცემა ასე მინელებულია საშინელი კატასტროფის მოლოდინში!

ვაისმანი ადგა და დაფიქრებულმა ოთახში სიარული დაიწყო.

— თქვენ მართალი ხართ: კაცობრიობა ამჟამად უიმედო მდგომარეობაშია, მას სჭირია გარეშე დახმარება.

კამარელი ჩვეული იყო ვაისმანისგან ყოველგვარ მოულოდნელობის მოსმენას, მაგრამ ეს ნამეტანი იყო.

— კარგად ვერ გავიგონე, რა სჭირია? — ჰკითხა და ^{ქრქუნი} ~~ფეხს~~ ^{ქრქუნი} ~~ფეხს~~ ფანჯრისაკენ მიმავალ ვაისმანს.

ვაისმანი უცებ შემობრუნდა კამარელისკენ და შუა ოთახში გაჩერდა. ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაიწყო და თავი ზურგისკენ გადახარა, თითქო სათვალეს ქვემოდან უნდა შეხედოს კამარელსო. ერთი წუთი ასე იდგა, შემდეგ, თითქო პირიდან სიტყვების ნაცვლად ადუღებულ ლითონს აფურთხებდსო, ხაზგასმით გაიმყორა:

— დედამიწას სჭირია გარეშე ძალთა დახმარება.

კამარელის ღია თვალებს შიგნიდან ნიაღვარივით მოასკდა დამარბამივებელი ბრწყინვალეობა და წამწამები დააშვებინა. ხელები აიფარა თვალებზე და თავი მაგიდას დააყრდნო.

დიდის ნებისყოფით საგანგებოდ დაჩრდილული და მოფარდული ეკრანი ისევე აენთო და თითქოს შივიწყებული მარსელი ქალის სახე მოულოდნელად აიმართა კამარელის წინ. საეკირველია, როგორ შესძლო ამდენ ხანს ეკრანისათვის თვალის არიდება! გული უნდა ქცეულიყო ფერფლად, რომ დაეფარა შიგ ჩაზავებული სიყვარულის ღველფი და ჩრდილით დაებურა უსაზღვროების ფანჯრიდან შემოჭრილი საყვარელი ქალის ძვირფასი სახე. საბედისწერო პაემანის შემდეგ ერთხელაც არ მიჰკარებია კამარელი ჯადოსან ეკრანს და ყოველი ღონით ცდილობდა დაეიწყებინა მძიმე ლოდით გაესრისა განუხორციელებელი ოცნების მაცდური ჩვენება. რა საჭირო იყო სულის ჯამბაზური ვარჯიშობა, როცა წინდაწინვე ცხადი იყო მისი უაზრობა? კამარელის სიყვარულის რომანტიკა მისტიურ საბურველს ეფარებოდა და ელექტრონით შთაგონებულ შეცნობის აბრაზებდა ეს მოულოდნელი გადახრა. რა მოუქნელი და გულუბრყვილო გამოდგა ადამიანის პსიქიკა! შეცდომით გამოწვეულ სულის მოძრაობას მიმართულება ვერ შეუცვალა შეცდომის გამოშლავებების შემდგომაც! თავიდანვე რომ სცოდნოდა, ეკრანის სარკიდან რომ მარსელი ქალი იცქირებოდა, მისი გული გამოიჩინდა თავდაცვის უნარს და სიყვარულის შხამით არ მოიწამლებოდა. მაგრამ სარკეში მას მოელანდა დედამიწის მშობლიური სისხლის სურნელოვანი დუღილი და შორეული მოჩვენება ხელმისაწვდომ საცხადედ მიიღო. და ეს მოჩვენება სჯიდა კამარელს დაუფიქრებელ დანდობისათვის. ქვეყნის დაღუპვის მოახლოებულ გრკვინვას დროზე რომ არ დაეძლია კამარელის გულში ახმაურებული მუსიკა, ვინ იცის, შესძლებდა თუ არა იგი მომხიბვლელ ძახილის პასუხად ვაჟაკურ დუმილს. ახლა-კი, როცა ვაისმანი ისევე უფსკრულს იჭით იხედება, კამარელს ელნაკადივით დაუფლის ტანში დამარბული სიხარულის უეცრად გაცოცხლებული სხივი: ხომ შეიძლება ეკრანის საშუალებით დახმარების მიღება „გარეშე ძალთაგან“? აკი ვაისმანმა იქიდან მიიღო ეკრანის გაუმჯობესების ვასა-ოკარი ინსტრუქცია? მაგრამ ვანა სასიხარულოა ეს ამბავი? შესაძლოა ეკრანმა ააშოროს დედამიწას საშინელი ხიფათი, მაგრამ ამით ხომ უფრო ახმაურდება დაუძლეველი სიყვარულის ძლივს მიყრბული მუსიკა?

— რატომ ჩაფიქრდით ასე მძიმედ? — ხანჯალივით გადასჭრა ვაისმანმა კამარელის ფიქრთა დენა.



კამარელი ფიქრებისგან გამოერკვა.

წამოდგა, თვალები ზოიფშენიტა და ნამძინარეევით დახმარდა.

— შე სულ დამაფიწყდა თქვენი ეკრანი.—ჩაილაპარაკა განზარალებული ხმით.

—რა თქმა უნდა, შესაძლოა იქიდან დახმარების მიღება.

—კარგად ვაიცი, რატომ დაიფიწყეთ თქვენ ეკრანი, სთქვა ვაისმანმა და წამოდგა.

კამარელს მოეჩვენა, რომ შავ სათვალეში ბოროტმა აღმა იელვა.

—გარწმუნებთ, ამისთვის საფუძველი არ გქონდათ.—დაუმატა ვაისმანმა.

—ხვალ ამაში თქვენც დარწმუნდებით. ახლა წავეალ, ხვალ დილის 10 საათზე ეკრანთან გელით.

და ვაისმანი ოთახიდან გავიდა.

გაბრუებული კამარელი დიდხანს იდგა შუა ოთახში გაქვავებულივით.

ტელეფონის ზარმა გამოარკვია.

ქუდი დაიხურა და გარეთ გავიდა.

მთელი დღე რეტდასხმულივით დაბორილობდა ქალაქში და შინ გვიან დაბრუნდა.

შევიდა კაბინეტში და სავარძელში ჩაიკეცა...



„ხვალ ამაში თქვენც დარწმუნდებით!..“

რას უქადის კიდევ ახალს და გაუგონარს ეს დაუტყობიელი ჯადოსანი? კიდევ რა ვაოცება მოელის ხვალ სხვა ქვეყნის შუქით განათებულ ეკრანთან, ამ უსაზღვროების ღია თვალთან?

კამარელის თავში ათასი ფიქრი ერთი-მეორეს სცვლის, თოვლივით აფორიაქებული. დიდის წვალებითა და გულშოღვინებით მიხერგილი გრძნობა ამსხერცეს ყველა დაბრკოლებას და ცეცხლის წვეტად დგას და ანათებს კამარელის სულის სამყაროს ყოველ კუთხეს. ერთი სახე ბატონობს სხვა ყველა სახეთა შორის და ეს არის მარსელი ქალი.

კამარელი ცდილობს მოიკრიბოს მთელი ძალა, შთაავგონოს თავის თავს ვაგაკცური გამძლეობა და თავგანწირვა. მართლა-და როგორ უნდა დააბას პირუტყვივით უმიზნო სიყვარულის ბაგაზე რალაც რადიო-მოჩვენებამ ბრძოლაში გაკაცებული მეცნიერი? რამ ჩაუქრო საღი მოსაზრების უბრალო უნარი და როგორ ვერ დათრგუნა ყოველგვარ აზრსა და შინაარსს მოკლებული გრძნობის ბავშური წინიანობა?

და კამარელი ათასნაირად ასაბუთებს საკუთარი გრძნობის უსუსურობას. ის ხომ ბავში არ არის, ან გამოაყვანიებული მეოცნებე, რომ აპყვეს ავადმყოფურ გულისთქმას? რას უქადის მას ეს სიყვარული?—ცის ღია კარში დაუსრულებელ კერიტინს. აი სად ხდება სასაცილო „შორით აღვა, შორით დაგვა“!.. ოდესმე, ვინ იცის, იქნება მოგვარდეს პლანეტათა შორის მიმოსვლის პრობლემა. მაგრამ დღეს გარდაუვალი უფსკრულის შავი ღუმელია მათ შორის. მას უნდა ახსოვდეს

თავისი შოვალეობა ქვეყნის წინაშე, მეტადრე ახლა, როცა მთელი მსოფლიოსი გადარჩენის იმედი.

არა, კამარელი კიდევ უჩვენებს ქვეყანას, რომ არ გაბზარულა ჯერ მისი მოქალაქეობის ჯავშანი, კიდევ სჩქეფს მის ძარღვებში რევოლუციით აღღვებული სისხლი და მას შესწევს ღონე მყარდინდან ამოიგლიჯოს გული, თუ ასეთ დროს ის უველაფერს დაივიწყებს და საკუთარ ბედნიერებაზე დაიწყებს უაზრო ოცნებას...

კამარელი ნელნელა მშვიდდება.

ქარი ჩადგა და ფიჭვთა კორიანტელი თანდათან თოვლივით დაეშვა.

კამარელს ეძინება. სავარძლის სახელურზე თავს დასდებს და ღრმად ამოისუნთქებს. თანდათან ბურუსში იძირება გონება, მხოლოდ შორიდან მოსიანს ოდნავ განათებული ეკრანი და ძლივ გასაგონად ისმის მარსელი ქალის მელოდიური ლულუნი: „Sanor den Obra, ven gara Obran, Sanoren largo...“

* * *

მიუხედავად უზერბული საწოლისა, კამარელს მთელი ღამე კარგად ეძინა და დილით ხალისიან გუნებაზე ადგა. სჯეროდა, რომ წუხანდელი სულიერი მღელვარება ძლეულ იქნა და სხეულში უკვე გრძნობდა მომავალ ბრძოლათა სიხარულს.

თითქო ბინდი შემოეცალა მოჯადოებულ თვალებს და შვიდი თვის კომპარული ძილის შემდეგ პირველად დაინახა გარემო ქვეყანა ჩვეულებრივ სინათლეში.

ათ საათამდე კიდევ დიდი დრო იყო და დილის მზიანი სუფთა ჰაერი გარეთ იწვევდა.

მადიანად ისაუბრა და ქუჩაში გავიდა.

კარებთან იდგა მზის სხივებში შავ ხოჭოსავით მოლაპლაპე ავტო.

— დიდუბისკენ! — ესროლა შოფერს და ავტოში ჩაჯდა.

ლეტარგინით სულჩადგმული ავტო მერცხალივით მისრიალებდა აერიალებულ ქუჩაში, მსუბუქი, უხმო და ელასტიური.

რუსთაველის გამზირზე ხარის დაუცხრომელი წკრიალით დაჭროდენ უმაჯთულო ტრამეის უბიგელო რონოდები. ლეტარგინს სავსებით დაეპყრო ქუჩის მოძრაობა. აღარსად სჩანდა ტრამეის, განათების და ტელეფონის უამრავი ბოძები და მავთულები, რითაც ობობას ქსელივით დახლართული იყო წინად ქუჩები. მტკვარზე თეთრ გედებივით დასკურავდენ წითელ დროშის იაღქნიანი სამგზავრო და საპარგო მოტორიანი თეთრი ნაეები. ვერის ხიდიდან აღარ მოსჩანდა ძველი ელსადგურის მშროლავი საკომური, — სადგური მოეხსნათ და იქ ახლა დიდი ბუთსართულიანი სახლი შენდებოდა. პლენანოვის ვიწრო და სწორი გამზირი, უმავთულო და უბოძო, უფრო განიერი და ნათელი სჩანდა.

დიდუბეში კამარელმა დაათვალიერა ახალი აეროდრომი. უკვე მიეღოთ ახლად აგებული უზარმაზარი საჰაერო ხომალდის ნაწილები და ამჟამად მუშაობა სწარმოებდა ხომალდის მოსაწყობად. ორსართულიანი გემის მსგავსი აერო-



პლანი თეთრ გველეშაპივით იწვა შუა ეზოში ხარაჩოების მოყვრით შემოსაღ-
ტული.

კამარელმა გემის კედლის თეთრ ფონზე შორიდანვე შენიშნა შავი წარწე-
რა: „გედა“. ეს სახელწოდება ვახშანის თხოვნით მიეცა გემს. ისეთი მოწიწე-
ბით და სიფრთხილით სთხოვა ამის შესახებ ვახშანმა, რომ კამარელმა უარი
ვერ უთხრა, თუმცა მას სულ სხვა სახელი ჰქონდა გემისათვის განზრახული.
ვერც გამოჰკითხა, თუ რას მოასწავებდა ეს სახელი, ვინაიდან შეატყო, რომ
ვახშანს დიდი სურვილი ჰქონდა თავი მოერიდებინა ამის შესახებ ყოველგვარი
განმარტებისათვის.

გემს ჰქონდა თხუთმეტი პროპელერი: ცხრა პორიზონტალ ლერძებზე, სამ
წყებად, გემის შკერდზე, ექვსიც, ორ წყებად, ვერტიკალურზე, გემის შუა ნა-
წილზე, ბაქანს ზემოთ. შექანიზმი ლეტარგინის გამოყენებაზე იყო დამყარებული:
ჰაერით ადვილად მისაწვდომმა ენერგიამ საშუალება მისცა კამარელს აეგო
ისეთი მანქანა, რომ თითქმის საეხებით გადაჭრილიყო საჰაერო მიმოსვლის ძნე-
ლი და რთული პრობლემები. „გედა“-ს უნდა შესძლებოდა ვერტიკალურად
აფრენაც და ძირს დაშვებაც საქირო სიჩქარით, აგრეთვე ჰაერში გაჩერება ყო-
ველგვარ სიმაღლეზე.

„გედა“ ორი თვის წინად უნდა ყოფილიყო მზად, მაგრამ მსოფლიო პანი-
კის უიმედო სულიერი განწყობილება ნაწილობრივ მაინც შემოიჭრა და მოადუ-
და ამშენებლობის ტემპი. მუშაობას თანდათან ეკარგებოდა პერსპექტივა და
იშრიტებოდა შრომის ხალისი. რაც კეთდებოდა, ისიც უფრო ინერციის შედეგი
იყო, ვიდრე ცოცხალი თაოსნობის.

„გედა“-სთან კამარელს შეეგება ახალგაზრდა ინჟინერ-პილოტი ბაკურ შა-
ვარდნაძე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა „გედა“-ს აგების ხელმძღვანელობა.

— შავარდენო! გაფრენას როდის ეპირებთ? — ღიმილით მიესალმა კა-
მარელი.

ბაკურის ცისფერ თვალებში ავარჯარებული ლითონი აენტო და წამწამე-
ბი ლურჯად აასვედა.

— „გედა“ ჯერ მხოლოდ ბარჯკია შავარდენის, ერთ ფეეში ფრთები წა-
მოეზრდება და გაფრენასაც შესძლებს, — მიუგო მან კამარელს და სიყვარულით
გადახედა ჩონჩხიან ხარაჩოში ჩასმულ „გედა“-ს თეთრ ტანს.

ჰაერისა და მზისაგან დაკანგული პირისაზე, სწორი ცხვირი და ნალალი,
ოდნავ დაქანებული შუბლი თითქო ჰაერის გასაკვეთად იყო ჩამოსხმული. ლურჯ
თვალებში თითქო ცის ორი ნატეხი უხსდა, ელვის ნაპერწკლებით დაცხრილუ-
ლი. ახალგაზრდა ბაკური სწორედ ცაში სანავარდოდ იყო გაჩენილი და კამა-
რელმაც მიტომ აირჩია ის თავის თანაშემწედ, როგორც „გედა“-ს მომავალმა
კაპიტანმა.

დაათვალიერეს აეროპლანის შინაგანი მორთულობა. თორმეტი ორ-ადგი-
ლიანი კაბინი მზად იყო, ექვს-ექვსი ორთავ მხარეზე. დარბაზი ჯერ არ იყო
მორთული. ტალანში ეწყო ელექტრონის აბაზანის და სამზარეულოს მოწყობი-
ლობა.

— რა მდგომარეობაშია სამანქანო განყოფილება? — იკითხა.

— ერთ კვირაში მოეწყობა. — მიუგო ბაკურმა და შეტყობისკენ დაეხრებოდა. — როგორია ვინა-პლანზე აგებულ ბროლის-კედლებთან ოთახში. მარჯვნივ და მარცხნივ ორ უზარმაზარ თვალვით გამომჭურთული იყო ორი ბროლის ოვალი, სადაც უნდა მოთავსებულყო სხვადასხვა აპარატები.

— სწორედ თვალებსა ჰგავს, — შენიშნა ბაკურმა. — წარმოდგენილი მაქვს, რა საუცხოვო სანახავი იქნება ცაში აფრენილი „გედა“ ღამით, როცა ამ ვეიბა თვალებს ელექტრონით ააბრიალებს.

ამოიოხრა და დაუმატა:

— ცოდვა არ არის, ამ დასაქცევ დედამიწასთან ერთად ეს საოცარი ქმნილებაც დაიღუპოს!

კამარელმა საათს დახედა: ათს ათი წუთი უკლდა.

— ეინ იცის, იქნება დედამიწამ კიდევ დიდხანს იქროლოს სივრცეში და მასთან ერთად „გედა“-მაც.

— როგორ? — გაიკვირვა ბაკურმა.

— არის იმედის შუქი, ცის უხილავი ფანჯრიდან შემოკრილი.

— ეჰ! თქვენც ცის კარის გახსნას ელით? — ნალელიანის ღმილით მოჭკრა ბაკურმა.

— ცის კარი უკვე გაიხსნა და ათი წუთის შემდეგ ანგელოზიც გამოჩნდება. მეც ახლა იქ უნდა გავეშურო, რათა ყურადღებით მოვისმინო ანგელოზის დარიცხვა.

კამარელი გამოემშვიდობა ბაკურს და აეტოყენა ვასწია.

ბაკურს არ გაჰკვირვებია კამარელის უადგილო ხუმრობა, მას მხოლოდ შეშურდა მისი ხალისიანი გუნება, სიცილის წკრიალით რომ აესებს საშინელი მოლოდინის ბნელ განცდებს.

* *

ათი საათი შესრულდა და კამარელიც შინ დაბრუნდა.

განგებ შეიგვიანა კაბინეტში რამდენიმე წუთით: რაც უფრო უახლოვდებოდა ეკრანს, მღელვარება თანდათან ძლიერდებოდა, გული დაჭრილ არწივივით ფართბალებდა და თვალბში იდგა ნათელი ნისლი.

დივანზე წამოწვა და ამგვრებულ გულზე ხელი დაიდო. რამდენად უძლური ყოფილა ადამიანის ნაქები ნებისყოფა სულის ფარულ ძალთა შეუპოვარ იერიშის წინაშე! — მკობრე რამ ნაფოტი, ზღვის დაუდგრომელ ტალღებში. წელანდელი გაბედულ ქადილი უკვალოდ გაქრა და კამარული გრძობს, რომ სამარცხვინოდ გაიბზარა მისი გამძლეობის ჯაფშანი, რომ მის ძარღვებში რვეოლუციით აღუღებული სისხლის ნაცვლად სჩქეფს უიმედო მიჯნურის ნალელიანი ცრემლი და მას არ შესწევს ღონე მკერდიდან ამოიგლიჯოს გული, ასეთს დროს რომ ყველაფერს იფიწყებს და საკუთარ ბედნიერებაზე უაზროდ ოცნებობს...

წამოდგა და ლასლასით გაემართა ლაბორატორიისაკენ: გლადიატორი გადიოდა ბროლის არენაზე, სიყვარულის საშინელი მხეცის წინააღმდეგ, უიარაღო, უძლური და შინაგან უკვე დამარცხებული.

ვაინმანი მაგიდასთან იჯდა და სწერდა.

— კარგია, მოხედით.—რვეული უკრაინა ჩასდო და ჩემს იმედს ვკარგავდი: ნახევარი საათია გიცდით.

კამარელმა საათს დახედა: თერთმეტის ნახევარი იყო.

გაუჟვირდა: ნუთუ კაბინეტში რამდენიმე წუთის ნაცვლად ნახევარი საათი დაჰყო?

— მაპატიეთ!—მოიბოდიშა კამარელმა.—დიდუბეში ვიყავი და...

— „გელა“ როგორ არის?—გააწყვეტინა სიტყვა ვაისმანმა.

— ერთ თვეში მზად იქნება.

— სამი კვირით დაგვაგვიანდა.

— როგორ?

— ეს არის ცნობა მივიღე, რომ ერთ კვირაში შეიკრება ტფილის-მოსკოვის ხაზი ლეტარგინის ზონებით საპაერო მიმოსვლისათვის.

— ზონებსაც დაგვიანებია—შენიშნა კამარელმა.

— „გელა“—ს უფრო დააგვიანდა. მაგრამ, არაფერია, დაკარგულ დროს მალე ავინაზღაურებთ.—და ვაისმანმა ხელი წაავლო ეკრანის ფარდის ზონარს.

— ეხლა თქვენს შეგობარ ქალს გამოვუძახოთ. იმედი მაქვს ეს შეგვედრა, უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე წინანდელი შემთხვევითი და უნებური პეიმანი.—ამ სიტყვებთან ერთად ვაისმანმა ფარდა გასწია და ეკრანი გამოაჩინა.

კამარელს ცოტა ეუცნაურა ვაისმანის მზრძანებლური კილო.

— ხომ არაფერი მოხდა ჩემს აქ მოსვლამდე?—გაიფიქრა და ეკრანს მიუახლოვდა.—ან იქნებ დადგა დრო, როცა ნიღაბი საჭირო აღარ არის...

— თქვენ მართალი ხართ.—მოულოდნელად მიახალა ვაისმანმა.—ნიღაბი უკვე საჭირო აღარ არის, მაგრამ მე მინდა ამ ფერისცვალებას დაესწროს შორეული ქალწული,— და ვაისმანმა გააღო ეკრანის კუთი და დარეკა.

კამარელს გააქრულია: რამდენიმეჯერ ჰქონდა შენიშნული, რომ ვაისმანი მის აზრს ჰკითხულობდა, მაგრამ ასე აშკარად და მოურიდებლად ნადირობა მის ფარულ გულისთქმაზე გაუგებარი იყო და აუტანელი.

— თქვენ ჩემ აზრს ჰკითხულობთ!—მოუფიქრებლად შეესძახა გაფითრებულმა კამარელმა.

— ნუ გაგიკვირდებათ,—წყნარად მიუგო ვაისმანმა.—აზრი თავისთავად ძნელად ასახსნელი რამ არის, მაგრამ მისი ფიზიკური მოვლენა ისეთსავე ბუნებრივ კანონებს ემყარება, როგორც ყოველგვარი ელექტრო-მაგნიტური სტივისნობა.

—ნუთუ ყოველთვის ჰკითხულობდით ჩემს აზრს?—ჰკითხა კამარელმა და წყრომით საესე თვალეზი მიაპყრო ვაისმანს.

— როცა საჭიროდ ვცნობდი.—მიუგო ვაისმანმა.

კამარელი გაბრაზდა:

— შე უკვე აღარ ვიცი, ვინა ხართ, ან რა მიზნით გადამეკიდეთ. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი წრისა და კულტურის ადამიანისათვის სათაკილოა სხვის გულისთქმაში ხელის ფათური.

ვაისმანმა ოდნავ შეარბილა კილო:

— ნუ გეწყინებათ. არასოდეს ბოროტად არ გამოგჩვენებენა ჩემი „გულ-თმისნობა.“

— არც სიკეთეა მოსალოდნელი ამგვარ თავდასხმისაგან!..

— შე რომ თქვენი ფარული განზრახვა არ წამეკითხა.—განაგრძობდა ვაისმანი,—შარშან 11 სექტემბერს ამ ეკრანთან ხიფათი რომ შეგვმთხვავთ, არავინ გეუკლებოდათ მშველელი და ვინ იცის რა მოგივიდოდათ!

და დაუმატა:

— თქვენს მეგობარ ქალსაც შეაწუხებდით.

კამარელმა იგრძნო საშინელი უხერხულობა: მთელი წლის განმავლობაში იგი ტყვედ ჰყოლია ვილაც ჯადოსანს, მისთვის შეუვგებლად; ყოველი მისი ფიქრი და ფარული განზრახვა გაშლილ წიგნით სდებია წინ ამ გამოუცნობ პიროვნებას! ისეთმა გრძნობამ შეიპყრო, თითქო ვატიტკლებული მიდიოდა ხალხით სავსე ქუჩაზე, ან ქურდობაში დაეჭიროს ვისმე. იყო რაღაც შეურაცხყოფელი და სამარცხვინო იმ ფაქტში, რომ შეზასავეთ გამჭვირველი და დაუფარავი იდგა ამ კაცის წინაშე და არ ჰქონდა თავდაცვის საშუალება.

ვაისმანი დივანზე დაჯდა.

— დაჯხდეთ.—უთხრა კამარელს.—კარგა ხანს მოგვიხდება ლოდინი, საინამ ჩვენი მეზობელი ქალი ფანჯარას გამოალებდეს.

კამარელმა ეკრანს შეხედა: შავი დაფა გალესილ გრანიტივით კრიალებდა. ისიც დაჯდა ოვალურ დივანის მეორე კუთხეში, ვაისმანის პირდაპირ.

— იქნება არც გამოჩნდეს.

ვაისმანმა საათს დახედა და სთქვა:

— ოცდახუთი წუთის შემდეგ გამოჩნდება.

— საიდან იცით ეს?—შეეკითხა კამარელი.

— გამოვიანგარიშე.

— როგორ?

— ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამჟამად მარსი ძალიან დაშორებულია დედამიწას: იგი იმყოფება მზის იქით, ცოტა მხარმარცხნივ, ჩვენგან 350 მილიონ კილომეტრის მანძილზე. სხივი ამ გზას იქით და აქეთ გაივლის 39 წუთის განმავლობაში. 14 წუთია რაც დავრცეე. მაშასადამე, 25 წუთის შემდეგ ფანჯარა გაიღება.

კამარელი ჩაფიქრდა.

— ანგარიში სწორია, მაგრამ შეიძლება ფანჯარა მიინც არ გაიღოს.

— რატომ?

— ხომ შესაძლოა ქალი ამ წუთს არ იყოს ეკრანთან?

— უთუოდ იქნება.

— საიდან იცით?—არ მოეშვა კამარელი.

— წინასწარ ვარ შეთანხმებული.

კამარელს გულში ნემსმა უჩხვლიტა.

— როგორც სწავს, თქვენ ბშირად მართავთ პაემანს ამ ეკრანთან!

— კვირაში ორჯერ, სისტემატიურად.



კამარელმა იგრძნო რაღაც იქვის მაგვარი, მაგრამ იმ ეჭვსევე წაიწყო და ამ გრძობის სრული უადგილობა და გულში გაეცინა: სასტიკად დასწამდა იმეორი ინტენერის მამლაყინწური ქიშპობა მარსელი ქალის სიყვარულისთვის! იმდენად მიუწვდომელია ეს ქალი ორივესთვის, რომ იგი ლებულობს წმინდა აბსტრაქციის, განუყნებელი იდეის სახეს.

კამარელმა ეს კარგად იცოდა, მაგრამ მაინც იყო რაღაც ამ ქალზე ფიქრში, რაც იწვევდა მის გულში ყოველივეს მოულოდნელს და შეუკავებელ მღელვარებას.

— უნდა ვიფიქროთ, — ოდნავ გესლ-ნარევი ღიმილით წარმოსთქვა კამარელმა, — რომ ამ სისტემატიურ შეხვედრას ჰქონდა ღირსეული საბაბი.

— სრული სიმართლეა. — დაუდასტურა ვაისმანი.

— და ნაყოფიერი შედეგიც.

— უთუოდ.

— რამდენადაც მიხვედრა ნებას მძღვეს, დღესაც იმავე საბაბზე მოგვიყვანა აქ.

— სწორედ.

— მაშასადამე, საფიქრებელია აგრეთვე, რომ ჩვენთვის ამჟამად საინტერესო კითხვის პასუხიცა გაქვთ.

— მაქვს.

კამარელს ეწყინა. ვაისმანის შავ სათვალეში დამკინავი ღიმილის კრთობა მოეჩვენა.

— მაშ რა საჭირო იყო დღევანდელი სეანსი? — იკითხა წყრომით.

— რომ თქვენც იცოდეთ.

— თქვენ ვერ მეტყობდით?

— მე მინდა თქვენც იმ თასიდან სევათ სიბრძნე, საიდანაც მე ვიგემე.

ჩამოვარდა სიჩუმე.

დივანზე ნახევრად წამოწოლილი ვაისმანი, თავის განუყრელ რუბ ფრენში გამოწვიპული, ეკრანის კუთხეს მისჩერებოდა, ოდნავ შესამჩნევად თავს რიტმიულად აქანებდა, თითქო რაღაცას ჩუმად ითვლისო, და პატარა რგვალ მაგიდაზე ნერვიულად ათამაშებდა მოუსვენარ თითებს.

კამარელი ვახევებულებით იჯდა, თავი დივანის რბილ ზურგზე მიესვენებოდა და ატლასივით სუფთად გაპარსული ლოყები მღელვარებისგან გამკრთალებოდა.

ლაბორატორიაში იდგა მოლოდინით დატვირთული მყუდროება.

სიჩუმე დაარღვია კამარელმა:

— გუშინ რომ მითხარით: „კარგად ვიცი, რატომ დაივიწყეთ ეკრანი“ — ო, რას გულისხმობდით ამ სიტყვებში?

— მე ვიცი, რომ თქვენ განგებ გაურბოდით ეკრანს.

— ალბათ ისიც იცით, რა მიზეზით?

— ვიცი.



კამარელი არ მოელოდა ასეთ გადაჭრილ პასუხს, ^{ქვეყნის} ^{საქართველოს} ^{შედეგად} ^{შედეგად} ^{შედეგად} გრძნობდა, რომ შეყვდა: არ უნდა მიეცა ამგვარი შეკითხვა. საქაროდ აუხვია გვერდი საშიშარ დიალოგს და საუბარი სხვა საგანზე გადაიტანა, რადგან არც გაჩუმება ვარგოდა.

— კარგი, ამას თავი დავანებოთ. ერთი ეს მითხარით: თქვენ პირადად გაქვთ თუ არა იმედი, რომ კატასტროფას თავს დავადღწევთ?

— თქვენ?

— მე რა?

— თქვენ გაქვთ თუ არა იმედი?

— იმედს საფუძველი სჭირია, რაც მე არ მომეპოვება.

— ეკრანი არ კმარა საფუძველად?

— ეკრანი ჩემთვის გაუგებარი წიგნია, რომლის ავტორი თქვენ ხართ.

ვაისმანი არ განძრეულა, თითების თამაშით შეაჩერა და ისე უთხრა კამარელს:

— ეკრანის ნამდვილი ავტორი თქვენა ხართ.

— რა ნიჩრად? — გაუკვირდა კამარელს.

— თქვენ გიყვართ მარსელი ქალი.

გული ყუმბარასავით გასკდა და კამარელი უეცრად კომლსა და ალში ჩაიძირა. შუბლზე თითქო მდულარე გადაესხა. ხომ იცოდა, რომ ვაისმანი მის აზრებს კითხულობდა? უნდა შორიდებოდა შეკითხვებს. რატომ არ იცოდა, რომ ისეთი მძლავრი სულიერი ქარიშხალი, რამაც კინალამ დაღეწა მისი სულის სამყარო, არ გამოეპარებოდა ამ გულთმისანს? უთუოდ საშიშ ადამიანთან აქვს საქმე. ეინ იცის, შეიძლება თუ არა ამ ჯადოსანის რჩევას დაენდოს კაცობრიობა? იქნებ უარესს რასმე უმზადებს დედამიწას ქვეყნის აღსასრულის ეს ავეცია წინამორბედი! არაეინ იცის, რა მიზანი აქვს მის საიდუმლო კავშირის მარსთან, რა ჯოჯოხეთურ გეგმას ამზადებს ეს ბოროტი სული...

— კეთილი სული! — ისევე მოულოდნელად დაარღვია კამარელის ფიქრთა დენა ვაისმანმა.

კამარელი შიშმა აიტანა. ეს რა სატანას გადაეკიდა? სად დაემალოს ამ საშინელებას? რა ჯავშანი დაიფარავს მის გონებას ამ საკვირველი ადამიანის უხილავ მახვილისაგან?

— კეთილი სული! — გაიმეორა ვაისმანმა და წაშოდგა. რა საფუძველი გაქვთ ამგვარ ეჭვებისათვის? განა საქმაო საბუთი არ მოგვეცით ჩემი კეთილგანწყობილების დამამტკიცებლად? მე თქვენ დავაგმობთ ჩემი შემოქმედება და ლეტარგინის უსრეტი აღით ავაძგერ თქვენი ქვეყნის რკინის გული! მე თქვენ დავაყენეთ სიბრძნის ღია კართან და ცოდნის შუქი ჩავეღვარე თქვენს გონებაში! მე გაეანათე ბნელით მოსილი აუცილებლობა, რომ უფსკრულში გადაეჩეხო მოახლოებული სიკვდილი! მე თქვენთან მოვედი სიკეთით დატვირთული, დამეხმარეთ, რომ თქვენს სალაროში ჩავფეცო ძვირფასი განძი, რაც თქვენთვის წრფელის გულით მომიტანია.

— მეტი აღარ შემიძლია! — შეევედრა კამარელი — მოხსენით საიდუმლოს უკანასკნელი საბურველი.



— დამწვინდით, ნუ ლეღავთ!— უთხრა ვაისმანმა. — იქნებთქო მართლმადიდებელია. საცაა თქვენი მეგობარიც დარეკს.

— დავიღალეს.. ყველაფერს აქვს დასასრული..

— მეტი რწმენაა საჭირო და გამძლეობა.

— ძნელია ბნელში სიარული! ოღონდ განათდეს და დაეინახო უხილავე, — მტრის არ მეშინია.

— სად არის შთაგონებისა და შემოქმედების ცეცხლი?

— ვიწვი ამ ცეცხლში, ფერფლი-ღა დავრჩი.

— არ გაბარებთ ბედთან ბრძოლა და გამარჯვების მოლოდინი?

— დავიღალე! — გაიმეორა ღონემიხდილმა კამარელმა.

— სიყვარული მოგცემს ძალას.

— ოხ, სიყვარული! — ამოიოხრა კამარელმა. — ბედი დამცინის საშინლად. ჩემი სიყვარული საბედისწეროა და განუხორციელებელი!

— სიყვარულისა და ბრძოლის კავშირი უძლეველია.

— დავიღალე!..

ვაისმანმა საათს დახედა:

— აბა, შეხედეთ ეკრანს! ვერა ხედავთ როგორ სცემს დაბინდულ ჩარჩოებზე შორეული ელვარების ალიონი? არ გესმით მიუვალ სივრცეში ახმაურებული ეტლის უცნაური გუგუნე? მოჭპრის თქვენი სატრეფო და თვით ეროსს მიუცია მისთვის ფრთები! გახსენით გული სიყვარულისთვის და იფიზღეთ: მოჭპრის რძალი სხივოსანი. ჯერ არვის გადაულახავს ესოდენი მანძილი საყვარელთან შესახვედრად. არც ერთი მიჯნური არ გაქცეულა სანატრელ პაემანზე ასეთი სისწრაფით. მოჭპრის თქვენი სატრეფო სხივების ეტლზე მჯდარი, წამში სამას ათასი კილომეტრის სიჩქარით! ცხრამეტ წუთში მან გადაანათა 350 მილიონ კილომეტრიანი სივრცე და საცაა, უჩინარ ელვითა და გრგვინით შემოსილი, შემოანგრევს დედამიწის ლაფეარდ სფეროს. აჰა! მოასკდა ზეცას აჭაფებულ სხივთა ღვარი და პაერში სცვივა ბრწყინვალე თალის ნამსხვრევები. შეხედე ეკრანის ნაპირებს! ვარდისფერი ალი მოადგა ჩარჩოებს და უკვე ისმის გაქანებულ სხივების წკრიალი. მოფრინდა რძალი ზენარი!

და უკანასკნელ სიტყვასთან ერთად ზარმა დაიწკრილა და ეკრანი აენტო. გამოჩნდა მარსელი ქალი თეთრი აბრეშუმის ნათელი ნისლით მოსილი.

კამარელის გულში მზე ამოვიდა და გაუანტა უიმედობის ბურუსი.

წამოდგა და პაერთან ერთად ღრმად ჩაისუნთქა ეკრანიდან შოვარდნილი სინათლე და სიყვარული.

ვაისმანმა ტელეფონის ორმაგი მილი თავზე წამოიკო და კამარელსაც მიაწოდა.

კამარელს იმაე წამს მოესმა ქალის ნაცნობი ხმა და განცვიფრდა: ქალი ლაპარაკობდა ინგლისურად.

— გურგენ კამარელი! სალამი მეგობარს! რად დამივიწყეთ ამდენი ხანი? ნუთუ არ მოგენატრათ ჩემი ნახვა?

გაოცებულმა კამარელმა ძლივს მოახერხა ხმის ამოღება:

— არ ვიცი, თვალი მატყუებს თუ ყური?
 — რამ გაგაკვირვათ?— მოესმა ვაისმანის ხმა.— მე ინგლისური ფრაზა. ქართული კიდევ თქვენ ასწავლეთ, მე ბოდიში მომიხდია: არ ვიცი.

— როგორ შეასწავლეთ? თქვენ განა იცით მარსული ენა?
 ვაისმანმა ამ კითხვას ყურადღება არ მიაქცია.
 — ეხლა ნება მომეცით გაგაცნოთ თქვენი უკვე ნაცნობი მეგობარი: გედა ნუავე, მარსის ცენტრალური ობსერვატორიის დირექტორი.

— გედა ნუავე!— გაიმეორა კამარელმა.
 — თქვენს შესახებ ყველაფერი იცის,— დაუმატა ვაისმანმა,— რაც მე ვიცი— ვუამბე. დანარჩენი თქვენ უთხარი.

— გედა ნუავე!— კიდევ გაიმეორა კამარელმა, თითქო სურდა საყვარელი ქალის ამიერიდან ძვირფასი სახელის სამუდამოდ დატყვევება.

— ნება მიბოძეთ მეც გაგაცნოთ ჩემი თავი. — და ვაისმანმა სათვალე მოიხსნა. — ესეც ნიღაბი, თქვენ რომ მუდამ გალელვებდათ.

კამარელს ელდა ეცა: ვაისმანის სახე სრულებით გამოიკვალა— საკვირველი გამომეტყველებით ბრწყინავდა ნაცნობი თვალები. თითქოს სადღაც ენახა ეს თვალები, მაგრამ ვერ მოეგონა სად.

უცებ გული შეეკუმშა და მთელი სხეული დაირბინა სისხლის თბილმა ტალღებში. ვაისმანს თვალი მოსწყვიტა და ეკრანზე გადაიტანა.

შეხედა ქალს, შემდეგ ისევ ვაისმანს, — და მისთვის ცხადი გახდა, რომ ვაისმანიც იმ ქვეყნიდან იყო მოსული, საიდანაც ეს გასაოცარი ქალი იჭერიტებოდა.

აფრენილ მტრედების გუნდით აფრთქილდა კამარელის აფორიაქებულ თავში ათასი ფიქრი. იმედი, სიხარული და განცვიფრება ყაჩაღთა ბრბოსავით დაესხა შემკრთალ გონებას და დაიბყრო ყველა მისი სიმაგრე. ფანტასტიური ოცნება სინამდვილედ იქცა და კამარელი აანთო და გაანათა შთაგონების ელვამ. წამწამებში დაქროდა ნამიანი ნაპერწკლები, ხოლო ყურებში წიოდა გახარებული სისხლი.

მოესმა ქალის სიტყვები, ხვეწრდით რბილი და ვერცხლივით წკრიალა: (არსად არასოდეს ასეთი ინგლისური არ სმენია კამარელს: მკაფიო, ნათელი და მრეკავი, თითქო ინგლისური სიტყვების მიძიმე ტვები აღისფერ ბრინჯაოში იყო ამოვლებული.)

— ვაისმანი გაქცეა თავის სათვალეს,— ამბობდა ქალი.— თქვენთან დვას ახლა ლენგორ კარო, მარსელი ინჟინერი, ობრუინ-ექსპედიციის პირველი ორგანიზატორი.

— ლენგორ კარო! — გაიმეორა კამარელმა და ვაისმანს გაუსწორა თვალები. ვაისმანმა თავი დაუკრა კამარელს გაცნობის ნიშნად, მოიხსნა ტელეფონი და მაგიდას მიუჯდა.

— ეხლა მე თქვენ დაგტოვებთ, ისაუბრეთ რამდენიც გენებოთ.



გამოალო მაგიდის უკრა, ამოილო პატარა რვეული და შეგვინებოდა.

— უიშველია, მოისტრეებო ყველაფრის ახსნას. ეს არის შენი დღიური.

წაიკითხეთ და საიდუმლოებასაც უკანასკნელი საბურველი აეხდება.

ვაისმანი წამოდგა (უკანასკნელად ვახსენოთ ამ სახელით კარო), დაიხურა ქუდი და ლაბორატორიიდან გავიდა.

კამარული ეკრანს მიუბრუნდა.

ქალმა გაუღიმა:

— თქვენებურად 11 სექტემბერი იყო.

— მახსოვს.

— ეხლა კარგად ხართ?

— კარგად.

— დივანის ბალიშია ვიშველათ, თორემ თავს გაიტეხდით. ძალიან შეეშინდი მაშინ.

— ეს კი არ მახსოვს, როდის შემოვიდა კარო?

— იმ წუთსვე, კარებთან მდგარიყო.

კამარული ეკრანს მიეცურდნო, თითქო შიგ შესვლას აპირებდა.

— ვერ შეტყვიოთ ორი სიტყვით, რისთვის გამოგზავნეს კარო დედამიწაზე?

— სჯობს კაროს დღიური წაიკითხოთ. — მიუღო ქალმა.

— სამტროდ ზომ არ არის მოსულე?

— კაროს დღიური წაიკითხეთ.

— ეს მაინც მითხარით: დაბრუნდება თუ არა კარო მარსზე?

— დაბრუნდება.

— კატასტროფამდე, თუ შემდეგ?

— წაიკითხეთ კაროს დღიური და გაიგებთ, რას ფიქრობენ სანორენები.

— ვინ არიან სანორენები?

— მარსელები, მარსის ადამიანები.

— სანორ მარსაა ჰქვია?

— ჰო.

— ობრა რა არის?

— თქვენი პლანეტა, დედამიწა.

— ობრან?

— დედამიწის ადამიანი.

— კარო თქვენი რა არის? — მოულოდნელად ჰკითხა კამარულმა და სახე აეწეა.

— ვერ გავიგე, რას შეკითხებით? — მიუღო ქალმა.

— ძმა არის თქვენი, მეგობარი თუ კოლეგა?

— წაიკითხეთ დღიური. — უთხრა ქალმა და გაიღიმა.

კამარულს სახეზე სინათლის ლეარი გადაეხსა.

— მე რა ვარ თქვენი? — ღიმილითვე ჰკითხა ქალმა?

კამარულს უკვირდა, როგორ იტყვდა გული ამდენ სიხარულს, უნდოდა ეთქვა ისეთი რამ ძლიერი და ნათელი, რაც ერთბაშად დააჩახვებდა ქალს მისი

ქართველთა

გულის ბრწყინვალე ზეიშს, მაგრამ საჭირო სიტყვებს ვერ პოულობდა და ტენდენციებისგან თავებრუნდასხმული მთვრალივით იდგა ეკრანთან.

- გედა ნუავე!— ამის თქმა-ლა მოახერხა.
- გურგენ კამარელი!— უპასუხა ქალმა.
- გედა!— ზურჩულებდა კამარელი.
- გურგენ!
- ნუავე!
- კამარელი!.. რა არის კამარელი?— ჰკითხა ქალმა.
- გვარი.
- რას ნიშნავს?
- არაფერს... ნუავე?
- თქვენებურად ნიშნავს „ცხრათვალას“.
- რად გეძახიან ასე?
- წაიკითხეთ კაროს დღიური.

კამარელს დღიურის წისაკითხად სული მისდიოდა, მაგრამ ვერც ეკრანს შორდებოდა.

— იცით თუ არა, 11 სექტემბერს რატომ დაეკარგე გრძნობა?— ჰკითხა კამარელმა და გულმა ფართხალი შორთო: ბევრი რამ იყო დამოკიდებული ამ კითხვის პასუხზე.

— ვიცი.— მიუგო ქალმა და ეკრანს მიასვენა გაბრწყინებული სახე.

კამარელსა და ქალს შორის იყო მხოლოდ ათი სანტიმეტრის სისქე სარკის მინა. კამარელი ხედავდა ქალის სახის ყოველ დეტალს: ოდნავ ღია ბაგეთაგან გამომკრთალ კბილებს, ეკრანის სარკეზე მიჭულეტილ ცხვირის ვარდისფერ ნესტოებს, ადიდებულ შუქით ნაპირგადაღაბულ თვალებს და შავი ალით აფარფალეზულ წამწამებს; გარყვევით ესმოდა ქალის აჭქარებული სუნთქვა და ხედავდა მკერდის მღელვარე მოძრაობას და აღმოედებულ ტანისამოსის რხევას.

ვასილიკარი იყო ეს უტყუარი და ხელშესახები სიახლოვე უსაზომო სივრცით დაშორებული ქალის.

ეს იყო ფანტასტიური პაემანი.

— გედა, მიყვარხარ!— მოულოდნელად წამოსცდა კამარელს.

— მიყვარხარ!— უპასუხა ქალმა და ხელები ფრთხილად გაშალა ეკრანზე. კამარელმა წუთით თვალები დახუჭა.

მის წინ გაიხსნა დაულეველი ბნელი სივრცე.

დაინახა, როგორ გადაირბინა მარადიული ახალგაზრდობის ამ უკვდავმა სიტყვამ 350 მილიონ კილომეტრიანი სივრცის უსინათლო და ცალიერი უფსკრული და სიკვარულის სხივით გადააბა ერთმანეთს ორი დასაბამითგან ერთიმეორეს დაშორებული ქვეყანა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

შ რ რ ე უ ლ ი

გაგრძელება *)

XV

კავშირის კომიტეტის მიერ მივლინებული ვიყავი ხაშურში სამუშაოდ. სურამში უნდა მეცხოვრა და იქიდან უნდა მეელო ხაშურში.

სალამოს ცხრა საათი იყო მატარებელმა რომ სურამის შესავალთან მიაკვილა. მალე ჩემს სახლს მივაღიქი. მამა ჩემი მარტო ცხოვრობდა. დედა და ბავშვები ტფილისში იყვნენ. ეზოს ქისკართან ვიდგეი შესასვლელად გამზადებული, რომ ამ დროს შემომესმა ლობის გასწვრივ ქვევით გზიდან ხმაური. მამა ჩემის ხმა გავიგონე და მეც იქით წავედი.

სიბნელეში გავარჩიე ურემი შებმული ხარებით. ურემის თვლები ტლაპოში ღრმად ჩაფლულყო. მამა ჩემი და მეურმე სცდილობდნენ თვლების გვერდზე გადმოწევას... „თბრიე!... თბრიე!...“—იძახოდა მეურმე. „აბა აქეთ გასწი! აბა, იქით მისწი!“... და ტლაპოში ჩამდგარი მამა ეწეოდა ურემის თვალს!

თაუზე წავედი. შემომხედა. „უჰ! შვილო, შენა ხარ?..“ ურემის თვალს ხელი მაინც არ გაუშვა. პატარა კალათი ხელში რომ მეჭირა, ლობეზე ჩამოვიდე და ურემის თვალს მეც მივაწეე. ნელნელა ტლაპოდან ამოძვრა თვალი, ხარებმაც გაიწიეს და ურემი მომაგრებულ გზაზე შედგა. მეურმემ მადლობა გვითხრა. კოფოზე მოახტა და ხარებს გაუჯავრდა... ჩვენ სახლისკენ წავედით.

- რათ მიგიტოვებია შვილო, ქალაქი?
- პატარა ხანს აქ ვიქნები, შენთან!
- მერე, რას გააკეთებ აქ?
- მაქვს პატარა საქმე!

ჩემი საზღვარგარეთიდან დაბრუნების გამო მამა უქმყოფილო იყო. ხოლო არაფერს მეუბნეოდა და ბოლმას გულში იკლავდა.

დანაშაულს მეც ვგრძნობდი, ხოლო ამის გამოსყიდვა რევოლუციონური მუშაობით მინდოდა. მამა ჩემი ხედავდა რა საქმესაც ვადგეი, ან რისთვის დავიარებოდი ხაშურში. არაფერს მეუბნეოდა. ერთხელ გულმოკლულმა მითხრა: „ამისთვის წახვედი შვილო საზღვარ-გარეთ, რომ პროპაგანდისტი გამხდარიყავი?“..

ბუხართან ვისხედით. აყირავებული შემის ნაპობები ცეცხლის ენებში იყო გაბვეული. ძირში კი დაღალა ნაკვერჩხლები გაპობილ ბროწეულის ნატეხებად გაბნეულიყო. დადუმებული ვუცქერდი ნაპერწკლების ტყაცატყუს. ვგრძნობდი მამა ჩემის გულის თხრობას და არაფერს ვამბობდი.

*) იხ. მნათობი № 2—3, 4.

— თუ იმ დროს მოვესწრებოდი, რომ შეილი სემინარიაში შეყოლებოდა, ამას ვერც კი წარმოვიდგენდი შეილო, მაგრამ შენ სემინარიაში წაგიყვანე. მერე სოჭეი საზღვარ-გარეთ წავალო და ესეც შეგისრულე. ახლა უკვე შენც დაიწეხარ... იქაც თავი დაანებე... ახლა პრაობაგანდისტი თუ რაღაც სოციალისტი გამხდარხარ... აბა შე რა ვქნა შეილო!..

ღამე ყუჩია. ხანდახან მოისმის თოვლით გასუფრულ არეში შორეული ძაღლის ყფა და მიდამოს ააბმურებს. ნაპერწკლების აცივლება და მამა ჩემის მოდუნებული საყვედურიანი კილო მანერვიულებს. როგორც კურში ჩავარდნილი, შორით ვხედავ სინათლეს, ვგრძობ სივრცეს, მოძიობას, ხმაურს, მაგრამ შეხუთული ვარ და განძრევის საშუალება არა მაქვს.

— შენ ჩემი მოსწრებული შეილი ხარ, შეილო! როგორც ძმისაგან ისე შენგან დახმარებას მოველოდი. ხომ ხელდავ მალე ბავშვები წამოიზდებიან. იმათაც უნდა თუ არა სწავლა, ცხოვრება... შეგონა შენ დამეხმარებოდი...

პაერი იხუთება. მინდა შევიწროებული კურსიდან ზევით ავხტე, გავარდე სივრცეში. ხელები დავმუქო და ვილაც უცნობს ქანდაკებასავით რომაა გაშეშებული, შევებრძოლო, ძირს დავანარცხო...

— არ აღგიხარ შეილო კარგ ვხარ... ვიცი შენს თავსაც დაღუპავ და მეც... გკუთ მოიკრიბე. არ გარგია სხვების აყოლა. ხომ იცი როგორი შრომით, როგორი ტანჯვით ვშოულობ ლუკმა პურს და თქვენთვის თავს არ ვიზოგავ!.. შენც დააფასე შეილო მამა შენის ამაგი.

გული იკუმშება. ვიღუბები და ცეცხლს ვასწორებ. აუღლებული შეშის ნაპობი იმსხვრევა და ნიღვერდალში ყაყაოებათ იბნევა. მამა ჩემის სიტყვები ხერხივით სჭრის ჩემს გულს. თავს ვეღარ დავიჭერ და ამოვარდები ამ შევიწროებულ კურსის ძირიდან.

— იქნებ მამას არ აქვს შეილზე უფლება? იქნებ შენ შენი გზით უნდა იარო და მამა კი არარად ჩაავდო? მაშ რისთვის ვშრომობ? განა ჩემი ნაშრომი უნდა გაპარტახდეს?.. არა, შეილო!.. რატომ არაფერს იტყვი? სოჭეი რამე შეილო!..

პო, უნდა ესთქვა რამე... ან უნდა გავფარდე გარეთ, სივრცეში... მივატოვო მამაც, სახლიც, კარიც!..

— მამა, შენ არ იცი როგორ გაფასებ, როგორ მიყვარხარ, მაგრამ რასაც მთხოვ, ვერ შეგისრულებ!

— რატომ, მერე რატომ?

— იმიტომ რომ მე იქ ვარ მიჯაჭვული! ის მათრთოლებს, მიტაცებს... ბრძოლა ხალხის კეთილდღეობისათვის თავგანწირული. იქ იწყება ახალი ცხოვრება, იზადება ახალი ხალხი... იქ მთელი მუშათა კლასია!..

— მერე შეილო, ოჯახი? უნდა დაინგრეს ოჯახი? მაშ, მამა არაფერი ყოფილა!.. მისი შრომა ფუჭი ყოფილა! თუ კი შეილი თავს დაანებებს მამის დაწვეულ საქმეს არ გაავრძელებს, არ გაამაგრებს!..

— ჩვენ შეექმნით ახალ ოჯახებს, ჩვენ მოვაწყობთ ახალ ცხოვრებას, სადაც ყველა—მამაც და შეილიც ერთი ოჯახისათვის იზრუნებს!..

— იქ რაღაც კლასია, შე არ ვიცი, ხოლო ოჯახი ურყევია! ოჯახი ყოფი-



ლა და იქნება კიდევ! თუ არ იქნება ოჯახი, არ იქნება ერი, არც სახელმწიფო!..

— ჩვენ არც ერი გვინდა, არც ასეთი სახელმწიფო! მარქსისტული!

— დაღუპულა შეილო, შენი საქმე! ვინღა უნდა გააგრძელოს ოჯახის წინსვლა! ხომ სულ გაპარტახდა მამა შენის ნაამაგარი ოჯახი? სანამ ბავშვები წამონზრდებოდნენ, ხომ უნდა ოჯახს გაძლოლა?

— კი უნდა მამა, მაგრამ ეხლა სულ სხვა დროა! ისტორიამ ჩვენს წინაშე სულ სხვა კითხვები დააყენა!

— ისტორია! მერე ოჯახს კი აღარ აქვს ისტორია? არა, შეილო, დაღუპულა შენი საქმე!..

გაიწეოდა მამამ. წამოდგა და ოთახში გაიარა. დიდ ხანს ვსდუმდით. ბუხარში ცეცხლი მიწელდა და ფერდელის გაპობილ ნაპირებიდან ნალევრდალი, მიმქრალ ვარსკვლავებად აციმციმდა.

ამ საუბრის შემდეგ მამა ჩემთან ლაპარაკი ამ სავანზე აღარ მქონია. ჩემს მუნაობას ვაგძელებდი მამა არაფერს ამბობდა. თითქო ვულში გადასწყიტა:— იარე მაგ გზით, ენახოთ ბოლო რა გამოვაო.

XVI

ხაშურის მუშებში ორიოდღე წრე დაეარსე, ჯერ კიდევ ფრაქციულ კითხვებზე არ ვლაპარაკობდი. მხოლოდ ორიოდღე მოწინავე მუშას გავაცანი ბოლშევიკურ-მენშევიკური ტაქტიკა.

ჩემი ჩასვლის შემდეგ ჯერ კიდევ ორი კვირაც არ იყო გასული, ხაშურში რომ კირილე ნინიძე ჩამოვიდა ტფილისიდან.

ცხადი იყო სავანგებოთ იყო გამოგზავნილი. ბევრი აღარ დაუყოვნებია მოიწვია ხაშურის მოწინავე მუშების კრება, სადაც ჩვენ უნდა შევეკამათებოდით ერთმანეთს და სადაც ხაშურის პროლეტარიატს უნდა გადაეწყვიტა რომელ გზას აირღებდა იგი თავის ორგანიზაციის მოსაწყობად—ბოლშევიკურს თუ მენშევიკურს.

კრებაზე რატომღაც ისე მოხდა, რომ პირველად მოხსენება იმან გააკეთა. ემწიოდა რომ კითხვაში სახელდახელოდ იყო გარკვეული და მთელი მოხსენება იმაზე იყო აშენებული, რომ ბოლშევიკები პარტიას ცენტრალისტურად, უდემოკრატიოდ აშენებენ. შესაღარებლად მოიყვანა პოლიციური მმართველობის სისტემა. ბოლშევიკურ პარტიას შეთქმულების პარტია დაარქვა; ინტელიგენტური და არა მუშური მიდრეკილებით გააღენთილი მოქმედება აღნიშნა და მუშებს მოუწოდა უარ ეყოთ ბოლშევიკური ტაქტიკა.

ლაპარაკის დროს მისთვის ზელი არ შემიზლია. ბოლშევიკურ-მენშევიკურ განხეთქილების კითხვებში საკმარისად მომზადებული ვიყავი. ხოლო როცა მის შემდეგ მე დავიწყე ლაპარაკი, როცა მუშებს აეუხსენი, თუ როგორი რევოლუციონური ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული გზაა ბოლშევიკების მიერ შემუშავებული, განვმარტე წესდება, გავარკვიე მენშევიკების მერყევი და არა რევოლუციონური სულისკვეთება—კირილე ნინიძემ ლაპარაკი შემაწყვეტინა და გაცხადა: „ერთი სიტყვით ამხანაგებო, ტფილისის მუშები მთლიანად მენშევიკურ

ტაქტიკას ადგია, კომიტეტიც მენშევიკურია და თქვენ თუ ტყეილისის მუშებს ჩამოსცილდებით, ვგ თქვენი საქმეაო...

რასაკვირველია, ამ განცხადებამ მუშებზე იმოქმედა და რუსოლლიუციაც მენშევიკური გამოიტანეს.

მეორე დღეს გამოამიცხადეს რომ ჩემი ხაშურში მუშაობის გაგრძელება აღარ შეიძლება...

ქართულ გლეხების რევოლუციონური მოძრაობა გურიის მოძრაობასთან ერთად დაიწყო, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ქართლში ეს მოძრაობა უფრო სტიქიური იყო, აღმოცენებული მებატონეების შევიწროების და ადმინისტრაციის უბეში მოპყრობის ნიადაგზე. შემდეგში მოძრაობა გურულ გლეხების გაგლენის ქვეშ, შეგნებულ გზაზე დადგა.

მაშინ, როცა გურიაში მოძრაობას ხელს უწყობდა გლეხების ცოცხალი, ატაკებული ბუნება და ადგილის სივიწროე, რაც მათ ქალაქებისკენ ერეკებოდა—ქართლელი გლეხი თავის ქოხს არ სცილდებოდა, ქირს და ვარამს მოთმინებით იტანდა.

გურული გლეხებით სავსე იყო ბათონი. ბათონში კი ამ დროს მუშათა მოძრაობა უკვე ორგანიზაციულად იყო მოწყობილი და ამნაირად მუშურ-გლეხური მოძრაობა თავიდანვე გადაება ერთმანეთს. ბათონის მუშებმა უსათუოდ დიდი გავლენა იქონიეს გლეხურ მოძრაობაზე. სამუშაოდ ბათონში წასული გლეხი, სოფელთან კავშირს არ სწყვეტდა და უკან დაბრუნებისას სტიქიურ მოძრაობას შეგნებულ გზაზე აყენებდა.

ქართლელი გლეხი შორს არ მიდიოდა. იქვე რკინის გზის ლიანდაგზე თუ გამოვიდოდა დროებით სამუშაოზე და ისევ უკან დაბრუნდებოდა თავის ქოხში. მაგრამ მალე ერთობის სახელი აქაც შეიჭრა.

— ბიჭო, მიტრო, ასე უნდა ვიყოთ ეხლა ჩვენა რომა ერთობას არ უნდა შეეფიცოთ?

— მერე, სად არის ეს ერთობაი, რო ვერა ვნახე?..

— აი, ამბობენ რომა, ტანციაზე ვიღაცა ერთობის კაცი ყოფილა... იქნებ მოვძებნოთ როგორმე ჩვენცაი..

— ეგა აი, ნიკალა ბიქს თუ ეკოდინება, ის დადის ხოლმე ხშირადა რკინის გზაზე...

— რა ვიცი, შეილო, გურულეებმაო მთავრობა სულაც მოსპესო... აღარც პრიბტაეიო, აღარც აქციზიო, აღარც ბატონიო და აღარც ჩაფარიო...

— ჰო და ეგრე ვქნათ ჩვენცაი! გავგზავნოთ ი ნიკალა ბიქი ტანციაზედა... და სოფლებიდან მოდიოდენ გლეხები „ერთობის“ კაცის საძებნელად.

თუმცა მე ხაშურის მუშებში მუშაობა აკვეთილი მქონდა, მაგრამ კავშირი ზოგიერთ მუშებთან მაინც არ მქონდა გაწყვეტილი.

ხაშურის ძველი მუშა სიმონ ბაბლიძე, ადგილობრივი მცხოვრები იყო. მას კარგად იცნობდენ ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებლებიც. მასთან დაედიოდ.

ის იყო სადგურის უკანა მხრიდან ბაზარში გავედით, ^{მარტინოვი} ^{კენო-} ^{სანმა} შემოგვძახა:

— კაცო, სიმონ, სწორედ შენ დაგვძებ და კი ვერსად შეგხვდი!.. ცხენოსანმა ნაბადი გვერდზე მოიგდო და ცხენიდან ჩამოხტა.

— გამარჯობა გიორგი შენი!—ლიმლით შეხედა სიმონ ბაბლიძე,—რასია კაცო საქმე!

— რა ვქნა, ესა დათიკო არ არი?—დამაკვირდა ნაბლიანი და შეეკიათ ბაბლიძეს.

— ჰო, კაცო! იცნობ?

— ვაი, როგორ არ ვიცნობ? შენ კი ველარ შიციანი დათიკო არა?

— რალაც მეცნაურებით, მაგრამ ვერ მომიგონია!

— ბალუაშვილი ვარ! გახსოვს სასულიერო სასწავლებელში ერთად ვსწავლობდით!..

— ჰოი!... როგორ არა, როგორ არა!.. ეხლა სადა ხართ?

— ეხლა სოფელ ალში ვმასწავლებლობ!..

ცხენს აღვირი მოსწია. ნაბადი უნაგირზე გადაკიდა.

— მოდი ერთი თუ ძმა ხარ, სადმე დუქანში შევიდეთ, ცოტა ვისაუბროთ! სწორედ თქვენთანა მაქვს საქმე! რა ილბალზე შეგხვდით?

ცხენი იქვე დუქნის წინ ბოძზე მიაბა.

მალე შეღებულ ფიცრის მაგიდაზე, ხელადის ძირმა სველი რგოლი აღნიშნა, სამი კიჭა და სამი თევფი ნაპირზე ჩამომწკრივდა. ლობიო, თევზი და წვანილი შუა მაგიდაზე დალაგდა.

— კაცო, ამ სოფელს რომ არაფერ ყურადღებას აქცევთ, ასე როგორ შეიძლება! თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ რა ხდება ახლა იქ!

სოფლის მასწავლებელი ალელეებით და მომენტის დიდი აღნიშვნით მოჰყვა, თუ როგორ ამოძრავდა ქართლის გლეხობა და როგორი გასწრაფებით ბოპქრობს მასში რევოლიუციონური სულისკვეთება. ხოლო ეს სწრაფვა კალაპოტში ჩაუყენებელია, შეუგნებელი და სტიქიური. ამიტომ საკიროა, ქალაქის მუშებში მუშაყ ამზანაგებმა, თავი ანებონ ქალაქს და სოფელში წამოვიდნენ.

ლაპარაკის დროს ატაცებით და აფრთოვანებით აგვიწერდა გლეხის სულიერ გარდატეხას, მის გულღბრყვილობას და ბრძოლის უნარს, თავდავიწყებამდის მისულს. ისეთი სიყვარულით გადმოგვეცემა მის გამოლვიძებას, რომ გვხიბლავდა და გვიხიდავდა.

— არა, უნდა წამოხვიდეთ და ნახოთ რა ხდება ახლა სოფელში!.. ჩვენ ადგილობრივებს იმდენი გავუენა არ გვაქვს, ყურადღებას არ გვაქცევენ. მათ სხვა მხრიდან მოსული უნდათ, ნამდვილი „ერთობის“ კაცი!.. ჰო და ეძებენ კიდევ ასეთებს. სოფლებში დადიან ვილაც გამოურკვევი პირები. ვიცი რომ ისინი არ არიან პარტიის მიერ გამოგზავნილები. შეპკრებენ ხალხს, აქეზებენ ბატონების წინააღმდეგ, ქადაგებენ ტერორს, დაწვას, განადგურებას... მერე მთელ ხალხს დააფიცებენ ვითომ „ერთობის“ სახელით მოპკრეფენ ფულს, იჭიფებენ და წაეღენ. ფეხით სიარულს არ კადრულობენ, ცხენებს მოითხოვენ. ხალხი მათ

დიდ პატივს სცემს და ისინიც ყველაფერს აკეთებენ „ერთობის“ კაცებისა და კაცების გაგზავნის. მე კი გულზე ვსკდები, — არ შემძლია ცრუ და ყალბი შეხატვები ჩენს სოფელში შემოვუშვა. ბევრი ველაპარაკე გლებებს, მაგრამ არ დამიჯერეს. ვარწმუნებდი, მე მოვიყვანთ ნამდვილ „ერთობის“ კაცს მეოქი, მაგრამ არ ჰქნეს. ახლა მე მაინც აქეთ გამოვეშურე და უსაოუოდ უნდა წამომიყვით!

— კარგი შე კაი კაცო, მაგაზე ადვილი სამსახური რა არი? — უთხრა ბაბლიძემ — აი, მე და დათიკო, ორივე წამოვალთ!..

— უჰ! მაგას რა სჯობია! ეს რა კარგი დღე გამოითენდა!.. შესძახა გაბარებულმა. — უნდა გითხრათ რომ დიდი საქმეა ძმავო, დიდი! ხომ იცი, ახლა ისიც უნდა გითხრათ, — იქ ორიოდ ფედერალისტია, ისინი ცდალობენ სოფლის ხელში ჩაგდებას. ჩემზე გადამტყრებული არიან... ჰო და, ახლა დედას ვუტყრებ მე იმითა!.. მაშ, ასე მიდიხართ რაღა!..

XVII

მეორე დღეს უკვე სოფელ ალში ვიყავით. თებერვლის ბოლო რიცხვები იყო. ნესტიანი თოვლი და ბურუსი თეთრ ზეწარში ჰხვევდა სოფლის შენობებს. გაიღებოდა ბოსლის კარი და ფარაჯაში გახვეული გლები სახრით იღლიაში ეკლესიის ეზოსკენ ეშურებოდა.

მოღუშული იყო მისი ფერადი თავსაკრავით შეხვეული შუბლი. სიღრმეში იყო წასული მისი პირუტყვული თევლები. გაბარდნილ წვერ-ულვაშში ბზის ლეროები ჩასწროდა. თავჩალუნული, სახრით იღლიაში, დაგლეჯილი ქალამნებით და პაიჭებით მიდიოდა ორლობეში და თეთრ ლეჩაქივით დაყენილ თოვლზე კვალს სტოვებდა.

მისი შეკრული შუბლი წინ წამოწეული წარბებით ისე მოზურული იყო, როგორც ნისლიანი მყინვარის მწვერვალი და ვერ გამოიკნობდი მის წუხილს, დარდს და ვარამს, ისე შორს იყო შიგნით სიღრმეში მისი კეშანი ჩაფლული.

მიდიოდა კრებაზე, სადაც ახალი გამამხნეველები სიტყვა უნდა გაეგონა. ეს იყო დაგროვებული ტანჯვების, საუკუნოებით გულში ჩათხრობილ შეურაცყოფის, დაჩაგვრის და შურისძიების გამოძახილი. ეს იყო ერთნაირი შვების, სიხარულის და იმედის გამლექებელი ამბავი, მაგრამ გაურკვევლობით და ეჭვებით სავსე.

— რა ვიცი, რა ვიცი, შენი ჰირიმე!.. იმ დღესა ი ბიჭმა ამბავი მოიტანა, ტირძნისში თავადის სახლს შეეჭრენ გლებებით და სულ მოლი გაანაცარ-მტვერესო. მოსამსახურე გოგო-ბიჭები და დედაკაცები სულ თავთავიანთ სახლისკენ დაილაღესო...

— ჰო და, ჩვენ რაღას ვუცდით მერე?

— ჩვენა, ჯერ ხომ ერთობისთვის არ შეგვიფიცავს და... აი, ენახოთ რას გვეტყვიან ჩვენი ერთობის კაცები!..

— ჯერ არ მოსულანო?



მთრეული

მთრეული

— ი ნიკალა ბიჭი რომ წავიდა მოსაყვანათა, ისინი მისულან ჯერამა, მაგრამ იი ჩვენმა მასწავლებელმა კი მოიყვანა ვილაყ ერთობის კაცი!

— შერე შავის მოყვანილი ნამდვილი ერთობის კაცია?

— რა ვიცი, რა ვიცი!..

ხალხი თანდათან გროვდებოდა. ეკლესიის ზარი, რომელიც წინად მლოცველებს უყრიდა თავს, ახლა იმავე წყრიალით სოფელს სულ სხვა საქმისთვის უხმობდა. მიყრუებულ სოფლის მიდამოში მკვეთრად გაისმოდა მისი ნაუ...ნაუ...ნაუ...

გლეხები ჯგუფებად ქუჩდებოდნენ. ყალიონს აპლაკუნებდნენ. თოვლით მოფენილ ეზოს ატალახიანებდნენ.

პირველად მიხედებოდა გლეხების წინაშე გამოსვლა. კარგად მქონდა შესწავლილი და დამუშავებული მუშური პროგრამა, მაგრამ გლეხურ კითხვის გარეშე მოსალაპარაკოთ არ იყო განწყობილი ჩემი გუნება. თუმცა საზოგადო ფრაზები, საერთო მდგომარეობა, მუშურ-გლეხური რევოლუციონური ბრძოლის ერთმანეთზე გადაჯაჭვის აუცილებლობა და ამნაირად გამარჯვების მიღება — საქმარისი იყო მიტინგის ჩასატარებლად.

სააგიტაციოთ სამრეკლოზე უნდა აესულიყავით, რომელიც ოთხ მაღალ ბოძზე იყო დაყრდნობილი. ჯაჭვზე ჩამოყიდებული ზარები გადმობრუნებულ საბუდარს წააგავდა.

სამრეკლოდან ვხედავდი დაბალი ტანის გლეხების თავსაკრავებს, შხრებს და მოღუშულ პირისახეებს...

აღარ მოეუცადეთ დაბარებულ ერთობის კაცებს* და მიტინგი გავხსენით. ხალხს მოეუწოდებდით ბატონების ბოიკოტისკენ, სახელმწიფო და სახეგრო გადასახადების შეწყვეტისკენ, ღვედელ-მსახურთა დრამის მიცემის აღკვეთისკენ, ადმინისტრაციის განკარგულებათა შეუსრულებლობისკენ და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლებისკენ...

ის იყო სიტყვები გავათავეთ, შორიდან თოვლის სროლის ხმა მოისმა. ყველამ იქით ვაიხედა, ნაპირათ მდგომნი იქით ვაეშურენ. პატარა ბიჭები ხტუნვით გაიქცნენ. მალე შეგროვილ ხალხის ჯგუფში ნაბდიანი ცხენოსნები შემოაცვივდნენ.

— ეგენი არიან იი! — მეუბნევა მასწავლებელი. — აბა, ენახოთ რას ილაპარაკებენ!..

ძალიან მაინტერესებდა მათი ლაპარაკის შინაარსი — რა სიტყვებისგან შედგებოდა ფრაზები და რა აზრი იყო გამიხატული შიგ. სამრეკლოდან ჩამოვედი, მის ძირში ყურდალურსმული სმენათ გადავიქეცი.

სამრეკლოზე გადმოდგა შავბლუზიანი, გამხდარი სახის ახალგაზდა. შესძახა — „ამხანაგებო!.. ძირს მტარვალი ნიკოლოზი!.. — ხელში მომარჯვებული რევოლვერი სამჯერ ჰაერში ისროლა...“

ხალხი შეჩქარებულად, თვალები გაახილა, მოღუშული სახე ამოძრავდა და გავრთწერტილებული თვალებით სამრეკლოზე გადმომდგარს შეაკვირდა.

...ამხანაგებო! დღეს ის დრო აღარ არის, რაც წინათ იყო!.. — ათრთოლებული ხმით გაიძახდა მჭადაგებელი — გვეყო! მოთმინების თვალა აივსო და აღუ-

ეპიგრამები

ღებული წყალივით გადმოვიდა... ახლა მუშებმა თავის საქმეს შეწყვეტეს და გლეხებმაც უნდა გაიგონ.— შედგებოდა, სიტყვებს ეძებდა, ხელში რევოლვერს ატრიალებდა. ამხანაგს ნაბაღს გამოართმევდა, ხან წამოისხამდა, ხან ისევ უკან დაუბრუნებდა. მერე ისევ მოაჯირს მოადგებოდა... შესძახებდა: „ძირს მტარვალს! ძირს თვითმპყრობელი ნიკოლოზის!“— კიდევ შეტრდებოდა. მერე განაგრძობდა— „ამხანაგებო! თუ აქნამდის ჩვენი ქალები მიდიოდნენ წყალზე ლიტრით ხელში და ქალბატონებს მიართმევდნენ, ახლა ისინი უნდა წავიდნენ წყალზე... თუ აქნამდის ჩვენ ვურეცხავდით იმათ საცვლებს, ახლა იმათ უნდა დაგვირეცხონ ჩვენ სარეცხი!.. აღარც პოლიცია, აღარც ჩაფარი, აღარც აქციზი, აღარადერი არ უნდა იყოს!..“

— აი შენი გამჩენის კირიზე, შენი!

— შენს მადლს ვენაცვალე, შენსასა!

— აი შეილოსა, ნამდვილი ერთობის კაცი ესა ყოფილა!..

გაიძახდნენ შიგადაშიგ გლეხები.

მქადაგებელი კი ყელში დაჭიმული ძარღვებით, კვლავ გლეხებს საბრძოლველათ მოუწოდებდა... „ძირს მტარვალს ნიკოლოზის!.. ძირს მეფის ჯალათები!“ გაჰკვირდა და მრავალ გზის რევოლვერს ჰაერში ისროდა.

რევოლვერის სროლა გლეხებს ახარებდა, ახალისებდა, იმედს უღვიძებდა, თვალებს უბრწყინებდა. მქადაგებელიც ხშირად მიმართავდა ამ საშუალებას.

მის ლაპარაკს, მის ქცევას ვაკვირდებოდი. ის უნდა ყოფილიყო ვინმე ტელეგრაფისტი, რომელსაც შემთხვევით წაკითხული ჰქონდა პარტიის მიერ გამოცემული პროკლამაციები, ან კავშირი ჰქონდა ტფილისის მუშებთან და ახლა, როდესაც სოფელში ასეთი მოთხოვნილება დაიბადა ერთობის მქადაგებელ პირებისადმი, იმანაც გაბედა გლეხების კრებაზე გამოსვლა და ამნაირად გახდა „ერთობის კაცი“. თავისებურად სჭრიდა კითხვებს, თავისი მიდგომა ჰქონდა და გლეხებიც ათაყვანებდნენ მას.

როცა კრება გათავდა ისიც ძირს ჩამოვიდა. მთელი გლეხკაცობა მას მიესია, საჩივრებით მიმართა, მდგომარეობა შესჩივლა. ისიც აკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებას.

ჩემთან მოვიდა, გავიცანით ერთმანეთი.

— ვიცოდი რომ თქვენ გელაპარაკნათ. მე აღარ ვაპირებდი სიტყვის თქმას, მაგრამ არ მომეშვენ.— მითბრა მან ვაცნობისთანავე.— ამიტომ იყო რომ დავიბენი და ლაპარაკს თავისუფლად ვერ ვახერხებდი. მაპატიეთ!.. მე ვიცი რომ საკმარისად მომზადებული არა ვარ ამისთვის, მაგრამ თავს არ მანებებენ. არც არავინ მოდის ქალაქიდან, რომ მე შოლოდ მისი დამხმარე გაეხდე.

მისი მოკრძალებული ლაპარაკი სასიამოვნო იყო. ჩვენ მოვილაპარაკეთ მომავალი მუშაობა— გეგმის შესახებ. დავარიგეთ თუ როგორ უნდა მოქცეულიყო შემდეგში. მივეცი თუ კავშირი ხაშურის ორგანიზაციასთან.

მოხარული იყო. ისიც დიდი ხანია ეძებდა ასეთ შეხვედრას. ახლა კი უფრო მეტი მზურვალეებით იმუშავენს, წიგნებს წაიკითხავს, გლეხურ პროგრამას შეისწავლის.

ქართველი
მწიგნობრები

აგრარული მოძრაობა ქართლში ფართე ხასიათისა და ძლიერი იყო. საუკუნოებით დამუწეებული, დაზარული გლეხეცობა ალაპარაკდა, შეინძრა. ცხრაას ხუთი წლის სიო.მის ჭიხშიაც შესრიალდა, გული გაუღიზიანა და თვალები გაუბრწყინა.

მრავალი კითხვები ბატონყმობის დროიდან ჩამორჩენილი, აქ კიდევ გადაუწყვეტილი იყო. თავადის მიწაზე დასახლებული გლეხი—ხიზნები შევიწროებული იყო და გასაქანი არ ჰქონდათ. დადგებოდა თუ არა შემოდგომა გლეხის კარზე ერთი მეორეს სცვლიდა სახელმწიფო გადასახადის მკრეფავი,—მოურავი ურმით და ტომრებით, ღვდელ-დიაკონი ჩანახით ხელში, ჩარჩი თამასუქებით უბეში—ფოსტისა, გზისა, სკოლისა, საბევრო და სხვა მრავალ გადასახადთა ამკრეფავები მას სულს უხუთავდენ.

რაკილა ერთხელ გაბედეს გამოსელა ბატონების წინააღმდეგ, შემდეგში უფრო გათამამდენ და ეს გამოძახილი გადადიოდა ერთი სოფლიდან მეორეში, მესამეში... კუთხიდან—კუთხეში და აღარ რჩებოდა ალაგი, რომ გლეხთა შურისძიების კოკონი არ დანთებულყო.

აწყობდენ კრებებს, არბევდენ თავადაზნაურების მამულებს, ბოიკოტს უცხადებდენ მათ და ბატონის ოჯახში მომუშავე ბიჭებს და გოგოებს ანთავისუფლებდენ. ანგრევდენ კანცელარიებს, იარაღს ჰყრიდენ სოფლის ადმინისტრაციას, ერეკებოდენ სახელმწიფო მოხელეებს, აქცოზის მოსამსახურეებს, მამასასლისებს, ჩაფრებს, ლედლებს და დიაკვნებს.

დაშინებული თავადაზნაურობა და ძალა აყრილი ადმინისტრაცია, ქალაქში გარბოდა უმალეს ხელისუფლების წარმომადგენლებთან დახმარების ნისაღებად. სოფლად იგზავნებოდა ჯარი, კაზაკების ასეულები. მაგრამ მუშების გამოსვლით დამფრთხალი ხელისუფლება საკმაო ძალის გაგზავნას ვერ ახერხებდა სოფლად, რადგან საშიშროება მას ადგილობრივ მოელოდა.

ამიტომ იყო, რომ ქალაქში ჩახიზნულმა თავადაზნაურობამ კრება მოახდინა და მდგომარეობიდან გამოსვლის საბუთით, მთავრობას იარაღი მოთხოვა. ამნაირად თავადაზნაურობა თვით უნდა შეიარაღებულიყო გლეხების წინააღმდეგ.

ასეთ მოთხოვნასთან დაკავშირებით ქართლში შესდგა თავადაზნაურთა რაზმი, რომელსაც გლეხებმა „შავი რაზმი“ უწოდეს. რაზმი კარგად შეიარაღებული იყო და ხან ერთს, ხან მეორე ილაგას ბანაქს ჰმართავდა.

ამის საწინააღმდეგოთ გლეხებმა წითელი რაზმი გაამრავლეს, შეიარაღეს და საბრძოლველათ გამზადებული გახადეს. ამნაირად ორი რაზმი ერთმანეთს წინაღუდგა.

თავადაზნაურობის რაზმის შესახებ მრავალნაირი ხმები იყო გავრცელებული. თავადაზნაურობის ერთ ნაწილს ეს ძალა პირდაპირ გლეხების საწინააღმდეგოთ უნდოდა გამოეყენებინა, ხოლო იყო მეორე უფრო შეგნებული ნაწილი, რომელსაც სულ სხვა ზრახვები ჰქონდა. ამ ნაწილმა კარგათ იცოდა, რომ გლე-

ქართველი

ხების წინააღმდეგ ბრძოლა მისაღები და მიზანშეწონილი აქტიურობის გამოვლენად, მთავრობის მოსაბრუნებლად მას ვითომ მთავრობის დამხმარე ძალად სახედუნ და იარაღსაც იმიტომ მოითხოვდნ მთავრობისგან, ხოლო მისი გამოყენება სხვა მიზნისთვის უნდოდათ. ისინი კარგად ხედავდნ გლეხების უკმაყოფილებას მთავრობის მიმართ—მათ სურდათ ეს უკმაყოფილება სხვა გზით მიემართათ და ეროვნული ბრძოლა გაეჩაღებიათ საქართველოს რუსეთის ბრძვლებიდან განთავისუფლების მიზნით.

რევოლიუციონური მოძრაობა იმდენათ ძლიერი იყო და პარტიული გავლენა და ორგანიზაცია ავტორიტეტული, რომ თავადაზნაურობის „შავი რაზმი“ მალე დაიშალა და ცხრაასხუთი წლის ძლევამოსილმა რევოლიუციონურმა მოძრაობამ იგი უმნიშვნელოთ შიანთქა.

გლეხური მოძრაობა თანდათან ღრმავდებოდა. თავადების აღვირწახსნილობას ლავამი ამოსდეს და სოფლებიდან დაირეკეს, მათი ადგილ-მამული ხელში ივდეს. შერე ადმინისტრაციას მიადგენ და მალე ისიც დაიმორჩილეს, დააუძლურეს და თვით შეტყმნეს თავისი სამართალი.

შეერთდებოდა რამდენიმე სოფელი და ჰქმნიდა წითელ რაზმს. ახლა უკვე საკმარად იყვენ მოსული ქალაქიდან პარტიული მომუშავენი და აწმარად ქართლის გლეხკაცობაც მთელი სიმძიმით ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში...

XVIII

ცხრაასხუთი წელი.. კალაშმა როგორ უნდა ასწეროს ეს ეპოქალური, დიადი ხანა! თითქოს ჰაერი იყო გაფლნთილი რევოლიუციის ბაცლებით: ეს იყო წვერთებული პროტესტი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და ამ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდა მთელი ხალხი. გაერთებული იყო გლეხკაცობა და რევოლიუციონური მუშები. ქალაქი და სოფელი შეერთებული იყო ერთი ორგანიზაციით. და თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნ რევოლიუციონურ გამოსვლებში ხან ერთი გაიწევა წინ ხან მეორე.

პარტიული მომუშავენიც ერთ ადგილს ვერ ჩერდებოდნ. მოუსვენარი იყო გული და თრთოდა სხეული. რევოლიუციონური ორგანიზაციები ლალობდნ და ყოველ შემთხვევისთვის მზათ იყვნენ საპროტესტო დემონსტრაცია ან რაიმე მასიური ხასიათის გამოსვლა მოეწყათ.

გამწვევებული ფრაქციული ბრძოლა ბოლშევიკ-მენშევიკებს შორის, თითქო მიწუნარდა. საერთო გამოსვლები, მუშათა მოძრაობის ესა თუ ის სახე არ ირღვეოდა. ჰედა მუშური ფენები მთლიანობას ინახავდა, ხოლო ზევით კომიტეტების და ინტელიგენტების ჯგუფები იბრძოდნ და არ ინდობდნ ერთმანეთს. დემონსტრაციები და გაფიცვები კი ერთ მთლიან სახეს ატარებდა და აქ არ იყო არც-დარევა.

ტფილისის კომიტეტი მთლიანად მენშევიკების ხელში იყო და მუშების დიდი უმრავლესობა მას მისდევდა. იყო ერთი ჯგუფი შეურიგებელი ბოლშევიკებისა, რომელიც ბოლშევიკურ რევოლიუციონურ გზას მტკიცედ მიადევდა და მენშევიკების წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა.



ალექსანდრე სვანიძის სახლი იყო, სადაც ხშირად თავს მდებარეობდა მომუშავე ამხანაგები. სვანიძის დები—საშა და კატო, მუდამ დატვირთული იყვნენ მუშაობით. მათ უამრავი კლიენტები ჰყავდათ, როგორც ქალის კაბების კარგს და გემოიან მკერავეებს და თავისი შრომით აცხოვრებდნენ ოჯახს. მთელი დღე და ღამე მუშაობდნენ, მაგრამ სტუმრების მიღებასაც გულკეთილად ხვდებოდნენ. პარტიულ მუშაობაში გართულ და უბინაოთ მყოფ რევოლიუციონერებისათვის, ეს ოჯახი მკუდრო დასასვენებელი ბინა იყო, სადაც ამხანაგურ მუსაიფსა და საუბარში ვატარებდით ხოლმე დროს. ჩემი მეგობრის დები—საშა და კატო ჩვენს რევოლიუციონერ მუშაობას და მოქმედებას თვალყურს ადევნებდნენ, ხელს გვიწყობდნენ და გვაქეზებდნენ...

უმცროსი და კატო ხშირად სამუშაოს თავს მიანებებდა და ჩვენს საუბარს ყურს უგდებდა. ჩვენი აფრთოვანებული ლაპარაკი მონაველი რევოლიუციის შესახებ და შენშევიკების ვინება, მათი ოპორტუნისტული სულისკვეთების გამო, მასაც მზიბლავდა და იტიციებდა.

რევოლიუციონერი ტალღები თანდათან ჰგორდებოდა, ზვირთდებოდა და თავის კალაპოტში აღარ ეტეოდა. სხვადასხვა პარტიები ერთმანეთს ეცილებოდნენ და იბძოდნენ მეტი გავლენის მოპოებისთვის და ამიტომ პარტიული აგიტაციის და ზრახვებისთვის ყოველ შემთხვევას იყენებდნენ.

ეს იყო ოცდაცხრა აგვისტოს, ამ დღეს ქალაქის თვითმართველობის დარბაზში, ქალაქის მუშების სხდომა იყო დანიშნული.

ჯერ კიდევ დილას კავნირის კომიტეტის წევრი მოვიდა სვანიძესთან და უთხრა, უსათუოდ წასულიყო ამ კრებაზე, —რადგან თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენლებს გადაწყვეტილი აქვთ, ძალით იქნება თუ ნებით ილაპარაკონ როგორმე და თავისი პარტიული პროგრამა გამოაშკარაონ. რასაკვირველია, შენშევიკებიც ისარგებლებენ ასეთი შემთხვევით და თავიანთ ოპორტუნისტულ სულისკვეთებასაც გამოამჟღავნებენ, მაშასადამე საჭიროა ამ პლიქნენლებს ჩვენი სწორი და რევოლიუციონერი ტაქტიკა წინ დაუყენოთ. ამიტომ შენ უნდა მოემზადო და სალაპარაკოთ გამოხვიდე კიდევ, ხომ იცი ხალხი ბევრი იქნება!..

ალექსანდრე სვანიძისთვის ეს საპატიო როლი იყო. მაგრამ ასეთ ფართე სხდომაზე მას პირველად უხდებოდა გამოსვლა და ძალიან ერიდებოდა, გრძობდებოდა...

სალამოს სვანიძესთან შევიარე, ხოლო ის უყვე ადრიან წასულიყო თვითმართველობაში. ის იყო უკან ვბრუნდებოდი, რომ მისმა დამ კატომ მთხოვა ცოტა მომეცაღნა, რადგან მასაც უნდოდა წამოსვლა და ალექსანდრემ კი არ მოუცადა.

აგვისტოს თბილი საღამო იყო. მზე უყვე კარგა ბანს ჩასვენებული იყო მამა და ვითის/მთის იქით და ქუჩებზე აციალებული სანათები, ჯერ კიდევ სიბნელის მოლოდინში მკრთალად ანათებდნენ ქუჩას. ტრამვაის ზარის წკრიალი, ქვაფენილზე ფაიტონების ხრიალი, და მოქალაქეთა დამშვიდებული მიმოსვლა, ჩვეულებრივ, მკუდრო ქალაქის მენჩანურ ცხოვრების გამოთხატველი იყო...

გაეიარეთ ერევნის მოედანი და ველიამინის ქუჩიდან ^{მხრით} მარჯვენა კողმის დარბაზში შევედით. იქ უკვე ხალხი მრავლად იყო და დარბაზის ^{მხრით} ისე განქედ-ლი, რომ კარებში წველებით ვაგვიდით. ყველა ადგილი დაკავებული იყო. გასა-ვალში და დარბაზის გარშემო ერთმანეთზე მიწყობილი ფიცრებით მიკრული მარები მჭიდროდ და გაუვალ ლოპეს წარმოადგენდა. კარებშივე გაეჩერდით და დარბაზი მიმოვათვალიერეთ. ხევით ქანდარაზე ალექსანდრე სვანიძე შეენიშნეთ. მან ხელით გვიჩვენა, რომ ჩვენც იქ ავსულიყავით.

ძლივს გავარღვიეთ მხრების, ზურგების და მუხლების შემჭიდროებული ლოპე და დერეფნიდან ქანდარაზე ავედით. იქ უფრო ხალვათობა იყო. რიგების უკან დავექით.

დარბაზს რომ გადავხედეთ, პირდაპირ კედელზე ნიკოლოზ მეორის სურათი მთელის ტანით აყუდებულიყო, შემდეგ ვიხილეთ მაგიდა და მაგიდის წინ სკამები და თავები. მხოლოდ თავები...

— კი, მაგრამ ხმოსნები რომ შემოვლენ, ისინი სადღა დასხდებიან? — კითხულობს კატო.

— ალბად წინა რიგებს დაკლიან ამხანაგები და ისინიც როგორმე მოთავსდებიან.

— უჰ! რა შეხუთული პაერია?.. ისინი ამას ვერ მოითმენენ და მკონი ჩვენ ყველას გარეთ გაგვისტუმრებენ.

— მაგას ეხლა ვერ გაბედავენ!.. — ჩაილაპარაკა გვერდზე მდგომმა.

დიდ ხანს ვუცდიდით ხმოსნების მოსვლას. მათ წინათვე იცოდნენ, რომ დარბაზი ხალხით იყო სავსე, ხოლო არ იცოდნენ რა ზომები მიეღოთ ამის წინააღმდეგ და როცა შემოვიდნენ დასასხდომი ალაგი ვერ მონახეს, დარბაზში მყოფთ წინადადება მისცეს გასულიყვენ. მხოლოდ პირველი ორი რიგი დაიკალა და კედლებისკენ ჩამორიგდა. ხმოსნები მაინც არ თანხმდებოდნენ სხდომის გახსნას, სანამ დარბაზი სავსებით არ დაიკლებოდა.

ეს კი ყოველად შეუძლებელი იყო, რადგან დარბაზიდან არავინ გავიდოდა, თუ ძალით არ გაიყვანდნენ. მოსულთა უმეტესობა მუშები იყვნენ. ხელოსნები, შეგირდები, მასწავლებლები და უპროფესიო ინტელიგენცია. პროტესტის სული, სადმე რაიმე დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება, ყინით შეპყრობილ ადამიანის სენათ იყო გადაქცეული და ყველას ახალისებდა, იტაცებდა... ყველას უნდოდა ახალი, თავისუფალი სიტყვა გაეგონა არსებული რეჟიმის წინააღმდეგ თავისი ალჟოთობა გამოეხატა, თუნდაც ამისთვის ციხე და გადასახლება მიეღო, ამიტომ დარბაზი არავინ დასტოვა. მაშინ თვით ხმოსნებმა დასტოვეს იგი და გავიდნენ.

„ოჰოო!.. შეეშინდათ! თავისუფალი სიტყვას თქმის შეეშინდათ!..“ დაიძახა დარბაზმა, როცა შავ სერთუტებში გამოწყობილი ქალაქის მამები წეროებივით ერთმანეთს გაჰყვენ და დარბაზი დასტოვეს.

„ამხანაგებო, კრება ჩვენ თვითონ ვაგხსნათ! — გაიძახოდა ერთი.

— ვაგხსნათ, ვაგხსნათ!

— დაასახელეთ თავმჯდომარე!



დაასახელეს ერთი, მეორე. ყველა პარტია თავის კანდიდატურას წყვეტანას ცდობლობდა. დაბოლოს მენშევიკების კანდიდატი გავიდა. შიშაღიწმინება

ქერა ახალგაზრდა, რომელსაც შიშ ხალათზე დახეული ფიჯაკი ეცვა თავ-მჯდომარის ალაგი დაიკავა. უჩვევ ხელით ზარი დააწკარუნა. ყველა გასწორდა თავის ალაგზე და სმენა განაბა.

ეს მუშებისთვის ქალაქის დარბაზში უჩვევი კრება, თავისუფლად არჩეული თავმჯდომარე, თავისუფალი სიტყვები—ყველას ჰხიბლავდა, იზიდავდა და აფრთოვანებდა. ორატორების სიტყვებიც ატაცებული და აგზნებული იყო. ყელში დაჭიმული ძარღვებით, ყოველი მათგანი თავის პარტიულ ხახის განმტკიცებას და მის უპირატესობას უმტკიცებდა მსმენელებს.

მაღე სვანიძის ხმაც გაისმა. მისი ბარიტონული ტემბრით აწეული, დალაგებული, მოკლე შინაარსიანი სიტყვა, ზარების ელარუნით მოხვდა მსმენელებს და ისედაც აწეული კრება თონესავით აენტო. ტაშის გრილი და გაუმარჯოს ძახილი დარბაზის ვალეზულ ფანჯრიდან ქალაქის მყუდრო ქუჩებს ეფინებოდა.

თვითმართველობის მეორე ოთახში შეკრებილი ხმოსნები შეკრთენ, დაიბნენ... „მერე? რას იტყვის გუბერნატორი? ყოველივე ამას ხომ ჩვენ დაგვაბრალეხს?.. არა, არა!.. უნდა შევატყობინოთ, უნდა ვამცნოთ, ჩვენ ხელები დაეიბანოთ და იმან რა ზომაც უნდა ის მიიღოს!..“ და აწკარუნდა ტელეფონის ზარი.

„რაო? თვითმართველობის დარბაზში რევოლუციონერები შეიკრიბენ და სხდომა მოაწყვეს? შე უჩვენებ იმათ სეირს!“

კიდევ ტელეფონი პოლიცემისტერთან, კაზაკების უფროსთან, და ამუშავდენ მეფის დამკაშები.

დარბაზი კი გუფუნებდა და ორატორთა სიტყვები გადმოვარდნილ ჩანჩქერივით წვეთებს აშხეფებდა მსმენელთა გულში.

კარებში გამოჩნდა პოლიცემისტერი და შემკრთალი ხმით განაცხადა—გუბერნატორის სახელით გიბრძანებთ კრება დაშალოთ!..

— რაო? კრება დაეშალოთ? არ გვეშინია გუბერნატორის, წადი მოახსენე, რომ კრებას არ დაეშალოთ!.. განაგრძეთ სიტყვა, ამხანაგო, სიტყვა!..

ჰყვიროდა მთელი დარბაზი და უზილავი შეუცნობი ძალის გავლენით არ შინდებოდა. ხოლო როცა პოლიცემისტერი გავიდა, დარბაზში თითქო აღესილი ხანჯალი ჩამოეკიდა—ყველას მკრთალმა ფერმა გადაჰკრა. რაღაც გაურკვევი მოლოდინით შემფოთდა დარბაზი. აჩქოლებული გული, წუთიერი გატაცებით რომ შეებას გრძნობდა—შეიკუმშა, თითქო მწარე რამ სითხე შეაშხაპუნესო...

— თქვენ რომ წახვიდოდეთ კარგი იქნება!..—ვეუბნევი ჩემს გვერდში მდგარ კატოს.

- რათა? რატომ?
- რა ვიცი, შეიძლება რამე მოხდეს!
- მერე რა? სადაც თქვენ იქნებით, მეც იქ ვიქნები!

ამ დროს დარბაზში შემოცვიდა რამდენიმე კაზაკი და ყოველი წინასწარი გაფრთხილების მიუცემლად, კონდახებით დაუწყეს ცემა დარბაზში მყოფ ხალხს. ოო! კალამა როგორ უნდა ასწეროს ეს დაუჯერებელი ამბავი!..

ქანდარიდან დაეცქეროდი აბნეულ, კარებისკენ გასწრაფებულ ხედავს. სა-
თითაოდ ყველა ცდილობს კონდახი აიცილნოს და როგორმე გადარჩეს.
ერთმანეთს ეტანებიან, წინ მიიწევენ, კარებთან შექუჩდებიან, იღვნიებიან, დამფ-
რთხალი თვალებით ეშურებიან და კახაკები კი გააფრთხებული, როგორც ნადირ-
თა ჯოგზე მისეული მონადირენი, არავის ინდობენ.

გარედან ისმის ტკაცუნა, თითქო თოფის ხმაა, მაგრამ ჩვენ ეს კარების
მიჯახუნებათ მიგვაჩნია. თვალი ვერ ასწრებს სურათების ხილვას და გონება
მის აღბეჭდვას. დარბაზში აღარავენია და მხოლოდ კახაკები დათარეწობენ, ნაგ-
რამ რატომ ქანდარა არ იძვრის? რატომ შექუჩულან კარებთან?

— ეი, ამხანაგებო, რას განერებულხარ კართან, რატომ არ გადიხარ?

— დაკეტილია, დაკეტილი!.. ისმის შორიდან და ჩვენ არ ვიცით როგორ
მოვიქცეთ.

დარბაზში კახაკები დარბიან, თოფებს ათამაშებენ. ერთი ჩვენ ქანდარას-
კენ უმიზნებს. ჩვენ ხუმრობა გვგონია. და უეცრად გაისმის სროლა. ჩვენ გვერ-
დში მდგომი ამხანაგი მოწყვეტილი ფოთოლივით ყველა ძირს.

ყრუ ბოლმა და გესლი. შეუსაბამო, გაურკვევი მდგომარეობა. ერთად ერ-
თი ინსტიქტი და ეს ინსტიქტი გვიკარნახებს ძირს გაწოლას და ასე მიხედება
ყველა. ვლოღავთ გრძელ სკამებს შუა.

აღარ არის დრო, აღარც ფიქრი, არც აზრი...

ვიღაც ყვირის: „კარი გამიღეთ, კარი!..“ თითქო აქ იყოს ხსნა.

კარი მართლა იღება და ჩვენ ღარში წასული წყალივით ვეშვებით კი-
ბებზე.

რა მოხდა? რატომ მივგორავ კიბის საფეხურებზე? წამოდგები. ქუდს ვერ
ვბოლულობ. თავზე ხელს მოვისვამ.

ხელის გული წითლად იღებება და გაერბივარ...

გარბიან სხეებიც.

ეზოში ვიხედებით. ბნელა. შიშით შეპყრობილნი უაზროთ დაერბივართ.
ინსტიქტი თავშესაფარს, მიუღალსა და დაცულ ალაგს ეძებს.

აგერ კუთხეში სანაგვის დიდი თაყახლილი ყუთი. იქ შეიძლება ნაგავში
ჩაძვრე და დაიძალო.

მიეცვივდებით შიგ ჩასახტომათ. საესეა. გველებივით გაწოლილან, თავები
ღრმათ ჩაუფლავთ ნაგავში. ყრუთ, გაუნძრევლად გვეუბნებიან: „წადით, აქ აღარ
არის ალაგი!“

გავრბივართ... რაღაც ვიწრო გასავალი. წეროებივით ერთმანეთს მიე-
დევთ. საღვაც გატეხილ ფანჯარაში ვძვრებით.

ბნელა. ღანდებივით აყუდულან. ზოგიც იატაკზე გაწოლილია... „სსსს... ჩუ-
მათ, წყნართ!“.

ვჯდები იატაკზე. შენწვარი კარტოფილის თუ ქურჭლის ნარეცხის სუნი.
კედელთან პლიტა—შავი, დაწოლილ სპილოსავით. და კიდევ ტახტი. ტახტზე
დაჭრილი კენესის.

— „სსსს... ჩუმით!..“

უცერად თავის კანზე ტკივილს ვიგრძნობ. ხელს მოვისვამ. ლერსხანივით წვეტიანი ალაგი მეწვის.

თხელი წითელი სითხით თითები სველდება. თეთრი გულზე ზოლებათ აშაებულა.

უცერად თავში აიღესება მწვევე აზრი: სად არის კატო? როგორ მოხდა ერთმანეთს რომ დავშორდით? ალექსანდრე? ის სადღაა? ცოცხალია? მოკლულია? რომელი გადარჩა? რაღა უთხრა მათ დედას?..

ტახტზე გაწოლილი კენესის.

„მიშველეთ... წყალი“...

„არა, არ მისცეთ წყალი! დაჭრილია, არ შეიძლება!..“

„სსს!.. ჩუმათ!.. ჩურჩულით, ბრძანების კილოთი გაისმის კუთხიდან, — „გაგებენ აქ რომ ვართ!..“

დაჭრილი ზმუის და იხლანება.

„არა, ასე ხომ არ შეიძლება! დაჭრილი ალაგი მაინც შეუხეიოთ!..“ გავიფიქრებ. მივხვება ტახტისკენ, ვეძებ დაჭრილ ალაგს. მარჯვენა მკლავთან სველია სახელური. კედელზე ჩამოკიდებულ პირსახოცს და საწმენდ ტილოს ჩამოვგლიჯავ და მკლავს ვუხევე, მხოლოდ არ ვიცი იმ ადგილას, სადაც დაჭრილია თუ სხვაგან სადმე... მაგრამ მოვალეობას რომ ვასრულებ კმაყოფილი ვარ... დაჭრილი განწვევებით იძახის — „მიშველეთ!.. წყალი, წყალი!..“

ვიღაც ხელს მკრავს და იატაკზე დამაგდებს...

„მოიცათ, გაჩერდით!..“

„სსს!.. ჩუმათ!.. გაგვიგებენ!..“

დაჭრილი შეკავებული ხმით წმუის... იხლანება... თავში კვლავ გამიელვებს — სად არის ალექსანდრე, კატო?.. რაღა ვქნა!.. რა უთხრა მათ დედას!..

კუთხეში კაბას ვაწმენვ... „კატო შენ!..“ არა, ის არ არის!..

მერე... რამდენ ხანს გავრძელდა აქ ყოფნა — საუკუნე თუ საათი არ ვიცი!..

დემილი... კედლებთან აყუდებული და იატაკზე გაწოლილი ლანდები. ფანჯრიდან მკრთალი სინათლე შორეული სანათისა. საიდგანდაც, ალბათ ეზოდან, ყრუ გრუხუნის მოისმის, თითქო ქვაფენილზე რკინით მოჭედილ ფურგონის თვლებმა გაიარეს.

დაჭრილი იხლანება, ზმუის. იქნებ ტყვია მკლავიდან მუცელში აქვს გასული ან ხერხემალში... მისი ზმული თანდათან ხრიალში გადადის... თითქო ბუტბუტებს, ვილაცას უხმობს...
„სსს!.. — ჩუმათ!.. გაგვიგებენ!..“ უყვირის ვილაც ნელი ხმით.

თავდაცვის ინსტიქტი ალბად ძლიერია!

რამდენი კენესის, რამდენი ხრიალებს კიდევ სხვაგან... ეზოში, ქუჩებში... ერთ საათს ვძებლებოდა სროლა! განა ცოტა იქნება დახოცილი და დაჭრილი?..

შორეული გრუხუნის მიწვდა. თითქო სიყუნე ჩამოვარდა. აღარც დაჭრილის ზმული ისმის...

გარედან კარის გასაღების ჩხარუნი მოგვესმის. შევკრთიფი, ეგვიტაბერო.
მალე კარი გაიღო და ლანდივით ვიღაც დაბალი მსხვილი კაცი შევერბიანი შემოვიდა.

— გათავდა ყველაფერი, აღარ არის სროლა! ახლა შეიძლება გასვლა! მხოლოდ წყნარად, ნელა!..

ჩვენ ვგებულობთ, რომ ის ოთახის თუ საშარეულოს პატრონია, ალბათ მზარეული.

კარებში ვიჭედებით. გიბიდან ყველა ფულს იღებს, ვისაც რა გააჩნია და აძლევს შარეულს ზოგი მანეთს, ზოგი შაურს, აბაჯს და ასე...

მუდარით ვეუბნებით:

— იქ, ტახტზე დაჭრილია, მოუარე... ვერ წამოვა...
და გავრბივართ.

ისევ ეზო უნდა გავიაროთ და გძელი გვირაბით თალიანი გასავალი ალაყაფის კარებისკენ.

გაფანტული მივრბივართ.

და უეცრად თვალში აიბეჭდება პირქვე დაცემული ხელებ მოკრუნხული ქალის გვაში...

მუხლები შეკეცება... ათროლებული მივარდები. თავი უნდა ავწიო და ვნახო, იქნებ კატოა.

თითები, თმაში აბნეულ ყურებთან, თხელ თბილ სითხეში შესცურდება. თავს გადმოვებარუნებ და თვალში მეცემა წვეტიანი ღია გაშტერებული შავი თვალეები...

არა!.. იმას ცისფერი თვალეები აქვს!..“

„ჩქარა!..“ მესმის ხმა.

გავიხედავ. ზურგები მირბიან... მოკაუჭებული მუხლები ალაყაფის ზღუდეს სცილდება...

მეც გავრბივარ...

ქუჩა ცალიერია. მივარდნილ შორეულ ხვეულ ქუჩებით მივრბივარ სვანძის სახლისკენ, ყოფილ ფრეილინის ქუჩაზე. კიბეს ავირბენ. აფეთებული თვალეები დედის, კარებშივე შემეკითხებიან:

— შეილებოო, სადა ხართ? სად არის კატო, ალექსანდრე!.. რაღა ექნა!..

— მოვლენ დედა, მოვლენ!—ძლივს წარმოსთქვამს ჩემი კრივაშეკრული პირი.

— ის ჩემი ცოდვით საესე საშიყო საღლა წაიღააა, როგორ ვერ გაიგო რა დღეში ვარ!.. აქნამდის რატომ არ მოდის!.. რა დროს სტუმრად წასვლა იყოოო!.. როგორ ვერ გაიგონა სროლის ხმაა!.. რაღა ექნა, რაღა ექნააა!..

მოსთქვამს დედა.

კიბეზე ქლოშინით ამოვარდება ალექსანდრე.

— შეილო, შეილო! კატო რაღა იქნა? როგორ მიატოვე შე ჩემი ცოდვით სავსეეე!..

— არ მოსულა?



— არ მოსულა და რაღა ვქნა!..

— შენთან არ იყო? სად დაშორდით ერთმანეთს? მეკითხება ალექსანდრე.

— აღარ მახსოვს სად, როგორ დაეშორდით. დაბნეული, უმწეო, ათრთოლებული ვეუბნები.

— შენ სად მოხვდი?—მეკითხება.

მოუყვები სამზარეულოში დამალვის ამბავს!

თვით ალექსანდრეს ქუჩაში გამოსვლა მოესწრო და მერე ვილაღ უცნობის სახლში შეეფარებინა თავი...

— რაღა ვქნა!.. რათ იგვიანებს კატო, რატომ არ გამოიჩნდებააა... რაღა ვქნა!..

კვლავ მოსთქვამს აფორიაქებული ღედა.

ქვეით კიბიდან ფეხის ხმა მოგვესმა. მერე კატოს ძახილი:

— ალექსანდრე, თუ მინდა ხარ ჩამოდი, მომეხმარე!..

— ვაიმე შეილო, რაღა ვქნა, დაჭრილი ხომ არ არის?..

შეჰკივლა ღედა.

კიბის გაღებულ კარებთან ფაიტონი შეენიშნეთ. ჩაცვივდით ქვეით, კატო ფაიტონში მგდარ გაფითრებულ ქალს შუბლზე ხელს უსვამდა.

— დამეხმარეთ, ფეხშია დაჭრილი, ავიყვანოთ!..

შემდეგ გამოირკვა: კატო და რამდენიმე სხვა, კიბის ქვეშ მიმალულან. ფეხში დაჭრილი ამხანაგი ქალიც მათთან ყოფილა. დიდ ხანს, სანამ ყველაფერი მიწყნარდებოდა და კახაკებიც სროლას შესწყვეტდნენ, განაბული მსხდარან კიბის ქვეშ. ხოლო მერე, როცა ეზოში და ქუჩებში დაბოცილები და დაჭრილები მოჰკრიბეს, მაშინ მოუხერხებია კატოს დაჭრილის ქუჩაზე გამოყვანა და ფაიტონით სახლში წამოყვანა.

აღმათ მთელი ღამე არ გვეძინა. დაჭრილს ფეხი უბრალოთ შევუხვიეთ და მხოლოდ მეორე დღეს დილას მოვიყვანეთ ექიმში.

ტლანქს, უიარაღო ხალხზე გამარჯვებას, თან სდევდა მორალური და იდეური ჩენი გამარჯვება. ეს ნათელი იყო. აღელდა და ალაპარაკდა მეშინური საზოგადოებაც—კი! ამბავი პრესაშიც გახმაურდა. ავინებდნენ და ლანძღავდნენ ქილაქის თავს.

მაღე ეს შემთხვევა უფრო გრანდიოზულმა რევოლუციონურ ტალღების აზვირთებამ ჩაყლაპა, მიჩქმალა.

იწყებოდა საერთო გაფიცვები და მოახლოებული იყო დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება...

XIX

ჩენი მატარებელი პატარა ეავონებით, ხრილით და ქანაობით გორაკიან ბევულებში იხლაკნება. ორთქლმავალი დაჭრილი ნადირივით გაჰკივის, აფხორილ ინდაურივით აბურტგლულია, კშინაეს, შხრიალებს, აორთქლებს და მირბის ვიწრო ღვიძლიან ვხით.

ქვეით ვიწრო კალაპოტში ჩავარდნილი მდინარე ყვიროს და ქვებს შავი ტალღებით თავს ევლებს. ტყით მოფენილი გორაკები მდინარეს დასცქერიან წყალის აქაფებულ სრბოლას და მატარებლის კივილს შორს, იქით მთებს გადასცემენ.

მიშა დავითაშვილი და მე ვიწრო თანჯრიდან დაეცქერიით ატალახებულ მდინარის ტალღებს. ჩემთვის უცნობია ამ მდინარის შეურაცყოფილი ფერი და ვეიქრობ—იქნებ იმიტომ მიეწურება ასე გააფთრებით ქვევით, რომ მალე მოიშოროს ეს ადამიანისგან მიყენებული ქუჩკი, ამისთვის საჭიროა სხვა მდინარეს შეუერთდეს, რომ ტალახისგან განიბანოს...

მიშა დავითაშვილი ქიათურის ორგანიზაციაში მუშაობდა. ქალაქში ორი-ოდე დღით იყო ჩამოსული. შემხედა და მეც აქეთ წამომიყვანა. მაშინ, საქართველოში არსებულ ორგანიზაციითა შორის, ყველაზე გამაგრებული და მტკიცე ბოლშევიკური ორგანიზაცია, ქიათურაში არსებობდა. მენშევიკებსაც ჰქონდათ პარალელურად თავისი ორგანიზაცია. მაგრამ მომუშავე ძალებით ის ბოლშევიკებისას ბევრათ ჩამოუვარდებოდა.

ბევრი იქ მომუშავე ამხანაგები ახლა ცოცხლები აღარ არიან. აღარ სცოცხლავს ბოლშევიკურ ორგანიზაციის ხელმძღვანელი და ლიდერი მიშა დავითაშვილი. ის იყო მუდამ წამქეზებელი და საყვარელი ადამიანი. მან თავისი ჭაუდგრომელი სული ვერდენის თხრილებში დალია იმპერიალისტურ ომის დროს.

ქიათურის ორგანიზაციაში მუშაობდა სტეპკო ინწკირველი ცოცხალი, მუდამ მოძრავი, კარგი ორატორი და ჭატაცებული ახალგაზდა. არწივის თვალებიდან ნაბერწყლები სცივოდა. ქიათურის მალაროს მუშებს უყვარდათ და გლეხები მუდამ გატაცებით ისმენდნენ მის ლაპარაკს.

დიდ ხანს არ დასცალდა რევოლიუციონური მოღვაწეობა. რეაქციის დროს ბაქოში მუშაობდა. ის მოჰკლეს ეანდარმებმა გაჩხრკის დროს, რომელთაც მან რევოლუციით წინააღმდეგობა გაუწია.

აღარ სცოცხლობს ბაქრადე—„გელენი“, მართლა რკინისებური აგებულეების და ფერის ადამიანი. ხმელი, მაგრამ ძარღვებიანი. გამხდარ სხეულში დიდი რევოლიუციონური სულით.

რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, როცა სპარსეთის რევოლიუცია დაიწყო, ის წავიდა სთარ-ხანთან და იქაურ ბრძოლებში მონაწილეობა მიიღო. ხოლო დამარცხების შემდეგ მას იქ თავი მოჰკვეთეს.

აღარც სამუელ ბუაჩიძეა ცოცხალი. რეაქციის დროს გადაასახლეს. ციმბირიდან გაიქცა. ცოტა ხანს იყო საზღვიარ-გარეთ და როცა რუსეთში დაბრუნდა რევოლიუციის შემდეგ, სამოქალაქო ომის დროს თეთრგვარდიელებთან ბრძოლაში დაიღუპა ვლადიკავკაში.

აღარ არიან ცოცხლები კიდევ ბევრი სხვა ამხანაგები, რომელთა სახელები ახლა არ მაგონდება.

აღარც ფაცია გალდავაა ცოცხალი.

ეს პირველი მერცხალი, რომელმაც ქართველ ქალების მემანური ტრადიციული ცხოვრება დაარღვია მშობლებთან კავშირი გასწავილ და რევოლუციონური სულით აღზნებული კიათურაში მოვიდა მუშებში სამუშაოთ. ასოთ-ამწყობობა შეისწავლა და არაღვგალურ სტამბაში მუშაობდა.

იმ ხანებში (1905 წ.) ბევრი ქალი იყო ასე თუ ისე გატაცებული რევოლუციონური ბრძოლით, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გასცილდა შემოფარგულ დედის ზღუდეს და რწმენა საქმეთ არ აქცია. ფაცია ვალდავა გამონაკლისი იყო მაშინდელ ქართველ ქალებში.

მეგობარი, მოსიყვარულე ამხანაგი—შავი თვალებით, სადაც მუგუზალი ღვიოდა. ბევრ ამხანავს მხნეობა და ენერგია შემატა და რევოლუციონური გატაცება განუმტკიცა...

დიდ ხანს არც მას არგუნა ბედმა ცხოვრება და რეაქციის დროს ქლექით გარდაიცვალა...

კიათურის ორგანიზაციაში მუშაობდნენ სხვა ამხანაგებიც—გიგუსკა პარკაძე, მელიტონ ფილია—„ავგუსტულა“, თენგიზ ელენტი, პეღე საყვარელიძე (პატარა), კ. მოდებაძე, ნიკ. ბრეგაძე, კოტე ცინცაძე და სხვები—ხელა ცოცხლები.

ყველა ერთ ოთახში ვცხოვრობდით. არ გეჭონდა საქმეო ლოგინი. რამდენიმე ერთ საბნის ქვეშ ვწვევოდით. არ იყო ზეენთვის თბილი საქმელი, სისუფთავე, აბანო, საცვლები. არც დრო და მოცალევა გეჭონდა ამისთვის და მებენარებსაც ისე შეეგვიფეთ, რომ არ ვგრძნობდით.

ერთი ნაწილი რომ სამუშაოთ იყო წასული, მეორე ბინაზე იმყოფებოდა და თუ ისე მოხდებოდა რომ ყველა თავს მოვიყრიდით, მაშინ თავის მისადები ალაგიც არ ვგრჩებოდა.

შავი ქვის შალაროები და კიათურის გარშემო მდებარე სოფლები გაყოფილი იყო ბოლშევიკურ და მენშევიკურ ორგანიზაციების შორის. თუ ერთგან მუშაობდნენ ბოლშევიკები, იქ ვერ მივიდოდა მენშევიკი. ხშირი იყო შეტაკება ერთმანეთ შორის და კამათიც დაუნდობელი.

ფრაქციული ბრძოლა გამწვავებულ ხასიათს ღებულობდა. მენშევიკებმა კარგად იცოდნენ, რომ ბოლშევიკური ორგანიზაცია ძლიერი იყო, მაგარი და მტკიცე. ამიტომ მოქმენდათ კიდევ გააფთრებული იერიში. გამოიწვევდნენ ტფილისიდან ან ქუთაისიდან თავიანთ ლიდერებს და მოაწყობდნენ დიდ კრებას—მიტინგს. მაშინ ბოლშევიკებიც არ რჩებოდნენ გულზე ხელდაკრებილები და მოჰყავდათ ტფილისიდან სოსო ჯულაშვილი.

ლიდერების ასეთ შეტაკებას კიათურის რევოლუციონურ ცხოვრებაში, ხალისი და აღფრთოვანება შეეჭმენდა. ადგილობრივ მომუშავეების გონებიდან დიდ ხანს არ იშლებოდა კამათიდან დარჩენილი შთაბეჭდილება. შემდგში ბევრს ლაპარაკობდნენ ამ კრების გამო და ხშირად სადგურის ახლო, ვიწრო რკინის გზის ლიანდაგის გზის პირად მოჰკრავდი ყურს შავად მოთხუნულ მუშების ლაპარაკს—

— მენშევიკი, ბიჭო, მცირე ყოფილა და მემუციროსეებიც მცირე ხალხის მომხრე. ბოლშევიკი თურმე დიდი ყოფილა, დიდი ხალხის, ბობოლების მომხრე, აბა...

— არა ბიჭო, მასთუ კი არაა!.. მენშევიკები იძაბიან ესეე მტრედ, ხალხათ უნდა დაერჩეთო და ბოლშევიკები კი ამზობენ—გვეყო ამდენი დასჯილი ახლა დიდები—ბოლშევიკები უნდა გაეხდეთო!.. ეს არ სჯობია?..

უფრო შეგნებული მუშები ლაპარაკობდენ—

— არა, ძმაო შენ თუ პარტიის წევრობა გინდა, ორგანიზაციაშიც უნდა მუშაობდე, აბა, რაფერ გინდა შენ, ვანხუ იდგე და პარტიის წევრიც იყო!..

— იქნებ გარემოება არ მაძლევს მაინც და მაინც ორგანიზაციაში მუშაობის ნებას, ისე კი ვეხმარები და შენთანაც ვარ, რატომ არ უნდა ვიყო პარტიის წევრი?

— რატომ და იმიტომ გვიგე კაცო, რომ პარტია დროს გამტარებელი ორგანიზაცია კი არაა!.. პარტია რომ დაგვაღლებს საძნელო საქმეც რომ იყვეს, უნდა შეასრულო... აბა, რა ვიცი მე, შენ რომ ორგანიზაციის წევრი არ იქნები —რას აკეთებ, რაფერ ვაგიკეთო კონტროლი!..

— ჰო და, აბა ყველა მუშა ვერ შესულა პარტიაში! მაშინ რატომღაა იგი მუშათა პარტია? ტყუილა კი არ თქვა გრიგოლმა, რომ ბოლშევიკური პარტია ინტელიგენტების პარტიააო!..

— მაი მიქარვაა სხვა არაფერი! სწორედ ინტელიგენტი უფრო არ მოერიდება ორგანიზაციაში მუშაობას? ის უფრო მზდალი არაა? მუშას კი რის ეშინია?..

— თქვენი პარტია შეთქმულების, ვიწრო ჯგუფის პარტიაა, ჩვენი კი ნამდვილი მუშურია!..

— ჰა!.. ნოყვეები ახლა ლათაიებს!..

და კამათი უკვე ლანძღვა-გინებაში გადადის.

კითხვა, ფრაგციულ განხეთქილების შესახებ, მუშების წრეს სცილდებოდა და სოფლადაც გადადიოდა. აქაც იმართებოდა კამათი ბოლშევიკ-მენშევიკის შორის. თითქო უმეტესი დრო და ენერგია პარტიულ განხეთქილებას უნდებოდა, მაგრამ საერთო რევოლიუციონური მუშაობა მაინც თავის გზით მიდიოდა და როგორც მუშა, ისე გლეხი რევოლიუციონურ გამოსვლებისთვის ემზადებოდა.

თვითუფლი ორგანიზაცია იწყობდა წითელ რაზმს და იყო ერთნაირი შეჯიბრება ორგანიზაციათა შორის—რომელი უფრო მეტ ბერდენას ან ვინტოჯკას იშოვიდა და მეტ რიცხვს შეაიარაღებდა.

მაღაროს მუშათა შორის მუშაობა გარკვეული, ნათელი და იოლი იყო. ხოლო სოფლად მუშაობა გაცილებით რთული, მრავალი კითხვების გამომწვევი და გაურკვევი იყო. მიტინგის ჩატარება, საერთო ფრაზებით, რევოლუციონური ლოზუნგით—სიძნელეს არ წარმოადგენდა. მიწა მიწის მუშას. გლეხის წარმოების მუშასთან დაკავშირება თავდებია რევოლუციის გამარჯვების, სამღვდლოების ჩამოცილება, გადასახადების შემცირება, მებატონეების განდევნა და სხვა ლოზუნგები—გასაგები და მისაღები იყო.

ხოლო გლეხს ყოველდღიური კითხვების, მისი ცხოვრების მოწყობის, მეზობლური დამოკიდებულების და სხვა წერილმანი საკითხების გარკვევა-გამუქება უფრო აინტერესებდა. გათავდებოდა თუ არა მიტინგი, გლეხი მაშინვე მოგმართავდა და ამ კითხვების გადაწყვეტას მოითხოვდა. სასამართლოში აღარ და-

დიოდა და ერთობის კაცში ჰხედავდა მოსამართლესაც და მსჯელობდა მამდებელსაც.

XX

ზამთრის პირი იყო და ჭიათურიდან სოფელში რვა-ათი ვერსის მანძილზე ფეხით გვიხდებოდა წასვლა. ჩემი თანამგზავრი ახალგაზდა წითელ რაზნელი სოფ. სერიიდან ჩამოვიდა და ახლა იქ მივყავდი მიტინგის ჩასატარებლათ. ჭიათურის შავი ხევი დავტოვეთ და მალღობით სერზე გავედით.

საურმე გზით, მინდვრის პირად მივდივართ. გზა ტალახიანია. აღმართ-დაღმართს ავივლ-ჩაივლით, მაგრამ სოფლის ნაპირს მაინც ვერ ვატანთ. თანამგზავრის თქმით კი სერს გავედებით თუ არა, სოფელში შევალთ. და ვფიქრობ—ამ სერსაც წაღე ავითავებთ და ალბათ იქვე გამოჩნდება სოფელიც. ამიტომ ძალას ვიკრებ, ტალახს აღარ ვერიდები, რადგან საქმაოთ გასერილია ფეხსაცმელები და შარვლის ტოტი. ხოლო სერი თავდება და სოფელი კი არსად მოსჩანს.

ახალგაზდა წითელ რაზნელი ხან წინ მიდის, ხან გვერდით მომდევს. არაფერს ლაპარაკობს და თავის ფიქრებშია გართული, არც მე ვარ მაინცდამაინც ლაპარაკის მოყვარული.

ჩემი მხედველობა გართულია ამ გაშიშვლებული ხეების ღეროებით, ჩამქრალი სანთლებივით რომ მიკრია ტოტებს. მთის მდინარეებით, ვერცხლის ქარბივით რომ ჩაქდობია გორაკს ფერდობებში. გართული ვარ ამ ველ-მინდორის და ხეების ღუმლით. სადმე პატარა მდინარე თუ ახრიალდება და იქნებ ფრინველმა ვადიფრინოს გორაკიდან მეორე გორაკზე და გაშიშვლებულ ტოტზე ჩამოჯდეს, თორემ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“...

მივდივართ და ტალახიან გზაზე ფეხის კვალს ვტოვებთ.

— კიდევ რამდენი ვერსი დაგვრჩა?—ვეკითხები თანამგზავრს.

— აჰ! ვერსიც აღარ იქნება, აზნანაგო!...

— არა, ძაო ვერსიც იქნება კიდევ და ორიც! მოდი ჩამოვედეთ, დავისვენოთ, თორემ დავიღალე!

რატომ ასეთი მოწყენილი და დაღვრემილი სახე აქვს ჩემს თანამგზავრს? ახლა შევხედავ მას სახეში და მწუხარების და ღრმა ფიქრის ნაოჭებს შევნიშნავ.

— აქაური ხარ, აზნანაგო?—ვეკითხები რომ ლაპარაკი ჩამოვადგო.

— ვინ? მე? კი, რაღა არა, სვერელი ვარ!

თითქო ბურანიდან გამოვიდა ისე მიპასუხებს. შორს იცქირება. ინტენსიურად ფიქრობს. რაღაც აწუხებს. პაპიროზის ბოლს სუფთა ჰაერში რომ ზღაზვნით მიიკლავნება, თვალს აყოლებს. მობრუნდება. იდაყვით მუხლზე დაეყრდნობა და თითქო ბოდინის მოხდით წეუბნევა:

— ერთი შეკითხვა მაქვს აზნანაგო! ვერავისთვის ნითქვამს, რაფერ გითხრა არ ვიცო!

— რაშია საქმე! სოჭე!

— არა, ისეთი კი არაფერია!

- მაინც რა არის, სოქვი!
- მოიწია ზემსკენ, ახლა დაჯდა.
- რა უნდა გკითხო ამხანაგო, თუ იცი! აი, სიყვარულის საქმე რაფერ იქნება ერთობის დროს!
- რაფერ უნდა იყოს! სიყვარული მაშინაც იქნება!
- კი, მაგრამ იმას შეირთავ, ვინც გიყვარს!
- თუ იმასაც უყვარხარ, კი!
- ხომ კი! ხომ კი! — სახე უეცრად გაუბრწყინდა. მაგრამ ღიმი ისევ მკმუნწარებით შეეცვალა. — მარა, თუ დედ-მამა წინააღმდეგი იქნება? მაშინ როგორღა იქნება საქმე?
- ქალი თუ მოინდომებს, დედ-მამა წინააღმდეგი ვერ გახდება. ქალი იმას ვაპყვება, ვინც უნდა.
- ხომ კი! ხომ კი!.. აბა, შენი ჭირიმე, უნდა დამეხმარო როგორმე ერთ საქმეში!
- რავე, გიყვარს ვინმე თუ?
- კი მიყვარს!
- შერე იმასაც უყვარხარ?
- კი, მასაც ვუყვარვარ! მაგრამ დედ-მამა წინააღმდეგი... მარა, რა ვქენი თუ იცი! — შეჩერდა. თითქო გაწითლდა. დიდ ხანს ვერაფერი სოქვა. თვალები დახრილი ჰქონდა.
- რა ჰქენი, რატომ არ იტყვი?
- რა ვქენი და დედ-მამა რომ ამტყულებინა ქალის მოთხოვაზე ქალი გავუბატიურე!
- როგორ! ქალს არ უნდოდა?
- არ მთანხმდებოდა! დედ-მამის ეწინოდა. მე კი ვუმტყიცებდი, რომ ეს მოგვეცმდა შეუღლების საშუალებას.
- შერე, შენ ისარგებლე ქალის ნდობით და ძალა იხმარე?
- შეც არ ვიცი ახლა, რაფერ მოხდა!
- ქალი რას ამბობდა!
- რა უნდა მექნა! დიდ ხანს ვიტანჯებოდი! დედ-მამა ნებას არ გვაძლევდა. ქალი მალულად მოდიოდა ხოლმე ჩემთან, თან დედ-მამის ხათრი ჰქონდა! არც მე მანებებდა თავს. და ერთ დღეს გადავწყვიტე... ქალი გაჯიუტდა. მაგრამ მე მაინც ზემი შევესრულე...
- ახლა რას ამბობს ქალი?
- არ მინახავს მას უკან. გამწყრალი გეიქცა! ახლა, მშობლები რომ გეიგებენ ხომ მომცემენ ქალს?
- არ ვიცი ამხანაგო! ეგ კიდევ ქალზეა დამოკიდებული!
- ის ხომ წინააღმდეგი არ იქნება?
- რა ვიცი, ახლა იქნებ ისიც წინააღმდეგია!
- ოჰ!.. რაფერ შეიძლება! აბა ვნახავ, უსათუოდ ვნახავ როგორმე და გევიგებ! ჰო და თუ ქალი არ იქნება წინააღმდეგი, მშობლები რაღას იზაენენ?
- ალბად ვერაფერს!



- იქნებ თქვენ დამეხმაროთ ამ საქმეში?
- მე, ამხანაგო? არა, ეგ არაა ჩემი საქმე!
- აბა, რაფერ მევიტყე?
- ქალი ინახულე... და შერე საქმე გამოირკვევა. ახლა წავიდეთ. გზას გა-

ვუღვეთ.

ჯერ პატარა მდინარე გავიარეთ. აღმართს შევეუღვეით. ჩემი თანამგზავრი უკან მომდევდა ფიქრებში ჩაფლული. მერე მომიხლოვდა. შემეკითხა.

- აბა, ჩვენი პარტია ვერ ჩაერევა ამ საქმეში?
- არა, ეგ ჩვენი საქმე არაა!
- რაფერ ვქნა ახლა მე?

— ამხანაგი მიუგზავნე ვინმე შენ საცოლეს და გაიგე!

— აჰ! წინააღმდეგი რაფერ იქნება! მარა, ვერ ეტყვის დედ-მამას სირცხვილით. აჰ! რაფერ დეიხლართა საქმე!..

მაღე სოფელში შევედი.

XVI

ქიათურის რკინის გზის სადგურის ბაქანი სავსეა ხალხით. ჩოქოლი, შეგვსული ზურგები, გადახილი, სირბილი, აღზნებული სახეები.

პატარა ორთქლიმავალი ქლოშინობს და თეთრი გამსუვრვალე ორთქლის საბურველშია ვახვეული. მწყრივად მიყოლებულ ვაგონების ფანჯრებიდან გადმოყუდებულია ყაბალახიანი წითელ რაზმელების თავები.

გაისმის სიმღერა.

. . . შურის ძიების დასკეკე ხმაო...

გასწი, გასწი!.. წინ!.. წინ!.. წინ!..

სიმღერა მართლა სქექს, გრგვინავს და ყელში დაქიმული ძარღვების, გაფართოებული თვალების ატაცებული გამოხედვა — ყველას ათრთოლებს, ბრძოლისაკენ მოუწოდებს.

ბაქანზე შეუჩერებელი მოძრაობაა. ვიღაც რაღაცა განკარგულებას იძლევა. ბერდანიანი წითელ რაზმელი გარბის, ვიღაცას უძახის. სადგურის უფროსი, ტელეგრაფისტი თუ სხვა რკინის გზის მოსამსახურე — ყველა აღელვებულია. მორბიან, ისევ შეჩერდებიან. ერთმანეთს რომ შეხედებიან გაცხარებით ლაპარაკობენ და ვიღაცას რაღაცას აბრალებენ.

მეორე დღეა, რაც ქიათურაში ხმა გავრცელდა — ქუთაისში ბარიკადებია ამართული და შეელას ითხოვს... საბრძოლველად გამზადებულ რაზმელებს ველარაფერი დააკავებდა და მიუხედავთ იმისა, რომ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მიღებული ნამდვილი ცნობა ქუთაისის ამბების შესახებ, — რაზმელების დაყენებითი მოთხოვნით ქუთაისში წასვლა გადაწყდა.

ყოველი პარტიის რაზმი ცალცალკე მიდის თავისი უფროსებით. მენშევიკების და ბოლშევიკების რაზმი უკვე სადგურზეა. ორივე მუშებისგან და გლეხებისგან შედგება. არაუის თბილი ტანისამოსი არ აცვია. იშვიათად შეგვხვდება ჩოხოსანი. შავი ხალათი, ჩუსტები, რაღაც პიჯაკის მსგავსი პალტო და ყაბალახი.

სამაგიეროდ ფედერალისტების და ესერების რაზმი, თუკვე შეეძლო რიცხოვანია, მაგრამ თბილად აცვიათ—ჩოხა-ახალუბი, მესტები ვერ შეეძლოთ კერადინათ აყოლებული ვაზნები.

ვაგონები უკვე გაივსო რაზმელებით. ყველა ჩქარობს, ნერვიულობს და რომ მატარებელი არ მიდის—ცხარობს, ივინება, ილანძლება. დავვიანებას სადგურის უფროსს აბრალებენ.

— რაღას ვუცდით, რატომ არ მივდივართ?

— მოიცა ამხანაგო! ჯერ კიდევ რაზმელებია მოსასვლელი!

— ვინღა დარჩა! ყველა აქ ვართ!

— ესერები თხოულობენ, პატარა მოგვიცადეთო...

— მაგათი პრანჭობას უნდა ვუცადოთ ახლა ჩვენ? მაგათი დედაც...

ფაცი-ფუცში, ჩოჩქოლში, ყვირილში და მოძრაობაში კეთდება საერთო საქმე. მატარებელი უკვე მზათაა წასასვლელად, ტელეგრაფისტი უკვე აძლევს მგორე სადგურს ცნობას მატარებლის გასვლის შესახებ. ვაგონის ფანჯრები, საფეხურები და სახურავებიც კი დაძონძილია ყაბალახიანი თავეებით, ჩოხებით, ბერდანებით, მუხლებით და მკლავებით. გაისმის სიმღერა:

. . . ჰეა მუსრი აელე მაგ ავაზაკებს

კარი გაულე, ცისკრის ვარსკვლავსა!..

მესამე ხარი ირეკება. შავი ხევის გორაკებს მატარებლის ყვილი ედება და ინდაურივით აფხორილი პატარა ორთქმავალი, კოლოფების მსგავს ვაგონებს დასძრავს.

„ქუთაისში ბარიკადებია—შველია საჭირო“!.. — და მიეშურებიან რაზმელები.

ვაგონი ქანაობს, რელსებს ტყაცა-ტყუცი გაულის, ჯაჭვი ჩხრიალებს, ხმაურობს და შეგვიძროვებული რაზმელების მზრების დათავეების გროვა ირხევა.

შორით თვალი მოვყარი ნაცნობ სახეს... ეს ჩემი ნაცნობი, შეყვარებული რაზმელია. ილიმება. ბერდანა გული ჩაუხუტებია. ჩემსკენ უნდა წამოსვლა. ძლივს გააარღვევს შეგვფუფულ რაზმელების ჯგუფს.

— გამარჯობა!

— გამარჯობა!

— მივდივართ ხომ კი ქუთაისში?

— ხომ ჰხედავ, მივდივართ!..

ილიმება, ცქმუტავს, ქერა ულვაშები განზე იწევა და თეთრი კბილები ელვარებს.

— უჰ! რა კარგია, რა კარგი!..

— რა არის კარგი?

— ცხოვრება! ბრძოლა!..

— ჰო, მართლა, შენი საქმე როგორაა?..

ახლა მეტი გამზიარულებისგან მთელი სახე ნაოკებში ეხვევა.

— კარგად! ხომ იცი, დათანხმდენ! უკვე დანიშნულები ვართ!

— ხომ ვითხარი ქალზეა დამოკიდებული მეოქი!

— ქალს ბევრიც რომ მოენდომებიანა, არაფერი იქნებოდა!..

ქართული
ბიბლიოთეკა

— მაშ, რატომ დათანხმდენ?

— ა! ამან მიშველა, ხომ იცი!.. და ბერდანა გამოსწია წიხ.

— როგორ მაგან!

— აბა! ჩვენ სოფელში სულ ხუთი რაზმელია! მთელი სოფლის ახალგაზდობა ჩვენ შემოგვცქერის. ყველა შურით იცხება. ბეგოს უნდა რაზმში ჩაწერა, მარა თოფი არაა და რა ტნას! მე ტე მიშველა ამ რაზმელობამ!

— პოო! აბა, ახლა შენ იცი როგორც იბრძოლებ!

— ახლა ისთე ვარ, როგორც კაგი! ქუთაისიდან რომ დაებრუნდებით, ქორწილს გადვიხდი, ხომ მეწვევი ქორწილში?

ჩხრიალით, ყიეინათ და სიმღერით მიჰქრის ხეულებში მატარებელი...

ზესტაფონში რომ ჩავედით, გამოირკვა რომ ქუთაისში წასვლა არაა საკირო. ამან დააღონა რაზმელები.

რაკილა ზესტაფონში თავი მოიყარა თითქმის მთელი მახრის რაზმელებმა, საჭირო ვახდა არჩეულიყო ერთი ხელმძღვანელი ორგანო. ამიტომ მოეწყო საერთო კრება და არჩეულ იქნა წითელი რაზმის შტაბი, რომელშიც შევიდნენ პარტიის წარმომადგენლები და რომელსაც მთელი რაზმი ემორჩილებოდა.

რაზმელები ბინადრობდნენ სკოლებში, რკინის გზის სადგურში და კერძო ბინებში და უცდიდნენ რაღაცას. არავინ იცოდა რას! სად მოხდებოდა შეტაკება, ვისთან და რა პირობებში..

მთელი მახრა რევოლიუციონერების ხელში იყო. გაუქმებული იყო ყველა სახელმწიფო დაწესებულება.

შეწყვეტილი იყო მატარებლების მიმოსვლა. სადგური და დეპო რევოლიუციონერების ხელში იყო.

ზესტაფონში და ხარაგოულში დაბანაკებული იყო თითო ასეული ჯარისკაცებისა. ესენიც მოწყვეტილი იყვნენ თავის მთავარ შტაბს, უმოქმედოთ და უაზროთ ატარებდნენ დღეებს. უკმაყოფილო იყვნენ მდგომარეობით და გაბრაზებული. რევოლიუციონერ მოძრაობას, ეროვნულ მოძრაობათ სთვლიდნენ. უდილობდნენ პროვოკაციული გზით შეტაკება მოეხდინათ რაზმელებთან, მაგრამ ჩვენები ამას გაურბოდნენ.

წითელ რაზმელებს თანდათან ემატებოდა. ხოლო სავალალო ის იყო, რომ არ იყო საკმაო იარაღი.

რევოლიუციონერი მსვლელობის აუცილებლობამ თავის თავად დააყენა კითხვა, ჯარისკაცების იარაღის აყრის შესახებ. შტაბმა იკონია მსჯელობა და გადასწყვიტა, ხარაგოულში და ზესტაფონშიც განიარაღებულიყო ჯარი.

ხარაგოულს თავისი რაზმი ჰყავდა. მისი ორგანიზაცია ბოლშევიკური იყო. განიარაღების დროს ხარაგოულს ზესტაფონიდან ათეული რაზმელი მიეშველა.

შეერთებული რაზმი რიცხვით ოცი თუ ოცდაათი, ჩაუსაფრდა ჯარისკაცებს, როცა ისინი ზესტაფონში მიდიოდნენ ფეხით. იქაურ ჯართან შესაერთებლათ. რკინის გზის ლიანდაგის ორივე მხრიდა ფერდობებზე ჩასაფრდნენ ჩვენები. როცა ჯარი ამ ადგილს მიუახლოვდა რაზმელებმა ასტეხეს სროლა. მოჰკლეს ასეულის უფროსი დაეიდოვი და ამის შემდეგ ჯარმა იარაღი დაჰყარა.

განიარაღების დროს ხარაგოულში ვიყავი. რაზმელებმა ჩემს დასახლებას სი-
ხარული შხის სიცილს უდრიდა. ახლა ბერდანას არაეინ სკანდრულისა და ნამ-
დვილი „ვინტოვკა“ საქმარისი ვაზნებით ყველას აფრთოვანებდა. იოლად ჩაიარა
განიარაღებამ ზესტაფონშიაც.

განიარაღების შემდეგ ჯარის კაცებში პრობანდას ვეწეოდი. ვარწმუნებდი,
რომ ეს არ იყო ეროვნული ბრძოლა, არამედ რევოლიუციონური და ეუმტკი-
ცებდი, რომ მთელ რუსეთში ჯარის კაცები ხალხისკენაა გადასული. მაგრამ მათ
გამოხედვაში ვატყობდი რომ არ სჯეროდათ ჩემი და უკმაყოფილო შეკავებული
ბრაზით მიცქერდენ.

რამდენიმე დღის შემდეგ ზესტაფონიდან შეგვატყობინეს, რომ ჯარის კა-
ცები ხარაგოულიდანაც და ზესტაფონიდანაც ქიათურაში უნდა გადაიგზავნოს.
ხოლო მათი ოფიცრები კი ადგილობრივად უნდა დაგვეტოვა. ჯარისკაცებმა
მოხოვეს მათი ოფიცერი მჭეწენებინა გამოსათხოველად. ეგონათ, რომ ყველას
დაეხოცდით.

დაიწყეს ტირილი. ოფიცრმა ყველას სათითაოდ აკოცა და მხოლოდ ორი
სიტყვა წამოიძახა: „эх, братья, задали-ны мы японцам!“. ალბათ ჩვენ გვკუ-
ლისხმობდა.

რაზმელების აფრთოვანება დიდი იყო. ხოლო მაშინ, როცა უკვე რაზმი
ვინტოვკებით შეიარაღდა, რიკტივი გამრავლდა და გამარჯვების იმედიც დიდი
იყო, ტფილისიდან ხმა მოვიდა მოსკოვში შეიარაღებულ აჯანყების დამარცხე-
ბის შესახებ. მერე კიდევ გავიგეთ, რომ ტფილისშიც რეაქციაა გამარჯვებული
და ალიხანოვის მეთაურობით დამსჯელი რაზმი ქუთაისისკენ მოდისო.

რაზმელები მაინც არ სცხრებოდენ. მოითხოვდენ წიფის ტუნელის აფეთქე-
ბას და იქ ალიხანოვის ჯართან შეტაკებას.

შეტაკება მოხდა კახაკების დამხვერავ რაზმთან. მაგრამ რაზმელებმა ვერ
გაუძლეს სიცივეს. ამავე დროს ქუთაისში შეკრებილმა ორგანიზაციის წარმო-
მადგენლებმა გადასწყვიტეს შეიარაღებულ აჯანყების შეჩერება და რაზმელების
უკან დახევა.

რაზმელების უკან დახევას მოჰყვა მათი დაშლაც. რევოლიუციონური ორ-
განიზაცია მოიშალა. რაზმელები გაიფანტენ.

მოდიოდა ალიხანოვის დამსჯელი რაზმი. სახლებს და ღუქნებს ეკიდებოდა
ცეცხლი. ცეცხლით და მახვილით იწყებოდა რეაქცია.

დამსჯელი რაზმი მოდიოდა ზღაპრული გველეშაპის თვისებით და სიმძი-
ვით. შემოერთებოდა სოფელს. მოითხოვდა მსხვერპლს. არბევდა გლეხების სახ-
ლებს. ხერხტავდა შემთხვევით დარჩენილ რაზმელებს, ცეცხლს უკიდებდა მათ სახ-
ლებს. მობუგავდა, მოახშობდა ყოველივე რევოლიუციონურს და მიეშურებოდა
შემდეგ სოფელში...

მოსკოვში დამარცხებულმა შეიარაღებულმა აჯანყებამ, საქართველოშიაც
რეაქცია გამოიწვია. რეაქცია მოდიოდა მაჯლაჯუნას სახით. ადამიანის და პი-
როვნების შემლახველი თვისებით.

მახვილით, ცეცხლით და სისხლით ვრცელდებოდა რეაქცია...

დასასრული შემდეგ ნომერში.

ქ ი ა პ ო პ ო ნ ა

V

გაგრძელება 1)

მოსიას საქმე წაღმართად მიდიოდა.

მან მალე საზიკიტნო რესტორანად აქცია და დიდი აბრა ძველ მღებავს გააკეთებინა.

აბრაზე ოქროს ასოებით ეწერა:

„ნოეს ვაზი“.

წარწერის ერთ მხარეს ეხატა ჩიხტიკოპიანი ახალგაზრდა ქალი, რომელიც ფოთლოვან ვაზიდან მტევანს სწვევტდა და თან მალულ ღიმილით გაცქეროდა მეორე კედაროს დახატულ ვაჟს.

მაგრამ ვაეი, რომელიც მოსიას ჰგავდა და მსავით საგარეო ჩოხა-ახალუხში იყო გამოწყობილი, რატომღაც პირდაპირ, თავისთვის იცქირებოდა და ქალი-საკენ მხოლოდ ლეინით სავსე ყანწი ჰქონდა გაწედილი.

მელით გათეთრებულ რესტორანის ცალ კარის შინაზე წაწვენილ შავი ასოებით ეწერა—*Биза*, ხოლო ფანჯრების შინებზე ეხატა რვეალათ შემწვარი დედალი, გოჭი და წვანილი.

დახლის პირდაპირ სუფთა შინებიდან კი მოსჩანდა ნამდვილი სანოვაგი.

შინით, რესტორანი შნოიანათ იყო მორთული.

მოსიას ლეინოც იშვიათი ჰქონდა და მუშტრები დასაჯდომ ადგილს ვეღარ შოულობდენ.

„ნოეს ვაზში“ უმთავრესად ჭეიფობდენ პურმარილის მოყვარული ინტელიგენტები, ადრე დავაყვაცებული და სასწავლებლიდან გამორიცხული მოწაფეები, გახიზინებულ საყულოებში კისერ გაშეშებული და აჭრელებულ ტანისამოსში გამოკობტაეებული ნოქრები, უფრო ხშირად კი რესტორანიდან მოისმოდა ყელსალამურა თავად-აზნაურების სიმღერა.

მოსია საკმაოდ დაიგეშა და ყველა წრეში ვაიჩინა ახლო ნაცნობი.

ის მეგობრათაც კი თვლიდა რამდენიმე ნოქარს, რომელთა სოციალისტობა რევოლიუციის შემდეგ გაიგო და მათი მეგობრობა გამოადგა.

მოსია ყველას მომეტებული თავაზით ეგებებოდა, თუმცა იმავე დროს სძულდა მონისიავე მუშტრები და ამიტომ თითქმის ყოველ მაგიდასთან გაკრული ჰქონდა კურცხალის სტამპაში მომხზო ასოებით დაბეჭდილი გაფთხილება:

1) იხ. მართობი № 4.

„მხო ნისია
რა სვინდისია,
ნალდზე ვივაქროთ
წესი ისია“.

მაგრამ ჭისატათ დარჩენილი თავად აზნაურები ამ მშვენიერ ლექს, რომელიც ზეპირით იცოდენ, ყურადღებას არ აქცევდენ და მოსია იძულებული გახდა სანისიო დაეთარიც შეეძინა.

დაეთარი მალე სიგელს დაემსგავსა. სადაც ჩამოთვლილი იყო თითქმის ყველა უძველესი და ისტორიაში ცნობილი გვარები, რომელთა ეხლანდელ მატარებლებს წინაპრები მხოლოდ მოსიას რესტორანში აგონდებოდათ და მჭერ-მეტყველულათაც ტრაბახობდნენ მათი ამაგით.

რესტორანში მოხერხებულ ადგილას ახალ-ახალი კედლის არღანი იდგა.

კედლის არღანი ქუთაისში მარტო მოსიას ჰქონდა, მაგრამ შემთვრალ სტუმრებს უფრო მოსწონდათ მიხეილა ურიას გარმონი და სიმღერა.

განსაკუთრებით მიხეილა ნოქრების და სხვა მდაბიოთა მომღებნი იყო. თავად-აზნაურები მაშინ დაუძახებდენ მიხეილას, როცა თან დანიელა ურია არ ახლდათ და თავიანთი სიმღერა მოსწყინდებოდათ.

დანიელა ურიას კი იშვიათად ევალა რესტორანებში სასიმღეროთ, რადგან უიმისოთ არც ერთი ხეირიანი თავად-აზნაური არ გამართავდა საოჯახო ლხინს, ჭორწილს და დღეობას.

ამიტომ ჰქონდა მოსიას რესტორანში ფასი მიხეილას, რომელიც უქმე დღეებში შეუსვენებლად წელავდა თავის მომცრო გარმონს და თან ზედ ამღერებდა:

„ნოვრასიის პარახოლი
ადესაში ბრუნდება.
ჩემი მონაგები ფული
სულ ვოვოებს უნდება.“

...დარიირი თქვენი გამარჯვებისა“.

ქუთაისში პარასკობით ჩასულ სოფელებს ახალ-ახალი ამბები ამოქონდათ მოსიას გამდიდრების შესახებ.

ზოგიერთები გაზვიადებით ლაპარაკობდენ მოსიაზე, რომელიც მათგან ჭყინტ ყველს, გოჭებს და მოჩეთებს ყიდულობდა, თან თითო ჭიქა ღვინით თავს ალოცვინებდა თავის კუთხის კაცებს.

თვით მიქელა და ანუსი პასუხად იტყოდენ:

— არაფერი გამოჩენა არ აქ გენაცვალე, თავს იყოლიებს მარტუა, ხო იციტ ყრმაწილის ანბავი, ფული უფაიდოთ ეხარჯება.

ამბობდა ანუსი.

— დიდ კაცებშია გარეული. ყოველდღე წარჩინებული სტუმრები ყავს. მისი მოგება მათ პარტიისცემას უნდება.



ნაძალადევი სიამაყით ამზობდა მიქელა.

— რას იხამ, განათლებულ ცხოვრებას მეტი ხარჯი მოსჭდე, —
კერს უკრავდენ მოსაუბრენი.

მიქელა და ანუსი განგებ ლაპარაკობდენ ასე ნეზობლებში, თორემ გულში შეიღოს ესაყვედურებოდენ უკურადღებობისათვის, რადგან მისი გამდიდრება ბევრათ არც ოჯახს და არც მათ დატყობია.

მოსიას სახელი პირველხანებში შთელ ოკრიბას პირზე ეკრა.

დაეიწყებული და შორეული ნათესავეებიც ამაყობდენ მოსიას ბედით და აახლებდენ მირონს.

მოსია იშვიათად აღიოდა სოფელში.

ყოველ წასვლაზე საგანგებოთ ზოირთებოდა.

თუ რესტორანში მუშტრებს თვალში შეეკეროდა, სამაგიეროთ სოფელში გამორჩევით ექირა თავი.

მოსიამ განსაკუთრებით ერთ გიორგობას გააკვირა სოფელი.

ამ დღესასწაულისათვის მოსია ადრე შეუდგა მზადებას.

ქუთაისში განთქმულ მეცხენე შეფათასაგან იქირავა საუკეთესო ლაფშა და წინა დლით, საღამოს სოფლისაკენ გააჰენა.

გიორგობას წირვაზე უასიდათ დაიგვიანა.

მიქელამ წირვის თავიდან მოყურებას სინაქებო შევითან ერთად არჩია ეკლესიაზე წასვლა და ვიდრე მოსია მოირთებოდა, თეოფილეს მოეხმარა საოჯახო საქმეებში.

შემდეგ თეოფილემაც მოიცვა უკებ ჩოხა და ახლად ნათხოვ მეორე ცოლით, მისი მშობლებით და ადრე წვეულებიანათ მოსიას გააკცა.

ანუსია ობოლ პატარა მართოთ შინ დარჩა.

ეკლესიაში პირველად მოსია შევიდა.

მის დანახვაზე მლოცველები ერთბაშათ შუაზე გაიყო და მოსიას გზა დაუთმეს.

მოსია ნელი ნაბიჯით გაემართა საკუთხეელისაკენ და იმ ადვილას, სადაც აზნაურები ჩვეულებრივად იდგენ, ყველაზე წინ გაჩერდა.

აზნაურებს არ ესიამოვნათ მისი კადნიერება და მოსია მზაკვრულით თავიდან ფეხებამდე აათვალ-ჩაათვალაიერეს.

მაგრამ ოქროს წყალში ამოვლებულმა მოსიას ეერცხლის ხანჯალმა და სადავე მოყარაყებულმა ლეკურმა მალე გასტეხა მასი იხტიბარი.

გახლებულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი აზნაურები ამპარტავენების მაგიერ შურით განიძველენ და მოსიას გარეგნობამ თანდათან მათში მოწიწებაც გამოიწვია, რასაც არ იმჩნევდენ და თუ მოსიას მოხელამდე მაინცდამაინც სხვებისაგან განსხვავებულათ არ გრძნობდენ თავს, ეხლა მალმალე დაიწყეს შეძველებულ ქამარ-ხანჯალის სწორება და უღუაშების გრება.

განსაკუთრებით მოსიას თავებდობა არ ეჭაშნიკა მირიან მზეიძეს, რომელიც გიორგობას სტუმრათ იყო მოსული ბობითიდან და რომლის ჩაცმა-დახურვა, მოლხენა და გაბედულება ერთდროს ბევრს ენატრებოდა.

მაგრამ ბოლო წლებში ისე წაუფიქრა საქმე, რომ მისი ჩივილი ექვემდებარებოდა ტომარას ჰგავდა, ხოლო მესტების ნაცვლად უბრალო პაიუბნები და მკვლელები წილები ეცვა.

მლოცველები კისრებ დაგძვლებულნი უცქეროდნენ მოსიას, რომელიც ხან-გამოშვებით პირჯვარს ისე ისახავდა, რომ მისი ბეჭდებიანი თითები ყველას დაენახა.

კბილებ ჩაცვენილმა დიაკონმაც დიდხანს ვერ მოაშორა თვალი მოსიას და პირველად, ღვდლის საპასუხო სიტყვები არვეით და არა საგალობელი კილოთი წარმოსთქვა, მაგრამ შეცდომა მალე გამოსწორდა და სცადა ადრინდელზე უფრო ძლიერი და საამო ხმა ჰქონოდა.

კიმოთე ღვდელმა საკურთხეველიდან შეასწრო თვალი მოსიას, მაგრამ ვერ იცნო და უცხოთან თავის მოწონების მიზნით მნათეს გადაუფიქრუნა—საცეცხლურში საკმეველი ბლომად ჩაეყარა.

შემდეგ ოლარი გაისწორა და საღალაღებელი მკვეთრად ჩამარცვლა. საღალაღებლის წარმოთქმისთანავე მნათეს საცეცხლური ჩამოართვა და მლოცველებისაკენ დინჯათ წამოვიდა.

კიმოთე ჩია კაცი იყო და მამამისის ნაქონი ოლარი ფეხის ტერფებამდე წვდებოდა. ოლარს გულისპირიც ისე ფართო ქონდა, რომ მხრებით ძლიერს იკავებდა.

კიმოთემ ჯერ საკმეველი აღსავლის ვარაყიან სვეტებზე დაკიდებულ მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მომცრო ხატებს უკმია, შემდეგ მლოცველებისაკენ მოწიწებით მობრუნდა და მარჯვნიდან დაიწყო საცეცხლურით მისალმება.

მნათეს საცეცხლურში მართლა იმდენი საკმეველი ჩაეყარა, რომ საცეცხლური თანდათან ნედლი ჯირკვიით ახლოდა, რის გამო მთელ ეკლესიაში უცნაური ბოლი ვადგა.

როცა მოსიას დაუბრდაპირდა, მოსია სულ ბოლში იყო გახვეული და კიმოთემ თავის ბეჭტ თვალებით მხოლოდ მისი წითელი ჩოხა დაინახა.

კიმოთემ სწრაფად მოათავა საკმეველის კმევა და საკურთხეველში შებრუნებულმა, საცეცხლურის ჩამოსართმეველ ვადარაჯებულ მნათეს რისხვა შეკავებულ ხმით მიახალა:

— რა მოგჩვენა შე გამოჩერებულს, ასე რომ გაგიტენია საცეცხლური, ა? ხალხი სულს ველარ ითქვამს, რას იტყვის ის უცხო კაცი!

კიმოთემ მალე კრეტსაბმელი ჩამოუშვა და მნათეს დაუტატანა:

— რაღა დაგილია პირი, ვადი ჩქარა და ახალ ანთებულ სანთლების გარდა ყველა მოაქრე. პატარა ნამწვავები რალა გამოსადევია. ადგილიც აღარაა შანდლებზე! იქნება იმ უცხო კაცს ჯერ ერთი ღერი სანთელიც არ აუნთია შენი უჭკუობის გამო!

როცა დიაკონი გაბრიელის ქადაგების კითხვას შეუდგა, მოსიამ ძვირფასი ბოხობი სატევარის სადავეზე ჩამოაცო, ერთი კონა შაურთან სანთლები იყიდა და ყველა შანდალზე აანთო, შემდეგ კიმოთეს დავალების ასასრულებლად გამოსულ



მნათეს ალსაელის კარების თავთან, საიდუმლო სერობის წინ მდგომარეობის პატარა კანდელი ჩამოაშვებინა და ისიც სანთლებით შემოსარბი.

— ამ ჩვენ მნათეს მეორე ფეხიც უნდა მოამტვრიოს კაცმა, სანთლებს თავის მოწვას რო არ აცლის!

წაულაპარაკა ერთმა გლეხმა მეორეს.

— ში მართალია, მარა აი მიქელას ბიჭი ძან ვადიდკაცებულა. ეს ჩვენი კუტ-გამხმარი აზნაურები სულ არ დაჩრდილა?

— აზნაური ახლა ისაა, ვისაც რამე აქ, მოსია მალე მაგათ მოჯამაგირეთაც დაიყენებს, კო.

ფუნუნობდენ ერთმანეთში გლეხები.

აზნაურებს, რომელთაც კაპეიკიანი სანთელიც კი არ ქონდათ ანთებულ-ამბიონიდან ჩანომავალ მოსიას თვალი მოარიდეს.

მოსიამ მლოცველებს ქურდულად გადახედა და როცა ქალებში მოამლიმარი კესო შეამჩნია, ერთბაშათ შესდგა, მაგრამ მალე გამოერკვა და კვლავ თავის ალაგას გაჩერდა.

ამასობაში მნათემ გახუნებულ ხავერდ გადაფარებული ლანგარი ჩამოატარა მლოცველთაგან წვლილის შესაგროვებლად.

მნათე იცნობდა მირიან მხეიძეს და როგორც დარბაისელ აზნაურს, პირველად ლანგარი შას გაუწოდა.

მირიანმა ლანგარზე ბელტი შაურიანი დასდო. დანარჩენ აზნაურთაგან ზოგმა სამი კაპეიკი, ზოგმა ვერცხლის ორშაურიანიც კი გაიმეტა მოსიას შესახედავათ.

მნათემ ესლა მოსიას გაუწოდა ლანგარი.

მოსიამ შეუნძრევლად, ჩოხა-ახალუხის ცალი კალთა გადაიწია და ყარამანდულ შარელის ჯიბიდან ვერცხლის ფული მუჭით ამოიღო, ლანგარზე მანეთიანი დააგდო და დანარჩენი ისევ ჯიბეში ჩხრიალით ჩაიყარა.

გაოცებულმა მნათემ ერთი შეხედა მოსიას, მდაბლათ თავი დაუკრა და სხვებისაკენ გაეშურა.

წირვის დამთავრებისას დაწინაურდენ მლოცველები აღდგომას უზიარებებავშებით და შეიქნა ტირილი, რასაც თან სდევდა ფეროსების ძახილი:

— სუ-სუ!

ბავშების ზიარების შემდეგ, კიმოთემ ჯვარი გამოიტანა და ყველაზე უწინ ჯვარს მოსია ამთხვია, რაც შეურაცყოფათ მიიღეს აზნაურებმა და განსაკუთრებით კიმოთეს ქვისლს მირიან მხეიძეს დარჩა საწყენათ.

მოსია ეკლესიიდან ყოჩივით გამოვიდა და მამასთან ერთად ცაცხვებში გაჩერდა.

თეოფილე და ეფროსინე წირვის დასრულებისთანავე წავიდენ სახლში თავდარიგის დასაქერათ.

მათ გარშემო მალე შეგროვდა წირვა-მოყურებელი ხალხი.

უცნობი და ნაცნობი ყველა ხელს ართმევდა მოსიას და გაუთავებლად ისმოდა:



— როგორ ბრძანდებით! ხო კარგაით!

— ვამდლობთ, როგორც შეფერის ამ დროს! არა მიზეზი არაა, რომელიც მოქელა შეილს ისეთებსაც კი აცნობდა, რომელთაც მოსია ბავშვობიდანვე იცნობდა.

— აი ივანეა შეილო... ეს დარისპანაა, ხო გახსოვს!.. ეს კილო პავლიის ბიჭია სევასტიეი...

დიუზარებლად ჩასჩინებდა მოსიის მოქელა გაღმა-გამოღმელების სახელებს და თან ზოგიერთებს მის მაგიერ ელაპარაკებოდა.

მომკითხავთა შორის ქალებიც ვრია.

— რაფერ დავაკაცებულხარ ბეჩა... ნეტაი შესს შშობლებს... ანუსიის მიწახე აღარ ედგმება ფეხი... ბედნიერი ხარ მოქელა... აწი ოჯახს უნდა შეეცილო შე კაცო, სიკვდილის მეტი ყველაფერი ნაადრევი სჯობია... კაი დავემართოს... ჩვენს უნახავად არ წახვიდე...

უებნებოდენ ტუზზე ხელის მიფარებით უფრო ახლობელ მეზობლების ქალები.

მოსიის კი ცალი თვალი იჭით ქონდა, სადაც სამრგლოს მაგიერობას მუხა სწევდა და ზედ ზარა ეკიდა.

ზარიან მუხის ახლო ახალგაზრდა ქალები შექუჩებულიყვენ, რომელთა შორისაც იყო კესო და თამამად კისკისებდა.

ხის პატარა ეკლესიიდან კვლავ ისმოდა კიმოთეს წვეტიანი ხმა. ეტყობოდა ხუცესი ჭკარობდა რადგან პანაშვიდიც ბევრ ახალ საფლავზე უნდა გადაეხადა.

კიმოთემ მნათე საგანგებოთ დაარიგა, რათა მღვდლის არჩივი მესაკურთხევებისაგან დღეს მეტი რაოდენობით შეეგროვებია და მას უკვე გამზადებული ქონდა დიდ თვლებიანი ხურჯინი.

სახლისაკენ გაბრუნებულმა მოსიამ ზარიან მუხას განგებ ახლოს გაღარა, რის დროსაც ქალები გაისუსენ. მართო კესოს არ შეუწყვეტია კისკისი.

ეკლესიის ვალაენიდან გადმოსვლისას მოსიამ მამას ჩუმით ჰკითხა:

— ვინ იყო ის ქალი?

— რომელი, ხმამალა რო იცინოდა? რაში გეკითხულება შეილო. ბოზოთელ აზნაურის, შეიძის ქალია, აი იმის გოგო, შენ რომ ერთბელ მათრახით გაგლახა. მალე საქმროების ძებნა-ძებნაში დაბერდება. ვაი იმ ოჯახს, საცა ის შევა. ნამდვილი აშარია.

მოსიას არც ვალახვის ამბის გახსენება ესიამოვნა და არც კესოს დაბასიანთება, რის გამო სიწითლემ გადაჰკრა. კიდეც კარგი მუსიათში გართულ სტუმრებს მოქელას ნათქვამი არ გაუგონიათ.

ის ფიქრებს აყვა.

მოიგონა თავის ბავშობის ის დრო, როცა სოფლის განაპირებით პაპანაქებაში ნახირის მწყემსობისას, მას ცხენით თავზე წამოადგა ნაჭედიფარი მირიანი. ღვინო მორეულმა მირიანმა ჩრდილში დაძინება განიზრახა და ცხენი მოსიის ჩააბარა.

დიდიხნის ფიქრის შემდეგ მოსიამ ვაბედა ცხენზე შევედომე. მაგრამ ამ დროს მირიანს გაეღვიძა და პატარა მხედარს მათრახით ზეჯგაკატეხეს. მოსიამ მაშინდელი ტკოვილი იგრძნო, მაგრამ უცებ თვალწინ მოკისკისე კესო გაპოესაბა და ზურგი დაუამდა.

მოსიას, შინ, ქუთაისიდან ჩამოსული ამქრები დახედა.

მაღე გარეთ, ხეებში გრძელი სუფრა გაიშალა და მოსიამ სტუმრებთან ერთად არაჩვეულებრივად მოიღბინა.

შის გადახრისას მოსია და მისი ამქრები ცხენებს მოახტენ და ჯირითით თემში წავიდნენ.

ცხენოსნებმა ხალხით სავეს სათემოს რამდენჯერმე გარს შემოუქროლეს და გაქაფული ცხენები იქ გააჩერეს, სადაც დიდი ცეკვა-თამაში იყო გამართული. მათ დანახვაზე მოცეკვავენი უფრო გახალისდნენ და ტაში გახურდა, ხოლო მეარღნემ განსაკუთრებული სიმარჯვით დაუკრა თავის არღანი და თან მარცხენა ხელის სახელოთი შუბლზე ოფლი სწრაფად მოიწმინდა.

მოსიამ ცხენიდან წრეში კესო შეაშინია და მასთან ცეკვის სურვილმა გაუფლვა, მაგრამ კესო მაღე ოქროპირ მყარადქსთან ერთად წრეს გაშორდა და საყდრისაკენ წავიდა.

მოსია მაშინვე ცხენიდან ჩამოხტა და სადავე ამხანაგს გადასცა.

ის განგებ შეეჩეხა წინ ოქროპირს და კესოს.

— ოო, მოსეს გაუმარჯოს, მოსეს!

ხალისით მიიძახა ოქროპირმა რატომღაც დარცხვენილ მოსეს და ხელი მაგრად ჩამოართვა.

ოქროპირ მყარადე კარგათ იცნობდა მოსეს და მის რესტორანში ხშირათ მიუღია პურ-მარლი.

მისი გვარიც მოსიას სანისიოო დაეთარში მრავალ გვერდზე ეწერა.

ოქროპირი შარშანწინ გამოიციხეს „სოციალისტობისათვის“ ქუთაისის სასულიერო სემინარიიდან, რამაც მოულოდნელად გაუტრუვა იმედი მოხუც კიმოთეს, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თავის მრველი შვილისათვის ჩაებარებია.

ოქროპირი პირველ ხანებში ტოლსტოის მოძღვრებით იყო გატაცებული, თუმცა შემდეგ მარქსის მიმდევარი გახდა, მაგრამ ტოლსტოის გარეგნულად მაინც ბაძედა. ოქროპირი ტოლსტოივით უბრალოთ იცავდა და გრძელ ლურჯ ხალათზე ფოჩებიანი შავი გრებილი ერტყა, ხოლო „სოციალისტობის“ ნიშნად თმა მარქსივით ქონდა მოშვებული.

ღინღლოვან წვერს კი იპარსავდა.

ოქროპირი მოგრძო და სანდომიანი სახის პატრონი იყო.

მაღალ შუბლსა და წინ წამოწეულ კოპებს ქვეშ ქროდა თვალეზი ყოველთვის უცნაურად უბრწყინავდნენ და იმავე დროს მის გულკეთილობასაც ამქლავებდნენ.

კიმოთესთან შედარებით, ხმა ბოხი ჰქონდა და დალაგებული ლაპარაკი იცოდა, თუმცა პოლიტიკურ საკითხებზე კამათის დროს სიფიცხე იპყრობდა და

ხშირად ლოლიკის საზღვარს სცილდებოდა, რაც მეტწილად გვერდებზე ხდოდა მის აზრს.

ოქროპირის გულწრფელად ახარებდა მდაბიო ხალხში თვითთარსებობისათვის ბრძოლის სურვილის გაძლიერება და ამიტომ მოსია ახალ კაცად მიაჩნდა, თუმცა ოქროპირმა იცოდა, რომ მოსია ამ ბრძოლაში სხვა გზას იდგა, ვიდრე დემოკრატია.

მაგრამ ოქროპირის აზრით მოსიების „ბრძოლა“ ნაინც პროგრესს ნიშნავდა და ამიტომ იყო, რომ ასეთი ხალხით შეეგება მას.

— როგორა ხარ ჩემო მოსე, ა?

კვლავ ღიმილით შეეკითხა ოქროპირი მოსეს და ბეჭებზე ხელი მოუთათუნა.

— მართლა, იცნობდე, ჩემი დეიდაშვილია, მხეიძის ასული, ლამაზი და კესარიით წოდებული.

იხუმრა ოქროპირმა.

სიწითლე შორეულ კესოს მოსიამ ხელი ნასწავლი ზრდილობით ჩამოართვა. ხალხი ფუტკრებივით ირეოდა და ყველგან ერთიმეული იდგა.

ზოგან არღანი უკრავდა.

ზოგან გარმონი და დაირა.

ერთიანეთზე ხელგადახვეული ახალგაზრდები კი რაც ძალი და ღონე ჰქონდათ გაჰკიოდნენ:

მკინტი ყველის ჭამა მიყვარს

ოდელია რანუნი

კბილის გაკრაჭუნებაო,

ოდელია რანუნი.

გოგოებში გავლა მიყვარს,

ოდელია რანუნი.

თვალის დაბაჭუნებაო,

ოდელია რანუნი.

უმარილით სახე შეფეთილი და საფერავით ღაწვებ გაწითლებული გოგოები ჯოგათ დადიოდნენ და უმიზეზოთ იცინოდნენ.

ზოგ მათგანს წითელი სიმიანდის ტაროსავით ხელში ეჭირა ჯოხზე აცმული საადრიო ბალი, მსხმოიარე ალუჩის ტოტი და ზოგს ამორცვილ მყერდზე პირქვე ებნია მაისის ვარდი.

გარედ გაზრდილი და ფულზე გაწუწუებული ახალგაზრდები ყოველ ზესთან უდიდდნ ფორებიან კამფეტებს, უცნაურათ შეფერილს და სახარინით გატკბილებულ წყალს, „კრენტილებს“ და ტუჩით დასაკრავ საპიპინო პატარა „მუზიკებს“. ახლად გაცნობილებმა ოქროპირთან ერთად გელესიის გასწვრივ დაიწყეს სეირნობა.

ოქროპირი ხალხზე იყო და მოხდენილად ყვებოდა სხვადასხვა სახუმარო ამბებს, რაც კესოს გულიან სიცილს იწვევდა.



როცა სამივე ზარიან მუხას მიუახლოვდა, კესოზე მოსახლე ფრიდონ ქელბაქიანმა მოსიას ძალათ გვერდი დამქაშებმა კესოს მოსიას გასაკილი სიტყვები გააგონეს.

— სწორედ გაიარე ყმაწვილო!

მედიდურად წიაძახა მოსიამ ფრიდონს.

— რაი, რაი?

გამომწვევით შეეკითხა მოქიშვე.

— რა გესმის! ზრდილობიანათ მოიქტეცი თვარა...

— ვის ასწავლი ზრდილობას შე ხეპრე, ა?

დაიყვირა ფრიდონმა და მოსიაზე გაიწია, მაგრამ განდობილმა ამხანაგებმა მაშინვე განგებ დააკავეს.

ამ ამბით გაამაყებული, მაგრამ ოდნავ ფერჩათეტქილი კესო განზე გადაგა, ხოლო ოქროპირი გაშნაგებულ მოსიას წინ გადაეღობა.

ის იყო მოსია დაძალა ოქროპირის მუდარამ, რომ კვლავ მოესმა მოპირდაპირისაგან დამამკირებელი სიტყვები, რის გამო ოქროპირი სწრაფად მოიშორა და ხმალი იშოშვლა.

ამასობაში მოსიას ამქრები მოცვიედენ, იქით ფრიდონს მოემატა მომხრეები და შეიქნა ქალების კივილი.

მალე თემი შუაზე გაიყო.

გამოდმელებმა, აზნაურებს გარდა, მოსიას მხარე დაიკავეს, ხოლო გაღმელებმა ფრიდონს დაუწყეს გამხნეება.

შეწყდა სიმღერა.

არღნის ხმა.

ისმოდა მხოლოდ ქალების კივილი, მოდავეთა შეძახილი და ჩამავალ მზეზე ლაპლაპი გაპქონდა ხმალ-ხანჯლებს, რომლებთან ერთად აქა-იქ კეტებიც აიშართა.

გამოჩნდენ გამზავებელნიც, მაგრამ ვერაეინ შესძლო თემის დაწყნარება.

ვილაკას მოსიას მოქნეული ხმალი მოხედა.

მეორეს კეტმა თავი გაუტება და ყველაფერი აიორია.

გაცოფებულმა მოსიამ გზა გაიკაფა და ფრიდონისაკენ გაეშურა, მაგრამ უცებ მათ შუა კესო ჩადგა და შემართული ხმალი მოსიამ ჰაერში შეაგერა.

ფრიდონმაღ დახარა თავის ადლიანი ხანჯალი და ცოტახნის ჩოჩქოლის შემდეგ ჩხუბი ვათავდა.

დაჭრილი აღმოჩნდა გაღმელი, ხოლო თავვატეხილი გამოღმელი.

სამიში ჭრილობა არც ერთს არ ჰქონდა და ორივე მხარე გაქვიტებული დარჩა.

სადლაე არღანი ისევ დაუკრეს.

არღანს სიმღერა მოყვა და თემი მთვარის ამოსვლამდე არ დაშლილა.

VI

— გამიშვით ჩემთვის, ხო ხედავთ დღე-და-ღამე ვირჯები. ბევრია თუ ცოტა, ოჯახს დოვლათს ვმატებ. ი ჩემი ძმა აქეთეკნ არც კი იხედება. მერე მოვა

და ყველაფერზე ლარს დამიდებს. მაშინ უსიამოვნობას ებღაშა მშვიდობიანად გაყრა სჯობია. შეიძლება მარტო ცხოვრება უფრო გამიჭირდებოდეს, მაინც ცალკე ყოფნა მირჩევნია.

გაუბედავით უთხრა ნაგიორგობებს თეოფილემ მშობლებს და პასუხის მოლოდინში ქალამნის წვერით სოხანეს ჩიჩქნა დაუწყა.

გაოცებული მიქელა და ანუსი ერთხანს გაშტერებულნი შეცქეროდნენ ხან ერთმანეთს და ხან თავდახრილ თეოფილეს.

გარეთ გაზაფხულის წვიმა თქეშათ მოდიოდა და ქექა-ქუხილი ყველაფერს ახანზარებდა.

მარო ბებიას ეჯდა კალთაში და ყოველ გრუხუნზე შეშინებული მყერდებოდა.

გაწუწული ქათმები დერეფნის ერთ ყურეში შეკრებულნიყვენ, ხოლო მათ ახლო წინა თათებში თავნარგულ ბომბორა შურას ოდნავ თვლემდა.

ეფროსინეს მეტი ყველა დერეფანში იყო.

თეოფილე ჯირკზე იჯდა და კვლავ მიწას ჩაპყროკიტებდა.

მიქელას თანდათან სიფითრე შეეპარა და თვალბში ნამი ჩაუდგა.

მან პირველი რძლის მაიკოს შეკერილი ქისა ამოიღო, აკანკალებული ხელით თავი მოუხსნა და ყალიონი შინაური თუთუნით გასტენა, შემდეგ ტალს აბედის ნამცეცი დაადო და კვესი გაპკრა.

ახროლებული აბედით მიქელამ ყალიონი გააჩაღა და პირიდან ბოლის ბოლქვით აფუილებით წყნარათ წარმოსთქვა:

— რავე ერთბაშათ შეიხსნა ამ ცამ პირი. ყანები ხელმოორეთ დასახნავი გაგვიხდება, ეს ნიაღვარი ერთ ბელტსაც იღარ დატოვებს ჩვენს კორტოხ ყანებზე, ღმერთმაც რო სულ ხელი აგვადო?

ანუსი გააკვირა მიქელას ასეთმა სიშვიდემ და ლაპარაკმა, მაგრამ თანვე გრძნობდა მის დაგუბებულ ბოლმას და გულისტკივილს.

თეოფილე არ შერხეულა. მამის კილოში მანაც იგრძნო დაფარული მწუხრი და თავის განზრახვის გამოუმტყაფნება ინანა.

ცოტა სიჩუმის შემდეგ მიქელამ განზე ყრუთ იკითხა:

— რა თქვი შეილო? კარგათ განაგებები რა გიძევს გულში, გაეფიქრე გიტეხილი სჯობია! ვატყობ სიბერე მიწწარდება, მარა რა უყო, ყველაფერი ღვთის ნებაა! ჰო, სთქვი რაცბა გინდა, რავე დამუხჯდი შე კაცო!

თეოფილე უცნაურათ აწმანურდა და ენის ბორძიკით განიმეორა ნათქვამი.

— უი, ღმერთო მომკალი, რა ესმის ჩემ დასაფსებ ყურებს. ვაი ჩვენს მოხუცებულობას, ბიჭო, სამითხოვროთ გევიშობ, არ გრცხვენია?

ატირდა ანუსი.

— არ მეგონა შეილო თუ ასე გაგვიჩრავდი, სწორედ არ მეგონა! შე კაცო რა ვაძიულებს გაწყობილ ოჯახის დანგრევას, ყველაფერი შენი არაა? ჩვენ ორი დღის ფობიალი დაგვრჩენია და რატო გინდა შენს უმადურებს ძალებით ამოგვხდეს სული!.. მთელი სიცოცხლე იმის ფიქში ვიყავი შეილუმს მევესწრები და ცოტას ვავიხარებთქო და ახლა სოფლის სამოწყალოდ მიხდი საქმეს?

რატო შერები ამას! მართალია კი გაგეტყვას ცხოვრებამ, მაგრამ ვერაფერს ისე დავრდომილები ვართ, სულ შენ დაგაწვეთ კისერზე. თუ მოსიაზე ანბობ, იმას რათ უნდა შენი ნაოფლარი! ეთქვათ აილო ნამუსზე ხელი და თანაბარი წილი ნეითხოვა, შენ გონია მე კი მხარს დაუქერ? არა შეილო, ბრმა კი არა ვარ, ქე ვხედავ შენს მუყაითობის. დარწმუნებული ვარ არც მოსია შეინდომებს შენს შობილებულს. შო და ერთი მითხარი, რილასთვის გვიპირობ გაყრას, ა? თუ მამა-შვილობა გწამს აწი აღარ მითხრა მაგისტანა სიტყვა. ამეიფხივე გულიდან მი ახრი და ვიციხოვროთ, როგორც აქამდე ვყოფილვართ. თუ მაინცდამაინც გწა-ღია ჩვენი გაბუდღურება, ჯერ სამარე გაგვითხარე და მერე რაიც გერჩიოს იგი ქენი!

თეოფილეს აღარაფერი უთქვამს, ის წელმოწვეტილი ადგა და სახლში შევიდა.

— ცოლმა ვადარია, ცოლმა, თვარა ყოველთვის ჩვენი მორჩილი და თვინიერი თეოფილე ასე რაღა გაგვიმეტებდა! რატო ის დღე არ დეიქვა, როცა მაგან ჩვენს ოჯახში ფეხი შემოდგა. ჩვენი მამებელი ამის დედა იყო, მარა...

აწუწუნდა ანუსი.

— ნუ იცი ქალო დოჯვირებული როშვა, არ გეიგონოს!

უსაყვედურა მიქელამ ცოლს.

თეოფილე ამის შემდეგ აიღერლა—გული აღარაფერზე მიუდიოდა.

მალე თეოფილემ ტყიბულის მალარობებში დაიწყო მუშაობა. ის მარტო შაბათ-კვირაზე ამოდებოდა შინ და საოჯახო საქმეები სულ მიქელას დააწვა.

მიქელა ჯანს არ იზოგავდა, ოღონდ თვისი გაწყობილი ოჯახი არ დან-კრეოდა.

შუა კვირაში მოვლოდნელად მოსია ეწვია მშობლებს და ქალის შერთვის სურვილი გაუმღაენა, თან გაკვრით თქვა ვის შერთვასაც აპირებდა.

მიქელამ დიდიხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა:

— შენი გუნების საქმეა შეილო, მარა მაინცდამაინც მე არ გირჩევ აზნაურის ქალის შერთვას. ისინი სხვანაირი მოდგმისანი არიან, ვერ შეეგუები. ვალა-ტაკებული მამამისი და მისი ნათესავეები ყველაფერს ჩაგინთქავენს. სვავეები არიან შეილო, იფიქრე კიდო კარგათ.

ანუსიამაც ასეთივე შიში გამოთქვა და დაუმატა:

— აზნაურის ქალი საოჯახოთ არ ვარგა შეილო, არც მე მიკადრებს დე-დათ, მარა შენ თუ კი გამოგადგება, როგორც იქნება შევეწყობი.

მიქელა და ანუსი მოსიას გადაწყვეტილებამაც საგონებელში ჩააგდო, მაგ-რამ მეტი ვეღარაფერი უთხრეს, ისე გაბრუნდა მოსია იმავე დღეს.

იმ ხანებში სოფელში თურქული გაჩნდა და მიქელამ ხარები მაშინვე გაპ-ყიდა.

მოსავლის მოწვევისას, როცა სენი თითქმის სავსებით მოისპო, მიქელამ იყიდა მოზერები და ურემს უღელი გამოუცვალა.

შემოდგომის ერთ ცივ დღეს, ალიონზე, მიქელა ჭიშკართან იასაულმა გაი-ბმო და მამასახლისის განკარგულებით მთაში წაყოლა მოსთხოვა კანცელა-რიისათვის შეშის ჩამოსატანად.

— ჯერ ხეირიანად მოხერხები გახედნილი არ მყავს, უღელს უკბობენ და ტყეში როგორ წამოვიდე?

უთხრა იასაულს მიქელამ, მაგრამ შეატყო უარი არ გაუვიდოდა და შეუდგა მზადებას.

ამ ამბავმა მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა.

მიქელამ ძლიერ შეაბა მოხერხები უღელში, შემდეგ, შორი ახლო მდგარი ფეხწიშველა და თმიაბურძგენილი მარო, რომელსაც სუსხისაგან ლოყები ნაკვერცხლებათ ქცეოდა, ხელში აიყვანა და აკოცა.

ბავში რატომღაც ჩვეულებრივზე უფრო იღერსით შეხვდა ბაბუას და კისერზე მოეფსკენა.

მაროს ეშინოდა იასაულის და არ უნდოდა ამ საშიშ კაცს მისი საყვარელი ბაბუა გაყოლოდა.

აცრემლებული მარო ძლივ მოგლიჯა მიქელას ანუსიმ.

მიქელამ კიდეც ერთხელ აკოცა ბავშს, შემდეგ ანუსის რალაც დაუბარა, პირჯვარი გამოისახა და ხელნაზე ცალ ხელჩაიდებული მოხერხებს გაუძღვა.

— ფრთხილად იარე ბოშო, არაფერი მეიწიო!

შიაძახა ანუსიმ კმარს და ატირებული მარო ძირს ჩამოსვა.

— რა მოგეჩვენა გოგო, რა ჯანდაბა გაზღუქუნებს, ა? შეუტია ეფროსინემ და სახლისაკენ წინ გაიგდო.

— ნუ იცი ქალო, ბავშვის ასე გაწყრომა?

უსაყვედურა რძალს ანუსიმ და კიშკარის მოსახურათ გაეშურა.

მარო მთელი დღე უხალისოთ იყო.

უკვე მალად ვახშობამ მოაწია და მიქელა კიდეც არ ჩანდა.

გარეთ ნოტიო ქარი ქროდა.

ქარი კედლების ფალარალებიდან შემოქროდა და კერიას ახლო სამუფხა სკამზე დადგმულ კრაქის აღს დასაქრობად აფარფატებდა.

მარო განელებულ ცეცხლის პირას იჯდა და ძილ მორეულს თვალები ეკერებოდა.

— ნეტაი რა დაემართა ი კაცს, სადაა აქამდე!

შიშნარევი ხმით წარმოსთქვა ანუსიმ და თითისტარი უხალისოდ დაატრიალა.

— ჩემი ვაგებატონივით ბლუა და გაუბედავი, უარი რო ეთქვა, ვითომ რას უზამდენ! გუშინდელი გახედნილი ხარებით მთაში წასვლა ხუნრობაა?

წაიბუტუნა ეფროსინემ.

— შენც ერთი, ისე ლაპარაკობ თითქო არ იცოდე ჩენნი მანასახლისის ღჯუ ხასიათი.

ეფროსინემ ტახტის ერთ კუთხეში ძველი ლოგინი გაშალა და მაროს მიუბრუნდა:

— რამდი უნდა იჯდე გოგო ასე ბაციკუკუსავით, დაწეტი ჩქარა!

— ღმერთმანი არ მეჭინება!

თითქმის ვედრებით წარმოსთქვა მარომ და თვალები გუნგუნებდათ გა-
აბილა.

ამ დროს გაისმა ძაღლის ყმუილი:

— ვა-ვა-ვა-უუუუუ...

ყველას ციემა ერუანტელმა დაუარა.

ანუსის მატყლის ფთილა და თითისტარი ხელებში შეაშეშდა.

მარო წამსვე გამოფხიზლდა, ხოლო ეფროსენე ერთ ადგილს გაქვევდა.

— ვა-ვა-ვა-უუუუუ!

უფრო გაბმით აყმუილდა ძაღლი.

— ვაი და უი შენს თავს!

წამოიძახა ანუსიმ და წამოხტა.

მან სწრაფად გამოაღო კარი, საიდანაც დაქროლილმა ქარმა კრაქი ჩააქ-
რო და კვლავ საზარად გაისმა:

— ვა-ვა-ვა-ვა-უუუუუ!

ანუსიმ დაავლო ხელი კარების საურდულე ჯოხს და მთელი ძალით ესრო-
ლა დერეფნის ახლო წამოყუნტულ ძაღლს, რომელიც მაშინვე წამტუნით
გაიქცა.

ეფროსინემ ხის საყეკით ნაკვერცხალი აიღო, კრაქთან ახლო მიიტანა და
რამდენჯერმე სულის შებერვის შემდეგ კრაქს მოეკიდა.

— რაღაცა კი ანშბავი არაა ჩენს თავზე! ერთი პეტრიასას გადავალ, გე-
ვიგებ რამეს, ისიც ხი მიქელასთან ერთად წავიდა.

სთქვა შემობრუნებულმა ანუსიმ, შალი მოიხურა და წასვლა დააპირა, მა-
გრამ ერთბაშით ქარის ზუილი ხალხის ყაყანმა შეცვალა და მოახლოებულ უჩვე-
ულ ხმაურზე ანუსი კივილით გაიქრა გარეთ.

VII

მირიანს ეთაკილებოდა სიძეთ გლეხი და ისიც მიკიტანი, მაგრამ იმ გა-
რემოებამ, რომ მოსიას ხელცარიელი მიყავდა კესო, მოთოკვა მისი გოროზობა.

მაშვლებს მაინც ჭოქმანით ელაპარაკებოდა და გადაჭრილ პასუხს ვანგებ
ავგიანებდა, რომ ბოლოს მისი დასტური მოსიას დიდ ბედნიერებათ ჩეთვალა.

მირიანს მოქარგული ენით ელაპარაკებოდენ ფრიდონის მაშვლებიც, მა-
გრამ ფრიდონს აზნაურობის მეტი არათერი გააჩნდა და მირიანი ფიქრობდა:

— ფრიდონს ისევ მოსია სჯობია. ქალს კარგათ შეინახავს და ხანდახან
შეც ხელს გამიმართავს. ფრიდონი კი თვითონ შესანახია.

როცა უკანასკნელად მოსულმა მაშვლებმა მოსიას დავალებით, გადაჭრილი
პასუხი მოსთხოვეს მირიანს, მას შეეშინდა საქმე არ ჩაშლილიყო და დინჯათ
წარმოსთქვა:

— რადგან ასე მატანთ ძალას, მე აღარ ვერევი საქმეში. თუ ჩემი ქალი
ისურვებს, გაყვეს... მე თანახმა ვარ.

კესომ კი დიდხანია თავის არჩევანი მოსიაზე შეაჩერა და ფრიდონს უარი
შეუთვალა.



სათემოთ უკვე საცოლეთ აღიარებული კესო მოსიამ ქუთაისში დიპირა. კესო დედით ქუთაისში ესტუმრა შორეულ ნათესავს, ბრწყინვალე ბინადრობდა ოქროპირი.

მოსიამ დაიჭირავე საუკეთესო მეეტლე მელია და მეორე დღეს ნათხოვარ ტანისამოსში გამოწყობილი კესო, სასიდედრო და მათი მასპინძლის ცოლი, ეტლით მთელი ქუთაისი შემოატარა

დიდი რჩევის შემდეგ, გვეტაძის ოქროულობის მაღაზიაში იყიდეს ბეჭდები, ურმის ბორბლების საღებავის მსგავსი საყურეები, ყელზე დასაკიდი გრძელ ძეწვეიანი საათი, სამაჯური და ფარჩეულის შესაძენად ეტლი კემულარიას სავაჭროსთან ვააჩერეს.

ოქროულობის ელვარებით თვალზე აქრულებულმა და ფარჩის კაბების ჩაცმის სურვილით გაბანჯულმა კესომ მთელი ღამე ძილ-ღვიძილათ გაატარა.

მოსია თანდათან იმ რაინდით ესახებოდა კესოს, რომელზედაც ხშირად უოცნებია მას და უხაროდა რომ არჩეიანი კარგი გამოუვიდა.

ჯვარისწერას ხელი შეუშალა მთაში მიქელას დაღუპვამ.

ქორწილი საგაისოთ გადადეს.

მაღე დადგა ნანატრი დღეც და როცა მოსია 20 ცხენოსანი მაყრით ჭიშკარს მიადგა, მირიანს ელდა ეცა.

— ამდენ მიკიტანს რა ღვინო ეყოფა, ნამდვილი ვეშაპები არიან.

გაიფიქრა მან და ნაძალადევი სიხარულით სტუმრებს მიეგება.

მოყვრის ეზოში პირველად ცხენი მოსიამ შეაგდო და ჯირითის შემდეგ ცხენიდან პირდაპირ აივანზე შეხტა.

სიძის მაყრების გარეგნობამ და სითამამემ მირიანის სტუმრები ერთბაშათ დაჯაბნა.

მოსიას ამაღის უმეტესობას ისინი შეადგენდენ, რომელნიც ადრე მირიანს და მირიანის მსგავსებს საღამოს მიცემას ვერ უბედავდენ, მაგრამ ესლე მათი ბუნავის დასაყურებლადაც ლამობდენ.

მოსიასანები ამის უფლებას დღითი-დღე იპოებდენ და უკვე შეეძლოთ სააზნაურო ღირსებები ეყიდათ, ხოლო თვით აზნაურები იმ მდგომარეობაში ჩაეყენებოდათ, რომელსაც დროთა ცვალებადობის გამო დიდის ვაი-ვაგლახით თვითონ დააღწიეს თავი.

ამ უფლებით ისინი ხშირად ზედმეტათ ამყობდენ და მათი ლაღობა თითქმის შურისძიებას ჰგავდა, მაგრამ ვათავებდებულთა შესამუსრავათ მირიანის სარბიელზე მყოფთ გაბედულებაც აღარ შესწევდათ, რაშიაც ოქროპირი ამ დღეს კიდევ უფრო დარწმუნდა.

ოქროპირმა აგრეთვე იგრძნო რომ „დემოკრატიული იდეებით“ მასაც გაუჭირდებოდა ბრძოლა ახალი დროის აზნაურებთან, მაგრამ ეს „ყვრისცვალება“ ისტორიულ აუცილებლობათ მიიჩნდა და ასეთ მეტოქეობაში დემოკრატიზმის საფუძვლებსაც ხედავდა.

ამიტომ ოქროპირს სხვა აზნაურებივით სრულებით არ ეხამუშებოდა ახალ მოსულებთან მუსაიფი და ეკლესიაზე წასვლამდე მათთან უკვე მეგობრული ურთიერთობა დაამყარა.



ეკლესიაზე კი მოგვიანებით მოუხდათ წასვლა, მაგრამეკლესიაში ამისა გალაქანმა ტევა არ იყო.

ეკლესიის კარები დაკეტილი დახვდათ.

დიდი გამოკითხვისა და ყაყანის შემდეგ, გამოირკვა, რომ ღვდელი ჯვარის-წერისათვის წინასწარ თხოულობდა 15 მანეთს, ხოლო სანთლებისა და ღიაკონისათვის—5 მანეთს.

ტყუილა ვენდურით თურმე ჩვენს კიმოთე ხუცესს. ის სჯობნები იხევს სხვას!

— ერთი წყლისაა ყველა.

— ამისანა ჩარჩი მაინც არაა შე კაცო?

— რაღა ახლა ვახდა აეთ!

ლაპარაკობდნ მოსიას ნათესავები კიმოთეზე.

ღვდლის უქმებობამ თანაბრათ ააღლევა მაყრიონი, მაგრამ ზოლოს იძულებულნი გახდნ ეკლესიაში ჩაკეტილ ღვდლისათვის 2 წითელი ქალაღდის თუმნიანი გაეგზავნათ.

მაღე ეკლესია განათდა და კარები ვაილო, რის დროსაც ეკლესიაში აღრე შესვლის მსურველები ერთმანეთს ნიაწყდნ და შეიქნა ჯიკაე-ჯიკაე, მოხნეე-ბულ ქალების კაპასი და ახალგაზრდების სიცილი.

ყდა დაგღეგილ წიგნში ზელისმოწერის შემდეგ ნეფე-ღედოფალი შუა ალაგას დააქნეს და დაიწყო ჯვარისწერა.

ღვდელმა ჯვარისწერა ვანგებ გააქიანურა იმ მოსაზრებით, რომ ფულის სიხარბე კარგი ღვდელმსახურებით დაეფარა.

საყდარი გაჭედილი იყო და ხალხი ხმაურობდა.

მაკერალნი ასო-ასო სინჯადდნ ძვირუფასად მორთულ ნეფე-ღედოფალს და მოწონების ნიშნად, კესოს ზედის მონატრული გოგოები ერთმანეთს ჩქმეტდნ.

ღვდელი საჯვარისწერო ლოცვებისა და სავალობლების წარმოთქმის დროს ნახევარჯერ ხალხს უყვიროდა, სიწყნარე დაეცავათ, რაც კიდევ უფრო მეტ ხმაურს და რახრობს იწვევდა.

— მამო გავათათ!

წაუფურუნა ღიაკონმა ღვდელს, მაგრამ ის მაინც თავისის არ იშლიდა.

— რა მოეჩენა ნეტაი ამ ჩვენ ხუცესს, როდის უყვარდა ამდენი ლოცვა.

წარმოსთქვა ვილაკამ.

— სამი ჯვარისწერის ფული აილო და აბა ასე მაღე გაათავებს?

იხუმრა მეორემ.

ბეჭდების შეკვლა გახანგრძლივდა.

ზედანეს შესმის დროს კესოს წითელი ღვინის წვეთი გულზე დაუცურდა და კაბის გაფუჭება ეწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია და ღედის დაროგებისამებრ თავის სანთელი დაფრჩხილა.

ზოლოს როგორც იყო ღვდელმა კორძიანი ხმით დაიწყო:

— „ისაია მხიარული“.. და ნეფე-ღედოფალს სამჯერ წრე გააკეთებინა, შემდეგ გვირგვინები მოხადა, ამპიონზე აიყვანა, აღსაელის კარებზე დაკიდებულ ხატებს ამთხვია, სანთლები ჩამოართვა და წაღმა მოაბრუნა.

დაიწყო მილოცვა.

მარკინული

წორეული და აბლობელი ყველა ვალდებულათ თელიდაქმნის მსახურად გვარ-
დაწერილებისათვის ესურვა ხანგრძლივი ბედნიერება პირზე კოცნით.

როგორც იყო მოსიამ თავი დააღწია მოძალადე მოკეთებს და კესოსთან ერთად კარებისავე გაეშურა, სადაც მაყრები ხმლებს აჩახუნებდენ. ხმლებისა-
გან გაკეთებულ თაღში მოსიამ და კესომ მკლავში-მკლავ გაყრილებმა ღიმილით-
გაიარეს.

გარეთ გაბიჯებისთანავე მიკიტანმა გაბრიელმა ქუთაისში შეჩვეულ „გარა-
დავოსისაგან“ ნათხოვარი, ღორის კანქის ტოლა რევოლვერი იძრო და რამდენ-
ჯერმე ზედიზედ ისროლა.

ქალების კივილის გარდა რევოლვერის ხმას ორი დასტა ზურნა აყვა და
მაყრებმა სიმჩატე იგრძნეს.

გალაენის გადაღმა გაისმა მწყობრი მაყრული:

„მოვდივართ მოგვიხარიათ

„მოგვეყვს დედალი ხოხობი“...

მირიანის სურვილით სეფა სახელდახელოდ გაკეთებულ ტარაველში გაე-
შალათ, გარეთ, მწვანე მიწოდორში, რადგან მირიანს ეწინააღმდეგებოდა მისი მოძველებული
ქდეული ოდა სტუმრების სიმძიმეს არ ჩაენგრია. გარდა ამისა საამური ამინდი
იღვა და მასპინძელის განზრახვა ყველამ მოიწონა.

ნეფე-დედოფალი ჯერ სახლში შეიყვანეს და კარებთან გადაჯვარედინებულ
ხმლებს გარდა, გადმოპირქვევებული საინი დაახედრეს.

საინს ჯერ კესომ დაარტყა ფეხი, შემდეგ მოსიამ და საინი დაიფშვნა,
რაც იმას ნიშნავდა რომ კესო ქმრის მორჩილი იქნებოდა.

მოსია და კესო კარების პირდაპირ, კედელთან მდგარ მოგრძო მაგიდასთან
დასხდნენ. მათ წინ პატარა შანდლებში ჩაცობილი სანთლები ენთო.

პირველად ნეფე-დედოფალს დედობილ-მამობილმა თავზე გადააგდეს ღვთი-
შობლის ხატი, რის შემდეგ მალე მაგიდა აიესო თავზე გადააგდებულ ნივთებით,
რომლებშიაც ერია ვერცხლით მოპირული ქარვისფერი ყანწები, სამურაბე ტაშტი
უთო, საშაქრეები, დანაჩანგალი, კოვზები, სარკე და სხვ. ზოგი ფულით იხდიდა
მოვალეობას და ფერად თუნუქის უთში ეყარა ვერცხლის მანეთიანები, ათშა-
ურიანები და ცოტა წვრილი ფულიც.

ამასობაში სეფა გაიწყო და ნეფე-დედოფალი გაიწვიეს.

საინი შუა სეფასთან დასვეს.

ტარაველის შეფოთლილ თაღზე და სვეტებზე ეკიდა ნაირი ფერის ქალა-
ღის ფარნები.

სეფაზე კი იღვა სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ლამფები, რომელთა
შუქი პირსავეს და მოქათქათე მთვარის გამო მკრთლად კრთოდა.

ენამტყვერობისა და უფრო კი ღვინოში სისუსტისათვის, წესისამებრ დამ-
ხედურ მაყრებიდან მირიანმა თანადათ ოქროპირი დაასახელა და მასპინძელის
სურვილს ყველა დაემორჩილა.



ოქროპირმა ჯერ იუარა, შემდეგ მინიჭებული უფლებანი შემწყვდილა დაიწყო სადღერგძელოები. ოქროპირმა ცოცხალი და შინაარსის მქონე სიტყვების პირველად ადღერგძელა ჯვარდაწერილები.

მოხდენილად წარმოთქმულ ყოველ სადღერგძელოზე ზურნა ტუმს უკრავდა და მაყრები ლეინის სმის სურვილმა გაიტაცა, მაგრამ თამადა დიდ სასწილებს და ყანწებს ერიდებოდა.

— დაგვახრჩო წყურვილით ამ ოჯაქორმა. რათ გვინდა ცარიელი ლაილი. ლეინო გვასვას.

— გვარის მეტი მაგას სამაყრო არაფერი აქ!

ამბობდენ მოსიას მაყრები.

— ხელ ჩვენი ჯერია თამადობა და მაგათ ვაჩვენებ სეირს!

იქადნებოდა მოსიას მიერ სავანგებოთ და სათამადოთ დაპატივებული მეღვინე კოსტავა, რომელიც ნამდვილ რუმსს ჰგავდა.

კოტახნის შემდეგ თამადას არაფინ ემორჩილებოდა და ლეინოს თვითონ აძლებდენ ერთმანეთს.

— წყალწითელა რომ ლეინოთ იქცეს, ისიც არ ეყოფა მაგათ!

გაიფიქრა მირიანმა და მერიქიფეები სხვათა შეუმჩნეველად გაიხმო, შემდეგ მის ოჯახში ბავშობიდანვე შეზინული და თმა შეთეთრებული ივანე დაარბია თუ რომელ მერიქიფეებისათვის უნდა ეძლია პიშპილა გარეული ლეინო და კვლავ ოქროპირს მოუჯდა გვერდით.

ყანწები ხელიდან-ხელში გადადიოდა.

სიმღერას ზურნა ენაცვლებოდა და ერთპირი ტაში აღიზიანებდა მინდორში მოცეკვავეთ, რომელთა ლანდები მთვარით მოვერცხლილ და ცვარ მონაკურ მოლზე უცნაურათ დაქროდენ.

მათ დანახვაზე ლობეებიდან მოთვალთვალე ახლობელ და შორეულ მეზობლებსაც ტანი ერწვოდათ.

რაც დრო გადიოდა, კესოს უფრო ძალუმათ უფართქალებდა გული და ბანგ შესმულივით ნამავდა თვალებს.

კესოს ცხოვრებაში ეს ღამე სამანი იყო, რომლის იქით რჩებოდა ბავშობა და ფრიდონი.

— საწყალი ფრიდონი!

ვილაქამ ჩასახა კესოს და ფრიდონისადმი სიბრალული იგრძნო. ამ დროს ატყდა საინების ჩხარუნი, რომელიც ძლიერდებოდა და მექორწილენი ერთხმად იძახოდენ:

— გორკა... გორკა...

მოსია უცნაურათ იშფუშნებოდა, ხოლო წითლათ ლოყებ ატყცილი კესო თავის აწევას ვერ ბედავდა.

როცა მექორწილეთა სურვილი ყოფინათ იქცა, მოსიამ ჭალს დასტაცა ხელი და ტუჩებში აკოცა.

მოსიას გაბედულებას ქუბილივით ვაშის ძახილი მოყვა და ლხინი გაცხოველდა.

— რაფერ გამივირდა შე ქალო, რა ჯანდაბაა ეს გოჭკმა მსმტყმტყმტყმული რო იბახის ყველა მეთქვი, თურმე კოცნა არ ყოფილა?

— სულ დაკარგა სირცხვილ-ნამუსი ხალხმა, ასე აშკარად ხვევნა-კოცნა გაგონილა?

— არა გენაცვალე, ნამეტანი გაცუცურაკდა ყველაფერი, ნამეტანი!

— აი დალახეროს ღმერთმა მაგათი თავი, მეც რო შემაკდინეს, იმდენი ურტყი დანა საინს გონია ქვეც გავტებე, რა ვიცოდი თუ ასეთ უხიაგ ანბავს ენახავდი.

პუტუნობდენ სოფლელი ქალები.

— კაცო ჩემი ედუკიაზა ლოგინში ვერ მიკოცნია გაბედულათ და ამ მოსიამ ეს რა ქნა, იკურთხა ღმერთო შენი სახელი!

— მაი არაფერია. ნეტაი სხვა რამეს არ იზამდენ ჩვენ თვალწინ და...

ხუმრობდენ გლეხები.

მალე მოსიას მაყრებს ღვინო აღარ ეკაწნიკათ და შეიქნა თვალით ნიშნება, ექვის მარწმუნებელი ღვინის წრუტვა და ფტუნა.

— მიკიტნები არიან, მაგათ ღვინის გემოში ვინ მოატყუებს, მაგრამ აბა გაბედონ რამე!

გაივლო გულში მირიანმა და ქალიშვილის მაყრებს გადახედა.

პიშილით შიგან გახურებულუბმა მართლა ვერაფერი გაბედეს ჯერ, მაგრამ ჯინაზე ღვინის სმას კი მოუმატეს.

მთვარის გადაბრისას, კესოს დედამ ქიონიამ შეიღს სიყვარულით შეხედა და იღვა.

— ამ ქალის დაბერებას რო არაფერი ეშველა, გინახავს ბენა ამისთანა?

გადულაპარაკა ერთმა სტუმარმა ქალმა მეორეს და ნელი ნაბიჯით მიმავალ ახოვან ქიონიას თვალი გააყოლა.

ქიონია დარბაზში გავლით სანთიობოში შევიდა სიძე-შელისათვის პირველი ღამის ლოგინის გასაშლელად.

სანთიობოს წარმოადგენდა სახლის უკანა აივანის ერთ კუთხეში მარშან კესოსათვის გაკეთებული მომცრო ოთახი.

ქიონიამ შესვლისთანავე კესოს დაფრჩხილული სანთელი და სიძის ხელში ნაჭერი სანთელი ერთმანეთს დაატოლა, იმის გასაგებათ, თუ რომელი უფრო იყო დამწვარი.

მოკლე აღმოჩნდა მოსიას სანთელი და ქიონიამ დაასკვნა, რომ ცოლზე ადრე ქმარი მოკვდებოდა.

შემდეგ მთვარის შუქით განათებულ ოთახს თვალი მოავლო და შესდგა.

ქიონიას დიდხნის წინათ განკდილი სურათი ცხადათ გამოეხატა და საამო ერთანტელმა დაუარა.

მოგონებით მოღვენთილ ქიონიას თითქმის შეეშურა შვილის ბედნიერება და აღრინდელი ცინით შეპურობილი ლოგინზე ჩამოჯდა. მის მოღუნებულ ძარღვებში განახლებულმა სისხლმა კვლევ ჩქროლვა იწყო და ისე დაეხეა ბრუ,



როგორც მაშინ, როცა მირიანმა პირველად შეალო მისი ოთხეჭყეჭეჭა ღი-
ლები შეუხსნა.

მაგრამ ქიონიას ეხლა მირიანი არ უნდოდა.

მისი გული უცხოთან, მირიანზე ჯანიანთან შეთვისებას სურებდა და
ახალგაზრდული ძალით სცემდა.

ქიონია თითქო ელოდა ამ უცხოს, ისე ალტკინებით მიაპყრო თვალები
კარებს და მის გასაოკათ კარი მართლა გაიღო.

— პიპილა გამოგველია, იქნება გაქვით სადმე შემონახული ქალბატონო!
კრძალვით წარმოსთქვა მოჯამიგირე ივანემ.

ქიონია პასუხის ნაცვლად წამოხტა, კარები გადაარაზა და ივანე მკლავებში
მოიმწყვდია.

— ჰა, აისრულე ოცი წლის წადილი!

წაჭურჩულა ქიონიამ დაბნეულ ივანეს და გაფიცებული ტუჩები ტუჩებზე
დააკონა.

ღვინო მოჭარბებული ივანე ერთბაშით გაათამაშა ქალის სიახლოვემ და
თავის ნაჯაფარი, რკინისავეთ მავარი ტორებით ქიონია ბავშვივით აიტაცა და
ლოგინისაკენ წაიყვანა.

თავდავიწყებულთ უეცრათ მოესმათ თოფის ხმა და კივილი.

გონზე მოსული ივანე მაშინვე გარეთ გამოეარდა და აიენიდან გადახტა.

ქიონია კი დიდხანს ვერ გამოერყვა, მაგრამ როცა კივილი და ყვირილი
გამლიერდა, სასწრაფოდ კაბა გაისწორა და დარბაზი სიბრძლით გაიარა.

წინა აივანზე გასულს მოესმა:

— არ გაუშვათ, არ გაუშვათ...

— რა ამბავია!

არა ჩვეულებრივი და გამკიფანი ხმით გადასძახა აფორიაქებულ სტუმ-
რებს ქიონიამ.

— მოსია მოკლეს...*

უპასუხა ვიღაცამ.

— ნამდვილად ფრიდონი იქნებოდა!

გაუეღვა ქიონიას და შეცხადებით კიბე ჩაირბინა.

გაგრძელება იქნება.

ს ჯ ა გ ლ

დასასრული *)

XXI

ის იყო ბარგიო დატვირთულმა კაციამ ცალი ფეხი შესდგა ვაგონის ასასვლელზე, რომ ორმა გარეგნულად სრულიად უიარაღო კაცმა იგი უცბათ შეაჩერა და საბუთები მოსახოცა.

— წამობრძანდიო!

ცივი, დამარწმუნებელი კილოთი წარმოსთქვა იმან, რომელიც კაციას მიერ წარდგენილ საბუთის ქაღალდებში იქექებოდა, და საქმიდან თავის აღუღებლად წაუძღვა წინ ამ მოულოდნელი შემთხვევით დარეტიანებულს კაციას.

მეორე პირიც კაციას უკან აედევნა.

იქვე სადგურის ერთ-ერთ ოთახში მოთავსებული იყო, საკომენდანტოსთან ერთად, საგანგებო კომისიის რწმუნებულის ბინა, სადაც შეიყვანეს დატყვევებული კაცია.

— საპასუხისმგებლო საქმეზე მივეშურები და ჩემმა აქ დაკავებამ შესაძლოა დიდი ზარალი მიაყენოს საქმეს, რომელზედაც მე, როგორც ხედავთ, საესებით შესაფერი რწმუნება მაქვს.

მიყვა-მოყვა საქმიანი ტონით კაცია, მაგრამ, საფიქრებელია, ქვის ცივი კედლები უფრო თანაუგრძობდნენ მას ამკამად, ვიდრე ისინი, რომელთა ხელშიც ბედმა ის ჩააგდო.

სადგურშივე ჯერ გულმოდგინეთ გაჩხრიკეს კაციას ბარგი და ტანისამოსი, რის შემდეგაც სითანაღო ოქნზე მას ხელიც კი მოაწერინეს.

ამ პროცედურით საკმაოდ თავმოებზრებულ კაციას ეგონა: აი, ახლა კი განმანთავისუფლებნო, რადგან უკვე მეორე ზარის ხმაც გაისმა და, საცა იყო, მატარებელიც უნდა დაძრულიყო ადგილიდან... კაციას გული ელეოდა, მაგრამ მისი ბედ-იღბლის განგებლებს აჩქარებისა და აღელვების ნიშანწყალიც კი არ ემჩნეოდათ. ყველა ამ ხნის განმავლობაში ფეხზე მდგომ კაციას იქვე მის ახლო, ცალიერ სკამზე დაჯდომაც კი არაეინ მოაგონა.

კაციამ ერთი პირი უკვე გადასწყვიტა სკამზე ჩამოჯდომა და ჩამოსვენება, მაგრამ მეტრისმეტად ეჩქარებოდა და უკვირდა, თანაც უმძიბდა ის, თუ რისთვის არაეინ არ თანაუგრძობდა მას ამდენ მოღუსტუსე იდამიანში.

ოთახში ვიღაც-ვიღაცეები მაღი-მალ შემოდიოდნენ თუ გადიოდნენ. ერთ ადგილს გაკაიპებულ კაციას საუკუნოებათ ეჭვენებოდა ეს უტყვი, უგულო და გამალეებული მოძრაობა.

*) იხ. ჟურ. „მნათობი“ № 4.



მატარებლისთვის მიცემულმა ჩვეულმა სანიშნო ხმებმა მსჯელობის საფასზე კაციას უიმისოდაც აღშფოთებულს გონებდას. ამ წუთში ის მსხდომისკენ მიმავალი თავე დაეძვრინა და ფეხ-აღვმულ მატარებელს შებრამოდა, რომ ეს იარაღიანი მცველი არ ყოფილიყო მის წინ ცივი კედლეებით აყუდებული.

მცველი კაციას მოუყენეს ჩხრეკის მოთავებისთანავე.

კაციას სასურველი მატარებელი უკვე სადგურს განშორდა. დატყვევებული ამგამად უკვე იმის მოსაზრებაში იყო, თუ როგორ უნდა შეემოწმებინა მას ნაკიდი ბილეთი, რათა ის არ გაყალბებულიყო შემდეგი მატარებლისათვის მაინც, რომელიც, კაციას აზრით, მეორე დღემდის მაინც აღარ გავიდოდა სასურველ მიმართულებით. როგორ უნდა ელოდნა ახლა მთელი დღე და ღამე ან რამდენი ზარილის მოტანა შეეძლო მისთვის ამ შემთხვევით ერთი დღე და ღამის საქმეზე მოცდენას. დღევანდელ დღემდის მგზავრობის მოტანაც კი ხომ უიმისოდაც უკიდურეს ვადას წარმოადგენდა, კაციას აზრით. მაშ, რა უნდა მოაქვეს ახლა ამ გამგზავრების კიდევ ასე ერთი დღით შეფერხებას?..

ახალ საზრუნავთან ფიქრებს შორს წაეტანა კაციას ოცნება... ამით სიმძიმე და სიმწვავე გულს რამდენიმეთ შეუშსუბუქდა კიდევ. ოცნებამ იტვირთა ეს შემსუბუქება, მაგრამ ოცნებასაც ხომ სახლგარი აქვს.

ჯერ ამ მიჯნამდისაც კი არ იყო მიღწეული კაციას ოცნება, რომ იგი მოულოდნელად გააფანტა სრულიად ახალი ორი შეიარაღებული ადამიანის მის იქით-აქეთა მზარეზე გამოჩენა.

— მოაყევით!

ცივად მოუჭრა ერთმა იმათგანმა კაციას და ოთახის კარებისაკენ გასწია. ვაგონებულ კაციას თითქოს უნდოდა რისილაც თქმა, მაგრამ ათასი ფანტასტიური რამეების გაგონებამ სავანებო კომისიის ხალხზე მას ეს სურვილიც ჩაუქრო და სიტყვის უთქმელად გააყვა მოწინავეს.

ბარგით ხელში საცოდავით მოკუნტული კაცია ძლივს-ძლივობით მილასლასებდა წინ, სადღაც, გაურკვეველი სივრცისაკენ.

წინიდან რომ ეს გაურკვეველობა აწუხებდა, უკანიდან მოახლოებულ სიკვდილის ცივ სუნთქვასავით გრძობდა ის მეორე იარაღიანი თანამგზავრის სიახლოვეს.

თავაქანდრული მიდიოდა ამ ორ იარაღიანთ შორის მომწყვდეული კაცია და ფეხებს უაზროთ მილაჯებდა, რადგან აზრსა და გარკვეულობაზე ყოველივე ფიქრიც კი გაწყდა მის თავში. იგი მხოლოდ მკერდზე ხელს ინსტიკტიურად იღებდა სწორედ იმ ადგილს, საცა გული მისი იღეოდა, დნებოდა ცხელ ტაფაზე დაგდებულ ქონივით. ახლა კაცია მხოლოდ ცდილობდა ამ დანადრობის შეჩერებას, მკერდის ხელში ჩაბლუჯვით იმის ისე თავეს მოყრას და დაშლილ-დანაწილებულის ისე ერთმანეთზე შედუღებას, შემრთელებას.

სავანებო კომისიის შენობაში არც კი ვისმე უკითხავს კაციასათვის: ვინ ხარ, საიდან ხარ, რა საქმეზე დაქვრიდი, რისთვის, რატომ?.. აიღეს და მოათავსეს ერთ ბნელ ადგილას, ხოლო იქ, კარებს იქიდან თითქოს მაკრატლით გადასჭრეს გარემო ქვეყანასთან მისი შემაერთებელი უკანასკნელი ძაფები...

იოსებამ მიუტანა აჯაბოს კაცის დატყვევების ამბავი. მან თავის ძვალთ
ნახა, თუ როგორ გამოემწყვდიათ კაცია შუაში ორ შეიარაღებულს და
როგორ მიჰყავდათ ის სადღაც.

კოტა ხანს უკან „ჩითახოც“ გამოჩნდა სარდაფის ხერხელთან. მეგობრები
ერთმანეთს პირზე ცბიერი, რალაც შრავალნიშენლოვანი ღიმილით მიეგებენ
და, ჩურჩულით მკირე წამუსაიფების შემდეგ, თავის გზით წაიღ-წამოვიდნენ.

აჯაბომ თავზე ქუდი მოირგო და სარდაფიდან ზევით ამოვიდა. არც კი
დაუბარებია რაიმე მსახურისათვის, ისე მიატოვა იოსებას ამარა თავისი აქამ-
დის ერთი წუთითაც კი განუყრელი სავაჭრო.

ერთგულმა მსახურმა თავის მხრით მწყლობელი კაცისადმი აჯაბოს გა-
დაქარბებულ ერთგულებადაც კი ახსნა აღის მიერ ასეთი გულშავიწყობისა და
უჩვეულო დაუდევრობის გამოჩენა.

და ერთს წუთს თავის პატრონზე ყოველგვარ იმედ-დაქარგულმა იოსებამ
უცბათ თავი ბედნიერად იგრძნო, რახან ბოლოს ეს ერთი კეთილშობილი თვი-
სება რომ მაინც აღმოაჩინა მან თავის აღაში.

XXII

ჩვეულებრივ კარებზე არც კი დაუჯაკუნებია, ისე აჩქარებით შეაღო კა-
რები აჯაბომ და უსიღათ შეიჭრა კაცისა ბინაში, რის გამო, სალომეს გაოცე-
ბაც კი გამოიწვია.

მაღე გაოცება მწუხარებათ შეეცვალა საბრალო ქალს, როცა მას აჯაბომ
თითქმის ქლოშინით გადასცა ამბავი კაცის დატყვევების შესახებ.

— ვაიმე, რალა მეშველება ახლა-ო, სასოწარკვეთილებით წამოიძახა ქალმა,
სახეზე ნაცრის ფერი გადაედო, მუხლები აუკანკალდა და იქვე მაგიდასთან
მდგომ სკამში ჩაიკეცა.

აჯაბომ დამწუხარებულ ადამიანის თანაგრძნობელის როლში შესულივით
ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლიანებულ სახეზე ნერვიულად მიისვ-
მოისვა.

— როგორც ვადმომცეს, ჩეკას დაუტყვევებია... აღბათ, ზეიდან თუა
რაიმე ცნობა...

გაუბედავით და რალაც უსიამოვნო ღოღონით წარმოსთქვა აჯაბომ, თავი
მოიშიშვლა, ზედ ოფლის ცვარები ცხვირსახოცით მიიმშრალ-მოიმშრალა, ბუხ-
რის ქუდი ხელის გულზე დაიბლერტა და ისევ დაიხურა.

ჩამოვარდნილი უხერხული სიჩუმე ისევ აჯაბომ დაარღვია.

— რაზე საეჭვო ხომ არ აქვს, ნეტავი, იქ?!

რალაც შემპარავი კრძალვითა და რიდით შეეკითხა აჯაბო უიმისოდაც
გაოგნებულს ქალს და ხელი ოთახისაკენ ვაიშვია.

— რა უნდა ჰქონდეს, აბა, რა ვიცი!..

იყო კიდევ უფრო მეტ საგონებელში ჩამყენებელი სალომეს გაურკვეველი
პასუხი.

— კოტედან ხომ არაფერი ცნობაა?



უცბათ და თითქმის სრულიად შემთხვევით დასვა აჯაბობის ცხელი კიდე უფრო მეტად ამაღლელებელი კითხვა.

— კიდეც ამას არ ვჩივი? აგერ თითქმის კვირაზე მეტია, რაც არაფერი არ ისმის. უწინ კვირაში ორ-სამხელ თუ არა, ერთხელ მაინც მოდიოდა წერილი. წერილს რომ დაავიანდებოდა, დეპეშითაც გვეითელიდა ამბავს... ახლა კი... ვაი, რა ვიცი, რა უბედურებაა ჩემს თავს!..

და ცრემლებ-მორეულმა სალომემ შუბლზე ხელი შემოიღვა.

სიჩუმე ისევ აჯაბომ დაარღვია...

— ვინ იცის, იქნება გასახზრეკადაც კი გეწვიონ აწი...

ბატონო, თქვენ არ შეშინდეთ... ბიჭს გამოვიგზავნით, იოსებას, თუ საჭირო იქნება...

— არა, შენი ჭირიმე, რა საჭიროა, ამაზე უარესი რაღა უნდა დამემართოს. მოვიდენ და, რაც უნდათ, იგი ქან...

ეტყობოდა, რომ გამოცდილმა დისახლისმა უცბათ გონება მოიკრიბა, სინამდვილეს უფრო გაბედულად შეხედა ღია თვალში, სკამიდან წამოდგა და სტუმარს აგრძნობინებდა, რომ თითქოს საითკენღაც სასწრაფოდ წასასვლელად ემზადებო.

ქალის ასეთი ქცევა აჯაბოს უკვე წასვლის ნიშანს აძლევდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ეს უკანასკნელი ამაზე არც კი ფიქრობდა.

ცოტა ხანს ასეთ უხერხულ მდგომარეობაში დარჩენილმა აჯაბომ ბოლოს, დიბლომატიურად ხმის დადაბლებით და განზრახ გაუბედაობის ჩენით, შემდეგი წარმოსთქვა:

„ყოველი მოსალოდნელობის თავიდან ასაშორებლად, იმ „დუქნის ქალაღებს“ რომ მაინც დროებით სადმე გადავმალავდეთ, მკონია, აჯობებს“.

„დუქნის ქალაღები“—ეს აჯაბოსა და კაციას შორის არსებული საბუთები იყო, საიდანაც სჩანდა, რომ ღვინის სარდაფი ნამდვილად კაციასი იყო, ხოლო აჯაბო შიგ იდგა, როგორც საქმის მწარმოებელი და შემოსავლის მხოლოდ განსაზღვრული ნაწილის მოზიარე. ამ საბუთებიდანვე სჩანდა, რომ „თავნი“, ასე ვსთქვათ, კაციასი იყო, მხოლოდ „ნამთავნი“, ე. ი., მოგება, ხარჯების გამოკლებით, კი—ორივესი. ხოლო, რომ კიდე ვინმესგან სადავოდ და საცილოდ არ გადაქცეულიყო საერთო დუქანი, საზოგადოება—„ღვინო“—დან მიღებული ჭურჭელი, ღვინის გადატანის შემდეგ, კაციამ ისევ საზოგადოებას დაუბრუნა, რაც საუცხებით ჭეპარავდა იმის კვალს, რომ სარდაფში მოთავსებული ღვინო ოდნემე საზოგადოება—„ღვინო“-ს კუთვნილებას შეადგენდა...

ამ რიგათ, საბუთების გარეშე, აჯაბო ფორმალურად სრულიად თავისუფალი ხდებოდა ყოველგვარი პასუხის მგებლობისაგან კაციასი და მით უფრო კიდეე—საზოგადოების წინაშე, ვინაიდან ამის შემდეგ ის ფაქტიურად გამოდიოდა სარდაფის ერთადერთ ბატონ-პატრონად.

— რა ვიცი, გენაცვალე, ქალაღები ჯეგლა აგერ არის, დი მე, აბა, სადა მაქვს ახლა იმის გარჩევის თავი, თუ რომელი რაა?!

რეტ-დასსმულივით წამოიძახა სალომემ საცხებით გულუბრყვილოთ, რის შემდეგ, სრულიად ანგარიშ-მიუცემლად წამოდგა და მეორე მხარეს შექცა.

აჯაბო ყოყმანობდა, არ იცოდა: უფრო გაბედული ჩემთვის მისტელიყო უმწივოთ დარჩენილ ქალზე, თუ ისევ განეგრძო თავისი დიპლომატიური ხრიკები.

ეს ყოყმანი და რყევა ოთახიდან მალე ისევ უკან გამობრუნებულმა სალომემ გაძვანტა. მან თან გამოიტანა მთელი დასტა ქალაღდები და აჯაბოს წინ მაგიდაზე დაუყარა.

აჯაბომ ძლივს მოახერხა სიხარულისაგან აღელვებული გულის საბუდარში შეტერება. აქანკალბებული ხელებით ეცა კონას, გახსნა და იქიდან, მცირე ხნის შიგ ქვეის შემდეგ, ამოაძრო სასურველი საბუთი. რათა საუცუნოთ გაექრო ქალში ყოველგვარი იქვის შესაძლებლობაც კი, აჯაბომ ქალაღდი ისევ სალომეს გაუწოდა, თხოვნით, რათა ამ უკანასკნელს იგი სადმე საინედო ადგილს გადაემალა.

ყველა ვასაპირთა ერთბაშად თავს დატუების გამო, გაბრუნებულს სალომეს ამ უამად არც კი შეეძლო ფიქრი იმაზე, რომ აჯაბო ყოველივე ამას განზრახ სჩადიოდა, რომ მის წინაშე აჯაბო კი არ იდგა ამ უამად, არამედ აჯაბოს ტანისამოსში გამოხვეული შხანიანი ქვეწარმავალი, რომელსაც არა ერთი მსახვით გულუბრყვილო არსება დაუტყენია ამ ქვეყანაზე სასიკვდილოთ.

— არა, შენი ჭირიმე, მაგისი თავი აღარ მაქვს ახლა—მოკლედ უბასუხა შექმნილი მდგომარეობით გულ-გაწყალბებულმა ქალმა, დანარჩენი ქალაღდები სასწრაფოდ შეახვია, შეპკრა და ისევ მეორე ოთახისაკენ გააქანა.

უკან გამობრუნებულმა სალომემ ანაზღათ ოთახიდან აბარებულს აჯაბოს, კარებში გამავალს, ძლივს შეასწრო თვალი. ასე უჩვეულო ამქარებით გატრიალებულს სტუმარს გულუხვისა და გულუბრყვილო დიასახლისისათვის გამომწვიდობებაც კი ველარ მოეხერხებინა, თითქოს მისი ასეთი თავდავიწყება საერთო ინტერესით ყოფილიყვეს გამოწვეული და იმავე მიზეზით გამართლებული კიდევ.

ნამდვილად კი შხამისაგან დაცლილი ქვეწარმავალი ახლა უკვე იოლი გარჯევებით მოპოებულ სიხარულისაგან გულის გაძლიერებული ტოკვით მიეშურებოდა... მიეშურებოდა კი არა, პირდაპირ მიფრინავდა და მისლინავდა მკბინავ ყბებში ახალი შხამის დასაგებად, კვლავ ახალი სიამისათვის ახალი ძალღონის მოსაყრებად, მგესლავი კბილის კიდევ უფრო გასამახვად და იმისი ძირისაც საწამლაგით კიდევ უფრო გასავესებ—გასამოხიერებლად.

XXIII

საქართველოდან პოდვოხოვი ერთობ კარგ გუნებაზე დაბრუნდა. თითქმის მთელი კვირის განმავლობაში ეზიდებოდენ იქით-აქეთ ჩამოტანილ ლეინოებს, თითქოს გამოცდილი ტყის მღრღნელი ნადირები საზამთრო მარავს მიწის ხერვლებსა თუ ხის ფულუროებში აწესრიგებენო.

ყოველივე ამას რომ მორჩენ და ფირმის — „მეები პოდვოხოვების“ ცხოვრებაში ერთგვარი სტაბილიური მდგომარეობა ჩამოვდგა, ერთი „შათავანი“



ატყდა: „ყველაფრის ასე კარგათ ჩატარების შემდეგ, ერთმანეთს შევხვეს და უნდა ვეისერიროთო“.

შაბათს საღამოს კოტეს გამოუძახეს და, თუმცა ეს უკანასკნელი დიდ ჟარზე იყო, მაგრამ, „ბონების“ კურსის დაცემის ნომიზებულით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგრძნობლად დიდი თანხა მაინც მიუთვალეს, ბარათი ჩამოართვეს და გამოუცხადეს: „მაგარიჩი ჩვენია და, ამაღამ ჩვენთან უნდა იგახშნოვო“.

ეს კარგი და თბილი მოპყრობა, რომელსაც უხვად იჩენდენ „ძმები“ ახალგაზდა კაცის მომართ, განსაკუთრებით—საქართველოდან „ძმის“ დაბრუნების შემდეგ, წინასწარ შეუძლებელს ხდიდენ ამ უკანასკნელში რაიმე იქვეის აღძვრას. გულის ასეთი დანდობა „ძმებზე“ და ახალგაზრდული ტემპერამენტი კოტეში ხელს უწყობდენ იმას, რომ იგი წინადადებაზე თანახმა გამხდარიყო.

და კოტეშიც მისცა „ძმებს“ წვევის თანხმობა.

ამის შემდეგ, ბევრი აღარ უკოცმინათ. იქვე, „ფირმის“ უკან საკუთარს ბაღში თითქმის უკვე გაშლილი იყო ამ დროს სუფრა. ზაფხულის მშვენიერი საღამო რაც შეიძლება ფართოდ გამოყენებას მოითხოვდა ასეთ შემთხვევაში. საქმიანი დღის უშუალოდ ხალისიან დროს გატარებაში გადატანა თავისებური სიწარმტაცით ხიბლავდა და რაღაც ძალდაუტანებელი ბუნებრივობით იზიდავდა ამ ხალხს თავისკენ. და თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მოსამახურე პირთ, რომლებიც სუფრას გარს დასტრიალებდენ, ვახშამს შეუღვენ ინტიმიურად, ასე ვსთქვათ, შინაურულად.

საქართველოდან ჩამოტანილ ღვინოების თითქმის გამოყვლებელ ქაშნიკის სრული კომპლექტი რამენდამე ცალად იქვე, სუფრის შორი-ახლო იყო ჩამწყობი-ვებული. სუფრაც ჩინებულად იყო მორთული და დატვირთული.

სუფრას შემოუხსდენ სულ ხუთნი: ორი „ძმა“, ორი „ფირმის“ უმოთვრესი თანამშრომელი და კოტე.

მიუხედავად ღვინის გადაჭარბებული მარაგისა, სმა მაინც არაყითა და სხვადასხვა მაგარი სასმელებით დაიწყეს. განსაკუთრებულ ჭირვეულობას იჩენდენ კოტეს მიმართ. თითქმის ყოველი მათგანი პირდაპირ კოტესთან მიდიოდა „ალავერდს“. ყმაწვილ კაცსაც უნებლიედ უწყევდა თითქმის რამდენიმე კანტი-კუნტი სასმისის დაცლა ყოველი ახალი ტოსტის განმავლობაში.

ვახშამს წინასწარი წარმოადგენით მინიჭებული ხალისი თითქმის წაართვა ამ გადამეტებულმა ჭირვეულობამ, რომელსაც იჩენდენ კოტეს მიმართ და რომელსაც ახალგაზრდა კაცი თანამესუფრეთა მისდამი ერთგვარი კეთილი განწყობილებით ხსნიდა და აგრეთვე ადგილობრივი ზნე-ჩვეულების ერთგვარი თავისებურობით ამართლებდა.

— ქალები!..

წამოიძახა უცბათ საყმაოზე გადაჭარბებით შეზარბოშებულმა ერთმა „ძმა-თაგანმა“, იმან, რომელიც ყველაფერში მოწინავეობას იჩენდა, თუმცა ხნით მეორეტე ვაცილებით უფრო ახალგაზრდათ გამოიყურებოდა.

— ქალები! დაუძახეთ ეტლს!..

დაატანა მეორემ, უფრო დიანჯმა და საქმიანმა.

პატარა ხანს უკან, ეზოში შემოვიდა საქმით განიერი, ^{გრძელხალხი} კახს-
ხდენ შიგ. ერთი „ძმა“ კი, ის, რომელიც ყველაფერში მეთაურობას იღებდა, კო-
ფოზე წამოსკუბდა, ფეხი რალაც მაგარ საგანს წამოკრა, დაიხარა, ხელებით მი-
ისინჯ-მოისინჯა კოფოს ფსკერზე და, რაკი ყველაფერი რიგზე ნახა, კმაყოფი-
ლების ნიშნად უღვაშებში ჩაიციხა.

ეტლი დაიძრა.

— ქუჩებში ხმაურს ერიდეთ, სანამ მე არ განიშნოთ, გააფრთხილა და-
ნარჩენები კოფოზე მჯდომმა.

ეტლი ფრთხილად გადავრა ალაყაფის კარებში და სრიალით გასწია ქალა-
ქის ქუჩებში.

წინააღმდეგ მოცემულ გაფრთხილებისა, ხმა-მაღალმა, თავისუფალმა მზია-
რულმა ლაპარაკმა და სიცილ-ხარხარმა ამოაფსო ეტლის უბე. ცხენების ფეხთა
თქარა-თქური კი ახშიანებდა გულ-მკედარ ქუჩას.

მაღე ეს ხმაურა სიმღერამ, სტვენამ და ყიყინმა შესცვალა და კამპანიაში
ყველაზე მეტად შეტობილმა კოტემ ვერც კი შეამჩნია, თუ ეტლი ქალაქს რო-
გორ განშორებულყო და როგორ გასულიყვენ ასე ტრიალს მინდორში.

პატარა ხანს უკან, ქალაქი სრულიად მიეფარა თვალთაგან და ეს მცირე
კუნწულა ზღვასავით მობობოქრე მოჭეიფეთა სავსებით შთანთქა უსაზღვრო
ტრიალ მინდორზე უგულთა გადაშლილმა ღამის უძრავმა წყვდიადმა.

მეორე დღით სისხლის სამართლის საგამომძიებლოში გამოაცხადდა უფროსი
„ძმა“, რომელმაც მორიგე თანამშრომელს შემდეგი აუწყო:

„წუხელის, ცოტა შინაურული ვახშმის შემდეგ, გასეირნება მოვიწადინეთ.
ა—ის მინდორში ერთი ამხანაგთაგანი, ჩამომავლობით ქართველი, ბუნებრივ
მოთხოვნილებასათვის ეტლიდან ძირს გადმოვიდა. დიდხანს ველოდით, მაგრამ
უკან აღარ დაბრუნდა. ვეძიეთ ასანთით, რამდენიც კი შეგვეძლო, მაგრამ ნახვა
არ იქნა. ვერც ხმა მივაწვდინეთ, ვერც კვალს მივაგნეთ. რამ ჩაყლაპა კაცი
ასე თვალსა და ხელს შუა, ვერ გაგვიგია. ამ დღით ჩემი ძმაც კი გავაგზავნე
უბედურ შემთხვევის აღვილს, ეს არის, ეხლაბან დაბრუნდა ხელ-ცარიელი. აქ
წამოსვლის წინ ხელ-ახლა გავაგზავნე, მაგრამ კეთილი შედეგის იმედი არც
ახლა მაქვს“...

მოსული გამოუთქმელი სისწრაფით მოუთხრობდა ყოველივე ამას გაოგნე-
ბულს თანამშრომელს წადა თანაც გამოუთქმელი სიძლიერით ნერვიულობდა.
შთაბეჭდილება ისეთი იქმნებოდა, თითქოს მართლაც შეწუხებული იყო ეს ადა-
მიანი, მომზდარი უეცარი შემთხვევის გამო.

სისხლის სამართლის მილიცია ფეხზე დადგა; მინდორს კალიასავით მო-
ედო მაძიებელთა გუნდი. მზე უკვე ორი შუბის ტარზე იყო დასული, როცა
მინდორის ერთ ადგილას აღმოაჩინეს ცულით თავგაპობილი ახალგაზრდა კაცის
გვამი, რომელშიც „ძმებმა“, გამოუთქმელი გარეგნული მწუხარების ჩენით, იც-
ნეს თავიანთი კარგი ნაცნობი, ნეგობარი და საქმიანს კავშირში მყოფი ქარ-
თველი, კოტე ლიქვინაშვილი. მოკლულს ყველა ჯიბეები გადმობრუნებული აღ-

მოაჩნდა. ეტყობოდა, რომ მკვლელობა გაძარცვის ნიადაგზე იყო ჩადენილი. „ძმებმა“ და „ძმათა“ ახლობელმა, კოტეს ნაცნობებმა დასძინეს, როცა გაჩვენებულს საეკვო პირებთან ჰქონდა ნაცნობობა, უყვარდა მათთან დროს გატარება და ყოველივე ამას შეეძლო რაიმე კავშირი ჰქონოდა კოტეს გაძარცვის მიზნით მკვლელობასთან.

მეტლემ, თავისი მხრით, დასძინა, რომ ქალაქიდან გასვლის დროს შევნიშნე, თუ როგორ აგვედევნა ზურგში მეორე ეტლიო.

ერთი სიტყვით, მკვლელობის ადგილი იჭვებისა და ცხოველი ოცნების გამაღიზიანებელი და იმავე დროს შემბოჭველი ქსელით დაიფარა.

მკვლელობის დამამტკიცებელი ერთად ერთი საბუთი კი იჭვე ევდო, პირგასისხლიანებულ და ტარამდე მიწაში ჩაფლულ-ჩაგლეხილი ნაჯახის სახით.

XXIV

იმ ღამეს, კაცია რომ დაიჭირეს, სალომეს ძილი რალაც არაბუნებრივად გაუფრთხა. მართალია, ის საკმაოდ უკვე ხანში შესული იყო, მაგრამ უკანასკნელ წლებამდე ცხოვრებაში თითქმის არაფერი საწყენი და საზრუნავი არ გამოუცდია. ამიტომ ჯან-ლონითა და ფერ-ხორციით ჯერ კიდევ სავსე და საკმაოდ შემონახული, ის ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებელ სასურველ გარეგნულ სანახაობით უხვად იყო დაჯილდოებული და, როცა კობტად ჩაცმულ-დახურული ქურბში გაივლიდა, არა ერთი ცნობისმოყვარე აშტერებდა მახედ თვალებს ნდომით.

— დედა თავის ქალს გაცილებით სჯობიაო—არა ერთხელ უთქვამთ ზოლმე ნოთიასა და სალომეზე და, თუ კინტირია ნოთიათი იყო გატაცებული, ეს იმიტომ, რომ თინახმად ანდაზისა—„ფერი ფერსა, მადლი ლმერთსა“—ო, ახალგაზრდა ახალგაზრდას ეტანებოდა. სალომე კინტირიას დედათ შეეფერებოდა. გაუწყვია კიდევ დედობა უმწეო და უპატრონო კინტირიასთვის მას. ეს წარსული დროის კავშირი კიდევ უფრო აახლოებდა კინტირიას კაციას ოჯახთან. ვანსაკუთრებით კაციასთან ბალში შეხვედრის შემდეგ განახლდა და გაცხოველდა ეს კავშირი. ნოთია ამ სიახლოვის განმანახლებელი და კიდევ უფრო გამამტკიცებელი გახლდათ ამჟამად.

ერთის მხრით, ფიქრი ნოთიაზე არ ასვენებდა სალომეს ამ წუთს. შუალამეს უკვე გადასული იყო და თითქმის დილიდანვე, კაციას გამგზავრებისთანავე სახლიდან გასული ახალგაზრდა ქალი ჯერაც არ დაბრუნებულა სახლში.

— რა იქნა? სათ დაიკარგა? ალბათ, კინტირიასთან იქნება! შეირთავდეს, ნეტაეი, მაინც ი შეჩვენებული ბიჭი ამ გოგოს.

ჭეჭეჭობდა თავის გულში ბევრი მხრით სითეთიან მოულოდნელობით გარს შემორტყმული სალომე.

დღეს, როცა კაციას სრულიად გაუგებარი დატყვევების ამბით ასე ზარდაცემული იყო სალომე, როცა დილიდან გასული ნოთია ჯერაც სახლში არ დაბრუნებულა, როცა კოტედან, აგერ ერთ კვირაზე მეტია, რაც არავითარი ცნობა არ აქვს, ხოლო არავინ იცის, თუ კიდევ რა ათასგვარ მოულოდნელო-

ბით სავსე იქნება ზეალინდელი დღე, სრულიად გასაკვირი მარტოა მის ძილი არ ეკარებოდეს.

არა, რა სანატრელ-სასურველი პერსპექტივებითა და მოლოდინებით დაიტვირთა საბრალო ქალის ეს „სიმოხუცებულის“ დღეები და ახლა უცბათ რა პიძიე ტყვიის ფერი ღრუბლები ჩამოწვა მის წინ..

მოუსვენრობაში მყოფი საბრალო ქალი გვერდიდან გვერდზე ბრუნავდა, ლოგინიდან წარა-მარა დგებოდა და სარკმლიდან ქუჩებში იხედებოდა, იქნება თეალი მოვკრა რაიმე სასურველს და საიმედოსო.

ქუჩებში კანტი-კუნტი მოძრაობა კიდევ არ იყო სრულიად შეწყვეტილი, მაგრამ ის კი, ვისაც ამ ეამად სალომე ისეთი მოუთმენლობით მოელოდა, არსად ჩანდა.

საბრალო მშობლის გული მკერდში იღეოდა. ის მზად იყო ლოგინიდან წამოსაყვარნათ და ქუჩაში გიყვივით გასარბუნათ. მაგრამ საით უნდა წასულიყო, სად უნდა ეძებნა?..

— ვინ იცის, სად იქნებიან?..

და ისევ იწყებოდა საბრალო ქალის სარკმლებზე მიწყდომა, ისევ უკან გამობრუნება, ლოგინში უსიამოვნოთ გდება და უდასარგულო მოუსვენრობა.

— რა უბედური დღე გამოითენდა დღეს? ჩურჩულით ეკითხება თავის თავს მარტოდ მყოფი სალომე.

— ეს აუტკივებელიც რომ სატკივრად გადამექცა?.. სვამდა კითხვას ის ნოთიას შესახებ, რომელიც ამ ეამად აქ უნდა იყეს, მის გვერდით, თანამგრძობათ და გაჭირვების შესამსუბუქებლად.

და შეურაცყოფილ მშობლის აღშფოთებას აბეზარი ასულის მიმართ გულში საზღვარიც აღარ ეღო.

— მომიბრძანდი სახლში და მაშინ მე ვიციო... სიანჩლისაგან სრულიად გაბოროტებული და თავდავიწყებული წანოძიხებდა ის დრო და დრო ნოთიას მისამართით.

და მართლაც, ამ ეამად რომ თავის ქალის თავი ზელში მისცა სალომეს, იგი მას საკუთარი ფრჩხილებით ისე დაუხრეწდა, როგორც ქორი წიწილას.

მოსწრებული ქალი გვერდში ედგას ადამიანს და მას იგი ასეთ ძნელს წუთებში არადრად არგოიდეს?.. გაულეებდა მწვავე კითხვა გულში საცოდავ ქალს. დღეს, კაციას დატყვევების ამბით შეწუხებული რომ საგანგებო კომისიის შენობისაკენ გარბოდა ქმრის ამბის შესატყობათ, სახლის მკველად შინ დასატოვებელიც კი აღარავინ აღმოაჩნდა.

— ღმერთმა უშველოს ნუბარას... (მეზობელი იეზიდი ქალის სახელია) ოთახის დროებით მეთვალყურედ კიდევ ის დაუდგა... სისხლით, ხორციო, ენით, ზნე-ჩვეულებით უცხო და გარეშე ნუბარამაც კი თანაუგრძნო მოულოდნელად ასეთ უბედურებაში ჩავარდნილს სალომეს, ხოლო მკვიდრი ასული თვით ასეთ უდროო დროსაც კი არხეინად დაბრძანდება, ვინ იცის, სად და ვისთან...

საგანგებო კომისიაში სალომე უდროო წუთს მივიდა... უოველგვარი მიღებისა და ცნობის მიცემის დრო უკვე გასული იყო. ამიტომ სალომეს შეკითხვებს



სურვიც კი არაივინ ათხოვა. ზედაც კი არაივინ შეხედა მისგან ყველაფერსა და მიტანილ ქვეშავებსა თუ სხვა წვრილმან საგნებს.

გინჯაიჩოშეკა

— ხვალ მოდიეთ... უთხრეს ისევე ცივად და უგულოთ, როგორც დაეცა მას ეჩვენებოდნენ საგანგებო კომისიის უზარმაზარი. შენობის არაჩვეულებრივად თეთრი და მაღალი ნედიდურებით აყუდებული კედლები, თითქოს ეს კედლები კი არა, წინ გატაცებულ ადამიანთათვისვის გზის მოსაპყრელად თოვლით შელესილი უზარმაზარი და გარდუვალი მთები აღმართულანო.

მათ სიტყვაზე უყოვანოდ დაიხია უკან. კაციაზე ნაკლებ არც მას სმენია „ბგერი რამ“ საგანგებო კომისიის შესახებ. „ჩეკა“ ეს ოთხი ბგერა ოთხივე მხრით ოთხ ერთად ნომინებულ ფსიან ლანჯარსა ჰგავდა სალომეს ოცნებაში. პირველად ნახა მან ეს „ჩეკა“. გაუკვირდა კიდევ მისი ესოდენი გარეგნული სისპეტაკე: კედლების ეს არაჩვეულებრივი სითეთრე, სარკმლების განიერი და არაჩვეულებრივად სპეტაკი ელვარება, თანამშრომელთა თუმცა მშრალი და მტკიცე, მაგრამ მაინც თავაზიანი ქცევა...

და სალომეც სიტყვის შეუბრუნებლად გამობრუნდა უკან. შიშისა და ზარის ნაცვლად, გულში რალაც მოკრძალებისა და პატივისცემის ნიშანიც კი გამოუცა თან. გზაში სულმა მაინც ვერ მოუთმინა და ვისილაც თუ რისილაც უმიზნო მისამართით მაინც წამოსცდა გესლიანი სიტყვა გამწარებული ქალისა:

— „აი, ხვალინდელი დღე არ გაგიოთენდეთ, ჩემი კაციას დამტყვევებლებსო“.

— „ხვალამდი რა გამაძლებინებს?“.. მწუხარებით დაატანა სალომემ და თვალთ დაუბნელდა ამ დაუძლეველი გაურკვეველობის წინაშე.

ოცნება ისევ ამეშავდა და აფორიაქდა უღრან ტყეში გზა დაქარგულისა და უცბათ ბინდ-შემონასწრებ ადამიანივით.

მაგრამ ასეთი ადამიანი მაინც უკეთეს პირობებში გრძნობს თავს, ვიდრე ამ ენამდ სალომეს ოცნება. ტყეში დაბნეულ კაცს შეუძლია წააწყდეს სადმე ტყის მცველის ან შეშის მჭრელთა მიტოვებულს კარავს, უკიდურეს შემთხვევაში შეუძლია ხეზე ასვლა და დილამდის თავის იქ შემოკცა.

სალომეს ოცნებას კი წინ ან უკან არავითარი გამოსავალი გზა არ ეგულებოდა. წინ იყო მხოლოდ ერთი დაუსრულებელი, ერთი მეორეზე უარესი და უმწვავესი საშინელებაანი.

— აბა, დახვრეტენ?..

— აბა, ციხეში ამოალპობენ?..

— აბა, ვადაასახლებენ?..

— აბა, გაან...

მაგრამ განთავისუფლებაზე ყოველი იმედი ჰქონდა წინასწარ გადაწყვეტილი საბრალო ქალს.

— იქ მივარდნილი კაცი სხვა რომელი გადარჩენილა, რომ ის გადარჩენს?..

სასოწარკვეთილებით უყენებდა საბრალო სალომე თავის თავს კითხვას და პასუხის მიუცემლად მეტერლინკისებურ მდუმარებასავით ირინდებოდა, თითქოს საკუთარ გულს უსმენსო. ძალიან, ძალიან უნდოდა მას ამ დროს მოესმინა ამ გულის დამატკობილ-დამათრობელი ნანინა:

— არა უშავს, იქნება ხეაღვე გაულონ სარდაფის კარზე და გემულქვანო.
ძალიან უნდოდა, რომ ეს ასე მართლაც მომხდარიყო, მაგრამ ვერც ერთი პატრონისგანვე ლებულობს დირექტივას:

— აბა, გაან...

— აბა, გაან...

— აბა, გაან...

გაისმოდა იქ, შეერღვევშ ამ ერთად ერთი საინედო დასაყრდენის უიმედობით მოკვლი მღელვარე გუგუნნი.

იგი ახლაც, ლოგინშიც მოუსვენრობს, ლელავს, გუგუნებს და ფეხის მოკიდებისთანავე ადგილიდან სძრავს და ჰეანტავს ყოველივე სანუგეშო სიტყვასს ყოველივე საიმედო ნიშანს, გარდა ამ ორი ასე აკვიატებული ნაწყვეტისა.

გარეთ ღამე თანდათან ბნელდება ყურდება და ირინდება, თითქოს არ უნდა რითინე ხელი შეუშალოს სალომეს გულის ამ დაგა-დუგსა.

მთვარე უკვე ჩავიდა და ნოთია კი ჯერაც არსად სჩანდა. ქუჩები თითქმის სრულიად ჩაბნელდა და მოკვდა. ჩაქრა სალომეს ერთად ერთი იმედიც ნოთიას დაბრუნებისა ისე, როგორც ახლა ქალაქში ბევრის გულში სილაში შეფლულ სიმურალესავით ეხვია და ეძინა ლვარძლიან ფიქრსა და სიხარულს „ზაქსის“ მაშინ ჯერ კიდევ მომავალ, ხოლო ამჟამად უკვე სასიცოცხლოდ აქლერებულ სინათლის ამ მიბნელებულ ქუჩებში ოდესმე ანაკადების განუზორციელებლობაზე.

ნოთია არსად ჩანდა, არ ჩანდა არც ღამის დასასრული.

— ზაფხულის თითის სიგრძე ღამე და ასე დაუსრულებელი?..

და სალომეს გული ბოლოს დალია ამ გაქიანურებულმა მოლოდინმა, ამ მოუთმენლობამ და ფიქრმა. მას თითქოს რაღაც რულივითაც კი მოეკიდა, რომ კარზე გაისმა ჯერ ნელი და გაუბედავი, ხოლო შემდეგ — უფრო მკაცრი დაკაკუნება.

სალომე ანგარიშ-მიუცემლად იყო დაჯერებული, რომ ეს ნოთია აკაკუნებდა. და როცა მესამედ გაისმა ხელის მოუთმენელი დარტყმა, უკვე კარებთან მისულმა სალომემ ბურანში მყოფივით ზანტი, მაგრამ მაღალი ხმით უსაყვედურა:

— დაიცა, ახლა რომ კარებს ამტვრევ, აქამდი სად ბრძანდებოდი, ქალბატონო!..

მაგრამ კარი გაიღო და სალომეს ისედაც აღშფოთებულს გულს „პირს კატა ეცა“: კარებში შემოვლდა ჯერ ერთი, შემდეგ-მეორე და ბოლოს-მესამე სრულიად უცნობი მამა-კაცები.

პირველი ტყავის ქურთუკში იყო გამოხვეული და დანარჩენი ორის მეთაურადაც გამოიყურებოდა.

სალომე კარებში ჩასაკვცად უკვე მზად იყო, რომ ტყავის ქურთუკიანს არ გაემხნეებინა:

— არ შეშინდეთ, ჩვენ სრულიად უბრალო საქმეზე გვაბელით და მალე ისევ გავათავისუფლებთო.



ამის შემდეგ, მან გააცნო გაფითრებულ ქალს, თანახმად განკარგულებისა, თავისი მოსვლის მიზანიც:

- კაცია ლიქენიაშვილი ხომ თქვენი ქმარია?
- დიახ, რა გნებაეთ?
- არაფერი, ჩვენ გვინდა ზოგი რამ დამაჯერებელი საბუთის გაცნობა. იმედია ნებას დაგვრთავთ...

გესლიანად დააბოლოვა მან თავისი თითქმის ლაკონიური სიტყვა და პირდაპირ გასწია ოთახის სიღრმისაკენ.

სალომემ პირველად კარგათ ვერც კი გაიგო, თუ რა უნდოდა მისგან მოსულეს.

ქურთუკიანი ოთახის სიღრმეში შეჩერდა და მიუბრუნდა უკან ჩამორჩენილ დიასახლისს:

- შეიძლება?!
- სალომემ ისევ იგრძნო მწვავე გესლი: თითქოს უიმისოდაც ნათლად არ ჩანდა, რომ აქ შეუძლებელი უკვე თითქმის აღარაფერი აღარ იყო.
- აბა, გააღეთ ეს კარადა!

სალომე ხანტად მიუახლოვდა კარადას. მხოლოთ ეხლა იგრძნო, რომ გასაღები თან არ ჰქონდა, მონახა, ნოიტანა და შეჩერდა, ფითქოს უნდა შეეკითხოს, თუ რა ესაქმებათ მის კარადაში ამ უცხო ადამიანებს ამ უცხო და უდროო დროს. მაგრამ, ამ შეკითხვის ნაცვლად, ყელში შენახარი ნერწყვის სველებითა და ყლაპვით, უსიტყვოდ გადაატრიალა კარადის ნაპრალში შერგებული ლითონის გასაღები.

საკეტავეს — „ჩხაკო“ — მოადინა, თითქოს საგუშავოზე მდგომმა ჯარის კაცმა მტრის მოახლოებაზე სანიშნო თოფი დასცალაო, და კარიც გაიღო.

ქურთუკიანი მიუბრუნდა უკან მდგომთ და ხელით ანიშნა, თითქოს სიტყვებს უფრთხილდებო. დასაქმებულებმაც თავები კარადის ღია პირში შეკვეს და იწყეს იქ წესრიგიან დიასახლისის მზრუნველი ხელით მიღაცებული ნივთების აშლა-აფორიაქება.

დიდხანს ჰქექეს და ფურჩქნეს მოსულეებმა სალომეს მიერ გულმოდგინეთ დაღებულ ნივთები. უკვე მეორე ოთახში აპირებდნენ გასვლას, რომ წინა ოთახის კარებს მოადგა ხანგრძლივი სეირნობიდან ამ საგრძობლად შეუფერებელ დროს დაბრუნებული ნოთია.

უცნობთ ძალიან გაუკვირდათ ასეთ უდროო დროს ვიზიტი. სალომემ შენიშნა ესა და სირცხვილისა და სიმწრის ოფლში გაწურულმა ძლივს მოახერხა წარმოთქმა:

- „ქალი გახლავთ ჩემი“-ო.
- ამ განცხადებას გაოცება მაინც არ გაუფანტავს. ქურთუკიანს სახეზე ირონიულმა ღიმილმა გაუთამაშა.

ზრგვა დასრულდა. გადაუბრუნებელი და აუფორიაქებელი, მგონი, კბილის საჩიქნიც კი არ დარჩენილა კაცობის ბინახე. მაგრამ კაცობის სიავკაცეში დამაჯერებელი რაიმე საბუთი კი არაფერი არ აღმოჩენილა, გარდა „სმიტივისო-

ნის" სისტემის ძველი, დაჯანგებული რევოლუერისა, რომელიც კარგად შეკრეკის მოყვარულ კაცის წელს უმშვენებდა უფრო ფორმისათვის, ვიდრე ასუნდაც რწყილისათვის კანის ასაწვავათ.

ახლა ეს რევოლუერი მადლიერი იყო ამ უცხო ხალხისა იმაში, რომ ვაიხსენეს, თორემ პატრონის ხელი მას თითქმის ათი-თხუთმეტი წელია არც კი მიჰკარებია. ახლა ის ისეთის სიკობტავით გამოიყურებოდა ქურთუკიანის ხელიდან, თითქოს თავისი ჯველობა მოაგონდაო.

საქმეს რომ შორიენ, დეიანახლისს და მის ღამის მოჩვენება ასულს ძილი ნებისა უსურვეს მოსულეებმა და, როგორც მოვიდენ, ისევე გაჰქრენ.

ღამე კიდევ უფრო დაიყურსა სეველით, სიბნელით და სიმუნჯით. ოთახში ჰაერი კიდევ უფრო დამძიმდა. გაოგნებულ ნოთიას აღარაფერი ესმოდა. სალონე კი განგებ, თითქოს თავის გაქსუებულ ქალზე ჯავრის საყრელად იდგამდა ფეხს და არაფერს ამბობდა. ნოთიას ეტყობოდა, რომ მოუთმენლობა სტანჯავდა, მაგრამ მაინც თავს იკავებდა.

ბოლოს დედის გული მაინც მოღბა, მოღბა კი არა, მოტყდა.

— სად ბრძანდებოდი წენ, ჩემო სირცხვილის მაჭმეველო, აქამდი?

მოცივოდა გააღმასებული დედის პირიდან გამანადგურებელი ისეთივე მძიმე სიტყვები, როგორც ტყვია ტყვიის მფრქვეველის ტუჩიდან.

— არ იცი, გოგო, მამაშენი რომ დაიქირეს?..

— როდის? სად? რისთვის?

და გულშემოყრილი ნოთია იქვე ჩაეკეცა დედის საწოლში...

XXV

ნივთიერ სარგებლობის მოლოდინს გარდა, ნოთიას ცრუნლებითა და სალომეს შეწუხებული მდგომარეობით შეგულბანებული კინტირია დილადახვე უკვე ფეხზე დადგა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ კაცის შესახებ გარკვეული აზრი ვერავისაგან ვერ მოისმინა.

— გამოვარკვევთო, უთხრეს „ჩეკა“-ში.

„ჩეკი“-ს ერთი ნაცნობი თანამშრომელის გულამდის, როგორც იყო, ბოლოს გაიკვლია ზუა კინტირიამ, მოაღბო და სადღაც ქალაღდიც კი მიიწერიინა.

— არ ვიციოთ, ანხანაგო, რაშია საქმე... შშრალად მიუგო მან, ვისაც კინტირიამ ქალაღდი მიუტანა, და სიშშრალესთან ერთად, სახეზე რაღაც გაურკვეველი წყენაც დაეტყო.

ამან კიდევ უფრო შეაფიქრიაანა კინტირია, კიდევ უფრო აუშალა საღერღელი საქმის ნამდვილი ვითარების შესატყობად.

მაგრამ რუსები, რომ იტყვიან: „Куда ни кинь, везде клин“-ო, სწორედ ისე მოუვიდა. ყველგან იგივე შშრალი, საქმისაგან თავის აუღებლად წამოსროლილი, საწყენი კილო, თავიდან მოშორების სურვილი და მიუქარებლობა, თითქოს პირი შეუთქვამთ ვეელასო.



საქმის ვითარება ჯერ-ჯერობით მართლაც გამოურკვეველსაა, მაგრამ უკვე ცნობა ჰქონდათ, რომ ის ყოფილი გამოჩენილი მდიდარი, ამ ტყვეობისას „საბ. ბურჟუა“, „ნეპმანი“, ხელისუფლებისათვის საფრთხილო ელემენტი. ხოლო საბუთებიდან კი ჯერ-ჯერობით ირკვევა სრულიად წინააღმდეგი, სახელდობრ: რომ ის საჭირო კაცია, ერთ-ერთ საეკონომიკურ-საწარმოო ფირმის კონტრაგენტი, მისი წარმომადგენელი და მარჯვენა ხელი, თუმცა ჯერ-ჯერობით ამ ხელს ფირმიდან იქით გატანის მეტი თითქმის არაფერი გაუკეთებია, გარდა იმისა, რომ დააბრუნა ფირმის საწყობში აღარ იქიდან გატანილი მაშინ ღვინოთა საესე, ახლა უკვე დაკლილი კასრები.

მართალია, ამ კასრების დაბრუნებასაც, როგორც ზევით მოვიხსენიეთ თავისი გამამართლებელი მიზეზები ედო სარჩულად, მაგრამ, სააღებ-მიმცემო საქმის თვალსაზრისით, იგი მაინც სუსტებით საჭირო შეიქნა იმისათვის, რათა ამით შექტი ერთგვარი შემოსავლით გასაყლის დაფარვისა ფორმალურად მაინც დადასტურებულიყო, რათა ეგრედ წოდებულ „კრედიტ-დებეტ“-ის ფარგლებში ყველაფერი რიგზე ყოფილიყო ჩამოყალიბებული.

და აი, ასეთი საჭირო პიროვნების ასე ყასიდათ დაპატიმრებით ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებული საგანგებო კომისია ჩვეულებრივზე კიდევ უფრო ძუნწობას იჩენდა კაცის შესახებ რაიმე ცნობის გაცემაში.

ამ გარემოებამ ძალიან ჩააფიქრა კინტირია; ის გულითად ამზანაგებიდანაც კი ვერავითარ ცნობის მიღებას ვერ ეღიბრა აჭ.

— მაშასადამე, ძალიან ცუდათ ყოფილა საქმეო, გაიფიქრა გულში. ბრუნდებოდა უკან, მაგრამ არ იცოდა, თუ რა უნდა ეთქვა უცბათ ასეთ უმწეო მდგომარეობაში ჩაყარდნილ ქალებისათვის.

უნდა ვიცყო, უნდა შევთხოვ რამე... გაიფიქრა მან და შეუდგა იმის მოფიქრებას, თუ რა უნდა ეთქვა დაბრუნებულს ქალებისათვის.

— მეტი ოპტიმიზმი... გაუფლავა მას უცბათ გულში.

— დაახ, მეტი ოპტიმიზმი... ეს ყველაზე უფრო ხელსაყრელია ამ ეპიდა მისთვის, რომელმაც ეს ესაა დაიწყო „სერიოზული“ ურთიერთობა ახალგაზრდა ქალთან. კინტირიასთვის ახლა ამ ქალისათვის დარდის გაფანტვა უფრო მეტ საზრუნავს შეადგენდა, ვიდრე კაცის ხვედრი, რომელიც თუნდაც უკიდურესი სასჯელითაც დასრულებულიყო, ოღონდ კი ამის შესახებ, რაც შეიძლება, დიდ ხანს ნუ შეიტყობდა ნოთია.

კინტირიამ მართლაც „უტირა დედა“ და შეისრულა თავისი გულის ნადები, თანამხად იმ მუქარისა, ღამით კაცის ბინიდან გაბრუნებული რომ მილაპარაკებდა თავისთვის გზაში. მას, ასე ესთქვათ, გაუტკმა ნოთიასთან „სიარული“, მისი ღამლამობით „ტარება“... იგი ისე შეეჩვია ამ „საქმეს“, რომ ვერც აიტანს მისგან თუნდაც ერთი ღამით მოცდენასაც კი.

და თუმცა გვიან დაბრუნდა კინტირია, თუმცა ამ დაგვიანებას კიდევ უფრო ცუდათ ემოქმედნა შინ დარჩენილ ქალებზე, მაგრამ დაბრუნებულმა იმდენი სასურველი ცნობა მოიტანა, იმდენი ხალისი და მზიარულება დასდგა ერთბა-

შად თავისი ქარბათ ვაბერილი სიცრუის გულით, რომ ამან ჩვენ უმჯობესობა
ქალი, დედაც კი მივარდა მას უელზე მოსახვედრად და მისამართი უმჯობესობა.

სადილზე არავის ებრუნა და, რადგან დრო სადილობას უკვე კარგანით
გადაშორებულყო, ამიტომ კინტირია თითონ დატრიალდა: ხელად მოარბენინა
მახლობელ სასადილოდან სამი კერძი, ერთი ბოთლი ღვინო, ცოტადენი ხილი
და იქ, სადაც ამ რამდენიმე წუთით წინ სახე-ჩამომტირალ დაღრეჯილობასა და
თითქმის სრულს უიმედობას დაეუფლებია, ახლა ატიკტიკებულ სიყვარულსა და
ამაურებულ მზიარულებას მიეცა ადგილი. სუფრაზე ნოყიერმა სადილმა, ღვი-
ნომ და ხილმა, ხოლო გულში კი-იმედმა და ისევ ტკბილმა მოლოდინმა სალო-
მესაც კი გადააფიწყა წუხანდელი ტანჯვა და ვაი-ვაგლახი. აბა, ნოთია და კინ-
ტირია ხომ, ასე ვთქვათ, ხელიდან გაუდნენ ღედს, რომელიც მხოლოდ წუხე-
ლის განიკდიდა ისეთ ძლიერ უქმყოფილებს, თითქმის უსასტიკეს წყენას და
აღშფოთებას, თავისი ქალის ამ ხელიდან გაძრომის გამო.

და ცოტა ხანს შემდეგ, როცა ნოთია და კინტირია უკვე ახლოს აღარ
იყვნენ, როცა, ამის გამო, სალომემ უცბათ ისევ მარტოობა იკრძო და უნებ-
ლიეთ ისევ არასასურველმა ფიქრებმა მოიკეეს საბრალო ცოლისა და დედის
გული, ოჯახის დედაში უცბათ თავი იჩინა შექმნილ მდგომარეობისადმი არა-
სასურველმა განწყობილებამ: მას ისევ დანანდა ნოთიასთვის თავისუფლების
მოცემა. ასულზე ფიქრი მალე კოტეზე ფიქრმა შესცვალა და ისევ აირია ყველა-
ფერი, საბრალო ქალის გულში ისევ ჩამოდგა წინა დღისა და ღამის მავარი
ტყვიისებურად უფერული და მძიმე ატმოსფერო.

XXVI

საგანგებო კომისიაში დიდხანს ეძებდნენ კაცის დატყვევებით შექმნილ
უხერხულობისაგან თავის დასალწვევ გამოსაეაღს. მით უფრო რომ კინტირია
არა სცხრებოდა. მისი ჩავონებით და თავგამოდებით საზოგადოება—„ღვინო“-ს
გამგეობამ პირველმა აღძრა საკითხი კაცის დაუყოვნებლივ განთავისუფლების
შესახებ.

— მისგან ნაკისრებ ვალდებულების პირველი ნაწილის განაღდების დრო
უკვე დადგა, ხოლო ჩვენი კონტრ-აგენტის ტყვეობას შეუძლია ამ განაღდების
საქმის შეფერხება-ო, სწერდა საზოგადოება საგანგებო კომისიას.

— ავტორიტეტული განცხადებაა, ამბობდნენ საგანგებო კომისიაში, და ამ
განცხადებას ზედ ერთოდა კიდევ კაცის დაჭერის თითქმის სრული უსაბუ-
თობაც.

მართალია, ოქმი „სმიტივისონის“ ფირმის ეანგისაგან თითქმის უფარგისო-
ბამდის მისული რევოლვერის აღმოჩენის შესახებ უკვე ხელთ ჰქონდა სათანადო
გამომძიებელს, მაგრამ ეს მაინც მეტად უსუსური ბრალდება იყო იმისთვის, რომ
ეს ისეთი „საჭირო და გამოსადეგი კაცის“, როგორადაც ამ ქაშად ყოველ შემ-
თხვევაში მოსჩანდა კაცია, სარდაფში ხანგრძლივად გაჩერებისათვის რაიმე უბ-
რალო და უდავო საბაბით და საფუძვლად გამომდგარიყო.



საჭირო იყო კაცისი ან დისჯა, ან სრულიად განთავისუფლებული იყო, სწორედ ამ ამოცანის წინაშე იდგა საგანგებო კომისიამ, რომელიც დაი-
 დან მოვიდა ცნობა კოტეს მკვლელობის შესახებ.

ეს იყო, ასე ვთქვათ, „სულზე მისწრება“. გამოძიებელი ეკვეთა ამ საქმეს
 და ისევ ასტყდა კაცისა საქიდან ამოყვანის, დაკითხვის, ისევ საქანში მოთაე-
 სების, ისევ გამოძახების და ისევ უკანვე დაბრუნების დაუსრულებელი პროცე-
 დურა.

კაცის ბინაზეც გამოცხადდა გამოძიებელი და კოტეს შესახებ ცნობები
 გამოიკითხა. ამ ამბავმა სალომეს მომწეარ გულს თითქოს ნავთი გადაასხა. სახ-
 ტად წიწილებზე თავდამსხმელ ქარისაგან შეფორიაქებულ კრუსს დაემსგავსა
 საბრალო ღედა.

— ვაი, შენ ღედას, შვილო, შენც თუ ისე მყავხარ დატყვევებული იმ
 უცხო ქვეყანაში, როგორც მამაშენი. მამაშენს კიდევ რა უჭირს, იგი თავის
 ქვეყანაში მაინც არის, მის ამბავს მაინც ვტყუობილობთ, შენ ხარ საბრალო და
 საკითხაუი, ახლო რომ არაეინ გყავს ისეთი, ვისაც შენზე გულს შესჭირდესო!
 გაიძახოდა საბრალო ღედა, ხელის ხან ლოყაზე, ხან მუხლზე შემოკვრით.

სალომეს მდგომარეობა ერთი-ორად აუტანელი გახდა იმის შემდეგ, რა
 რომ გამოძიებელი მეორედ ესტუმრა კაცის ბინას, ნოთიას დაკითხვის მიზნით,
 რადგანაც ახალგაზრდა ქალი პირველ მოსვლაზე სახლში არ აღმოჩნდა და მის
 დასაკითხავად საჭირო შეიქნა ხელმეორედ მოსვლა...

— სახუმროთ აღარ არის ჩემი საქმე, ბიჭს უმძველად რაღაც უჭირსო,
 ამბობდა გაოგნებული სალომე.

— ვაი, შენს ღედას, შვილო, გაფაფვრით გაქიოდა ის და იშენდა ხელეებს
 თავში, მყერდში, მუხლებზე თუ ლოყაზე.

გრძობიერი ღედის გული რაღაც წინათვრძობით იყო დატვირთული,
 რაღაც შიშზე და შწვავე მოლოდინისათვის იყო განშხადილი.

კინტირიას მოიმედე ნოთია ანუგეშებდა ღედას. ხოლო კინტირია, ამ უა-
 მად ორივე უმწეო ქალის ერთად-ერთი იწედი და დასაყრდენი, თუმცა თითო-
 ნაც არა ნაკლებ იყო შეფიქრიანებული ოჯახის მამაკაცთა ხედრით, მაგრამ
 გარეგნულად ამას არ იმწევედა და სულ ბანზე უგდებდა ქალებს სიტყვებს რაიმე
 უიმედო მოლოდინის შესახებ. მისი იმედიანი შემოძახილი რამდენიმედ ამაგრებ-
 და ქალებსაც, რომელთა მდგომარეობა მხოლოდ მაშინ ხდებოდა აუტანელი,
 როცა კინტირია მიდიოდა სახლში ან სამსახურში იყო და ქალები ამ დროს
 მარტოდ რჩებოდენ.

სახლში რომ ასეთი წუთები განსაკუთრებით შიშზე და აუტანელი ხდებო-
 და, სალომეს არა ერთხელ გაუგზავნია ნოთია კინტირიას მოსაყვანად.

არობრობდებოდა თუ არა კინტირია, დარდი და გლოვა მთის ფერდზე
 ტყეში მიმავალ ნისლივით მიიპარებოდა ოთახიდან, სადაც წუთით ისევ ჩამო-
 დგებოდა სიმშვიდე და სათნობა.

მაგრამ დღეები მიდიოდა და ამ მდგომარეობას კი დასასრული არ უჩან-
 და სანამ ბოლოს საზოგადოება—„ღვინო“-ს ოფიციალურად არ აცნობეს ყოვე-

ლივე კოტეს თავს დატეხილ უბედურების შესახებ: აგრეთვე მოითხოვდნენ „საზოგადოებისაგან დაწვრილებით ახსნა-გამარტებას ლიქენიაშვიტის მემკვიდრეობის კონტრ-აგენტებათ აყენისა და ამ უკანასკნელთა მიერ საზოგადოების წინაშე დადებულ პირობათა შესრულების შესახებ.

აი, აქ კი ნათელი გახდა როგორც „საზოგადოება ლენოს“, ისე კინტირის პირადი პასუხისმგებლობის მთელი საწინელება და ახლად დაგეზილ დონჟუანს ტანში, ასე ვსთქვათ, „ბუძვი შეუდგა“.

მაგრამ ამ პირველი „ბუძვის“ დაშლის არაერთად არ აცალა. ჯერ კარგათ გათვალისწინებული არც კი ჰქონდათ, თუ რამდენად პასუხისმგებლებათ უნდა ეხატებოდნენ ისინი სიგანგებო კომისიას, ან რამდენათ არის შესაძლებელი ამ პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრება, რომ თითქმის ზევით აღნიშნულ მოწერეობის მიღების დღესვე საზოგადოება „ლენოს“-ს ბინაში გამოცხადდნენ სიგანგებო კომისიის წარმომადგენლები და დაატყვევეს საზოგადოების დირექტორი, რამდენიმე თანამშრომლით, რომელთა შორისაც კინტირია იყო თითქმის ყველაზე პირველი.

სალამო იყო, როცა სალომემ და ნოთიამ ეს ამბავი შეიტყვეს. მაგრამ ეს სალამო და მთელი ეს ღამე არა ნაკლები დარდით, გლოვით და მწუხარებით ჩამოწვა ამ ოჯახში, ვიდრე ის დღე და ის ღამე, კაცია რომ პირველად დაატყვევეს. მართალია, კაცია ოჯახის თავი გახლდათ და მისი დატყვევებაც ოჯახის გამოუტყველ წევრებისთვის მების პირველი გავარდნა იყო, მაგრამ ეს მეორე მები იმით იყო კიდევ უფრო მწვავე და ძლიერი, რომ, კინტირის დატყვევების სახით, დიდი ხნის აფორიაქებულ მდგომარეობაში მყოფ ოჯახის ორ უმწეო წარმომადგენელს თითქოს მოუწყდათ ხავის ის უკანასკნელი ბეწვი, რომლითაც ისინი დღემდის ჯერ კიდევ წყალწაღებულებივით მიმაგრებულად მიინც გრძნობდნენ თავს საიმედო დასაყრდენზე. ახლა ეს ბეწვიც და ეს დასაყრდენიც უეცრად შთანთქა იმ მოულოდნელობით მოცულმა ვეშაპმა, რომელსაც, მათი სუსტი ოცნების წარმოდგენით, ერთხელ კიდევ მოუხდებოდა პირის დაღება, მხოლოდ ერთხელ, რათა უკანასკნელად შთაენთქა ეს უმწეო არსებანიც და ასე საუკუნოთ დაენგრია და გაეჭრო ლიქენიაშვიტების ოდესმე ამ ქვეყნიურ სიკეთით უხვად დატვირთული და სიამ-ტყბილობით აღსავსე ოჯახის უკანასკნელი ნაწიცი.

XXVII

— მე მიინც ასე ეფიქრობ, ქალბატონო სალომე, — წამოიწყო დიასახლისის მიერ დასხმულ-მიწოდებულ ჩაის ჩამორთმევით, და სუფრაზე თავისკენ მისი მიწევით — ჯორ — მიქელამ, სალომეს რალაც ახლო ნათესაება და ლიქენიაშვიტების ოჯახთან წარსულში ძალიან დაახლოვებულმა ძველმა ჩარჩმა, რომელიც თავის ხელობას ჯერაც არ შელეცია: სალდათის ბაზარზე ძველ-ძველებით სავაქრო ჭობი ეხლაც უდგას, ხოლო ნამდვილად ათასნაირ სხვადასხვა კომბინაციების ბადეს ქსელავს ყოველდღიურად თითქმის მთელ ქალაქში: ჰყავს რამდენიმე საკუთარი აგენტი, აქვს რამდენიმე შერჩეულ-შეგუჰმანებული ადგილი, რომელიც



მან თითქმის ყოველდღიურად უნდა ჩამოთაროს შესაფერ პირობებზე შესაფერ განკარგულების შიხაცემათ; ერთი სიტყვით, მას თუ დაფუძვლებზე, მათე-სი ყოველდღიური გამოჩენითა და შრომით, ის ქალაქში რამდენიმე კაცს „აქ-მეგს პურს“.

და ამ შემთხვევაში სამართლიანადაც იკვებნის ჯორ-მიქელა, რომ ოდესმე „სხვათა ხელის შემხედვარე“, სხვების ხელქვეითი და სხვისი დახმარების შემკუ-რე ახლა ის მისთვის ასეთ საბატიო საქმეს აგვარებს, მიუხედავთ ანცისათვის „არახელსაყრელი“ დროსი და პირობებისა.

— დიახ, კიდევ იმას ვიძახი, რომ იგი რუსი რომ ახლდა მას ამას წინად, იქიდან უნდა იყოს ეგ საქმე მოგვარებული, თორემ ბატონ კაციას, აბა, რა უნდა მიუძღოდეს ისეთი?.. რაც კი თავის სიცოცხლეში კაცს უშოვნია და შეუ-ძენია, სულ ჩამოართევს, სულისგან ზორცამდის აღარაფერი შეარჩინებს... და ახ-ლა ამ დაქვრასაც რაღის ეპართლებოდენ სრულიად უდანაშაულო კაცს?..

— აბა, რა ვიცი, თუ ღმერთი გწამდეს.— უპასუხა გაფანტულად სალომემ, რომლის სახესაც ჯავრი და მწუხარება ერთის წამითაც არ შორდებოდა, მაგრამ რომელიც თავის დიასახლურ მოვალეობას მაინც არ ეშვებოდა, თუმცა ძველი ჩვეულებით მასში დამკვიდრებულ ქცევისიც კი მას ახლა, ამ ჯავრის გაელენის ქვეშ მყოფს, აშკარად ემჩნეოდა ზედვე ერთგვარი ნაძალადეობაც, ერთგვარი სიზანტე და მოთენთილობა.

ანის მოწამე ქალებში, სტუნრებში, მაგრამ კაციას ოჯახში ძველთაგან მაინც თავისიანებში, ასტყდა ერთი რაღაც ჩურჩული და მითქმა-მოთქმა.

მათ შორის ყველაზედ უფრო ახალგაზრდა ფიცხლავ წამოხტა, სალომეს ხელიდან გამოართვა ჩაის ჩამოსასხმელად განმზადებული ჭურჭელი და თვითონ განაგრძო დიასახლისის მოვალეობის შესრულება.

ჯავრითა და ფიქრებით დამძიმებულ დიასახლისს წინააღმდეგობაც არ გაუწევია მისთვის, საქმეს თავი ანება, მიძიმედ დაეშვა იქვე სკამზე და განა-გრძო:

— რა ვიცი, ვისზედ რა უნდა ვთქვა, ჩემო მიქელ. რუსია ჩემი დამღუპვე-ლი თუ ქართველი, განა, ეს სულ ერთი არ არის?..

— დისალუბავი რა გჭირს, ქალბატონო სალომე, შორს თქვენგან! კაცი დაიჭირეს, თორემ სხვა ხომ არაფერი დაუშავებიათ მისთვის ჯერჯერობით? მხოლოდ შე იმას ვამბობ, რომ დღეს ისეთი დრო დადგა, როცა კაცი კაცს ვე-ლარ ენდობა; ერთმანეთის გატანა და ატანა აღარ არის, ნამუსი და პატიოსნე-ბა გაქრა, ყველა ერთი მეორესთვის ფეხის გამოკრასა, წაჭკეცვას და წაფერხებას ცდილობს. ერთი სიტყვით, კაცი სახლში ისე აღარ შემოიშვება, როგორც ეს იმთავითვე კაციას სჩვევია ხოლმე. აბა, რამდენი კაცი დაუყენებია მას ფეხზე! რამდენისთვის ხელი გაუმართავს და წელში გაუსწორებია! შე კი მისგან არა ესკამ პურსა?

დაატანა ჯორ-მიქელამ ისეთი სიმძიმით და თანაც ცბიერებით, თითქოს უნდა დიასახლისის პირით ეხლავე, ამ წამში მოისმინოს ამ უკანასკნელი ფრა-ზის უარყოფელი თუ არა, გამოწვეული შთაბეჭდილების რამდენიმეთ მაინც

შემარბილებელ-შემწელებელი შენიშვნაო. და დიასახლისმაც, ფიქტურს ფიქტურით
ჯორ-მიქელს, უფრო კი ამ უკანასკნელის მოსამადლიერებელად აღიქმის ცხელი
უსაყვედურა:

— თქვენ რა შეაში ხართ, ჩემო მიქელ, და ბევრისათვის კი მართლაც
გაუწყევია დახმარება საცოდავ კაცობას, იი კაცია ნუმომიკვდება! ჩემი კპრობით
არ ვიტყვი, და ამ მხრივ მისი გული და ხასიათი პირდაპირ დაუფასებელია.
მაგრამ ეჰ, ვინ დაუფასა მერე ყველა ესენი?..

ქალებში დიასახლისისთვის ამ უკანასკნელ აზრზედ კვირის დამკვირვებელ
ჩოჩოლსა და ნიშნიან გადახედ-გადმოხედვას მიეცა ადგილი.

ყველაზედ უფრო ქებს იბამდა ამ ეამად უკვე კაი ხანია საგანგებო კომი-
სიის სარდაფში ჩავარდნილი ვაჭრის ცოლი, კესა, კაცობის ნათლის დედა, რო-
მელსაც თავისი ნათლიითა და ნათლიის ოჯახით წარსულში მუდამ მოჰქონდა
თავი. მართალია, ამ ბოლო ხანებში ცოტა ყურჩამოყრილი და ნაწყენი კი ბრძან-
დებოდა ეს მანდილოსანი ამ მიმართულებით, მაგრამ ძვირფასი ნათლიის ცო-
ლის მიერ ამ ბრწყინვალე და რიხიანმა მოგონებამ იმ ბრწყინვალე წარსულისა
უცბად მისაც ფრთა შეასხა და „ნაშთი ძველი დიდებისა“ რალაც დიდ ნაღდ
ღირებულებად დაუსახა თვალწინ. მისი აზრით, სხვაგან თუ არა, აქ ხომ მაინც
დიდ ფასად ღირდა ეს მოგონება ამ დრო-გარდასულ საზოგადოებაში, სადაც
ისა და მისი ნათლიის ოჯახის წევრები ვარსკვლავთა შორის უდავოთ მხეთა
და მთეარედ მოჩანდნენ...

— ოი, ვენაცვალე ჩემს ნათლის! არა ერთისაგან გამოვიცა მისი კეთილი
სიტყვით მოხსენიება. არა უშვავ, თუ დღეს ასე წავიდა საქმე! ყველაფერი მო-
სავალია. ყოველთვის ხომ ასე არ იქნება! ხომ ვაგიგონიათ: „გზა ნაგზურს“—ო?

ამ სიტყვებზე კესამ ერთი ისეთი გამანადგურებელი ქედმიწოდებითა და
რალაც სიჯიუტით გაფოლადებულ იმედიანი დაჯერებით კი გადახედა იქ დამ-
სწრეთ, რომ ასე გეგონებოდათ: ყოველივე ამის უტყუარი საბუთი და გარანტია
აგერ იმ ხელმანდილის ყურში აქვს გამოსკვნილი, საკმაოდ შეძველებულ—
შეჭიჩული რედიკულიდან რომ ამოიღო და ხნოვანობის მიხედვით, ისევ თავისი-
ვე თავის დასამკირებლად, წითლად შეთითხნილ ტუტებზე ნაძალადევი სიკოხ-
ტავით რომ მიისვ-მოისვაო.

უმეტესობამ, მასპინძლის ხათრითა და სტუმრისათვის ჯერ კიდევ სავალ-
დებულო ეტიკეტის მიხედვით, დასტურით თავიც კი დაუქნია ამ სიტყვებს, მაგ-
რამ ერივნენ შიგადაშიგ ისეთი ერთეულებიც, რომლებიც, მართალია, მეზობ-
ლური და კაცთმოყვარეობრივი გრძობით კი იყვნენ ამ საღამოს კაცობის ოჯახში
მოსულნი, მაგრამ ზევით მოხსენებულ სამეულის ქვევასა და აზრთან, განსაკუთ-
რებით—კესას გულზეაიდობასთან არა თუ საერთო არაფერი ჰქონდათ, გულში
მოწოლილი სიცილი ლამის ტუტებზედაც ასთამაშებოდათ, აი „ულვაშებში ჩაცი-
ნებას“ რომ ეტყვიან ხოლმე, სწორედ ისე, და თუ ამ შემთხვევაში ულვაშები
მაინც არ ვახსენეთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საერთოდ სტუმრების უმრავლეს-
ობა, ხოლო კერძოთ, „სიცილს ძლივს რომ იკაებდნენ, ისეთები ამეღამ აქ
უმეტესად ქალები იყვნენ რომელთაც ულვაშები არც კი ვაჩნდათ ასეთი გესლია-



ნი ღიმილის დასაფარავად. ამიტომ ისინი თავებს დაბლა ხრფდნენ, ქვედაკულებსა თუ ხელთათმინებს მოხდენილად იშველებდნენ და ყოველგვარ განცხადებას სხეულზე დასხვებდნენ, როგორც სარკის წინ სახის სათეთრებელ ფხენილს.

სალამო დიდ ხანს გაგრძელდა. თავისა თუ სხვების საქმეთა ქება-დიდება უხვად შეერია ისედაც ვიწრო ოთახის ჰაერს, ვეებერთელა სამოვრის მიერ დაყენებულ ორთქლსა და თამბაქოს ბოლთან ერთად.

ეწეოდნენ ქალებიც.

სტუმრები დაიშალნენ ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო გვიან და თან წაიღეს მოძალებული ძილისაგან დამძიმებული თავები, ხოლო კორებისა, პირადი განდიდებისა, ფუქსავატური ზვიადობისა და ამავე დროს სრული უმწეობის თუ არარაობის გრძობისაგან დაცლილ-დამწატებული გულები.

სამაგიეროდ, კაცის ოჯახში მით შესძლეს ერთნაირი სათნოების დამყარება. და წუხანდელი მძიმე ატმოსფერისა, დარდისა და უიმედობის ნაცვლად, წინა-ღამით ძილ-გატეხილი სალომე და ნოთია მოკვეთილ ძნებივით ჩაეცნენ თავ-თავიანთ საწოლებში, საიდანაც იმათი აშლა მხოლოდ დილის მოძალებულმა სინათლემ ძლივს-ძლივობით შესძლო.

XXVIII

— რაღაც ძალიან კი აგვალო აჯაბომ ხელი ეს რამდენიმე დღეა—წარმოსთქვა მეორე დღით სალომემ ნაღვლიანათ, როცა დედა და შვილი ჩაის მიუსხდნენ და სუფრას ჩვეულებრივზე უფრო სიძუნწე შენიშნეს. მართალია, ამ სიძუნწემ, აგერ რამდენიმე წელია, რაც თანდათან იწყო ფეხის მოკიდება კაცის ოჯახში. მაგრამ, ამის და მიუხედავათ, დილის თუ საღამოს ჩაი ჯერ კიდევ ისე არ დასხმულა, რომ პურთან შესატანებელი ამა თუ იმ რაოდენობის ყველი მაინც არ ჰქონოდათ. თითქმის პირველი იყო ეს შემთხვევა ლიქენიაშვილის ოჯახში, როცა ხელშემონახულ სალომესაც კი აღარაფერი აღარ მოეპოვებოდა სამსახურში წასვლელ ნოთიასათვის პირში ჩასაჩიტებელი, გარდა ჩაისა და მშრალი პურისა.

ამ სევდიანი ფიქრთა და განკლებით დამძიმებულმა დედამ შვილს განსაკუთრებული ნაზი სიფრთხილითა და მზრუნველობით მიუდგა კიქაში სუფთად დასხმული ჩაი და მიუწია თევშზე წვრილად დაჭრილი პური. რაღაც, თითქოს მოაგონდაო, წამოდგა და ბუფეტის ცალი კარი გამოაღო, სწორედ ისე, როგორც ამას სჩადიოდა სალომეს მითითებით ადრე მისი მოსამსახურე, ხოლო შემდეგ წლებში უკვე—თითონ სალომე, როცა ბუფეტის ესა თუ ის განყოფილება ასე თუ ისე ჯერ კიდევ სავსე იყო სასუფრე ყოველნაირი დოვლათითა და სასუსნით. მაგრამ ბუფეტის კარი სწრაფადვე მიხურა იმედგაცრუებულმა დიასახლისმა და გულმოკლული მშობელი ისევ ნოთიას მიუბრუნდა ცარიელი, მაგრამ მაინც განსაკუთრებული მზრუნველობით გამთბარი სიტყვებით:

— მოგიკედეს, შვილო, დედა, რა უნდა ქნა ახლა შენ დღეს, როცა სამსახურში თავის დასანაყრებლად აღარაფერი გაქვს წასაღები?

— ნუ სწუხდები, დედი! არაფერია... იოლად გამოვალთ...

„არაფერია...“ „იოლად გამოვალთ...“ — ეგ სიტყვები ეკლავითივით დაესო საცოდავი მშობლის გულს, საიდანაც ამ წუთს, ამ მდგომარეობის გავლენით, უკვე ამოიშალა ნოთიაზე ყოველგვარი საყვედური, ყოველგვარი წყრომა და უკმაყოფილება, ამ რამდენიმე დღის წინა დღის სიუხვით დაგროვილი და თავის დროს გამოთქმული კიდევ.

— „იოლად გამოვალთ...“ — შენ, რა თქმა უნდა, ამას იოლად იტყვი, იოლად მოინებ, მაგრამ, აბა, ერთი ჩემს გულშიც ჩამოიხედე, ჩემი გაჭირვებაც გაზომ-გასინჯე, — გაიფიქრა სიტყვის უთქმელად დედამ და შეიღწა მანც ალერსიანად შიშვენიერ ვიწრო, დიდრონი თვალები.

ნოთიამაც იგრძნო დედის ალერსი და ნატყენ-ნაწყენი გული თითქმის სრულიად გაუმრთელდა, გაუტკბა და აევსო რაღაც გამოუთქმელი ძალითა და სიმტკიცით.

ასეთი დედის შემხედვარე რას არ იტანს ნოთია, რას არ დასძლევს?... და დედაშვილის თვალები, ზევით აღნიშნულ ღამის უსიამოვნების შემდეგ, პირველად შეხედენ ერთმანეთს განსაკუთრებული სითბოთი და სინაზით. ამ შემთხვევამ ვადასწყვიტა დედა-შვილს შორის არსებული „ომისა და ზავის“ საკითხი. და როცა პირველი განიცდიდა სრულს კაპიტულიაციას მეორის წინაშე, მეორეს, ადრე მხოლოდ უბრალო ტყვილი სიტყვის მონატრულს პირველისაგან, ახლა პირველის ასეთი მდგომარეობა უკვე გამარჯვებულის ფრთებს ასხამდა და აღტაცებადის სწევდა, რითაც ის გრძნობდა მთელს თავის არსებაში, გამოუთქმელს სიმსუბუქესთან ერთად, ვანუსაზღვრელ ძალასაც კიდევ ახალი „ომებისა“ და „თავდასხმების“ საწარმოებლად. და საბოლოოდ გამოსული ნოთია უკვე აღარ ჰგავდა იმ მოთენთილსა და ოჯახის საერთო უბედურებით გულდამძიმებულ ადამიანს, როგორსაც ის ეს რამოდენიმე დღეა წარმოადგენდა, არამედ მასში ისევ ისე იყო აღუწილ-ატყვილი ზალისიანი, გრძნობითა და ვნებით აღსავსე კმაწილქალობა, თითქოს ეს ადრინდელი ნოთია კი არა, რაღაც კიდევ უფრო სასწაულმომქმედ შეებისა და უკვდავების წყაროს წყალში ახლად ტან-ამობანიალი გედი მოაბიჯებს ასე მოხდენით ქუჩების პანელებზეო...

XXIX

— სალომე ბრძანდები? მობრძანდი, ქალბატონო სალომე, ჩამობრძანდით ავერ შით. — ამოსძახა ქვევიდან დილით სარდაფის კარებთან ძველი აღთქმის მოჩვენებასათვის ყასიდათ გამოცხადებულ სალომეს აჯაბომ და სკამი, რომლიდანაც ეს იყო წამოდგა იგი მოულოდნელი სტუმრის გამოჩენაზე, ფეხით შესწია ისევ თავის ადგილას, ხოლო თითონ წინ მიეგება სარდაფში კიბის საფეხურებზე ნელა და ფეხ-აკრეფით ჩამომავალ სალომეს.

— რაღაი, ორი დღეა, რაც ბიჭი სოფელში წავიდა და თქვენთან გამოსაგზავნი კაციც აღარ დამირჩა. — იცრუა აჯაბომ, ბოდიშის სახით, რაკი დარწმუნებული იყო, რომ იოსებას დეუქანში დაბრუნებამდის იგი შესძლებდა სალომეს უკანვე გასტუმრებას.



— მე კი საშინელი რამე გავივლელ გულში: ალბათ, აჯაბომაც გველაღალტა ასეთ შიშამ წუთებში და აგვალო ხელითქვა:

— რავე გვკადრება, ქალბატონო სალომე! თქვენი ლალატი რომ გულში გავივლო, მიწა კი შესძლებს ამის ატანასა.?

— ეჰ, ჩემო კეთილო! დღევანდელ დროს ამისთანები არ გაპკვირს. მაგრამ მე აქ შენთან მუსაიაუს შევრჩი და სახლი კი მიტოვებული მაქვს. ცოტა სახარჯო გროშები კიდევ უნდა გავვიხერხო, თორემ ძალიან ცუდათ არის ჩვენი საქმე, არა თუ დღეს, უკვე გუშინაც აღარ გვჭონია სადილის ფული...

— ღმერთო კი მომკალი, ეს რომ ასე მგონებოდა, ღვინოების დისახსნელად ფულს აღარ გვაგზავნიდით. აი, ესაა ახლა გავასწრო კაცმა ფულით...

იცრუა აჯაბომ და ამ სიცრუისა არა თუ არ შერცხვია, არამედ სისხლით დაბერილი თვალები უტიფრად დანათო სალომეს, რომელსაც, აჯაბოს სიტყვები რომ გაიგონა, სისხლმა ჰფეთქა სახეში და თურაშაული ვაშლებივით აენთო ლოყები.

— ხანში შესული კია, მაგრამ ახლაც კარგი ნაჭერია!—გაივილო აჯაბომ უცბათ გულში, რის გამო, პირში მომდგარ ნერწყვის შეჩერება და გზის ქცევა მსუნავ კატასავით ტურების აცმატუნებით ძლივს შესძლო. შემდეგ, ნერწყვი თითქოს მთლად გაუშრაო. სასასა და ყელში რალაც მწვავე ტკივილების მოწოლა იგრძნო, საფეთქლები უჩვეულოდ დაებერა და სხეულის სახსრებმა კანკალი დაუწყაო.

— რალაცა ცოტა რამე მაინც უნდა გამიხერხო—შესაბრალო, სიმებ-მოშლილი დასაკრავი იარაღის ხმით ძლივს წარმოსთქვა სალომემ და მოწყვეტილ მნასავით დაეშვა აჯაბოს მიერ მირთმეულ სკამზე. კარგათ გამოაკვებია და შექმნილ მდგომარეობისათვის ანგარიშის მიცემაც კი ვერ მოასწრო აჯაბოს პირველი შებევიდრით გაოგნებულმა ქალმა, რომ უცბად ყელსა და თავზე იგრძნო ადამიანის მკლავებისაგან მოვლებული ღონიერი სალტის ტლანქი შეხება. ჯერ ქონიანი, ფაფუკი და ლიბი მოეჩვენა სალომეს ეს შეხება, შემდეგ—მკერივი, ღონიერი და მტკივნეულობამდის უხეში, ხოლო, როცა მის თვალებში გაიღვია ზევიდან აჯაბოს რალაც ველური ვნებითა და სისასტიკით ამღვრეულმა თვალებმა და მისმა ტურებმა იგრძნო ამ ველური ადამიანის დორბლიანი ტურების მოურიდებელი შეხება, აი, აქ მოჭერილი სალტე უცბად უკვე რკინისა და ფოლადის ცივ საქაჩად გადაიქცა ქალის წარმოდგენაში, გული უცნაურ ნახტომით აუფარდა მკერდში და, ერთი ძალუმად შეკვივლებაც კი ვერ მოასწრო, რომ წამსვე თვალთ დაუბნელდა და გაციებულ კბილებში რალაც უილაჯო სისინის მსგავსმა ხმამ იწყო მიმკვდარებულად სრიალი.

ქალის კბილებში გამონაკროთომ ამ ცივ სისინს კი რალაც ველური სიხარბით და სიამით დაეწაფა გამარჯვებული აჯაბო.

გონებაზე მოსულმა სალომემ ბურუსში გაფანტულ ნისლის თეთრი ნაფლეთებივით დაუწყაო წარმოდგენებს კრება და ერთმანეთზე გადაკოწიწება.

გამოიჩქვია, რომ, ამ ჟამად იგი სარდაფში კი აღარ იმყოფებოდა, არამედ განის პატარა ოთახში, სადაც ქურჭლის სარეცხი და სარდაფში ზედმეტ ნივთ-

ბის მოსათავსებელი ადგილი უნდა ყოფილიყო. თვითონ სალომე ესეინა რაღაც მაგარ და უხეშ საგანზე, ხოლო ზევიდანაც მას ელაგა თბილისის კაპასთან მეტად მძიმე, უხეში და უფორმო მასა.

მხოლოდ საკმაოდ შეიქმნა ამ მასის ერთი უბრალო შეხედვა, რომ სალომეს ამოეცნო მასში აჯაბო და ეგრძე მთელს ტანში რაღაც საერთო დატეხილობა და დამტვრეულობის მსგავსი ტკივილები, რომელიც იწვევდნენ არა მარტო ფიზიკურ მოტეხილ-მოთენთილობას, არამედ ზნეობრივ დაცემას და დასუსტებას, სულიერ ტკივილებს და გულის ქეჯნას იმ ადამიანისას, ტორებში რომ ჩავარდნია საშინელ ყია-მყრალს ტყის დათვის, რომელიც ჰბელავს, ფეხს, ამტვრევს, თელავს და ჰქელავს მას, ერთი სიტყვით, არც ჰკლავს და არც არჩენს.

აი, დათვმა ასწია თავისი ბანჯგელიანი სახე: მყრალი, დორბლიან-ლორწოიანი, ცივი და გლისპი პირი მოურიდებელი, მორეული არსების მთელი აუტანელი სიმძიმითა და სიუხეშით დაადო ქალს ტუჩებზე, დაეწაფა და დაუწყო გამალებული ღოწმა, თითქოს ველურმა დათვმა დიდი ხნის ნაცაე სკას სარტყელი ახადა და იქიდან თათლს სვლესო.

ამის მეტი საბრალო ქალს აღარა დაუნახავსრა. ეს იყო უკანასკნელი წარმოდგენა, რომელიც მის გონებაში ისევე ელვის სისწრაფით გაჰქრა, როგორც სისწრაფითაც იყო იგი მასში გამოწვეული და ის იქ შესცვალა უკვე საუკუნო სიბნელებს და ქაოსში.

სალომე გაგიჟდა. მას როგორც სარდაფში, ისე ახლა, სარდაფიდან ქუჩაში ამოსულს, ეჩვენებოდა, რომ თითქოს ირგვლივ ესეოდნენ დათვები და დათვის ოდენა ქიანჭველები. იგი იქექდა მთელ ტანს, იწვედა კაბას, იწვედა თმას, თითქოს თავს იფარავს საშინელი ნადირისაგანო, და ვაჰკიოდა სულ ერთსა და ინავეს:

„გამწორდით! არ მომეკაროთ!.. არ დამქამოთ... დათვებო... მხეცებო... საძაგლებო... ძაღლებო... ძაღლებო... ძაღლებო...“

თითქოს ამ დამახილთ უნდოდა ეცნობებინა საბრალოს მაყურებელთათვის, რომ დათვების ძაღლებათ გადაქცევა ისევე აღარ უქირს და უწნელდება ამ ეამათ მის გონებას, როგორც ქიანჭველების დათვებათ წარმოდგენაო.

XXX

სარდაფში საქმიდან ყასიდათ დაბრუნებულ იოსებას ყურს უტბად შემოესმა განის ოთახიდან რაღაც ოხვრა, ხენეშა თუ სხვა უჩვეულო ხმები და პირველად გაოცდა. შენდევ შეეშინდა კიდევ: აღას არ მოსელოდეს რა, ან ავაზაკები არ დასხმოდნ თავს და ცუდი რამე არ მიეყენებოთ მისთვისო.

მან დიდის შიშითა და რიდით შეიჭვრიტა ოთახში და თვალი მოჰკრა საშინელ სკენას: ახლად დარეცხილ ბოთლების საწყობ ბრტყელ მორგვზე გადამხლართულად იწვა ვიღაც ქალი, ხოლო აჯაბო მინდორში ლეშზე გადაფხორებულ ძერასავით გადალაჯებოდა ქალს თავზე და მძიმეთ ხენეშოდა:

იოსება გაქვავდა, ენა დაება, მოსაზრება დაეკარგა. ინსტიქტიურად დაიხია უკან და სარდაფიდან გიჟივით გაეარდა.



ქალში მან ანარკელივით იცნო დიდი ხაზეინის ცოლი. ^{საქართველოში} ამან კიდევ უფრო აღაშფოთა ისედაც თავის აღაზე გულამღვრეული მსახური:

— დროა, ამ უმსგავსი ცხოველის ფართაშს მოელოს ბოლო!

გადაწყვეტით წარმოსთქვა მან, ქუჩაში გამოსულმა, და სწრაფი ნაბიჯით გასწია წინ.

საბალხო კვების კავშირში უკვე იდგა საკითხი აჯაბოს სარდაფის შესახებ. ეს საკითხი იოსებამ აღძრა, ყველა იმ დაკვირვებათა შედეგათ, რომლებიდანაც, რამდენადაც კი ეს შეიძლებოდა, ირკვეოდა, რომ სარდაფში შოთავსებული ქონება—ეს შესაძლოა სახე-შეცვლილი, მაგრამ მაინც იმ საბალხო, იგივე სახელ-შეიფო ქონების ნაწილი უნდა იყოს, რომლის შესახებაც ამ ეამათ აღძრულია საკითხი, შექმნილია უკვე მთელი პროცესი კაციისი, კინტირიასი და სხვათა დატყვევებასთან დაკავშირებით.

ის კი, რაც თავის თვალთ დაინახა იოსებამ, ყველაფერზედ უფრო მჭერ-მეტყველურად ლაღადებდა იმის შესახებ, რომ აჯაბოსთანა შეცის ხელში რაიმე სავაჭროსი, გინდ საწარმოოს დატოვება არ შეეფერება მშრომელი ხალხის ხელისუფლებას! არცხვენს მას და სახელს უტეხს. პირველ ყოვლისა, ასეთ ადგილის არ ედგმონება თვით იოსებას, პატიოსან მუშას, კავშირის წევრს და ოჯახის მეთაურს.

ყოველივე ეს კავშირში მისულმა იოსებამ დალაგებით და გადაუტარებელ ფერებით უამბო ხელმძღვანელ ამხანაგებს. მაგრამ მდგომარეობა მაინც ისეთი მძიმე აღმოჩნდა, სურათი იმდენად გულშემზარავე დაისახა, რომ ფერების კიდევ უფრო შემუქება საჭირო აღარ იყო.

მისივე გადაწყდა სათანადო მოქმედების დაწყება სარდაფში თუ საერთოდ ქალაქში ჰაერისა და სივრცის გასაწმენდათ აჯაბოსთანა შვენე არსებინაგან.

არტელი „მობა“ უნდა ჩასდგომოდა აიერიდან სარდაფს ქალაქის ნ. და ხ. ქუჩების კუთხეში, ხოლო ამ არტელის მეთაურად და ხელმძღვანელად დღემდე ამავე სარდაფში შევიწროებული, აჯაბოსა და „ჩითახოსაგან“ დამცირებული და აბუჩად აგდებული იოსება უნდა ყოფილიყო.

— წინანი—უკან უკანანი—წინო. ვენაცვალე საბჭოთა ხელისუფლებას!— იმეორებდა თავისთვის გულში იოსება, აღნიშნული საქმის შესახებ სათანადო დავალებითა და, სადაც ჯერ არს, შესაფერი მიმოწერით აღტურელი. იგი მიიჭაროდა, საზოგადო ინტერესით არა ნაკლებ ამოძრავებული, ვიდრე საკუთარის; ხოლო ამ საკუთარი ინტერესის სფეროშიც კი უმთავრესი ისევ აჯაბოს თავიდან მოშორება იყო, იმ აჯაბოსი, რომელიც, იოსებას წარმოდგენით, მისი დაკვირვებით და ღრმა დაჯერებით, არა მარტო აუტანელი იყო, როგორც ხაზეინი, როგორც უდიერი „ხელისუფალი“ მშრომელთახელისუფლებაში, არამედ წარმოადგენდა საზოგადოებრივი ცხოვრების მავნებელსა და ყოვლად გაუმართლებელს „პარაზიტასაც“ იმავე დროს.

ამაში იოსებას არწმუნებდა, ერთის მხრით—ყოველივე ის, რაც იმას თავისი თვალებით დაენახა და ყურით მოესმინა იმ ხნის განმავლობაში, რაც მას

სამსახური მოუხდა თავისი უდიერი ხაზეინის ხელში, ხოლო მერამდემალს — ყოველივე ის, რისთვისაც უფრო მოეკრა, ცოტა რამე ზეპირი გმობის სახით, თავისი ხაზეინის წარსულის შესახებ.

„ჩითახოსი“ და აჯაბოს შეთანხმებული მოქმედება კაცის ლალატში, მის ჩავარდნაში, მიუხედავად იმისა, რომ კაცია თავისი სოციალური მდგომარეობით საზოგადოების ისევე აჯაბოს მხარეს არსებულსა და, მაშასადამე, იოსებას მოწინააღმდეგე ნაწილს ეკუთვნოდა, კიდევ ზედმეტი სიმძიმით ტვირთავდა იოსებას გულში აჯაბოსადმი აღძრულს სიძულვილს.

ხოლო ყოველივე ის, რაც ამ დილით მან სარდაფში შემოსწრებულმა თავისი თვალთ დაინახა, საბოლოოდ სცემდა და ანადგურებდა მის წარმოდგენაში საზოგადოების იმ შავი უმადურებისა, მოლაღატებისა და უმზავსო მოქმედებისათვის, რომელსაც ის ისე დაუბრუნებლად სჩადიოდა, თავის შემზინებელ და შემერდომ-შემთვისებელ ოჯახის მეთაურისა და პატივის მცემელი ქალის თითქმის სააშკარაოზე დადების სახით.

იოსებამ ჯერ არცკი იცოდა, თუ სალომესთვის რა სამწუხარო შედეგი მოჰყვა აჯაბოს ამ სიძულვილს. მაგრამ, რაც უკვე ნახა, ისიც კი საკმაო იყო პატიოსანი მუშა კაცის საბოლოო გამოპოტებისა და აღმფრთხილებისათვის თავისი უმზავსო ხაზეინის წინააღმდეგ.

იოსებას რაღაც გაურკვეველი, აუბნელი, მაგრამ მაინც სამართლიანობის გრძობით ამოძრავებული წინაგანი განწყობილება გულსა სწყვეტდა, უსაზღვროთ ამძიმებდა, აწუხებდა ის გარემოება, რომ კაცის, აჯაბოსთან შედარებით მაინც უფრო პატიოსან კაცს, მაინც უფრო ღირსეულ ადამიანს, ამ ეპოქათ საშვალეობა წართმეული ჰქონდა აჯაბოსათვის სამაგიეროს ზღვევინებისა, მისი ღირსეულად დასჯისა იმ შავი უმადურებისათვის, რომელსაც ეს უკანასკნელი პირველის მიმართ იჩენდა, დარწმუნებული თავის დაუსჯელობაში და ამით თავის აღვირწახსნილობასა და სივერაგეში კიდევ უფრო გათამამებული და განმტკიცებული.

— ზი, დედასა... „ვის უჭნია კი კაისათვის: მოუჭირე, გველოო“ — წამოიძახა უცბათ იოსებამ, რა მოაკონდა შავი უმადურობის ჩენის ნიადაგზე წარმოშობილი და ოდესმე მონასმენი ზღაპარი გველისა და გლეხის ამბავის შესახებ „სიბრძნე სიცრუიდან“.

და იოსებამ ფეხებს რაღაც ინსტიქტიურად აუჩქარა, თითქოს ისწრავის: რაც შეიძლება მალე მოგვარდეს ბოროტების დასჯის სრულიად მართებული საქმე, რომლის ინციატივაც მას ამ ეპოქად უდავოდ ეკუთვნოდა.

— მხარეულიც კი უნდა მართავდეს სახელმწიფოს!

დაილოცოს ამისა და უმრავე ასეთი ლოზუნგის წამომყენებელი, რომელმაც წაათამაშა მშრომელი ხალხი, აღჭურვა ის მოქმედების თავისუფლებით და მოუწოდა კიდევ უფრო ზედმეტი ნიჭისა და უნარის, გაბედულებისა და ინიციატივის გამოჩენისათვის ცხოვრების მოსავგარებლად, მის ისე მოსაწყსრივებლად, რათა აჯაბოებსა და „ჩითახოებს“ აღარ ჰქონდეთ გასაქანი, აღარ ჰქონდეთ სამოძრაო გზა და ასე წიხში მომწყვედულებს მათ სამუდამოთ მოესპოთ თავიანთ უმზავსო საქციელთა საპარპაშო ასპარეზი.

XXXI.

ეროვნული
გინგლირთქა

პირველი, რაც კაცია იგრძნო, როცა ის სარდაფში მოათავსეს, იყო გრძობა, რომელსაც არც შიში ეწოდება, არც სინანული და არც აღშფოთება. ეს იყო მარტოობის რაღაც განცდა და მითი გამოწვეული განსაკუთრებული გულის ტკივილი.

სიბნელე, რომელიც კაციას გარს ერტყა, რამოდენიმედ ანელებდა ამ პირველ გრძობას, თავს ებურებოდა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხელშეუხებელსა ხდიდა მას, თითქოს რაღაც პალოსავითაც კი ეჩხირებოდა განცდასა და განმცდელს შუა და თიშავდა მათ, სპობდა მათ შორის სასურველ გარმონიას.

ამიტომ ძნელი სათქმელია, თუ რა უფრო აწუხებდა ამ ეამათ კაციასა: განცდა იმ მარტოობისა თუ ეს უხილავი სიბნელე, ასე ჯიუტად და სამარის ლოდზე უფრო მძიმედ რომ შემოსწოლოდა არა მარტო მის გულსა, არამედ მთელ მის არსებას.

კარში საკეტაეის განხაკუნება, რომელმაც თითქოს მაქრატელივით გადასჭრა კაციასა და დანარჩენ გარემოს შუა არსებული შემკავშირებელი ძალები ახლა ადგილი დაუთმო ამ ჯიუტსა და უძრავ სიბნელეს.

ჯეროვანად ვერცკი მიატანა თვალი კაციამ იმ ადგილს, სადაც ის მოათავსეს. რაღაც ვიწრო ტალანივით მივარდნილ ადგილს შეუღეს მას ტალანზე კიდევ უფრო ვიწრო კარი და თითქმის ჯიკაევით შეაგდეს შიგ კაცია. კარის გაღების დროს შიგ შემოკრილი სინათლის ოდნავი, მიბუტებული შუქი არ აღმოჩნდა საკმაო იმისთვის, რათა კაციას ჯეროვანად მიეღწა მოველო თვალი ირგვლივ. ამიტომ მას ეჩვენებოდა, რომ ის იყო მოათავსებული რაღაც კუბოს მაგვარში, ვიწროსა და დაყუდებულში. წინა ფეხის გადადგმის ეშინოდა, ეგონა თუ საკმაო იყო თუნდაც ერთი ბიჯიც კი გადაედგა წინ, რათა ეს ნაბიჯი საბედისწერო გამომდგარიყო. ადვილი შესაძლებელია წინ ქაც კი ეღო კაციასა და ამ ნაბიჯსაც ადვილად შეეძლო მისი ამ ქაში გადაძახება, სადაც უეჭველად ყელამდე ან უფრო ღრმა თუ არა, სარტყელამდე ან შუხლებამდე წყალი მაინც სდგას.

ასე ეხატებოდა ბნელსა და გაურკვეველობაში მოათავსებულ კაციას ოცნებას საგანგებო კონისიის სარდაფის შინაგანი ნოკულობა.

— ვიდრე წყალში დგომა, უმჯობესია ისევ ამ სიბნელეში და მშრალ წერტილზე გაქვევება! — ბეჯითად გადასჭრა კაციას გულმა სიტყვის უთქმელად და სიტყვისავე შეუბრუნებლად დაემორჩილა მას.

მაგრამ კაციას ოცნება მაინც აიწმავდა. ბორბლებში წყალ შემომდგარი წისქვილივით დაიწყო ღერღა და მოძრაობა ავითმოფობამდის მისუსტებულმა მისმა გონებამ. დანარჩენმა უძრაობამ ირგვლივ ამ ავადმყოფურ ლტოლვეს მასში კიდევ უფრო შეუწყო ხელი. მაგრამ საკვირველია: ჯიუტი ჯორივით ერთ ადგილას სდგას მაინც ყოველი მისი მოსაზრება და წინ ფეხს არ იცვლის. მიკლილი ფუტკარივით გადაფრინდება ოცნება ხან იქით, ხან აქეთ, მაგრამ, როგორც ფუტკარი, ზუილით, იგი ისევ უკანვე ბრუნდება და მასთან ამ უგულო და უსინათლო კუბოშივე იკალათებს, თითქოს შეძველესავით ეხიდება ყოველივე

იმას, რასთანაც კაცის ოდესმე კი ჰქონია კავშირი, მაგრამ კრეფსულად და ამ უკანასკნელის დატყვევებით ფასი უკვე დაკარგული აქვს. რაჭლოთელი ეს აქვე, ამ კუბოშივე მოათავსოს, კაცისთან ერთადო,

და ოცნების ასეთი გადაფრენ-გადმოფრენა ამ უძრობასა და გაქვავებულ მდგომარეობას არა თუ არ შლის და სპობს, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო ართულებს, უფრო ამტკიცებს, აწეშებს და აქვავებს.

დრო კი მიდის... აღზად, მიდის... მართალია, კაცია არ გრძნობს დროს ამ მსვლელობას. მას ჰგონია, რომ დროც ისევეა გაქვავებული და ერთ ადგილას, სახელდობრ: ამ კუბოში, მასთან ერთად ძვეს, მაგრამ ოცნების ძალით, შებენების ინერციით, დრო მაინც მოძრაობს, ის, აღზაბთ, მაინც მიდის, შეფურცლვად მიდის, მაგალითად: აი, როგორც ლანქერისაგან აღიდებული მღვრიე მდინარე, კალაპოტში მოქცეული, ისე როგორც კაცია ამ სიბნელის კუბოში, ხან კი თუნდაც თავის კალაპოტებზე ტალღების გადამცდენი, ისე როგორც... კაცის მოუსვენარი ოცნება...

მიდის დრო... მაგრამ, რომ არაფრით ემზნევა!..

და კაცის მიაქვს ხელი... წინ კი არა, უკან, კარებისაკენ, რომელიც ამ რამდენიმე დროს წინად მის უკან მიხურეს და საკრეფითაც გაამაგრეს.

მიაქვს ხელი კაცისა და ხელი მართლაც ხედება კარის ჩარჩოს, ჩარჩოს იქით ხელის წაღებისა კი კაცის ეშინია: ვაი, თუ მოლოდინი გამართლდეს და ჩარჩოს იქით კაცის ხელს მართლაც მოხვდეს კუბოს მომხაზველი პერპენდიკულიარულად აწვდილი მეორე კედელი!..

— მერე რა ვუყოთ? ეს ხომ სინამდვილის შემოწმება იქნება და მეტი არაფერი. მაგრამ სწორედ ამ სინამდვილეში დარწმუნება, მასში დაჯერებაა კაცისათვის უველაფერი.

— არა, ისევ გვეში დარჩენა სჯობია.—სწყვეტს კაცის დაშინებული გონება და ისიც უნებლიედ ან უკეთ—მაშინაღუზად აცლის ხელს იმ საბედისწერო ადგილს.

— მაშ, რად მიზნდა ეს ხელი, ეს ფეხი, არა თუ თითო-თითო, არამედ მთელი წყვილობით რომ მიზნა სხეულზე?

და კაცის მეხსიერებაში უცბათ თავი ამოჰყო და ამოტივტივება იწყო ხელით, ფეხით და საერთოდ მთელი სხეულით ჯანსაღი ადამიანის შესახებ ოდესლაც მის მიერ მოსმენილმა ზღაპარმა.

— ხელი შეხებისა და მოსინჯვისათვის, ხოლო ფეხი კიდევ—გადასადგმელად! —ამბობს თავისთვის კაცია და იწყებს თავისი „კუბოს“ საინჟინერო გამოკვლევას.

საგანი არც ისე საშიში გამოდგა, როგორც მას ეჩვენებოდა. „კუბო“ მართლაც ნამდვილი კუბო აღმოჩნდა. არც მეტი, არც ნაკლები. საკმაო შეიქნა ხელის ჩარჩოდან მკირედ გადანაცვლება, რომ იგი იქვე მოხვედროდა პირდაპირ კედელს. აქეთ მეორე ხელმა მეორე ასეთი კედელი აღმოაჩინა პარალელურად, ასე რომ სამი კედლის არსებობა მთელი იყო თვით ამ სიბნელეშიც კი. რჩებოდა მხო-



ლოდ წინ, გამსწვრივი სივრცის გამოკვლევის ამოცანა, რომლის ერთგვად გადაჭრასაც კაცია ღიძნანს ვაფრბოდა.

მაგრამ ნათქვამია: „კურდღელმა რაც იკვნა, იგი იხტუნს“ — ამგვარ კვლეობასაც ადრე თუ გვიან საზღვარი მაინც ხომ უნდა დასდებოდა.

— მაშ, რის შიში, რის ყოყმანი? — გაუღელა უცბათ კაციას აზრმა და მანაც იწყო ჯერ ხელით, ხოლო შემდეგ — ფეხითაც სივრცისა და ნიადაგის მოსინჯვა.

ღიძნე კვლევა და ლოდინი არც ამ მიმართულებას დასჭირვებია. გამოირკვა, რომ ფეხის წადგმა იმაზე წინ, სადაც ამჟამად კაცია იდგა, არც კი შეიძლებოდა: იატაკზე რაღაც უფორმო და ჯერჯერობით უსახელო მასის არსებობის მიზეზით, ხოლო დანარჩენი სივრცე ამ მასის ზევითაც არ შეიცავდა მაინცადა მაინც ღიძნით სასურველ სიხალავათეს: პირს დამუქრებული კედელიც იქვე ეშვებოდა თითქმის კაციას ცხვირის წინ, ასე რომ კაცია მართლაც კუბოში გამომწყვდეული აღმოჩნდა: მხოლოდ ეს კუბო ცერალმა იყუდა, რადგან კაციაც ხომ ჯერ ცოცხალი იყო და, მაშასადამე, ისიც ცერალმა იდგა ამ ბნელსა და გაუვალს კუბოში.

ამ რიგათ, მდგომარეობა კაციასათვის გარკვეული შეიქნა. გაურკვეველია რჩებოდა მხოლოდ ერთი რამ, სახელდობრ, ის, თუ რამდენი დრო ვაეიდა, სანამ ყოველივე ამას კაცია თავისთვის ახსნიდა და გამოარკვევდა, ან ჰქონდა თუ არა ამ ეკამათ დროს საერთოდ რაიმე განზომილება, თუნდაც ისეთი, როგორიც ამ სიბნელით ამოვსებულ კუბოს, კაცია რომ ესახლა ამ ეკამათ შიგ?

ეს საკითხი ძნელი გადასაჭრელი იყო, ერთის მხრით — იმ ერთფეროვნების გამო, რომელსაც ჰქონდა კაციას გარშემო დასადგურებული სიბნელე და მყუდროება, ხოლო, მეორეს მხრით — იმ მრავალ-ხაზოვანობის გამო, რომელსაც ჰქონიდა მის თავში სხვა და სხვა მიმართულებით აღძრული და გაუვალ ხლართებივით ერთი-ერთმანეთზე გადასცენილ გადაჩხირული სხვა და სხვა ფიქრები და აზრები.

ბოლოს მოიღალა, მოიქანცა ამ დაჭიმულ მდგომარეობაში მყოფი კაცია და ის შეიპყრო რაღაც გარინდებამ.

იყო ეს ძილი, ნერვიული აბატი, თუ სასიამოვნო თავდავიწყება? ძნელი გამოსარკვევია, რადგან ყოველივე ამას არ გააჩნდა დასაწყისი, არც დასასრული, არც კიდე, არც განი და არც რაიმე სხვა განზომილება.

ბურანში მყოფი კაცია მხოლოდ კარებში საკეტავის განხატუნებამ გამოარკვია.

იგი გაიყვანეს დასაკითხად.

XXXII

უკვე პირველი დაკითხვიდან გამოირკვა საქმის უმთავრესი ვითარება. კაციამ „პირნათლად“ ილიარა ყოველივე. რა თქმა უნდა, განსაზღვრული და გასაგები მიზნით, დაფარა მხოლოდ სარდაფის ვახსნის ამბავი ჭალაქის ნ. და ხ. ქუჩების კუთხეში, დაფარა აჯაბოს რაიმე მონაწილეობა ღვინის რეალიზაციის საქმეში, ხოლო დანარჩენი კი ყველაფერი უამბო გამოძიებულს; მთელი ჩვენებ

ააგო იმ საბუთების მიხედვით, რომლებიც განხრევის დროს შექმნილია და საგანგებო კომისიის წარმომადგენლებს და რომლებიც, თავის მხრივ, სწავლებით თითქმის სიტყვა-სიტყვით ადასტურებდნენ კაცის ნაამბობს.

— საქმე ნათელია—ამბობდა კაცის საქმის გამომძიებელი საგანგებო კომისიის სხდომაზე: ლენინო რელიზაციას მოითხოვდა და, მაშასადამე, საზოგადოებას კონტრაგენტი უნდა აეყვანა. ამ შემთხვევაში ლიქენიაშვილის მოქმედება არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც კონტრევალიუციონური მოვლენა. იმან თავისი ნიჭი და გამოცდილება მოთხოვნილებისამებრ გადასცა საზოგადოება „ლენინოს“ განკარგულებაში. მხოლოდ ორი გარემოება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საბაბი, როგორც დასაყრდენი ლიქენიაშვილის დამნაშავედ გამოყვანისათვის: ერთი ის, რომ ლიქენიაშვილი მოწინააღმდეგე კლასის წარმომადგენელია, ყოფილი მსხვილი ფაქარი, წარსულში დიდი სიმდიდრის პატრონი და, მაშასადამე, ჩვენი სახელმწიფოს კლასობრივი მტერი; მეორეც კი ის, რომ ლიქენიაშვილმა, როგორც ჩვენი საეპრო საზოგადოების წარმომადგენელმა, არ შეასრულა მარწმუნებელის ამ შემთხვევაში—საზოგადოება— „ლენინო“-ს ღირებულებები და ლენინო კერძო ფირმას მიჰყიდა ქ. როსტოვში. ჩვენი განკარგულებით, ამ კერძო ფირმის—“მშენი პოდვოხოვების“ წარმომადგენლებიც: თვითონ მშენი და იმათი ნოქრები შეპყრობილნი არიან ქ. როსტოვის საგანგებო კომისიის მიერ. დაკითხვის ასლიც აქვე არის. აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ლიქენიაშვილისაგან შენაძენი ლენინის ერთი ნაწილის ფასი უკვე გადაუციათ „მშენს“ ლიქენიაშვილის ვაჟისათვის, კოტე კაციას-მე ლიქენიაშვილისათვის. მაგრამ სწორედ აღნიშნულ დიდი თანხის მიღებისათანავე ეს კოტე ლიქენიაშვილი გაეკარცულ და მოკლულ იქნა ქალ. როსტოვის განაპირა ადგილას, ასე რომ ფული დაიკარგა და ამ რიგად საზოგადოების ზარალიც უდაო ფაქტია. მაგრამ ერთი გარემოებაც არის უმეტესად ანგარიშ-გასაწყები, სახელდობრ: ის, რომ დაპატიმრების დროს ლიქენიაშვილმა უკვე განაცხადა, რომ მისი დატყვევება და საქმისაგან მოკლენა საზოგადოებას ზარალს უქადის, რომლისთვისაც იგი პასუხის მგებლობას თავიდან იშორებს, თუ მას არ გაანთავისუფლებენ და არ მისცემენ გზის განგრძობის საშუალებას.

ეს მისი განცხადება მაშინ რატომღაც არ იქნა ყურადღებულნი, საფიქრებელია, თითქმის ეპეს ვარეშე, რომ როგორც ლიქენიაშვილები, ისე „პოდვოხოვები“ საბოლოო ანგარიშში მაინც დასხდებოდნენ დამნაშავეთა სკამებზე, მაგრამ ამეამათ იმათ, განსაკუთრებით კი—პირველს რჩება ხელში საკმაო ქაგულისხმო საბუთი თავის გამართლებებისთვის.

— არაერთადი საბუთი—გადაპრით წარმოსთქვა საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ: საქმე არც მარტო იმ ჩარჩოებში თავსდება, როგორც ეს ამხანაგმა გამომძიებელმა წარმოგვიდგინა. აქ ჯერ არ არის გათვალისწინებული, თუ რა როლს თამაშობენ მთელ ამ ეპიზოდში თვით საზოგადოება—„ლენინო“-ს ზოგიერთი პასუხის მგებელი თანამშრომლები, რომლებიც აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით ჩვენ დაპატიმრებულნი გვყვანან. შემოსულია აგრედვე ცნობა და ამასთან—საბუთიანი მოსაზრებაც, რომ სწორედ საზოგადოება—„ლენინო“-ს ქონების ამ დატყვევების შემდეგ გახსნილ ლენინის სარდაფი ქალაქის ნ. და ხ. ქუჩების



ეთხეში უნდა იყვეს საზოგადოების ხარჯზე აღმოცენებული პარსნიჭების—მოკო-
მცენარე. ამის გამო შესაფერ ორგანიზაციებს უკვე მიეცა საშუალება „საქმის“
პი“-ს ჩამოსართმევად და იქ საამაინაგო ღვინის საწყობის გასახსნელად, რაც ამ
ორგანიზაციებმა უკვე სისრულეში მოიყვანეს, როგორც ეს სარწმუნო წყაროე-
ბით ვიცით. მაგრამ მართო ეს ზომა არ კმარა. საჭიროა ამ „პატიოსანი“ დაწე-
სებულების უპატიოსნესი ყოფილი მეპატრონეც დატყვევებულ და მოთავსებულ
იქნას იქ, სადაც სხვები უკვე სხედან. ამასთან ერთად აქ თავმჯდომარემ ხმას
ცოტა დაუდაბლა და ნახევარ ჩურჩულით განაგრძო:—გვაქვს საბუთიანი ექვი,
რომ სარდაფის მეპატრონეს, ცნობილ ჩარჩს და ძველ კომბინატორს, დიდს დახმა-
რებას უწყვედა ჩვენი დაწესებულების ერთ-ერთი თანამშრომელიც. მართა-
ლია, ძალიან მცირე საფეხურის მოხელეა აღნიშნული თანამშრომელი, მაგრამ
ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: საკმაო არის ძველი, გაუსწორებელი ჩარჩები-
სპეკულიანტები და საზოგადოთ—ჩვენი კლასობრივი მტრები თუნდაც ოდნავ
ამომრავდენ, რომ მათი მოქმედების გარშემო დაგროვდეს რაც კი ცხოვრების
ნებეი და ტალახი არის. ისინი, როგორც ხედავთ, ხრწნიან და თავის გავლენის
ქვეშ აქცევენ ზოგ ელემენტებს თვით ჩვენი სახელმწიფო აპარატიდან, ხოლო,
რაც ყველაზედ უარესია,—თვით ჩვენი ავტოგვიტული ორგანოდანაც კი. ამხანაგ
გამომძიებელს კი თითქმის ყოველივე ეს სრულიად გამოუპარა მხედველობიდან
და აქ ზოგიერთი აშკარა და გაუსწორებელი დამნაშავეთაგანი „მამა აბრამის ბატ-
კნის“ როლშიც კი დაგვიხსნა.

თავმჯდომარის ამ განცხადებამ გამოძიებელი თითქმის ყურის ძირებამდის
გააწითლა, მაგრამ მისი მდგომარეობა უცბათ ისევ თავმჯდომარემ გამოასწორა.

— შესაფერ ინსტრუქციებს, ამხანაგო გამომძიებელო, თქვენ მიიღებთ ჩემ-
გან სხდომის დასრულების შემდეგ—უკვე შესამჩნევად დარბილებული კილოთი
მიუბრუნდა მას თავმჯდომარე და მცირე ხნის შემდეგ სხდომაც დახურულად
გამოაცხადა.

მართლაც, ერთი საათის შემდეგ, თავმჯდომარის კაბინეტიდან გამოდიოდა
აღნიშნული გამომძიებელი, რომელსაც თან მოჰქონდა შესაფერი ბრძანებანი,
საზოგადოება—„ღვინოს“ საქმესთან დაკავშირებით, აჯაბოსი და ჩითახოს დამა-
ტებითი დაპატიმრების შესახებ. ამ ქამად მას სახეზე უკვე სიწითლე და დარ-
ცხვენა კი არ ეხატებოდა, არამედ—სიამაყე და გაზმედლობა. ეს იყო, თუ გნე-
ბავთ, იმ დაწესებულების მიერ შთანერგილი სიამაყე და გაზმედლობა, რომელ-
საც ასი, ათასი თუ მილიონი საიმედო თვალი და ყური აქვს გამოზმული და
რომელსაც ქვეყნად ჭიანჭველას ოინაზობაც კი არ გამოუპარება, არა თუ თავი-
ანთი სიდუხჭირით ისეთ თვალ-საჩინო არსებათა გაიძვერაობანი, როგორიც იყ-
ვნენ ჩვენი კარგი ნაცნობები: აჯაბო და ჩითახო.

XXXIII

მართალია, დრო და დრო საკანში შემოჭრილმა ცივმა ჰაერმა აგრძნობინა
კაცის, რომ უკვე ზამთარი დადგა, ან თუ არ დამდგარა, მოახლოებული მაინც
არის, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მისთვის რომ გეკითხათ, თუ საერთოდ რამ-

დენი დრო გაატარა მან პატიმრობაში, ის ამაზედ ვერავითარ ცნობას ვერ მოგცემდათ.

ბევრი დრო? ვანა, სიტყვა „ბევრი“ მჭონეა ისეთი შეძლებისა, რომ გამოხატოს კაცის ის ტანჯვა და გულის წყვეტა, რომელნიც მან პატიმრობის ხანაში გადაიტანა?

ეს ტანჯვა უძიროა. დრო კიდევ—უსაზღვრო. კაციათ კი თავისი ტანჯვითა და მოთმინებით ცნობილ იობის მოთმინებაც კი უკვე კაი ხაია დაჰფარა და გაათასა.

მიუხედავით პატიმრობის წარმოუდგენელ კონსპირაციისა და დანარჩენ გარემოსაგან სრული მოწყვეტილობისა, კაცის შეგნებაზედ მაინც მიაღწია რამდენიმე კანტი-კუნტმა, საეჭვო და დაახლოებითა ცნობამ ქალაქის ნ. და ხ. ქუჩების კუთხეში მოთავსებული სარდაფის ხედრის შესახებ. კაციაც არა ერთხელ დაჰკითხეს, აღნიშნულ სარდაფის გამო, ამ დაკითხვებიდან უკვე ირკვეოდა, რომ მთელი კვანძი დამკითხველთა ხელში იყო. ეკითხებოდნენ ისეთ წერილმანების შესახებაც კი, რომელთა ცნობაც კაცისი და აჯაბოს მეტს არავის არ შეეძლო.

ეს ცნობები ან თვით მას, კაცისა უნდა წამოსცდენოდა სიზმარში, რადგანაც ცხადია, შეგნებულად კაცია მათ არავითარ შემთხვევაში არავის არ გაანდობდა, ან კიდევ ისინი უნდა გაეთქვა თვითონ აჯაბოს, რაღა თქმა უნდა, თავისდა საზიანოდ, რასაც აჯაბო, კაცისა აზრით, არასოდეს არ ჩაიდენდა.

ამ შემთხვევაში აი, მხოლოდ ეს ერთად ერთი საბუთი, ეს მოსაზრება კაცისი აჯაბოს შესახებ აფერხებდა მასში ყველაფერი დანარჩენით აღძრულ საბუთთან ეპკის სრულ დაჯერებად გადაქცევას.

— აბა, იოსებამ ვაგვცა?... აბა, სახლში წამომცდა ამის შესახებ რაიმე და შემდეგ ქალბს, როგორც სუსტ არსებებს, ყოველივე უკვე ძალდატანებით ეს წამოაცდინეს?..

ეკითხებოდა კაცია თავის თავს მეთათხევერ, მაგრამ მეთათხევერვე უარყოფით უპასუხებდა აღნიშნულ კითხვებზე თავისივე თავს, რადგან არ ახსოვდა თუნდაც უმნიშვნელოესი ცნობაც კი—სარდაფის შესახებ, რომელიც მას ოდესმე ვინმესთვის გაენდოს.

ცხადია: აჯაბო გატყდა. წახდა კაცი და გატყდა...

სასოწარკვეთით იბეჯითებდა თავის გულში კაცია და თავის პასუხებსაც ამ საგნის ირგვლივ მოცემულ კითხვებზე ისე აწყობდა და რაზმავდა მოხერხებული სპეკულიანტი, რომ თავისი რაიმე მონაწილეობა სარდაფის არსებობაში ყოველ შემთხვევაში სრულ არარაობამდე, სრულ უპასუხისმგებლობამდე მაინც დაეყვანა თორემ, ვინ იცის, აჯაბო მაინც დიდი სუფთა პიროვნებაც არ არის და ვაი თუ კიდევ რაიმე სხვა დიდი პასუხის მგებლობაც დამატებოს თავსა—ჰუი-ჭრობდა თავის გულში კაცია. მას ამ შემთხვევაში სახლში არსებულ ერთადერთი საბუთის ხედრი ეფიჭრებოდა, მაგრამ თან დიდი იმედოცა ჰქონდა ამ საბუთის, რადგან იქიდან ყველაფერი ნათლად სჩანდა: ხოლო ყოველ შემთხვევაში, მოსალოდნელს, აჯაბოს მიერ მოგონილსა და მოჭორილს პასუხის მგებლობას



ეროვნული

ისევ ამ საბუთით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა ერწმუნებს, მაგრამ არაა სარდაფის გამო რაიმე პასუხის მგებლობა მას ოდესმე თავს კი დაატყდებოდა.

საოცარია მხოლოდ: არც ერთ დაკითხვაში ამ საბუთის შესახებ მას არაფერ არ შეჰკითხვია.

ცხადია, სალომემ გამჭირაბობა გამოიჩინა და საბუთი, ალბათ, გადაიძალა. უკეთესია: ღრამდე ისევ ასე სჯობია, ხოლო, თუ რამე ისეთი მძიმე ბრალდება წამოუყენეს, რომელიც საბუთში გათვალისწინებულ პირობათა ჩირჩოებს დიდათ გასცოლდება, საბუთის დასახელებას მაშინაც მოვასწრებო—ივლებდა ამ აზრს გულში კაცია საიშედო დასაყრდენად და ჩვენებათა მოკვამში, ამის გამო ერთხელ უკვე თავის მიერ აღებულ გეზს ადგა: ყველაფერს აჯაბოს ახვევდა თავს.

ვერ მიხვედრილიყო კაცია მხოლოდ ერთს: რისთვის უმეორებდა მას ამას წინად გამოძიებელი სულ ერთსა და იმავე კითხვას: „სარდაფში, ფულისა ან სხვა რაიმე ოჯახური საჭიროების გამო, სალომე თუ მიდიოდა აჯაბოსთან“.

რა თქმა უნდა, სალომეს თავმოყვარეობა იცის კაცია: იგი ამას არასდროს არ მოიმოქმედებდა, მაგრამ მაინც გასაოცარია, თუ რა უნდა იყვეს ისეთი რამ ამ კითხვაში? განა, ყველა მოქალაქეს არ შეუძლია ამა თუ იმ სარდაფში ჩასვლა ამა თუ იმ საჭიროებისათვის?

— არა, ჩემი გაგებით, მე არ მახსოვს, რომ სალომე აჯაბოს სარდაფში ყოფილიყვეს ან თუნდაც განზრახვა ჰქონოდა იქ წასვლისა. იგი ამას არასოდეს არ მოიმოქმედებდა. აი, მოკლეთ კაციას პასუხი ამ კითხვაზე. მართალია, აჯაბოს სტუმრათ და ზიზნათ მიმღებნი თავის ოჯახში, დამხმარე და ერთგულნი კი იყვნენ ისა და იმისი ცოლი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ, თუ აჯაბოს ცუდი რამე მიუძღვის ცხოვრებაში, ამაშიც ისინი გრძნობდენ თავს დამნაშავეებად.

აი, როგორ გაემიჯნა კაცია ყველა იმ კითხვებისაგან მოსალოდნელ პასუხის მგებლობაში თავისი თავის ჩაყენებას, რომლებსაც გამოძიების დროს მას უყენებდენ ისე დაჟინებით აჯაბოსა და სარდაფის გარშემო...

აბა, კოტესა და პოდგობოვების შესახებ შეკითხვებმა ხომ კაციას გული და მოთმინება სულ წაიღო. მაგრამ კაცია მუდამ რეალისტი იყო და ამ შემთხვევაშიაც ეს რეალ სინამდვილეზე მტკიცეთ დგომა მას რკინისებურ აუცილებლობად; მიანდა, მისი გადაჩეხა არაერთი ოსტატური შეკითხვით არ შეიძლებოდა: იგი მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებდა მოკლედ და მკაფიოდ: „დამიძახეს, დამავალეს და მეც შევეუდექი დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას“—ო, არც მეტი და არც ნაკლები.

— ვინ იყო კოტე?

— ჩემი შვილი და დამხმარე.

და ეს დახმარებაც საქმისადმი განსაკუთრებულ სიერთგულეს ნიშნავს, კაციას აზრით.

და კაციაც საესებით მართალია: არაერთი იურიდიულ დებულებას არ შეუძლია კაციას მოქმედების გამტკუნება და გაშავება ამ საქმეში, ხოლო თუ

რამე ცუდი ჩაიდინა, ესთქვათ, კოტემ, ეს უკვე კოტეს დანაშაულებული კაცია.

მაგრამ ჯერ-ჯერობით კოტეს რაიმე დანაშაულის შესახებ არაფერს არაფერი არ უხსენებია: შეიძლება ის ეხლა დაპატიმრებულიც იყვეს და გზა თავისი სიერთეულის გამოსაჩენად საქმისადმი მასაც ისევე ჰქონდეს მოჭრილი, როგორც ამ შემთხვევაში კაციას აქვს. მაგრამ ეს სრულიად არაფერს არ ნიშნავს, დანაშაულობის თვალსაზრით. მათი ამ პატიმრობის განმავლობაში თუნდა ქვეყანაც დაიქცეს, ქვა ქვაზედაც არ დარჩეს, ამაში რა ბრალი უნდა დასდონ კაციას და მის ვაჟს? დააბრალონ ისევ თავიანთ თავს, თავიანთ სიუხუნურესა და სიხებურეს, რასაც „ისინი“, კაციას დაჯერებით, აუარებელს იჩენენ და რითაც ქვეყანას ასე ღუპავენ.

— ო, რა მშვენიერად დაწყობილი ქვეყანა დალუპეს მაგ „ღეთისპირიდან გადაეარდნილებმა“! — იცის ხოლმე კაციამ ხშირად თავის გაქნევით წარმოთქმა ან კიდევ უფრო მეტად — გულში გავლება.

და თავის ამ შეხედულებაში კაციას უდავოთ მართალი ჰგონია თავისი თავი. მისი საზომი ამ შემთხვევაში თავისი პირადი ბედნიერებაა და ეს საზომიც კაციას მუდამ მოხდენილად აქვს მომარჯვებული როგორც მოქმედებაში, ისე მოსაზრებაშიაც.

შოლოდ ეხლა, როცა ამ „ნაზამთრ ქორს“, გამოზაფხულების გამო, მცირე ხნით სამოქმედოა გამართული თავიანთი ფრთები ისევე შეუმოკლეს და შეუტყრეს, იგი ისევ აზროვნების აყალოს აწვება და აწვება, რაც შეიძლება, ჭარბათაც ამ თავისი „უტყუარი საზომით“.

მაშ, რა ჰქნას, როცა სხვა გზები მისთვის სულ ყველა მოჭრილია?.. დაიბ, გზები მოჭრილია! რომ ეს გზები მოჭრილი და მოშლილი იყო, ეს კაციამ უკვე იმ თავიდანვე მშვენიერად იცოდა, მაგრამ აი, ამ უიმედობისა და უნიათობის ფონზე უცხად ერთმა გზამ, ერთად ერთმა საიმედო გზამ იელვა კაციას თვალისწინ და კაციაც ხარბად დაეწაფა ამ გზას. ამ დაწაფებითა და დახარბებით ამ გზის ხელოვნურად მოშოკლებაც კი სცადა კაციამ. უქვევლია გადააჭარბა მან, ერთსა და იმავე დროს იხესა და კაკაბს დადევნებულ ქორს დემსავსა თავის სიხარბით; ერთს თავ მოგებას აღარ დასჯერდა და მეორის ზედ დამატებაც მოისურვა. მოისურვა, მაგრამ... „სიხარბემ წასწყმინდა“...

— „ორი კურდღლის მდევარი ერთსაც ვერ დაიჭერსო“, მართალი უთქვამს, ვინც თქვა — გაივლო ვულში კაციამ.

განა, კაციამ ამ შწარე გაკვეთილამდე კი არ იცოდა ამ შწარე ანდაზის სიმახვილე და სიხარბე?

იცოდა, როგორ არ იცოდა, მაგრამ... ეშმაქმა რომ არ მოასვენა?

— ეხლა კი მოისვენებ, კაციავ, მაინც ამ ციფსა და ბნელს ადგილას და მოისვენებ, მიუხედავად მოთმინების მთელი მოუსვენრობისა, მიუხედავად გულის მთელი დაუდგომლობისა, რადგან, ბიჭი ხარ და, ნუ მოისვენებ!... აბა, ერთი შენებურად გაჭკარი ფრთებს და ირაოს, ლალ ნავარდს დაჩვეულო ალალო! აკი გაჭკარი უკვე ამ ფრთებს, მაგრამ იგი უშალ უკვე დაგაჭრეს და დაგიმოკლეს... ახლა



საფრენი გზები უკვე ყველა მოჭრილი და მოსპობილი გაქვს და, ყოველს, მხრით უიმედოთ მოქცეული ხარ გაუვალ ზისში. იჯექ ამ გალიაში და უცხოებას ეძიებ ნოელი იქ? იქნებ დაგხვრიტონ კიდევ, უპქველით დაგხვრეტენ... მე შენ გეტყვი და ხელი აუტანკალდებით, აი... გული აუთრთოლდებით... ის ხალხი, რომელიც კაცია მნახა და გამოსცადა თავისი პატიმრობის მანძილზე, ისეთს სრულიად არა ჰგავს, რომელთაც რაიმე თუნდაც საძნელო საქმეში გულის ან ხელის ათრთოლება — აკანკალება სჩვევიათ.

და დახვრეტის ხსენებაზე კაციაც მიგცა ერთობ ცუდ საგონებელს, უფრო მძიმესა და აუტანელს, ვიდრე ეს უტყვი და უძრავი მყუდროება, ხოლო ასატანად კიდევ უფრო ძნელსა და მჭენჯნავს, ვიდრე პატიმრის გარშემო დამკვიდრებული ეს ბნელი და ერთფერი სიცილიერა.

მაგრამ ბნელი და ერთფერი? ერთფერი კიდევ ჰო, რადგან, განსაზღვრული ხნის სიბნელის შემდეგ, საკანში გაჩაღებული იქნა ელექტროს სუსტი ჭალი, რომელიც თავისი ნიადაგ შექცებით, თავისი მუდმივ ჩაუმქრალობით წინააღმდეგობის ემოციით იმავე ერთ ფეროვნებას აბრუნებდა კაცის საკანში, როგორსაც იწვევდა აღრინდელი სიბნელე.

ამ რიგად, სიბნელე გაჰქრა კაცის საკნიდან? არა, იგი არ გამქრალა, მან ფეხი მოიკიდა კაცის წარმოდგენაში, მთელ მის სულიერ არსში.

და მართლაც ამ სუსტი, მაგრამ მაინც უდასასრულო სინათლის განსაზღვრულ საკანის ოთხ კედელს აქით ხომ უნდა ყოფილიყო ასეთივე ჯიუტი და უდასასრულო სიბნელე, როგორიც ეს სინათლეა?!

და კაცის ავადმყოფ ოცნებას ერთი წუთითაც არ შორდებოდა, მისი წარმოდგენით, მისი საკნის ირგვლივ ჯიუტად ფეხ-მომდგარ ამ სიბნელის უსაზღვროება, რომელიც სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივად განსაზღვრული იყო დღისა და ღამის ჩვეულებრივ ცვალებადობისა და გარდაუვალობის წესით.

XXXIV

ხანგრძლივი, აუტანელად ხანგრძლივი და მძიმე გამოღვა კაცის ყოფნა საგანგებო კომისიის იატაკ ქვეშ: საკანი საკანზე ეცვლებოდა პატიმარს, ერთი ადგილიდან ის მეორეზე გადაჰყვებოდათ საწყობად და საოცნებოთ: მხოლოდ ამით მის ირგვლივ ერთხელ უკვე დასადგურებული სინამდვილე ოდნავადაც არ იცვლებოდა, ის ოდნავადაც არ სთმობდა თავის ერთფეროვნებასა და უსაზღვრო საჯიუტეს.

არაფინ იცის, თუ რამდენი დრო გავიდა კაცის ამ უდასასრულო პატიმრობაში. მაგრამ უვადო და უდასასრულო ბოლოს და ბოლოს მაინც არაფერი არ არის. და აი, კაცის ამ პატიმრობასაც მოუვიდა ბოლოს თავისი დასასრული.

ერთ მშვენიერ დღეს... დღე იყო ეს თუ ღამე, იმ წუთს, როცა კაცის ის ეფწყა, ძნელი სათქმელი გახლდათ, სრულიად შეუძლებელიც იმდენად, რამდენადაც არ არსებობდა ამისათვის არაფითარი გარეგანი ნიშანი, ეს ერთად ერთი უტყუარი საბუთი დროს ამგვარად განსაზღვრისათვის.



ქართული

გამომცემი

საბჭოთაო

კაცის კი ეუწყა, რომ ის თავისუფალია.

— როგორ თუ თავისუფალი?

— აი, ასე: გამოხვალ ამ კარებში და წახვალ, საითაც გნებავს—უთხრა იმან, ვინც ეს გამოუცხადა, და მკლიტულმაც ვალებელი კარი უფრო გასწია და შესაფერი ნიშანიც კი მისცა ხელით მთელი ამ ამბით გაოგნებულ პატიმარს.

რალა გზა იყო. დაიქვეითა კაციამ და თავისი საბან-გობანით ინება გზის დაქნა ჯერ კიდევ გაურკვეველის მიმართულებით იმდენად, რამდენადაც პატიმარს ჯერ უნდა გამოეცლო საგანგებო კომისიის ქვედა სართულის უდასასრულო ვიწრო ტალანები, საიდანაც ის შემდეგ გამოვიდოდა გამოსასვლელ კარებში, საამისო საბუთის კარებში ატუხული მცველისათვის წარდგენით თუ სხვა რამ შესაფერი პროცედურის დაცვით.

მხოლოდ ქუჩაში გამოსულმა კაციამ შენიშნა, რომ ღამე იყო. ქუჩებში იშვიათი მოძრაობა და ნაკლები ხმაურობა იდგა, მიუხედავად იმისა, რომ იქვე ახლო, ქალაქის რატუშაზე საათმა რვაჯერ დაჭკრა. ქუჩაში არც ციოდა და არც თფილი ჰაერის ნიშნები სჩანდა. ელექტრო-ქალები, მიუხედავად თავიანთი სიმრავლისა, მაინც სუსტ სინათლეს ჰფენდნენ ირგვლივ; ხეები ფოთლებით შემოსილები მოსჩანდა, მაგრამ გადაჭრით თქმა იმისა, თუ წელიწადის რომელი ღრო იყო: გაზაფხული თუ შემოდგომა, მაინც ძნელი გამოსაცნობი ხდებოდა.

ამ სიბნელეს კიდევ ისიც უწყობდა ხელს, რომ, როგორც ამაში კაციაც დარწმუნდა, მის თვალებს უკვე დაეკარგათ ადრინდელი სიმახვილე და გარეგანი ნიშნების მეოხეობით ასეთი რთული საკითხის შემოწმების უნარი.

ის ბარბაცით დაადგა ქუჩებს, გაუბედავად, როგორც ახლად ფეხადგმული ბავშვი. თან კიდევ ერკებინებოდა ზურგში მოკრულ ნივთებით სვლა: ერთთირებოდა, თითქმის ეუცხოვებოდა ქუჩის არე, მაგრამ მაინც ინსტიქტიურად, დაშინებულად მიიწევდა წინ სწრაფად, უკან მიუხედავად: რა არის, ღმერთი არ გაუწყრეთ, თან არ ამეღვენონ და ისევ უკან არ დამაბრუნონო.

სახლში მისულმა მან ფრთხილად დააკაკუნა კარებს, ეფიქრებოდა: არ შეშინდნო. თან გული არა ჩვეულებრივი სისწრაფით უცემდა მკერდში, თითქმის ახლად გაღვიძებული ფრინველივით ლამობს ბუდიდან გადმოფრენასაო.

აი, საკეტავმა გაიხზაკუნა კიდევ: სადაც არის ღია კარში თავს გამოაჭყფს სალომე ან ნოთია, ან ვინიკობაა, კოტეც არის დაბრუნებული, თუ, რალა თქმა უნდა, მამასავით დატყვევებული ისიც არ იყო.

მაგრამ ამას რას ხედავს? კარი გაიღო და, ნაცნობი სახის ნაცვლად, ვილაცა თმა-გაჯუჯილი მამაკაცის შავი სახე კი გამოეხირა კარებში.

კაციამ უკან დაიხია, შეფიქრიანდა: ხომ არ შემშლია ბინაო. მაგრამ არა, ბინა სწორედ ის არის, კაცია ლიქენიაშვილისა და მისი ოჯახის ნამდვილი საბუდარი:

— მაშ, ამ ბუდეში საიდან გაჩნდა ეს გუგული? ან ვისი უნდა იყეს ეს შავი თმით, შავი ბალნით შემოსილი თავი? კაციას ის თავის დღეში არასოდეს არ უნახავს. ვილაც იეზიდო უნდა იყეს, უცხო და ჭყურტი, თორემ არც ქართველსა ვაგს და არც რუსს.



— ვინ გნებავთ? — იკითხა დამტკრეული რუსულით კარებში გამოსული მამაკაცი.

— ეს ლიტენიაშვილის ბინა არ არის? — მიუგო თავის მხედრულ-კარგულ კაცს.

არ ვიხი!... ახედი აქ არავინ არ ვიხი!... ბინა ჯემია — გადაჭრილი და დამაჯერებელი კილოთი მიახალა უცნობმა კაციას და კარი შეიჯახუნა.

სახტათ დარჩენილი კაცია შიშის ქარმა აიტანა.

— აბა, დასაცდელად გამომიშვეს? იქნება რაიმე ხაფანგია მოწყობილი ჩემთვის? ალბად, ჩემი კიდევ ახალი სასინჯელით დასჯა უნდოდათ და ამისათვის გამანთავისუფლეს ასე ღამით, ასე უდროოთ? იქნება უკანაც კი მომდევნე? იქნება აქაც კი მიდარაჯებენ სადმე და, გაფდგამ თუ არა აქედან ფეხს, ხელად მომგარდებიან, მტაცებენ ხელს და ისევ უკანვე, სარდაფში მიკრავენ თავს!.. აი, ამ ფიქრებით დაჯორგილი კაცია, ტვირთის ზურგიდან მოუხსნელად იდგა მიხურულ კარების წინ, გაოგნებული და დამცირებული; იდგა დიდ ხანს, რადგან მის გულს ველარაფერი გადაწყვეტილება ვერ მიეღო. ამ ყოფაში კაციას მეხსიერებაში უცხად თავისთავად ამოტივტივდა ერთი ეპიზოდი იმის წარსულიდან.

ეს მოხდა ამ რამდენიმე წლის წინად, მაშინ, როცა კაცია ლიტენიაშვილი ჯერ კიდევ თავისი სიმდიდრისა და დიდების მწვერვალზე იდგა.

ერთხელ ის, ბანკში მისული, შეესწრო საჯარო ვაჭრობას, სადაც იყიდებოდა ერთი ძალზე მოხუცებული ქვრივის სამითვალის საცხოვრებელი სახლი, პატარა ეზოთი. კაციამ მიიღო მონაწილეობა ამ ვაჭრობაში, სახლი, დაირჩინა და ის მალე კიდევაც დაიჭირა პოლიციის საშუალებით, რომელმაც დედაბერს ბარგი ეზოში გამოუყარა, სახლს ყველა კარები გამოუჯვტა და კლიტემბი უკლებლივ კაციას ჩააბარა:

მაგრამ ეს ცოტაა.

კაციამ დედაბრის ეზოდან გაძევებაც მოითხოვა. პოლიციამ ამაშიც დახმარება გაუწია მას და დედაბერი, თავის ბარგიანად, ეზოდან ქუჩაში გამოაგდო.

შემდეგ კაციამ გაკვრით საიდგანლაც გაიგო, რომ ამ დედაბერს სადღაც სხვის კარად ამოხდენოდა სული და კეთილი ხალხის დახმარებით ძლივს მიებარებოდათ იგი მიწისთვის.

ეს კიდევ არაფერი.

საქმე იმაშია, რომ დედაბერის ერთად ერთი ვაჟი, რომელიღაც შორეულ ქალაქის უნივერსიტეტში სწავლობდა თურმე; იქ ეს ვაჟი ცოლშვილსაც მოჰკიდებოდა და სახლიდან რაიმე დახმარებაზე უიმედოთ მყოფი კერძო გაკვეთილებითა და თუ სხვა რაიმე სამსახურით ირჩენდა თავს და ინახავდა წვრილ ცოლშვილს.

გასაგებია, რომ ის განიცდიდა უკიდურეს სიღატაკეს და, მაშასადამე, ასეთ ყოფაში მას სახლთან და თავის მოხუც დედასთან განუწყვეტელი კავშირის თავიც აღარ ექნებოდა.

მაგრამ ამ გმირმა შორეულს ქვეყანაში სანაქებროთ სძლია ყოველგვარ დაბრკოლებას და დაფნის გვირგვინით მოსილი, ესე იგი, დიპლომით აღჭურ-

ვილი უკვე დაბრუნდა თავის ქვეყანაში, ზევით აღწერილი შემთხვევის ორი თუ სამი წლის შემდეგ.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ამ გამარჯვებულის მდგომარეობა, რომელიც შინ დაბრუნებული თავის სამკვიდრო ოჯახს მიადგა, ხოლო აქ ვილაც კაცია ლიქენიაშვილს მისი პატარა სამთვალის სახლი საფუძვლიანად აეყარა და მის ნამყოფზე სამსართულიან ვეება სასახლეს აგებდა.

და ერთ დილით... კაციას ახლაც თვალწინ დაუდგა სწორედ ეს დილა, როცა ის, წინაღობით კლუბიდან გვიან დაბრუნებული, დიდის მორიდებით გააღვიძეს. ამის გამო, ჯერ კიდევ უსიამოვნო გუნებაზე მყოფმა კარებში გამოკვებულმა მან იხილა თავის წინაშე მდგომი ვილაც გამხდარი და სახე-ვალეული ახალგაზრდა კაცი, ძალზედ გახუნებულ სტუდენტის ტუფურკაში გამოწყობილი. ეს კაცი იმდენად თავებდი აღმოჩნდა, რომ კაციასაგან, რომელსაც, თავისი ღრმა რწმენით, სრულიად კანონიერი და სანართლიანი გზით ჰქონდა შენაძენი სახლი და ეზო, სადაც ახლა ახალი და უფრო დიდი სახლის ასაგებად კაციას მიერ წამოწყებული მუშაობა მიმდინარეობდა, იგი მოითხოვდა რაღაც ანგარიშის გასწორებას კაციასაგან, რაღაც დედისეულ სახლზე და ეზოზე ედავებოდა მას.

კაციამ უკვე დიდი ხანია დაჰყარა ხსოვნებიდან ეს სახლი და ეზო. ახლა იქ მხოლოდ ახლად ასაგებ სამსართულიან სახლს-ღა იცნობს კაცია, რომელსაც ამ წამოწყებამ, თუ გნებავთ, უსიამოვნებაც კი მიაყენა იმით, რომ საკმაოდ დაუფერობა სქელი ჯიბე, ხოლო ეს ვილაც გზადაბნეული კი მას პატარა სახლსა და ეზოზე ემასლაათება.

და ისედაც ცუდ გუნებაზე მყოფმა კაციამ ახლა, ამ თავხედის ასეთი ბრიყული აზრებით კიდევ უფრო გაბოროტებულმა, ლონიერად მოხურა კარი მოსულის ცხვირისწინ, ხოლო უკან, სახლში შებრუნებულმა, მან მოსამახებრე ბიჭებს ვასძახა, რათა მოსულისათვის ეცემნათ და ეზოდან ისე ვაეგდოთ ვარეთ, ქუჩაში.

აი, ეხლა ამ გამობურული კარების წინ მდგომ კაციას სწორედ ეს შემთხვევა მოაგონდა და შორს იქ, ბნელი ტალანის კუთხიდანაც სწორედ იმ გამხდარმა კაცმა გამოაყო თავი, თითქოს ის ისევ იმ შორეულ ანგარიშს მოითხოვს განგებ სწორედ ეხლა ამ დღეში ჩავარდნილ კაციასაგანო.

ზნეობრივად დამცირებული და ზემოთ მოყვანილ ამბითაც გაქენჯილი და ილაგვანწყვეტილი კაცია იდგა ახლა ამ სხვისი უხეში ხელით მისივე ცხვირის წინ მაგრად მოხურულ ოდესმე საკუთარ კარის წინ და ზარ-დაცემული გონების გაქსუებული ურა ცხენების დასაქერ-მოსაკრებად ამაოდ ისროდა იქით-აქეთ გაქნეულ ქამანდებს:

გული მისი იქ, ღრმად, მკერდში სცენდა მოუთმენლად, უსახლვროდ და უგანპიროდ და გულის ამ ცემაში ერთად იყო თავმოყრილი თუ არეული: შიშაცა და ეჭვიც, მუქარაც და უილაჯო აღშფოთებაც.

— რაღას უყდი? შეამტვრიე კარები და შედი შიგ ბძანებდა „უცხო ბატონივით“ კაციას ამღვრეული გული.

— რომ დგებარ, რას უდგებარ? ვადი ქუჩაში და ეძიე შენი ოჯახის წევრები. ნახე: იქნება რომელიმე ნაცნობ-ნათესავთან შეიფარეს თავი დროებით,



შენი პატიმრობიდან განთავისუფლებამდის. იქნებებს იგივე გულდაწყვეტილ ხნის შემდეგ.

კაცია კი სდგას, სდგას გაჭირვილი ვირივით, კურტინითა და საპალნით ზურგში:

— ნათესავთან მივიდეს?—ა, როგორ შეიძლება.

ნაცნობ-ნათესავებთან ამ სახით გამოჩენა?.. ერთად ერთი იმედი ისევ აჯაბოა: სარდაფი... იქ ეცოდინებათ ყველაფერი...

გაუფელვა კაციას უცბათ ამ აზრმა თავში, რომლისაც არც თვითონ სჯეროდა, მაგრამ, რომელსაც მაინც გაუგონა და მიჰყვა. მიჰყვა ანგარიშ-მიუტყმლად. „წაღწალებული ხავს ეჭიდებოდაო“, ნათქვამია.

რატომაც არა, კარგია ხავსიც, თუ იგი ნამდვილი ხავსია და არა სხვა რამე; იი, თუნდაც ქაცვიანი ეკლის კუდი, ხელში რომ ნემსივით დაგესობა და გაჭირებებს გაგიორკეცებს...

მაგრამ ზოგი „ეკალი“ ხომ ხშირად გულშიც ესობა ადამიანს, გველის ისარივით შხამიანი იგი მწველი და სასიკედილოა.

მაგრამ გაურკვეველობაც ხომ ზოგჯერ ამ ისარზე კიდევ უფრო შხამიანი და გესლიანია!

და დიდი ხნის ამოა ლოდინით გულდაწყვეტილი კაციაც დაიძრა ადგილიდან, ფრთხილი ნაბიჯით გამოვიდა ქუჩაში და კიდევ უფრო ფრთხილი ნაბიჯით აუკიდა ჩიქშიქს ზურგში თავისი გახუცრელი ტვირთით, რომელიც იმდენად კი არ ემძიმებოდა, რამდენადაც რცხვენოდა იმითი ასე სვლა.

მაგრამ გამოსავალიც მალე ჰპოვა: გზად ერთ პატარა სავაჭრო ბუდეას წააწუდა, ტვირთი მებუდეკს მიაბარა, რომელმაც უყოყმანოთ და დაუხარებლათ, რა თქმა უნდა, ის დიდ ხანს არც კი შიილო კაციასაგან, მაგრამ შემდეგ უცბათ რაღაც მოებრინა მისი მიბარება, სწრაფად გამოსტაცა ხელიდან და იქვე დახლის ქვეშ მოათავსა.

ხოლო განთავისუფლებულმა კაციამ კი განალებულის ნაბიჯით გასწია განსაზღვრულის მიმართულებით.

XXXV

— თქვენ იქნებით სარდაფის პატრონი?—დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულვით შეეკითხა სარდაფში ჩასული და იქ აღმოჩენილი ცელილებით კიდევ უფრო გაოცებულ-გაოგნებული კაცია დახლში მდგომ ქაბუქს, რომელიც ყველაფრიდან სანდა მეთაურ-მეპატრონედ, თორემ სარდაფში სხვებიც იყვნენ.

— არა, სარდაფი კოლექტივისაა, მე მხოლოდ მეთაური ვარ—იყო მოკრძალებული პასუხი..

მეთაური?!

გაუბედავით, რაღაც გულდაწყვეტილ გააჭიანურა ეს ერთი სიტყვა კაციამ. ქაბუკი თითქოს მიუხედა, შეტორტმანდა და თითქმის დაყვავებით შეეკითხა:

— თქვენ ვინ გნებადათ? ჩემზე წინ კიდევ იყო აქ კაცი, იოსებაა მისი სახელი.

— ჰო, იოსება... სად შეიძლება, ნეტავი, იმისი ნახვა? — უცბად გაუბრწყინდა სახე კაცის იოსებას ხსენებაზე და გადასწყეცა ამ ცხრობისათვის ხელის ჩაღება სწორედ იმ ხავსივით, წყალწაღებული რომ ეჭიდება ნიღბს.

— იოსებას კავშირში თუ ნახავთ... რამდენიმე დღეა, რაც აქედან მოხსნეს — მოყვა ქაბუცი დაწვრილებით.

მაგრამ კაცის არა ეს უნდოდა, არამედ თავის დაძვრენა.

მოსერხებული წუთიც იპოვნა და სარდაფიდან ისევ უკან ამოიპარა, როგორც ჩაეიდა. მხოლოდ ახლა მიიხედა უკან, და შენიშნა სარდაფის შუბლზე აღმართული აბრა წარწერით: „კოლექტივი „წითელი მტვეანი“, საქართველოს ლეინის გამსაღებელი პუნქტი, № 2“.

სარდაფის გასწვრივ კუთხეში ვიღაც აჩრდილივით შეჩერდა. მაღალსა და ოდესმე სიმსუქნისგან ახლა უკვე ჩამოფრთხილ ტანზე რაღაც ქურჭის მაგვარი ტყაბუტი ეცვა. ხელები ჯიბეებში ეწყო და ქუჩას ზანტად ავლებდა თვალებს. სარდაფიდან ამოსული კაცია რომ შენიშნა, ტყაბუტიანიმა ზურგი უჩვენა მას და ისეთივე ზანტი ნაბიჯებით, როგორიც ზანტი მისი ხედდა იყო, გასწია მტკვრის მიმართულებით.

წყალში ჩაგარდნილი ნაფოტი მუდამ იმავე წყალში მოტივტივე ჯირკისა-კენ ისწრაფვის, უახლოვდება მას, ზედ ეკვრის და ასე მიჰყვება თავქვე ზვირთუბის დენას.

კაციასთვისაც სწორედ ასეთი ჯირკი იყო თითქოს განგებ ამ ეამათ ქუჩაში ისე ყასიდათ გამოჩენილი და საეჭვო მოძრაობებით მისი დამაინტერესებელი ეს ჩრდილი.

და კაციაც ანგარიშ-მიუტყემალად აედევნა უკან ამ ჩრდილს.

ჩრდილმა მოიხედა უკან, შენიშნა კაცის აჩქარება და, ალბათ, თვითონაც ცნობისმოყვარეობით ფეხშიძემ ამკამად ნაბიჯს კიდევ უფრო უკლო და კიდევ უფრო ზანტი სვლით დაეშვა იქვე მტკვრის ნაპირისაკენ.

კაცია რომ მდინარეს მიუახლოვდა, ტყაბუტიანი უკვე მტკვრის პირის ივდა და სახე წყლის მხარეს ჰქონდა მიტყეული.

— გამარჯვებით!

თავაზიანათ მიესალმა კაცია უცნობს.

— გაგიმარჯოთ! მოისმა რაღაც სამარის სიყრუით დატვირთული პასუხი. კაციას გააბრუნოდა ტანში ამ ხმის მოსმენაზე, მაგრამ მის აღმომთქმელთან მუსაიტზე გული მაინც არ აიყარა.

— აჭაური ბრძანდებით თუ საიდანმე ჩამოსული ხართ ქალაქში?

შეეკითხა კაცია კიდევ უფრო თავაზიანად და მოკრძალებით, ვიდრე პირველად, რომ მიესალმა.

— ეჰ, საიდანაც უნდა ვიყვე... და მცირე პაუზის შემდეგ დაატანა კიდევ უფრო გულის გასამწარებლად:

— განა, სულ ერთი არ არის? საბოლოოდ ამ ოხერ მიწას კაცი მაინც ვერ-სად ვერ წაუფა, სადაურიც არ უნდა იყვეს...

— რაშია საქმე? — განაგრძო შიშვანი კითხვით კაციამ.



- საქმე-ე?.. საქმე—სწორედ იმ სარდაფშია... აი, შენ რომ წამოხვედნი.
- ვერაფერი გამიგია...
- გაუგებარი რა უნდა იყვეს? ჩემი იყო, ახლა სხვისია...
- ჰო-ო?.. თქვენი სახელი?
- სარიკამიში!..
- რას ამბობთ? სარიკამიში ხომ ქალაქია?..
- ჰო და, თუ კი იცით, მე რაღას შეკითხვებით?

ალბათ, კინტო ვინმეა—გაიფიქრა გულში კაციამ და ამ ნიადაგზე აღარ დაუწყო მეტი შეწუხება.

— თქვენ კი რა ვინდოდით სარდაფში?—დაიწყო ახლა შეკითხვით თვითონ ტყაბუქიანმა.

- ვინმეს ვეძებდი...
- ეძებდით და არ დაგიხვდათ, არა?—დაატანა გესლიანი ირონიით ტყაბუქიანმა და განაგრძო:
- ეგჰ, მეც ვეძებდი ერთ დროს, მაგრამ რა ვნახე, რა ჩემი...

აქ ისეთი სიტყვები დააყოლა მან, რომ ამან კაცია ენით აუწერელ უხერხულებაში ჩააყენა, ის მხათ იყო უკან გამოსაბრუნებლად, რათა დროზედ მოშორებოდა ამ გაუსწორებელ, აყვია ადამიანს. მაგრამ, შეყოყმანდა თუ ცნობის მოყვარობამ დასძლია, მაინც იქვე დარჩა. კაციას პირობებში ისეე დარჩენა სჯობდა. ადამიანის ტკბილ შეხვედრასა და თანაგრძობას მოწყურებული, ის ძლივს ერთ მოსაუბრეს აღირსა ბედმა და ამასაც ისე ადვილათ აღარ დასთმობდა კაცია ამ წუთს. საჭირო იყო ცნობის მოყვარობის ბოლომდის დაქმნაყოფილება, გაურკვეველისა და შეუცნობელის ბოლომდის ამოწურვა.

ამისათვის კაციას ხელოვნური საშვალეებებისა და ზომებისთვის მიმართვაც აღარ დასჭირვებია. ტყაბუქიანი ერთობ ენა-ხეაეროელი, უხეში და დაურიღებელი აღმოჩნდა. მან მოხსნა თავი მეტყველების გუდას და მოყვა:

— ერთობ ცუდი დრო დაგვიდგა. ადამიანს თავისი ქუჩისა და მარჯვენის გასაქალი ვეღარ უპოვია. რაც კი რამ წლობით დაგვიგროვებია, იმას დღეს წუთობით და საათობით გეტაცებენ ხელიდან და პირში ჩალა-გამოყვლებულს ლეთისანაბარად გეტოვებენ. თავისთვის მაინც შეეძლოთ ყოველივე ამის გამოყენება... თუმცა—„რას ჰქარგავ, რა მიგიცია!“.. მათთვის, განა, სულ ერთი არ არის? ჩვენ ვიკითხოთ და ვიტყვით, თორემ...

მოსაუბრე დადუმდა, თითქოს მისი შემდეგი აზრი წყლის მოძრავ ზედა პირს შერჩა და თან გააჟევაო.

კაციას ადრინდელი აზრი უცნობზეთ უცბათ თითქმის შეეცვალა და შეუსხეაფერდა.

ალბათ, ჩემს ბედში მყოფი ვინმეა. წარსულში დიდი ქონებისა და პატივის გამოწიკადი, ხოლო აწმყოთი გულდაწყვეტილი—გაიფიქრა უნებლიეთ კაციამ.— „გული გულს იცნობსო“, ნათქვამია...

მაგრამ გულიც არის და გულიც. კაციას გული, მიუხედავად გონების ასეთი ყოყმანისა და რწყვისა, მაინც ერთხელ აღებულ შეურიგებელ პოზიციასზე

იღვა ტყაპუქიანის მიმართ. საოცარია მოლოდ, რომ ვერცხვანა მხარეზე მდებარე ახლო დგომის პოზიციას სთამბდა აგრე იოლად ის. „ვევლს“ ცნობებს თავისი მხარეობელი უყვარსო“ — ტყუილად კი არ არის ნათქვამი...

მხარეობელამაც განაგრძო ირველიე ამ შეშთხევეაში კაცისა და მამბრუებელ მხარეობელი აირის უხეად კმევეა.

— ეგე, „სადაურსა სად მიიყვან, სად აღუფხვირი სადით ძირს-ო, ვილაკას უთქვამს, კარგათ უთქვამს. კვეყანა არ დამკლია მოუფლელი: მოსკოვი, კიევი, ვარ-შაეა, ციბირი, მანჯურია, გერმანია, აესტრია, სათათრე თუ სათურქე, ყველგან ვყოფილვარ, ყველგან მისწვდომია ჩემი ფეხი, მაგრამ არსად ზარალი და ზიანი არ განმიცდია. მოესულვარ სახლში და კარზე კი ფეხი მომიტეხია...

ნალვლიანი თავის ქნვეით დაატანა უცნობმა და წყლისაკენ გააფურთხა. თითქოს პირში დაგუბებული ცუდი გემოსაგან უნდა იგი განტვირთოსო.

— ეჭე... ეს რალაც ნაცნობ ადგილებზეა ლაპარაკი! გაიფიქრა უნებლიეთ კაციამ. მაგრამ... ვინ? საიდან? როგორ? ამ კითხვებზე დაახლოვებით მაინც ვერაფერ პასუხს იგონებდა ჯერჯერობით.

— თუმცა არის რალაც სამართლიანობის კანონიც ამ კვეყანაზე — აღარ დააცალა უცნობმა კაციის ხუნებულ მიმართულებით აღძრულ ფიქრის განგრძობა:

— ახლა რომ უუკვირდები, ბედი მართალია ჩემთან: როგორიც დასაწყისი ჰქონდა ჩემს გამდიდრებას და კაცად გახდომას, ისეთივე დასასრულიც მიეცა. „ფერი ფერსა, მაღლი ღმერთსა“ — ისე ნალვლიანი თავის დაქნვეით დაატანა მან და ისევე გამეტებულად გააფურთხა წყლისაკენ.

— ოპოო, „გამდიდრებას და კაცად გახდომას...“ ისეთივე დასაწყისი როგორიც დასასრული... ეს დასასრული, როგორც სჩანს ცუდი არის... მაშასადამე... გაუფლვა უცბათ კაციას რალაც ნაწყვეტ-ნაწყვეტმა, თუმცა ერთმანეთთან მაინც მისთვის ჯერ კიდევ გაურკვეველ კავშირში მყოფმა აზრებმა.

მაგრამ სწორედ ამ დროს უცნობი წამოდგა და კაციასაკენ პირი იბრუნა ისე, რომ წყლის სარკის ლანდზე იმის პროფილი მოსჩანდა და ისიც ოდნავ სხეული რალაც აწოლილ-აკონკილებული მოსჩანდა, შებერტყილ-შეფერთბილი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი და მოტანჯული. კაციასათვის რომ შეგეკითხათ, ვერც ერთ ნაცნობს მასში ვერ დაგისახელებდათ. ჯორ-მიქელას კი რამდენიმეთ მოგაგედა ამ სხეულის პატრონი, მაგრამ ასეთი კითხვის თვით დასმაც კი კაციასათვის მეტის მეტად უბერბული იყო: ჯორმიქელას იგი მოხარშულსაც კი უყოყმანოთ და ადვილად იცნობდა, არა თუ ცოცხალს და, მაშასადამე, როგორ შეკადროს ახლა თავის თავს ასეთი დამბეცება და, თუ გნებავთ, თვით უბრალო დაგბეცებაც კი?!

— ასე, ჩემო კეთილო, — ტკბილი მუსაიფი და გულის განდობა ადამიანებს ამეგობრებსო“, — აბუყბუყდა ტყაპუქია ნიდა კაციასაც ეჭვი ახლასულ სხვა მიმართულებით აღეძრა. მაგრამ თავი შეიკავა და უფრო ამ ხმის კიდევ მოსმენის მიზნით, თავის გვეში კიდევ უფრო დარწმუნების მიზნით, ვიდრე სხვა სურვილით, თავის მხრითაც დაუსვა კითხვა:



— ამ თავითვე სანანელ-სათაკილოდ ხომ არ მიიჩნე ჩემთან დამეგობრება?
 — არა, რატომ იკადრებთ! თქვენი ცნობის ბედნიერებასა და მამაკაცს
 და, მაშასადამე, ამ მხრივ თქვენი ვინდ ჩემი ეჭვიც ხომ ზედმეტია! მე მხოლოდ
 თითონ არა მაქვს მეგობრის ბედი და, მაშასადამე, მეტიც არის ჩემგან საგანგე-
 ბოდ ასეთის რჩევა და ძიება.

ვინც ახლოს გამეკარება მოჩვენებით მეგობრად, ყველას ჩემი შთანთქმა და
 გაქრობა მოუნდომებია. ცხოვრებამ მეც მასწავლა ამ მიმართულებით ცოტა რა-
 მე და მეც აღარავის აღარ ეზოგავ, თუ შემთხვევით ვინმე ხელში კი ჩამომი-
 ვარდებია...

უცნობის ეს გესლიანი ცინიზმი იმდენი სიცივიტა და სინაპიტით იყო გაფ-
 ლენთილი, რომ კაცისა ჯრუანტელს გვრიდა ტანში. მიუხედავად ამისა, თავისი
 მხრით, ისიც დემონიურის უდრტინველობით შესტეხოდა ამ გამოუცნობს აღა-
 მინას, თითქოს მოითხოვდა მისგან გულში დაგუბებული შხამის აქავე, მის წინა-
 ზე სავსებით წამონთხევენბასო.

მაგრამ ამ შემთხვევაში თვითონ შხამიანმაც აღარ დაზოგა თავისი შხამი და
 მართლაც გაუგონარის გულმოდგინებით იწყო თავბრუდახვეული კაცისა წინაშე
 იმისი ნთხევა.

— დანაბოლოს ჩემმა ნასიყენ-ნასიკეთარმა, აი, იმ სარდაფში მოიყარა თა-
 ვი—ერთი ღრმა ამოღარებით წამოიწყო ტყაპუჭიანმა და ვაიშვირა ხელი სარდა-
 ფის მიმართულებით.

კაციამ ყურები სტკეიტა და თვალებიც გაფართოებით დააჭყიტა მოსაუ-
 ბრეს, რომელმაც დალაგებით განაგრძო, თითქოს აღსარებაზე სდგას საიმედო
 მოძღვრის წინაშეა:

— აქ იწყო უქანსკენლად თავის მოყრა ჩემი იმედის ყველა ნამსხვრევებმა
 და ბოლოს სწორედ აქვე გაეთხარა უქანსკენლად სამარე ყველა ამ იმედებს.
 ალა წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც ამ თავის საკუთარ სამარეს ცოცხლად
 თავს დასტრიალებს და რომელსაც არც სავსებით შიგ მოთავსების საშეალება
 აქვს და აღარც სრულიად მისგან განშორებისა.

აი, ეს კაცი ვარ ამ ჟამათ მე! აი, რით აიხსნება ის, რომ წელან შენ, სარ-
 დაფში ჩამივალსაც ისევე ცნობისმოყვარეობით გითვალთვალებდი, როგორც
 შემდეგ იქიდან ამომივალს.

და უცნობის პირით განაგრძო დენა, როგორც ამბავმა საკუთარი თავგადასაე-
 ლისა, დაწვრილებით ყველა იმ ამბებმა, რომლებიც მეორეს მხრით კაცისა თაე-
 გადასავალსაც წარმოადგენდა. მან მოიხსენია ის საღამოც, რომლითაც ეს ჩენი
 მოთხრობა იწყება. არ დასტოვა ზოგი რამ არც ჩვენ მიერ კარგათ ვაცნობილ
 წარსულის შესახებ; ფარდა ახადა კაცისა დაბატობის მთელ საიდუმლოებას,
 რომელიც მისივე მოხერხება იყო იმ განზრახვით, რომ, ამ ერთად ერთი კოზი-
 რის ჩამოშორებით, ხელში ჩაიგდო და მიესაკუთრებია შემთხვევით თავის სარდა-
 ფში მოთავსებული სახელმწიფო ქონება; მაგრამ ნამდვილათ გამოვიდა ის, რომ
 ამით მან ხელი შეუწყო სწორედ ამ ქონებისაც ისევე ჩამორთმევას და მთავრო-
 ბის ხელში გადასვლას, როგორც ადრევე ყველა იმისი კეთილ-შენაძენი ქონები-

სა. მან დასძინა ამას აგრეთვე ისიც, რომ ამის შემდეგ ხელსუფლებამ მთლიანად აინახლა კაცისა და პოდვოხოვებზე გაცემულ ღვინოების ფასიც. კაცისა, „მა პოდვოხოვებისა“, კინტირისი თუ სხვა ამ საქმეებთან ასე თუ ისეთ კავშირში მყოფ პიროვნებების მთელ ქონებათა ჩამორთმევით და საჯარო ეპრობაში მათი გაყიდვით. მანვე ვაკერით მოიხსენია აგრეთვე რუსეთში კოტეს დაღუპვის შესახებ ქალაქამდის მოღწეული ცნობა, ნოთიას წყალში გადავარდნის და თავის დახრჩობის ამბავიც—სახალხოდ, როგორც კინტირისს მიხეზით გამოწვეული შემთხვევა, ხოლო ნამდვილათ კი იმ მიხეზით, რომელიც მხოლოდ მან. კაციას წინაშე მდგომმა და ყოველივე ამის ასე დაურიდებლად, თავისი გრძნეული პირით ასე უტიფრად მოლაღად ტყაპუქიანმა იცის და, რომლის შესახებაც ის ასეთი ცინიზმით განავრძობს ახლა მუსაიფუს, თითქოს უბრალო ცნობის მოყვარეს რაიმე სასიამოვნო ამბავს უამბობსო.

რეტ-დასბული, გამბიბრებული, თავზარდაცემული კაცია სდგას, როგორც ხე, როგორც ქვა თუ სხვა რაიმე უსულო და უსიცოცხლო საგანი და უსმენს მას... უსმენს კი არა, თითქოს სიზმარშია, თითქოს თრიაქით გაბრუებულის მდგომარეობაში მყოფია და ყოველივე ის, რასაც ასეთის სიტყვადით ამ კაცისაგან ისმენს, სიტყვადე კი არა, სიზმარია, მისთვის საძიძიო, სამწუხარო და აუტანელი სიზმარი და არა სინამდვილეო.

— რას იზამ, ძმაო, ასეთი ყოფილა ადამიანის ბუნება. კაცო მხეცია, რომელიც მარტო ფრჩხილების და კბილების ამარა კი არ იბრძვის, არამედ ყველა სხვა აუარებელ საშვალეებშიაც. ის ცდილობს დაამარცხოს ყველა თავისი მოწინააღმდეგე, ხოლო დამარცხებულს და დასუსტებულს კი ისე უმად იღებს და ულაპავს, ნიქავს თუ ფეხით სთელავს და მიწასთან ასწორებს. ყოველივე ეს ხშირად ისე, შენდა უნებურად ხდება ხოლმე. აი, მაგალითად: როცა ეს დროთა განმავლობისაგან ჯერ კიდევ თითქმის სულ მთლად ხელ უხლებელი, ჩათითქინებული-ჩალაღდადებული ქალი ჩემს სარდაფში მარტოდ მარტო ეიხილე და ვიხელოთ, თავი და გონება დაეკარგე, ვნებას ველარ გაუძელ და ხელები მოეხვიე, ქანის ოთახში გაფიყვანე და იქ... მოხდა ის, რასაც იმთავით არც შე მოველოდი: ქალი ჰკუთხედ შესცდა...

— აჯაბო!...

— კაცია!...

გაისმა ერთსა და იმავე დროს აქეთ-იქიდან სამტროდ მომიხნებული ორი თოფის გავარდნასავით მსმენელისა და მოლაპარაკის ერთი ერთმანეთზე მრისხანე შეძახება და ორ მოპირდაპირე გულს დამუქრებულ ტყვიასავით ეკვეთენ ისინი ერთი მეორეს...

ყველაფერი აირია. იქით მდინარის ტალღების გულ-ჩათხრობილსა, მიგრამ მაინც ცივსა და გაალმასებულს მზუილს აქედან ორი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დატყვრებულ ადამიანის, ორი მძინეარე მხეცის. თავგამეტებულმა ქიდილმა, ერთმანეთის რეგვამ, ბლუჯვამ და ბლდენამ შეუერთეს თავისი ხმები.

ბოლოს ტყაპუქიანმა სძლია. კაცია დაამარცხა არა მარტო მოპირდაპირის ფიზიკური ძალის უაღრესობამ, არამედ საკუთარმა გულმაც, რომელიც აღშფო-

თებისა და აღელვებული სიმწარისაგან კალაპოტში ველარ თავსდებოდა და მზათ იყო იქიდან გადმოსავარდნათ ან არა და ისევ საკუთარ კეტრატს მსხვერპლ-შესანარცხებლად.

ტყაუქიანიმა მაგრად ჩაბლუჯა მითენთილ-მიზნედილი თავისი მსხვერპლი, ასწია, ერთი უკანასკნელად კი გაიქნია ის ჰაერში, თითქოს სარკვევ ხორბალს ანიავებსო, და ასე ერთბაშად გადაუძახა მდინარის აზვირთებულ ტალღებში.

წყალში მოდენილ ადამიანის სხეულის სიმძიმისაგან გამოწვეულ შხლართანს ზედ მოყვა დაკრილი ნადირის ხმის მსგავსი ადამიანისავე გულის გამხეთქი ღრიალიც.

ტყაუქიანი გასწორდა წელში, თითქოს თავის გამარჯვებას დღესასწაულბოსო. მაგრამ ეს იყო არა დღესასწაული, არამედ გონების მოკრეფა, ჩადენილი საქმის წუთიერი შეფასება, თუ მისი გადაფასება.

— ყველაფერი კარგათ მოეწყო.— აღმოხდა მას მეკრდიდან კიდევ უფრო ცივი და სამარის სიყრუით დამძიმებული ბოყინი, ვიდრე ის, რომელმაც ამ რამდენიმე წუთის წინ ცოცხალ კაცის ტანში ერთნატივლი მოპკვარა.

დიახ, ყველაფერი მართლაც კარგათ მოეწყო. და მოეწყო იმ ადამიანის შესაფერად, როგორსაც ეს ტყაუქიანი წარმოადგენდა.

და გამარჯვებულიც, ის მზათ იყო, გონებასთან ერთად, მოეკრიბა ადრინდელი ნების სიმტკიცე და უდრტეინველობაც, რათა გასცლოდა ამ თავის უკანასკნელად მისთვის ასე ხელსაყრელად დაგვირგვინებულ დებიუტის ადგილს და ზვეულებრივთ ვანეგრძო თავისი გზა.

მაგრამ მხოლოდ ახლა შეიგნო მან მწარე სინამდვილე, რომ ეს გზა მისთვის სამუდამოთ მოქრილია, რომ ის მოქცეულია გაუფალს და გარდუფალს ჩიხში.

ნაპირიდან ასტყდა განგაში: სტენა და სირბილი. და მდინარის ნაპირის ორივე მხრით და ოთხივე კუთხით დაიძრნ მისკენ გამალეებით მომავალი ადამიანების საბედისწერო ჩრდილები. სადღაც ნაეიც კი ახსენეს და მდინარის გადმოსერვა იწყო ამ მხრიდანაც დამუჭრებულმა რამდენიმე ჩრდილმა. ერთი სიტყვით, სიკვდილის სალტეში გამომწყედულის მდგომარეობაში ჩაეარდა ბოროტმოქმედი. ამიტომ, წინ წასასვლელი გზა რომ ვერ იხილა, უკან იწყო დახვევა, თითქოს თვითონაც გადაწყვიტა თავისი მსხვერპლის ბედის გაზიარებაო.

მაგრამ აი, მდინარის პირს მოსული, იგიშესდგა და მოლივლივე ტალღებს რაღაც ვარინდებით დააკერდა, თითქოს თავისი მდგომარეობის ასახსნელად იმით სიხოვს პასუხსო.

ბოროტმოქმედის ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა: იქიდან ნაემა უკვე გადმოსერა წყლის ზედაპირი და იმისი ცხვირი მტრის ბანაკიდან გამოსულ ჯარის კაცის წინ გაშვერილ შუბლივით დაუშუქრა ნაპირში გაქვავებულ ბოროტმოქმედს, ხოლო აქეთ-იქიდან მტრული ჩრდილებიც მოუახლოედნ მას და შემოაქრეს ირველივ წრე.

ყველაფერი გათავდა— გაუფლვა მას უცბათ ამ მართლაც სასოწარკვეთილებით აღსავსე აზრმა.

— სხვა გამოსავალი არსად არის: უნდა დაენებდე და მარტო იგი ტომარაში გამომწყვდეულ მხეცის მდგომარეობაში იყო მწიფის ნაწარმადი. გაუვალი ჩიხის ვიწრო კუნჭულში მიმწყვდეული ნადირისა, რომელიც, გრძნობს რა თავისი არსებობის უკანასკნელი წუთის მოახლოვებას, სიკვდილის მთელი საშინელებით ანთებს უბეებიდან გამოვარდნილ თვალებს თავის სულთა-მხუთავეებს და მზათ არის ვაიბრძოლოს უკანასკნელად მთელი თავისი შეძლებით, ფრჩხილებისა და კბილების მთელი სიფერთითა და საშინელებით. ამ მდგომარეობაში მყოფი ბოროტმომკმედი ერთი მიბრუნდ-მიბრუნდა, თითქოს რაღაც ჯოჯოხეთური განზრახვის სისრულეში მოყვანა უნდაო. მაგრამ, რაკი იხილა იქით-აქედან მომიზნებული ცივი თუ ცხელი იარაღები, მოწყვეტით დაეცა დედამიწაზე და იწყო ხელებისა და ფეხების სასიკვდილო ნადირივით საესავი.

მოსულებმა მოტანილი თოკებით მაგრად შეჭკრეს ბოროტმომკმედი, ასე ჩასდეს ნაწი და მდინარის მეორე ნაპირისაკენ გაუყენეს.

ეს ბოროტმომკმედი იყო აჯაბო.

თეთრი ქალაქი

რკი თავი ახალი მოთხრობიდან

1

ამ, ჩემო კარგო, ნულარ წვითხავ. შენის ძებნით დავიღალე... წარმოიდგინე, შეუბნებია: „ანა ვასილევნა, ანა ვასილევნა, ბაქოელი“. და ამიწერენ შენს შეხედულებას... ვფიქრობ, ნუ თუ ევ ჩვენი ანაა... ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ შენ ამ ქალაქში იქნებოდი. რა კარგია, რომ შეგხვდი! ძლიერ მოხარული ვარ, ჩემო კარგო, ძლიერ!..

მოლაპარაკე თმაშეკრეკილი ახალგაზრდა ქალი იყო, მოკლე კაბით. ლაპარაკით შლიაბა მოიხადა და დასდო კუთხის რგვალ მაგიდაზე, პალტო ვენური სკამის ზურგზე გადაჰკიდა და თვითონ კი ვახაუხულის თეთრი კაბით ჩაწოჯდა მეორე სკამზე და თვალზე მოხუკებით, შავი ლორწებით დაიწყო ოთახის თვალღებვა.—ძველებური უმინო ბუფეტი—ქარადა. ბოლოებ ნაკერი პირსახოცი. კიდევ ერთი კარადა, ნახევრად ღია. ბიბლიოთეკა უყდო წიგნებით. კედლებზე საზოგადოდ ცნობილი, ყველგან ნახული სურათები. შუაგულ ოთახში თეთრ სუფრა გადაფარებული სასაიდლო მაგიდა, რომელთანაც იჯდა თვითონ დიასახლისი ანა, სადაჩაცხული, მხიარული, მაგრამ მოულოდნელი ვიზიტით ცოტა შეშფოთებული.

აბა, მითხარი, ჩემო კარგო, როგორ ცხოვრობ? როგორ სძლებ ამ საბრალო, მოწყენილ ქალაქში? გული როგორ არ გისქდება დიდრონი ქალაქების შემდეგ? კმ?.. უნდა ნახო რა ამბავია ტფილისში, ბაქოში, მოსკოვში—თეატრი, ოპერა, საღამოები, ათასი სხვადასხვა გასართობი. მხოლოდ გარედ გამოსვლია დღესასწაულია. აქ კი... როგორც ამ ორ დღეში შევამჩნიე, ერთი რიგიანი კაფე, რიგიანი სასეირნო ადგილიც არ არის. ხალხს გემოვნებაზე არ აცვია, საბრალო, მზდალი... უმთავრესი ის არის, რომ სახეზე ღიმილი არ არის, ღიმილი... ძლიერ მიკვირს, რომ შენ, დიდ ქალაქში ცხოვრებას ჩვეული, აქ როგორ სძლებ. სჩანს, ერთი რიგიანი საზოგადოებაც არ არის, რომ ელაპარაკო, ხომ? მოსაბეზრებელია. შეიძლება აქაურობას გაუხდინებარ მოუთხოვებელი. სჩანს, გავლენას შენზე უმოქმედია, არა?.. რვა-ცხრა წელიწადი იქნება, რაც ერთმანეთი არ გვინახავს, ასე არ არის? უკანასკნელად ბაქოში გნახე 1920 წელს. მერე გავიგე, რომ გათხოვილხარ ერთ კომუნისტზე. და შენი კვალი დაკარგე, მესმის! ამბობენ, შენი ქმარი კომუნალური მამჭირნეობის გამგეაო, ჰო?

— ღიას.

— არა უშავს. ეგ თანამდებობა დიდ ქალაქებში კომისარმა მანამდე მო-
ბას უდრის. სჩანს, კარგი სახელი აქვს... ჩემი ილიას თანამდებობა კი მსუბილია,
რომ—ერთავად მოსკოვი, ბაქო, ტფილისი. მეც მასთან ერთად. არ მიყვარს
ერთ ალაგას! მაგრამ შენ არ გითქვამს, თუ როგორ ცხოვრობ?... არც კარვად,
არც ცუდად—ასე შესმის შენი მხრების აწევა. სწორე გითხრა, ჩემს თვალში
ძლიერ გამოცვლილხარ, იცი? არ გეწყინოს, თითქოს ცოტა... მოხუცებულხარ.
აბა, სახე სინათლისკენ დაიჭირე. დიახ, შენს სახეს თითქოს უწინდელი ელეა-
რება და სიახლე აღარ აქვს. ნუ თუ ბავშვები გყავს, ჰო? ორი? რა ხნისანი
არიან?

— ერთი ექვსისა, მეორე ოთხის.

— მერე სად არიან?

— მოახლემ, სასეირნოდ წაიყვანა.

— ჰოო! აი რათ გამოცვლილხარ აგრე?

მაშ, ორი ბავშვის დედა ხარ. არ მოველოდი! მე კი შეიდი წელიწადია, რაც
გავთხოვედი, ჯერ ბავში არ მყოლია. ესე იგი, არ მინდა, რომ მეყოლოს, თავის
ტყვილია; დედა ჩემი კი იტყოდა ხოლმე „ფეხის ბორკილიაო“, ბავშვის მყოლე,
ამბობენ, მალე ბერდებო. დედა ჩემი იტყოდა ხოლმე: „კედელს ერთი ჭვაც
რომ გამოაქალო, შეხედულეებას გამოიცვლისო“. და ეს სრული ჭეშმარიტებაა.
მე ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ ბებრების ნათქვამი ხშირად მართალი გა-
მოდის.

ის გაჩუმდა, ხელახლად ლორწეტი თვალეებზე მიიღო და კვლავ დაიწყო
ოთახის თვალიერება.

— აგრე.. შენი ქმარი კი როგორ გეპყრობა? ესე იგი, უყვარხარ?

ანამ მორცხვად გაიღიმა.

— არა უშავს, თანხმობით ვცხოვრობთ, უპასუხა ანამ, და გულში ცოტა
რიდი იგრძნო დიდ ქალაქებიდან მოსულ ამხანაგის, მის ახალმოადის ტანსაც-
მელისა, საყურეებისა და ყელსაბამისგან.

— თანხმობა როდი კმარა. სიყვარულს გეუბნები, რიგიან სიყვარულს. აი,
მაგალითად, შემიძლია ვთქვა, რომ ჩემს ილიას ძლიერ ვუყვარვარ. ნებას არ
მამდექს, რომ ერთ რამეს ხელი ვაბლო. თითებს ნუ იფუჭებ, დე მოახლემ გა-
აკეთოსო—ფულს რისთვის იღებსო... მაგალითად, არ უნდა, რომ ბავში მეყოლოს.
„ეგ მეშინაური სურვილია, ბავშვის ყოლაო“. სწორე გითხრა, მეც კმაყოფილი
ვარ... ნუ თუ არ გაწუხებენ ბავშვები?...

— რა თქმა უნდა! ვაგიხარია, რომ ბავშვის შენახვა ადვილი საქმე არ
არის. ერთავად ზედ დავკანკალემ—ავად არ გახდენ, არაფერი გადაედოთ, არ
დაშავდენ. ერთი სიტყვით, უშველებელი საზრუნავი მაქვს.

— სჩანს, ამიტომაც არ შეგვიძლია, კინოში, თეატრში, კონცერტზე
წასვლა. ავად რომ გახდენ—ვაი შენ, სწორედ არ ვამბობ?

— ვაგიხარია.

— წარმომიდგენია, საბრალო ანა. მაშ, იტანჯები რაღა? იცი, გემჩნევა...
სხვათა შორის, ეს არის შენი შიფონიერკა? რა საშინელება! რომ ეთქვათ, ამი-

სიანა ქალაქში ესეც რომ იშოვება კარგია, შენ კი, სხვათა შორის უმუცლოდ აგრე იცვამ? აგრე სადად, უბრალოდ! მგონია! შენს ქმარს კარგად უფრო უნდა ჰქონდეს, შეუძლია უფრო კარგად ჩავაცეას. სწორედ არ ვამბობ? თუ შენ მომთხოვნელი არა ხარ?... მე, ო... საკმაოა, ილიას ვუთხრა, „უყურე იმ ქალის კაბას, რა კარგი ფერისაა“. — მეორე დღესვე მომიტანს. მაგ მხრივ ჩემი ილია ერთად-ერთია, საიდანაც არის იშოვის და მომიტანს უთქმელად. ილია თვითონ ჰყიდულობს, როგორი ნაჭერიც მოეწონება ხოლმე. სხვათა შორის, ერთი ნაცნობი მყავს, ამბობს „სიცოცხლე ახალი ტანისამოსისათვის და მოგზაურობისთვის არისო“. ახალი ტანისამოსი, მართლაც რომ, ადამიანის გუნებას ამალუბს, ადამიანს აჯეგლებს. გესმის? განა არ კმარა, რომ ამისთანა ქალაქში ცხოვრობ, არ კმარა, რომ ბავშვების მოვლაში ატარებ დროს! როგორცა სჩანს, აგრეთვე ხელი აგიღია შენი კარგი ჩვეულებიდან — გემოვნებაზე ჩაცმიდან, ჰო?... მაგონდები ცისფერი კაბით — რა მშვენიერებას წარმოადგენდი. შენ თითქმის პირველი იყავი ჩვენში... მე შური არ ვიცი, გეუბნები დაუმალავად. იმდენად მომზიბლავი და ლამაზი იყავი იმ დროს, რომ ახლა, გულწრფელად გეუბნები, მიკვირს, რომ ადამიანი მაგდენად შეიძლება გამოიცვალოს... არ ვიცი, იქნებ შეცვლილიც არა ხარ, მაგრამ მე კი ასე შეჩვენები მაგ ტანისამოსით. მერე, მახსოვს, რა მშვენიერი საყურეები გქონდა! მარგალიტები, კარგი სამკაული. ესენი ისევ გაქვს, თუ დაჰკარგეთ ამ არეულს დროში?... საყურეები ძლიერ ვიხსენებოდა, ძლიერ! ახლა რატომ აღარ იკეთებ? ჰო, ქმარი კომუნისტი გყავს! შენც ხომ კომუნისტი არ გამხდარხარ? არა? ეგ კარგია. არ ვახდე, ყოველ გრძნობას ამოგაცლიან, ძელად გაგკვევენ. ო, მარქსისტები!... დიახ, იმ დროს შენ ერთად-ერთი იყავი.

და ახალგაზრდა ქალმა, თვალბ მოხუჭებით, ხელახლა შეხედა ანას და თავი დაუქნია.

— დიახ, სიჯეგლე სხვა რამეა, — სთქვა მან დაფიქრებით, თითქოს სიზმარშიაო.

უკანასკნელი სიტყვები ისე წარმოსთქვა, თითქოს მასაც შეეხებოდა, მაგრამ ანამ ისე გაიგო, რომ ეს მხოლოდ მას — ანას — შეეხება; რომ თვითონ უკვე დამქნარიყო და მოხუცებულიყო. და ეს ელდასავით ეცა ანას გულს. მას არაოდენ უფიქრია იმაზე, რომ უკვე დაჰკარგა სიყმაწვილე. მხოლოდ ის იყო მართალი, რომ თვითონ წინანდებურად კარგად არ იცვამდა, ამაზე კი ასე ფიქრობდა — დე ბავშვები ცოტა წამოიზარდონ, სამაგვამო ბაღში ან სკოლაში დაიწყებენ სიარულს, ქმარი განთავისუფლდეს ყოველ-დღიურ კრებებიდან, ყრილობებიდან, გეგმებიდან იმ დროს თვითონაც ხელახლად ჩაიკვამს, თეატრში, კინოშიც წავა თავის ქმართან ერთად... ერთი სიტყვით, იცხოვრებს საესე, საინტერესო ცხოვრებით, როგორც წინედ — როდესაც გასათხოვარი იყო, და არამც თუ ისე, როგორც ახლა ცხოვრობს — ერთავად სახლში, ბავშვების მოვლაში, წრესა და საზოგადოებას ჩამორჩენილი, დიდ ქალაქებში წისვლის საშუალებას მოკლებული.

— დიახ, სიყმაწვილე კარგი რამ არის როზა, — უთხრა ანამ აგრეთვე დაფიქრებულმა.

ორივე გაჩუმდა. როზამ კაბის კალთები გაისწორა და მჯერადი ნებნულ პატარა ოქროს საათს დახედა.

— რა გეჩქარება? — უთხრა ანამ — მოიცადე, ჩაი დაევაშადო, ცოტა ვილაპარაკოთ. ბავშვები მალე მოვლენ, ნახავ. იქნება ტიგრანაც მოვიდეს — გაიცნობ...

— სხვათა შორის, — დაიწყო როზამ და მუხლი მუხლზე დაიდო, — საღამომით ქმართან ერთად სად დაიარები ხოლმე?

ანამ გაილიმა.

— ი, ტიგრანას სრულებით დრო არ აქვს, რომ სადმე წაეიდეთ. ერთად კრება, ყრილობა, მუდამ ჰეიქრობს ეს სახლი ააშენოს, ის სახლი დაიწყოს... დაჯექი, როზა, ათი წუთის შემდეგ ჩაი შხად იქნება.

ვიდრე ჩაი ადუღდებოდა, ბავშვები შოახლესთან ერთად შემოვიდნენ სასადილო ოთახში და ცნობისმოყვარეობით დაუწყვეს ცქერა უცნობ „წოწიას“. ორი ქერა თავი იყო ერთმანეთის მზავისი, გახაფხულის ჰაერისაგან განახლებული და გამხიარულებული.

— დედო, ჩვენ ძალი ვნახეთ, — სთქვა პატარამ დედისკენ წასვლით, — ძვალს ხრავდა.

— ხორცსა სჭამდა, — გაუსწორა დიღმა და მორცხვად გადახედა უცნობ დეიდას.

უცნობი დეიდა კი, თვალბმობუქული, ლორწეტი უყურებდა მათ და ილიმებოდა.

— კარგი ბავშვები გყავს, ანა, უთხრა მან, — მხოლოდ სრულებით შენ არა გგვანან. ლურჯი თვალები აქვთ, ქერა თმები. ნუ თუ მამას დამზავებებიან?... ჰო? მეც ასე შეგონა. მაშ, მამასაც ასეთი ქერა თმა აქვს და ლურჯი თვალები?.

— ნახო, ბავშვები წაიყვანე თავიანთ ოთახში, ჩაი დაალევიან და დააძინე — ნიშართა ანამ და მაგიდაზე დააწყო ჩაის ჭურჭელი, მათი ჩვეულებაა, ჩაის დალევდნენ თუ არა, უნდა დაიძინონ... ახლო დაჯექი, როზა.

ამხანაგები ჩაის სვამდნენ და ავონდებოდნენ თავიანთი წარსული, ერთმანეთს გამოჰკითხეს თავიანთ მშობლებზე, მოიგონენ თავიანთი ამხანაგები, რომელნიც გაფანტული იყვნენ სხვადასხვა ქალაქებში და როზა ხელახლა გაოცდა ასეთი მოულოდნელი შეხვედრით.

ლაპარაკმა ერთ საათზე მეტს გასტანა, რომლის განწავლობაშიც ბავშვებმა დაიძინეს; ანამ შოახლეს გაისტუმრა დასასვენებლად.

— ეჰ, ჩემო კარგო, ჩემი წასვლის დროა, უთხრა როზამ და ხელახლა მაჯის საათს დახედა. — ილია მელოდება. გამოვედი ერთი სათით, მაგრამ უკვე სამი სათია, რაც აქა ვარ. ეჰ, ძლიერ მოხარული ვარ! ჩვენსაც მოდი. გენახე როგორ ვცხოვრობთ სასტუმროში? შენს ქმართან ერთად მოდი.

— ეგ აგრე იქნება, — უთხრა ანამ, და სთხოვა, რომ თვითონაც არ დაივიწყოს, ვიდრე აქ არის, კიდევ ინახულოს. და სადილად დაჰპატივა.

ამხანაგებმა ერთმანეთი დაჰკოცნეს და ანამ მიაცილა შესავლის კარებამდე. კარებში მდგომს ერთი კიდევ შეხედა მის „ვიქტორია“ წინდებს, მოკლე კაბას, რომ ლიც პალტოს ქვემოდან ძლივს მოსჩანდა, და მოკლე თმას, რომელიც მას

ქართული

სკოლის მოწადის შეხედულებას აძლევდა. — „თითქოს რუხანი ვუფრო ცხველე-ბულა“, — გაიფიქრა ანამ, რატომღაც ამოიოხრა, ზევით ავიდა და პირდაპირ შევიდა საწოლ ოთახში. სადაც ბავშვებს არხეინად ეძინათ თავიანთ ბადეებიან საწოლებში. უყურა ბავშვებს, პატარას თავი გაუსწორა ბალიშზე, მერე სარკის წინ გაჩერდა.

„ნუ თუ მართლა ძლიერ გამოცვლილვარ“, — სთქვა მან გუნებაში და მიუახლოვდა სარკეს. „ადამიანი ძნელად შეატყობს თავისი თავის გამოცვლას“, — დაუმატა და თითოთ თვალების ძირში კანი გაისწორა. „მე მგონია, რუხანა სცდება, ტანისამოსი ადამიანის სახეს ძლიერ სცვლის, ეს კაბა მე ყოველთვის ხნიერს ნაჩვენებს“. და მიხვდა, რომ ის კაბა, რაც ახლა ეცვა, არაოდეს არ მოხდენია. აი, შავი კრებდღეშინი სულ სხვია... „აბა ერთი ვცადო“, გაიფიქრა მან, მიბრუნდა შკაფისკენ, ამიღო კრებდღეშინის კაბა, ჯერ გულზე მიიღო, ტანზე მიიფარა კისრამდე და ჩაიხედა სარკეში. სახე, მართლაც, შეეცვალა — უფრო გაახალგაზრდავდა. „რომ ჩავიცვა, უფრო გამოვიცვლები“ — სთქვა გუნებაში, და თქნა და ჩაცმა ერთი იყო. ჩაცმის შემდეგ პუდრი წაიციხო, წარბები გაისწორა, თმების ხვეული გამოიცივალა და ხელახლა ჩაიხედა სარკეში. ჩაიხედა და გაი-ლიმა.

დღე, როზან ახლა მწახოს, სთქვა მან ღიმილით და მოაგონდა ალმასის საყურეები, რომელიც შავს ძლიერ უხდებოდა.

ხელახლა მივიდა კარადასთან და ამ ჯერად მის ქვემო უჯრიდან ამოიღო წითელი ხის პატარა ყუთი (რომელიც ყოველი განსაცდელისაგან გადაერჩინა მის დედას და შეენახა მისთვის) და დასდო საპირფარეშო მაგიდაზე. როდესაც ხუფი ახადა, შავს ხავერდში ბეჭდები და ქინძისთავები ელექტრონის სინათლეზე ისე აბრწყინდნენ, თითქოს ბნელაში ერთმანეთზე დაგროვილი ციციანათლე-ბის ჯგუფიყო.

ანას, დიდი ხანი იყო, რაც არ ენახა (ყუთს ინახავდა თითქმის თავის ქმრის ჩუმად). უცებ მზიარულება იგრძნო და ერთი სურვილი გაეღვიძა, ეს ყოველი ეცადა ერთხელ... ჯერ საყურეები ჩამოიკიდა, მერე ელვარე ქინძისთავი (თავის დედის ქინძისთავი) გაიკეთა გულზე. შავ ფონზე ვარსკვლავსავით ბრწყინავდა. ანა მიბრუნდა, ყოველ მხრიდან დაიწყო ცქერა და ხელახლა გაილიმა.

— დე, როზან ახლა მწახოს, — განიმეორა მან გულში, მერე აიღო ბეჭდე-ბიდან ყველაზე კარგი.

ხოლო შემდეგ, როდესაც ხელახლა ჩაიხედა სარკეში, ასე ეგონა, სარკეში ნახული უცხო ქალიყო და ვაიციდა — რა აშოლტილი ტანი, რა მკერდი, რა სიახლე და ელვარება!... თავის თავს ვეღარ სცნობდა — იმდენად გამოცვლილიყო და გაჯეღლებულიყო. უცქერდა თავის თავს და იღიმებოდა. დე, როზან ახლა მწახოს!... აქეთ-იქით ტრიალებდა და უყურებდა თავის თავს, მერე კალთა მო-გროვა და ორი ნაბიჯი წინ გადადგა, თავი უკან დახარა, და დაიწყო ყურება. ერთხელ, როდესაც სარკეს დაწორდა, შეამჩნია, რომ წინდები და ტუფლები შავ კაბას არ უხდებოდა. რაღაც უსიამოვნო იგრძნო, წინდები და ტუფლები იმ წუთას გამოიცივალა და ხელახლა დადგა სარკის წინ. ახლა კარგი იყო, ახლა

ფეხები, მართლაც, ეწყობოდა ტანის ზემო ნაწილს... უყურებდე და თავისი თავი მოსწონდა.

— კარგია! რა ლამაზია, — ამბობდა ის და მესამე პირობით ლაპარაკობდა, თავის თავს სხვის ალაგას აყენებდა, და წარმოიდგენდა; ამ კაბით და სამკაულებით რომ გამოჩენილიყო საზოგადოებაში, როგორ გაოცდებოდენ: ვინ არის ეს ლამაზი ქალიო...

— მართლაც რომ ლამაზია, — სთქვა მან და უნდოდა ხელახლა გაველგამოველო, წელი დაენახა — უკებ თვალი მოჰკრა მეორე ოთახს და ძეგლივით გაჩერდა.

მეორე ოთახში იდგა მისი მეუღლე და გაოცებული უცქერდა.

II

— ეს რა ახალი ამბავია, — სთქვა ქმარმა ეჭვიანი ღიმილით, პორტფელი იღლიდან გამოიღო და ხელთან ერთად ძირს დაეშვა.

შეშფოთებული ანა უკებ გონს მოვიდა, დარცხვენით გაიღიმა, ხელი ინსტიქტიურად დაიფარა გულის ქინძისთავს, რომელიც არა თუ ბზინავდა, ელექტრონის სინათლეზე სხივებს ისროდა, როგორც მზის ნაბერი. და ასე გულზე ხელმოფარებული ღიმილით წინ წავიდა. მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ უფრო შეშფოთდა და გაწითლდა, როდესაც იგრძნო საყურებები, რომელიც არა ჩვეულებრივი სიმძიმით ეკიდა ყურებზე. მერე იგრძნო კაბაც, ახალ მოდის „პრინოსკა“ — და ხელი უნებლიედ აიღო ქინძისთავისაგან. — სულ ერთია, ორი ხელით ყველაფერს ვერ დაიფარავს... მერე რათ სცხვენია? ცუდი რა ჩაუდენია, რომ ერიდება და, საზოგადოდ, ქმარს ძლიერ ემორჩილება და მასში უკვე გამოიღვიძა წინააღმდეგობის გაწევის სურვილმა, თუ რომ ქმარს რამე შენიშვნა მიეცა... ქმარს ის ძლიერ უყვარდა და არაოდეს ემდურებოდა, არ სტუქსავდა, მაგრამ ახლა ანას ეგონა, რომ ტიგრანა ამ ჯერობაზე გულგრილად არ უყურებდა, მეტადრე საყურებების და ბეჭდის დანახვის შემდეგ, რომელთა არსებობის შესახებ მან ის იცოდა, რომ მის ცოლს „ერთი-ორი სამკაული“ ჰქონდა, მაგრამ რა და რანიერი, არ იცოდა. და ქმარი, მართლაც, გაოცებული იყო, მან ხელახლა დაათვალიერა ცოლი თავიდან-ფეხებამდე და თავი გაიქნია.

— დიახ, მოულოდნელი ახალი ამბავია! — სთქვა მძიმე, გატეხილი ღიმილით, პორტფელი მუხლებზე დაიდო და მძიმედ ჩამოჯდა პირველად შეხვედრილ სკამზე.

ანაში ხელახლა გაიღვიძა წინააღმდეგობის გაწევის სურვილმა. ახლა იგი იმ აზრისა იყო, რომ თუ მართლაც ჩამორჩენოდა თავის ამხანაგს, მოწყვეტილიყო დიდი ქალაქების ცხოვრებას, დავიწყებოდა გემოვნებაზე ჩაცმა და ქაბა — ამისი მიზეზი, უსათუოდ, მისი ქმარი იყო.

— შენ გინდა რომ?... — უთხრა მან და ხელახლა ორი ნაბიჯი წინ წასდგა. მას, შენ გინდა, რომ მე მოახლესავით ჩავიცვა და ბავშვების კალთა დავიკირო?

— მე ვგ როდის გითხარი! — გაუკვირდა ქმარს, მისი უცებ აღუთქმების მიზეზი ვერ გაიგო.

— მაშ რა?... „ახალი ამბავიაო“... ახლაც ხომ სამხედრო კომუნისში არ არის, რომ ჩული და ფალასი ჩაეიკვათ, გვეყო, რაც ბრბოსავით ვიცხოვრეთ. უყურებ — სხვები ცხოვრობენ, იცვამენ თავიანთ გუნებაზე, მე კი ასე სახლში ვარ ჩაკეტილი...

მღელავდა, ლელვასა და ცრემლებს ძლივს იკავებდა. და ლაპარაკობდა, რომ არ ეტყირნა.

— იცი რა? — განაგრძო მთრთოლარე ხმით, — მე ამ ქალაქში ვიღრჩობი მარტოობისგან, ვებზრდები...

ქმარი უფრო ვაოცდა. ცოლის მღელვარება მისთვის ძლიერ საოკარი იყო.

— მე ვგ არ ვიცოდი, — უთხრა მშვიდად — რათ ბეზრდები? რა დაგვიმართა, რომ ასე უცებ იგრძენ.

— მე მუდამ ვგრძნობდი, მაგრამ მიზეზი არ იყო, რომ მეთქვა.

— მაშ რა! ახლა არის მიზეზი?

— მიზეზი!... ვინაიდან შენ მე მტუქსავ, „რა ახალი ამბავიაო“. მე მინდა გითხრა, რომ ქმარა... ბოლოს და ბოლოს, რისთვის ვცხოვრობთ, სატანჯავად? სიცოცხლის გვერდით ვასაეღულად? თუ სიცოცხლით დასატკბობად? გთხოვ, მითხრა...

ქმარმა უცქირა ანას და გაიღიმა.

— შენ დღეს რაღაც საოკარი ხარ. უცებ, არ იცი, თუ რაზე დაგიწყია ფილოსოფოსობა. კარგი იქნება, მაგას ყოველს თავი დაანებო, მოდი აქ რა უნდა გითხრა? ჩაცმის დროც ბევრი გექნება...

სკამიდან სავარძელში გადაჯდა და სავსე პორტფელი მუხლებზე დაიდო.

— შე დღეს, ბოლოს და ბოლოს, დაეარწმუნე თავმჯდომარე, რომ ჩვენი ქალაქისთვის საჭიროა გეგმა, და ერთიანად გადაკეთება. და ის...

ტიგრანა რომ საღამოობით სახლში მოდიოდა, ჩვეულებრივ დაღლილი იყო ხოლმე, დღეს, პირაქით, კარგ გუნებაზე იყო. მიზეზი შემდეგი იყო: მან, რამდენიმე წლის ბაასის შემდეგ, დღეს ძლივს დაარწმუნა ქალაქის საშკოს თავმჯდომარე და საბჭოს წევრები, რომ აუცილებლად საჭიროა ქალაქის ძირიანად შეცვლა — ქუჩების გაფართოება, მოედნების გახსნა, ბულვარების გაკეთება, და მერე საჭიროა ახალი სინათლიანი სახლების აგება... და დღეს კიდევ შიამლებინა თავისი გეგმა. და მიუხედავად იმისა, რომ, საზოგადოდ, ჩვეულებად არა ბჭონდა თავის საქმეებზე ელაპარაკნა ცოლთან, — დღეს სიხარული იმდენად დიდი იყო, რომ უნდოდა ეთქვა ამის შესახებ, აგრეთვე ცოლის ლელვის შესამსუბუქებლად.

— და თუ თავმჯდომარე, და თუ საბჭოს წევრნი, — განაგრძო ტიგრანამ ხელების ფშვნეტით, — დაადგენ ბოლოს იმ აზრს, რომ უგევზოდ... შენ მე ყურს არ მიგდებ, ანა?..

— ჩემთვის სულ ერთია—გვემით ააგებთ თუ უგვემოდ, მაგისგან რა ხეირია?

— როგორ თუ?

— გავიხაროან. აშენებ, აგებ, სხვები ცხოვრობენ მაგ მზიან ოთახებში, ჩვენ-კი, მე ვრჩები მუდამ ამ მოკლულს უმზეო სახლში. ნუ თუ არ შეგიძლია ცოტაც შენი სახლობისთვის იფიქრო,—უთხრა ანამ გულგრილად და მაშინვე განაგრძო დაცინვით—ვგონებ, სოციალიზმი წინააღმდეგი არ იქნება, შენ რომ დღეში ერთი-ორი საათი შესწირო შენს ცოლ-შვილს.

ტიგრანამ სერიოზულად უპასუხა:

— შენი აზრით მე არ მიყვარხარ და ჩემი შეილებიც არ მიყვარს?

— საბუთს ვერ ვხედავ, მოსიყვარულე ერთი დღე სახლში მაინც დაჯდება. კრება! კრება! მუდამ კრება და თათბირი. სიცოცხლე თითქოს კრებაშია. ხალხი სცხოვრობს, მზიარულობს, სიყვარულში და ბედნიერებაში ატარებს დროს... შენ კი—კრება, თათბირი, კრება, თათბირი, ომ! მოსახეზრებელია, უკვე დავიღალე. ბავშვების და სახლის ზრუნვა, წერილმანი გაჭირვება, სამხარეულო, კურკელი... არ იქნება, რომ ეს ზრუნვა გაჰყო, როგორც სოციალისტმა?..

ანას უკანასკნელ სიტყვებში იყო სამღერავიც და მწარე დაცინვა... ტიგრანამ ეს იგრძნო და იფიქრა, რომ თვითონ, მართლაც, ცოტა ყურადღებას აქცევს ოჯახს. მაგრამ როგორ შეუძლია ყურადღება მიაქციოს, როდესაც ყოველ წუთს, ყოველ წამს საქმეები, კრებები, ასაგები სახლები ეძახიან?

— იცი რა,—დაიწყო მან, მაგრამ ანამ ნება არ მისცა ლაპარაკისა და განაგრძო წინანდებურად, ხელების ქნევით.

— შენ არ უყურებ სხვებს, თუ როგორ ცხოვრობენ, კარგს იცვამენ, კარგს სჭამენ და კარგ დროს ატარებენ! შენ კი გვეგები, გვეგები!.. თავი გაგიტენია გვეგებით და ნუსხებით. შენ გინდა ეს ასი წლის ნანგრევი აქციო თვით ქალაქად... მე კი ეს ყოველი ნალველს მგვრის.

— ეგ შენი ნალველი და მღელვარება იცი რისგან არის?—უთხრა მან სერიოზულად და წყნარად.

— რისგან?—პკითხა ანამ მოუთმენლად.

— ცუდაობისგან. შენც რომ იშრომო, ესე იგი, მონაწილეობა მიიღო საზოგადო საქმეში, ჩვენს შრომაში, არ მოგწყინდება და აგრე არ ილაპარაკებ.

— რომელია თქვენი საქმე?.. სოციალიზმი?.. მე არა მწამს სოციალიზმი.

— მაშ, არ მენდობი აგრეთვე მეც.

— მე შენ მეზრალედი, რომ...—უთხრა ანამ, მაგრამ იმ წუთას სიტყვა შესცვალა.—ვისთვის იტანჯები? ვინ დაგაფასებს? მადლობას ვინ გეტყვის, ერთი მითხარი?

— ჩემი ამხანაგები. მომავალი თაობა. ბოლოს, მე თვითონ კმაყოფილი ვარ, რომ...

ანამ დაცინვით უთხრა:

— ამხანაგები!.. ისინი შენთვის მხოლოდ ცუდს მოინდომებენ, რომ დაეცინონ. გახსოვს ბაგრატას შემთხვევა?.. მომავალი თაობა კი,—სასაცილოა. ერთი

შენ—შენ წინაპართ! არა? ყოველ დღე აფურთხებთ ძველ ქვეყანას, ძველ ადამიანთ... მომავალი თაობისთვის ერთი ძველი ქვეყანა თქვენს იტყვიან, სხვა არაფერი...

ამ რიგობაზედაც ტიგრანამ დაიწყო დაცინვა, თავის ქნევით.

— მიკერს, ეგ ყოველი რაღა დღეს მოიგონე? შეურაცყოფა ვინ მოგაყენა? რა ცუდად გეპყრობი, რომ აგრე პღელავ? ან რა მოგაგონდა? დღეს ძლიერ არაჩვეულებრივი ხარ, არამც თუ მარტო მორთულლობით, არამედ აზრებითაც— უთხრა ტიგრანამ ნახევარი ხუმრობით, ნახევარი სერიოზულად და ფეხი ფეხზე გადაიდო, თან ცოლს უცქერდა დაფიქრებული, — გთხოვ, მითხრა, რა დაგე-მართა?

— რაო?.. არაფერიც არ დამმართია. მხოლოდ ამ ქალაქში ვიღრობი მარტობით, დაებერდები... და ვინ არის დამნაშავე? შენ!.. დიახ, ნუ გაიკვირვებ. შენ ჩემთვის შეგიბოძავს ხელ-ფეხი, შენ მე გადამაქციე...

— რათ? სთქვი!

— ყოველ დღე ლაპარაკობთ კაცობრიობის თავისუფლებაზე, ბედნიერებაზე და შენ კი, კომუნისტი, ისე მეპყრობი...

— როგორ?..

— როგორ და ისე, რომ მახლობელთან ლაპარაკის თავი არა გაქვთ, ყოველთვის ლაპარაკობთ შორეულთათვის... თქვენი პირიდან იღებთ და ინგლისის მუშებს აძლევთ.

— და შენი აზრით ცუდად ვიქცევით?

— არ ვამბობ, ცუდია მეთქი, მაგრამ მინდა ეთქვა, რომ... ერთი დღე სახლში თავის დროს არ მოდიხარ... და მუდამ დღე იძულებული ვართ საკმელი ხელახლა გავაცხელოთ ხოლმე, ერთ დღეს არ იკითხავ ჩემი ცოლი, შვილები როგორ ცხოვრობენ? თითქოს უცოლ-შვილო იყო!

— შენ ისე ლაპარაკობ, ანა, თითქოს ამას განგებ ვჩადი...

— კარგი იქნებოდა... ვიდრე აგრე...— შეაწყვეტინა ანამ მეუღლეს და უცებ სახეზე ხელი მიიფარა და კვითინი დაიწყო.

ტიგრანა ბევრსა სცდილობდა ცოლის სიტყვებიდან ერთი რამ გაეგო, ესე იგი გაეგო მისი იღუპულების მიზეზი, მაგრამ ამოდ, არაფერი ესმოდა. ახლა რაკი დაინახა მისი ქვითინი, უფრო შეშფოთდა. მაგრამ, როგორც იყო, ადგა და ხელი დაუჭირა.

— დაწყნარდი, ანა, დამშვიდდი! ბავში ხომ არა ხარ...

და მან აღერსიანი, და ტკბილი სიტყვებით ცოლი შეიყვანა საწოლ ოთახში, სადაც ბავშვებს არხეინათ ეძინათ თავიანთ ბადიან საწოლებში.

ანა ჩამოჯდა სარკის წინ სკამზე, ცხვირსახოცი თვალზე მიიფარა და განაგრძო ქვითინი. საყურები თრთოდენ ყურებზე, ბეჭის ძელები ირხეოდენ შავი კრებდენის ქვეშ. და მის მზიარულ მორთულობაში საოცარი იყო მისი ქვითინი. გეგონებოდათ ხუმრობდა... მაგრამ ქმრის დაყვავებამ, ბოლოს, დაამშვიდა იგი, გაჩუმდა, პირი კედლისკენ იბრუნა.

.....

ცოტა ხნის შემდეგ ტიგრანა გამოვიდა საწოლ ოთახში... ტყველი იყო და შევიდა თავის კაბინეტში. ცოლის საქციელმა და სიტყვებმა მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინეს. ჰფიქრობდა, მართლაც საქიროა, საშუალება მისცეს, რომ ცხოვრებას არ ჩამორჩეს, საქიროა ყურადღების მიქცევა.

„მართალია, მე სახლობას ცოტა ყურადღებას ვაქცევ“, — ჰფიქრობდა ტიგრანა და ოთახში წინ და უკან დადიოდა. იმავე დროს მას არ ვაეგებოდა, თუ ცოლი რატომ მორთულიყო ავრე. ნეტაეი რა მოაგონდა?.. ან რა უნდოდა ეთქვა თავისი უაზრო სიტყვებით... ნერვიანი გამხდარა, მართლაც, მარტოობისაგან, თუ წარსული მოაგონდა?.. „საოცარია, საოცარი“, — ამბობდა ტიგრანა გუნებაში და ვერას გზით აეხსნა ცოლის საქციელი. კარგი იქნებოდა მასთან ბელაპარაკა, ვამეგო მიზეზი... „მაგრამ დღეს არა, ნერვები აშლილი აქვს, ხვალ არხეინად ვილაპარაკებთ და ვაეიგებ“, — იფიქრა მან. „მეუბნება, არ მიყვარხარო“... რა ცარიელი სიტყვებია! სხვა ვინ მიყვარს, გარდა ცოლისა და შვილებისა?.. „მაგრამ, მართალია, მართალია, მე დროს ვერ ვპოულობ ჩემი გიყვარულის გამოსათქმელად, უფრო მეტი სიყვარულისა... ეგ მართალია, და მას უფლება აქვს დამემდუროს... მაგრამ უცებ რა დაემართა? ესაა საყურადღებო“...

„ხვალ, ხვალ ამიხსნის!“ — განიფიქრა დამშვიდებით, და ამ დროს თვალი მოჰკრა პორტფელს, რომელიც გაბერილი იყო საწერ მაგიდაზე. ხელახლა მოაგონდა თავისი საუბარი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარესთან, მოაგონდა თავისი გამარჯვება და გაიღიმა.

„ახლა შეიძლება საქმის გაკეთება“, — სთქვა გუნებაში, და მიუახლოვდა კედელზე ჩამოკიდულ ძველ გეგმას, რომელიც უზარმაზარ კუს ჰგავდა. მას ეს გეგმა არ მოსწონდა, არ მოსწონდა მეტადრე ძველი ქალაქი... დიდი ხანია ამჩნევდა, რომ ძველ სახლებს შუა ახლის აშენებით ქალაქის შეხედულება სრულიად არ იცვლებოდა: იგივე ძველი, მოქუშული, უშნო ქალაქი რჩებოდა და ახალი სახლები, პირიქით, უფრო ამჩნევდა მის სიძველესა და მოქუშულობას. ეს შეამჩნია მან, როდესაც ერთხელ აეიდა მახლობელ გორაზე, და იქ მან მოიფიქრა, რომ ქალაქი ძირიანად უნდა განახლდეს და ახალი შეხედულება მიიღოს...

„ახლა შეიძლება საქმის გაკეთება“, — განიფიქრა მან და წარმოიდგინა ქალაქი თავის გუნებაზე განახლებული, განვითარებული, გაფართოებული. ახლანდელი ვიწრო ქუჩების მაგიერ — განიერი, ფართო ქუჩები; მოქუშული, ერთსართულიანი სახლების მაგიერ — თეთრი, მაღალი სახლები!.. თეთრი! თეთრი! რომ შორიდან მნახელს ეგონოს მარმარილოდან აგებული ქალაქი...

რამდენსაც ჰფიქრობდა, იმდენად ირკვეოდა და ბრწყინავდა ახალი ქალაქი მის მოსაზრებაში — თეთრი, დიდი, ნათელი სახლები — ყველაში საერთო სამზარეულო, საერთო სასადილო, საერთო სათამაშო ოთახი, ბიბლიოთეკა-სამკითხველო... ყოველ სახლის წინ ყვავილნარები და ხეხილები... მოედნები, ბულვარები...

მოედნებზე და ბულვარებზე ძეგლები, შადრვენები... ასფალტით დათენილ ქუჩებში მისრიალებენ ავტობუსები... ქალაქი ხმაურობაშია დილის და საღამოს

მოდრობით... უქმე დღეებში ბერობლანები პეპელეებივით დაფარსკან უქმეების
თავზე, და ხალხსაც ისე არ აცვია, როგორც ახლა...

აქ მას გაახსენდა ქალაქში ახლადამოსული სახელოვანი ხუროთმოძღვარი,
ვისთვისაც უნდა ჩაებარებინა ქალაქის მოხაზულობა.

„დილით უნდა წაეიდე მასთან“, — სთქვა გუნებაში, და მიუჯდა საწერ
მაგიდას, მაგრამ უცებ მოაგონდა ცოლის სამღურავი სიტყვები, რომ თვითონ
ყურადღებას არ აქცევს მას, და ფიქრს მიეცა.

თარგმანი ლ. კარაპეტიაჩისა.

მე გოლშაჰიპი პარ

(მენშევიკური მფლობელობის დროიდან)

ღიახ, მე ბოლშევიკი ვარ... ვდგვიარ თქვენს წინაშე...

აჰა ჩემი მკლავები, ბორკილები დაადეთ, დე, ინხრიალონ რკინის რგოლებმა და მათმა ერთგვარმა ჩხრიალმა, დე, დაატკბოს თქვენი „სათუთი“ სმენა...

განა ბორკილები არ ენსახურებოდა ძველ ქვეყანას? დასაწყისიდან დღევანდლამდე. და იმიტომაც დარჩენილა სანუკვარი, განუკრელი დღეს იმათთვისაც კი, ვიზედაც ერთ დროს მფლობელობდა...

ნუ თუ იგივე ბორკილებია თქვენი იარაღი? თქვენი მხსნელი, თქვენი ცვალებადი ნებისყოფის სიმბოლო?...

მაგრად შემიკარით მკლავები, მაგრა, თორემ პროტესტის ტალღასავით აღმოხეტქს ჩემი გულის ვულკანი, გადმოისვრის როგორც ხორცშესხმული შერისძიება, როგორც შინაგანი ზიზლის დაგროვილი ლავა, დაგწვავსთ, ნაცრად გაქცევსთ თქვენც და თქვენს მტარვალ სურვილებსაც...

თქვენ გინდათ მომტაცოთ თავისუფალი ნებისყოფა, შემუსროთ ჩემი განზრახვის აღმადგენა... ჩემს არსებას მოაშორეთ ჩემი მსოფლმხედველობა...

ულონო ხართ!..

მოითხოვთ ჩემს პარტბილეთს!.. განა იგი უმნიშვნელო კარდონის ნაჭერი არ არის, ერთი ბეჭედი, რამდენიმე ასო, ციფრები?

რას გაუშვებულხართ? მკლავები შემიკარით, და მე ულონო გავხდები თქვენს წინააღმდეგ, მიიტანეთ თქვენი ხელი ჩემი მარცხენა უბის ჯიბეში, მაგრამ ფრთხილად, თითები არ ღაიწვათ... პარტბილეთი ულონოა, მაგრამ მის ქვეშ მფეთქავი გული ხელს დაგწვავსთ, მას ალი მოედება და რისხვის პროტესტით მოაჭვენს მთელ ქვეყანას...

ჯერ კიდევ ბავშობის დღიდან ემუშაობდი თქვენთან ერთად, როგორც ერთი ძღვევამოსილი პოლიუსი. ჩვენ ვცხოვრობდით, ვღვლავდით ახალი სურვილებით, უსაზღვრო სიყვარულის უცანასკნელი გამარჯვების ქარიშხალით...

კლდეები იმუსრებოდა ჩვენს წინაშე, არავითარ ძალას არ შეეძლო ჩვენი მკლავები შეებოქა, სუსტი იყო რკინის რგოლები, უძლური იყო მაგარი ციხეები, დამპალი—მათი საძირკველი...

ბევრი ხანი არ გასულა იმ დღიდან, რაც განმათავისუფლებულ ბრძოლის ტალღებში ჩამითრიათ. ღიახ, ის მე ვიყავი სიცივესა და ყინვაში, ცხელი ტყვიების ზუზუნში რომ ვიბრძოდი, ვატარებდი გამარჯვების დროშას, ვიტანდი დაუსრულებელ ტანჯვას... რომ დღევანდელი თქვენი შწარე და მოქუშული სახისთვის ზიზლით შემეხედნა...



თქვენ მოლაღატე ხართ, მენშევიკი... და ამას გახლით პირველი თქვენ ჩამოგვცილდით, ისეთი გზა აირჩიეთ, რომელიც უფსკრულში გადაგვყვანდა. თქვენ გინდათ გამცარცვოთ, გსურთ მოიპაროთ ჩემი არსება, ჩემი უსახლურო რწმენა, მთელი ჩემი ლტოლვა და ის სურვილები, რომელნიც ჩემთვის ასე შეუღვენელია...

მე ყველაფერი ვიცი, ის ჯოჯოხეთის შეთქმულება, რასაც გვიმზადებთ მე და ჩემს ამხანაგებს. სად არის თქვენი თავისუფალი ნებისყოფა? სად არის თქვენი სულის ის დიდებული აღმადრენა? ნუ თუ ასე მალე დაეცით? ნუ თუ ტბილი ცხოვრება კომფორტით, მშვიდით და მონჯადობებელი ალერსით, იმდენად მომზიბლავი იყო, რომ დაგაბრმავათ? მე ვიცნობ კარგად თქვენს შხამიან სულს, თქვენს მთელ აშშორებულ აზრს, იგი იმდენად მტარავალია, როგორც თქვენი დამყვავებელი, თქვენი მოსიყვარულე ბურჟუაზია...

ახლა თქვენ მხოლოდ ერთი მიზანი გაქვთ, ერთი უღმობელი მოთხოვნა—ჩანასახშივე ჩაალრჩოთ თავისუფლება, გაათხოვოთ, გახრწნათ ის წყარო, საიდანაც უხარმაზარი გენია აღმობრწყინდება...

და მე არაფრად გაგდებ თქვენ, ჩირადაც არ ვაგდებ თქვენს დამონებულ სულს, თქვენს ვერაგ მიდრეკილებას!..

წადით, დამტოვეთ მე ჩემ საკანში, ეს ოთხი კედელი, გაყინული და ცივი, უფრო ახლოა ჩემთვის, ვიდრე თქვენ, ვიდრე თქვენი პატროსანი სახე...

მე ბოლშევიკი ვარ და მეზიზღებით თქვენ ყველანი.

ჩემი და ჩემი პარტიის გამარჯვება სწორედ ამ სიტყვაშია—ბოლშევიკი ეს ერთი სიტყვა კმარა, ეს ერთი სახელი ყველაფერია.

ამოიღეთ რევოლვერი თავის ბუდიდან, დააჭარეთ, აჰა, ჩემი მკერდი ღიაა თქვენ წინაშე, არ ვინაღვლი...

რა ზიზღითაც გიყურებენ ჩემი თვალები, იმავე ზიზღით მზად არის ჩემი მკერდი, რომ იქით გადასროლოს ეგ ტყვიის ნაჭერი.

ნუ თუ ტყვიით შეგიძლიათ მოჰკლათ ბოლშევიკი? ნუ თუ შეგიძლიათ მაგ ტყვიის ნაჭრით მოჰკლათ ის მძლავრი იდეა, რომელიც ბოლშევიკს ამშვენებს, იდეა, რომელიც დაფრინავს თქვენ თავზე, თქვენს თვალებში, მაგ თქვენს მწარე და დაცემულ სულში?!

კარები ჩაიკეტა, გასაღების ჩხარუნე ყრუდ გაისმა, ძველებურ თაღებს ქვეშ, და ყველაფერი დადუმდა. მხოლოდ ბოლშევიკის გული ჰგმინავდა ისევ ოთხკედელ შუა. ის ჩემად იღვა ერთ ალაგას და გაშტერებით უცქერდა ვიწრო სარკმელს, საიდანაც ერთი სხივი ქურდულად შემოპარულიყო და წყვდიადს ებრძოდა. ყოველ განთიადისას შემოდისოდა ეს სხივი, ისე მიკრუშული, ისეთივე რუხი, როგორც მისი საკანის ოთხი კედელი და იმდენადვე ნესტიანი, იმდენადვე ცივი, როგორც საპროზილეს მოქუშული ცხოვრება...

ურიცხვ წელთა განმავლობაში შებორკილი თუ უბორკილო შემოსულა ამ ვიწრო დარბიდან კაცობრიობის დიდი მასსა: მოსულა, განადგურებულა; მოსულა, სიბნელეში და დაკარგულა უკვალოდ...

რამდენი ტანჯული გულის ისტორიაა ამ გამოქვაბულში! რამდენი გაუტეხელ გულს უფეთქია აქ, რამდენს იმედი გასწყვეტია და მხოლოდ წყევულების ბრწყალებში ჩავარდნილა.

მან იცოდა, რომ ლამდებოდა, ხელახლა თენდებოდა და ისინი აქ იყვნენ და იმ დროს, სამაგიეროს გადახდის იმ შშენიერ წუთებში, ეს დიდებული ცხოვრება, მხოლოდ იმათი საკუთრებაა, რომელთაც ლომის გულები აქვთ, რომელთაც შეუძლიათ იბრძოლონ, რომელნიც ტანჯვის ვაშს უბედურობისა და შიშის ბრწყალებში ჰგარძნობენ თავიანთ სიდიდეს, თავიანთ უკანასკნელ მისწრაფების განხორციელების გამარჯვებას...

ფიქრებით გატაცებული პატიმარი მანუგეშებელს ლეღვაში ჩაძირულიყო, ქალაქი ახმაურდა. მან ორივე ხელით დაიჭირა გული, რომელიც ძლიერ უცემდა, გული რომელიც მთელი შინაგანი ცეცხლით, უსახვრო ლტოლვით იწვოდა...

გარედან უივილ-კივილი, ხმაურობა, არეულობის ხრიალი გაისმა.

ამ ხმაურობაში ერთმა შავმა ფიქრმა მოიკცა მისი სული... ნუ თუ დამარცხებული მენშვეიკების გაშმაგებული რისხვის იერიში არ იყო ეს?.. ნუ თუ თავიანთი შური უნდა იძიონ ხელფეხშებორკილ, სიბნელისა და წყვდიადის უბენი ჩავარდნილ პატიმრისა და მის ამხანაგთაგან?

ნუ თუ ბრძოლის უკანასკნელ წუთებში არ მოქმედებს ალღო ვერაგი და გაშმაგებული!..

იგი მაგრად მიბრჯენოდა ფანჯრის ბანდულებს, თითქოს მათგან ელის თავის დახსნასო.

უემური ლამე იყო, შავი და ბნელი...

ნესტიანი კედლებიდან სიბნელე შემოდინოდა თავისი დუბჭირი, მტაცებელი ეშვებით და უხარმაზარი ბრწყალებით უკაწრავდა გულს, წერილ-წერილად ჰგლეჯავდა მის ტანს, მაგრამ ეს იმედს როდი უკარგავდა.

ამ კოშმარში ის ხედავდა თავის თავს განთავისუფლებულს, ხედავდა იმ დიდი იდეის გამარჯვებას, რისთვისაც ჯერ ისევ ბავშობიდან ამდენი იტანჯა, ამდენი იბრძოლა.

ის უშრეტეი ცეცხლი, რომელიც თვისებაა მხოლოდ რევოლიუციონერისა, რომელიც ანთებს, აღლევებს მის სულს, არაოდეს ჩაჰქრება. ის იშვება ბორკილებიდან და ააღლევებს მთელს ქვეყანას...

ფიქრებში ჩაძირული, იგი ფიქრითვე ლამობდა გაფრენილიყო თავის ამხანაგებთან, თავის ლეიძლებთან, მხოლოდ ეს სურვილი უაღერსებდა მის სულს მზურვალედ და სანუგეშოდ...

რაზა გაინძრა, კარები ხრიალით გაიღო, სამი კაცი, რევოლვერებით ხელში, გაჩერდა მის პირდაპირ.

წუთი და ყველაფერი ცხადი იყო შებორკილისთვის...

— წადი წინ, — გაისმა ერთი რიხიანი ხმა.

რისხვით საესე სახით გაიძრა მის წინ.



ნაგანის ლულები მიმართულიყო მისი მკერდისკენ, მტკიცედ მოკიდებული იყო შებოროკლის ფოლადის თვალით, ცივად, გულგრილად...

— ვილას ელით? — თითქოს ჰყვიროდნენ რევოლვერში ჩაწყობილი, ალიუმინის თავმწვეტი ტყვიები, ცდილობდნენ გამოეარდნილიყვენ და მიწაზე განერთხოთ ამაყად მოსიარულე შებოროკილი.

საქალი დიდი არ იყო, რამდენიმე ნაბიჯი და წით წინ გაიწალა დიდი მოედანი, გარშემორტყმული სამი მაღალი კედლით.

კედლები ქვესავით გულგრილად იდგნენ მათ პირდაპირ, მათ ბევრი ენახათ ტყვიების სეტყვით ჩახერგილი გვამები, ბევრი ესმინათ შწარე ქვითინი, იმედგადაწყვეტილი, დახშობილი კივილი. ეს კი გაუნძრევლად იდგა, როგორც კლდე, და რიხიანად უყურებდა, ხან ნაგანის ტუჩს, ხან თავის მრისხანე მტრებს... მოაგონდა თავის ბავშობის დღეები, უწინდელი თავისი ამხანაგები. ისინი მტკიცე რიგებად ჩამწყრივებულებიყვენ, საბრძოლველად გამზადებულნი. და ეს აქეზებდა, ახუგეზებდა მას.

იარალის ჩხარუნმა გამოარკვია, დააშტერდა თავის პირდაპირ სამ შეიარაღებულს, რომელნიც თოფში ეაზნებს აწყობდნენ.

ამლოსავლეთი გაწითლებულიყო, სინათლის სხივები წყნარად იფანტებოდნენ გარშემო, იცარებოდა წყვილიანი, რომელიც ასე საზარელი იყო ამ დროს... შებოროკილმა ერთი გამომკვლევი თვალი მოაქცია თავის ჯალათებს.

— ის არის!... — მწუხარედ აღმოხდა მკერდიდან და ტუჩებზე გაქრა, — ის არის, რუბიკა... მისი წინანდელი, ისე ლეიძლი, ისე ერთგული ამხანაგი...

— რუბიკა!... — უნდა ამოეარდნილიყო მისი მკერდიდან ოდესღაც წმიდა, მხურვალე სახელი... ხმა ჩაიღრჩო კელში, მხოლოდ თვალები უყურებდნენ მკაცრად, სველიანად და მწუხარედ...

შეიარაღებულთა წინამძღოლმა ამ დაეინებულს, გამხვრეტ ცქერას ვერ გაუძლო და ერთი ნაბიჯი წინ წამოსდგა... წამოსდგა და იქვე გაქვეადა. თავის თვალებს არ უჯერებდა... უცქრად ცივმა ჟრუანტელმა გაუტრიანა ტანში.

რევოლვერი აცახცახდა მის ხელში, რამდენჯერმე ზევით ასწია, დაუმინა შებოროკილის მკერდს, მაგრამ თითები არ ემორჩილებოდნენ. დაბარბაცდა, გარშემო მიმოიხედა: იგივე ცქერა, გამხვრეტი და გაშმაგებული...

თვალები დახარა.

ბრძოლის საზარელ წუთებს განიცდიდა... მას უნდა მოეკლა თავისი ყოფილი ამხანაგი, რომელთანაც ერთად ამდენი წელი ებრძოლა, ეშრომა.

წინაგანი ხმა უბრძანებდა მას: — შენ მოვალე ხარ, შენ უნდა იყო სასტიკი და შეუპოვარი, არცერთი დაბრკოლება, არცერთი მიზეზი... ღონე მოიკრიბე, მოუტვირე სასხლეტს... გაანძრე საჩვენებელი თითი... აჰა!.. ის შენ წინაა, მკერდ ღია...

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ხელი ასწია, ნაგანი დაუმინა, თვალები დახუჭა, უნდოდა სასხლეტი დაეცა... თითებმა უღალატეს, ხელები მოუდუნდა, რევოლვერი მხარზე ჩამოკიდებული დარჩა.

— რუბენ... ვაისმა შებორკილის ხმა...—ხელები გიკანტულებს... რე-
ვოლუციონერი, მე თვითონ... მომე... თვალებს ნუ ხუჭავ, აჰა, მე მხოლოდ შენ ხარ...

— დაბე, სიკვდილსაც რომ არაფრად აგდებს.

— ის იძულებულია... წაიღეთ ჩემი გვამი.. აჰა...

რევოლუციონერი გამოსტაცა, თავის მკერდს დაუმოხრა... ვაისმა გრილი და...

ნაგანით მარჯვენა ხელში მიწაზე დაეცა ბოლშევიკი...

რამდენი ზიზღი, რამდენი დაცინვა იყო მის ჯერ კიდევ ჩაუმჭრალ თვა-
ლებში!...

თარგმანი ლ. კარაპეტიაჩიხა.

რკინის ღვინო

ახალი ცხოვრების საძირკველის — კოლექტივაზაციის განმტკიცებელი ეფექტური ამ ნაწერს.
 ს. ულაივი^{*)}

თავიანთვისინ სხედან და მასლაათობენ გადაყრუებული მოხუცებულნი. თითქმის ყველა უცბილოა და თეთრი თმებით დათოვლილია. ძველიძველ დაძაბუნებულ ძელებს ცხვირის ტყაპუკებით ითბობენ. ზაფხულის პაპანაქებისაც არ ეშინიანთ ამ საცოდავთ.

ტყაპუკის კალთებსა და გულზე სულ ცოტა თითო ფუთი ჭუჭყი მაინც აცხიათ, ვინ იცის, რამდენ ქელეხში არ შეესწრენ ხარჯს, ყოველ ხარჯზე ხომ თითო ჭონის საპირე უნდა დაედოთ მოთხუბნულ თითების მალი-მალ ჩამოწმენდით.

დღეს-კი სხედან ასე, ჩაყვითლებულნი თამბაქოს ღეჭვით ირთობენ თავს და შხამიან წვერის პურუკებით დედამიწას ასველებენ.

— ეპეი, თანდილაუ, დროება როგორ შეგვეცვალა-და!

თანდილა ერთი კუზიანი კაცია, მეტად ვალახული და გადაყრუებული ბებრუხუნა, ლერწამივით გაწვრილებული მუხლებით. მან ჯერ ვერ გაიგო, რას ელაპარაკებოდა მოხუცი ბიბო, მაგრამ მაინც შეინძრა და ტყავში უფრო მეტად ჩაიფუთნა.

— მაშა, მაშა! წაეიდა და დაიღუბა ჩვენი დროება.

— სანათი სეშამ სოქვა, ისეთი დრო დავვიდგება, ისეთი რომაო ძუქნა ძაღლის მუცელშივე ლეკვები ყუფას დაიწყებენო, უნკროს-უფროსობა აღარ იქნებო, ჩვენისთანა ბებრებს სიტყვის ნებასაც არ მისცემენო.

— მაგას რაზე ამბობ, ბიბო, — ეკითხება ქვემოდ მჯდომარე მოხუცი, რომლის დაფანჯრულ წინა კბილიდან ენა ღიმილით მოსახსიანებს და თითქოს ბავშვების გასახალისებლად იძახისო:

— ჭიტა-ა-ა!

თანაც მოზღვეულ წირბლებს სქელი, კოტიტა თითების მოსმით იწმენდს.

^{*)} ს. ულაივი — სამხრეთ-ოსეთის პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელია, ერთი თვალსაჩინო ბელეტრისტი და მოქტი. ეს მოთხრობა ეთარგმნე ი. აბაევის დახმარებით. რედაქცია ვლადიმერის ავტორის „რკინის ღვინო“ (Аа tsac uacig) და დაიბეჭდა ცხინვალში, ჟურნალ „Fidiuacg“-ში, № 4, 1920 წელს.

— აბა, რა ვიცი, ასე კი თქვა და! აბა დახედეთ, ა-გეყვეთ... აბა ამა-
ვშია: მაგისი შვილი რალაცა კრებაზე წავიდა, ისპოლკონიასი... აბა ამა-
ბაა, აი იქა. რას იზავ, ყველანი მოსამართლეები შეიქნენ, მარლიონაც კი
ერთ ამავეშია. სულ პროწილობს, თავის ქმართან, უბედურ ციბუსთან სულ ახ-
ველებს და ახველებს. წელანაც მისწინ ურცხვად დაიკუზა და ერთი ხიფათი
მოუყიდა...

ყველანი შეინძრენ ბებერი დათვებივით და ჩაიხიბითეს.

— მარლიონას მაგისთანა რამე არ შეემთხვევა. გამრჯელი ქალია. ყველა-
ფერს მიეჩნია. ზურგზე უნაგირი არ დაუდგია, თორემ სხვაფერივ მთელი დუ-
ნია შემოიარა. ციბუ ყოჩალი კაცია. ყველაფერში გაწვრთნა.

— სიცოცხლე მქონდეს, ბევრჯელ უთოხარიკებია, — სიტყვა ჩამოართვა ქვე-
მოდ მჯდომარე უკულმართმა მოხუცმა.

მის სიტყვაზე ისევ ხარხარი ასტყდა, ზოგმა ცრემლებიც კი გადმოჰყარა.

— ოი, ღმერთმა კი შეგაჩვენოს! რას არ მოიგონებს ე წყეული!

ქვემოდ მჯდომარე მოხუცს თვითონვე მოსწონს თავისი სიტყვის ჩალი-
ჩობა და ყველაზე ნეტად კვებნით იცინის ისე ძრიელ, რომ ხველა აუტყდა.

— მარჯვე კაცია მარჯვე, ეს ჩვენი ციბუ! დღე და ღამ არ იცის მოსვენ-
ება. მამლის ყივილისას დგება, წელში ცული გაურქვია და ჩემად მიიპარება
ამ ფერდობის ტყეში. თითქმის სულ ერთიანად გაკათა და გასწმინდა ეს ჩვენი
ტყე.

— საკვირველია, ე ტყის ყარაულიც რო არაფერს უშლის!

— მერე და რათ უნდა დაუშალოს? ამას წინათ მარლიონამ ისეთი ძღვენი
მიართვა, რომ თქვენი მოწონებული. ქალები სულ ერბოში მოჭიპჭიპებდა, ახლა
ყვერულები, საღვინით არაყი...

— იმას რა დაიოკებს? თუნდაც საღობლოს ჯარი თავს დაესხას, მაინც
ბუხს ვერ აუფრენენ: მგელი მგლობას ვერ დაიშლის.

— მარჯვე კაცია, მარჯვე, ეს ჩვენი ციბუ! საიდან რას არ გამოჩრება...
ყველაფერი ხელში დაბლუჯა...

ხელის კანკალით გაქონილ უბიდან თამბაქოს ქისები ამოსწიეს, უკბილო
პირში ფოთოლ-ფოთილი ჩაიხვიეს და გულმოდგინეთ შეუდგენ ცოხნას, რო-
გორც ბებერი ბოტა თხები.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ფიქრებში გაეხვია. ხმის ამოღებას ვერ აძბედა-
ვდენ, თითქოს ქვეყნის ზრუნვა მათ აწუხებდათ.

— ჰო, იმას გეუბნებოდით: მარლიონა პირდაპირ ხერხითა ხერხაშს ციბუს-
თან. მათი შვილი ასლანა კი კრებებზე დაყიალეხს. ისიც მოსამართლე გამიხდა,
ვითომდა საქვეყნო საქმეებს მიკეთებს კიდევ! ტურებზე დედის ხსენი არ შეშ-
რობია და ეგ ქვეყანას ამიშენებს? აფსუს დროებაე! ეჰ ეს რა დრო დადგა-და!
გახსოვს, მისთოლე, რევანა რომ ჩაფრათ იყო? აგე იმ ვაკეზე რომ გამოჩნდე-
ბოდა, გულზე სულ ჩინტემლაკები მზესა და ვარსკვლავებივით უბრწყინავდა.
მათარახს რომ იქიდან დაიქნევდა, უკვე ვიცოდით, რას ამბობდა: ერთი შემომ-
ხედეთ, ვინა ვარ, მოვდივარ და მოემზადეთო! ბავშვები ტახტის ქვეშ იმალე-



ბოდენ, დაფორიაქებული ხალხი დაფაცურობდა. ყველა წყნარად იჯდა, როგორც მის შესახებდროათ; რიგი ხაჭაპურებს აცხობდა, რიგი კიდევ რას. ყველას გული უსკვებოდა, რევაზას შიშით. ვინაა, აბა, მაგათში ისეთი, რომ იმის ერთი მენდლის ფასი შაინცა ღირდეს.

— მაშა, მაშა ბიბო! ეხლა აღარც უფროსია და აღარც უნკროსი. წესების ხსენება ხო სულ აღარ არის. წარლენის დრო მოახლოვებულია და ეგ არის, ჩვენ კი გამოვჩერჩეტდით და ვერ ვაგვივია.

— მაგას რაღა დარწმუნება უნდა, რომ მართლა წარლენის დრო მოდის. ანგე, კორიანთ მკითხავს თავისი პირით უთქვია, რომაო მალე ყველანი ჩიტე-ბიგით ჭყრიბინს დაიწყებენო.

— დიდება შენდა, ღმერთო, დიდება შენდა! გერის სიმიჯერის წმინდა გიორგი, დაგვიფარე...

— აღარც უფარი სწამთ, არც სალოცავი, აღარც მკედარი...

ამასობაში გაბათიანთ რძალი წყაროსკენ გამოსწევს. ზურგზე დიდი კასრი ჰკიდია წყალის მოსაზიდათ. ღმერთმა დაიფაროს, რომ მოხუცებს წინ გაუაროს, როგორ შეიძლება, ძველი ჩვეულების აღმსრულებელია, პატიოსან ქალის სახელი დაუმსახურებია და მოხუცებს წინ როგორ გაუელის!—თეთრი ჭუჭყისგან ჩაზინტლული, თავშალი თვალებთან ჩამოუფხატია, პირიც აუხვევია, ლოყებიც, ცხვირიც კი არ უჩანს, თვალებისთვის ოდნავ ჭუჭყრუტანი დაურჩენია გზის გასაკვლევად. ლამით რომ ნახოთ, კუდიანი გეგონებათ.

მოხუცთა დანახვაზე კალს გვერდით ყორესთან შესდგა და ისე აეტყაპა ჯირკს, როგორც ღამურა კედლის ნანგრევს. თვალები მიწას მიიჩერა. აღარ ინძრევა. აღარც წინ მიდის და არც თუ უკან გამობრუნებას ჰმედავს.

ბებრებს კარგა ხანს ვერ შეუშინებიათ იგი. ისიც მუნჯსავით იდგა და ასე გაქავეებული მოლოდინში იყო. როდის როდის შეამჩნიეს და მოწონებით ზურგს უკან მისცეს გზა, თორემ მთელიდღე იქ დარჩენა მოუხდებოდა.

ეინ დასთვალოს ოსური პატარძლის ყოფა-ქცევა! აქ არის ჩაზშული მამა-პაპათა ზნე-ჩვეულება, რომელიც უძრავ ლოდნსავით სრისავს ქალის პიროვნებასა.

— ირენი დაგებადოს, ჩემო მზეო. — ეუბნება სულ ნაპირს მჯდომარე მოხუცი, ორიოდ გადარჩენილი კბილი დაუფანჯრია. საიდანაც ენა განუწყვეტლივი ღიმილით იჭყიტება და იჭყიტება.

— ჰაიდა ჰაი! არა გავს სლონანთ პატარძალს, რომელიც თავზე თავშალს არ ისურავს და მოხუცია თუ ჯიელი, ყველას პირში ეღრიჭება.

— ო ჩემო მზეო! იმისი ქება და ჩენი ქება ერთი და იგივეა. თურმე დღეგაგათ ამორუტევათ, კვირას ცბენი უნდა შეუკაზმონ, ქალაქში მიდის.

— მაშა! ვოტ ია პონიმათ! სკობოლევივით ხმალდახმალ იჯირითებს.

— იქნებ გზაზე შეურაცხყოფა მიიყენონ.

— მაგასაც არ იუკადრისებს ისეთი ბიჭური ქცევა აქვს, რომ არ ვიცი, იქნებ ისლამისთანაც პირშავია..



ერთმანეთს გადაჭედეს და კვლავ გესლიანად ახითხითდნენ.

ასე მასლაათობდნენ ჩვენი მოხუცებულები. დამუშტებულს ჩვენი მკვლელებს ისრუსავდნენ, წირპლებს იშორებდნენ, უკბილო პირიდან თამბაქოს წვეწვს ამკეთ-იქით აპურკვებდნენ, უწინდელ ცხოვრებას იგონებდნენ და მომავალ ცხოვრებას ისე უყურებდნენ, თითქოს გული ერევათო.

* * *

ამასობაში ეხოში გამოჩნდა ისლამი. ერთად ერთ ახალუხით იყო ამწვანებულ უღვაშების ქვეშ ღიმილი უკრთოდა. გვერდით მოსდევდა სიონაანთ რძალი ჩითის კაბით და ჭრელი ზედატანით, თავზე წახვეულ წითელ თავშალით. თავშალი სხვემსაც ეხვიათ, მაგრამ მას უკან ჰქონდა გაკრული.

მის დანახვაზე მოხუცებულთ სიცილი აუფარდათ, მაგრამ თავი შეიკავეს. ქვეითა მჯდომმა ბებერმა მისტოლეს თვალი ჩაუკრა.

ისლამი შეესალმა. იმათაც უპასუხეს, თუმცა უკმაყოფილოდ:

— ვისი სალამოა, იმისი მადლი შეგეწიოთ.

სიონაანთ რძალი ხმის ამოუღებლივ მისდევს ისლამს, მოხდენილად უჭირავს თავი. მარჯვედ მოაბიჯებს. სხვა პატარძლები ხალხის დანახვაზე რალაცას იპრანჭებიან, იგრიხებიან. ამას იმათი მზგავსი არა აქვს რა. ოსური ცულღუტი მორცხვობისა არა იცის რა.

— ეი, ქვეყანა საჩხუბრად ემზადება ამ სალამოს, — ამბობს ქვემოთ მჯდომარე ჯადოსანი ბებრუხუნა.

— ჩხუბი ხშირია. თქვენ შერიგების სუფრა ბრძანეთ, თორემ ჩხუბსა და აყალმაყალზე ადვილი საქმე რა იქნება. რა ერთი ხანია არაყის გემო აღარ გამოივია, — ტუჩების ლოკვით სთქვა მისტოლამ.

— ეი, მისტოლა, შენ კიდევ არაყის გუნებაზე ხარ, მე კიდევ დამავიწყდა, აღარ ნახსოვს, რა გემოსია. ეს ოხერი, სიკვდილითაც არაეინ კვდება, რომა ერთი მაგრა ჩაგვექელებსა.

— მოიცათ, ნახანთ თუ ციბუსა და ისლამს შორის ერთი ამბავი არ დატრიალდეს.

ისლამი თავიანთ სახლის წინ ჩამოჯდა ჯირკზე, თითქოს ვისიმე მოვალე ყოფილიყოს და იქით გაიხედა, სადაც მისი დედა და მამა ხერხით დატრიალებდნენ. ტუჩზე ღიმილი აღუთამაშდა მათ ხერხვის გამო. ციბუმ შეუბღვირა, აღმაცურად გააზედა ქვემოდან, სიბრაზით სახე აელეწა და წარბები შეიქურუშა. თითქოს მოსისხლე მტერი შენიშნა და დასახვედრად ემზადებო.

მარლიონას ფერმა გადაჰკრა. კისერი წამოიკენწრა. აცახცახდა. რალაც ელდის მოლოდინშია, ვაი თუ რაიმე უსიამოვნება დატრიალდესო.

არც ერთი მათგანი ხმის ამოღებას ვერ პბედავს. სიბრაზე თანდათან უცხოველდება ციბუს. ისლამამაც წარბი შეიკრა. შავი ღრუბელივით ერთუროთის შესატყვად მოქურუშდნენ, თითქოს ეს ესაა ერთმანეთს უნდა მიუხტენ, უბედურების ქექა-ქუხილი ასტყდება და მუხის გაეარდნით დედამიწა შეირყვიაო.

ჯადოსანი ბებრები კი ქვეშ-ქვეშ გამოიყურებიან და თვალის ჩაქერუჭკერო-
შანეთს მათზე ანიშნებენ, ნახავთ, თუ რა გველის კოწოლია არ დატრიალდებაო.
ასე გასტანა მცირე ხანსა. უცბად ისლამა წამოხტა, მარლიონას ხელიდან
ხერხი გამოსტაცა და თავიდან ჩამოიშორა.

— მომეცი, დედი, შენ დაილაღე. ე შენი ბიჭი საღამოთი ძალიან კარგი
ამბებით გამახარებს.

თითქოს ბავშვებს ატყუილებდეს, ისე ექცევა მათ ისლამა.

ციბუმ ხერხი შიავდო, წელში გასწორდა და შეიღს პირდაპირ თვალბში
შიაჩერდა. ისე მოსჩანდა, თითქოს ცეცხლი აენთო თვალბში და შეიღის ჩანთქმა
შოისურვაო. დიდხანს იყო ასე გაჩერებული, შემდეგ ბრაზმა გააჩეთქა, ისლამას
წინ გადააფრთხა და ისევე ხერხს დაუბრუნდა.

ეს არ დაიჭუბა, დედამიწა არ შეინძრა. ჩვენს ბებრებს მხოლოდ ის ეწყი-
ნათ, რომ საქმე ამით გათავდა და ამ საღამოთი ერთი კარგად ვერ ისიერეს.

— ვინღა რას გაუბედავს? ვანა თუ სლონაანი თავიანთ რძალს ეტყვიან
რამეს. თითონ არაფისა სცემოს, თორემ მაგას ხელს ვინ დააკარებს.

და შემდეგ თავის ქნევით დასძინეს:

— ეჰ, ქვეყნის ყურა ილუბება და ესაა!

* * *

საღამოთი მოელი ოჯახი ცეცხლს შემოუსხდა.

ლურჯი კომლი ერდოსკენ იზიდება, გროვდება და გასაველს რომ ვერსად
პკოვებს, ნელნელ უკან ბრუნდება, გულის გასაკეთებლად გაპლოკავს საკიდ-
ლას, ცალმხარზე ვაითამაშებს და კუთხისკენ გაიქროლებს, სადაც ახალ პატარ-
ძალივით დატრიალდება, გოდრის გარშემო აცეკვდება და იქვე დაბმულ ხბოს
თვალბში უჭმეტს. ისიც უკმაყოფილოდ დაიბღალებს.

მცირე დავლურის შემდეგ ლურჯი კომლი ახლა ოჯახის წევრებსაც ეთა-
მაშება, ამათაც უჭმეტს თვალბში, თუმცა ეს ამბავი საწყენად არვის მიაჩნია,
პირიქით, უხარიათ კიდევ და ასე ამბობენ:

— ჩემი მტრის ოჯახიდანაც ნუ ამოსულა კომლი. კომლი სიცოცხლის
ნიშანია!

ყველა კედლებზე საუკუნე ქეარტლია შეპოსკილი და ისე პრიალებს, რო-
გორც კარგი ბატონიშვილის შავი წალა. კვარს ცეცხლი უკიდია, მუგუზლის
ირგვლივ ნაპერწკლები დათამაშობენ.

ცალმხარზე კუთხეში რალაცა კონკებია, მიყრილი ტყავები, ქვემოდან
გამოსჩანს რალაც გამოურყვეველი რამ. იქნებ ეს წივია? იქნებ ქვეშაგებიც იყოს,
ვინ იცის!

ეს დაპოსკილი რამ სწორედ რომ ქვეშაგებია. ქუჭკსა და ქეარტლს შეუ-
ჭამია სასთუმალიც.

ოჯახის წევრები ყველა ამას ვითომდა ლოგინს უწოდებენ.

ტახტის წინ გრძელი სკამია, იქვე ძველის ძველი კასრი სდგას, შემდეგ
ვარცლი, ხოლო ერთ კუთხეში ქერივი ქალივით აბუზულა საპყარათ ჩამოკიდე-

ბული გვეა. თაროზე კიდევ ქოთანია პურისცომის გუნდით და ბატარა კასრი მყავე შრატით.

პო და, რა არ შეიძლება, რომ არ გაკეთდეს ოსის ოჯახში! გამოკვეთული ცხენი გაქენდება, დაიკარგება და ბევრიც რომ სძებნოთ, ვერ იპოვით.

ბარაქა გამოიყურება ყოველ კუნჭულიდან: ხუმრობა ზომ არაა, ბინის ანგულოზი სწყალობთ!

ბინის ანგულოზი, მათი რწმენით გრძელთმიანი არსებაა, მოკუხული და ერთგული ღარაჯი ოჯახის ბარაქიანობისა. სწორედ ბინის ანგულოზი იძლევა ოჯახისთვის საჭირო ქონს, ერბოს და კარაქს, ერთი სიტყვით, ყოველ სიკეთეს. განსაკუთრებით ბელნიერია ოჯახი, თუ მფარველად მოვლინებია მამალი ანგულოზი, მაშინ ბარაქა თითონვე მოკოცდება და დოვლათით აავსებს სახლს. ზეიდან რომ იღებდნენ საღვეელს, ქვემოდან მისი ბარაქიანი ხელი შეავსებს. მაგრამ ბინის ანგულოზი თუ დედალია, მაშინ დალუქულია ოჯახი და ისაა! ავი და წუწყია ის იბეზარი: ვერაფრით ვერ გააძღობთ თურმე. რამდენი ბაშა და აბრე-შუმოც არ უნდა შესწირო, მთელი თაბახი ოქრო და თვალმარგალიტი რომ წიართვა, მაინც გულს ვერ მოუგებთ, ქონება გაგინიავდებათ და ამაოდ ჩაგივლით პატროსანი გარჯილობა, ოფლი, ყოვლად უმწიკლო ცხოვრება.

ციბუს ოჯახის ანგულოზიც, უძველესია, მამალი უნდა უყოს. ყოველისფერით შემქვლია. მადლობა ღმერთსა: ქერი ათ ჩანახაზედ მოუვიდა, ქართოფილიც ამდენივე, სხვა რაღა უჭირს.

მარლიონამ მამას და შვილს მრგვალ სამძეხა სკამზე სუფრა გაუწალა. სუფრის გაწალამდე სამძეხა საკუთარი კალთით ვადასწმინდა, ამტვერს შეუბერა და ამით დაკმაყოფილდა. შემდეგ კიდობნიდან ორი ნჭადი ამოიღო, გადმოიღო ხის სფმარილე, თითო თითო ხის ლამბაქი, ხის ჯამეხივე მყავე შრატით და წინ დაუდგა. ოსის ოჯახისთვის კი ამაზე მდიდარი ვაშაში რაღა უნდა იყოს. უძველესია ჩერქეზთ ბატონიშვილებსაც არ ეცხოვრებოდათ ასე.

მარლიონამ ცალკე ადგილი დაიკავა, დაბალ ჯირკზე ჩამოჯდა ქარჯინას¹⁾ მარლილი მოაყარა. გვერდით ბავშვები შემოისხა.

პაწია გოგო პირდაპირ მიწაზე დაჯდა, თორმეტობედ წლისაა. ისიც ცდილობს, ბეჯითად ადევნოს თვალყური დიდებს, ისე იყურება, თითქმის ქვეყნის გასარჩევ საჭმელებისთვის ემზადება. ალბად ამერიკა და იაპონია ასეთი სახით გადაჭყურებენ მრისხანე ზღვას.

სუფრის წინ პაწია ბიჭი ნაცარს ამორიალებს და დადობრილ ქარჯინის ნატებს შიგა სთხვრის.

— გაგიწყრეს მაგისი მადლი. ნაცარში რასა სთხვრი შე არ დასაცალებულო შენა!—დაუყვირა ბავშვს მარლიონამ და თავში ჩაუთაქა. ბავშვმა ტუჩები დაუშვა, ცხვირი მოიხვინა, ბოტოტი პერანგზე გაიგლისა, მაგრამ ტირილით კი არ უტირნია. ეს კი იყო, რომ წამოდგა, შუაკერისკენ გატუსტუსდა და ბეჯითი დაკვირვებით კერას მიაჩერა თვალეში.

¹⁾ ქარჯინა—ოსური პური.



ცეცხლის ალი და კვარის შუქი ერთმანეთს ერევა და ყველა სახეზე მო-
თამაშობს.

— ეი, იცი ციბუ, ეხლა რა ამბები ხდება!—სიტყვა სწრაფად ისლამამ,—
სხვაგვარ ცხოვრებას აპირებს. შევეგრემან სახეზე ჩვენი წამების მწარე წარწერა
უნდა წაიშალოს. ხალხმა აღელვებულ ცხოვრების ტალღებში შესტოპა და ძა-
ლიან კარგსა და ბევრ რამეზე დაიწყო ფიქრი.

— აბა და თქვენ იცით, თუ რამეს გასტავლით, ამასაც ვნახავ...

ციბუს ბოღმები წამოაწვა, ოჯახს სიმწარით თვალი გადაავლო. ჯაფი-
საგან მთლად ფერმიხდილი, შუბლდაღარული, თითქოს მისივე გუთნით კვალი
გაუვლიათო, იგი თავისთავს შეებრძოლა, ხმელი პური ყელზე დაადგა და ვერ
ჩააცილა, ვიდრე შრატის არ მიაშველა.

ამ ბოლო ხანებში ციბუს თითქოს „ბინის ანგელოზი“ შემოსწყრა და ალა-
რა სწყალობს. ბარაქა ხელიდან უქრება.

— ჰო, მართლა გეუბნები, ციბუ, დიდი ამბები ხდება. ჩვენც უნდა ჩაე-
ბათ ამ ბრძოლაში. ჰო და, რატომაც არ უნდა გავყვეთ ხალხს უკან? აბა, შე-
მოგვხედე, ოფელში ვიწურებით, ღამე ძილი არ ვიცი, ერთი და მეორე. ჰო და
უნდა გავყვეთ მეთქი... ისე კი მეც ვირჯები, თუ გინდა, ხვალვე ტყეში წაველ
და კვარს მოვჩეხავ, მაგრამ ეს ის არ იქნება, რაც უფრო საჭიროა... ამ ხალხმა
კი უბა დამადგა და არაფერი არ გავგებია,—სიტყვა წყნარად ისლამამ.

— რატომ ამობ ავრე, რატომ პირიქით, შენს ქების მეტს არას ამბობენ.
კი ვახეთებშიც სულ კი სახით გამოგვიმეს.—უთხრა ციბუმ და ბოლოს მკვა-
ხეთ შენიშნა: ე ქამე, რაც სახეთქი გაქვს დევგდე შენ ადგილას, თორემ მე
ვიცი...

— სულაც არ ვნაღვლობ, რა აზრისა არიან პირიქითელები, ჩემო ცი-
ბუ. შენ ისა მკითხე, ქვეყნად რა ამბავი ხდება-თქო. აი, დაუფიქრდი და მაშინ
ალარ მეტყვი მაგრე.

— აბა და პა, მასტავლე, მასტავლე მაგ ქვეყნის ამბები ქვეყანა კაცო,—
ამბობს ციბუ და თვითველ სიტყვას ნემსებივით სჩხვლეტს ისლამას.

ისლამა კი, ვითომც არა გაუგია რაო, ისე განაგრძობს სიტყვას, თანაც
ცეცხლს აშტერდება, ორწარბშუთაც ცეცხლი იგზნება.

— ჩვენ კარგად ჩავგავონეს. უკანასკნელად ჩემი თვალით ვნახე, როგორ
მოაწყეს ცხოვრება სხვაგან. ამისწინად ქალაქში რო მივდიოდი, ერთ სოფელში
შევიარეთ. იქ საერთო მუშაობას შესდგომოდენ. კოლექტივს ეძახიან. აქ ტრაქ-
ტორი მოგუფუნებდა, მძიმე ყამირსა ხნაედა, იქ სალუწი მანქანა გაეწყოთ. ყვე-
ლას საქონელს საერთო ბოსელი ჰქონდა, შიგ ელექტრონი ანათებდა. გესმის,
ციბუ, ბოსელშიც კი ელექტრონი ენთო.

— ვიჯობს ე კვარი გაასწორო ელექტრონის პატრონი! მეტი ნურადფრი
ნუ მოგაკლდება, სანამ ელექტრონებით არ მომიბრძანდე. მეტიჩრულ სიტყვას
ნულარ მეუბნები.

ისლამა წამოდგა, ახალი კვარი გააჩალა, შეუბერა, ^{ქრქვენილი} ^{გვირგვინი} კოთახი ხელახლად განათდა მოლითლილგ შექით. ყრმის მოძრაობა სწრაფია. გული თითქოს გადმოსაფრენად უძგერს. შემდეგ მაინც განაგრძობს:

— აი, ხომ ჰხედავ, ეს ჩვენი ცხოვრება ასე ყოვლად გამოუსადეგარი ვახდა, ყოვლად უაზრო. შენ შრომობ, ოფელსა და სისხლს ანთხევ, ბოლოს კი ერთი ჩარქვა სიმიინდის არაყიყ არ მოგეძებნება. ტალახსა და სიბნელეში მყაყდები, მაგრამ მაინც უნო რჩები, თითქო პირუტყვი საქონელი იყო.

— რალა თქმა უნდა, შენმა მშემ, თუ შენ კრებებსა და ჯანდაბა-დოზანაში იარე, ძალიან გავმდიდრდებით შენი შემყურებელი მშობლები. განა არა, ხომ დღეს მთელი ხაზინა მოგვიზიდე, არა?!

მარლიონა ისევ კუნძვე ზის, წელში მოხრილა. ასეთ დროს ხომ ქალი ენა-ჩაგდებული უნდა იყოს. მან იცის მხოლოდ მუშაობა, თავიუღებელი და გაუხარებელი მუშაობა, შინაური ჩხირკედლობა, შეუსვენებელი შერბენ-გამორბენა, დაუსრულებელი ფუსფუსი და თავგზაამრევი გარჯა.

ათასში ერთხელ იცის ბავშვების მიაღერსება, მეტ წილად კი მუჯღუფუნებით ჰხოცავს და ჯავრით გულს უკლავს სიღარიბის უღმომებელ კანონის ძალით გაუხარებელ ბაღლებს.

ისლამამ ამწვანებულ უღვაშების წვერზე გადაისეა ხელი.

— დღეს ქალაქიდან ჩვენი მომხრე კაცი მოვიდა, კარგა ცნობილი კაცია ის. თვითიული მისი სიტყვა მზის სხივებით მოეფინა თავმოყრილ ხალხსა. ყველანი აუწყრელი სიხარულით გამხნვედნ. ის ირწმუნებოდა, რომ ჩვენშიც შესაძლებელია კარგი ცხოვრების მოწყობა კოლექტივის ნიადაგზეო.

— ქვეყნად ბატონები აღარ უნდა იყვნენო, — აი რა თქვა იმანა, — ისინიო თავთავიანთი სარგებლობისათვის ირჯებიან, ცოფიან მგლებივით თარეშობენ, რომ ერთმანეთს ჩვენისთანა საწყალი ხალხი გამოჰგლიჯონ დასაფლეთავად. აი ასეთები კი, როგორიც შენა ხარო, იმიტომ შექმნილანო, რომ ამ ღორმუცელათა მსხვერპლი გახდენ, როგორც გულუბრყვილო ბატკანო.

— რაებს მიედებ-მოედები, აღექი და მანდ შენს სახლს მიხედე, ყველა მაწანწალას და ძაღლსა და მამაძაღლს თუ ყური უგდე, სად წავა.

— არა, მამა, ის მართალი კაცია, ყველაფრიდან სჩანდა, ხომ არ გვატყუებდა. სულ ჩვენ სასარგებლოდ ქადაგობდა, რომ მალე გაეთავისუფლდებით ასეთი და პირუტყული მდგომარეობიდანაო. იცი, მამი, მაგ კაცს შეუძლიან დაგვეხმაროს კიდევ: ეხლა ხომ ძალა-უფლება მშრომელი ხალხის ხელშია, ეგ კი მათი თავი კაცია.

— მამა, მამა! აგერ, იმიტომ არ აგავსეს დოგლათითა! — ანგე რამდენი ტყე შეგვემატა! გადასახადებით კი სულ ზურგზე ტყავი აგვაძრეს.

ისლამას კრებებზეც მოსწყინდა ასეთი საყვედურების გაგონება და ეხლა ველარ მოითმინა:

— ჰო, მაგრამ სინამდვილეში მაინცა და მაინც რამდენს იხდი. სირცხვილია, ასეთ უმნიშვნელო რამესუდ დაიჩივლო, ტყე არ იყო რომ შენ თვითოვნე გააოხრე? ოციოდე ხეს წამოაქციე და საყავრედ ერთიც არ გარგია, წინად ამი-

სათვისაც კი ქრთამებს იღებდი ტყისმცველისათვის. როგორც ვინმე უნდა იყოს მას ძლევით ეახლებოდი ხოლმე, ეს ქრთამი არ იყო?

— ხმა ჩაიკმინდნე ძაღლის ლეკვო, თორემ, ლეთისწყალობა მაქვს, ეგ ბრიყვი თავი მოგიჩეჩო. არ დამიბუღებულა! ძაღლისავით იყევება, რაღაცებს როშავს და გონია, სიბრძნეს ვამბობო.

— კარგი, მამა, კარგი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. დარჩი მაგ სანახევზე, ეტანჯე, ეწამე და გადაიხრწენი თავი ისე, რომ ერთი ჩარევა მწლაც არაყიც ვერ იგეშო.

ციბუ უფრო გაცხარდა.

— რახანც ეგრე მოვწონს მაგეთი ცხოვრება, აი ჩემი კეთილი რჩევა: თავწიაც ქვა გიხლია და მუცელში სამართებელი, სადაც გინდა იქ წაეთრიე, თუნდა აი იქ სადაც ელექტრონებით ლაპარაკობენ. მშვიდობის გზა დამილოცნია. ისლამა წამოღვა და ქვეშაგებისკენ გაემართა მღვლეარე ბუტბუტით:

— შერე და რაო, გგონიათ, რომ არ წაეღა და გზას ვერ გავიფენებ!

— წახვალ და წადი, კისერიც მოგიტყენია.

ციბუმ მუშტი დაარტყა სუფრას. ხის ჯამი ახტა და კერიასკენ გაგორდა ნაყარში. ბავშვები დედის კალთას ამოეფარენ და შიშით აძაგბადენ.

*

ასე წაიკიდენ მამა და შვილი. ისლამა თავნება ბიჭი იყო. მართალია, ეს ასე იყო, მაგრამ ამ დროს როგორღაც გული შეეცვალა. სახლს რომ მუშა ხელი არ მოჰკლებოდა, სცდილობდა, რომ მამას მიშველებოდა, თუმცა მისი გული სულ სხვაგან მირბოდა. დაღვრემილი ჩამოჯდა კუნძზე. მის მგზნებარე თვლებში თარული წადილი ინთებოდა, უცნაური წადილი. ციბუც დაღვრემილი შეჰყურებს, მაგრამ აღარას ეუბნება.

ამის შემდეგ ისლამამ კრებებზედ სიარულს მოუხშირა. სოფელში ხმა გავარდა, რაღაცა არტელის შემოღებას აპირებენ და ფულს ჰკრებენო. ამ საქმეზე ყველაზე მეტს ისლამა და სლონანთ რძალი ლაპარაკობდენ, როგორც სოფლის ამორჩეული ხალხი.

რამდენი აყალმეყალი, რამდენი დაეიდარაბა მოჰყვა ამას. ხალხი ორად გაიყო. ერთ მხარეზე ამბობდენ: „გვინდა“, — მეორეზე კი გამოჰკიოდენ: „არ გვინდა, მანდედან არაფერი არ გამოვა“—ო. პირველნი იწყევენ, რათა სხვა ცხოვრებას ეწიონ, უკეთესად მოეწყონ, მეორენი კი ჯიუტობენ, ვერ დაუთმობთ ძველი ცხოვრების ავი და კარგი, გულზე მუშტს იცემენ და ბუზღუნით ქვეყანას იკლუბენ:

— ჩვენი მამაპაპანი ვიგები ხომ არ იყვნენ, რომ ასე ცხოვრობდენ. მაშინ ბარაქაც სხვა იყო. ეხლა ეს ახალგაზრები გაგიცდენ, ღმერთი გასწყრომიათ და სულ ისეთ რაღაცეებს მიჰკიბ-მოჰკიბდენ, რომ სიკეთე არ დაგვეყრება.

სოფლის შეძლებულ ხალხს უფრო ჰკვიანებდად სთვლიდენ, მეტადრე ივანეს, იგერ, სოფლის განაპირას რომ აუგია თვალსაჩინო შენობა. მართალია, ეს ჰკვირანი ოჯახის შეილები ცხადათ არას ამბობენ, მაგრამ როცა რამეს მოჰკრავენ

ყურსა, ღვარძლიანად ჩაიციინებენ და ეშმაკურად ისეთ სიტუაციებში წაწელებრიან, რომ შამენელს ხელად გულს შეუტრიალებენ ხოლმე. კრებებში კვამიანად აკვებენ და ისე აჩვენებენ, ვითომც ყველაფერზე თანახმანი არიან.

— თავი გაანებეთ, ხალხო გაუშვით, იქნებ მართლა ჭკუა და უნარი გამოიჩინონ, რომ ყველანი ავშენდეთ. ცდა კარგი საქონელია. შემდეგ ჩვენს ქალეხსაც გავეერთიანებთ, ლამაზის გულშეკრდზე ერთხელ ჩვენც გველირსება დაძინება. საკმარისია უთხრა, წამოპყუთქო, განა ყველაფერი, საერთო არ არის, შენი და ჩემი ვის გაუყვიათქო!

ბებრებს თავიდან ფეხებამდე კრუანტელი უვლით.

— ეხლა კი მორჩა-ა-ა! უკანასკნელი დღეა: წარღვნა წალეკავს ამ ქვეყანას!..

* * *

ბევრი ვილაც კილაკეები ჩასწერა ისლამამ თავის უბის წიგნაკში. თუმცა წერა იმდენი არ იცის, მაგრამ მაინც წიგნაკის ფურცლებს თავიდან ბოლომდინ აჭრელებს:

- „1. ხედამდა: დავითა 8 ფ.
- „2. სლონიანთ ბუძივი 5 ფ. შემდეგ 2.
- „3. მიტკაანთ აუზში 5 ფ.
- „4. მე თითონ 8 ფ.
- „5. ბალურაანთ ცამულა 8 ფ.“ და ასე ქვეით.

მდიდრებიდან არაეინ გაიკარა, — სულ ლარიბები ჩამოსწერა. თან იმას შიშობს, სახელები არ აერიოს და სამკახისი საქმე არ მოუვიდეს. ამიტომაც წიგნაკს ბოლომდინ არ უჯერებს და თან კაცებს აფრენს ყველას შესამოწმებლად. ყველას ამხნეებს, უთითებს მეორე მხრელ მუზობლებზე, გაღმით რომ ცხოვრობენ.

— ამბობენ, იქ ტრახტორი ნისიად მიუღიათ... მერე და რა ტრახტორი გამოსულა, საკვირველი რამ! აჰა, ჩვენც ასეთი ტრახტორი გვექნება მალე, სულ ახალი ტრახტორი!..

სოფლის ახალგაზრდობა გადირია, სულ რილაცის მოლოდინში არიან. იმათაც კი ეკამათებიან, ვინც რომ ასლანას დაეთანხმენ. იმათი ოჯახის წევრები კიდეც პინჭულობენ, თითქოს გამოსვლაც უნდათ ამხანაგობიდან. რამდენჯერ განელდა უკვე დაწყებული საქმე, მერე რამდენჯერ გაღვივდა, დაინთო კიდეც, — ვინ მოსთელის!

ისლამა მუშაობას თავს არ ანებებს. ფეხდაფეხ შემოიარა კომლიდან კომლი და ზოგი ხეყნა-მუდარით, ზოგი შეჯერებით, ზოგი კიდეც შმაკობით შეიყვანა თავის არტელში. მუზობლებიც თითო თითოდ ეწერებიან, ზოგი სულით და გულით მოდის, ნამდვილი რწმენით, ზოგი კი ჯიბრით, სხვების შურით. საქმე ისაა, რომ ჩვენში ზოგჯერ შური საკეთილად გვირგვინდება ხოლმე.

უხარიან ისლამას, რომ თანდათან ემატებიან მის ხალხს, ფეხის ცერებზე თამაშობს, ახალგაზრდებში კოწიაწობს, გულსავსეობით და უღარდელად გაჭკივის მხიარულ სიმღერას:

„აბა და დაველით,
 დაველით ყოველი!
 ბედნიერებას
 მოველით... მოველით!“..

ისე მაღლა ჰტის, თითქოს პატარძლის მოყვანის მოლოდინშიაო.

მაგრამ სიხარული აღარ აცალეს. მოულოდნელი ამბავი უროსავით თავში მოხვდა.

ერთხელ, როცა შინ იყო, ვიღამაც უსახელო წერილი მისწერა:

„ეგვი, საკუთარი რძლის კურო, სლონაანთ რძალს ნუ ეტოტინები, თორემ სოფლის ბიჭები აგიგდებენ და მწარე ლექსებით მოგთხრიან“...

ისლამა შეკრთა. თითქმის მთლად დაიბნა. ეინ უნდა იყოს, ეინ მოვგონა ასეთი ჭორი? ხან ეიზედ ეკვობს, ხან ეიზე. საქმე ისაა, რომ ღამით ძილი ვაუფრთხა, ჯავრით სულ ჰპორგავს.

ნას თვალში ელანდება ის შეჩვენებული, ეინც სულის სიმშვიდე აღმუთა, სიზმარშიც ჰხედავს, როგორ სკრის ხანჯლით, მაგრამ დამნაშავე ცხადად ვერსად ვერ ჩაუგდია ხელში. დღისით სახლის კარზეც კი ვერ გამოდის მეტი სირაცხვილით.

ამას წინად, როცა ვადასახადების გამო ხალხის ქონებას სწერდენ, მაშინ ივანემ ექვსა ხარის ნაცულად ორი ხარი უჩვენა, სხვა საქონელიც ასე ვადამაღა. მიწებიც არ უჩვენებია. სოფელში კი სიმდიდრით არავინ შეეცოლება!

მაგრამ ისლამამ ეშააკობა გაუგო და ვაამელავნა. მაშ რილას კოლექტივისტი იქნებოდა, თუ კი სოფლის ავსა და კარგს ყურადღებას არ მიაქცევდა? იცის, მიხედა, რომ წერილს ივანეს მეტი არავინ დააწერინებდა, მაგრამ აბა ბიჭი ხარ და პირდაპირ სთქვი, როცა საბუთი ხელში არა ვაქვს! ვერაფერს ვახდები. ერთი კაცი მუდამ ბრალია და ვერაფერს ვააწკობს, როდესაც ვერავობით თავზე ესხმიან.

სლონაანთ რძალიც სირცხვილით ვარედ არ ჩნდება. ამას წინად კრებაზეც არ მოსულა. უთუოდ იმის ყურსაც რაიმე მოხვდა. იმისაც ამბობენ, დღე და ღამ სულ რაღაცეებზე სტირისო. მართლაც, თვალზე ცრემლი არ შეჰშრობია. ოჯახმაც მრუდე თვალით დაუწყო ყურება.

საქმე ამითიც არ ვათავებულა.

ერთ საღამოს, ისლამას მამამ, ციბუმ, ოჯახის წევრები ვარედ დაითხოვა ვარდა ერთი თვით ისლამასი: „ე ბიჭთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვსო.“

ისლამას ვაუკვირდა კიდევ მამის გულითადობა.

— აღბად რაღაცა უცნაური ამბავია, თორემ ტყუილად არ დამსვამდა აბ, — ჰფიქრობდა იგი.

ციბუ ოსურ ხის სკამზე ჩამოჯდა, წარბები მოიქურუშა. ჯერ უღვაშები ძირს დაუსვა. შემდეგ ისლამას პირდაპირ შეჰხედა, თუმცა ვაბუსხული იყო, უნძრახი, მაგრამ მინც დაშაქრდა და მშვიდობიანად მიჰმართა:

— ბიჭო, რატო არ ვინდა შენ ქერქში იყო, ე ქვეყნის თვალში რას ვვაგდებ? ორს ვეაროვნობას ერთმანეთს ნუ წაჰკიდებ და ნუ წაასისიანებ. სლონაანებთან ჩვენ საჩხუბარი არა ვვაქვს რა.

ისლამას გული ჩაქუჩივით უცემს. თვალეზში სისხლი ქვეყნის სიბერაზე იფეთქა, მაგრამ თავი შეიკავა და ისევ დუმილი არჩია.

ციბუ განაგრძობს შეწყვეტილ სიტყვას:

— თუ ცოლი გინდა, შეირთე ვინმე. დუნიაზე საქალეთი როდი მოშლილა. სხვის რძლებზე ნადირობა აკაცობაა, შეილო.

აქ ციბუს ღიმილმა გადააქრა. შიგნიდან მაინც მამის მოსიყვარულე გული აქვს. თითქოს ამაყობს კიდევ, რომ მისი შეილი ვითომდა ასეთ საგმირო საქმის ჩამდენი ყოფილიყოს. კაცმა რომ სთქვას, ბევრი კი რამ აქვს საიამყო. ისლამა მართლა ჩინებული ვაჟიკია არა მარტო ციბუს, სხვების თვალშიც. ყველა შეპნატრის მის ახოვნობას, განსაკუთრებით ქალები ხომ ფარვანასავით ევლებიან და ათასი გზნებით ეწევიან ჯადოთა ქსელის გასაშლელად.

— ხელი აიღე, ისლამა, ასეთ საქციელზე, სხვისი ცოლები არ გჭირია.

ისლამა აენტო, ნალეულა გაუსივდა. ისე იგრძნო, თითქოს ქვეყანა ჩამოუბნეღდა.

— თქვენ თქვენთვის იყავით, ჩემთან არაფერი არ გესაქმებათ.

— როგორ თუ არაფერი არ გვესაქმება? მაშ ვის, აქვს საქმე, შე ვირის ჩაჩორა?— აამალა სიტყვა ციბუმ.

ისლამა წამოხტა, ცეცხლი თვალიდან წამოჰყარა:

— გეუბნებით, თავი დამანებეთ მეთქი! სასისხლო საქმეში ნუ მაგდებთ, თორემ სხვანაირ პასუხის გაცემას მოვახერხებ.

უკიდურესი მძულვარებით წამოეჭარხლა სახე ციბუს და წამოხტა:

— აი, შე გაფუჭებულო ვიაურო! ყფასაც უბედავ შენს უფროსსა?

ცულს ხელი დასტაცა. ისლამა გარედ გაიჭრა. მამა ყვირილით გაეკიდა. კვივილი. ბავშვების ღრიალცელი. ასლანა ერთი ერდოდან მეორეზე გადახტა. ციბუ გახელდა, იგრძნო, რომ დაწევანზე ფიქრი ამო იყო, ასწია ცული და მთელი ძალღონით სტყორცნა, მაგრამ იქვე ხეს მოახვედრა და შიგ ჩასოლა.

მეორე დღეს ისლამა ხეობის უფროსთან გამოცხადდა, უამბო რაც თავზე გადაჰხდა.

უფროსმა გულმოდგინეთ მოუსმინა, ხოლო როცა სიტყვა დაათვა, გულიანად ვადიხარხარა, ასე რომ ისლამას კიდევ გაუჟვირდა, სასაცილოს აქ რას ჰხედავსო.

პატარა ხანს უკან უფროსმა ასე დაამშვიდა.

— ეგ არაფერია, ჩემო კარგო, ახალ ლენოს ძველს ტიკში როდი ასხამენ. ალბად შენ სხვებსავით გულუბრყვილოდ გეგონა, რომ ყოველისფერი მზა-მზარეულად და უმტკივნელოდ მოგვერთმევოდა. ტრაქტორი მოიტანე და არტელი მზად არისო! არა, ჩემო მზეო, ვაზეთს არ კითხულობ? სხვაგანაც სწორედ ასეა. ჯერ კიდევ ვინ იცის, რამდენი ბრძოლა დაგვეკირდება, რომ დაბალ ფენათა უმეცრება აღმოვფხვრათ ძირფესვიანად. ბრძოლა უსისხლოდ არ შეიძლება. ეხლა ბრძოლის დროა. გარდა ამისა, აბა ეგ შენი კარგი მეზობლები გაზეთში გამოსკიმე, მაშინ ნახავ მაგათ თამაშს!

— კარგი უსისხლო ბრძოლა იქნებოდა, ი ცული რო თავში მოერტყა.

გაზეთი კკუაში დაუჯდა. დაფიქრდა. როგორღაც დამშვიდდებოდა. დასუნ-
თქა. გულში იმედი მიეცა. ბევრი აზრები, ბევრი ფიქრები აირია ეხლა მის თავ-
ში. მეტი ჯანი არაა, უნდა ქალაქში წავიდეს და იქ მოავდაროს რამე, იქნებ
ისეთ წამალს მიაგნოს, რომ ყველას საზეწურად გაუხადოს საქმე.

ჯვრჯერობით კი თავის ბიძებში გაარიდა თავი და დედის სამშობლოში
წავიდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ისლამას სოფელში გაზეთი მოვიდა. უქმე დღე
იყო. ხალხი სალაყბოდ გამოსულიყო და მზისთვის ზურგი მიეშურათ შესახუტე-
ლად. ერთმა დაიწყო გაზეთის წაკითხვა თითის ჩაყოლებით. სწორედ ისლამას
დაწერილთან რომ მივიდნენ, ერთმანეთს ისე გადახედეს, თითქოს ოჯახში ხეთ-
ხეთი მკვდარი უდევთო.

„ასეთი შამა, ასეთი მეზობლები, ამდენი უსირცხვი-
ლობა... ჩენს ახალ აზრებს და გულწრფელ ზრახვებს ეშმა-
კობათ და თვალთმაქცობათ სთვლიან. დასაწვავია ეს სო-
ფელი“.

როცა ასე ჩაიკითხა გაზეთის მომტანმა, ბებრები ერთ საგონებელს
მიეცნენ:

— ე-ე-ეჰ! ეს ლა გვაკლდა! აი, თურმე რისთვის უნდოდათ ეს კრებები
ჩვენს პატიოსან მკვფარა ლეკვებს! აფსუს დროებაე, აფსუს! მთელ დუნიაში თა-
ვი მოგვჭრა.

* * *

მიუხედავად ამისა, ისლამას და მის ამბანაგებს თავი არ გაუნებებიათ და-
წყებულ საქმისთვის. ოთხიოდე თუმანი მოაგროვეს, სამიოდე გამოეყო მათში
და ისლამასვე ხელმძღვანელობით გასწიეს ქალაქში.

ნაადრევი ვაზაფხული კარგი სტუმარივით მობრძანდებოდა ის-ის არის
თოვლალებულ დედამიწაზე, რომელიც მზის სხივებს ხარბად და სანდომიანად
ისუნთქავდა.

დღეს დილით ფრინველებიც ერთ ადგილას არ ჩერდებიან. ბოლო ქანჭა-
რა ერთ ღობისწვერიდან მეორეზე გადახტ-გადმოხტის. ცოტა არ იყოს, მზეს მი-
სთვისაც გული მოუშხიარულებია. ქედები მშვენიერ სარკვესავით მოკრთიან, ულ-
რობლო სივრციდან წარმტაც სახით გამოსკვივიან.

შორიდან შორს, ქედებზე უფრო მაღლა, ცაზე მიბჯენილი კერპებივით
იმზირებიან მწვერვალები, რომელთაც მზე ალერსიან სხივებს ვერცხლის წყალ-
სავით თავზე ასხავს.

პერანგის ანაბრად ციბუ მეზობლებთან ერთად მინდვრის მოსახენვლად გა-
მოსულა, გუთანში რვა ულევი ხარი შეუბავს, ნელ-ნელი ზღაპრით აწვეინებენ
ხარებს, რომელთაც უილაჯობით თავები მიწის პირისთვის დაუდვიათ. და საქ-
მეც ისაა, რომ ამდენ წვალება-ტანჯვის შემდეგაც კი უტებ ყამირს ოდნავად-
ლა ძლივს სჩიჩქნიან.

— პა,—ამ—ჰეი, შე პატრონ ძაღლო! გასწიე, ბოლე! ოე, ზილარს..
და უმოწყალოთ იენის სახრით ურტყავს და ურტყავს ^{კარქინულნი}
გუთანი კი მაინც კუს ნაბიჯით მიცოცავს. ოფლი შვენი ^{წვალისით} იწუ-
რება.

— პა—ამ—ჰეი, შე სამგლევე! წინ გასწი, ლურჯავ, ფარნა, გასწიე აგრე
ზემოდ!..

და სახრესაც გააქვს ტყლაშა-ტყლუში საცოდავ პირუტყვეთა ზურგზე.
ხარები მაინც მუხლჩაყვით კისერ დაძვარულუები ეწევიან და ტაბათით მი-
აჩოჩებენ გუთანს.

ციბუ და მისი მეზობელი მოხუცი კაცი წელში გადაწყდენ, ოფლს წკურ-
წკურით იწმენდავენ, ბოლოს ერთ ადგილს მიაშტერდებიან მიზნედლი თვალე-
ბით. ხარებმაც სიარულს მოუკლეს.

უცბად შორიდან რაღაც უცნაური ხმა გაისმა. ეს იმდენად უჩვეულო ამ-
ბავი იყო, რომ ზარებიც კი შესდგენ, განზე გადავიდენ, მიიხედ-მოიხედეს და
დაფეთებული თვალეები რომ დაიმშვიდეს, ძურწა ბალახს დაუწყეს წიწკნა.

ციბუ და მისი მეზობელიც შეკროენ.

— რა ამბავია?—გესმის?

მათ საპასუხოდ უჩვეულო ხმამ ჩაიკაკანა:

— ტრა-ტა-ტა-ტა...

ომისდროსაც ასეთი ხმა გაუგონიათ, წავრამ ეხლა ზომ ბრძოლის ველი
არაა მათ წინ?

— ემანდ კადეთები არ მოგვიცვიდენ,—გაიფიქრა უცებ ციბუმ.

კიდევ მიიხედ-მოიხედეს. ჰხედავენ, ვალმითა მზარეს უცნაური რაღაცა
რკინის დევი ბღღვინავს, უცხენოთ, უსარაოთ მირბის, მიფრინავს და უკან სტო-
ვებს შავად გადახნულ უტებს ყამირს.

უცნაურ დევის გარშემო აუარება ხალხმა მოიყარა თავი. ის კი არ იმ-
ლის გუგუნ-კაკანს:

— ტრა-ტა-ტა-ტა...

მთელი ქვეყანა შესძრა საკვირველმა სარეკელას ხმამ.

— ის კი, ის უცნაური რკინის ცხოველი მირბის და მიგუგუნებს. ზღაპა-
რი აცხადდა თუ? ეს რაღაც უცნაური დევი თვითმგორავი ურემია.

— ეგეი, ალბად ის ჯადოსანი იქნება, რაღაცა ტრაბტორზე რომ ლაპარა-
კობდენ.

შენიშნა ციბუმ მოხუც მეზობელს. თვალეები დაიქოლგეს, დააკვირდენ და
ისლამაც იქ დაინახეს, რომელსაც ჩოხის კალთები და სახელოები აუკალთავები-
ნა და ასე დაკარწახებული ერთგულად თავს დასტრიალებდა რკინის საოცარ
კაცს. ციბრუტივით ტრიალებს ისლამა. ყველაფერში მარდი დღეს უფრო სი-
ცოცხლით საესეა, სწრაფი, ხელმარჯვე ოსტატი, რომელიც ამ რკინის დევს თა-
ვის ნებაზე იმორჩილებს.

ციბუმ უეცრივი სირცხვილი იგრძნო, სინდისმა სინანულით ქეჯნა დაუ-
წყო გულში. ჯავრი ლოდსავით წამოაწვა, აღარ ასვენებს. მეორე მხრივ კი

გამოუთქმელი სიხარული უყვავილებს გულს, ეს ფრთაშესხმული სიხარული მამისა, რომ ისლამა მისი შვილია, ეს მისი საკეთარი სისხლბოძის ქანსა მხალხის სათაყვანო ვმირი.

სინანულისა და სიხარულის შეჯახებაზე ციბუს ოფლი ღვართქაფად წამოსკდა, მაგრამ მალე წელში გასწორდა, თავი ასწია და ქერა უღვაშებზე სიამით ხელი გადაისვა.

— ერთი შეხედეთ, როგორ ყველაფერი ემორჩილება მაგ ძაღლის ლეკვს! ეშმაკობით მონიარა და თავზე გადამხტა ცხრა ნაბადით. მაგრამ მაინც მიხარიან, რომ გამარჯვებული ისევ შვილი გამოვიდა, რომელსაც ამდენი რამ შესძლებია,—ამბობს თავისთვის ციბუ და გულში სიამე ეუფლება ნაღველის ადგილს.

ხალხი ტრაქტორის უკან დაჰქრის. ბაღლები ირგვლივ მიმორბიან. მათი უსახუმო ჭყვირილი გაისმის შორ-შორს.

დღევ საზეიმოდ შემოსილა. მზე ოქროს შადრევანებით რწყავს საწყალთა ქობმახებს, მიდამოს, მოხნულ მიწებს, თვით ურწმუნო გადაყრუებულთა ქოხების წინ ბეჩოდ წამოყრილ ნაგავ-ნღვავს.

რკინის დევი კი მიდის და მიგუგუნებს, ხნულში მისტობავს, დინგი. მიწაში წაუთხრია და ბელტს ბელტზე ისერის.

— ეჭე-ჭეი, ბიჭებო,—გაისმის აქეთ-იქიდან,—ე რასაოცრებაა, გაუღვიძნია ქვეყანას და ესაა!

* * *

ბებრები კი ისევ ბეგობთან გადმომხდარან, იმავე ტყავებში ჩაუფთვნილი იხუხებიან ისევ მზეზე.

მოგვიტანეს, ხალხო, მოგვიტანეს,—დაცინვით გაიძახიან ზოგიერთნი,—ყველაფერი ზომ შეგვისრულეს და ეხლა ეს მოგვიტანეს, ეს ლა გვაკლდა აი!

— ქვეყნის ამრეკლები რას მოისვენებენ თუ აქაც არ აგვირის. ღმერთმა რაც მოგვანიჭა, იმასაც არ გვიყენებენ...

— ამბობენ, ი რკინის ცხოველში ეშმაკები უბიათო,—ამბობს მეორე,—ისეთი წერილი კანჭები აქვს მაგ ოხერა ტრაქტორია თუ რაღაცა ჯანდაბა, როგორც კილის ღერი.

ქვეითა მკდომარე მოხუცი-კი ყურს არავის უგდებს, იმასაც ხელით თვალი დაუჩრდილნია, ეუცნაურება რასაც ჰხედავს და სულ ცმუკავს, თავის ადგილზე აღარ ზის.

— გაიხედეთ, ხალხო, გაიხედეთ, მკვდარი წაგიწყდეთ, თუ ამისთანა რამე გენახოთ. რა საოცრად მიტობავს ხნულში. ვოთ ია პანიშიათ!

მოგუგუნე ტრაქტორის ირგვლივ თანდილანთ ძაღლი დაბტის; ჰყეფს, წყმუტუნებს, მისი ხმაური გაღმითა მხარეზე ისმის.


ხალხი კი იცინის, ნელ ნელ რწმუნდება ტრაქტორის სიკეთეს ტრაქტორის
ყოველ მხრიდან ათვალეობებზე, ეცნობიან მის ნაწილებს. შინა-მშენებელი

ჯერი ბებრებზე მიდგა. თეთრწვერა ბიბომ წამოიწია და თავის ქნევით
შეპნიშნა დანარჩენთ:

— არ ვიცი, არ ვიცი, რით გათავდება ეს ამბავი. აბა, წავიდეთ, ახლოს
ენახოთ, იქნება კბილებით არ დაგვეღიოთოს იმ წყვეულ ტრაქტორმა, წავიდეთ,
ჩემო მზენო, ჩემო ტკბილო მეზობლებო...

ყველანი ადგენ და ხელის ნაბიჯით ტრაქტორის სანახავად გასწიეს...

თარგმანი დ. კახრაძის.



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

ქართველ სოციალურ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის

საკითხს სახელმწიფოს შესახებ მართო თეორიული ინტერესი როდი აქვს. ეს ისეთი საკითხია, რომლის ასე თუ ისე გადაჭრა უშუალო გამოხატულებას პოულობს პოლიტიკაში, პოლიტიკურ პრაქტიკაში. სახელმწიფო სამართლის ზოგიერთი ბურჟუაზიული მეცნიერიც კი იძულებულია აღიაროს ის კონსტატაცია, რომ სახელმწიფოს მეცნიერება პირველყოფლისა პრაქტიკული, პოლიტიკური მეცნიერებაა, რომ სახელმწიფოს თეორია „პოლიტიკის თეორიაა და არა თეორია სამართლის დოგმატიკის“ (გესენი). ამიტომ არის, რომ ყოველთვის ძველსა და ახალ საზოგადოებას შორის ბრძოლაში, კლასიურ ბრძოლაში ყოველთვის მოძღვრებას სახელმწიფოს შესახებ თვალსაჩინო ადგილი უკავია. კლასიური ბრძოლა ბრძოლაა, პირველყოფლისა, პოლიტიკური ბატონობისათვის, სახელმწიფო ძალაუფლებისათვის. ამიტომ სახელმწიფოს მეცნიერების წინაშეც სათანადო პრაქტიკული ამოცანა ისმება: სახელმწიფოს თეორიები ან დგანან არსებული წყობილების, ვაბატონებული კლასის სადარაჯოზე, ან ისინი ახალი, აღმავალი კლასის მოძღვრებას წარმოადგენენ, მოძღვრებას ახალი სახელმწიფოს, ახალი საზოგადოების შესახებ.

ასე იყო ეს ყოველთვის. მაგალითები: ერთის მხრივ, პლატონ-არისტოტელეს და, მეორეს მხრივ, სოფისტების სახელმწიფოს თეორიები, როგორც საბერძნეთში ორ მოპირდაპირე კლასს შორის ბრძოლის გამომხატველი. შემდეგ, მე-17—18 სს. ფეოდალურ საზოგადოებასა და ბურჟუაზიის შორის გამწვავებულ ბრძოლაში ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ორი თეორია: აბსოლუტური მონარქიის და ხალხური, კონსტიტუციური სახელმწიფოს: რუსსოს ცნობილი „Contrat social“—ხელისუფლების სათავეში ჩადგომისაგან ბურჟუაზიის მისწრაფების თეორიული დასაბუთება, გამართლება და ჰობსის „Leviathan“—ფეოდალური საზოგადოების, არსებული წყობილების უკიდურესი ამოლოგია...

ასეა დღესაც. იმ ბრძოლაში, რომელსაც პროლეტარიატი თავისი კლასური მტრის წინააღმდეგ აწარმოებს, საკითხს სახელმწიფოს შესახებ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. საკითხი სახელმწიფოს შესახებ, კერძოდ, საკითხი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ არის საკითხი მუშათა კლასის უშუალო მოქმედების, საკითხი სოციალისტური რევოლუციის. ლენინი ხაზს უსვამს რა სახელმწიფოს მნიშვნელობას პროლეტარული რევოლუციის ხანაში, ამბობს: „სწორედ ამ საკითხმა—სახელმწიფოს შესახებ—ცხლა, მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების დაწყების დროს და სწორედ ზოგიერთ ქვეყნებში რევოლუციის გამარჯვების დროს, როცა განსაკუთრებით გამწვავდა

ბრძოლა მსოფლიო კაპიტალითან.—საკითხმა სახელმწიფოს შესახებ, მიიყვანა უდიდესი მნიშვნელობა და იქცა, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხად, ყველა თანამედროვე პოლიტიკური საკითხების და პოლიტიკური დავათა ფოკუსად ("Лекции о государстве"). ამიტომ მარქსისტული მოძღვრებაში სახელმწიფოს თეორიის სათანადო მნიშვნელობაც ენიჭება. ცნობილია, რომ მუშათა კლასის მტრების ყურადღების ცენტრშიაც მარქსისტული მოძღვრებიდან სწორედ ეს საკითხი სდგას. როგორც ლენინმა გვიჩვენა („სახელმწიფო და რევოლიუცია“-ში), მარქსიზმის ყოველგვარი დამახინჯება, მისი „უენებლად გადაქცევის“ ცდა იწყება სწორედ სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის „შესწორებით“, მისი „დამუშავებით“.

სახელმწიფოს არსის გაგებისათვის, სახელმწიფოს ბუნების შესწავლისათვის კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს. უკანასკნელი, როგორც ვიცით, გადაშეცემა როლს თამაშობდა სახელმწიფოს დასაბუთებისათვის უძველეს დროიდან, სახელმწიფოს შესახებ მეცნიერების ჩასახვიდან. ჩვენთვის საკმარისია შევჩერდეთ ახლო წარსულზე. მე-17—18 სს. გაბატონებული სახელმწიფოს წარმოშობის ე. წ. „ხელშეკრულებითი თეორია“, ექვს გარეშეა, სახელმწიფოს იურიდიული ბუნების დასაბუთების თეორიაა. ბუნებრივი მდგომარეობიდან status naturalis-დან) სახელმწიფო წყობილებაზე, სამოქალაქო მდგომარეობაზე (status civilis-ზე) გადასვლა ხდება ხელშეკრულებით. ხელშეკრულება, ე. ი. სახელმწიფოს წარმოშობის მომენტი, განსაზღვრავს სახელმწიფოს იურიდიულ ბუნებას... მართალია დღეს სახელმწიფოს წარმოშობის ხელშეკრულებითი თეორია უარყოფილია, სახელმწიფოს დასაბუთებისათვის სახელმწიფოს სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერება სხვა საშუალებას მიმართავს, ზოგიერთ მეცნიერს კიდევაც ეტვი შეაქვს სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის მეცნიერულ მნიშვნელობაში, მაგრამ მას (სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს) ბურჟუაზიულ მეცნიერებაშიაც ჯერ კიდევ ინტერესი არ დაუკარგავს.

რაც შეეხება მარქსიზმს, აქ შეუძლებელია ორი აზრი არსებობდეს. დიალექტიკოს-მატერიალისტისათვის სრულებით ნათელი და უდავოა ის კონკრეტული, რომ სოციალური მოვლენის მეცნიერული შესწავლა აუცილებლად გულისხმობს მის ისტორიულ ანალიზს. ამა თუ იმ მოვლენის წარმოშობის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენის ბუნების გაგებისათვის. იგივე ითქმის სახელმწიფოს შესახებაც. მარქსიზმის ძირითადი დებულება სახელმწიფოს არსის, მისი ისტორიული როლის და მნიშვნელობის შესახებ: სახელმწიფო შედგება კლასობრივი წინააღმდეგობათა შეუროგებლობისა,—ეს დებულება წარმოადგენს სახელმწიფოს ისტორიული ანალიზის, განსაკუთრებით სახელმწიფოს წარმოშობის გამოკვლევების შედეგს, დასკვნას. მარქსიზმის ამ ძირითადი დებულების დასაბუთებისათვის ენგელსი ამუშავებს და გადმოგვცემს მორგანის გამოკვლევებს სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ („ოჯახის, კრძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა“). ლენინიც თავის „სახელმწიფო და რევოლიუცია“-ში სახელმწიფოს შესახებ მარქსიზმის ნამდვილ მოძღვრების აღდგენას იწყებს სწორედ „მარქსიზმის ამ ძირითადი იდეის“, მარქსიზმის ამ „უმნიშვნელოვანესი პუნქტის“

აღდგენით და სწორედ ენგელსის სახელმწიფოს წარმოშობის ^{მარქსისტული} ~~მარქსისტული~~ დაყრდნობით.

ასეთია ის უაღრესი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს აქვს სახელმწიფოს ბუნების, მისი ისტორიული როლის გაგებისათვის. და რამდენად უკანასკნელს, ე. ი. სახელმწიფოს ბუნების, მისი ისტორიული როლის გაგებას, როგორც აღვნიშნეთ, თეორიულს გარდა უშუალო პრაქტიკული ინტერესიც აქვს, ასეთივე ინტერესი ენიჭება სახელმწიფოს წარმოშობის საკითხსაც. ამიტომ სრულებით არაა საკვირველი, თუ სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის „დამუშავება“, თუ მასზე აშკარა შეტევა პროლეტარიატის კლასიური მტრების ან „სოციალისტების“, მარქსიზმის რენევატების მიერ „შეთანხმებულია“ სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტული თეორიის შესაფერის „დამუშავებასა“ თუ მის წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებასთან (კუნოვი, კალტსკი).

ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ შევჩერდეთ აქ მარქსიზმის ყველა ჯერის „შემსწორებლებზე“ თუ მის აშკარა მოწინააღმდეგებზე. ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს ერთი გარემოება: იმ ბრძოლაში, რომელიც მარქსიზმის, სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ წარმოებს, ცდილობენ შეიტანონ თავიანთი წვლილი ქართველი მეცნიერებიც. და ეს წვლილი არც იმდენად უმნიშვნელოა, რომ ის ყურადღების ღირსი არ გახდეს. საქართველოს ისტორიკოსებში ჩამოყალიბდა და დღეს უდავოდ ითვლება ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობაზე ისეთი შეხედულება, რომელიც დიამეტრულად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს წარმოშობის მარქსისტულ თეორიას. საქართველოს ისტორიკოსები არ იცნობენ ქართველ ტომებს სახელმწიფო წყობილების გარეშე, ყოველ შემთხვევაში უდაოდ არის ცნობილი, რომ ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისში, როცა ქართველებში არ იყო ჯერ კიდევ კერძო საკუთრება, არ კონდა ადგილი საზოგადოების კლასებად დაყოფას, ერთი სიტყვით, საგვარეულო წყობილების დროს უკვე ყოფილა სახელმწიფო. ამიტომ საჭიროა განა საკითხის დასმა, თუ როგორ გადაიქცა საგვარეულო წყობილება სახელმწიფოდ? კითხულობს საქართველოს ისტორიკოსი და სპეციალურ შრომებში უპასუხებს: „საგვარეულო ორგანიზაციაში უკვე არსებობს სახელმწიფო“-ო. დასკვნა ნათელია: სახელმწიფო არსებობს კლასების წარმოშობამდეც, ის არაა დაკავშირებული კლასიურ საზოგადოებასთან, სახელმწიფო არ წარმოადგენს კლასიურ ორგანიზაციას. სახელმწიფოს წარმოშობის კონკრეტ ისტორიულ მაგალითზე მტკიცდება სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის უსაფუძვლობა, უსაფუძვლობა მარქსიზმის ძირითადი დებულების.

სამწუხაროდ, ჩვენ საქმე გვაქვს აქ არა ტერმინოლოგიურ არე-დარევასთან, სახელმწიფოს ცნების არასპეციალისტების მიერ უმართებულოდ ხმარებასთან, ან ისტორიკოსების მიერ სხვათა შორის, ზერელედ გამოთქმულ შეხედულებასთან (ასე რომ იყოს, ამაზე ლაპარაკიც არ ელირებოდა).—იწერება ტრაქტატი, სადისერტაციო შრომები სპეციალურად ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ. იკითხება ამავე თემაზე ლექციები სამარ-

თლის ისტორიის კათედრიდან. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, რომელმაც უკვე აღნიშნულ საქართველოს ისტორიის მეცნიერებას და საქართველოს ისტორიკოსებს როგორც ამ საკითხში, ისე სხვა დანარჩენ საკითხებშიაც, სახელმწიფოს წარმოშობის თავის თეორიით ცდილობს, როგორც თვითონ ამბობს, შეავსოს ის ხარვეზი, რომელიც სახელმწიფოს სამართლის მეცნიერებაშია სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში. თუ სახელმწიფო სამართლის ცნობილი მეცნიერი ელინეკი თიქრობს, რომ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის გამორკვევა შეუძლებელია, ი. ჯავახიშვილს გონია, რომ მან კონკრეტ ისტორიულ მთავარებზე ეს საკითხი გადასჭრა და სახელმწიფო სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერება „პესიმისტური დასკვნიდან“ იხსნა...

საინტერესოა, რომ ჯავახიშვილის თეორია ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ იმდენად უდავოდ არის ცნობილი, რომ ის გადმოაქვთ უკომენტარიოდ (სათანადო ორგანოების „მოწონებით“) საბჭოთა სკოლების სახელმძღვანელოებშიაც.

ჩვენ კარგად ვგრძნობთ, რომ ასეთ პირობებში ისტორიკოსების აღნიშნული შეხედულების გზადსინჯვა, მოცემულ საკითხზე სწორი შეხედულების მოცემა არც ისე ადვილი საქმეა, მით უმეტეს, რომ ჩვენ, ჩვენდა სამწუხაროდ, არა გვაქვს საშუალება უშუალოდ პირველ წყაროებზე ვიწუშაოთ. მაგრამ ჩვენ არც კი ვაცხადებთ პრეტენზიას ამოვწუროთ ეს საკითხი. ჩვენს მიზანს მიღწეულად ჩაეთვლით, თუ შეეძელით საკითხის სწორად დასმაც...

სახვარაულო წარმოშობის დაშლა და კლასების წარმოშობა ქართველ ტომებში

ჩვენ ვიწყებთ კლასების წარმოშობის საკითხიდან. მარქსისტ მეცლევარისათვის სხვა გზა არც არსებობს. მაგრამ ვერც საქართველოს ისტორიკოსები უვლიან გვერდს ამ საკითხს. ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისადმი მიძღვნილ შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წოდებათა წარმოშობის საკითხსაც. მიზანი ამ შემთხვევაშიაც, რა თქმა უნდა, ერთია: მოგვეცნოს კლასების წარმოშობის ანტიმარქსისტული თეორია და, რაც მთავარია, დაგვანახონ, რომ კლასები წარმოიშვენ უკვე სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ე. ი. რომ სახელმწიფო არაა დაკავშირებული კლასიურ საზოგადოებასთან.

ერთგვებთ რა ჯერ-ჯერობით ამ უკანასკნელ საკითხს განზე, ჩვენ გავყვებით კვლ და კვლ პარტიკულ ისტორიკოსებს და გავარჩევთ მათ მიერ მოცემულ თეორიას ქართველ ტომებში კლასების წარმოშობის შესახებ.

ქართველ ტომებში წოდებათა წარმოშობის საკითხის მეცნიერულად დამუშავების და ამ საკითხის თეორიულად გადაჭრის პირველი ცდა მოგვცა ივ. ჯავახიშვილმა თავის საღისერტაციო შრომაში: „Государственный строй древней Грузии и древней Армении“, т. I. Исследование И. Джавахова. С.-П. 1905 г. ეს შრომა შემდეგ არ გამოცემულა, მაგრამ აღნიშნულ შრომაში წამოყენებული დებულებები განმეორებულ და განვითარებულ იქნა ავტორის შემდგომ შრომებში ქართულ სამართლის ისტორიის დარგში: „ქართული

სამართლის ისტორია“ 1919 წ. გამოცემა და „ქართული სამართლის ისტორია“ გამ. 1928 წ., წიგნი პირველი და წიგნი მეორე. ქართველებზე წოდებათა წარმოშობის საკითხს ეხებიან სხვა ისტორიკოსებიც. უნდა აღვნიშნავთ კახაბაძის „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“—ამონაბეჭდი, „საისტორიო მონაძიდან“, 1924 წ. და გ. ნათაძის „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა“, ნაწ. I, 1925 წ.

იყო თუ არა ისეთი დრო, როცა ქართველებში სოციალურ უთანასწორობას ადგილი არ ჰქონდა და, თუ იყო, როდის?—ამ კითხვაზე საქართველოს ისტორიაში სრულიად გარკვეული პასუხია მოცემული. ჯერ კიდევ „ქართლის ცხოვრების“ დაწყებითი ნაწილის ავტორმა ლეონტი მროველმაც იცის, რომ ერთს დროს ქართველებში სუფევდა სრული თანასწორობა: „არაფინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს“. მაგრამ ამ კითხვაზე გარკვეულ პასუხს იძლევა ცნობილი პერძენ გეოგრაფის სტრაბონის აღწერილობა აღმოსავლეთ საქართველოს სოციალურ წყობილებიან ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისს. ეს აღწერილობა საქართველოს ისტორიკოსების მიერ ცნობილია, როგორც მეტად ძვირფასი, სრულებით „სანდო დასაყრდენი“ მასალა.

„სტრაბონის სიტყვით მაშინდელ იბერიაში, ანუ აღმოსავლეთ საქართველოში—გადმოვეცემს ჯავახიშილი—ოთხგვარი მოსახლეობა ყოფილა. მოსახლეობის პირველ წრეს შეადგენდა ის, რომლისგანაც მეფეებს სეამდენ, სახელდობრ გარდაცვლილი მეფის შემდგომ წლოვანობითა და მახლობლობით უზუცესს წევრს. ხოლო მეფის შემდგომ მეორე, აღბად იმავე ასაკისა და მახლობლობის თვალსაზრისით, უფროსი წევრი მოსამართლეობდა და სარდლობდა. მოსახლეობის მეორე წრეს ქურუმნი შეადგენდენ, რომელთაც მეზობელ ერებთან საცილობელი საქმეების, ე. ი. საერთაშორისო საქმეების მოწესრიგებაც ებარათ. მოსახლეობის მესამე წრეს ისინი შეადგენდენ, რომელნიც სამხედრო საქმეებსა და მიწადმოქმედებას მისდევნენ. დასასრულს, მოსახლეობის მეოთხესა და უკანასკნელ წრეს ის ხალხი შეადგენს, რომელნიც მეფის მონები არიან და ყველაფრით, რაც საცხოვრებლად საჭიროა, მეფეს ემსახურებიან. ხოლო ქონება იბერებს საერთო აქვთ საგვარეულოების და მიხედვით, რომელსაც საგვარეულოს უზუცესი წევრი განაგებს“ („ქართ. სამ. ისტორია“, 1928 წ. გამ., წიგნი პირველი, გვ. 138).

„მაშასადამეო—განავრძობს ი. ჯავახიშილი—ქერძო საკუთრება მაშინ, უძრავი მაინც, არ ყოფილა. უძრავი ქონება გვარის საერთო საკუთრება იყო და თვით ამ ქონების მოვლა-გამგებლობაც საერთო ყოფილა“ (იქვე, გვ. 148. ხაზი ავტორის). „არამც თუ ქონება, არამედ უკანასკნელის სარგებლობის და ექსპლოატაციის წესიც სათემო-საგვარეულო ყოფილა“. („Гос. строй...“ გვ. 9). „ამრიგად—დასკვნის სრულიად მართებულიად ავტორი—გვარი წარმოადგენდა ქართველების მაშინდელ სოციალურ წყობილების საფუძველს“ (იქვე). „უძველესს დროს საქართველოში სუფევდა საგვარეულო წყობილება“ („ქართ. სამ. ისტორია“, 1928 წ., გვ. 152).



ამ აზრის არიან ამ საკითხზე საქართველოს სხვა ისტორიკოსებიც.

თუ ვაიხსენებთ იმ გარემოებას, რომ საგვარეულო წყობილებას ნაშთები საქართველოში მრავლად არის დარჩენილი უკანასკნელ დრომდეც (ასეთ ნაშთებს ეხლაც მრავალს ვიცნობთ), არაფერი არაჩვეულებრივი არაა იმაში, თუ ორი ათასი წლის წინედ ქართველებში ტიპური საგვარეულო წყობილება იყო. მართალია, აქ ჩვენ საქმე გვაქვს საგვარეულო წყობილების უმაღლეს საფეხურთან, როცა უკვე მომზადებულია ნიადაგი მისი დაშლისათვის. მაგრამ არც მონობის არსებობა, არც ქურუმების ცალკე გამოყოფა და არც არსებობა საზოგადოების ისეთი წრის, რომელიც „მეფეს სვამდა“ (სტრაბონის ეს სიტყვები სულ სხვაგვარად უნდა გავეიგოთ, ამაზე ქვემოთ).—არც ერთი ეს გარემოება სტრაბონის მიერ აწერილ პირობებში არაფერს ამბობს იმაზე, რომ საგვარეულო წყობილება ამ დროს საგრძნობლად შერყეული ყოფილიყო.

ჩვენ აქ მხოლოდ ერთი გარემოება უნდა ავლნიშნოთ: პროფ. ივ. ჯავახიშვილი თავის „ქართ. სამ. ისტორიის“ უკანასკნელ გამოცემაში (წიგ. პირ., გვ. 152-157) ებვს გამოსთქვამს: „პირველადი მოვლენა არის ეს საგვარეულო წყობილება თუ არა?“ ხომ ცხოვრობდა „ქართველი ერი“ ქრისტ. წელთაღრიცხვის წინედაც მრავალ საუკუნის განმავლობაში, როგორც კულტურული ეროვნება, საგვარეულო წყობილება კი კაცობრიობის კულტურული განვითარების ხომ პირველი საფეხურთაგანია... ასეთ ებვში ჯავახიშვილი შეუყვანია ერთს გარემოებას: „დაუჯერებელია—ამბობს ის—ის საგვარეულო მიწისმფლობელობა, რომელიც საქართველოში მე-16—19 ს.ს.—ში იყო, სტრაბონის დროინდელ ნაშთად ვიცნოთ“. ე. ი. საგვარეულო წყობილება (ჯავახიშვილის აზრით) სტრაბონის შემდეგ საქართველოში სრულიად დაშლილია, არ დარჩენილია მისგან არავითარი „ნაშთიც“ და მხოლოდ შემდეგ რაღაცნაირად ისევ აღდგენილია. მაშასადამე, „შესაძლებელია სტრაბონის დროინდელი საგვარეულო წყობილებაც პირველადი არ იყოს“—ო, ასკენის ავტორი (გვ. 152).

რა საბუთი აქვს პატ. პროფესორს, როცა „არ სჯერა“, რომ მე-16—19 ს.ს. საგვარეულო მიწის მფლობელობა სტრაბონის დროინდელი საგვარეულო წყობილების ნაშთი იყოს?—ის, რომ „შუშანიკის წამებ.“—დან ცხადად სჩანს, უკვე მე-5 ს. მალალი წოდების ღვიძლი ძმები ერთ სახლად არ ცხოვრობდენ და საერთო მეურნეობაც საექვეა რომ ქონოდათ“—ო (გვ. 152). აქედან თითქოს გამომდინარეობდეს, რომ საერთო მეურნეობა შეუძლებელია ქონებოდათ დაბალ წოდებაშიაც. მაგრამ ამის გადაკრით თქმა შეუძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ დავდგებით სოციალური უთანასწორობის წარმოშობის შესახებ ავტორის თვალსაზრისზე. ჩვენთვის კი სრულიად ნათელია, რომ მალალ კლასს, რომელიც გამოეყო და დაუპირისპირდა გვარს, „სახლს“, საგვარეულო წყობილებას, საგვარეულო მეურნეობას, არ შეეძლო ეცხოვრა „ერთ სახლად“ და ქონოდა საერთო, ე. ი. საგვარეულო მეურნეობა, როცა ეს შესაძლებელი და ბუნებრივიც იყო დაბალ კლასისათვის. ჩვენ კიდევ დაუბრუნდებოთ ამ საკითხს და მაშინ უფრო ნათელგყოფთ მას. რაც შეეხება ჯავახიშვილის შემდეგ ნტყიცებას, რომ „საგვარეულოსა და ოჯახის

გაყრის შემდგომაც გვაროვნობითი ერთობა შეიძლება“, ეს არაფროთი არაა დასაბუთებული. ე. წ. „შეყრილობის“ ფაქტები, რომელიც მოკვებს მკვლევარს დასასაბუთებლად ავტორს, შეეხება ახლო ნათესავეების შეყრას. ესევეა ჩვენი ფაქტები გამოჩაკლის შემთხვევებს წარმოადგენენ და არაფერს ამბობენ ამიტომაც გვარის გაერთიანების, ერთხელ დაშლილ საგვარეულო წყობილების ხელახლად აღდგენის შესაძლებლობაზე. ამიტომ ცარიელ სიტყვებად უნდა ჩაითვალოს პატ. პროფესორის დასკვნა, რომ „გვაროვნული წესწყობილება ერთხელ დაშლილი შეიძლება კვლავ განახლდეს და სოციალური ცხოვრების ისევ ძირითად მოვლენად და ქვაკუთხედ დაწესებულებად იქცეს“ (გვ. 157). ასეთის შესაძლებლობა კიდევაც რომ დაუშვათ საერთოდ, ქართველ ტომებში მაინც ამისთვის პირობები არ იყო.

ჩვენ გვგონია, რომ ი. ჯავახიშვილი უფრო მართალია, როცა არიგებს ძველ მემკვიდრეს ლ. მროველს: „სოციალური ცხოვრების მიმდინარეობა არ შეიძლება მთლად უკულმა მოტრიალებულიყო“-ო. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საბუთი ეჭვი შევიტანოთ სტრაბონის დროინდელი საგვარეულო წყობილების პირველადობაში.

ამგვარად, ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისის ქართველებში საგვარეულო წყობილება ყოფილა. როდის დაიწალა იგი და წარმოიშვენ კლასები?

სტრაბონის ზემოდ მოყვანილი აღწერილობის შემდეგ ქართველების სოციალური წყობილების შესახებ ცნობებს ეხედებით მხოლოდ მე-5—6 ს.ს. ქართულ საისტორიო ძეგლებში. „წამება შუშანიკის“-დან სჩანს, რომ მე-5 ს. ქართლის მოსახლეობა იყოფოდა ორ მთავარ ჯგუფად. იყვნენ „აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი“. თვით აზნაურებშიაც ყოფილა განსხვავება, ისინიც ხარისხებრ ყოფილან დანაწილებულნი. ყოფილან: „დიდ-დიდნი აზნაურნი“, „დიდებულნი აზნაურნი“, „ნათესავით აზნაურნი“ და სხ.. „აზნაური“ და „უაზნო“ თავისუფალს და თავისუფლებას მოკლებულს ნიშნავდა და ამასთან წოდებრივობის აღნიშვნელი ტერმინიც იყო („Гос. стрѣм...“ გვ. 54-62. „ქარ. სამ. ისტ.“, გამ. 1928 წ., წიგ. პირ., გვ. 188—198. იგივე, წიგ. მეორე, ნაკვ. პირ., გვ. 26-40. ს. ვაკაბაძე „ქარ. სახ. გენ. საკ.“, გვ. 78 და შემდ.).

მაშასადამე, მე-5 ს. ქრ. შ. ქართველ ტომებში საგვარეულო წყობილება უკვე დაშლილი ყოფილა, ჩამოყალიბებულია ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასი: აზნაურნი ან თავისუფალნი, ე. ი. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც „თავისუფლად, ან ბატონად იყო, ვისაც ბატონი ან უფალი არ ყავდა და ბატონს არ ემორჩილებოდა“ (ჯავახ.), რომლის განკარგულებაში იყო მთელი ქვეყნის სიმდიდრე და დანარჩენნი, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ „თავის უფლებას“, საკუთარ მიწა-წყალს და პირველთ მორჩილებდნ.

საზოგადოების დიფერენციაციის შემდგომი განვითარების საკითხი ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს, ჩვენი მიზნისათვის საკმარისია ის, რაც ითქვა. ეხლა უკვე შეიძლება დავსვათ კითხვა: როგორ და რა პირობებში მოხდა საგვარეულო წყობილების დაშლა, საზოგადოების ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე



გვეუფად, ორ კლასად დაყოფა? როგორ გამოვეყო საზოგადოებას და მოექცა მის ზევით აზნაურთა წოდება?

რამდენადაც მე-1—4 სს. შესახებ, როდესაც უნდა ნომინალიზაციის საკუთრება წყობილების დაშლა და კლასების წარმოშობა, პირდაპირი ისტორიული წყაროები არ მოგვეპოვება, მკვლევარს რჩება ერთი საშუალება: გამოიყენოს არაპირდაპირი წყაროები, ყველა საშუალებანი, რომელიც მის განკარგულებაშია და რომელთაც შეუძლიათ ოდნავ მაინც ნათელი მოფინონ დამსულ საკითხს.

საქართველოს ისტორიკოსებიც სწორედ ასე იტყვიან. ივ. ჯავახიშვილი წოდების აღმნიშვნელი ტერმინების ანალიზით ცდილობს აგვიხსნას საქართველოში წოდებათა წარმოშობა. ის ყურადღებას აქცევს ტერმინს „აზნაურს“. ჯერ კიდევ აკადემ. ბროსსეს მიუძღვევია ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ სიტყვა „აზნაურს“ კავშირი აქვს სომხური სიტყვა „აზნ“-თან. უკანასკნელი კი ნიშნავს გვარს. „ამრიგად—დაასკენის აქედან ივ. ჯავახიშვილი—„აზნაური“ აღნიშნავს „გვარის შვილს“, გვარიანს“ („Истор. строй...“, გვ. 57. ხაზი ავტორის). „უაზნო“ კი ნიშნავს უგვაროს. „მაშასადამე, თუ ტერმინალოგიის აზრში ჩავეწვდებითო—განაგრძობს ავტორი—მაშინ უძველეს ეპოქას საქართველოში ძირითადი და არსებითი მნიშვნელობა წოდებრივ უპირატესობაში ქონდა გვაროვნულ ღირსებას და თვისებას: ის, ვინც მრავალრიცხოვანი, ძლიერი გვარის შვილი იყო, სარგებლობდა დიდი პატივით და გავლენით იმ პირთა შორის, ვინც ჩვეულებრივ არა დიდს გვარს ეკუთვნოდა, რომელთაც „გვარიანი“ ანუ „აზნაური“ ეწოდებოდა და რომელნიც სარგებლობდნენ დამოუკიდებლობით და თავისუფლებით. „უგვაროთა“, „უაზნოთა“ კი არ ქონდათ არავითარი მნიშვნელობა და, რამდენად ისინი მოკლებული იყვნენ მოგვარების დაცვას, ითვლებოდნენ თავისუფლებას მოკლებულად. ამ უფლებრივი ნორმის მიხედვით, რასაკვირველია, პატივის ცნებაც ძველ საქართველოში დამყარებული იყო გვაროვნულ და სრულებით არა ინდივიდუალურ თვისებებზე“ (იქვე, გვ. 60). „უძველეს ეპოქას საქართველოში, როგორც გვარი, ისე მისი ცალკე წევრი იმდენად მაღლა სდგას, იმდენადაა მეტი გავლენიანი, რამდენად მრავალრიცხოვანი, რამდენად დიდი იყო გვარი. ეს გასაგებიცაა, ხომ ძალა ყოველთვის მის მხარეზე იყო“ (იქვე, გვ. 58. ხაზი ყველგან ავტორის).

როგორც ვხედავთ, აქ ი. ჯავახიშვილი გვაძლევს ქართველებში სოციალური უთანასწორობის წარმოშობის ვარკვეულ თეორიას. სოციალური უთანასწორობა გვაროვნობითი თვისებაზე ყოფილა დაფუძნებული: რამდენად მეტია რიცხობრივად გვარი, იმდენად მეტი ძალა აქვს მას და იმდენად მისი ცალკე წევრებიც მაღლა სდგანან დანარჩენ, რიცხობრივად ნაკლებ, გვარების წევრებზე. სრულებით უგვარო ადამიანს კი, ე. ი. ადამიანს, რომელსაც მოგვარები არ გააჩნია და, მაშასადამე, ძალაც არა აქვს, „გვარიანები“ იმორჩილებენ, აქცევენ ყმად.

ი. ჯავახიშვილს ეს აზრი თავის „Государст. строй древ. Грузии“-ში სრულიად გარკვეულად და გადაჭრით აქვს გამოხატული. მხოლოდ „ქართული სამართლის ისტორიაში“ ის თითქმის იხვევს უკან, თავის კვლევის ფარგლებს ის თითქმის გაცილებით ვიწროდ ზღუდავს: „ჯერ-ჯერობით ჩვენთვის ისიც დიდი საქმე იქნება, თუ შევძელით და გამოვარკვეით, რა-და-რა წოდება და რამდენი და რომელი სოციალური ჯგუფები არსებობდნენ მაშინდელ საქართველოში. მათი წარმოშობის ისტორიის გამოკვლევა მხოლოდ მომავალში იქნება შესაძლებელი, როდესაც საამისო ცნობები აღმოჩნდება“-ო („ქართ. სამ. ისტ.“ 1919 წ., გვ. 25. იგივე, 1928 წ. გამ., წიგნი მეორე, ნაკვ. პირ., გვ. 26). აქ ი. ჯავახიშვილი გარკვევით ლაპარაკობს, რომ ის ვერ დაისახავს მიზნად ქართველ ტომებში სოციალური უთანასწორობის წარმოშობის ისტორიის გამოკვლევას. ამით ავტორი თითქმის უარს ამბობს თავის თეორიაზე, რომელსაც იგი იძლევა თავის პირველ გამოკვლევაში. მაგრამ ეს სამწუხაროდ ასე არ არის. ი. ჯავახიშვილი, მიუხედავად ზემოდ მოყვანილ მისი სიტყვებისა, არ უარყოფს თავის თეორიას ქართველებში სოციალური უთანასწორობის წარმოშობის შესახებ. პირიქით, ის არსებითად ვადმოტანილი აქვს თავის ზემოდ დასახელებულ ახალ შრომებშიაც. მოვიყვანო შესაფერის ადგილს უკანასკნელი გამოცემის „ქართული სამართლის ისტორიის“ წიგნი პირ.-დან: „ჯერ კიდევ აკად. ბროსსემ აღნიშნა, რომ ქართულ ტერმინს «აზნაურია» უნდა სომხურ «აზნ»-თან კავშირი ქონდეს. პროფ. ნ. მარმა კი ეს ტერმინი სომხური «აზნ»-ისა, რომელიც გვარსა ნიშნავდა, და «ურ», ან «ვერ»-ისაგან წარმომდგარად მიიჩნია“ (გვ. 191). „ამნიარად «აზნაურია» თავდაპირველად გვაროვნობათა კავშირის, ერის შვილის, ან გვარის შვილის აღნიშვნელი უნდა ყოფილიყო და ამასთან დაკავშირებით თავისუფალს მნიშვნელობაც ქონია. აქედან ცხადი ხდება, რომ მაშინ თავისუფალი მხოლოდ ის იყო, რომელიც რომელიმე საგვარეულოს შვილად, ან წევრად ითვლებოდა. ხოლო ვინც უაზნო, ე. ი. უგვარო იყო, უცხო ქვეყნიდან შემოხიზნული, თუ ტყვედ წამოყვანილი, ის თავისუფალი არ ყოფილა. მაშასადამე, თავისუფლებისა და უთავისუფლობის შესახებ ცნება მთლიანად გვაროვნული წესწყობილების ცნებათა ნიადაგზეა დამყარებული და თვით ტერმინიც «აზნაურია» და «უაზნო» იმავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს“ (გვ. 192-193, ხაზი ავტორის). ან კიდევ: „მაგრამ გვარიც არის და გვარიც: ზოგი მრავალრიცხოვანი, დიდი გვარი იყო ხოლმე, ზოგი კიდევ პატარა, რასაკვირველია, მრავალრიცხოვან გვარს მეტი ძალა და გავლენაც ქონდა თავის კუთხის დანარჩენ გვარებზე“ („ქართვ. ერის ისტორია“; წიგ. პირ., 1928 წ. გამ., გვ. 154).

როგორც ვხედავთ, ი. ჯავახიშვილს თავისი შეხედულება ქართველებში სოციალური თანასწორობის წარმოშობაზე სრულებით არ შეუცვლია. ესეც რომ არ იყოს, მისი შეხედულება ამ საკითხზე უკვე გაბატონებული და პოპულარულია საქართველოს ისტორიკოსებში. ამ შეხედულებას ანვითარებენ სხვებიც. საქართველოს მეორე ცნობილი ისტორიკოსი ს. კაკაბაძე გამოსთქვამს სწო-



რედ ამავე აზრს: „აზნაური აქ („შეშანიცის წამება“-ში, მე-5 ს. გ. ს.) ცხადია ნიშნავს თავისუფალს, მაგრამ ამავე დროს გვარიანს (კეთილშობილს) უკანასკნელი მნიშვნელობა ამ სიტყვისა (აზნაური-გვარიანი) არის გვეს ვარემე უფრო ძველი და პირვანდელიც, მას კავშირი აქვს გვაროვნობითი წყობილების ნორმებთან“ („ქართ. საბ. გენ. საკ.“, გვ. 84). ამ აზრს გამოსთქვამს აღნიშნული ისტორიკოსი თავის „შემოკლებული ისტორია საქართველოს“-შიც (გვ. 4). ამასვე იმეორებენ სხვა ისტორიკოსებიც.

შემდეგი მოსაზრებანი ნათელყოფენ იმას, რომ სოციალური უთანასწორობის წარმოშობის აღნიშნული თეორია სრულებით არ შეეფერება საქართველოს ისტორიაში მოცემულ ცნობებს. უკანასკნელთ ანგარიში სრულებით არ ეწევა, მოცემული თეორია სრულიად თვითნებითია, არაფრით არაა დასაბუთებული.

მოსაზრება პირველი. თუ „აზნაური“ ნიშნავს „გვარიანს“ და უაზნო — „უგვაროს“, მაშინ, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ ისტორიკოსები, „უაზნო“ მხოლოდ უცხო ქვეყნიდან შემოხიზნულნი თუ ტყვედ წამოყვანილნი იქნებოდნენ. მაგრამ ცხადია, რომ ეს უკანასკნელნი გაცილებით ნაკლები იქნებოდნენ, ვიდრე საქართველოს ნამდვილნი მკვიდრნი, ე. ი. აზნაურები გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე უაზნონი. სინამდვილეში კი პირიქითს მოვლენას ვხვდებით: მე-12—13 ს.ს. აზნაურობას და სამღვდლოებას ეროად 4%-ად ვარაუდობენ (ს. კაკაბაძე: „წერილები და მასალები საქ. ისტორიისათვის“, წ. პირ., გვ. 28), მე-5 ს. ბოლოს კი—1% (ს. კაკაბაძე „ქართ. საბ. გენ. საკ.“, გვ. 118). ვსთქვათ, რომ აქ ორივე შემთხვევაში ცოტაა ნივარაუდები, მაგრამ რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ აზნაურობა შესაძლებელია როდისმე გაცილებით მეტი ყოფილიყო ვიდრე არააზნაურები? ასეთ რამის დაშვება ხომ ყოველად შეუძლებელია!

მოსაზრება მეორე. როგორ წარმოშვა სოციალური უთანასწორობა გვაროვნულმა ღირსებამ და თვისებამ? როგორ მოხდა, რომ გვარის რიცხოზობიერმა ოდნობამ და ძალამ სოციალური უთანასწორობა წარმოშვა მაინც და მაინც მე-1—4 ს.ს. და არა წინედ ან შემდეგ? (ხომ შეუძლებელია იმის თქმა, რომ მე-1—4 ს.ს.-დე ქართველ ტომებში გვარის რიცხოზობიერი ოდნობის და ძალის მზრევ სრული თანასწორობა სუფევდა და ეს თანასწორობა მხოლოდ მე-1—4 ს.ს. დაირღვა?)

შემდეგ. რატომ „გვაროვნულმა ღირსებამ და თვისებამ“ ვერ წარმოშვა სოციალური უთანასწორობა საქართველოს მთიან ადგილებში? აქ ხომ არ იყვნენ აზნაურები არც მე-5 და არც მე-13 ს.ს! (იხ. ი. ჯავახიშვილის „საქ. ეკონომიური ისტორია“, გვ. 3).

მოსაზრება მესამე. თუ სოციალური უთანასწორობის, აზნაურობის წარმოშობა გვაროვნულ ღირსებაზე იყო დამყარებული, თუ „აზნაური“ ნიშნავდა „გვარის შვილს“, ან „კეთილშობილს“ (ს. კაკაბაძე, დ. ბაქრაძე), თუ აზნაურების ხარისხებზე დანაწილება იმავე გვარის ღირსებაზე იყო დამოკიდებული, — მაშინ სწორედ გვაროვნულ ღირსებას და მასთან „შვილობას“, „შობას“ ყოველ-

თვის გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა ქონებოდა, სოციალურ ჯგუფებს შორისაც გარდაუვალი ზღუდე უნდა ყოფილიყო აღმართული.

მაგრამ სინამდვილეში ვხედავთ ისევე სულ საწინააღმდეგოს:

1) როგორც ვიცით, საგვარეულო წყობილების დამახასიათებელი ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ცალკე გვარების განსაკუთრებული, ე. წ. საგვარეულო სახელწოდების არსებობაა. სწორედ უკანასკნელი ანიჭებს გვარის თითოეულ წევრს თავის გვარის უფლებას, გვაროვნულ ღირსება-თვისებას (მორავანი). აი, ეს საგვარეულო სახელწოდება ქართველებს აუცილებლად უნდა შეენარჩუნებიათ, მტკიცედ უნდა დაეცვათ განსაკუთრებით საგვარეულო საზოგადოების დაშლისა და სოციალური უთანასწორობის წარმოშობის შემდეგ, თუ, რა თქმა უნდა, ამ უთანასწორობის მიზეზი საგვარეულო ღირსება-თვისებაში იყო. მაგრამ საგვარეულო სახელწოდებას სწორედ რომ არ ვხვდებით ძველ ლიტერატურულ წყაროებში, ვხვდებით მარტოდ პირად სახელებს, მაგალ., კათალიკოსი ანტონი აძღვეს სიგელს ყმათ: „ქობელაას, იესეს და ძმა შენს გოგეას, შვილსა თქვენსა ივანეს და დიმიტრის“ (ე. თაყაიშვილი „საქართ. სიძველენი“, ტ. III, № 8). ან სიაში, „თუ ვის რა გადაუხურავს ვახუშტი ორბელიანისთვის საქართველოში“ (იქვე, ტ. II, № 299) ჩამოთვლილია მხოლოდ პირადი სახელები ან და სახელები პლიუს თანამდებობა. გვარი თანამედროვე მნიშვნელობით შედარებით გვიან წარმოიშობა სახელებისაგან, მაგალ. ჯავახიშვილი=ჯავახის-შვილი, ბარათა-შვილი=ბარათას-შვილი, ჯანაშვილი=ჯანას-შვილი და სხ. ან თანამდებობისაგან: ამილახორი, ვეზირისშვილი, დადიანი და სხვა.

2) როგორც საისტორიო მასალებიდან ვრწმუნდებით, ძველად საქართველოში მნიშვნელობა ქონდა არა საგვარეულო ღირსებას, გვარიანობას თუ გვარიშვილობას, არამედ ადამიანის პირად თვისებებს. ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლევა ე. თაყაიშვილის „საქართ. სიძველენი“, ტ. ტ. I, II და III. აქ მოყვანილ მრავალ ასეულ სიგელ-გუჯრებში ერთს-ლა ვხვდებით: ესა თუ ის პირი მეფისაგან თუ რამე წყალობას ღებულობს, ეს მხოლოდ და მხოლოდ პირადი ღირსებისათვის, „ერთგული სამსახურისათვის“, ომში სამსახურის გაწევისათვის. ყველგან ერთი და იგივე არის: „ერთგული“, „თავდადებით“, „მრავალწევრად“ „სამსახური“ და მისი „სანუქჟოდ“ სხვადასხვა წყალობის ბოძება... გვარიანობაზე მითითებას არ ვხვდებით არც მეფის წყალობაში და არც მეფისადმი აჯიში (თხოვნაში) სულ უკანასკნელ დრომდე (მე-18 ს.-დე). ი. ჯავახიშვილი ცდილობს გვიჩვენოს, რომ ეს იყო „ბაგრატი მესამისაგან მოყოლებული“, როცა საქართველოს მეფეები „დაუცხრომლად ცდილობდნენ, რომ სახელმწიფო და სამოხელეო ასპარეზზე მოხელეთა საგვარეულო ღირსებას, «გვარიანობას» კი არ ქონოდა მნიშვნელობა, არამედ მის პირად თვისებებს და ღვაწლს“ („ქართ. საზ. 1919 წ., გვ. 22), და ეს, ტრადიციის ასე უხეშად გათელვა გამოწვეული იყო ისტ., თითქოს იმ ბრძოლით, რომელიც სწარმოებდა მეფეებს და დიდ აზნაურობას შორის. მაგრამ აქ ისტორიკოსს ავიწყდება არსებითი რამ, სახელდობრ ის, რომ მეფეები ებრძოდნენ აზნაურებს და არა აზნაურობას, როგორც ვოლებას. თვით ი. ჯავახიშვილიც კარგად იცის, რომ მეფე-



ბის დროსაც „აზნაურთა წოდებას დიდი ძალა ქონდა და სამეფო-სამთავროებშიც მათი თვალსაზირო გაველენა ყოველ ეკვს გარეშეა“ („ქართ. სამ. ისტ.“, 1928 წ., წიგ. მეორე გვ. 34). ამიტომაც, ცხადია, მეფის ხელისუფლებაც წოდებრივი ტრადიციის, წოდებრივ ღირსებათა დამცველ წესებს ვერ შეზღუდავდა. მაგრამ კიდევაც რომ დაუშვათ, რომ მეფეებმა ასეთი ნაბიჯი გადასდგეს, ეკვს გარეშეა, ამას აზნაურთა წოდება ადვილად არ შეურიგდებოდა, და ეს კი სათანადო კვლას დასტოვებდა ზემოდ დასახელებულ საისტორიო მასალებში. ცხადია, გვაროვნულ ღირსებას, გვარიშვილობას ქართველებში ძველად სრულიად არ ქონდა ის მნიშვნელობა, რომელსაც მას საქართველოს ისტორიკოსები აწერენ. სოციალური ჯგუფების სულ სხვა ნიადაგზე ჩამოყალიბების შემდეგ მხოლოდ იწყება ამ ჯგუფების თანდათან წოდებად გადაქცევა: გაბატონებული სოციალური ჯგუფი იტოვებს შემკვიდრებობით იმ უპირატესობათ, რომელნიც მას თავის პირადი თვისებით დაუმსახურებია. მაგრამ ხალხის შეგნებაში მაინც დიდ ხანს სკოცხლობს ამ უთანასწორობის წარმოშობის ნამდვილი მიზეზი. პირადი თვისება გაცილებით მალე სდგას ვიდრე გვაროვნული ღირსება არა მარტო ოფიციალურ დოკუმენტებში, „ათასად გვარი დაფასდა ათი ათასად ზრდილობა“-ო, ამბობს მე-12 ს. ქართველი მგოსანიც.

3) ამ საკითხთან ახლოსაა აგრეთვე საკითხი „სივლისა გაახლების“, სივლის ახლად დამტკიცების შესახებ, რომელსაც მრავლად ვხვდებით „საქართველოს სიძველენი“-ში. მეტად საეჭვოა, რომ პრივილეგიებს პერიოდული დადასტურება დასჭირებოდა, რომ ესენი გვარიშვილობაზე ყოფილიყვნენ დაფუძნებულნი და არა მხოლოდ ამა თუ იმ პირის პირად ღირსებაზე.

4) განსაკუთრებით აღსანიშნავია გააზნაურების მოვლენა, ძველად ე. წ. „აღზეება“, წოდებრივი ამაღლება, რომელსაც ი. ჯავახიშვილიც აქცევს ყურადღებას: „ერთის, უფრო დაბალი წოდებიდან უფრო მაღალ წოდებაში გადასვლა რომ შეიძლებოდა, ამის შესახებ პირდაპირი ცნობებიც მოიპოვება“. „წოდებანი ერთი-ნეორისაგან გარდაუვალი ზღუდით არ ყოფილან განცალკევებული“-ო („ქართ. სამ. ისტ.“, 1928 წ., წიგ. მეორე, გვ. 30, 40). რომ წოდებრივი უთანასწორობა გვარიშვილობაზე, „სისხლზე“ ყოფილიყო დაფუძნებული, წოდებათა შორის სწორედ რომ გარდაუვალი ზღუდე უნდა ყოფილიყო აღმართული, შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ერთი წოდებიდან მეორეში გადასვლა.

5) ბოლოს, ერთი გარემოება, როგორც ი. ჯავახიშვილი განმარტავს, „აზნაურთა შემადგენლობა მე-9—13 სს. სხვადასხვა გვარი და რფული“ იყო. იყვნენ: „დიდებულნი აზნაურნი“, „აზნაურნი მოსაკარგავენი“, „აზნაურნი საზღერულნი“, „ნათესავით აზნაურნი“, „აზნაურნი მემამულენი“... „ნათესავით აზნაურნი“ ეს—ჯავახიშვილის განმარტებით—ჩამომავლობით აზნაურნი იყვნენ. „ჩამომავლობით აზნაური იყო სწორედ «გუარიანი», მისი წოდებრივი ღირსება მისს გვარის აზნაურობაზე იყო დამყარებული და მასაც მხოლოდ გვარიშვილობით ქონდა აზნაურობა დამკვიდრებულობა“-ო („ქართ. სამ. ისტ.“, 1928 წ., წიგ. მეორე, გვ. 31). ამრიგად, გვარიშვილობით, მემკვიდრეობით აზნაური აზნაურთა მხოლოდ ნაწილს შეადგენდა თურმე. დანარჩენნი იყვნენ აზნაურნი არა გვა-

ქართული

რიშვილობით, არა ჩამომავლობით, ე. ი. მათ აზნაურობას ჯერჯერობით კვავშირი არ ქონდა მათ გვაროვნულ ღირსებასთან. არაერთარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს მოვლენა მხოლოდ მე-9—13 ს.ს. საქმეა და მას წინედ—აზნაურთა წარმოშობისას—ადგილი არ ქონდა. სრული საფუძველი გვაქვს დაუშვათ პირიქით. საერთოდ და, კერძოდ, საქართველოშიაც წოდებრივი უთანასწორობის განვითარების ტენდენცია სულ სხვაგვარი იყო: წოდებრივი განსხვავება, წოდებათა ზღუდე თანდათან უფრო მტკიცდება და არა სუსტდება. თუ მე-9 ს. ყოფილან არაგვარიშვილობით აზნაურები, მით უმეტეს უნდა ყოფილიყვნენ ესენი უფრო წინედ. სჩანს, აზნაურობა არ იყო იმ თავიდან გვარიშვილობაზე „ნათესაობაზე“ დამყარებული, და მხოლოდ თანდათან გაჩნდნენ „ნათესავით აზნაურები“...

დასასრულ შეეჩერდებით ერთ ვარცხნილობაზე, რომელსაც ზემოდ არ შეეხებივართ. როგორც ზემოდ ვსთქვით, საქართველოში სოციალური უთანასწორობის წარმოშობის გაბატონებული თეორია დამყარებულია წოდებრივ ტერმინალოგიის, სახელდობრ, ტერმინი „აზნაური“-ს ანალიზზე. „აზნაური“ ნიშნავს „გვარის შვილს“ (სომხური „აზნ“=გვარი). მაშასადამე „აზნაურობა“ დამყარებული ყოფილა გვარიშვილობაზე—ასევე იან ისტორიკოსები.

შეიძლება აქედან ასეთი დასკვნის გაკეთება?

ტერმინი „აზნაური“ ხომ უცხო სიტყვისაგან—„აზნ“-ან—არის წარმოებული და ამიტომ ასეთ დასკვნამდე რომ მივიდეთ, ხომ არის აუცილებელი დანტყვიდეს, რომ ეს უცხო სიტყვა „აზნ“-სა და მისგან წარმოებულ „აზნაურ“-ში მისი შემოღებისას ქართველი ისეთ შინაარსს სდებდა, როგორც ეხლა პატ. ისტორიკოსები, რომ ქართველი აღნიშნულ ტერმინს „გვარის შვილის“ ნიშნელობით ხმარობდა, ამ სიტყვასთან აიგივებდა? მაგრამ ეს ხომ არაა დამტკიცებული? პირიქით, ვიცით, რომ სიტყვა „აზნ“ დამოუკიდებლად ქართულ ლიტერატურულ წყაროებში არ გვხვდება. (ს. კაკაბაძე: „ქარ. სახ. ვენ. საკ.“, გვ. 84), ცხადია იმიტომ, რომ ეს სიტყვა ქართველებს ხმარებაში არ ქონიათ, მათ ეს სიტყვა არ სცოდნიათ. აშკარაა, რომ ტერმინი „აზნაური“ შემოღებულია სოციალური უთანასწორობის წარმოშობის შემდეგ მაღალ წოდების მიერ უცხო ქვეყნიდან იმის მიუხედავად, თუ როგორი იყო ამ ტერმინის ეტიმოლოგიური ნიშნელობა, შეეფერებოდა, გამოხატავდა თუ არა ის ქართველებში სოციალური უთანასწორობის წარმოშობის საფუძველს.

ზემოდ მოყვანილი მოსაზრებანი საკმარისად მიგვაჩნია იმისთვის, რომ ნათელგვეყო ქართველ ტომებში სოციალური უთანასწორობის წარმოშობის შესახებ გაბატონებული თეორიის სრული უსაფუძვლობა. შევეცდებით ეხლა თავი მოუყაროთ ყველა იმ მასალაებს, რომელნიც ნათელს ფენენ დასმულ საკითხს და საშუალებას მოგვცემენ მასზე დაახლოვებით წარმოდგენა მაინც შევქმნათ.

უდავოა, რომ სოციალური უთანასწორობა ქართველებში ჩამოყალიბდა მე-1—4 ს.ს.-ში. აშკარაა, ამ პერიოდში ქართველები რაც განსაკუთრებულ პირობებში უნდა ყოფილიყვნენ, რაკ მათი სოციალურ წყობილებაში ასეთი დიდი გარდატეხა მოხდა.

რა იყო ეს პირობები?

ქართული

ქართველები რომაე-

როგორც ვიცით, ამ დროს (65 წ.—ან ქრ. წ.) ქართველები რომაელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მას შესაძლებელია, რომ სოციალური უთანასწორობაც რომაელების უშუალო გავლენით, ჩარევით წარმოიშვა? „რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც რომაელებმა საქართველოს თავისი მეგობრობა ძალად დააკისრეს, ადგილობრივი სახელმწიფო წესწყობილება დაუბატოვებელი სტუმრების ძლიერი გავლენის ქვეშ შეიძლებოდა შელახულიყო... მაგრამ ძველი წესი მაინც ძლიერი იყო“—ო, ამზობს პროფ. ი. ჯავახიშვილი თავის „ქართ. ერის ისტორია“-ში (გვ. 155). ფიქრობთ, უკანასკნელში ისტორიკოსი მართალია. უცხო გავლენას, რაც გინდ ძლიერი ყოფილიყო ის, არ შეეძლო უშუალოდ სოციალური წყობილების ძირიან-ფესვიანად შეცვლა, არ შეეძლო მოეხდინა ისეთი დიდი რევოლუცია, როგორც ეს საგვარეულო წყობილების კლასიურ საზოგადოებად შეცვლა არის. რომაელების ბატონობას შეეძლო—და ეს ასეც იყო—არაპირდაპირი გავლენა მოეხდინა ქართველების სოციალურ წყობილებაზე: აღებ-მიცემობის განვითარებით დააჩქარა ის პროცესი, რომელიც თავისთავადაც უნდა დაწყებულიყო.

სტრაბონის აღწერილობიდან ვიცით, რომ იმდროინდელი აღმოსავლეთ საქართველო მშენიერი შენობებით, სავაჭრო მოედნებით, გზებითა და ხიდებით ყოფილა მოფენილი. ალბად ვაჭრობას უკვე ქონდა ადგილი. მაგრამ სტრაბონი ვაჭართა ცალკე წრეს არ ასახელებს, ეს იმიტომ, რომ ვაჭრობა ამ დროს გვარის ხელშია და არა ცალკე პირების ხელში (და არა იმიტომ, რომ სტრაბონს ეს „გამორჩა“, როგორც ამას პროფ. ჯავახიშვილი ფიქრობს). რომაელებთან „დამეგობრების“ შემდეგ ქართველებში ვაჭრობა, გასაგებია, ჩქარის ტემპით უნდა განვითარებულიყო. აღებ-მიცემობის განვითარებასთან ერთად უნდა განვითარებულიყო ხელოსნობაც, მესაქონლეობაც და მიწის დამუშავების ტექნიკაც. ყველაფერს ამას უნდა მოყოლოდა, ერთის მხრივ, ქონების დაგროვება გვარში, მეორეს მხრივ, შრომის საზოგადოებრივი განაწილება (გვარში შრომის პირვანდელი ბუნებრივი განაწილების ნაცვლად). ეს უკანასკნელი კი თავისთავად ხელს შეუწყობდნენ გვარში ცალკე წევრთა შორის ქონებრივი განსხვავების გაჩენას.

მაგრამ ქართველ ტომებში სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია განსაკუთრებით ერთმა გარემოებამ. მესამე საუკუნიდან საქართველოში ვაჭრობა ეყვამ (მიზეზი: რომ ის გავლენის შესუსტება და სპარსეთის გავლენის გაძლიერება), რაკი უკანასკნელი მეურნეობის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს აღარ წარმოადგენს, ქართველებს მთავარი ყურადღება მეურნეობის სხვა დარგისათვის უნდა მიექციათ. ასეთი დარგი მიწის დამუშავება იყო. უკანასკნელზე, როგორც მეურნეობის უმთავრეს დარგზე, გადასვლას მთელი რიგი შედეგების უნდა მოყოლოდა: თუ მანამდე ყოველი ქართველი ერთსა და იმავე დროს მეურნეც იყო და მხედარიც (ჯავახ. „ქართ. სამ. ისტ.“ 1928 წ., წიგ. პირ., გვ. 145—146, კაპაბაძე „ქარ. სახ. გენ. საკ.“, გვ. 113, ნათაძე, გვ. 60), ეხლა ასეთი მდგომარეობა შეუძლებელია გაგრძელდეს, ვინაიდან

იგი მეტად საზიანოა მეურნეობისათვის. მიწადმოქმედი ვერ დაშორდება თავის მეურნეობას. ამიტომ ქვეყნის დაცვის საქმისათვის, ქვეყნის „მეურნეობისათვის“ უნდა გამოყოფილიყო ცალკე წრე, მხედართა წრე. უკანასკნელთა რამდენად ისინი საზოგადოებრივ საქირო ფუნქციას ასრულებენ, გვარი ინახავს. მხედრობა თანდათან სპეციალურ, არა ყველასათვის ხელმისაწვდომ ხელობად იქცევა. სამხედრო წრე სწვევტს გვართან ბოლოს ყოველგვარ სამეურნეო კავშირს, ის მხოლოდ ქვეყნის დამცველად ითვლება. ქვეყნის მიწა-წყლის „პატრონიც“ მხოლოდ ეს წრეა, ამისთვის ეს დანარჩენებისაგან „ბევარას“ ღებულობს.

ასე ჩამოყალიბდა, ერთის მხრივ, მაღალი კლასი, კლასი „პატრონთა“ ანუ „თავის უფალთა“ („პატრონი“ უდრის „უფალს“, ჯავახ.), რომელთაც აზნაურები ეწოდათ და, მეორეს მხრივ, დაბალი კლასი, კლასი „მეხედრეთა“, ან მიწის მფლობელთა, რომელთაც ეწოდათ გლეხები (გლეხი—მეხედრეს, რაც ნიშნავს „მეშობაზე წასვლას“: (ს. კაკაბაძე „ქარ. საზ. გენ. საკ.“ გვ. 111—112). ბუნებრივია, რომ აზნაურობაც, როგორც სამხედრო წრიდან გამოსული, ხარისხებრივად დაყოფილი იმის მიხედვით, თუ ვის რა ადგილი ეკავა ქვეყნის დაცვის საქმეში, მის „პატრონობაში“. (იყენენ: „აზნაურნი დიდ-დიდნი“, აზნაურნი მცირენი და, ალბად, საშველონიც).

ჩვენ გვინდა აქ ხაზი ვაუსვათ იმ გარემოებას, რომ ისინი, ვისაც აზნაური ეწოდა—მხედრები—გამოეყვენ გვარს და არა ისე, რომ მხედრობა, ქვეყნის დაცვის საქმე რომელიმე გვარის თუ გვარების პრივილეგიას წარმოადგენდა. სრულებით არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისთვის, რომ ეს უკანასკნელი დაუშვათ. ეს, რა თქმა უნდა, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ერთ ან რამდენიმე ქართველ ტომში უკვე ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობის შემდეგ სხვა ტომებში ხელოვნური გადანერგვა შეუძლებელი ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში მაღალ წრეში შეიძლებოდა მომხდარიყო მთელი გვარები (роды), დაბალ წრეში კი—ტომიც.

აქ მოცემული ჩვენი შეხედულება ქართველ ტომებში სოციალური უთანასწორობის წარმოშობის შესახებ სწორედ რომ ეთანხმება კონკრეტ ისტორიულ მასალებს. ის ნათელს ფენს აგრეთვე საქართველოს ისტორიაში ზოგიერთ გაურკვეველ საკითხსაც:

1) როგორც ზემოდ ესთქვით, ძველ ისტორიულ მასალებში მარტო სახელებია და საგვარეულო სახელწოდებებით სრულებით არ ვხვდებით. გასაგებია რატომ: გვარი იშლება, ერთი და იმავე გვარის წევრები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფში ექცევიან. არაა წინანდელი გვარი, არც საგვარეულო სახელწოდება. საქიროა განსაზღვრული დრო, რომ ახალი სოციალური ჯგუფები ახალ ცალკე გვარებად ჩამოყალიბდნენ. წინანდელი გვარის (род) აღმნიშვნელი ტერმინებიც: „სახლი“, „ტომი“, „ნათესავი“, როგორც ძველ საგვარეულო წყობილებასთან მჭიდროდ დაკავშირებულნი, ეხლა აღარ გამოდგებიან. ტერმინი „გვარი“ ანუ „გუარი“—ც სწორედ რომ ახალ წოდებრივ წყობილებაში წარმოიშობა. ეს ტერმინი ძველად არაა, მას მხოლოდ დავით აღმაშენებლის ისტორიაში ვხვდებით („Гос. строг...“ გვ. 50—51. „ქართ. სამ. ისტ.“ 1928 წ., წიგ. მეორე, გვ. 22).

2) სოციალური უთანასწორობის წარმოშობაზე ჩვენი შეხედულება ნათელს ფენს იმ გარემოებასაც, რომ წოდებათა შორის ძირადად გარდამწყვეტი ზღუდე არ ყოფილა აღმართული. ვასაგები ხდება ისეთი მრავალენობი, როგორცაა: „სიგლის ვაახლება“, „სისხლის ახლად გაჩენა“, „აღზეება“ და სხვა. ყველა ეს მოვლენები იმას გვეუბნებიან, რომ გადაწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ ადამიანის პირად თვისებას ქონდა და არა წარმოშობას, „სისხლს“, რაც ყოველად შეუძლებელი იყო, რომ სოციალური უთანასწორობა გეაროვნულ ღირსებაზე, გვარიშვილობაზე ყოფილიყო დამყარებული. ჩვენი თვალსაზრისი კი ყველა შემოდ ჩამოთვლელს ვასაგებს ხდის, რომ ძველად ფასი ქონდა ადამიანის პირად თვისებას, განსაკუთრებით სამხედრო ნიჭს, უნარს და არა „გვარიანობას“, ამის სხვათა შორის ადასტურებს ისიც, რომ დიდ მოხელეთა (მთავართა და თავადთა) შესამჩნევ ნაწილს სრულიად „უგვარო“, უთვისტომო, უცხო ქვეყნიდან შემოიხზნული, „ერთგული სამსახურისათვის“ (სამხედრო სამსახურისათვის), „აღზეებულნი“ პირები შეადგენდნენ (მხარკებლნი, ციციშვილები და მრავალი სხვა).

3) ჩვენი თვალსაზრისი მშვენიერად ხსნის აგრეთვე ქართველების სოციალურ ცხოვრებაში ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას—პატრონი-ყმობას. სამხედრო წრის ფუნქციას ქვეყნის დაცვა, მფარველობა ანუ, როგორც იტყვოდნენ, „პატრონობა“ შეადგენს (აქ პატრონი=მფარველს). ამ საზოგადოებრივ ფუნქციისათვის ის ვასამრჩელოს—ბეგარას—ღებულობს. დროთა განმავლობაში ქვეყნის „პატრონი“=მფარველი იქცევა ქვეყნის „პატრონიად“=მესაკუთრედ („პატრონი“ აქ უკვე მესაკუთრეს ნიშნავს). მფარველი—პატრონი ხდება პატრონი—მესაკუთრე. „პატრონი-ყმობა“ იქცევა „პატრონი-ყმობად“.

4) თუ არა ჩვენი თვალსაზრისით, შეუძლებელია სხვა რამით აიხსნას ის გარემოება, რომ შთიულებს საგვარეულო წყობილება უკანასკნელ დრომდე შერჩათ. მაგალითისათვის დავასახელებთ ხევსურებს. აქ საგვარეულო წყობილება დღემდის არსებითად ხელუხლებელი ყოფილა, კლასიურ დანაწილებას ჯერ არ ქონია ადგილი (ყურნალი „Новый Восток“, 1928 წ. წიგ. 20—21, „Хевсурა“). მიზეზი: ბუნებრივი პირობები ხელს უშლიდნენ აქ იმ პროცესის (შრომის საზოგადოებრივი განაწილების) განვითარებას, რომელსაც ბარში ქონდა ადგილი.

5) ჩვენ შეხედულებას ადასტურებს შემდეგი გარემოებაც. „ქართული სამართლის ისტორია“, 1928 წ., მეორე წიგ. გვ. 61-ში ვკითხულობთ შემდეგს: „საყურადღებოა, რომ საქართველოშიც „ლაშქარ“-ში ყოფნა და სამსახური მართო მოქალაქობრივი მოვალეობა-კი არ იყო, არამედ საპატიო და საამაყო უფლებად ითვლებოდა ყოველი კეთილშობილი ადამიანისათვის. ისეც-კი ყოფილა, რომ როდესაც დამნაშავეს მოქალაქობრივი დასჯა სურდათ, მაშინ მას თურმე სწორედ ამ უფლებას ჩამოართმევდნენ ხოლმე. ამის შესახებ პირდაპირი ცნობა მოიპოვება“ (ხაზი ავტორის).

ამრიგად ლაშქარში, სამხედრო სამსახურში ყოფნა კეთილშობილთა, მაღალი კლასის საპატიო უფლება ყოფილა, დაბალ კლასს, გლეხებს ასეთი უფლება, სწანს, არ ქონიათ.

ამის გარდა ივ. ჯავახიშვილს მოყავს მრავალი იმის უამრავი მსჯელობები, რომ „ლაშქარნი“ ანუ „სპანი“ იხმარებოდა როგორც „სპანის“ მალაქა გავლენიან წრის აღსანიშნავად. თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით გიორგი III-ის დროს საქართველოში მშვიდობიანობა ყოფილა. ასეთი მდგომარეობა მეტად მოსწყინდათ ლაშქართ და დიდებულთ, „ულონო იქმნეს ლაშქარნი და დიდებულნი“ და მოახსენეს მეფეს: „არ არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“—ო (დასახ. თხზ. გვ. 57—58). „ცხადიო—ასკენის ი. ჯავახიშვილი—აქ უბრალო ჯარზე-კი არა აქვს ისტორიკოსის საუბარი, არამედ რომელიღაც მალაქა და გავლენიან სამხედრო წრეზე, რომელსაც შეუძლია მეფეს გაუბედოს და თავისი წადილი მოახსენოს“ (იქვე). ლაშქარის, ჯარის ქვეშ აქ. ეკვს გარეშეა, მალაქი წოდება იგულისხმება. ბ) იგივე (თამარის ისტორიკოსი) აღნიშნავს, რომ თამარ მეფის დროს დიდებულების გაფიცვას მოყოლია უკუარო ხელისუფალთა დამხობა „ნებითა და თენვეითა ლაშქართა“—ო. „სრულებით ცხადიო—ასკენის აქაც ჯავახიშვილი—რომ „ლაშქარნი“ უბრალო ჯარს-კი არ ნიშნავს, არამედ „გუარიათ და დიდებულ“ ხელისუფლებას“ (გვ. 58). ვ) „ლაშქარი“ თამარ მეფის ისტორიაში მეფის თანაშეფიცულად და თანაშემწედ მოსჩანს, თამარი მათთან მოსალაბარაკებლად მოციქულებს აგზავნის და უბრძანებს „ფიცით მონდობას“. ლაშქარიც ემორჩილება მეფის ბრძანებას: „მოყვეს დიდებულნი ბრძანებასა პატრონისა“—ო... იგივე დასკვნა: „მაშასადამე, აქაც „ლაშქარნი“ „დიდებულთ“ მაგიერ არის ნახმარი და სრულებით უბრალო ჯარს არ ნიშნავს“ (გვ. 58). დ) სწორედ ამასვე ცხად-ყოფს მეფის კუროთხვის წესიც. მეფის კუროთხვეს ლაშქარი აუცილებლად თან ესწრება, მასაც დიდი პატივით ეპყრობიან (გვ. 59). ე) სიტყვა „ლაშქარის“ მნიშვნელობით იხმარებოდა მეორე სიტყვა „სპანიც“. თამარს არ სურდა პირველი საქმრო, მაგრამ დედოფალმა რუსუდანმა და სპათა აიძულეს თურმე. „აქაც რასაკვირველია, „სპანი“ უბრალო ჯარის აღმნიშვნელი არ არის: მხედრობა ამისთანა საქმეში როგორ გაერეოდა და აიძულებდა“—ო, ამბობს ჯავახიშვილი (გვ. 59—60). „საფიქრებელიაო—განაგრძობს ავტორი—„ლაშქარნი“ და „სპანი“-ც საქართველოს განსაკუთრებული გავლენიანი წრის აღმნიშვნელი ტერმინები იყვენენ“ (გვ. 60. ხაზი ავტორის).

ავტორის უკანასკნელი დასკვნა სრულებით სწორია. „ლაშქარნი“ და „სპანი“ სწორედ მალაქი წოდების აღმნიშვნელი ტერმინები ყოფილან. მაგრამ შეუძლებელია ეკვის შეტანა იმაშიაც, რომ ეს ტერმინები ჯარის, მხედართა წრის აღმნიშვნელი იყვენ. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გამოტანილი იქნეს: მხედრობა და მალაქი წოდება ამ დროს გაიკვივებულია, ერთი მეორეს გულისხმობს. სწორედ ამით აიხსნება ის გარეშეობა, რომელიც ი. ჯავახიშვილს ვერ გაუგია: „მხედრობა ამისთანა საქმეში როგორ გაერეოდა და აიძულებდა“...

ჩვენ ამით ვამთავრებთ ქართველ ტომებში სოციალური უთანასწორობის წარმოშობის საკითხის განხილვას. ყველა ზემოდ თქმულის შენდევ არც ისე გულუბრყვილოდ გვეჩვენება ქართველი მემკვიდრის—ლეონტი მროველის—მტკიც-

ბა, რომ ახნაურები ახონის (ალექსანდრე მაკედონელის მხედრობის შემდეგ) საქართველოში) მხედრობისაგან წარმოიშვნო. შემატყანეს ამ ცნობაში სწორადაა მოცემული ახნაურების წარმოშობის ძირითადი მომენტი, სახელდობრ ის, რომ ახნაურობის წარმოშობა მხედრობასთანაა დაკავშირებული.

სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოშობა ქართულ ტომებში

ივ. ჯავახიშვილის სამეცნიერო შრომა „Государственный строй древней Грузии и древней Армении“ მიძღვნილია, როგორც სათაფრიც გვიჩვენებს, უძველეს დროინდელ სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი საქართველოში და სომხეთში. ის ნაწილი, რომელიც კერძოდ საქართველოს ეხება, იკვლევს „სახელმწიფოებრივ წესობილებას, მეფის უფლების წარმოშობას, ტერიტორიულ დაყოფას და წოდებრივი განსხვავების საფუძვლებს“ (გვ. 5). გამოთქმა: სახელმწიფოს წარმოშობა-ს ავტორი ძალიან გაურბის, ან თუ ხმარობს ასეთ გამოთქმას, უკანასკნელ სიტყვას ფრჩხილებში სვამს (გვ. 146). მაგრამ ერთ ადგილას (გვ. 19) მაინც ლამაზაკობს გარკვეულად, რომ მისი გამოკვლევის საგანი „საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის და მეფის ხელისუფლების წარმოშობა“ არის.

თუ რა მიზანს ისახავდა პატივ. ისტორიკოსი თავის დასახელებულ გამოკვლევაში, ეს სწამს უკანასკნელის ბოლო სიტყვებიდან. ავტორს შოყავს ცნობილი გერმანელი მეცნიერის გ. ელინგის შრომიდან („თანამედროვე სახელმწიფოს სამართალი“) ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის გამორკვევა შეუძლებელია, ასეთის ცდა ყოველთვის მარცხით უნდა დამთავრდეს, ვინაიდან შეტად საეჭვოა, რომ სახელმწიფოს წარმოშობის პროცესი ყველგან ერთნაირი ყოფილიყო... ჩვენს ისტორიკოსს ასეთი „პესიმისტური დასკვნა“ უსაფუძვლოდ მიაჩნია. სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის გადაწყვეტა არც ისე შეუძლებელია თურმე, თუ „თავს დაეანებებთ ურდოების, ტომების და ოჯახების სახელმწიფოდ გადატყვევის მიზეზების ძებნას და დავეყრდნობით სახელმწიფოებრივი ტერმინალოგიის შესწავლას“ (გვ. 146). როგორც სოციოლოგებს მატრიარქატის უნივერსალობის გამოსარკვევად უდაო სამახური გაუწია ტერმინების ანალიზმა, ისე აქაც, „სახელმწიფოს «წარმოშობის» საკითხის გამორკვევის დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ტერმინალოგიის ანალიზს და მათზე დაკვირვებას შეიძლება მივუყუთვინოს“ (იქვე). ი. ჯავახიშვილიც ამ მეთოდით ცდილობს უშველოს იმ მტკივნეულ ადგილს, რომელიც სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში სახელმწიფო სამართლის ბურჟუაზიულ მეცნიერებაშია.

იყო თუ არა გაკეთებული რამე დასმული საკითხის (ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის) შესახებ ი. ჯავახიშვილის ზემოდ დასახელებულ შრომაში? ი. ჯავახიშვილი ამბობს, რომ ის პირველი ახდენს ამ დარგში გამოკვლევას, რამდენად მოცემული საკითხი „თითქმის სრულებით დაუმუშავებელი იყო“ (გვ. 3). საქართველოს არც ერთ ისტორიკოსს (ბროსსე, ბაქრაძე, თ. ჟორდანიას, ჯანაშვილი) არ მოუცია საქართველოს ძველი სახელმწიფოებრივი

წყობილების დამოუკიდებელი გამოკვლევა (ყველა „ქართლის ცხოვრებას“ მისდევდა), არც ერთი მათგანი „არ ცდილა ძველი საქართველოს ისტორიული ძეგლები სოციოლოგიური თვალსაზრისით შეესწავლა“ (გვ. 4—5). მართალია, საქართველოს ძველი სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ ქონიათ შრომა ბატონიშვილს ეახუშტა: „შესაეალი, ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ და ბატონიშვილს თეიმურაზს: „ისტორია ივერიისა“, მაგრამ, როგორც ი. ჯავახიშვილმ ამბობს, პირველ ნაშრომში სუსტად ყოფილა თურმე დაცული ისტორიული პერსპექტივა, კითხვა ეპოქების და მიხედვით არ ყოფილა შესწავლილი, მეორე კი, თუმცა იძლევა უძველესი ეპოქის დაახლოვებით სურათს, მაგრამ არაფრით არ ყოფილა დასაბუთებული, არაერთარ მასალებს არ ეყრდნობა თურმე (გვ. 3—4)...

ი. ჯავახიშვილმა თავის შემდეგ შრომებში: „ქართული სამართლის ისტორია“ 1919 წ. გამ., წიგ. I და იგივე 1928 წ., გამ. წიგ. პირველი და წიგ. მეორე, ნაკვ. პირ., საქართველოს ძველი სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ არსებითად ის აზრი განიმეორა, რომელიც მას თავის პირველ შრომაში ქონდა მოცემული.

ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს შეეხებ შემდეგ სხვა ისტორიკოსებიც: პროფ. გ. ნათაძე „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა“ 1925 წ. გამ., ნაწ. I, ს. კაკაბაძე „ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები“, 1924 წ. და Л. М. Меликсет-Бекოვ: „Введение в историю государственных образований Юго-Кавказа“, 1924 г.

ძირითად გამოკვლევას დასმულ საკითხში მაინც ჯავახიშვილის ზემოდ დასახელებული მისი პირველი შრომა („Гос. строй...“) წარმოადგენს.

ი. ჯავახიშვილი თავის გამოკვლევას იწყებს ანალიზით სტრაბონის ზემოდ მოყვანილი ცნობებისა აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ. სტრაბონის აღწერილობა ავტორის აზრით „საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილების ყველაზე უკეთესი აღწერილობაა, რომელიც შეიძლება დასაყრდენ პუნქტად, ბაზისად ვახდეს ამა თუ იმ შეცნიერული შეხედულება-დასკვნებისათვის“ (გვ. 7). სტრაბონის აღწერილობიდან ავტორს გამოყავს შემდეგი დასკვნები:

1. „მაშინდელი ქართველი საზოგადოების სოციალური წყობილების საფუძველს გვარი წარმოადგენდა“;
2. „მმართველობა და ხელისუფლება გვარში უხუცესის ხელში იყო“;
3. არსებობდა ცალკედ „სამეფო გვარი“, რომელიც „სეამდა შეფეს“, „ქართველი ხალხის სუერენს“;
4. „ცალკე გვარების მმართველობაშიც და სამეფო საგვარეულოშიც მოქმედებდა ერთი პრინციპი უხუცესობის“ (გვ. 9).

ამის შემდეგ ავტორი სხვადასხვა ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით ცდილობს გვიჩვენოს, რომ:

1. „მეფე საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირველ პერიოდში იწოდებოდა მამასახლისად, ე. ი. «ოჯახის, სახლის მამად», ასეთივე სახელწოდება („მამასახლისი“) ქონდა სხვა გვარების უფროსებსაც.

2. საგვარეულო ხელისუფლების შემდეგი აღმნიშვნელი ტერმინები: „მეფე“ და „ხელმწიფე“ — თავის ეტიმოლოგიური შემადგენლობით ნათესავია ბატონს, მზრდნებელს, ე. ი. წარმოადგენს ქართველი მეფის წარმოშობის და მის ხელისუფლების არადაშახსიათებელ თვისებას, ესენი შეიძლება იხმარებულყო, და კიდევაც იხმარებოდა, ყოველგვარი სხვა ხელისუფლების აღსანიშნავადაც“ (გვ. 9—15).

„მაშასადამეო — ასეცნის ავტორი ჩვენ ვხვდავთ, რომ მეფის სახელწოდებად უძველეს ეპოქაში იხმარებოდა იგივე სიტყვა, რომელიც გვარის მეთაურს ნიშნავდა. მეფის და გვარის მეთაურის სახელწოდებათა ასეთი იგივეობა ნათელსყოფს ჩვენთვის საქართველოში მეფის ხელისუფლების წარმოშობის ხასიათს, მის ორგანიზაციას ცალკე გვარებში ორგანიზაციის მსგავსად და საგვარეულო წყობილების, როგორც ძველ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძვლის, მნიშვნელობას“ (გვ. 13—14).

ჯერ კიდევ მართო იმ დებულებიდან, რომ „ცალკე გვარების მმართველობაშიც და სამეფო საგვარეულოშიც მოქმედებდა ერთი პრინციპი უზუცესობის“, — მართო ამ დებულებიდანაც უკვე აკეთებს ავტორი დასკვნას: „მაშასადამე, საქართველოში მეფის ხელისუფლება ჩამოყალიბებული იყო ყოველ ცალკე გვარში უზუცესის ხელისუფლების მსგავსად“ — ი. „აქიდან ჩვენ ვასკენითო — განაგრძობს ავტორი — რომ გვარი და საგვარეულო წყობილება უნდა ჩაითვალოს საფუძვლად არამც თუ სოციალური ცხოვრების, არამედ საქართველოში მეფის ხელის უფლების საფუძვლადაც“ (გვ. 9). სამეფო, ხელისუფლება და მთელი ადმინისტრაციული იერარქია „გაიზარდა სათემო-საგვარეულო ინსტიტუტებისაგან“ (გვ. 16). მთელი ადმინისტრაციული სისტემა დაფუძნებული იყო იმავე საფუძველზე, როგორც ჩვეულებრივი გვარის (გვ. 146).

ამის ემატება ისიც, რომ ყველა ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულები (სოფელი, ქალაქი, ოლქი და სახელმწიფოც) ატარებს სახელწოდებას „სახლი“...

ყველა ამის შემდეგ — ამაყად აცხადებს ავტორი თავის გამოკვლევის ბოლო სიტყვებში — „განა საჭიროა კიდევ დაისვას საკითხი ურდობის და ტომების სახელმწიფოდ გადაქცევის შესახებ? საგვარეულო წყობილებაში უკვე არის სახელმწიფო. სადაც არის საგვარეულო წყობილება, იქნებიან ეს ადგილ მაკვალი თუ მობინადრე ტომები, იქ უკვე არსებობს სახელმწიფო“ — ი. (გვ. 147).

ამასვე იმეორებს ი. ჯავახიშვილი თავის ახალ შრომებშიაც, მაგალ.: „გამოჩენილი ბერძენთა გეოგრაფის აღწერილობა და ქართული წყაროებისა და ტერმინების შესწავლა გვარწმუნებს, რომ იბერიის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებანი საგვარეულო წეს-წყობილებაზე ყოფილა დამყარებული“ („ქართველი ერის ისტორია“ 1928 წ., გვ. 154). „იბერიის უზენაესი მართველობის უფლება ერთს საგვარეულოს ეკუთვნოდა. ამ საგვარეულოს უფროსი წევრი, მაშასადამე მამასახლისი, იმავე დროს ქვეყნის მეფედ ითვლებოდა“ (იქვე). ან: „მე-1—6 ს.ს.-ში სამეფოს მთელი წეს-წყობილება და მეფისა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეების ხელისუფლება გვაროვნულ წეს-წყობილების

ნიადაგზე იყო აღმოცენებული და მამასახლისობიდან წაქმრეშვალზე განვითარდა“ („ქართ. საბ. ისტ.“ 1928 წ., გვ. 183) და სხ. ბიზნესმენები

ამავე აზრს იმეორებენ სხვა ისტორიკოსებიც. რამდენიმე სიტყვა ლ. მელიქსეთ-ბეკოვის შესახებ. თუ თვითონ ი. ჯავახიშვილი ერთხელად ეპყრობა თავის თეორიას, არ აკუთვნებს მას ჯერ უნივერსალურ მნიშვნელობას („რომ ამ დასკვნას—საგვარეულო წყობილებაში უკვე არსებობს სახელმწიფო, გ. ს.—უნივერსალური მნიშვნელობა შივაკუთნოთ, საჭირობ მოცემული თვალსაზრისით შესწავლილ იქნეს სახელმწიფოებრივი ტერიტორიალურად ყველა სხვა პირველადი სახელმწიფოებისაც“—ო. „Гос строй...“, გვ. 147),—ლ. მელიქსეთ-ბეკოვის აზრით აღნიშნულ თეორიას „უეჭველად უნივერსალური მნიშვნელობა აქვს (დასაბ. წიგნი, გვ. 22).

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ პროფ. გ. ნათაძე. უკანასკნელი მეტად საყურადღებო და სწორ დასკვნებს იძლევა, რაზედაც ჩვენ ქვემოთ შეეყრდებით, მაგრამ გაბატონებული თეორიის გაფლენისაგან, სჩანს, ჯერ კიდევ შთლიანად თავი ვერ დაუღწევია. პატივცემული ისტორიკოსიც ეთანხმება იმ გაბატონებულ შეხედულებას, რომ ქართველ ტომებს ოდესღაც (როცა ისინი მცირე აზიაში ცხოვრობდნენ) ძლიერი სახელმწიფო ქმნდათ შექმნილი, რომელიც უძლიერეს სახელმწიფოებს უწყლავდებოდა (გვ. 16). იგი, როგორც სხვებიც, უკუყვანოდ ღებულობს აგრეთვე სტრაბონის ცნობას იმის შესახებ, რომ I ს. ქართველებში არსებობდა მეფობა და მეფესაც მოსახლეობის განსაზღვრული პრივილეგიური წრე სვამდა (გვ. 63-65). და, რაც მთავარია, მეფის ხელისუფლება გ. ნათაძის აზრითაც მამასახლისის უფლებებიდან არის წარმომდგარი და გაზრდილი (გვ. 74-75).

არსებითად ასეთი შეხედულებებისა ს. ქაკაბაძეც. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელს სხვა ისტორიკოსებთან შედარებით მაინც დიდი ნაბიჯი აქვს წინ გადადგმული. პატ. ისტორიკოსის აზრით „ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის საფუძვლის ჩაყრაზე“ ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ „ქართველების ისტორიულ შიდა-ქართლში დამკვიდრების შემდეგ“ („ქართ. საბ. გენ. საქ.“, გვ. 1). ავტორმა კარგად იცის, რომ „თანდათან განსაზღვრულ კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ანაგებთა განვითარება“ შეიძლება მხოლოდ ქართველების საბოლოო ბინაზე დამკვიდრების შემდეგ (იქვე). მაგრამ სამწუხაროდ, ავტორი აქედან სათანადო დასკვნას არ აკეთებს, მხედველობიდან უშვებს იმ გარემოებას, რომ ერთი და ორი საუკუნე არ კმარა იმისთვის, რომ ერთმანეთისაგან სრულიად განცალკევებული ტომები უცხო ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ და მათში სოციალური, კულტურული და პოლიტიკური ანაგები თანდათან იქმნებოდნენ განვითარდნის, რომ ჩამოყალიბდეს ერთი მთლიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, მონარქიული სახელმწიფო...

ისტორიკოსების აღნიშნული შეხედულება გადმოტანილია საქართველოს ისტორიის ყველა სახელმძღვანელოებში. ამასვე ეხედებით კლასთა ბრძოლის ისტორიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოშიც: დ. გვახავა და ვ. ბახტაძე „კლასთა ბრძოლის ისტორია“ 1927. წ. გამ. (იხ. § 22).



რამდენად შეეფერება სინამდვილეს, რეალურ ისტორიულ-სოციალურ ვითარებას, რასაც ისტორიკოსები სტრაბონის დროინდელ საქართველოს შესახებ მოგვითხრობენ და, კერძოდ, რამდენად არის სწორი ის თეორია, რომელსაც ისინი ქართველ ტომებში სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობის შესახებ იძლევიან?

აღნიშნული თეორიის:

დებულება პირველი: ქრისტ. წელთაღრიცხვის დასაწყისს ქართველ ტომებში არის მეფობა, სახელმწიფო ხელისუფლება, სახელმწიფო.

დებულება მეორე: ამავე დროს საქართველოში არის საგვარეულო წყობილება, სოციალური უთანასწორობა არაა ჯერ ჩამოყალიბებული.

დებულება მესამე: სამეფო ხელისუფლებაც იმავე საფუძველს ეყრდნობა როგორც საგვარეულო წყობილება: 1) მემკვიდრეობის წესი, როგორც მეფის, ისე საგვარეულოს მეთაურის, ერთი და იგივეა, 2) ერთი და იგივეა სახელმწიფო, როგორც მეფის, ისე საგვარეულოს მეთაურის: მამასახლისი მეფესაც რქმევია და მამასახლისსაც—საგვარეულოს მეთაურს—მეფეს, ხელმწიფეს უწოდებდნენ თურმე, 3) სახელმწიფო—ადმინისტრაციული ერთეულებიც საგვარეულო წყობილების დროინდელ ტერმინს „სახლს“ ატარებენ.

დასკვნა: 1. „საგვარეულო წყობილებაში უკვე არის სახელმწიფო“ (პირველი და მეორე დებულებიდან) და 2. სამეფო ხელისუფლება, სახელმწიფო წყობილება საგვარეულო წყობილების ნიადაგზე წარმოიშობა. სახელმწიფოებრივი ხელისუფლება საგვარეულოს მეთაურის—მამასახლისის—გაზრდილი ხელისუფლებაა.

აქ, როგორც ვხედავთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველ დებულებას, სახელდობრ იმის მტკიცებას, რომ ქრისტ. წელთაღრიცხვის დასაწყისს საქართველოში უკვე იყო მეფის ხელისუფლება, სახელმწიფოებრივი წყობილება. სწორია ეს შეხედულება?

ამის სისწორეში ეჭვი ჯერ არავის არ შეუტანია. არამც თუ I ს.—ამაყად აცხადებს ქართველი ისტორიკოსი—ქრისტეს დაბადებამდეც ათეულ საუკუნეებით ადრე ქართველები (როცა უკანასკნელი მცირე აზიაში ბინადრობდნენ) უკულტურეს და „უძლეველ ერს“ წარმოადგენდნენ და უძლიერესი სახელმწიფოც ქონდათ შექმნილიო.

საბუთი?

მე-11 ს. ქრ. წ. ქართველთა ერთ-ერთი ტომი—მუსკები (მესხები)—იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ასურეთს ეცილებოდა, მის დაპყრობასაც კი ბედავდა. ასურეთის მეფეს ტიგლათ-პილასარ I-ს ამ მუსკებთან ომი ქონია და ისინი თავიანთ ხუთი მეფით დაუმარცხებია („ქართ. ერის ისტ.“ 1913 წ., გვ. 162, იგივე, 1928 წ., გვ. 17). ტიგლათ-პილასარი ამ შემთხვევაში, თურმე, მუსკების მეფეს იხსენიებს. ასევეა მოხსენებული, თურმე, ასურულ წარწერებში ქართველთა სხვა ტომების მეთაურებიც.

მხოლოდ ასეთივე საბუთი არსებობს I საუკუნის ქრისტიანულ მოგვითხრობას, რომ იბერიაში ოთხჯვარი მოსახლეობიდან პირველ წოდებას შეადგენდა ის, რომლისგანაც მეფეს სემდენო. ქართველთა ამა თუ იმ ტომების მეფეებს იხსენიებენ შემდეგ რომაელი მწერლებიც...

ამრიგად, ქრისტ. წელთაღრიცხვის დასაწყისს და მასზედ წინედ ქართველ ტომებში მეფის ხელისუფლების, სახელმწიფოებრივი წყობილების არსებობას ისტორიკოსები იმით ადასტურებენ, რომ უცხოელები იხსენიებენ ქართველ ტომების მეფეებს: ბერძნები—*βασιλεως* (ბაზილეუს), რომაელები—*rex* (რექს).

ჯერ ერთი, არავითარი უფლება არა გვაქვს ვთარგმნოთ ბერძნული „ბაზილეუს“ და რომაული „რექს“ ქართულ „მეფედ“. ბაზილეუსიც და რექსიც, როგორც ვიცით, პირველად სამხედრო უფროსს წარმოადგენდენ. ყოველ შემთხვევაში არავითარი სამოქალაქო ხელისუფლება მათ არ ჰქონდათ, არ ჰქონდათ არაფერი საერთო მეფის ხელისუფლებასთან (Л. Морган „Историческое общество“ СПб., 1900 г., 240-247).

მაგრამ ვსთქვათ, რომ ამ ტერმინებში უცხოელები არსებითად მეფეს გულისხმობდენ. ნიშნავს ვანა ეს იმას, რომ ქართველებში იყო მართლა მეფე, იყო სახელმწიფო ხელისუფლება?—თუ ბევრი მეცნიერ-პროფესორისათვის დღესაც გაუგებარი და წარმოუდგენელია იეთი ხალხის არსებობა, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება არ იყოს, თუ თანამედროვე ფრიად განათლებული ისტორიკოსისათვისაც შეუძლებელი აღმოჩნდა საგვარეულო და სახელმწიფო წყობილების ერთმანეთისაგან გარჩევა, თუ დღესაც პატ. პროფესორებს ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევიათ და ერთი მეორეში ურევენ გვიარის ბელმძღვანელს-მამასახლისს და მეფეს,—რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთ არევის ადგილი არ აქვს ძველ უცხოელ მწერალთა ცნობებშიაც? სრულიად სამართლიანად მიგვითითებს პროფ. ნათაძე, რომ „ბაზილეუსის და რექსის სახელს ბერძნები და რომაელები ადვილად აძლევდენ ხოლმე სხვიდასხვა მმართველებს. თვით ძველი მამასახლისებიც შესაძლოა ამ სახელით ყოფილიყვნენ მონათლულნი“—ო (გვ. 74), სწორედ რომ ასეა. ბერძნები, მაგალ., იხსენიებენ „ლაზების ბაზილეუს“ მე-5—6 სს., როცა ქართულ წყაროებით იქ ყოფილა მხოლოდ „ერისთავი ეგრისისა“ (საისტორიო კრებული II, გვ. 22-29, წერილი ს. კაკაბაძის). ბაზილეუსს უწოდებენ ბერძნები „საქართველოში მეფობის მოსპობის“ შემდეგაც (534 წ.) საბერძნეთში ჩასულ ქართველ მთავარს (იქვე, გვ. 21). აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: დიო კასიუსი (მე-2 ს. ქრ. შ.) იბერიის „მეფეს“ ფარსმანს სხვა მთავართა რიცხვში თვლის, მთავრებისაგან ვერ არჩევს (ს. კაკაბაძე, „ქარ. სახ. გენ. საკ.“, გვ. 81). სწინს უცხოელი მწერლები ურევენ ერთი მეორეში „მეფეებს“ და ქართველ ტომების მეთაურებს.

ამრიგად, ქართველ ტომებში სახელმწიფო ძალაუფლების არსებობის მტკიცება იმაზე დაყრდნობით, რომ უცხოელი მწერლები „მეფეებს“ იხსენიებენ, ყოველად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

თუ რა ფასი აქვს უცხოელების მიერ „მეფეს“ ხსენებას, ეს თვით ისტორიკოსების მიერ მოყვანილ ასურულ წარწერებიდანაც სჩანს: 1120 წ. ქრ. წ.



ასურეთის მეფეს ტიგლათ-პილასარს მუსკების ხუთი მეფე დაუმარცხებია. 837 წ. კი მეფე სალამანასარ II-ს ტაბალების (იბერების) ოკუპაციის შემდეგ ი-საგან საბჭოები მიუღია („ქართ. ერის ისტ.“ 1913 წ. გამ., გვ. 162—163, იგივე, 1928 წ. გამ., გვ. 17—18). გამოდის, რომ ქართველთა მარტო ორ ტომში 29 მეფე ყოფილა და, რამდენად ქართველი ტომები მარტო ორი კი არა, მრავალნი იყვნენ, უნდა დაუშვათ, რომ „ქართველი ერის“ „მეფეები“ ამ დროს ასობით ითვლებოდა.

ვგონებთ, რომ აქ კომენტარიები ზედმეტია. იმისთვის, ვისაც ვერ (თუ არ) გაუგია, რომ აქ მეფეზე და მეფობაზე, სახელმწიფოებრივ ხელისუფლებაზე ლაპარაკი ყოველად შეუძლებელია, ვისთვისაც ნათელი არაა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მხოლოდ საგეარეულოთა უბრალო მეთაურებთან და საერთოდ კი საგეარეულო წყობილებასთან,—მისთვის ყოველგვარი ახსნა-განმარტებაც ამის შესახებ ფუჭად ჩაივლის.

უცხოელ მწერალთა ჩვენებას (ამ შემთხვევაში) ვერ დავეყრდნობით. მაგრამ შეიძლება იყო ისეთი ქართველი ტერმინი, რომელიც საქართველოს „სამეფოს უზენაესი გამგის“ (ჯავახ.) აღმნიშვნელად იხმარებოდა?—ჩვენ საესებით უერთდებით ამ შემთხვევაში. ი. ჯავახიშვილის მტკიცებას, რომ „საქართველოს სამეფოს საქეთმპყრობელს“, თუ კი, რა თქმა უნდა, ის იყო, სხვა მოხელეებისაგან რამე განმასხვავებელი სახელი უნდა ჰქონოდა. ლეონტი მროველის სიტყვით მას „მცხეთის მამასახლისი“ უნდა რქმეოდა. მაგრამ ეს სახელწოდება ი. ჯავახიშვილს, სრულიად სამართლიანად, არ აქმაყოფილებს: არსებითად ასეთივე სახელწოდება ექნებოდა ჩვეულებრივ მამასახლისებსაცო (მამასახლისი ამა თუ იმ ქალაქის, დაბის თუ საგეარეულოს). „დაუჯერებელიაო—ამბობს ი. ჯავახიშვილი—რომ მცხეთისა მამასახლისის სახელის გარდა აღმოსავლეთ საქართველოს უზენაეს გამგეს თავისი განსაკუთრებული წოდებულება არ ჰქონოდა“ („ქართ. სამ. ისტ.“ 1928 წ., გვ. 171—172).

სწორედ რომ დაუჯერებელია. თუ კი არსებობდა „სამეფოს უზენაესი გამგე“, რომელიც უბრალო მამასახლისებისაგან—საგეარეულოს მეთაურებისაგან,—განიირჩეოდა, ეჭვს გარეშეა უნდა ყოფილიყო მისი აღმნიშვნელი საეციალური წოდებულება. ამაში პატივც. ისტორიკოსი საესებით მართალია.

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ასეთი წოდებულება სწორედ რომ არ ყოფილა. ასეთ განმასხვავებელ წოდებულებად, როგორც ჯავახიშვილიც აღნიშნავს, „ხელმწიფე“ შეუძლებელია ყოფილიყო. მაგრამ—ამბობს ჯავახიშვილი—„თუ გავიხსენებთ, რომ ქვეყნის უზენაესი გამგისა და ბერძნული «ბაზილევს»-ისა და სომხურს «თაგავორ»-ისა და არქა-ს ერთად ერთი აღმნიშვნელი ტერმინად და შესატყვისობად «მეფე» იყო, რომელიც თავდაპირველად «მეუფე»-დ გამოითქმოდა და იწერებოდა (იხ. მათე...მარკოზ და სხ...), ხანშეტ ტექსტებში ამ სახითვე გვხვდება. მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიის მეფეს თავდაპირველად საქვეყნო გამრიგე მოხელე და გვარის უფროსი მამასახლისებისაგან განსარჩევად აღბად «მეუფე მამასახლისი» ერქმეოდა, რომლისგან შემდეგში მარ-

ტივად «მეუფე» და შემდეგ მეფე წარმოსდგა» («ქართ. მწამწამტყეპი 1928 წ., გვ. 173).

ამრიგად, იბერიის გამგეს ალბად «მეუფე მამასახლისი» ერქმეოდა — გვიხსნის ავტორი. მაგრამ უკანასკნელს არაერთი საბუთი არ მოყავს იმისთვის, რომ ეს «ალბად» ცოტათი მაინც სარწმუნო გახადოს. ის მდგომარეობა, რომ სიტყვა «მეფე» მე-11 ს.-დან მონარქის წოდებულებას წარმოადგენდა, ან თუკინდ ის, რომ ეს სიტყვა გვხვდება მე-5 ს. სახარების თარგმანში (თუმცა მე-6 ს. ესტატე მცხეთელის მარტილობაში «ქართველი მეფე» მოხსენებული არ ყოფილა — ჯავახ.), — ეს გარემოება განა ამბობს რამეს იმაზე, რომ ის — სიტყვა «მეფე» — I საუკუნეშიაც იყო ხმარებაში და, რაც მთავარია, რომელიმე საგვარეულოს ან ტომის მამასახლისის დანართი წოდებულების აღმნიშვნელი ტერმინი იყო?

სრულებით არაერთი საფუძველი არა გვაქვს დაუშვათ, რომ I საუკუნეთველ ტომების რომელიმე მამასახლისის «დანართი წოდებულება» შესაძლებელია მეუფე თუ მეფე ყოფილიყო. პირიქით, გვატყვს სრული საფუძველი ვიფიქროთ, რომ ასეთი რამ წოდებულება საგვარეულო წყობილებაში, როცა სოციალური ჯგუფები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, როცა ჯერ კიდევ არ ქონდა ადგილი კერძო საკუთრებას, როცა არ არსებობდა საზოგადოებისაგან გამოყოფილი და მასზე მდგომი რაიმე ძალა, როცა საგვარეულო მეთაურებს არაერთი დამოუკიდებელი «ძალა», «ძალაუფლება» არ ქონდათ (იმაზე კიდევ ქვემოთ), — ასეთ პირობებში ისეთი წოდებულება, როგორც არის «მეფე» თუ «მეუფე» ან «ხელმწიფე», შეუძლებელია რომ ყოფილიყო. ჩვენ ამ შენთხევაში შეგვიძლია დავაყრდნობთ ისეთ ავტორიტეტს, როგორცაა ეს ცნობილი ენათმეცნიერი აკადემიკოსი ნ. მარრი. უკანასკნელი ი. ჯავახიშვილის «Государственный строй древней Грузии и древний Армении» — რეცენზიაში («Журнал Министерства Народного Просвещения» 1908 г., май месяц) არ ეთანხმება ავტორს იმაში, რომ «მეფე» და «ხელმწიფე» შესაძლებელია ხმარებულყოფი და კიდევაც იხმარებოდა ყველა სხვა ბელისუფლების აღმნიშვნელადაც. «მეფე» ანუ «მეუფე» — ამბობს მარრი — ნიშნავს რეალურად მფლობელს, მესაკუთრეს, «ხელმწიფე» კი — обладатель мощи или силы, первоначально, князь или воевода (ხაზი ავტორის). ეს ტერმინები ენათმეცნიერის აზრით ახასიათებენ ქართველ მეფის ხელისუფლებას «правом владения» და «правом силы». უკანასკნელნი წარმოადგენენ სრულიად «ახალ თვისებებს», რომელნიც ჩამოყალიბდნენ ახალ დამოუკიდებელ ტერმინებში: «მეფე» და «ხელმწიფე».

როგორც ვხედავთ, აკადემიკოს ნ. მარრის მიერ მოცემული ანალიზი ტერმინების «მეფე» და «ხელმწიფე»-ს სრულებით ადასტურებს იმ ჩვენ აზრს, რომ საგვარეულო წყობილებაში, პირველ საუკუნეს როცა საკუთრება და მფლობელობა (უკანასკნელი, როგორც ცალკე წრის თუ პირის უფლება) არ არსებობდა, როცა სამხედრო ძალა და ძლიერებაც მთელი საზოგადოების ხელში იყო და არა ცალკე წრის თუ პირის, — ამ დროს აღნიშნული ტერმინები («მეფე და «ხელმწიფე») დაუშვებელია რომ ყოფილიყვნენ.

ამრიგად, ტერმინების ანალიზი, რომელსაც პატივც. ისტორიკოსები გადა-
მწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ, მათ სასარგებლოდ არაფერს ვერ მოგვცემს.
ტერმინების ანალიზით სრულებით ვერ მტკიცდება ის, რომ პირველ საუკუნეს
ქართველ ტომებში სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია არსებობდა.

ვერ დავეყრდნობით ამ შემთხვევაში, როგორც ზემოდ დავინახეთ, უცხო-
ელთა ჩვენებასაც.

მაშ რა საბუთი რჩება ამ საკითხის შესახებ საქართველოს ისტორიკოსებს?

წესაძლოა რომელიმე ქართველ გვარის მამასახლისის ფაქტიური უფლებე-
ბის, მისი კომპეტენციის განზილვა-შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ ის თავის
უფლებებით არსებითად განსხვავდებოდა სხვა გვარების მამასახლისებისაგან,
რომ ის „ქართველი ხალხის სუვერენის“, „ჭვეყნის უზენაესი ბატონ-პატრონის“
უფლებებით იყო აღჭურვილი? ან, როგორც ერთი ისტორიკოსი ამბობს, რომე-
ლიმე ტომის მამასახლისები წესაძლოა „უკვე ისე მოქმედებენ, როგორც დამოუ-
კიდებელი ბრძანებელი“-ი?

„გადავდივართ რა კერძოდ მეუფე-მამასახლისის მოქმედების სფეროს შე-
სახებ კითხვაზე, საჭიროა განვაცხადოთ—ამბობს ი. ჯავახიშვილი, რომ შეუძ-
ლებელი ხდება ამ კითხვის საჭირო სისრულით გამოკვლევა. მასთან, მასალები
იძლევიან ისეთს ცნობებს, რომ იძულებული ვხდებით ვილაპარაკოთ იმაზე, რაც
არ შედიოდა მეუფე-მამასახლისის კომპეტენციაში, ვიდრე მის უშუალო მოქ-
მედების სფეროზე. ასე მაგალითად შეიძლება გამოჩვენდეს იქნეს, რომ სამხედ-
რო საქმე, ჯარის წინამძღოლობა, ისე მართლ-მსაჯულების საქმე, მეფის კომპე-
ტენციაში არ შედიოდა... ასე ხალხთაშორის კონფლიქტები და დავა ნეზობელ
სახელმწიფოებთან, სტრაბონის აღწერილობის თანახმად, არ შედიოდნენ მეფის
გამგებლობაში, მათ ქურუმები განიხილავდნენ და სწყვეტდნენ“-ო („Гос. строй...“,
გვ. 16—17. „ქართ. სამ. ისტ.“. 1928 წ., გვ. 183).

ე. ი. I ს. ქართველთა „მეფე“ მოკლებული ყოფილა ყოველგვარ უფლე-
ბებს სამხედრო საკითხებში, მართლ-მსაჯულების საქმეში და ნეზობელ სახელმ-
წიფოებთან ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებში. მართო ეს გარემო-
ებაც გვაძლევს უფლებას ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში სა-
ქმე გვაქვს „საქართველოს სამეფოს საქეთმპყრობელთან“, „საქართველოს უზე-
ნაეს გამგესთან“.

მართლაც, რა უფლებები უნდა დარჩენოდა ამ უკანასკნელს?

მაგრამ საქმეც იმაშია, რომ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვიფიქ-
როთ, რომ იმ საკითხებშიაც, რომელნიც „მეფე-მამასახლისის“ დარჩა, უკანასკნელი
„დამოუკიდებელი ბრძანებლის“ უფლებით სარგებლობდა. მართალია ი. ჯავახი-
შვილს დაუმტკიცებლად მიაჩნია იმ დროს (საგვარეულო წყობილების დროს)
საგვარეულო კრების ან საბჭოს არსებობა, მაგრამ ამაში ეჭვის შეტანა ყოველად
უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს. ვერ ერთი, რომ საგვარეულო კრებები საგვა-
რეულო წყობილების ნაშთებთან ერთად უკანასკნელ დრომდისაც იყო დარჩე-
ნილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. მთიულეებში ეს დღესაც არის შე-
ნახული. საგვარეულო კრებასთან ერთად აქ არის უხუცესთა საბჭოც (ხევსურე-

ბში მაგალ. „რჯული“. იხ. ზემოდ დასახელებული ჟურნალებში. მასეებით გასაგებიც არის. ყველა უამისოდ საგვარეულო წყობილების წარმოადგენს შეუძლებელია. ისტორიამ ასეთი მაგალითი არ იცის. მოგვეყავს პარველყოფლი საზოგადოების ცნობილი მკვლევარის ლ. მორგანის შრომიდან აღვღილი „საგვარეულოს წევრთა საბჭოს“ შესახებ: „საბჭო წარმოადგენდა თვალსაჩინო, დამახასიათებელ თვისებას ძველ აზიურ, ევროპიულ და ამერიკულ საზოგადოებისას მათი წარმოშობიდან ცივილიზაციამდე. ის იყო როგორც საზოგადოების მმართველობის იარაღად, ისე გვარში, ტომში და ტომთა კავშირებში უზენაეს ხელისუფლებად. ჩვეულებრივ საქმეებს წინამძღოლები სწყვეტდნენ, მაგრამ ყველაფერი, რასაც საერთო ინტერესი ქონდა, ვადასაწყვეტად საბჭოს კრებისათვის უნდა წარდგენილიყო.“ („Первоисточное общество“, გვ. 83).

რაკი ქართველ ტომებში საგვარეულო წყობილების არსებობა ისტორიკოსების მიერ უდავოდ ბრის ცნობილი, ისიც უნდა ვიცნოთ უდავოდ, რომ აქ საგვარეულო წყობილება შეუძლებელია პრინციპიალურად განსხვავებულიყო საერთოდ საგვარეულო წყობილებისაგან. უკანასკნელის მთავარ დამახასიათებელ მოვლენას—საგვარეულო საბჭოსაც—საქართველოშიაც უნდა ქონოდა აღვღილი და ეს, როგორც ზემოდ ვსთქვით, დასტურდება იმით, რომ საგვარეულო საბჭო შენარჩუნებულია მაგალ. მთიულეტში, ე. ი. იქ, სადაც გვაროვნული წყობილება უფრო დაცულია.

ესეც რომ არ იყოს, თვით უცხოელი მწერლებიც მიგვითითებენ ძველად ქართველ ტომებში ამ ინსტიტუტის არსებობაზე: მე-4 ს. ქრ. წ. ქსენოფონტე მოგვითხრობს მოსინიკებზე, სადაც ყოველგვარი ძალაუფლება თვით საზოგადოების, ტომის ხელში ყოფილა. სტრაბონიც აღნიშნავს: სვანებს შეფესთან ერთად 300 კაციისაგან შემდგარი საბჭო ყავდათო („Гос. строй...“, გვ. 28—29).

რომ მოსინიკები და სვანები ქართველ ტომებში გამონაკლისს არ შეადგენდნენ, ეს ნათლად სჩანს „ქართლის ცხოვრება“-დან ი. ჯავახიშვილის მიერვე მოყვანილ ერთ ცნობიდან: ვინმე ქაიხოსროსაგან უცუქცეული თურქები მოსულან მცხეთას, გაუმართავთ მოლაპარაკება მცხეთის მამასახლისთან და აღუთქვამთ მისთვის სპარსელების წინააღმდეგ დახმარება, ხოლო მცხეთის მამასახლისს მიუმართავს „ყოველთა ქართველთა და მათ მოისურვესო“ („Гос. строй...“, გვ. 11—12). აქედან ნათლად სჩანს, რომ ასეთი საკითხის თავის ნებით გადაწყვეტის უფლება „ქართველ ხალხის სუვერენს“ არ ქონია. უკანასკნელი თურმე აუცილებლად უნდა დაკითხოდა ხალხს. მაგრამ ამისათვის კი, როგორც პროფ. ნათაძე სამართლიანად ასკვნის, სახალხო კრება ან საბჭო უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში ერთი მაინც აშკარაა: მცხეთის მამასახლისიც, როგორც საერთოდ ყველა დანარჩენი მამასახლისები, ხალხზე ყოფილა მთლად დამოკიდებული. არც ერთს მამასახლისს გვარის თუ ტომის სახელით ლაპარაკის და მოქმედების უფლება არ ქონია.

ამ აზრს, სხვათაშორის, ადასტურებს ისტორიკოს თეიმურაზის მოწმობაც: „საზოგადოება ერისა თვით განაგებდა ყოველთა საქიროებათა ქვეყნისა მათისა მმართველობისა, არ უვიდოდათ მათ მეფე, არცა მთავარი, მხოლოდ მამასახ-

ლისნი“. „ვერა ძალ-ეღვით მამასახლისთა (მათში ივულისხმებენ ქვეყნის მამასახლისი(ც) თავით თვისით გარდახდევინება დამნაშავეთა ღიჭქმად... ვიდრემდის არა წარიდგინებოდენ იგინი საზოგადოსა ერისა შეკრებილებისა შინა“. „ეგრეთვე ვერცა ძალეღვით ესე მამასახლისთა, რათამცა საჭიროებისათვისა თავის ქვეყნისა დაუკითხავად საზოგადოებისა შეეკრიბათ თეთრი (ე. ი. ვერცხლი) ანუ სხვა რაიმე ნივთი სახმარად მხედრობათა, გინა სახმარებისათვის სხვისა რასამე საზოგადოსა“ (ისტორია, 1848 წ., გვ. 49—50). მართალია, ი. ჯავახიშვილს თეიმურაზის ზემოდ მოყვანილი სიტყვები დაუსაბუთებლად მიაჩნია, რადგანაც მითითება წყაროებზე არ არის, მაგრამ დაუჯერებელია, რომ ყველაფერი ეს თეიმურაზის (ან ვინმე სხვის) მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი იყოს. ასეთ ცნობებს რაიმე საფუძველი უნდა ჰქონოდა. და, რაც მთავარია, თეიმურაზის ეს ცნობები, როგორც ეს ზემოდ ვნახეთ, სწორედ რომ შეეფერება ამ საკითხის შესახებ არსებულ მასალებს.

თეიმურაზი უარყოფს აგრეთვე ყოველგვარ ისტორიულ კავშირს მამასახლისობასა და მეფობას შორის. უკანასკნელნი ისტორიკოსის აზრით მმართველობის ორს, სულ სხვადასხვა, ფორმას წარმოადგენენ. მამასახლისობა ეს „არს საზოგადო ერის-მმართველობა“, მეფობა კი—თვითმპყრობელობააო, მოგვითხრობს იგი (გვ. 48).

მამასახლისობასა და მეფობას შორის დემარკაციული ხაზი გაყავს ძველ ქართველ მემკვიდრე ლეონტი მროველსაც. არაეინ არ იყო ქართველთა შორის უწარჩინებულეს და უსახლოვანესო—ამბობს ლეონტი მროველი—არამედ ადგილადგილად თავადნი (მეთაურნი) იჩინიან და მათ მამასახლისი ერქვით და არა მეფე ან ერისთავიო... აქ მეფე და ერისთავი დაპირისპირებულია მამასახლისს, ხაზია გასმული: პირველნი სულ სხვა არიან და მეორე კი სულ სხვა იყოო. პრინციპიალური, მეტად არსებითი განსხვავება უნდა ყოფილიყო მათ შორის, რომ მემკვიდრეობის მას მოეღწია და იმასაც ამაზე ასე გადაჭრით მიეთითებინა.

შემდეგ ერთი ფაქტიც. ქსენოფონტეს (მე-4 ს. ქრ. წ.) აწერილია აქვს ქართველთა ერთი ტომი მოსინიკების (კოლხიდაში). აწერილია სხვათა შორის მათი „მეფეც“ (ბაზილეუს). უკანასკნელს რეზიდენცია ჰქონდა თურმე „სატახტო ქალაქნი“ მალღობზე აშენებულ ხის კოშკში. აქ უნდა დარჩენილიყო მუდმივად. მას საზოგადო ხარჯზე ინახავდენ და იცავდენ. „ეს მეფეო—გვიხსნის ჯავახიშვილი—არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ მონარქს: საზოგადოება ანუ ტომი თამაშობდა კიდევ მეტ როლს. მეფეს მაგალითად წართმეული ჰქონდა უფლება დაეტოვებია თავისი ადგილი, საზოგადოება იცავდა მას და ინახავდა თავის ხარჯზე. არსებითად ყოველ მოსინიკებზე ძალაუფლება ეკუთვნოდა არა მეფეს, არამედ იმ ტომს, სადაც იგი ირიცხებოდა“—ო („Гос. ციფრ...“ გვ. 28—29).

აი დაბასიათება ერთ-ერთი „სუვერენის“, „ქვეყნის უზენაესი მმართველის“, გადმოცემული თვითი ჯავახიშვილის მიერ.

ბოლოს, საქმე გვაქვს ერთ საინტერესო მოვლენასთან. როგორც ისტორიკოსები მოგვითხრობენ, მე-6 ს. საქართველოში „მეფობა“ ისპობა და ქვეყნის აზნაურები უფლებიან, სანამ მე-11 ს. ისევ არ აღადგენენ მეფობას. ისტორიკოსე-

ბი ამ მოვლენას — „მეფობის მოსპობას“ — უბრალოდ ხსნიან: ეფექტის სპარსელებს ნება არ მიეცეთ ქართველებისათვის მეფე ყოლოდათ. გიგლიძისთვის

ყოფილა რამე ამის მზგავსი ისტორიაში? შესაძლებელია განა, რომ სპარსელების ბრძანებით ქართველ ტომებში მეფობა მოსპობილიყო და ასეთი მდგომარეობა ხუთ საუკუნეს ვაგრძელებულიყო.

საგვარეულოს მეთაურებსა და საგვარეულოს დანარჩენ წევრებს შორის ურთიერთობის შესახებ სწორ შეხედულებას გვაძლევს პროფ. ვ. ნათაძე. იმის საბუთის, რომ გვარის მამასახლისები დამოკიდებულნი უნდა ყოფილიყვნენ გვარის თავისუფალ წევრებისაგან, ვ. ნათაძე სხვათაშორის იმაში ხელდას, რომ მამასახლისის ამ დროს თავისი შეიარაღებული, ხალხისაგან გამოცალკევებული ძალა არ ყოფდა, რამდენად ჯარს, შეიარაღებულ ძალას მთელი საზოგადოება შეადგენდა (გვარის თითოეული წევრი მეურნეც იყო და მეომარიც). „არც ერთ ხელისუფლებას არ ქონდა უძველეს დროში რაიმე დიდი უფლება თავისუფალ ხალხზე“, აღნიშნავს სრულიად მართებულად პროფესორი, ან „ხალხზე მათ (თანამდებობის პირებს, ვ. ს.) არავითარი უფლება არ აქვთ“ (გვ. 60, 62).

მოუხედავად ყველა ამისა, ნათაძე მაინც გაბატონებული შეხედულების გავლენის ქვეშ იმყოფება. რაც გინდ „სიტყვაძვირობას ამჩნევდეს“ ის, მისთვის მაინც ფაქტია, რომ პირველ საუკუნეში „მცხეთის გამგე უკვე მამასახლისი აღარ არის, არც კახეთის გამგეა“. ის უკვე მეფე არის. ავტორისათვის, მართალია, მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომ უცხოელები მცხეთის მამასახლისს მეფეს უწოდებენ (ასეთს სახელწოდებას ისინი ადვილად აძლევენ თურმე სხვადასხვა მართებულს). მაგრამ თურმე „მნიშვნელოვანი უმთავრესად ის არის, რომ ესენი (მცხეთის მამასახლისები, ვ. ს.) ისე მოქმედებენ, როგორც დამოუკიდებელი ბრძანებულნი, თუმცაო — იქვე გვიხსნის ავტორი — მათი უფლება ჯერ არ არის იქამდის გაზრდილი, რომ მათ უწოდოთ მეფე იმ აზრით, რა აზრითაც ქართველობა შემდეგში ხმარობდა მას“ (გვ. 74). გამოდის, რომ, ერთის მხრივ, ყოფილა მეფე, მეორეს მხრივ კი, ამ მეფეს იმდენი უფლებები არ ჰქონია, რომ მას უწოდოთ მეფე ამ სიტყვის ჩვეულებრივი (ისტორიულად ცნობილი მეფის) მნიშვნელობით.

მაშ, აბა რად უნდა უწოდოთ მეფე?

რომ უფრო გაბედულად გადაედგა ნაბიჯი პატივც, ნათაძეს, მას უნდა ეთქვა პირდაპირ: I საუკუნეს არავითარი მეფე და მეფის ხელისუფლება არ იყო. მაგრამ ასეთ გადამჭრელ ნაბიჯს, იგი უფრთხილდება, პირიქით, ცდილობს დასაბუთოს, რომ მცხეთის მამასახლისები მოქმედებდნენ, როგორც „დამოუკიდებელი ბრძანებულნი“.

რაში გამოიხატება ეს დამოუკიდებელი ბრძანებლობა?

„პომპეუსის წინააღმდეგ კახეთში არტაგი მოქმედობს და თავის მოქმედებაში სრულიად თავისუფალია“ — იო, ამბობს ავტორი. მაგრამ რით მტკიცდება, რომ არტაგი თავის მოქმედებაში სრულიად თავისუფალი იყო, დამოუკიდებლად ბრძანებლობდა? — „აქ არა სჩანს სხვა წარჩინებულნი, რომელნიც მეფესთან ერთად აწარმოებდნენ ბრძოლას ან მოლაპარაკებას“ — იო, გვიპასუხებს ავტორი. მაგრამ განა ეს



უკანასკნელი გარემოება რამეს ამტკიცებს? ის გარემოება, რომ უკუხედავთ, მწერალს მარტოდ არტაგი შეუმჩნევია, ან თუ სხვაც შეამჩნია, მათი ხსენებები უკუხედავთ უცნია. — განა მარტო ეს გარემოება გვაძლევს უფლებას ვამტკიცოთ, რომ არტაგი სრულიად დამოუკიდებლად ბრძანებლობდა? განსაკუთრებით, იმის შემდეგ რაც ჩვენ ქართველთა „მეფეების“ უფლების შესახებ ზემოდ ვილაპარაკეთ, ვგონებთ, ამის მტკიცების საფუძველი არა გვაქვს. ასეთი მტკიცება ეწინააღმდეგება თვით ისტორიკოსების მიერ უდავოდ მოცემულ ცნობებს. როგორც ი. ჯავახიშვილი გვიხსნის და ვ. ნათაძეც მას ეთანხმება (გვ. 61), სამხედრო საქმე, მართლ-შედასაჯულება და შეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხები I ს. „ქართველი მეფის“ კომპეტენციაში არ შედიოდა. შესაძლებელია განა წარმოვიდგინოთ, რომ ასეთი „მეფის“ პომპეუსის წინააღმდეგ ბრძოლაში სრულიად დამოუკიდებლად ემოქმედნა?

დასასრულ, ჩვენ შევჩერდებით კიდევ ერთ საკითხზე. როგორც ვიცით, ქართველების ეროვნულ გაერთიანებას არ ქონია ადგილი მათი პირვანდელ სამშობლოში, მკირე აზიაში. ქართველ ტომებს აქ არ შეუქმნიათ უბრალო დროებითი (შეტყვევითი და თავდაცვითი) კავშირიც. მას შემდეგ კი, როცა ქართველი ტომები აქედან აიყარნენ, ისინი კიდევ მეტად უნდა დაშორებულნიყვნენ ერთმანეთს: ტომები მოდიოდნენ ერთი-მეორეს ძლიერ დაშორებულნი და სხვადასხვა დროს მოუღწევიათ თავიანთ საბოლოო ბინისათვის, ეხლანდელ საქართველოსათვის. თვით ერთად, ერთ რაიონში მოსულ და დასახლებული გვარებიც (მაგალ. მცხეთის რაიონში მე-2 ს. მოსული 18 სახლი) სხვადასხვა კულტურული და ლინგვისტიური თვისების ნატარებელნი ყოფილან (ს. კაკაბაძე „ქარ. სახ. გენ. საკ.“ გვ. 118.) ყველა ამას უმეპეღად დიდი მნიშვნელობა უნდა ქონოდა შემდეგში ქართველების ეროვნული გაერთიანების საქმეში. საქართველოში გადმოსახლებისას — ანბობს ვ. ნათაძე — ტომები კარდასშულად ცხოვრობდნენ და სამტრო განწყობილება თუ არა, სამოყვრო არასოდეს არ ქონდათ (გვ. 47, 58). ან როგორც თვით ი. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, ქართველები პატარ-პატარა ტომებად ყოფილან დანაწილებული და ეროვნული შემეცნებაც „თითქმის დაკარგული“ ქონათ („ქარ. ერის ისტ.“, 1913 წ., გვ. 166 — 167, იგივე, 1928 წ., გვ. 25). და ასეთი მდგომარეობა იყო მანამდე, „ვიდრე საერთო ინტერესები ვაქრობის ორგანიზაციის ნიადაგზე ხელახლა (!) არ შემუშავდა“ თურმე (ნათაძე, გვ. 58). რამდენი ხანი დასჭირდებოდა ტომებს შორის მტრობის მაგივრად ვაქრობის ორგანიზაციის ნიადაგზე საერთო ინტერესის, „ეროვნული ნებისყოფის“ შემუშავების, ეროვნული გაერთიანების პროცესს? თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ქსენოფონტეს დროს (მე-4 ს. ქრ. წ.) მრავალი ქართველი ტომები ეხლანდელ საქართველოს ტერიტორიას არც კი იყვნენ მიღწეულნი, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ქართველ ტომების ერთ უფრო მნიშვნელოვან ნაწილს — 18 სახლს — მცხეთის რაიონისათვის მხოლოდ მე-2 ს. (ქრ. წ.) მოუღწევია, მაგრამ ეს სახლებიც პირველ საუკუნეშიც არ ყოფილან დამკვიდრებულნი თავიანთ საბოლოო ბინაზე, დალაგებულნი თავთავიანთ ადგილზე (ს. კაკაბაძე „ქარ. სახ. გენ. საკ.“ გვ. 18) და, მაშასადამე, ამ ნიადაგზე მათ

შორის შეხლა-შემოხლას, მტრობას შეუძლებელია რომ ამ დროსაც არ ქონოდა ადგილი, — თუ მივიღებთ მხედველობაში ამ გარემოებათ, მაშინ მხოლოდ მხეცვოდ უნდა მოგვეჩვენოს, რომ აღნიშნული პროცესი ქრისტ. წელთაღრიცხვის დაწყებისას ყოფილიყო, დამთავრებული, მით უმეტეს, რომ საქართველოში ვაქრობის განვითარებაზე ლაპარაკი სწორედ მხოლოდ I ს-დან — რომაელების შემოსვლიდან — შეიძლება.

ამგვარად, ვფიქრობთ, საკმაოდ ნათელეყავით ის გარემოება, რომ ქრისტ. წელთაღრიცხვის დასაწყისს ქართველ ტომებში არავითარ მეფობას, მეფის ხელისუფლებას, არავითარ სახელმწიფო ორგანიზაციას ადგილი არ ქონია. პირდაპირ ამსურდად უნდა ჩაითვალოს, როცა ლაპარაკობენ ამდროინდელ „ქვეყნის საკეთილშეკრებელზე“, „ქართველი ხალხის სუვერენზე“ და სხვა ამგვარ რამებზე.

რაკი ისტორიკოსების ეს მთავარი დებულება დაირღვა, გცდება საფუძველი იმ დასკვნებსაც, რომელნიც ამ დებულებაზე არიან აშენებულნი. სახელდობრ, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია შეხედულება, რომ 1) „საგვარეულო წყობილებაში უკვე არის სახელმწიფო“, 2) სახელმწიფოებრივი ხელისუფლება საგვარეულოს მეთაურის გაზრდილი ხელისუფლებაა... ასეთი დასკვნებისათვის პატივც. ისტორიკოსებს არავითარი საფუძველი (გარდა მათი ცარიელი განცხადებისა) არ რჩებათ.

(დავერჩა ი. ჯავახიშვილის ერთი „საბუთი“: სახელმწიფოებრივი-ადმინისტრაციული ერთეულები საგვარეულო წყობილების დროინდელ სახელწოდებას იტარებდნო. ეს სწორია. ამას დღესაც აქვს ადგილი, მაგალ. სოფლების სახელწოდება. მაგრამ ასეთი სახელწოდება შესაძლებელია დარჩეს მომავალშიაც, როცა სახელმწიფო სრულებით არ იქნება. ეს გარემოება არაფერს ამბობს სახელმწიფოს და საგვარეულო წყობილების იგივეობის შესახებ).

ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ ისტორიკოსების მიერ მოცემული თეორია არ ეყრდნობა არავითარ ისტორიულ მასალებს. ამიტომ იყო, რომ აკადემიკოსმა ნ. მარჩმა ი. ჯავახიშვილის წიგნის ზემოდ დასახელებულ რეცენზიაში გამოკვლევის ავტორს ვარკვეულად მიუთითა, რომ მისი მთავარი ზოგადი დასკვნა: საგვარეულო წყობილება საფუძველია სახელმწიფოს წყობილების, — არის დებულება, რომელიც „დასაბუთებულია აბსტრაქტით ეორიულად, ვიდრე კონკრეტ-ისტორიულად“ — ი (ხაზი ჩემია. გ. ს.). პატ-მა აკადემიკოსმა კარვად შეამჩნია და ვარკვევითაც გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ „наблюдается пристрастие г. Джавахова к отвлеченности не только к абстрактному построению, но и абстрактной аргументации с дозой пренебрежения к реальным фактам, с пониженной энергией в их выяснении“.

1905 წ. „Государств. строй древ. Грузии и др. Армении“-ში გამოთქმული შეხედულების კონკრეტ ისტორიულ მასალებით დასაბუთებისათვის პროფ. ჯავახიშვილს თავის შემდეგ შრომებში არსებითად არაფერი არ გაუცუთებია. არ მოუციათ არაფერი ამ მხრივ სხვა ისტორიკოსებსაც, ასე რომ აკადემიკოს ნ. მარჩის ზემოდ მოყვანილი სიტყვები ძალაში რჩება დღესაც (და არამც მა-

რტო ი. ჯავახიშვილის მიზართ) იმ შესწორებით, რომ საქმე განვიხილავთ თუ „დოხასთან“, არამედ კონკრეტ ისტორიულ ფაქტების შესახებ ვეჭვობთ. ვეჭვობთ ახვევისთან, მათი სრულიად უყურადღებოდ დატოვებასთან...

ყველა ზემოდ თქმულის შედეგ, ეგონებო, გვაქვს უფლება ვეკითხოთ, თუ როგორ შესძლო ასეთ ყოყლად დაუსაბუთებელმა, აშკარა რეაქციონერმა თეორიამ სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ გაბატონებულიყო საქართველოს ისტორიის მეცნიერებაში? როგორ მოხდა, რომ ამ „თეორიის“ შესახებ დღემდის სიტყვა არავის არ დაუძრავს?

(ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხს შეეხებენ გაცივრით საქართ. სოც.-ფედერალისტთა მეთაური არ. ჯორჯაძე და საქართ. მენშევიკების ლიდერი ნოე ჟორდანიანი ეროვნული საკითხის გარშემო წარმოებულ კამათია დროს. იხ. არ. ჯორჯაძე: თხზულებანი, წიგ. პირ. და ნ. ჟორდანიანი: რჩეული ნაწერები, 1911 წლ. გამ. აქ აღსანიშნავია ერთი რამ: ბ. ჟორდანიანი იცის, რომ უკლასო საზოგადოებაში, ქართველებში I ს., სახელმწიფო შეუძლებელია არსებულიყო. მაგრამ ამასთანავე ის სრულებით ეთაბმება საქართველოს ისტორიკოსებს იმაში, რომ ამ უკლასო საზოგადოებაში (I ს. ქართველ ტომებში) შეეძლო, შეეძინა ხელისუფლება არსებობდა. გვ. 676. მეტიც: მისი აზრით ერისთავების ხელისუფლება (ე. ი. ფეოდალური წყობილება) ქართველ ტომებში ყოფილა ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე სამი საუკუნით აღრ. გვ. 20).

ჩვენ დავამთავრეთ ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის გაბატონებული თეორიის კრიტიკული განხილვა. ებლა ისმება საკითხი: როდის და როგორ წარმოიშვა და ჩამოყალიბდა ქართველებში სახელმწიფო ორგანიზაცია? აქ ჩვენ უსათუოდ უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში ვინყოფებით, ვიდრე კლასების წარმოშობის საკითხის გამოკვლევის დროს, ვინაიდან ამ საკითხის (სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის) გადასაჭრელად უდავო ისტორიული მასალები მოგვეპოვება.

ქართველი ტომები ისტორიაში ცნობილია (ასტრულ წყაროებიდან) მე-11 ს-დან ქრ. წ. მე-11 საუკუნეს ქართველებს მცირე აზიაში (კაბადოკია და პონტოს მახლობლად) უცხოვრიათ. როგორც ისტორიულ წყაროებიდან სჩანს, ქართველი ტომები აქ ცხოვრობდნენ ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, მათ არ შეუქმნიათ არამც თუ მუდმივი ფედერაცია (როგორც, მაგ. მორგანმა ნახა იროკუზებში), არ ქონდათ ურთიერთშორის დროებით თავდაცვითი და შეტევითი კავშირიც. მუსკები, მაგ., რამდენიმე ნაწილად ყოფილან დაყოფილი. ისინი ერთობლივ მოქმედობდნენ, როგორც ი. ჯავახიშვილი ამბობს, მხოლოდ მაშინ, „როცა საჭირო იყო ხოლმე“ (ქართ. ერის ისტ. 1928 წ., გვ. 17). ან ტაბალების ოცდაოთხი ცალკე ნაწილები „როცა საჭირო იყო ხოლმე, ერთმანეთს მხარს უჭერდნენ“ (იქვე, გვ. 19). აქედან სჩანს, რომ კავშირი, ისიც შემთხვევითი ხასიათის, აუცილებელ საჭიროების დროს, ყოფილა ცალკე ტომების ნაწილებს შორის და არა თვით ტომებს შორის.

იმას შემდეგ, რაც ქართველი ტომები პირიდანდელ სამხრეთ-დასავლეთურ კავკასიანენ, ისინი უფრო უნდა დაშორებულნი იყვნენ ერთმანეთს, რადგანაც წამოსულან სხვადასხვა მიმართულებით და სხვადასხვა დროს. ეხლანდელ საქართველოს ტერიტორიას ესენი მე-4 ს. ქრ. წ. არ ყოფილან მიღწეულნი, მათი ერთ უფრო მნიშვნელოვან ნაწილს მცხეთის რაიონისათვის მხოლოდ მე-2 საუკ. ნიუღწევია. ამ დროს ქართველები, როგორც ამაზე ზემოდაც გვქონდა ლაპარაკი, მეტად პატარა-პატარა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ტომებად ყოფილან დანაწილებულნი და მათ „ეროვნული შემეცნების“ მსგავსი რამ შეუძლებელია რომ ქონებოდათ.

შემდეგი ცნობა ქართველების შესახებ სტრაბონის დროს ეკუთვნის. ამ დროს ყველა ქართველი ტომები უკვე დამკვიდრებული არიან ეხლანდელ საქართველოს ტერიტორიაზე. მაგრამ ცხადია, რომ დამკვიდრების პროცესი არც ისე დიდი ხნის დამთავრებული უნდა ყოფილიყო. ამიტომ გასაგებია, ქრისტ. წელთაღრიცხვის დასაწყისსაც ქართველ ტომებს შორის რამე კავშირი თუ იყო, ის კიდევ მეტად სუსტი უნდა ყოფილიყო. ამ ხნის განმავლობაში არ მომხდარა ისეთი რამ, რომელსაც შეეძლო ხელი შეეწყო ქართველებში „ეროვნული შემეცნების“ გაღვივებასა და გამტკიცებისათვის. პირიქით, დასახლების პროცესში ერთმანეთის ქიშპობას, შეხლა-შემოხლას, შუღლს და მტრობას მეტი ადგილი უნდა ჰქონდა. დასავლეთ საქართველოში (კოლხიდაში), მაგალითად, ჯერ კიდევ 134 წ. ქრ. შ., როგორც ფლავიუს არრიანეს დაწერილს და ადრიანე კეისრისათვის მიმართულ მოხსენებიდან სჩანს, ოთხი ერთმანეთისაგან სრულად დამოუკიდებელი ტომები საბლომდენ თურმე. ცხადია, საუკუნით ადრე ამ მხრე მდგომარეობა, უარესი თუ არა, უკეთესი არ იქნებოდა. (თუმცა ი. ჯავახიშვილის აზრით სტრაბონის დროინდელი მდგომარეობა სულ სხვანაირი ყოფილა: ამ დროს კოლხიდა ერთს მთლიან „სახელმწიფოს“ წარმოადგენდა თურმე. — „ქართ. ერის ისტ.“ 1928 წ. გვ. 159—160. მაგრამ ეს ცარიელი სიტყვებია მხოლოდ თუგინდ მარტო იმიტომაც, რომ თვით ი. ჯავახიშვილი აცხადებს: ამ დროინდელ დასავლეთ საქართველოს შესახებ ცნობები არ მოგვეპოვებო. — იქვე, გვ. 154). აღმოსავლეთ საქართველოშიაც (იბერიაში) სტრაბონის დროს ქართველების მხოლოდ ერთს ტომის იბერების ცალკე ნაწილებს (საგვარეულოებს) ქონიათ ურთიერთ კავშირი. ვეჭვობთ, რომ ეს კავშირიც მტკიცე და მუდმივი ყოფილიყო. ადვილად შესაძლებელია, რომ იბერთა ცალკე საგვარეულოები ემხარებოდნენ ერთმანეთს მხოლოდ აუცილებელ საჭიროების დროს, როგორც, მაგ., მცირე აზიაში პუსკების ცალკე ნაწილები ერთმანეთს მხარს უჭერდნ ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ეს კავშირი, ვიმეორებთ, მაინც ერთ ტომის ფარგლებით განისაზღვრებოდა.

როგორც ზემოდ გავარჩიეთ, იბერთა ტომში სტრაბონის დროს გვაროვნული წყობილება იყო. სოციალური უთანასწორობა, კლასები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ ყოფილა. (ასეთი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო დაახლოებით სხვა ტომებშიაც) მაგრამ ეტყობა, საგვარეულო წყობილება თავის განვითარების უმაღლეს წერტილზე იმყოფებოდა. ადვილად შესაძლებელია, რომ



გვართა შორის ერთგვარი ფუნქციითა დაყოფა მომხდარიყო. განსაკუთრებით კალკე გვარებში, მაგ., ქურუმობა ან მეზობელ ხალხთან ურთიერთობის საქმე. სტრაბონის შეუზღვევია, რომ ეს უკანასკნელნი იბერების ერთ წრის (ერთი გვარეულობის) ხელში ყოფილა. მაგრამ არც სტრაბონის აღწერილობიდან სხანს და არც სხვა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ქურუმთა წრე გამოკალკეებულ სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა. როგორც ი. ჯავახიშვილი იღნიშნავს, ქურუმობა საფიქრებელია, რომ გარკვეულ საგვარეულოში იყო, მაგრამ საგვარეულოს ყოველი წევრი ქურუმი არ იქნებოდა (სამღვდელოების წოდებას მე-5—6 სსს-აც არ ვხდებთ.—ჯავახ. „ქართ. სამ. ისტორია“, 1928 წ., გვ. 188—189).

შემდეგ, რაც გინდ სუსტი და შემთხვევითი ყოფილიყო კავშირი საგვარეულოებს შორის, საერთო გასაქირის დროს საერთო ხელმძღვანელობა-მეთაურობა ერთს ვინმეს, ერთს საგვარეულოს მეთაურს-მამასახლისს უნდა ეკისრა. ამერიკელ ინდელების ზოგიერთ ტომებში, როგორც ლ. მორგანი მოგვითხრობს, საგვარეულოს ერთ-ერთი მეთაური (სახემი) მთელი ტომის მეთაურად ითვლებოდა და რანგით დანაჩენ საგვარეულოთა მეთაურებზე მაღლა იდგა. ამის მზგავსი რამ შესაძლებელია იბერებშიაც ყოფილიყო, მაგრამ ასეთი მეთაურის „უფლებები“ აქაც, როგორც ინდელებში, მეტად უმნიშვნელო იქნებოდა. მეთ მეთაურს—ამბობს მორგანი—ირავითარი საერთო არ აქვს აღმასრულებელი ხელისუფლებით აღჭურვილ თანამდებობის პირთანო. მას სისაცილოდ ნიანია, როცა ზოგიერთი მწერალი ასეთ მეთაურებს მეფეს უწოდებს (ხემოდ დასახ. თხზ., გვ. 117).

იბერებში ასეთ მეთაურად უნდა ყოფილიყო იმ საგვარეულოს მამასახლისი, რომელსაც თავისი გეოგრაფიული მდგომარეობისა და ეკონომიური პირობების გამო უფრო ხშირად უხდებოდა უცხოელ ხალხთან კავშირის დაქერა. ასეთ საგვარეულოს მცხეთის საგვარეულო წარმოადგენდა. მცხეთის მამასახლისიც საერთო საჭიროების დროს კისრულობდა იბერების ყველა საგვარეულოს ხელმძღვანელობას. ის თავის ნებით, როგორც ზემოდ ენახეთ, ვერაფერს ვერ გადაწყვეტდა, ყველა საგვარეულოს უნდა დაკითხებოდა და მხოლოდ მათი სურვილი აესრულებია, მაგრამ უცხოელების წინაშე ხშირად მარტო ის გამოდიოდა, უცხოელებიც მხოლოდ მას ამჩნევდნ. ამიტომ სრულებით არაა საკვირველი, რომ უცხოელებიც მას—მცხეთის მამასახლისს—იბერების „მეფედ“ თვლიდნ.

დაახლოებით ასეთი მდგომარეობა უნდა გავრძელებულიყო იბერიაში სტრაბონის შემდეგაც. მაგრამ მე-5 საუკუნეში, როგორც ზემოდ ავღნიშნეთ, უკვე გვაქვს სრულიად ჩამოყალიბებული სოციალური უთანასწორობა. საგვარეულო წყობილებაიც ამ დროს, ცხადია, დაშლილი უნდა ყოფილიყო. საინტერესოა, რომ ეს ის ხანაა, როდესაც ისტორიკოსების აზრით, იბერიაში უქმდება „საგვარეულო წყობილებაზე დამყარებული მეფის უფლება“ (ჯავახ.). შემატიანეს ცნობაში, რომლის განმეორებას წარმოადგენს აქ მოყვანილი ისტორიკოსების აზრი, ერთი რამ არის სწორად გადმოცემული: დაახლოებით ამ დროს უნდა დასმოდა საბოლოოდ ჯვარი იბერიაში საგვარეულო

წყობილებას და ეკონომიურად ვაბატონებულ უფლებებსაც თანვეისი ორგანიზაცია უნდა ჩამოეყალიბებია. მისი უფლებების საფუძვლი საუკუნო ცნობები გვაქვს ისტორიიდან. ისტორიკოსი სუბატ დავითის-ძე ამბობს: ამ დროიდან „ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთაო“. ამრგად, ქვეყნის პატრონად, მისი შინაური საქმეების გამგედ აზნაურთა წოდება გამზდარა („ქართ. ერის ისტ.“ 1928 წ., გვ. 259).

მე-5—6 სს. უკვე ჩამოყალიბებულია აზნაურთა მმართველობა-ბატონობის ორგანიზაცია. ქვეყანას განაგებენ, როგორც ისტორიკოსები გვეუბნებიან, უმაღლესი მოხელეები, რომელთაც „მთავრები“ ანუ „ერისმთავრები“ თუ „ერისთავები“ ეწოდებიან. ერისთავებიდან წარმოიშობა შემდეგ, როგორც ი. ჯავახიშვილი სწორად აღნიშნავს, მეფის (უკვე მართლა მეფის) ხელისუფლება.

ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმ საკითხს, თუ როგორ წარმოიშენ, საიდან მოგვევლინენ ეს ერისთავები!

„ერი“ ძველად ნიშნავდა, თურმე, ჯარს და ამასთან მთელ ხალხსაც, ვინაიდან ჯარს მთელი ხალხი შეადგენდა. საგვარეულო წყობილებაში, მამასადამე, „ერისმთავარი“ ან „ერისთავი“ მამასახლისის ის მომდევნო, მეორე პირი უნდა ყოფილიყო, რომელიც ომის დროს ჯარს წინამძღოლობდა („ქართ. სამ. ისტ.“ 1928 წ., გვ. გვ. 145—146, 183—184). აი სწორედ ეს სამხედრო ხელმძღვანელი (და არა მამასახლისი) გვევლინებიან შემდეგ საზოგადოებრივი წყობილების ახალი სისტემის ორგანიზატორებად, სახელმწიფო ძალა-უფლების მატარებლად. უკანასკნელი ებლა მხოლოდ ჯარის უფროსებად როდი სჩანან, ისინი, როგორც ვსთქვით, ქვეყნის გამრიგე მოხელეები არიან, ე. ი. მათ ხელშია როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო საქმეები. მათი სასარგებლოდ შემოდის ვადასახადიც (ე. წ. „საერისთავო“, რომ ამ დროის ერისმთავრებს და პირველ საუკუნის ჯარის უფროსების უფლებათა შორის „ბუნებით არსებითი ცვლილება“, ამას მოწმობს ჯავახიშვილიც („ქართ. სამ. ისტ.“, 1928 წ., გვ. 186—187).

რამდენად ერისთავების ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ ხარჯი აეკრიფათ, ამისთვის კი, კერძოდ „დაუსახლებელი ადგილები დაესახლებიათ“ და სხვა ასეთები, სხვანიარად რომ ვსთქვათ, მოეწესრიგებიათ, ორგანიზაციულად მოეწყათ დაბალ, დამონაგებულ კლასის ექსპლოატაციის საქმე, — ცხადია, მათ სამხედრო ძალა უნდა ყოლოდათ, ყოლოდათ აგრეთვე დაბალი მოხელეებიც. რადგანაც თითოეულ მთავარს თუ ერისთავს თავისი გამგებლობაში დიდი რაიონი ებარა, ამიტომ მათ თავიანთ საერისთავოს ნაწილებში გამგეები უნდა დაენიშნათ. ასეთი გამგეები საერისთავოში იყვნენ ხევისთავები და შემდეგ ციხისთავები. ესენი ერისთავის ხელქვეითები იყვნენ და მის მხლებლებისაგან ინიშნებოდნენ. ერისთავების ხელქვეითნი ყოფილან აგრეთვე სპასილარები და ათისთავები. პირველთ სამხედრო საქმე ებარა, მეორეთ კი სამოქალაქო საქმეები (ს. კაკაბაძე, გ. ნათაძე).

რაც შეეხება სამხედრო ძალას, ჯარს, ეს უკვე გამოცალკეებულა საზოგადოებისაგან და მთლიანად ვაბატონებულ კლასის ხელში იმყოფება. სამხედრო



სამსახური, როგორც ზემოდ გვაქვს აღნიშნული, გაბატონებულებს უფრო მეტად მტრისა და ლეგიის წარმოადგენს.

ამრიგად, ჩვენ აქ საქმე გვაქვს გაბატონებული კლასის სრულიად გარკვეულად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციასთან, მმართველობა-გაბატონების მთლიან სისტემასთან.

საინტერესოა, რა ბედი ეწია საგვარეულო წყობილების ორგანოებს, პირველ ყოვლისა, საგვარეულოს მეთაურს—მამასახლისს!

კლასიური ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ საგვარეულო წყობილების ორგანოები, მათ შორის მამასახლისიც, ცხადია უნდა განდევნილ ყოფილიყვნენ საზოგადოებრივ ასპარეზიდან, უნდა გადაშენებულიყვნენ. სრულიად სამართლიანად აღნიშნავს პროფ. გ. ნათაძე, რომ ერისთავობის შემდეგ მამასახლისობა „თანდათან გადაშენდებოდა და მეტ ხორცად გადაიქცეოდა“ (გვ. 79). მართალია, მე-6 ს-ს იხსენიებენ, მაგ., „გრიგოლ ქართლისა მამასახლისს“ (ევესტატე მცხეთელის ცხოვრებაში), მაგრამ აშკარაა, რომ ამდროინდელი მამასახლისი სრულებით არაა ის მამასახლისი, რომელსაც ჩვენ საგვარეულო წყობილებიდან ვიცნობთ: ქვეყნის ბატონ-პატრონი ამ დროს ერისმთავრები არიან, მათ ხელშია ძალაუფლება, ისინი განაგებენ ქვეყნის ყველა საქმეებს, როგორც სამხედროს ისე სამოქალაქოს, და მამასახლისს აბა რა ფუნქცია უნდა დარჩენოდა! აშკარაა, რომ მამასახლისობა ამ დროს სულ სხვა რამეშია გადაშენებული. დასაშვებია, რომ მამასახლისის კულტის მსახურება და სხვა რამ ამის მგავსი დარჩენოდა. მამასახლისები დარჩენ პროვინციებში ადგილობრივი, მეორე ხარისხოვანი საქმეების მოსაგვარებლად. მაგრამ ესენი უკვე ერისთავების მიერ ინიშნებიან და მათი ყურმოჭრილი მონები არიან.

ასეთივე ბედი ეწეოდა სახალხო (საგვარეულო) საბჭოსაც. გაბატონებულ უმცირესობისათვის მისი გამოყენება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, და ისიც უნდა მოესპოთ. სახალხო საბჭოს შესახებაც ცნობები იმიტომ არ არის ალბად, რომ მე-5—6 სს-დან, როცა ჩვენ ქართული წყაროები მოგვეპოვება, ის უკვე აღარ არსებობს.

ერთი სიტყვით, მე-5 საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში ყალიბდება ფეოდალური წყობილება. მთელი ტერიტორია განაწილებულია ერისმთავრებს შორის. თითოეული მათგანი სრული დამოუკიდებელი ბატონ-პატრონი არის თავის სამფლობელოს. არაბების ბატონობა, განსაკუთრებით მე-7 ს. უკანასკნელ წლებიდან, კიდევ უფრო ხელს უწყობს ამ წყობილების გამტკიცებას.

დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოშიაც.

უკვე მე-8 საუკ. აშკარად სჩანს ფეოდალური სისტემის დამახასიათებელი მთავარი თვისება: ცალკე სამთავროთა ბატონები იბრძვიან ერთმანეთზე გაბატონებისათვის. „იჭნა სიმრავლე მთავართა ქვეყანასა ქართლისასა და შერიათ ბრძოლა და იქმნეს მტერი ურთიერთსაო“, გადმოგვცემს მემართიანე. თითოეული მთავარი ცდილობს პირველობის ნობობას და ყველა დანარჩენებზე გაბატონებას. ჩნდება გამაერთიანებელი ტენდენცია. აღმოსავლეთ საქართველოში გამაერთ-

თიანებელის როლი წილად ზედა ეთამაშა თავისი ეკონომიური მდგომარეობისა გამო ტაო-კლარჯეთის მთაწერებს—ბაგრატიონებს. ბრძოლა წინსვლის გასატანს, მაგრამ ბოლოს, მე-11 ს. ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ, მთელი საქართველო თანდათან შემოიკრიბება ბაგრატიონთა სამთავროს გარშემო და ერთს ცენტრალურ ხელისუფლებას დაემორჩილება. მართალია, ბრძოლა მეფესა და ცალკე მთაწერებს შორის კიდევ გრძელდება, მაგრამ ბოლოს მაინც მეფის, ცენტრალური ხელისუფლების გამარჯვებით თავდება. ამას ხელს უწყობს მე-12 ს. საქართველოში სეფაქრო კაპიტალის განვითარებაც, რომლის ინტერესი ცენტრალური ხელისუფლების გამტკიცება იყო.

ვამთავრებთ რა ამით ქართველ ტომებში სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოშობის და ჩამოყალიბების საკითხის განხილვას, ჩვენ განვიმეორებთ მოკლედ იმას, რაც აღნიშნული გვაქვს ამ საკითხის შესახებ.

1. გაბატონებული შეხედულებით: ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისს ქართველ ტომებში საგვარეულო წყობილება იყო. არ იყო კერძო საკუთრება მიწაზე. არ ქონდა ადგილი საზოგადოების კლასებად დანაწილების, სოციალურ უთანასწორობას.

— ჩვენ სრულებით ვეთანხმებით ამ შეხედულებას.

2. გაბატონებული შეხედულებით: ამავე დროს (I ს.) ქართველ ტომებში უკვე არსებობდა სახელმწიფო ორგანიზაცია. საგვარეულო წყობილებაში უკვე არის სახელმწიფო.

— ჩვენ ვაჩვენებთ, რომ ეს შეხედულება სრულებით არაა დასაბუთებული. კონკრეტ ისტორიულ მასალების განხილვა გვარწმუნებს, რომ საგვარეულო წყობილების დროს არავითარ სახელმწიფო ორგანიზაციაზე, სახელმწიფო ხელისუფლებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. საგვარეულოს მეთაური—მამასახლისის „უფლებას“ არაფერი საერთო არ აქვს მეფის ხელისუფლებასთან.

3. გაბატონებული თეორიით: მეფის ხელისუფლება წარმოიშობა საგვარეულოს მეთაურის, მამასახლისის ხელისუფლებისაგან უკანასკნელის გაზრდით.

— ჩვენ კი ვაჩვენებთ, რომ მეფის ხელისუფლება ერისმთავრების ხელისუფლებისაგან წარმოიშობა. უკანასკნელი კი მამასახლისის „უფლებისაგან“ არ წარმომდგარა, არამედ ომში ხელმძღვანელთა ფუნქციებისაგან. (ომში ხელმძღვანელი, როგორც ვიცით, მამასახლისისაგან გამოცალკეებული პირი იყო, გაჩნდა საგვარეულო წყობილების უმადლეს საფეხურზე და საერთოდ მის—საგვარეულო წყობილების—ტიპიურ ინსტიტუტს არ წარმოადგენს). მამასახლისობაც და საგვარეულო წყობილების სხვა ტიპიური ორგანოებიც სახელმწიფო ორგანიზაციის წარმოშობასთან ერთად მოსპობილ იქნენ, ან სრულიად სხვა ორგანიზაციებში გადაწუნდნენ.

4. გაბატონებული თეორიით: რამდენად სახელმწიფო იყო უკლასო საზოგადოებაში, საგვარეულო წყობილების დროს, თავისთავად იგულისხმება, რომ სახელმწიფო არ ყოფილა კლასიური ორგანიზაცია.

— ჩვენ კი გამოვარკვეით, რომ სახელმწიფო საქართველოში საგვარეულო წყობილების დაშლისა და კლასების წარმოშობის შედეგ. ის წარმოიშვა როგორც მაღალი კლასის, აზნაურების ორგანიზაცია საზოგადოების დანარჩენ ნაწილზე ბატონობისათვის.

ჩვენ არ ვმალავთ, რომ მნიშვნელობა სწორედ ამ უკანასკნელ დებულებას აქვს, და ეს არამც თუ მართო ჩვენთვის: მოწინააღმდეგების მთელი ძალდონეც სწორედ რომ ამ დებულების წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ, როგორც დავინახეთ, ქართველებში სახელმწიფოს წარმოშობის მიგალითი არაფერს ამბობს მათ სასარგებლოდ. პირიქით, აქაც ერთხელ კიდევ დასტურდება ის ჩვენთვის სრულიად უდავო ქეშმარიტება, რომ სახელმწიფო წარმოიშობა როგორც ეკონომიურად გაბატონებულ კლასის ორგანიზაცია მისი ბატონობის შენარჩუნებისათვის. ვერაინ, რაც გინდ დიდი ავტორიტეტი იყოს ის, ვერ შესძლებს აღმოაჩინოს ქართველების ისტორიაში ის, რაც არ ყოფილა, რაც არ შეიძლება და ყოფილიყო. ისტორია ასეთი ხალხის სასარგებლოდ ვერაფერს იტყვის.

ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის გაბატონებული თეორია მიმართულია, ვიმეორებთ, იმ ქეშმარიტების წინააღმდეგ, რომ სახელმწიფო კლასიური ბატონობის ორგანიზაციას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით აქ, კერძოდ, მოკცმულია სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობის ე. წ. „პატრიარქალური“ თეორია. ცნობილია, რომ ამ თეორიის წარმომადგენელი თვითმპყრობელ მონარქს საგვარეულოების მეთაურებში ეძებენ ხოლმე. უკანასკნელი მათი აზრით უკვე „მეფობენ“ საგვარეულო საზოგადოებაში. ასეთი თეორიის დამცველი, აშკარაა, არ განსხვავდება არსებითად აწ უკვე დაიწყებულ ფილმერის და სხვა მეფის თვითმპყრობელობის დამცველებისაგან, რომელნიც პირველ თვითმპყრობელს ადამში ბედავენ, ადამში, რომელიც „მეფობდა“ თურმე თავის შვილებზე.

სწორედ ამ „თეორიას“ გვაწვდის საქართველოს ისტორიკოსებიც. მეფის ხელისუფლება წარმოიშობა საგვარეულოს მეთაურის, მამასახლისის ხელისუფლებისაგან. მეტიც: თითოეული საგვარეულოს მეთაური-მამასახლისი იღივება თავის საგვარეულოში, რაც მეტეის „მეფე-მამასახლისი“ თავის საგვარეულოში. „განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ ზოგიერთ უპირატესობებში, რომლითაც სარგებლობდა ის (მეფე-მამასახლისი. გ. ს.) დანარჩენ მეთაურების და ხალხის მიმართ: ის არის primus inter pares“, პირველი თანასწორთა შორის („Гос. степ...“ გვ. 14), ე. ი. თითოეული მამასახლისი მეფეა თავის საგვარეულოში.

ასეთი თეორია რომ აღიაროს მეცნიერმა, მას ისეთი წარმოდგენა უნდა ქონდეს საგვარეულო წყობილებაზე, როგორც მაგალ. რუსეთის ერთ-ერთ თანამედროვე ისტორიკოსს ნ. როკოვს. უკანასკნელი ამტკიცებს, რომ სლავიანებს არ ქონიათ არასოდეს საგვარეულო წყობილება „იმიტომ, რომ ნამდვილი მეცნიერული გაგებით საგვარეულო წყობილებად უნდა მივიჩნიოთ ისეთი, რომელიც ემყარება გვირის უფროსის აბსოლიუტურს, განუსაზღვრელ ძალაუფლებას

გვარის წევრებზე, ძალაუფლებას, რომელიც შეიცავს გვარის წევრების იმ უფლებების ცნებასაც, რომლის მიხედვით მას ნება აქვს დასაჯოს საგვარეულო კავშირის ყველა წევრი და გაყიდოს ისინი მონებად. ამასთანავე მამის სიკვდილის შემდეგ უფროსი ვაჟი წარმოადგენს მისი უფლების სრულ მონაცვლეს და ინარჩუნებს ძალაუფლებას (manus) დედაზეც.“ ასეთი რამ კი სლავიანებში არ იყო („Рус. ист. в ср. вѣкѣ.“ т. 1, 1923 г., გვ. 84). სწორედ რომ ასე უნდა გქონდეს წარმოდგენილი საგვარეულო საზოგადოება, რომ განაცხადოთ ის, რასაც საქართველოს ისტორიკოსები აცხადებენ.

მაგრამ ამის მსგავს რამეს ქონდა განა აღვლილი ქართველებში? (ან სად, რომელ ხალხში იციან ისტორიკოსებმა ასეთი საგვარეულო წყობილება? არც ერთ ისტორიულ ხალხში, რომლის წინასახელმწიფოებრივი წარსული გამოკვლეულია, არაფერს ამის მსგავსი არ აღმოუჩენია. სრულებით საწინააღმდეგოს ვხედავთ ე. წ. ველურებაში, სადაც საგვარეულო წყობილება დაჩენილია, მაგალ. ამერიკელ ინდიელებში საგვარეულოს მეთაურის „უფლებები“ სრულებით უმნიშვნელოა, მას არ აქვს არავითარი რწმუნება იმოქმედოს დამოუკიდებლად ხალხის სახელით: ლ. ზორგანი, სპენსერი... ასეა აზიაში კირგიზებშიაც: სპენსერი... ასე ყოფილა, როგორც როკოკოც ამბობს, სლავიანებშიც. ასე უნდა ყოფილიყო და, როგორც აღვნიშნეთ, ასეც იყო საქართველოშიც).

მაშ როგორ ასაბუთებენ საქართველოს ისტორიკოსები ქართველებში მეფის უფლების, სახელმწიფოს წარმოშობის პატრიარქალურ თეორიას?

როგორც ვიცით, „პატრიარქალური თეორია წარმოადგენს არა იმდენად ნეკნიერულ დოკტრინას, რამდენადაც აბსოლიუტიზმის ხელში ხალხის საწინააღმდეგოდ პოლიტიკურ იარაღს“ (მაგაზინერი). ჩვენ არ გვეკრია, რომ საქართველოში ვინმეს ეს თეორია ასეთ მიზნისათვის სჭირდებოდეს, მაგრამ ხაზ გასასმელია მაინც ის გარემოება, რომ სწორედ ამას ეყრდნობა ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის გაბატონებული თეორია, თეორია, რომლის მიხანია სახელმწიფო რამენაირად ზეკლასიურ ორგანიზაციად დაგვისაზოს.

დასასრულ, ჩვენ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი გარემოებაც. ქართველ ტომებში კლასების წარმოშობის გაბატონებული თეორიით კლასები წარმოიშობიან არა საგვარეულოში მისი სხვადასხვა ფენებად დაშლით, არა შიგნით საგვარეულოში აღმოცენებული ფაქტორებით. კლასების აღმოცენების მიზეზი საგვარეულოს გარე შეა. ძალია, აი ის ფაქტორი, რომელიც ერთ გვარს და მის წევრებს მეორე გვარზე და მის წევრებზე მაღლა აყენებს. ძალია ის ფაქტორი, რომელიც ართმევს ერთს თავისუფლებას, ხდის მას უზუნოდ, მეორეს კი ანიჭებს ყოველგვარ უფლებას, ხდის მას აზნაურად. ფიზიკურად ძლიერი იმორჩილებს ფიზიკურად უძლურს. ვლებულობთ გაბატონებულ და დამორჩილებულ კლასებს.

როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია წმინდა წყლის დიურინგის ცნობილი „ძალდატანების თეორია“, თეორია, რომელსაც, როგორც ვიცით, კარლ კაუტსკი უპირისპირებს მარქს-ენგელსის თეორიას კლასების და სახელმწიფოს წარ-



თეორიული

გეგმული

მოშობის შესახებ. ჩვენ ამ უკანასკნელის გარჩევაზე აქ არ შეეხებოდებით. (მურველს შეუძლია გაეცნოს ამ საკითხის შესახებ ირ. სურგულაძის წერილს: ჟურნალ „მნათობში“, 1929 წ. № 10 და პაშუკანისის: „Новейшие откровения Карла Каутского“, 1929 г.). ვერც საქართველოს ისტორიკოსების „ძალდატანების თეორიის“ კრიტიკას დაუბრუნდებით ისევე. ხაზ გასასმელია მხოლოდ ის, რომ მარქსიზმის, სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ ზრძოლაში, როგორც ვხედავთ, აღმოჩნდნენ ერთი-მეორის გვერდით, ერთი და იგივე იარაღით ხელში, ერთის მხრივ, მარქსიზმის რენეგატი, „სოციალისტი“ კაუტსკი და, მეორეს მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ი. ჯავახიშვილი...





წერილი წარმოების თეორია და კოლექტივიზაცია *)

წერილი მეორე

წერილი წარმოება, ამგვარად, განწირულია ბურჟუაზიულ საწარმოო ურთიერთობათა პირობებში, მისი განადგურება აუცილებელია სახალხო მეურნეობის კაპიტალისტური ორგანიზაციის გამო და ვერავითარი დროებითი მოვლენები, ვერავითარი კერძო სურვილები თუ მოტივები ვერ შეცვლის „კაპიტალიზმის ძირითად და მთავარ ტენდენციას, რომელიც მდგომარეობს წერილი წარმოების გაძევებაში მსხვილის მიერ როგორც მრეწველობაში, ისე მიწათმოქმედებაში“ (ლენინი). ამიტომ პროლეტარიატის პარტია სასტიკად უნდა შეებრძოლოს იმ მანევრს ილუზიას, რომელსაც წერილ ბურჟუაზიული დემოკრატები ავრცელებენ წერილ მწარმოებელთა მასაში და რაც იმაში მდგომარეობს, რომ ვითომდა შესაძლებელია წერილი მწარმოებლის ხსნა კაპიტალიზმის ექსპლოატაციისაგან თვით კაპიტალიზმის პირობებში. კომუნისტური პარტია პირობით, უნდა აწინააღმდეგოს წერილ მწარმოებელს, რომ მხოლოდ პროლეტარულ რევოლუციას შეუძლია მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, რომ მხოლოდ მუშათა კლასის მიერ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ არის შესაძლებელი რადიკალურად დაისვას საკითხი წერილ მწარმოებელთა ცხოვრების დონის ამაღლების და მათი გამოყენების შესახებ ჩაგვრის და სილატაკის იმ კაობიდან, რომელშიდაც ის კაპიტალიზმმა მოაქცია.

ენგელსი, რომელმაც თავის ცნობილ წერილში „გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში“ მოგვცა კლასიკური ნიმუში მარქსიზმის შეხედულებისა წერილ გლეხურ წარმოებაზე, ამბობს, რომ „გლეხობაში თავდაპირველად უნდა გავაქარწყლოთ ყოველგვარი აზრი იმის შესახებ, რომ ვითომდა სოციალიზმი დაინტერესებულია წერილ მწარმოებელთა შენარჩუნებაში“. „ჩვენი მიზანია — ამბობს ენგელსი — წერილი მეურნეობის გადაყვანა მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე, გლეხურ საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად, წერილ მწარმოებელთა ინდივიდუალისტური ეკონომიკის შეცვლა კოლექტიური მეურნეობით“. ეს არის ჩვენი (პროლეტარულ პარტიის) პრაგრაფი და ეს უნდა იყოფიეს ინდივიდუალურმა მეურნემ, ეს თავიდანვე გარკვეული უნდა იყოს წერილ ბურჟუაზიულ მასისათვის, რომელიც მხარს უჭერს მე-

*) გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 4.

შათა კლასს მისს განმათავისუფლებელ ბრძოლაში ბურჟუაზიული წარბელების წინააღმდეგ. შთავარია წერილი მწარმოებლის დარწმუნება ექვეყნის¹⁾ „მისი კარმიდამოს და მიწის საკუთრების შენარჩუნება შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაქვეითთ საამხანაგო საკუთრებათ და საამხანაგო წარმოებათ. სწორედ ინდივიდუალურ მეურნეობას, დამყარებულს ინდივიდუალურ საკუთრებაზე, მიყავს გლეხები და ლუბებისაქენ და თუ ისინი ჩაეჭიდებიან თავიანთ ერთპიროვნულ მეურნეობას, იმ შემთხვევაში აღცილებლად დაჰკარგავენ მიწასა და კარმიდამოსაც, რადგან მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა გააძევებს მათი წარმოების მოძველებულ წესს“.

ამიტომ „ჩვენ ვერასოდეს ვერ შევპირდებით წვრილ გლეხებს, რომ მხარს დაუჭერო მათ ინდივიდუალურ მეურნეობას და ინდივიდუალურ საკუთრებას კაპიტალისტური წარმოების ბევრად უფრო ძლიერი ძალების წინააღმდეგ. ჩვენ არ შეგვიძლია იმაზე უფრო ცუდი სამსახური გაუწიოთ არა მარტო პარტიას, არამედ თვით წვრილ გლეხსაც, თუ დავპირდებით და მცირე იმედსაც კი აღუძრავთ მას იმის შესახებ, რომ შევეცდებით მისი წვრილი საკუთრების დიდი ხნით შენარჩუნებას, ეს იქნებოდა გლეხობისთვის განათავისუფლების გზის პირდაპირი დაკეტვა და პარტიის დაქვეითება ანტისემიტობამდე. პირიქით. ჩვენი პარტია მოვალეა სულ უფრო და უფრო მეტად გაანთმარტოს გლეხებს, რომ მათი მდგომარეობა სრულიად უიმედოა—ვიდრე არსებობს კაპიტალიზმი და რომ მათი წვრილი საკუთრების, როგორც ასეთის გადარჩენა ყოველად შეუძლებელია“¹⁾). ხსნა მხოლოდ საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნაშია, რაც შესაძლებელია პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ვითომდა პროლეტარიატის პარტია ერთის აქტით აღუშებდეს წვრილ გლეხურ მეურნეობას. ასეთი ნაბიჯი შემცდარი იქნებოდა და ის გამოიწვევდა წვრილ მწარმოებელთა დაშინებას და მათ ამხედრებასაც კი მუშათა სახელმწიფოს სოციალისტურ ღონისძიებათა წინააღმდეგ. ასეთი ნაბიჯით პროლეტარიატის პარტია მიმხრობის და მჭიდრო დაკავშირების ნაცვლად ჩამოიცილებდა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზაზე წვრილ მწარმოებელთა მასას. „ჩვენ—ამბობს ენგელსი—ყოველგვარ შესაძლებელ საშუალებას ვიხმართ, რათა წვრილმა გლეხმა უკეთ იცხოვროს, რათა გაუადვილოთ მას გადასვლა ამხანაგობაზე იმ შემთხვევაში, თუ ის ასეთ ნაბიჯს გადადგამს; იმ შემთხვევაში კი, თუ ის ამ გადაწყვეტილების გამოტანას ჯერ-ჯერობით ვერ შესძლებს, ჩვენ შევეცდებით რაც შეიძლება მეტი დრო მივცეთ მას მოიფიქროს ამის შესახებ საკუთარ მიწის ნაკვეთზე და რაც მეტი იქნება ისეთი გლეხების რაოდენობა, რომელთა დაქანებას პროლეტარულ მდგომარეობას

¹⁾ იხ. ე. ენგელსი, „Крестьянский вопрос во Франции и Германии“ გვ. 96, 88, 89 ხაზი ყველგან ჩვენია—თ. გ.

რეობამდე ჩვენ არ დაუშვებთ და რომელთაც ჩვენ მივიმ-
ხრობთ როგორც გლეხებს, მით უფრო აქვეყნებთარ-
დება საზოგადოებრივი გარდაქმნა. ჩვენთვის ფუჭი იქნებოდა ამ
გარდაქმნისათვის ლოდინი იმ დრომდე, ვიდრე არ განვითარებულა კაპიტალი-
ზმი ყველგან უაღრესად, იქამდე, ვიდრე არ დაეცემულა უკანასკნელი გლეხი და უკა-
ნასკნელი ხელოსანი, როგორც მსხვერპლი მსხვილი კაპიტალისტური წარმოებისა...
მატერიალური მსხვერპლი, რომელიც ჩვენ უნდა გავიღოთ წვრილი გლეხობის ინ-
ტერესებისათვის საზოგადოებრივ საშუალებებიდან, კაპიტალისტური ეკონომიის
თვალთახედვით გადაყრილი ფულია, ხოლო, ნამდვილად, — ეს არის კაპიტა-
ლის საუკეთესო გამოყენება, რადგან ისინი ზოგავენ ათჯერ უფრო
მეტ თანხას მთლიანად, მთელ საზოგადოებრივ გარდაქმნისათვის საჭირო ხარ-
ჯების გაწევის დროს. ამ აზრით ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მეტად გულუბხეი გლე-
ხობის მიმართ. ¹⁾

რას გვეუბნება ენგელსის ეს შესანიშნავი სიტყვები? იმას, რომ წვრილი
გლეხი მუშათა კლასის მოკავშირე უნდა იყოს, რომ წვრილ მწარმოებელს უნდა
დაუხალოვდეთ, მკიდროთ დაუკავშირდეთ, გაურკვევით მას პროლეტარული რე-
ვოლუციის ამოცანები და არ დაეზოგოთ არაფერი იმისათვის, რათა კაპიტა-
ლიზმის მიერ ეს დაძინებული, დამონებული და გაყვლეფილი მასა ახალ, სო-
ციალისტურ ცხოვრებას ვაზიაროთ, აქტიურად ჩაებათ სოციალისტური საზო-
გადოების აწენებაში. არ არის საჭირო, ამბობს ენგელსი, ვიცადოთ იქამდე, ვი-
დრე წარმოების კაპიტალისტური წესი უაღრესად განვითარდებოდეს, ვიდრე
დაეცემოდეს უკანასკნელი წვრილი გლეხი, არამედ საჭიროა წვრილ მწარ-
მოებელთა მიმხრობა, ჯერ კიდევ როგორც გლეხების, რო-
გორც წვრილი მესაკუთრების. რასაკვირველია, ყოველივე ეს სრუ-
ლიადაც აწ წავაგვს იმას, რასაც მენშევიზმი ამტკიცებს, როდესაც ის მთელ
გლეხობას (მათ შორის წვრილსაც) რეაქციონურ მასათ აცხადებს, შეუძლებლად
მიიჩნია გლეხობასთან ერთად სოციალიზმის შენება და რაც მთავარია, უტო-
პიით აღიარებს სახალხო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას, ვიდრე კაპი-
ტალიზმის საწარმოო ძალთა განვითარებას არ მიუღწევია უმაღლეს საფეხური-
სათვის, ²⁾ ვიდრე არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც

¹⁾ იხ. ენგელსი — იქვე.

²⁾ ენობილია, თუ როგორ დასცინოდა ლენინი წვრილ-ბურჟუაზიულ დემოკრატებს „ვა-
რუსაზღვრულად შაბლონურ საბუთს“, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ „ჩვენ ჯერ არ მოვ-
მწიფებულვართ სოციალიზმისათვის, რომ ჩვენ არ მოგვეზოგება, როგორც ბრძანებენ ზოღმე
„განსწავლენი გვამნი“ მათ შორის, სოციალიზმისათვის საჭიროა ობიექტიური წინაპირობანი“.
„თუ სოციალიზმის გამარჯვებისათვის საჭიროა ევლტურის განსაზღვრული დონე — ამბობდა
ლენინი — (თუმცა ამახ ვერავინ იტყვის — რა ზომის უნდა იყოს ეს „ავლტურული დონე“), რა-
ტომ არ შეგკოლია ჩვენ რევოლუციონური გზით ჯერ მოვიპოვოთ ამ განსაზღვრული დონის
შესაქმნელად საჭირო პირობები, ბოლო შემდეგ, მუშურ-გლეხური ბელისუფლების და საბჭო-
თა წუობილების საფუძველზე, გავსწიოთ წინ სხვა ქვეყნების დასაწევად“ (იხ. ლენინი — ტ. XVIII,
ნაწ. II, გვ. 661, 662 — ქართ. გამოც.)

არარაობამდე არ დასულა წერილი წარმოების ხედვრითი წყაროებზე ჩამოსათვლელნი არ გამხდარან წერილი გლეხები. მარქსიზმს მხარს უჭერს მარქსის წერილი წარმოების, ისე როგორც სხვა საკითხების შეფასებაში, ღრმა უფსკრულია, ისინი ამ საკითხში სრულიად განსხვავებულ პოზიციებზე დგანან. საგულისხმოა, რომ ენგელსი, წინააღმდეგ მენშევიზმისა, შესაძლებლად სცნობს წერილ გლეხების სოფლის არაკაპიტალისტურ ევოლუციას, „კაპიტალისტური განვითარების ყველა საშინელ პერიპეტეიების გაუფლუმობას“ (მარქსი) იმას, რაც ასე ვრცლად დაასაბუთა იმ. ლენინმა საბჭოთა კავშირის მაგალითზე.

ენგელსი არა მარტო ამტკიცებს წერილ გლეხურ წარმოების (როგორც წერილ მესაკუთრე მეურნეობის) სოციალისტური გარდაქმნის აუცილებლობას, არამედ ის მიგვითითებს იმ პრაქტიკულ ღონისძიებებზე, რომელთა მეშვეობით უნდა მოხდეს წერილი გლეხური მეურნეობების მსხვილ საზოგადოებრივ ეკონომიკებზე გადასვლა. ენგელსი ხაზგასმით აღიარებს იმას, რაც დღემდე ვერ შეუგნია ჩვენს ზოგიერთ მომუშავეებს სოფლად და რომელმაც დიდით შეაფერხა ბევრგან მიმდინარე წელს საკოლმეურნეო მოძრაობა. ესაა ნებაყოფლობა და დარწმუნება წერილი მესაკუთრეებისა, წერილ გლეხურ მეურნეებისა. „ჩვენ ამოცანა—ამბობს ენგელსი—წერილ გლეხობის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ მათი კერძო წარმოება და კერძო საკუთრება გადავიყვანოთ ამხანაგურზე, მაგრამ არა იძულებით, არამედ მაგალითის ჩვენებით და საზოგადოებრივი დახმარების გაწევით“.

წერილი გლეხობის დარწმუნება მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესობაში, სოციალისტურ საზოგადოებრივ მეურნეობაზე გადასვლისათვის აუცილებელ წინასწარ პირობების მომზადების სირთულე, სხვადასხვა ქვეყნებში პირველ რიგში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა როლს თამაშობს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკაში წერილ საჭონღური წარმოება, რამდენად მრავალ რიცხოვანია წერილ გლეხთა მასა და რამდენად ღრმა კაპიტალიზაციის პროცესი მიწათმოქმედებაში. ლენინის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატის მიერ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების დაპყრობას, პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წინასწარ პირობას ძველი საზოგადოებრივი წყობის გარდაქმნისათვის. ამასთან ერთად, („სახელმწიფოს ძალაუფლება პროლეტარიატის ხელში, ამ ძალაუფლების არსებობა წარმოების ყველა მსხვილ საშუალებებზე, პროლეტარიატის კავშირი წერილ და უწერილეს გლეხებთან, პროლეტარიატის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა გლეხობის მიმართ და სხვა“) ანგარიში უნდა გაუწიოს იმას, თუ რა როლს თამაშობს მრეწველობა და რაც მთავარია მსხვილი მრეწველობა, რამდენად განვითარებულია სოფლის მეურნეობაში მსხვილი სამიწათმოქმედო წარმოება. „ჩვენ რომ გვჭონდეს ისეთი სახელმწიფო—ამბობს ლენინი—სადაც გაბატონებულია მსხვილი მრეწველობა, ან და ესთქვათ, არაა გაბატონებული, მაგრამ ძალზე არის განვითარებული მიწათმოქმედებაში მსხვილი წარმოება, მაშინ პირდაპირ გადასვლა კომუნიზმზე შესაძლებელია.“¹⁾

¹⁾ იმ. ლენინი—ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 151.

ჩვენი მიზანია, გამოვარკვიოთ ამ წერილში, თუ რა ფაქტორებს შეუქმნის სახელობისა და წერილ გლეხური ეკონომიკის სოციალისტურად გარდაქმნის პირობები წერილი, საქონლური წარმოების მასიურად გადაყვანისათვის მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობაზე და რა ხასიათის იყო ის პერიოდი, რომლის განმავლობაში ხდებოდა წერილ მწარმოებელთა დარწმუნება მსხვილ საზოგადოებრივ მეურნეობის უპირატესობაში?

საბჭოთა კავშირში, წერილი გლეხური წარმოების ხვედრითი წონა დიდი იყო და ამიტომ წერილი გლეხური წარმოების საკითხი («გლეხთა საკითხი») პროლეტარიატის ძარბის—ბოლშევიკების უზრადლების ცენტრში იდგა თავიდანვე. წერილი მწარმოებელი მოსახლეობის გადამწყვეტ უმრავლესობას წარმოადგენდა რევოლუციის წინ დღევანდელ საბჭოთა კავშირში და სოფლის მეურნეობაში გაბატონებულ ტიპს წერილ გლეხური მეურნეობა შეადგენდა მიუხედავად აგრარული კაპიტალიზმის საგრძნობი განვითარებისა. მსოფლიო ომმა ხელი შეუწყო ჩვენი სოფლის მეურნეობის საწარმო ძალთა დაქვეითებას, ბოლო თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაძლიერდა პრიმიტიულ სამიწათ-მოქმედო ტენიკაზე დამყარებულ გლეხურ მეურნეობათა კიდევ უფრო მეტი დაქუცმაცება, წერილ მწარმოებელთა რიცხვის გამრავლება.

სოფლის მეურნეობას ზომე ტვირთად აწვა შემამულური მიწათმფლობელობა, ფეოდალური ნაშთების არსებობა. ამიტომ რუსეთის გლეხობის (ისე როგორც საქართველოს გლეხობის) ძირითად მოთხოვნილებას მიწის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენდა, რაიც გლეხობას წარმოედგინა როგორც შემამულეთა მიწათმფლობელობის მოსპობა და მთელი მიწების (შემამულეთა, საეკლესიო, სახაზინო, საუფლისწულო და სხვ.) ურთიერთ შორის განაწილება. თებერვლის რევოლუციამ ვერ გადასწყვიტა გლეხთა ეს ძირითადი მოთხოვნილება, მან ვერ დააკმაყოფილა გლეხები მიწებით, ვერ გამოიჩინა გამხედობა ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაციისათვის. ამიტომ ამ საქმეს თვით გლეხობამ მოკიდა ხელი და დაიწყო აქტიური ბრძოლა შემამულეთა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ. შემამულეებმა ვერ გაუძლეს გლეხობის წინააღმდეგობას—ამბობს ამხ. ლარინი და იტოვებდენ რა მიწებს თავიან საკუთრებაში, თითქმის ყველა მიწებს იჯარით აძლევდენ გლეხებს. კერენსკის მთავრობამ არ გადააქცია სახელმწიფოებრივ საკუთრებად წინანდელი შემამულეების მსხვილი კაპიტალისტური საწარმონი. კერენსკის მთავრობის პოლიტიკამ მიწის გამოყენების ძველ, ექსპლოატატორულ ფორმების ნაცვლად გამოიწვია მხოლოდ ტენიკურად მალალი ფორმის (კაპიტალისტური მეურნეობის ორგანიზაციის) შეცვლა ისეთი ფორმით, რომელიც ტენიკურად ნიშნავდა პრიმიტივიზმისადმი დაბრუნებას. ამიტომ საბჭოთა რეჟიმს ოქტომბრის წინ, მიწათმოქმედებაში დახედა მსხვილი კულტურული მეურნეობის სრული გაქრობის სურათი და საბჭოთა ხელისუფლებამ რუსეთი მზილო ისეთი ქვეყნის სახით, სადაც მიწათმოქმედებაში გაბატონებული იყო თითქმის წერილი გლეხური მეურნეობა.

მსხვილი გლეხური მეურნეობანი, რომელნიც საერთოდ დასრულებულნი იყვნენ, რათა გადაერჩინათ თავისი საქონელი და სხვა ქონება, ნებაყოფლობით იქსპროპრიაციონირებულნი იყვნენ... ასეთი გამოყოფა (დაქსაქება) 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გააძვირებული იყო იმით, რომ გლეხებს ფაქტიურად უფასოდ ეთიზობოდათ ხე-ტყის მასალა ყოფილ სახაზინო და მემამულეთა ტყეებიდან განუსაზღვრელად, რაც კი იყო მათთვის საჭირო არა ვასასყიდათ, არამედ საკუთარი მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად (ახალ შენობების ასაგებათ, ძველის შესაკეთებლად, ეზოების შემოსარგავად, გადასახიდ საშუალებათა შესაკეთებლად და სხვ.), ყოველივე ამის გამო უკანასკნელი წლების ისტორიის შედეგათ რუსეთი ეკონომიურად იქცა უფრო წერილი გლეხობის ქვეყნად, ვიდრე ეს იყო წინეთ ოდესმე¹⁾.

მემამულეთა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ ილაშქრებდა არა მარტო ღარიბი და საშუალო, არამედ შეძლებული გლეხობაც და ამიტომ ოქტომბრის წინ ანტიფეოდალური აგრარული რევოლუციის ღონისძიებით გამოვიდა მთელი გლეხობა, მისი ყველა ფენები, „თუმცა ისინი სხვადასხვა სურვილებით ხელმძღვანელობდნენ. კერძოთ, კულაკების მიზანი იყო მემამულეებისათვის ჩამოერთმიათ მიწა და მასზე თავისი მეურნეობა მოეწყობათ“²⁾.

გლეხთა მოთხოვნილებანი 1917 წელს ჩამოყალიბებულ იქნა ე. წ. ნაკაზებში (მათი რიცხვი ოქტომბრის წინ 242 აღწევდა). ნაკაზები გამოხატავდა პირველ რიგში უმიწაწყლო და მცირე მიწების მქონე გლეხების სულიერებას, რომელთაც მიწების მიღება სურდათ. ნაკაზები მოითხოვდა „ყველა სახის მიწაზე კერძო საკუთრების უსასყიდლოთ გაუქმებას; სახელმწიფოსთვის ან თემებისთვის კულტურულ მეურნეობის მქონე მიწების გადაცემას; კონფისკაცია ქმნილ მიწებზე (მცირე მიწებიან გლეხების გამოკლებით) მთელი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის კონფისკაციის და მის გადაცემას სახელმწიფოსთვის ან თემებისთვის; დაჭირავებული შრომის დაუშვებლობას; შრომელთა შორის მიწის თანაბრად განაწილებას და მათ სისტემატიურ გადაწეობას და სხვ. დამფუძნებელ კრებანდე, როგორც გარდამავალი დროის ღონისძიებით, გლეხები აყენებენ კანონის დაუყოვნებლივ გამოცემას მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის და სხვათა შესახებ“³⁾.

მაგრამ ამ რადიკალურ მოთხოვნილებებს გლეხობა აყენებს უკვე იმის შემდეგ, რაც მას გაუცრუვდა იმედი დროებით მთავრობაზე, მას შემდეგ, რაც ის დარწმუნდა ამ მთავრობის სრულ ღილაჯობაში აგრარული რეფორმის გასატარებლად. თებერვლის რევოლუციის პირველ პერიოდში (1917 წლ. ზაფხულამდე) გლეხობა კმაყოფილდება მემამულეთა ასე ესტაქვით შეზღუდვა-წვეიწროვებით და არ მოითხოვს მათ დატყონებლივ ექსპროპრიაციას. 1917 წლის გაზაფხულის დასასრულამდე გრეხობას კიდევ სწამდა დროებითი მთავრობის და მოელოდა

¹⁾ იხ. ი. ლენინი, „Экономика до советской деревни“ გვ. 144—147. ნახი ჩუნიო ზ. გ.

²⁾ იხ. ლენინი, ტ. XVIII, ნაწ. I. გვ. 226.

³⁾ იხ. ლენინი, ტ. XXI გვ. 103—მეს. გამოცემის.

მისგან მდგომარეობის გაუმჯობესებას, კერძოდ მიწის საკუთრების გარდა აქამდე, ამ პერიოდში სოფლად დიდი გავლენით სარგებლობდა კულაკობა და ის ედგა სათავეში სოფლის მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას და თავის გავლენას უმორჩილებდა გლეხობის დანარჩენი ნაწილის ინტერესებს. ამით აიხსნება, რომ გლეხები პირველ ხანებში ცდილობენ „მემამულეებთან შეთანხმების მიღწევას. ისინი თანხმდებიან ჯერ-ჯერობით, მხოლოდ საიჯარო მიწაზე ქირის შემცირებას, მემამულეთა მეურნეობიდან ყველაზე აუტანელ, საძაგელ ნოჭარათა გაძევებას“ ისინი „ცდილობენ აიძულონ მემამულე, რათა გლეხებს იჯარით დაუთმოს ის მიწები, რომელსაც მანამდე ის მოჯამაგირეებთან აწუშავებდა; ფაქტურად არ გადაუხადონ ქირა იჯარით აღებულ მიწაზე, ისე მოეპყრონ მის ტყეს როგორც თავისას და სხედასხე. ასეთ პოლიტიკას აწარმოებდნენ უმრავლეს შემთხვევაში გლეხები თავდაპირველად მემამულეთა მიმართ.“¹⁾

მაგრამ როგორც კი დარწმუნდნენ გლეხები დროებითი მთავრობის შემთხმებლურ ხასიათში, იწყება გარდატეხა სოფლად და უკვე აგვისტოში და განსაკუთრებით სექტემბერ-ოქტომბერში გლეხები პრაქტიკულად ანხორციელებენ მემამულეთა მეურნეობის ლიკვიდაციას. ეს არის, ასე ვსთქვათ, მეორე პერიოდი აგრარულ რევოლუციის, როდესაც გადაწყვეტი ბრძოლა იწყება ფეოდალურ ნაშთების აღმოსაფხვრელად და ბურჟუაზიული რევოლუციის განსაფთვარებლად. „სექტემბერ-ოქტომბერში არსებითად იცვლება გლეხური მოძრაობის სახე ამბობს ანხ. იაკოველი. გლეხები გადადიან მემამულეთა მეურნეობის პირდაპირ მოსპობაზე, რომელიც დაკავშირებულია მემამულეთა მიწათმფლობელობის ყველა ძირითადი რესურსების ხელში ჩაგდებასთან. თუ მაისში თანდათან იზრდებოდა მემამულეთა მიწების და ტყეების ხელში ჩაგდება და ის უმრავლეს შემთხვევაში მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, არ ხდებოდა მემამულეთა მეურნეობების დანგრევა,—ეხლა გლეხური მოძრაობა ადის გლეხურ აჯანყებამდე, გლეხური ომის საფეხურამდე, რომლის ძირითადი საშუალებაა მემამულეთა მეურნეობის, მათი სახლ-კარის დარბევა და გადაწვა.“

ამასთან დაკავშირებით გადაჭრით იცვლება სოფლის შიგ კლასების ურთიერთობა. თუმცა მემამულეთა წინააღმდეგ სოფელი მთლიანად გამოდის, თუმცა კულაკები ზოგიერთ რაიონებში არ უშლიან ხელს გლეხების ბრძოლას მემამულეთა წინააღმდეგ, მაგრამ მემამულეთა წინააღმდეგ აჯანყებულ სოფლის ხელმძღვანელობა გადადის მაინც გლეხობის უღარიბეს ნაწილის ხელში.“²⁾ ასეა თუ ისე, მემამულეთა მიწათმფლობელობის წინააღმდეგ სოფელი ერთიანი ფრონტით გამოდიოდა, ამ ბრძოლის პროცესში გლეხების სხვადასხვა ფენების კლასობრივი ინტერესები ჯერ კიდევ მიქმალული იყო ოქტომბრის გადატრიალების წინ მთელი რუსეთი უკვე აგრარული რევოლუციის ცეცხლში იყო გახვეული. გლეხობა, რომელიც მაშინ დიდის უმრავლესობით ესრული პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მოითხოვდა მემამულეთა მიწების უსასყიდლოდ ჩამორთმევას და მთელ გლეხობაზე თანაბრად განაწილებას. გლეხთა დეპუტატების საბჭოების

¹⁾ იხ. „1917 год в деревне“ ანხ. ი. იაკოველის რედაქციით—გვ. 8, 9.

²⁾ იხ. იქვე—გვ. 10, 11.

მრავალი ნაკაზები ერთხმად მოითხოვდნ გამათანაბრებელ მუწათსარგებლობას, მიწის ე. წ. სოციალიზაციას, რომელიც ამ კანონის იდეოლოგებმა კესტევეტს ქაზრით განამტკიცებდა წკრილ ინდივიდუალურ გლეხურ მუწრნეწმს "გმწრწმწმწმდა მას განადგურებისაგან.

მიწის სოციალიზაცია არ იყო პროლეტარული პარტიის მოთხოვნილება, მაგრამ ოქტომბრის წინ შექმნილი პირობების გამო, იმ განწყობილების გამო, რომელიც გლებთა მასებში სუფევდა, საბჭოთა ხელისუფლება იძულებული იყო დასთანხმებოდა ამ წკრილ ბურჟუაზიულ მოთხოვნილებას. მიწის სოციალიზაცია მიმართული იყო ფეოდალურ მიწათმფლობელობის წინააღმდეგ, ის არსებითად ანტიფეოდალური რევოლუცია იყო და ამდენად პროგრესულ მოვლენას წარმოადგენდა, რადგან ამით ბოლო ეღებოდა საშუალო საუკუნოებრივ ნაშთებს, ეს იყო ბურჟუაზიული რევოლუციის ბოლომდე მიყვანა, ე. ი. იმის გაცეთება, რაც ვერ შესძლო დროებითმა მთავრობამ. გლებობის მოთხოვნილებათა მიღება განათანაბრებელი მიწათ სარგებლობის შესახებ, პროლეტარული პარტიის მიერ სოციალიზაციის კანონზე დათანხმება ლენინს საკუთარ პროგრამიდან უკან დახევად მიანდა, მაგრამ ოქტომბრის პირველ ხანებში ის პოლიტიკურად გონიერ ნაბიჯათ, მიზანშეწონილ ღონისძიებათ აღიარებდა. გლებობა დატანჯულია მემამულეთა მიერ—ამბობდა ლენინი, გლებობას სურს მიწის მიღება, ეს არის მისი ყველაზე საკირპოროტო საკითხი და მუწურ-გლებურმა ხელისუფლებამ უნდა დააკმაყოფილოს მისი ეს კანონიერი მოთხოვნილება.

„მუწურ-გლებური რევოლუციის მთავრობამ—ამბობდა ლენინი საბჭოების მეორე ყრილობის ისტორიულ სხდომაზე (26 ოქტომბერს)—პირველ რიგში უნდა გადასკრას მიწის საკითხი,—საკითხი, რომელსაც შეუძლია დააწყნაროს და დააკმაყოფილოს ღარიბი გლებობის უზარმაზარი მასები... აქ გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ დეკრეტი (იგულისხმება საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტი მიწის შესახებ. დ. გ.) ესერების მიერ არის შედგენილიო. ასეც იყოს. სულ ერთი არ არის, თუ ვინ შეადგინა ის, მაგრამ როგორც დემოკრატიულ ხელისუფლებას ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ ხალხთა დაბალი ფენების დადგენილებას, თუნდაც რომ არ ვიყოთ მათი თანახმა... მთელი აზრი იმაშია, რომ გლებობა მტკიცედ დარწმუნდეს, რომ მემამულეები სოფლად უკვე აღარ არიან, რომ დეე თვით გლებებში გადასწყვიტონ ყველა საკითხები, დეე თვით მათ მოაწყონ თავიანთი ცხოვრება... მუწათა და ჯარისკაცთა მეორე ყრილობამ მიიღო დეკრეტი მიწის შესახებ, რომელშიაც ბოლშევიკებმა უკლებლივ გაიმეორეს ყველა ის პრინციპები, რომელნიც გლებურ ნაკაზებშია მოყვანილი. ამაში გამოიხატა უკან დახევა სოციალ-დემოკრატიულ პროგრამიდან, რადგან ნაკაზები ესერების პროგრამას შეეფერება, მაგრამ სწორედ ესაა იმის დამამტკიცებელი, რომ სახალხო ხელისუფლებას არ სურდა თავისი ნება-სურვილის მოხვევა ხალხისთვის, არამედ ისწრაფვოდა მათთვის ხელის შეწყობას... ყველაზე საყურადღებოა, რომ გლებები თუ საუკუნოებით იღწვიან მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებას, ის გაუქმებულ უნდა იქნას.“¹⁾

¹⁾ იხ. ლენინი—ტ. XV, გვ. 19, 38, 39.

ნიწის სოციალიზაციას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაინერგა, ბითონოთხონით გაიღო, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გამარჯვებულმა კლასისთვის ახლად მოპოებული სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შენარჩუნების და განმტკიცების თვალსაზრისით, გლეხობის მრავალრიცხოვან მასებთან კონფლიქტის თავიდან აცილების თვალსაზრისით. იყო თუ არა მიწის სოციალიზაცია უკან დახევა? რასაკვირველია იყო. მაგრამ ეს იყო უკან დახევა; როგორც ლენინი ამბობს ძველ სოციალ-დემოკრატიულ (ბოლშევიკურ) პროგრამიდან, ეს იყო დროებითი უკან დახევა პროლეტარული პარტიის პრინციპებიდან, მაგრამ ის არ იყო არავითარ შემთხვევაში უკან დახევა არსებულ მდგომარეობიდან, არსებულ სოციალ-დემოკრატიულ ვითარებიდან. პირიქით, ეს ნაბიჯი, მემამულეთა მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია, ფეოდალური ნაშთების მოსპობა, ზემამულეთა ექსპლოატატორული მეურნეობის გაუქმება პროგრესიული მოვლენა იყო იმდენად, რამდენადაც ის ანთავისუფლებდა სოფელს საშუალო საეკონომიკური ნაშთებისაგან და საგრძნობლად ამსუბუქებდა უმიწაწყლო და მცირე მიწების მქონე გლეხების მდგომარეობას. ეს იყო ანგარიშის გაწევა წერილი გლეხებისადმი, რომელნიც ადვსილნი ისტორიული სიძულელით მემამულეთა მეურნეობისადმი, ხსნას მემამულეთა მიწათმფლობელობის გაუქმებაში ხედავდენ. „გლეხებს სურთ დაიტოვონ თავისთვის წერილი მეურნეობა—ამბობდა ლენინი 1917 წლის 11 სექტემბერს—სურთ ამ მეურნეობის თანაბრად მოწესრიგება, მათი პერიოდულად ხელახლა გათანაბრება... დეე: ამისთვის არც ერთი გონიერი სოციალისტი არ ჩამოადგებს უთანხმოებას ღარიბ გლეხობასთან. თუ მიწები კონფისკაცია ქმნილი იქნება, მაშასადამე ბანკების ბატონობა ძირგამოთხრილია, თუ ინვენტარი კონფისკაცია ქმნილი იქნება, მაშასადამე კაპიტალის ბატონობა ძირგამოთხრილია, და მაშინ ცენტრში პროლეტარიატის ბატონობის დროს, პოლიტიკური ძალაუფლების პროლეტარიატის ხელში გადასვლისას, დანარჩენი თავის თავად მოგვარდება, ვახდება „მავალითის ძალის“ შედეგი, ნაკარნახევი იქნება თვით პრაქტიკის მიერ.“¹⁾

„უდაოა—ამბობს ამხ. სტალინი—რომ ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო ბურჟუაზიული რევოლიუციის დასრულება, რომ ოქტომბრის რევოლიუციის გარეშე იგი ვერ დასრულდებოდა, ისე, როგორც თვით ოქტომბრის რევოლიუცია ვერ განმტკიცდებოდა ბურჟუაზიული რევოლიუციის გარეშე; და რამდენადაც ოქტომბრის რევოლიუცია ასრულებდა ბურჟუაზიულ რევოლიუციას, იმდენად მას თანაუგრძნობდა მთელი გლეხობა. პროლეტარიატის დიქტატურის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა ის არის, რომ მან დაასრულა ბურჟუაზიული რევოლიუცია და გასწმინდა საშუალო საეკონომიკების სიბინძურე; სოფლისათვის ამ გარემოებას ჰქონდა უმთავრესი და მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამის გარეშე ვერ განხორციელდებოდა გლეხთა მიწების გაერთიანება პროლეტარულ რევოლიუციასთან, რის შესახებ ამბობდა მარქსი ჯერ კიდევ წარსული საუკუნის მეორე ნახევარში.“²⁾ ან როგორც ამხ.

¹⁾ იხ. ლენინი—ტ. XXI, გვ. 112.

²⁾ იხ. სტალინი—„ლენინის საკითხები“ გვ. 461, 462—ტარული გამოცემა.

კრიკიანი აღნიშნავს, მიწის სოციალიზაციის კანონმა „ამ ტერიტორიების პრივილეგიის და გლეხურის დაკავშირება, მან მოუპოვა პირველს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის და არმიის უდიდესი უმრავლესობის მიერ მხარის დაჭერა, ნეოტეს—შეკავშირება და ხელმძღვანელობა. გლეხობის არაორგანიზაციულ მასების რევოლუცია და მოსახლეობის ორგანიზაციულ პროლეტარულ უმცირესობის რევოლუცია შეადგენს მან შეკავშირებულ მასების უძველეს რევოლუციად. მიწის სოციალიზაცია, რომელმაც განახორციელა გლეხობის ყველა მოთხოვნისგან აგრარულ საკითხში, შეიქმნა იმპერიალისტურ ომიდან გამოსვლასთან ერთად პროლეტარიატის და გლეხობის პოლიტიკური კავშირის საფუძვლად, რომელმაც უზრუნველყო გლეხობის დახმარება პროლეტარიატისადმი და ამ უკანასკნელის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცება.“¹⁾

წმინდა ეკონომიური თვალთახედვით მიწის დაყოფა გლეხების მიერ, შემზღვეთა მეურნეობის დაქუცმაცება, ამ მეურნეობათა ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის დატაცება, არა პროგრესიული მოვლენა იყო, რადგან ამ აქტით მოხდა მსხვილ მეურნეობათა გაუქმება და მცირე შემოსავლიან, ნაკლებად საქონლურ წვრილ მეურნეობათა რიცხვის გამრავლება. ამიტომ მართალია ამ. კრიკიანი, რომელიც ამბობს, რომ მიწის რეალიზაციაში ჰყოფა გამოხატულება გლეხური (აგრარული) რევოლუციის როგორც ისტორიულ პროგრესიულ ანტი ფეოდალურმა ტენდენციამ, ასევე მისმა ისტორიულ-რეაქციონურ ტენდენციამ, რომელიც მიმართული იყო არა მარტო კაპიტალის, არამედ საერთოდ მსხვილი მეურნეობის წინააღმდეგ. ის ხელს უწყობდა საწარმოო საშუალებათა არა განსახოგადობას, არამედ მის სწრაფ დაქსაქსვას და ნაწილობრივ განადგურებასაც კი. იყო თუ არა ეს პროლეტარიატის დიქტატურის მიხანი? რასაკვირველია არა. არ იყო იმიტომ, რომ პროლეტარული სახელმწიფო დაინტერესებულია საწარმოო ძალთა უაღრესი განვითარებით, მსხვილი წარმოების კიდევ უფრო მეტი ზრდით, პრიმიტიულ ტექნიკაზე დამყარებულ გლეხურ მეურნეობათა გარდაქმნით მაღალ ტექნიკურ საფუძველზე და ამ მეურნეობათა შემოსავლიანობის რაც შეიძლება მეტი გადიდებით. მიწის სოციალიზაციამ კი საწინააღმდეგო შედეგები გამოიწვია, რადგან განათანაბრებელ მიწათსარგებლობას მოყვა „სოფლის მეურნეობაში მსხვილ საწარმოთა განსახოგადობა კი არა, არამედ მათი მოსპობა და დაქუცმაცება—კაპიტალის პროლეტარული ექსპროპრიაციის ნაკვეთად ხდებოდა მისი წვრილბურჟუაზიული (გლეხური) ექსპროპრიაცია. ეს არა მარტო აძლიერებდა პროლეტარული რევოლუციის ნიკთობრივ ცალმხრივობას, სამეურნეო უსრულობას, არამედ საგრძობლად მცირდებოდა პროლეტარული რევოლუციის სოციალური ბაზა. გაქპრა სასოფლო-სამეურნეო მუშების მილიონები, რომელნიც ნეტ წილად წვრილ მესაკუთრებლად იქცნენ. დამოლოს მცირდებოდა მრეწველობის

¹⁾ იხ. Л. Крицман „Героический период Великой русской революции“. Вестник Ком. Академии, წიგნი IX, № 30, 31.

და სიერთოდ ქალაქის სასოფლო-სამეურნეობაშია დადგან სოფლის მეურნეობის ყველაზე მეტად საზოგადოებრივი, ბაზრის პირობებში ყველაზე მეტად საქონლური ნაწილი—კაპიტალისტური სასოფლო მეურნეობა—იქცეოდა მოხმარებითი ხასიათის მატარებელ წვირელ გლეხურ მეურნეობად¹⁾.

მემამულეთა ექსპროპრიაცია არ ნიშნავდა ჯერ კიდევ სოფლად ყოველგვარი სახის ექსპლოატატორული მეურნეობის გაუქმებას, რადგან აგრარული რევოლუციის ამ პერიოდის ამბები მხოლოდ ნაწილობრივ შეეხო კულაკურ მეურნეობებს, მით მიწათმფლობელობას და კულაკობა, როგორც სოფლის კაპიტალისტური კლასი, გლეხური კაპიტალისტური სოციალური ფენა დარჩა და მან კიდევ ისარგებლა მემამულეთა ქონების ექსპროპრიაციის დროს. „მიწების გადაყოფამ გააუქმა კულაკური მიწათმფლობელობაც. მაგრამ მემამულეთა ექსპროპრიაციით ისარგებლა სოფლის კულაკურმა ელემენტებმაც. ეს შეიქნა შესაძლებელი იმის გამო, რომ მემამულეთა ინვენტარის განაწილების დროს კულაკურმა მეურნეობებმა შესძლეს ისარგებლათ მითი გლეხურ მეურნეობათა სხვა ჯგუფების თანაბრად. ზოგიერთ შემთხვევაში კულაკობამ მოახერხა ხელში ჩაეგდო ამ ინვენტარის დიდი და უმჯობესი ნაწილი—ღარიბი გლეხებისაგან რთული მანქანების, ჯიშინი მუშა-საქონლის და სხვა შესყიდვით. აძლიერებდა რა თავისი მეურნეობის ტენიკურ დონეს, თავისი ძირითად კაპიტალს მემამულეთა საწარმოო იარაღების ხარჯზე—კულაკი ამასთან ერთად იღებდა საშუალებას შეენარჩუნებია გლეხობაზე თავისი ეკონომიური ზეგავლენის მთელი ძალა“²⁾. ეს ადვილი ვასაგებიცაა, რადგან კულაკი, ეს გლეხი-კაპიტალისტი ღარიბი და საშუალო გლეხების ბრძოლას მემამულეთა წინააღმდეგ უჭერდა მხარს არა პროლეტარული სახელმწიფოებრივი ძალათფლების განმტკიცების მიზნით ან კიდევ ღარიბი გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არამედ თავისი ექსპლოატატორული მეურნეობის გასაძლიერებლად.

ანტიფეოდალურ აგრარულ რევოლუციაში გლეხობა ერთიანი ფრონტით გამოვიდა და მაშინ, როგორც ვსთქვით ზემოთ, გლეხობის მკაცრად გამოიჯნას სხვადასხვა ეკონომიურ ინტერესების მატარებელ ფენებად არ ჰქონდა ადვილი, გლეხობის შიგ ჯერ კიდევ არ განაღებულიყო კლასობრივი ბრძოლა, რომელსაც შეუძლებელი გაეხადა სოფლის მწარმოებელთა სხვადასხვა ჯგუფების ერთიანი ფრონტი. მაგრამ ეს პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდებულა, რადგან აგრარული რევოლუცია არ შეჩერდა მარტო ფეოდალურ მიწათმფლობელობის მოსპობაზე. ბურჟუაზიული რევოლუცია, როგორც ამხ. ლენინი ამბობს უკვე 1918 წლის ზაფხულზე და შემოდგომაზე სრულდება სოფლად და იწყება საბჭოთა სოფელში ნამდვილი პროლეტარული რევოლუცია, მიმართული უკვე მსხვილ კაპიტალისტური (კულაკური) მეურნეობის, კულაკობის, ექსპლოატაციის წინააღმდეგ. იწყება მეტად მკაცრ ფორმებში განკულაკება და კულაკობის ზედა ფენების სრული ლიკვიდაცია. განკულაკებას აწარმოებდნენ ღარიბთა კომიტეტები (комитеты)

¹⁾ იხ. კრიკმანი, დასახლებული შრომა გვ. 82, 83.

²⁾ იხ. В. Аверьев „Комитеты бедноты“ შტრ. „На аграрном фронте“ № 3 გვ. 52, 53.



რომელნიც 1918 წლის ზაფხულზე წარმოიშვა და განმტკიცდა კულაკური კონტრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1918 წლის ევკლავიზაციის საბჭოთა კავშირის მთელ რიგ მხარეებში იწყება კულაკური აჯანყებები. კულაკი უკმაყოფილოა ოქტომბრის რევოლუციითა, რადგან ის ძირს უთხრის არა მარტო მემამულეთა, არამედ მის ბატონობასაც სოფლად, კულაკი ვერ ურიგდება კაპიტალისტთა ეკსპროპრიაციის ქალაქათ, რადგან ამაში ის ხედავს კაპიტალის ბატონობის განადგურებას, მოწინააღმდეგე სოციალური ძალების დარაზმებას და გაძლიერებას. კულაკობა თავის უკმაყოფილებას, კლასობრივ სიძულვილს ოქტომბრის რევოლუციისადმი გარკვეულ ფორმებში აყალიბებს, ადგენს სოფლად მებრძოლ რაზმებს, არ აძლევს პურს დამწვეულ ქალაქებსა, ეწევა აგიტაციას საშუალო გლეხობაში, რათა საბჭოთა ხელისუფლებას არ გაეწიოს სასურსათო დახმარება, ან როგორც ლენინი ამბობდა კულაკობის ლოზუნგი იყო ოქტომბრის რევოლუციის სიმშობლივით ამოწყვეტა. ყოველივე ამის საპასუხოდ შეიქმნა სოფლად ღარიბთა კომიტეტები, რომელნიც პროლეტარული სახელმწიფოს დასაყრდენ ორგანოებათ იქცნენ.

ანტიკაპიტალისტური რევოლუცია სოფლად განსაკუთრებით გაიშალა 1918 წლის ზაფხულის დასასრულს და შემოდგომაზე, რადგან ამავე დროს ბურჟუაზიული რევოლუცია თიბქმის მთავრდება.¹⁾ „ოქტომბერში, ამბობს ლენინი—ჩვენ დავკმაყოფილდით იმით, რომ გლეხობის ძველი, საუკუნებრივი მტერი, მენაშულე-მებატონე, ლატიჟუნდიების მფლობელი სწრაფად აღვგავეთ. ეს იყო საერთო გლეხური ბრძოლა, აქ ჯერ კიდევ არ იყო დაყოფა პროლეტარიატსა, ნახევრად პროლეტარიატსა, გლეხობის უღარიბეს ნაწილისა და ბურჟუაზიას შორის. კანონი, რომელიც ჩვენ მაშინ (ოქტომბრის დღეებში—დ. გ.) მივიღეთ, გამომდინარეობდა საერთო დემოკრატიულ საწყისებიდან, იმისაგან, რაც აერთიანებს მდიდარ გლეხს—კულაკს ღარიბთან, სიძულვილი მემამულისადმი, ეს კანონი, რომელიც გამომდინარეობდა ერთობის საერთო იდეიდან, რომელიც წარმოადგენდა აშკარა, რევოლუციონურ იდეას მონარქიის, ძველი წესწყობილების წინააღმდეგ, უნდა გადასულიყო გლეხობის შიგ დანაწილებათ... აგრარული რევოლუცია დაიწყო მიწის სწორედ იმ სოციალიზაციიდან, რომელსაც ჩვენ თვითონ ვატარებდით ჩვენის ხმებით, ვამბობდით რა აშკარად, რომ ის არ შეეფერება ჩვენს შეხედულებებს, ვიცოდით რა, რომ გამათანაბრებელ მიწათმფლობელობას იზიარებს უდიდესი უმრავლესობა, ჩვენ არ გვინდოდა მისთვის რაიმეს მოხვევა თავზე, და უცდიდით, როდის განთავისუფლდება გლეხობა ამ აზრიდან და

¹⁾ 1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომას, როგორც ძირითადი გარდატეხის მომენტს აგრარულ რევოლუციაში ჩვენ პირობითად ვიღებთ და ვვარაუდებთ საბჭოთა კავშირის მთელ ზოგადრთ. რაიონებზე, რადგან „ბურჟუაზიული რევოლუცია—როგორც ამბობს ანხ. სტალინი—ერთიანი აქტი როდია, ის გავრავლდა მთელი პერიოდი და დამდარა არა თუ 1918 წელი, არამედ 1919 წ. (ვოლვის მხარე-ურალი) და 1919—20 წლები (უკრაინა).“ იხ. სტალინი „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 462.

წავა წინ¹). და ეს მომენტი დადგა 1918 წლის ზაფხულიდან, როდესაც ქალაქის პროლეტარიატის მიერ გამოფხიზლებულმა, მის მიერ შემოქმედებულმა გაზეთმა დაყენებულმა ღარიბმა გლეხებმა იწყეს საკუთარი რევოლუციონური ორგანიზაციის, „ბრძოლისა და მოქმედების“ კომიტეტების დაარსება, როდესაც სოფლის-პროლეტარულმა და ნახევრად პროლეტარულმა ელემენტებმა აქტიური წინააღმდეგობა გაუწიეს კულაკობის კონტრევოლუციონურ ცდებს და დღის წესრიგში დასვეს „კულაკური კონტრევოლუციის ეკონომიური და პოლიტიკური ბაზის მოსპობა და სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა“. ეს იყო ის მომენტი, როდესაც მშრომელი გლეხობა განთავისუფლდა ესერულ ილუზიებიდან და წავიდა წინ, პროლეტარული რევოლუციის გასაერცელებლად სოფლად.

„ჩვენი რევოლუცია, — ღარიბთა კომიტეტების დაარსებამდე, ე. ი. 1918 წლის ზაფხულსა და შემოდგომამდე, იყო მეტ წილად ბურჟუაზიული. რევოლუცია, ჩვენ ამის თქმის არ გვეშინია. ჩვენ ასე იოლად ჩავატარეთ ოქტომბრის რევოლუცია იმიტომ, რომ გლეხობა მთლიანად ჩვენ მიგვეყვებოდა, იმიტომ, რომ ის ილაშქრებდა მემამულეების წინააღმდეგ, ხედავდა, რომ აქ ჩვენ ბოლომდე მივალთ. ჩვენ განვახორციელეთ, როგორც კანონი ის, რაც ესერების გაზეთებში იყო დაბეჭდილი, ის, რა დაპირებაც წამოაყენა მშვიშარა წვრილმა ბურჟუაზიამ, მაგრამ ვერ შეასრულა. ხოლო როდესაც ღარიბთა კომიტეტები დაარსდა — ამ მომენტიდან ჩვენმა რევოლუციამ იწყო გადასვლა პროლეტარულ რევოლუციაში.... და, როდესაც ჩვენ დავეინახეთ, რომ სოფლად, 1918 წლის ზაფხულზე დაიწყო და მოხდა ოქტომბრის რევოლუცია, მხოლოდ მაშინ დავედქით ჩვენ ჩვენს ნამდვილ პროლეტარულ ბაზისზე, მხოლოდ მაშინ ჩვენ რევოლუცია არაპროკლამაციებით, არა დაპირებებით და განცხადებებით, არამედ ნამდვილად გახდა პროლეტარული“²).

რა იყო როგორც პირველი (ანტიფეოდალური ბურჟუაზიული), ისე მეორე (ანტიკაპიტალისტური — პროლეტარული) აგრარული რევოლუციების შედეგი? თავდაპირველად მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმება, მიწის უფლება-გაყიდვის აკრძალვა, წვრილი გლეხობის დაკმაყოფილება მიწით, სხილი მეურნეობის დაშლა და დაქუცმაცება, როგორც მემამულეთა (ფეოდალურ ლატიფუნდიების) ისე კულაკურ (კაპიტალისტურ ფერმების) საწარმოო საშუალებათა დაყოფა განსაკუთრებით წვრილ მწარმოებელთა მიერ, რას ნიშნავდა ეს პროცესი სოფლად? რასაკვირველია სრულიად არა იმას, რაც მოხდა ქალაქად ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციის, მრეწველობის, რკინის გზების, ბანკების და სხვათა ნაციონალიზაციის დროს. არ ნიშნავდა იმიტომ, რომ „სოფლად მოხდა ექსპროპრიატორ კულაკების წვრილ ბურჟუაზიული, გლეხური ექსპროპრიაცია და არა პროლეტარული, რადგან სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი ჯერ კიდევ მანამდე

¹ იხ. ლენინი, ტ. XV გვ. 500, 501.

² იხ. ლენინი, ტ. XVI, გვ. 105, 106. ჩვენი — ზ. გ.

იყო გამჭრალი. ¹⁾ საგულისხმო ის არის—ამბობს ანხ. კრიცმანიძე, რომ კაპიტალისტურმა რევოლუციამ მოსპო აქ არა კაპიტალისტური გარემო, რომელიც ხელს უშლიდა მსხვილი მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებას, არამედ მან მოსპო თვით მსხვილი მეურნეობა (და მსხვილი მხოლოდ შედარებით) და, მაშასადამე, მასთან დაკავშირებული საწარმოო ძალთა შედარებით მაღალი დონე. ამის შედეგი შეიქნა მსხვილ გლეხური მეურნეობათა დაქუცმაცება და გამსხვილება წერილების, გლეხურ მეურნეობათა საყოველთაო ნიველირაცია, ყველა გლეხების გადაქცევა წერილ ბურჟუვზათ, ნაბიჯი წინ ფეოდალური გლეხისათვის და ნაბიჯი უკან გლეხი-კაპიტალისტისათვის, მისი დაბრუნება პირვანდელ მდგომარეობისადმი. მაგრამ თავისი რევოლუციონური პოლიტიკური ამოცანა ანტი-კაპიტალისტურმა რევოლუციამ სოფლად შეასრულა. კულაკების ექსპროპრიაციამ მოსპო კონტრევოლუციის უკანასკნელი სოციალური დასაყრდენი. ²⁾

მაგრამ შეცდომა იქნებოდა თუ ვიტყვოდით, რომ ვითომდა ღარიბთა კომიტეტებმა, კულაკურ მეურნეობათა მიწების და ინვენტარის გადაყვამ მოსპო კაპიტალიზმის ფესვები საერთოდ, შეუძლებელი გახადა პროლეტარული რევოლუციის საწინააღმდეგო სოციალური ძალის წარმოშობა სოფლად. ამის მტკიცება ღრმა შეცდომა იქნებოდა, რადგან ანტიფეოდალურმა და ანტიკულაკურმა რევოლუციებმა განამტკიცეს სოფლის წერილ საჭონლის მწარმოებელთა ნიადაგი, გამარავლეს წერილი გლეხები, გააფართოვეს სწორედ ის ეკონომიური ბაზა, საიდანაც, ლენინის თქმით, მუდმივ წარმოიშევა კაპიტალიზმი, რომელიც „ქიმიურად გამოყოფს“ სოფლის კაპიტალისტებს—კულაკებს, ამ ვამპირებსა და სისხლის მსმელებს. სოციალისტური მიწათმოწყობისა და სოციალისტური მიწათმოქმედების კანონი (რომელიც 1919 წლ. 14 თებერვალს გამოიცა და რომელიც ნიშნავდა მეორე ეტაპის დაწყებას აგრარულ რევოლუციაში) ითვალისწინებდა სოფლად მსხვილი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდას. საბჭოთა ხელისუფლება—ამბობდა ანხ. ლენინი სამიწათმოქმედო კომუნების და სასოფლო-სამეურნეო არტელების პირველ ყრილობაზე—უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კომუნებს, არტელებს და საერთოდ ყველა ორგანიზაციებს, რომელიც ხელს უწყობენ წერილ, ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა თანდათანობით გადაქცევას საზოგადოებრივ, სააშხანავო ანუ საარტელო მეურნეობად. თქვენ იცით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე კარგა ხანია შექმნა მილიარდიანი ფონდი ასეთი სახის წამოწყებათა დასაბნარებლად. ასეთი სახის წამოწყებათა მნიშვნელობა

¹⁾ ანხ. კრიცმანიძე მოყვას შემდეგი ცნობები (ანხ. სტრუმილინის წიგნიდან) სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის შემცირების შესახებ 1917 წლამდე. ევროპულ რუსეთში თუ 1917 წ. ითვლებოდა 2 მილ. 100 ათასი სასოფლო-სამეურნეო მეშა, 1918 წელს მისი რიცხვი არ აღემატებოდა 34 ათასს, ე. ი. მუშათა რიცხვი შემცირდა სამოცდაათჯერ. სასოფლო-სამეურნეო მეშები შეადგენდნ რუსეთის მთელი მეშების მთარათ 1917 წ. 30,8%, ხოლო 1919 წ. 1,3% ე. ი. პროლეტარიატის რაზში, ასე უსთქვათ, გაჭკაა. იხ. კრიცმანი, დასაბელებული ზრომა. გვ. 33.

²⁾ იხ. კრიცმანი, გვ. 54, 60.

ძალზე დიდია, რადგან თუ წინანდელი, ღარიბი, მათხოვრული მეურნეობა ძველებურად დარჩა, მაშინ სოციალისტური საზოგადოების არავითარ პტიცე მშენებლობაზე არ შეიძლება ლაპარაკი.¹⁾

ჯერ კიდევ 1918 წლის მეორე ნახევრიდან (სოციალისტური მიწათმოყვობის და სოციალისტური მიწათმოქმედების კანონის გამოცემამდე) იწყება საბჭოთა მეურნეობების (როგორც სახელმწიფო სოციალისტური წამოწყებების) და კომუნების მშენებლობა. 1919 წლის 14 თებერვლის ცნობილ დადგენილებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „ადამიანის მიერ — ადამიანის ექსპლოატაციის საბოლოოდ მოსპობისათვის, სოფლის მეურნეობის მოწყობისათვის სოციალიზმის საფუძველზე მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა მიღწევათა გამოყენებით, მშრომელ მასების სოციალისტურად აღსაზრდელად და აგრეთვე პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის გასაერთიანებლად მათს ბრძოლაში კაპიტალის წინააღმდეგ — აუცილებელია მიწათმფლობელობის ინდივიდუალურ ფორმებიდან ამხანაგურზე გადასვლა. მსხვილი საბჭოთა მეურნეობანი, კომუნები, მიწის საზოგადოებრივი დამუშავება და საამხანაგო მიწათმფლობელობის სხვა ფორმები წარმოადგენენ საუკეთესო საშუალებას ამ მიზნის მისაღწევად, ამიტომ ინდივიდუალური მიწათმფლობელობის ყველა სახეს უნდა უყურებდეთ, როგორც გარდამავალს და მომავლად“.

ამ დადგენილების თანახმად საბჭოთა მეურნეობა უნდა ყოფილიყო სოფლის მსხვილი მეურნეობის ტიპი, ის უნდა გადაქცეულიყო მთელი დანარჩენი გლეხობისათვის მაგალითის მიმცემ, მსხვილი, განსაზოგადოებული მეურნეობის უპირატესობის დამამტკიცებელ საწარმოო დაწესებულებად, ის უნდა გამოსულიყო ახლო-მახლო გლეხურ მოსახლეობაში აგრიკულტურულ ღონისძიებათა გამავრცელებლად, რაციონალური მეურნეობის პროპაგანდისტათ და ორგანიზატორად. გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობათა გაძლიერებული მშენებლობა სამოქალაქო ომის პერიოდში გამოწვეული იყო მწვავე სასურსათო კრიზისით, კულაკის „ეკონომიური ბოიკოტით“, „სასურსათო გაფიცვით“. როგორც საბჭოთა მეურნეობანი, ისე კომუნები და არტელები არსდება შემამულეთა მიწებზე, შემამულეებისა და კულაკებისაგან ჩამორთმეულ ინვენტარით. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მათ შეეძლოთ მაშინ საგულისხმო ეკონომიური ზეგავლენის მოხდენა დანარჩენ გლეხობაზე უმთავრესად იმიტომ, რომ ისინი მეტად უმნიშვნელო ნატურიალურ საფუძველზე იყვნენ აგებულინი, არ გააჩნდათ მსხვილი მანქანა-იარაღები სათანადო რაოდენობით, რათა თვალნათლივ დაენახებებიათ წერილ, დაქსაჭულ გლეხობისათვის შრომის მაღალი ნაყოფიერება და წარმოების ანგარიშგასაწევი რენტაბელობა.

¹⁾ იბ. ლენინი, ტ. XVI, გვ. 891.



განსაკუთრებით სუსტ სამეურნეო ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ მშენებელი კოლმეურნობანი. მათში უმთავრესად ღარიბი გლეხობა ერთვის და მხოლოდ იმას აერთიანებდა, რისი მიღებაც კი შეუძლებოდა ექსპროპრიაცია ქმნილ მემამულეთა მეურნეობებიდან და განკულაკებულთა ქონებიდან. მემამულეებისა და კულაკებისაგან ჩამორთმეულ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის საკმარისი ნაწილი კი, იმის მთელი პერიოდის განმავლობაში მეურნეობის მტაცებლურად წარმოებას გამო ძალზე გაცივებული და ტენიკურადაც მოძველებული იყო. გარდა ამისა, მემამულეთა ლატიფუნდიების დარბევის და განკულაკების დროს ბევრი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი სრულიად უფარგისი ვახდა ან კიდევ საგრძობლად დაზიანდა. სახელმწიფოს კი, საერთო სამეურნეო დაქვეითების, მსოფლიო ომში რუსეთის მთელი მატერიალური სიმდიდრის განაივების და მეორეს მხრივ რუსეთში საერთოდ მსხვილი მრეწველობის და კრძოდ სასოფლო-სამეურნეო მანქანათ მშენებლობის მტად სუსტი განვითარების გამო არ შეეძლო აუცილებელი საწარმოო დახმარების გაწევა სოფლის განსაზოვადობულ მეურნეობებისათვის. ყოველივე ამის გამო ვერც საბჭოთა და ვერც კოლექტიური მეურნეობები ვერ ხდებოდნენ მისაბამ, ინდივიდუალურ მწარმოებლებზე დარწმუნების მომხდენ მსხვილ საზოგადოებრივ ეკონომიებად.

მეორეს მხრივ ღარიბ და საშუალო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი განზე გაუდგა საკოლმეურნეო მშენებლობას, რაიც უნდა აიხსნას ნაწილობრივ წერილი მწარმოებლის ისტორიული სიძულვილით მსხვილი მეურნეობებისადმი. „როდესაც ჩვენ ძალაუფლებას ვიღებდით—ამბობდა აბ. ლენინი 1919 წელს—ვემყარებოდით მთელ გლეხობას მთლიანად. მაშინ გლეხებს ერთი ამოცანა ჰქონდათ—ბრძოლა მემამულეებთან. მაგრამ მათ დღემდე შერჩათ უარყოფითი წინასწარ განწყობილება მსხვილი მეურნეობის წინააღმდეგ. გლეხი ფიქრობს, „თუ მსხვილი მეურნეობაა, მაშასადამე მე კვლავ მოჯამაგირე ვარ“-ო. რასაკვირველია ეს შემცდარი აზრია. მაგრამ მსხვილი მეურნეობის წარმოდგენა გლეხობასთან დაკავშირებულია სიძულვილით, იმის მოგონებასთან, თუ როგორ სივარავდენ ხალხს მემამულეები. ეს გრძნობა რჩება, ის ჯერ კიდევ არ გამქრალა.“¹⁾ ამიტომ აქცევდა ლენინი უდიდეს ყურადღებას მშრომელი გლეხის „ფსიქოლოგიურ გადარწმუნებას“ და მისთვის კონკრეტული ფაქტებით მსხვილი, საამხანაგო მეურნეობის უპირატესობის და „უვნებლობის“ დამტკიცებას, პრაქტიკოს და რეალისტ გლეხისათვის კონკრეტულ მაგალითებზე იმის დამტკიცებას, რომ „კომუნია“ ყველას სჯობს.

ლენინი ჯერ კიდევ 1919 წელს აბრთხილებდა პარტიულ ორგანიზაციებს კოლმეურნობათა მშენებლობის დროს წერილი მწარმოებლისადმი აჩქარებულ, დაუკვირებელ, უტაქტო და ადმინისტრაციულ მიდგომისაგან. ლენინმა საუკეთესოთ განსჯერიტა ის შეცდომები, რომელსაც სოფლად აუცილებლად ექნებოდა ადგილი და რომლითაც ასე უხვი იყო მიმდინარე წელს საკოლმეურნეო

¹⁾ იხ. ლენინი, ტ. XVI, გვ. 150.

მშენებლობა კერძოდ საქართველოში. „რასაკვირველია—აქვეყნისთვის—ლენინი— არათუ არ გამოვა, თუ სოფლად გამოჩნდებიან აჩქარებულად: მსაქმე, ჩამოღონიკ გაფრინდენ იქ ქალაქიდან, ჩავიდენ, წაიყბედეს, მოაწყვეს რამოდენინე ინტელიგენტური ან კიდევ არა ინტელიგენტური „სკოლა“, წაიფურთხეს და წავიდ-წამოვიდენ. ეს ხდება. პარტიის ცემის მაგივრად ის დაცინვას იწყებს და სავსებით სამართლიანად“. ¹⁾ ლენინის ეს რჩევა-დარიგება ავიწყდებოდა „სამხედრო კომუნიზმი“-ს პერიოდში (ისე როგორც დღესაც ივიწყებენ ზოგან) ბევრ კოლექტივიზატორს და ამას ნაწილობრივ ხელს უწყობდა განკულაყების მაშინდელი პრაქტიკა. განკულაყებას აწარმოებდენ ღარიბთა კომიტეტები უმთავრესად, რომელნიც განკულაყების პროცესს მეტ წილად არ უკავშირებდენ წერილ მწარმოებელთა კოლექტივიზაციას, პირიქით მაშინდელი განკულაყება, ანტიკულაყური რეგოლიუცია წინ უსწრებდა გლეხურ მეურნეობათა განსახოგადოებას და მისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა, ის არ ემყარებოდა (როგორც მაგ. დღეს) ღარიბ და საშუალო გლეხთა მჭიდრო დარაზმვას, მათი დიდი ნაწილის წინასწარ გაერთიანებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობების გაძლიერებას, განსახოგადოებულ მეურნეობისათვის მატერიალური ბაზის შექმნას და სხვ. საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რაიონებში მომხდარი მასიური განკულაყება გამოწვეული იყო უმთავრესად კულაყობის კონტრევოლიუციონური მოქმედების ლიკვიდაციის და სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობით. სწორედ ამიტომ განკულაყებას არა ყველათვის და არა ყველგან სდევდა თან კომუნების, არტელების და სხვა სახოგადოებრივ საწარმოო გაერთიანებათა დაარსება და განკულაყებული ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი არა განსახოგადოებულ მეურნეობათა ფონდში ირიცხებოდა, არამედ შეუძლო გლეხებს შორის ნაწილდებოდა თანაბრად.

ღარიბთა კომიტეტების პერიოდის ამ პრაქტიკის თავიდან აცილებას, მისს განუმეორებლობას ისახავდა მიზნად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი, როდესაც თავის 5 იანვრის ცნობილ დადგენილებაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კოლექტივიზაციის დღევანდელი პერიოდი არსებითად იქნება განსხვავებული „სამხედრო კომუნიზმის“ კოლმეურნეობათა მშენებლობიდან, რადგან განკულაყება ეხლა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე, მას შემდეგ, რაც ღარიბ და საშუალო გლეხთა უმრავლესობა ჩამოყალიბებული იქნება კოლმეურნეობებში, რომ განკულაყება უნდა აწარმოონ თვით ღარიბმა და საშუალო გლეხებმა და განკულაყებული მეურნეობათა საწარმოო საშუალებანი მთლიანად წარიცხონ კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდში და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს დაწეებული ამ ინვენტარის ინდივიდუალურ მეურნეობათა შორის განაწილება, როგორც მჭონდა ამას ადგილი ღარიბთა კომიტეტების დროს. ზოგან საკოლმეურნეო მშენებლობაში დაშვებულ მეტად უხეში შეცდომების გამო დამახინჯებულ იქნა პარტიის ეს მითითება და ლოზუნგი „ჯერ კოლექტივიზაცია, ხოლო შემდეგ განკულაყება“, შეც-

¹⁾ იხ. ლენინი, იკვ. გვ. 151.

ვლილ იქნა ლოზუნგით „ჯერ განკუთვლება, შემდეგ კოლექტივიზაცია“ ამის გამო არ არის სწორი ამხ. ბუხარინის ლოზუნგი „ანტიკულმწიფარული“ რადგან ეს ლოზუნგი, როგორც სამართლიანად შენიშნა ეს ამხ. მილუტინი „არ ითვალისწინებს კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის აუცილებელ საფუძველს, მთლიან კოლექტივიზაციას“, ის ანგარაშს არ უწევს იმ წინასწარ პირობებს, რომელთა გარეშე შეუძლებელია სოფლად კაპიტალისტური კლასის ლიკვიდაცია, ამ კლასის საწარმოო საშუალებათა ექსპროპრიაცია და რაც მთავარია— განსაზოგადოება, ამხ. ბუხარინის ეს ლოზუნგი უფრო შეიძლება მიუყენოთ ღარიბთა კომიტეტების პერიოდს, როდესაც განკუთვლება (ანტიკულმწიფარული რევოლუცია) თავის უშუალო მიზნად ისახავდა კულაკობის, როგორც კონტრრევოლუციონური კლასის პოლიტიკური წინააღმდეგობის გატეხას და მისი „სასურსათო ბოიკოტის“ დაძლევას და არა წვრილმწარმოებელთა საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოებას, სამიწითმოქმედო მეურნეობის ახალი ფორმის შექმნას.

მაშასადამე ფართო კოლმეურნეობრივი მშენებლობა, წვრილ მწარმოებელთა მასიური კოლექტივიზაცია „სამხედრო კომუნისმის“ პერიოდში შეუძლებელი იყო ჯერ ერთი იმიტომ, რომ დაცემული იყო ქვეყნის საწარმოო ძალები, კერძოთ, მეტად საგრძობი იყო სოფლის მეურნეობის დაჭედილობა და მსხვილი მრეწველობის განუვითარებლობა, საბჭოთა მეურნეობების სრულიად უმნიშვნელო ხვედრითი წონა და მათი ცუდი ტექნიკური შეიარაღება, მეორეს მხრივ— პროლეტარული რევოლუციის განუმტკიცებლობა სოფლად, მჭიდრო კავშირის უქონლობა საშუალო გლეხობასთან, მისი სისტემატიური მერყეობა, კაპიტალისტური ელემენტების შედარებითი სიძლიერე, კოლმეურნეობათა მეტად მცირე პროცენტი და მათი უმთავრესად კარჩაკეტილი და მოხმარებითი ხასიათი, ინდივიდუალისტურ მოხმარებითი ინსტინქტების ბატონობა წინა სამეურნეო წყობილებების მიერ დაჩაგრულ და გაყვლილ წვრილ მწარმოებელთა შორის, შიში, ან როგორც ლენინი ამბობს სიძულვილი მსხვილი მეურნეობისადმი ღარიბ და საშუალო გლეხობაში და სხვ. გარდა ამისა დაუკვირებელი, უბეში აღმინისტრაციული მიდგომა განსაკუთრებით საშუალო გლეხისადმი, სახელს უტეხდა საკოლმეურნეო მშენებლობას და მის წინააღმდეგ ამხედრებდა არა მარტო საშუალო გლეხს, არამედ ღარიბთა ნაწილსაც კი. „კარგია— ამბობდა ამხ. ლენინი— თუ კომუნები პრაქტიკულად გვიჩვენებენ, რომ მათში მართლაც სწარმოებს სერიოზული მუშაობა გლეხური მეურნეობის გასაუმჯობესებლად— მაშინ, უტყველია გაიზრდება ავტორიტეტი, როგორც კომუნისტების, ისე კომუნისტური პარტიისაც. მაგრამ ძალიან ხშირად ხდებოდა, რომ კომუნები იწვევდნენ გლეხობაში თავის თავისადმი უარყოფით დამოკიდებულებას და სიტყვა „კომუნა“ იქცეოდა ხანდახან ბრძოლის ლოზუნგითაც კი კომუნისმის წინა აღმდეგ. და ასე ხდებოდა არა მარტო მაშინ, როდესაც უხამს ცდებს მიმართავდნენ გლეხების შესარეკათ კომუნაში, ამის უხამსობა ისე საგრძობლად გვხვდებოდა თვალში, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ კარგა ხანია გაილაშქრა მის წინააღმდეგ. გლეხი ამბობს „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს ბოლშე-

ქართული

ვიკებს, ძირს კომუნია“-ის. აგინებს „კომუნიას“, რომელსაც ეწოდებოდა აწყოებენ, რომელსაც მას თავს ახვევენ. ხოლო ყოველივე თავს მოხვეულს ის უნდობლობით ეპყრობა, კანონიერი უნდობლობით. ჩვენ უნდა მივიდეთ საშუალო გლესთან, დავეხმაროთ მას, ვასწავლოთ მას, მაგრამ მხოლოდ მეცნიერებისა და სოციალიზმის სფეროში, სოფლის მეურნეობის დარგში კი მისგან უნდა ვისწავლოთ. აი ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე იჭრება განსაკუთრებით ძლიერ¹⁾.

„სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდში კოლმეურნეობათა ძირითად ტიპს კომუნა წარმოადგენდა, თუმცა არსებობდა სასოფლო-სამეურნეო არტელები და მიწის საერთოდ დამუშავებელი ამხანაგობანიც. კომუნების მატერიალურაზაზა მეტად უმნიშვნელო იყო და ისინი თითქმის ყველგან სამომხმარებლო ხასიათს ატარებდნენ. კომუნები უმთავრესად საკუთარ სამომხმარებლო მოთხოვნილებებს აკმაყოფილებდნენ, თვისი ნაკლებად საწარმოო ხასიათის და მცირე ტექნიკური შეიარაღების გამო თითქმის ვერაფრითარ გავლენას ვერ ახდენენ ახლომახლო გლესურ მეურნეობებზე, მათი საქონლიანობა დაბალი იყო და იმდროინდელ კომუნებს, ისე როგორც არტელებს (მცირე გამოხანკლისით) სახელმწიფოსთვის არსებითი სასურსათო დახმარება არ გაუწევიათ. კომუნები ამის მიუხედავით საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი იყო სოფლად და ამიტომ მათ გამუდმებით თავს ესხმოდნენ და აწიოკებდნენ კულაკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები, თუმცა ზოგჯერ კომუნები კლასიური მტრების თავშესაფარნიც ხდებოდნენ²⁾.

უნდა ითქვას, რომ „სამხედრო კომუნიზმი“-ს დროს გამოირჩეოდა მთელი რიგი კოლმეურნეობანი, რომელნიც ამართლებდნენ თავიანთ დანიშნულებას და ახდენდნენ აუცილებელ საწარმოო ზეგავლენას ერთპიროვნულ მეურნეობათა დანარჩენ მასაზე. მაგრამ ესენი იყო ერთეულები, უმნიშვნელო კუნძულები წვირელ მწარმოებელთა უზარმაზარ ოკეანეში, პატარა წერტილები, რომელთაც საგულდისხმო როლის თამაში ქვეყნის საერთო გლესურ ეკონომიკაში არ შეეძლოთ, ისინი ვერ კიდევ ვერ გამხდარიყვნენ იმ საფუძვლად, რომელზედაც დაყრდნობით შესაძლებელი ყოფილიყო წვირელი გლესური მეურნეობის, კაპიტალიზმის ამ მასაზრდოებელი ნიადაგის სოციალისტური გარდაქმნა, რადიკალურად და მასიურად. მასიური საკოლმეურნეო მოძრაობა კი დამოკიდებულია მთელ რიგ აუცილებელ წინამძღვრებზე, ეკონომიურ^{*} და პოლიტიკურ მომენტებზე, ისეთ დასაყრდნობ პუნქტებზე, სტალინის სიტყვით რომ ვსთქვათ, რომელნიც „სამხედრო კომუნიზმის“ პერიოდში არ არსებობდა და რომელთა შექმნა შესაძლებელი გახდა ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს და ისიც ამ პოლიტიკის მხოლოდ განსაზღვრულ ეტაპზე—საწარმოო ძალთა და სოციალისტურ საწარმოო ურთიერთობათა განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე.

დასასრული შემდეგ ნომერში.

¹⁾ იხ. ლენინი, ტ. XVI გვ. 177, 304.

²⁾ საკოლმეურნეო მშენებლობის შესახებ „სამხედრო კომუნიზმის“ დროს იხ. სინტეზის ცნობები ანხ. ა. ბიციქოვას წიგნში „К вопросам теории и истории коллективизации сельского хозяйства в СССР“. თავი II.



„კაპიტალის“ კართულად გამოსვლის გამო

პარლ მარტში: „კაპიტალი“, ტომი პირველი

თარგმანი გერმანულიდან მაღაძინა ტორღოშვილის მიერ რედაქციით

სახელმწიფო გამომცემლობა, 1930.

სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდში ადვილად განხორციელდა ის დიდი საქმე, რაც რევოლუციის წინანდროინდელ ქართველი სოციალისტი—მარქსისტისათვის ოცნების საგანიც კი არ ყოფილა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურის ერთი უდიდესი ქმნილების—მარქსის „კაპიტალის“ ჩინებული ქართული გამოცემა. „კაპიტალი“ დიდი ხანია ჩინურ ენაზედაც კი იყო გამოცემული, საქართველოში კი, სადაც თვით განმანათლებრივი მოძრაობა სხვადასხვა ისტორიული პირობების გამო სოციალისტური და მარქსისტული იდეებით მოვიდა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობამდე ამაზე არავის უფიქრია. მართალი უნდა ითქვას, რომ რევოლუციამდე ქართული „კაპიტალის“ მკითხველიც კი არსად მოიპოვებოდა და თუ დღეს 15.000 ეკზემპლარის სახით განაწილდა ის ქართველ მუშებსა და გლეხებს შორის—ეს უდიდესი დოკუმენტია ჩვენი აღმშენებლობისა და წინსვლის, ჩვენი ეროვნული და კულტურული დამოუკიდებლობის.—„კაპიტალი“ უდიდესი თავდება იმის, რომ ეს დამოუკიდებლობა კარჩაკეტილობას და ქვეყნიდან მოწყვეტილობას არ ნიშნავს, არამედ, თანასწორ უფლებებით შესვლას მშრომელ ხალხთა ინტერნაციონალურ ოჯახში—ის ნიშნავს თავის ფორმით ეროვნული კულტურის ინტერნაციონალური შინაარსით ავსებას. ფორმით ეროვნული და შინაარსით ინტერნაციონალური კულტურა არის ის დიალექტიკური მთლიანობა, რომელიც ყველა დროის ნამდვილი მეცნიერების აზრს შეადგენდა, რომლის ნამდვილ განვითარებას ანტაგონისტურ საწარმოო პრინციპებზე და კლასთა ბრძოლებზე აშენებული საზოგადოება აფერხებდა და აჩერებდა. სოციალისტურმა აღმშენებლობის ეპოქამ „აღპების მთაც“ მზრებიდან უნდა ჩამოიბერტყოს,—ის „ბორკილებიც“ დაგლიჯოს, რომელზედაც მარქსი ლაპარაკობდა და საკაობრივ კულტურა, ფორმით ნაციონალური, ინტერნაციონალური შინაარსით იავსოს.

„კაპიტალი“ უდიდესი იარაღია ანტაგონისტური საზოგადოების ბორკილების დასანგრევად. კაპიტალისტური საზოგადოება მარქსის ანტაგონისტური საზოგადოების უკანასკნელ ფორმაციად მიიჩნევა, „კაპიტალი“ კი იძლეოდა იმის უკი-ლებელ დამტკიცებას, რომ კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობის წარები უკანასკნელად ჩამორეკდენ და ბურჟუაზიული საზოგადოების მესაფლავენი ამავე საზოგადოების ბჭეებს დაეუფლებოდნენ. „კაპიტალი“ იყო უმტკიცესი ანალიზი

კაპიტალისტური საწარმოო ურთიერთობისა და უდიდესი მწარმოებლების ურთიერთობის სოციალისტურით შეცვლის აუცილებლობისა. მაგრამ არა მარტო ამ ნეგატიურ-კრიტიკული მომენტებით ამოიწურება „კაპიტალის“ მეცნიერულ-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა. მართალია, რომ „კაპიტალი“ არის განმანადგურებელი კრიტიკა ბურჟუაზიული საზოგადოების მამოძრავებელი ძალებისა, მაგრამ ამ კრიტიკის წარმოების დროს „კაპიტალი“ გამოიმუშავებული იმ საახროვნო მეთოდი, რომლითაც მარქსმა არამც თუ კაპიტალიზმის სიკვდილის აუცილებლობა დაამტკიცა, არამედ სოციალიზმის აუცილებლობაც ნათელყო. — მეთოდი მატერიალისტურ დიალექტიკისა, რომლის მიხედვით „კაპიტალი“ აშენებულია, არის ზოგადი მეთოდი ისტორიის ძირითადი კანონების გამოკვლევისა და ამიტომ ის ერთად-ერთი მეცნიერული საფუძველია სოციალისტური აღმშენებლობის დიადი მსვლელობისათვისაც. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ქართული „კაპიტალის“ რედაქტორი ანტ. შალაქია ტოროშელიძე, რომ „კაპიტალი“ იმ დროს გამოდის ჩვენში, როცა კაპიტალიზმის მოსპობა პრაქტიკულად ხორციელდება, „მაგრამ ამით სრულიად არ ეკარგება „კაპიტალს“ თავისი დიადი მნიშვნელობა, რადგან მასში მოცემულ კვლევა-ძიების მეთოდს, ცხოველ დიალექტიკას, თანამიმდევრობით განვითარებულ პროლეტარულ მსოფლმხედველობას, რაც დრო გადის კიდევ უფრო მეტად საჭიროებს, როგორც განთავისუფლებული, ისე მებრძოლი, მშრომელი კაცობრიობა“ (იხ. „კაპიტალი“ ქართული თარგმანის რედაქტორის წინასიტყვაობა, გვ. XIII).

საბიბლიოგრაფიო წერილში ინტერესს მოკლებული არც ის გარემოება იქნება, თუ შეითხველს ზოგ იმ ლიტერატურულ ისტორიული ხასიათის ცნობასაც გაუზიარებთ, რომლებითაც ხასიათდება „კაპიტალის“ I ტომის „მშობიარობის ტივილები“ მის ავტორთან. 1867 წელს 16 აგვისტოს ლამის 2 საათზე დაწერილ წერილში მარქსი სწერს ენგელსს:

„ამრიგად ეს ტომი მზალაა. მე უმთავრესად შენი მადლობელი ვარ, რომ ის სისრულეში მოვიდა. შენ რომ ჩემთვის თავი არ გაგეწირა, მე არ შემიძლო იმ უზარმაზარი შრომის გაწევა, რომელიც საჭირო შეიქნა სამივე ტომისათვის. გკოცნი აუწერელი მადლობით! სალაში ჩემო საყვარელო, ძვირფასო მეგობარო!“

დასახელებულ ლამის ორ საათზე მარქსმა კაპიტალის პირველი ტომის უკანასკნელი ფორმის კორექტურა გაასწორა და პამბურგელ გამომცემელთან გადასაგზავნათ პაკეტში ჩადო. მარქსის ცხოვრების ეს უდიდესი მომენტი მისმა ავტორმა იმ წამსვე ენგელსს აცნობა. გულწრფელი სიყვარულით არის დაწერილი მარქსის სიტყვები. ენგელსი რომ არ ყოფილიყო „კაპიტალი“ შეიძლება მართლაც ვერ დაწერილიყო. წლების განმავლობაში ფრ. ენგელსი, როგორც თვითონვე ამბობს „ძალღურ კომერციის“ ეწეოდა მხოლოდ იმისათვის, რომ მარქსი და მარქსის ოჯახი ფინანსიურად გაეტანა.

თითქმის ორი ათეული წელი იწერებოდა „კაპიტალი“. პროლეტარიატის უდიდესი იდეოლოგი ჰქმნიდა პროლეტარული მსოფლმხედველობის გენიალურ შენობას, მეორე — ამ საქმის კონვენისი — ფრ. ენგელსი — ფულს შოვნობდა და მარქსს არჩენდა. მართლაც წარმოუდგენელია ამაზე უფრო დიდი მეგობრობა და თავგანწირვა.

მეცნიერული ლიტერატურის მსოფლიო ისტორიაში მხელად თუ შოინახე -
 ბა მეორე ნაწარმოები, რომელზედაც ამოდენი ენერჯია და შრომა დახარჯული-
 ყოს, როგორც „კაპიტალზე“. უზარმაზარი მანუსკრიპტი რამოდენიმეჯერ თით-
 კმის მზად იყო, მაგრამ მარქსი უღმობელი თვითკრიტიკით შეპყრობილი ასწო-
 რებდა მას, ავსებდა ახალი ფაქტებით, განმეორებით შინჯავდა პირველწყაროებს
 და ამიტომ საქმეს ბოლო არ უწნდა.

1861 წელს პირველი ტომი „თითქმის“ მზად იყო. ენგელსი ემუდარება
 მარქსს თავი გაიანებოს ამ უცნაურ თვითკრიტიკას და წიგნი გამოსცეს, მარქსიც
 პირდება: „ექვს კვირაში“, „ექვს თვეში“. მაგრამ კიდევ ექვსი წელიწადი ებრ-
 ძოდა მარქსი საკუთარ აზრებს, მასალას და წყაროებს. მხოლოდ 1867 წ. მარ-
 ტში მარქსმა თავისი უზარმაზარი მანუსკრიპტიდან გადმოათეთრა კლასიკური
 რედაქცია „კაპიტალის“ პირველი ტომისა, ის „არტისტული მთლიანი“, რომე-
 ლიც არამც თუ თავისი მეცნიერული ღირებულებით, არამედ ლიტერატურული
 ფორმის კლასიკურობითაც პირველ ადგილს იჭერს მსოფლიო ლიტერატურის
 ისტორიის ძეგლებში.

„კაპიტალს“ მარქსმა შესწირა ყველაფერი, რაც კი მას, როგორც პიროვ-
 ნებას და მოქალაქეს გაიჩნდა. აუწერელი შრომიდან დაღლილი და მოქანცული,
 მარქსი სწერდა ერთ თავის ამერიკელ ნაცნობს, რომ „კაპიტალის“ დამზადებას
 მან შესწირა „ჯანმრთელობა, ცხოვრების ბედნიერება და ოჯახი“. არავინ იფი-
 ქროს, რომ მარქსი ფილისტერულ ტონზე ალაპარაკებულყოს. პირიქით, იგი
 ამჟამად თავისი მოქმედებით. „მე სასაცილოდ არ მყოფნის—სწერს მარქსი
 ამჟამად წერილში—ე. წ. პრაქტიკული ხალხი და მათი სიბრძნე. ვისაც მხოლოდ
 ხარი უნდა იყოს, მას, რასაკვირველია, შეუძლია ზურგი აჩვენოს კაცობრიობის
 ტყვილებს და საკუთარი ტყავისათვის იზრუნოს“.

მარქსისათვის უცნობი იყო მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვა. ის გრძობ-
 და, რომ მისი გენიალური შემოქმედების უნარი პროლეტარიატს და კაცობრი-
 ობას ეკუთვნოდა. უდრეკი, პირდაპირი, უღმობელი მტერი კაპიტალისტური სა-
 ზოგადოებისა, იყო მარქსი „კომუნისტური მანიფესტის“ დამწერი, ასეთივე დარ-
 ჩა ის, როგორც ანატომი კაპიტალისტური სამეურნეო ცხოვრების. თუმცა მან
 ვერ მოასწრო „კაპიტალის“ სამივე ტომის გამოცემა, მაგრამ მთავარი პროგრამა
 თავისი მეცნიერული მოღვაწეობისა მან სისრულეში მოიყვანა. უკვე მოყვანილ
 წერილში ამერიკელი მეგობრისადმი სწერდა მარქსი: „მე მართლაც უპრაქტიკო
 ვინმე ვიქნებოდი, ისე მომკვდარიყავი, რომ ჩემი წიგნი მანუსკრიპტის სახით
 მაინც მზად არ დამეტოვებია“. „კაპიტალის“ მე II და III ტომი მარქსმა დას-
 ტოვა სწორედ ასეთი მანუსკრიპტის სახით.

კაპიტალისტური საზოგადოების სრული და ყოველმხრივი კრიტიკა დამ-
 თავრებული იყო. 1872 წ. „კაპიტალის“ მეორე ტომის გამოსაცემად „თითქმის“
 მზად იყო. მაგრამ იგივე უღმობელი თვითკრიტიკა, პირველ წყაროების ძებნა
 და ახალ მასალების გადამუშავება არ ანებებდა მარქსს მის გამოცემას. მარქსის
 სიკვდილის შემდეგ, ენგელსმა როგორც ცნობილია, ათიოდე წელი იმუშავა მარ-
 ქსის ხელნაწერების რედაქციაზე და ინტერნაციონალურ პროლეტარიატს მისი

უდიდესი იდეოლოგიის გენიალური მქნილება უნაკლო გამოცემის ქაღალთ და-
უტოვია.

ზედმეტი არ იქნება ორიოდ სიტყვით იმის გახსენებაც, თუ როგორ მი-
იღო „კაპიტალის“ I ტომის გამოსვლა იმ დროინდელმა ოფიციალურმა მეცნი-
ერებამ და კაპიტალისტურმა საზოგადოებამ. მარქსი, რასაკვირველია, ყველაზე
უფრო ნათლად გრძნობდა, თუ რა უდიდესი განძი შესძინა მან ეკონომიურ მე-
ცნიერებას და მიუხედავად იმისა, რომ „კაპიტალი“ არამც თუ მკაცრი კრიტი-
კა, არამედ სიკვდილის განაჩენიც კი იყო კაპიტალისტური საზოგადოებისა და
მისი ოფიციალური მეცნიერებისათვის, მარქსი მაინც მოელოდა დიდ ლიტერა-
ტურულ გამარჯვებას. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოების ოფიციალური
მეცნიერება გაცილებით უფრო უბღღამიანი აღმოჩნდა, ვიდრე თვით მარქსს
ეგონა. უნივერსიტეტის პროფესორები სდუმდენ ინტერნაციონალური ფრან-
ტით გერმანიაშიც, ინგლისშიც, საფრანგეთშიც და იტალიაშიც. ამ ღუმილის
გამო მარქსი მეტს ნერვიულობდა, ვიდრე საჭირო იყო. თუმცაღა იმედს არ
კარგავდა და მოთმენისა და მომავლის კატეგორიის აბარებდა თავის წიგნის
ბედს.

პირველად სწავლულ სპეციალისტთა სიჩუმე ცნობილმა ევგენი დიუ-
რიანგმა დაარღვია. მან წესიერი რეცენზია მოათაესა „კაპიტალის“ შესახებ.
იმას, რასაკვირველია, დიურინგისათვის ხელი არ შეუშლია, როცა „კაპიტალის“
დიპლომატიური შექება როსერის და კომპ. დისამცირებლად იღარ სჭირო-
და, ის ყოველივე ღირებულებას მოკლებულ ნაშრომად გამოეცხადებია. ერთი
ბკუის კოლოფი პროფესორი, ხელობით ეკონომისტი—იმდენად გაკადნიერდა,
რომ მარქსი ეკონომიურ მეცნიერებაში უკან ჩამორჩენილ „ავტოდიქტატით“
მონათლა.

არც სოციალისტურ მოძრაობასთან ახლო მდგომი წრეები და მემარცხენე
რადიკალები დახვედრიან „კაპიტალის“ გამოსვლას საჭირო შეგნებით. ვილ-
ლიპკნეხტმა ლასალიანელების მიერწაჭეხებულმა ენგელსის რეცენზია დამახინ-
ჯებული და შემოკლებული დაბეჭდა. მარქსს ხშირად რაინლანდელი ეპქრები-
დან და უკნობი პირებიდან მოდიოდა აღფრთოვანებითა სავსე წერილები, მაგ-
რამ ისინი, ვისაც საქმე შეეხებოდა, სდუმდენ. მთელი ეს გარემოება მარქსს,
რომელიც მთლიანი ადამიანი იყო და სიხარული და გრძნობა ჰქონდა, ნერვებს
უშლიდა.

უკანური, აღსანიშნავი და საინტერესოა ის გარემოება, რომ ეკონომიური
მეცნიერების ეს უდიდესი ძეგლი, გაუგებარი დარჩა იმდროინდელი ეკონომის-
ტებისათვის, მაგრამ იგი ვაიგენ მარქსის ახალგაზრდობის მეგობრებმა, ხალხმა,
რომლებმაც ერთხელ მარქსთან ერთად ჰეგელის სკოლა გაიარეს, რადიკალები
იყვნენ, ახლა რეაქციის წუმბეში ჩაფარდნილნი, ნახევრად ჰეგელიანელები მაინც
დარჩნენ. „კაპიტალის“ უდიდეს მნიშვნელობაზე პირველი სწორი აზრი ცნობილ-
მა არ. რუგემ გამოსთქვა. რუგეს ეკონომიური მეცნიერების არაფერი ესმო-
და, ერთხელ რადიკალი და მარქსის მეგობარი, ახლა კომუნიზმის დაუძინებელი
მტერი იყო, მაგრამ პირველად ამ ყოფილმა მემარცხენე ჰეგელიანელმა განაცხადა

„კაპიტალის“ შესახებ: „Es ist ein epochemachendes Werk“ (ეს არის ეპოქის შემქნელი ნაწარმოები). მომავალმა რუგეს აზრის შესახებ არაფერი იცოდა. დღეს თითქმის არავინ დავობს იმაზე, რომ „კაპიტალი“ ეპოქის შემქნელი ნაწარმოები იყო არა მარტო მეცნიერების ერთ დარგში, არამედ მთელი ევროპის სოციალ-კულტურულ ისტორიაში.

„კაპიტალის“ პირველი ტომის უცხო ენაზე გადათარგმნასაც თავისი ისტორია აქვს. 1868 წელს მარქსი გააკვირვა ერთი პეტერბურგელი გამომცემლის წერილმა. სულ რაღაც ერთი წელი იყო „კაპიტალის“ გამოსვლიდან და მარქსს ატყობინებდნენ, რომ „კაპიტალი“ რუსულ ენაზე გადათარგმნა და უკვე იბეჭდებოდა. მარქსს ვერც კი გაეგო, თუ რით უნდა აგვეხსნა, რომ პირველად რუსებმა სთარგმნეს მისი ნაწარმოები. რუსეთი არც ეკონომიური მეცნიერების განვითარების მხრივ ყოფილა მაშინ დაწინაურებული და არც გათვითცნობიერებული პროლეტარული მკითხველი მოიპოვებოდა საკმაო რაოდენობით. (ჩვენ გვგონია, რომ „კაპიტალის“ აქტარებული რუსული თარგმანის გამოსვლას ხელი შეუწყო ერთ-ერთმა საცენზურო „უკაზმაც“. ამ „უკაზმის“ ძალით სქელტანიანი წიგნების გამოცემა შეიძლებოდა უბრალო ნებართვით და საცენზურო კომიტეტი მათ ნაკლებათ სდევნიდა. იმდროინდელი ცენზურის ბრძნები გააფთრებით პატარა მოცულობის წიგნებზე ნადირობდნენ, სქელტანიანი წიგნები, რა შინაარსისაც არ ყოფილიყო, თითქმის თავისუფალი იყო ცენზორის თვალისაგან). რუსეთის რევოლუციონური ინტელიგენცია, თუმცაღა სავსებით ნაროდნიკულ-უტოპიური, აზრებით საზრდოობდა, მაგრამ რევოლუციის დასაბუთების შემცველ ნაწარმოებს ხარბად ეწიფებოდა. ამ მიმართულებით რუსი ნაროდნიკები არ შეეცდარან. რევოლუციის თეორია და აუცილებლობის დამტკიცება „კაპიტალში“ მარტო „ვარდის წყალით“ კი არ იყო მოპყრებული, არამედ ოფლითა და სისხლით იყო დაწერილი.. „კაპიტალის“ პირველი რუსული თარგმანი ეკუთვნოდა ცნობილ ლიტერატორს (და შემდეგ მარქსიზმის მოწინააღმდეგეს) ნიკოლაი—ონს (დანიელზონი).

შედარებით ადრე გამოვიდა „კაპიტალის“ პირველი ტომის ფრანგული თარგმანიც (გამოდიოდა ნაწილ-ნაწილად 1872--75 წლებში). ამ თარგმანს თვით მარქსი რედაქტორობდა; ბევრი რამ თარგმანის დროს მან შეასწორა, სტილისტურად გაიხათლა და შეინიშნებით შეაფსო. ამიტომ თვით მარქსმა „კაპიტალის“ ფრანგულ გამოცემას მიაკუთვნა „დამოუკიდებელი მეცნიერული ღირებულება“. მარქსის სიკვდილის შემდეგ ენგელსის მიერ გამოცემულ გერმანულ დედანში საჭებით გამოყენებულია ის „დამოუკიდებელი მეცნიერული ღირებულება“, რომელიც მარქსის რედაქტორობით გამოცემულ ფრანგულ გამოცემას ჰქონდა.

მარქსი ბევრს მოელოდა „კაპიტალის“ ინგლისური გამოცემიდან, მაგრამ ბედმა არ არგუნა მას „კაპიტალის“ ინგლისური გამოცემა ენახა. „კაპიტალის“ ინგლისური გამოცემა, რომ გამოვიდა, მარქსი ცოცხლებს შორის აღარ ყოფილა.

„კაპიტალის“ პირველი ტომის ქართული თარგმანის გამოცემა დათარიღებულია 1930 წ. თარგმანი შესრულებულია მაღაქია ტოროშელიძის

მთავარ რედაქტორობით. მთარგმნელია დავით ონიაშვილი, თანარედაქტორები ფილიპე გოგიჩაიშვილი და ბიძინა ჩაიშვილი.

ქართული გამოცემის წინასიტყვაობის ავტორი ანტ. მალ. ტოროშელიძე სწერს, რომ მთარგმნელთან ერთად დასახელებული სარედაქციო კოლეგია პასუხისმგებელია ქართული თარგმანის სიზუსტისათვის. ჩვენ გვაქვს ვიფიქროთ, რომ დასახელებულმა პირებმა წინებულად დაიჭირენ ეს უდიდესი გამოცემა. ამა რა განმარტება უნდა იმას, თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა „კაპიტალის“ ტექსტის თარგმნა, თუ რა შრომა და გამძლეობა სჭირდებოდა მის მთარგმნელს. მაგრამ რედაქტორებსაც რომ უდიდესი შრომა და ღვაწლი გაუწევიათ, ამის დასამტკიცებლად ერთი შედარება მოეხდინათ. ჩვენს მიერ გამოცემულ „ისტორიული მატერიალიზმის ქრესტომატიის“ დაბეჭდილია — „კაპიტალის“ მეხუთე თავის პირველი ნაწილი იმ სახით, რა სახით ის მზად ჰქონდა მთარგმნელს — დ. ონიაშვილს. როდესაც რედაქტორების მიერ შესწორებული შევადარებ იმას, დავრწმუნდი, რომ ფრთხილ სერიოზული და აუცილებელი შრომა გაუწევია „კაპიტალის“ რედაქტორებს.

თარგმანი ვაკეთებულისა კარლ კაუტსკის მიერ გამოცემულ გერმანულ სახალხო გამოცემიდან. (ასეთი რედაქციით „კაპიტალის“ I ტ. 1914 წ. გამოვიდა). რედაქციის დროს გამოყენებულია, როგორც ენგელსის მიერ ვაკეთებული გერმანული გამოცემის ტექსტი, ისე ფრანგული გამოცემა და რუსული თარგმანები.

სანამ ორიოდ სიტყვით თარგმანს შევებოდეთ საინტერესოა ის ზოგადად რუსულ თარგმანს შევადაროთ. ჩვენ ზელო გვაქვს მაზაროვის და სტეპანოვის რედაქციით გამოსული თარგმანის (იგივე კაუტსკის სახალხო გამოცემისა) მეოთხე გამოცემა 1929 წ. „კაპიტალის“ რამოდენიმე რუსული თარგმანი არსებობს, მათ შორის ორი გამოცემა ცნობილი პეტრე სტრუვეს თარგმანისა, და ცხადია, რომ „კაპიტალის“ რუსულ თარგმანს წარსული და კულტურა აქვს. რუსული და ქართული თარგმანის შედარების დროს ჩვენ გვაინტერესებს, თუ რომელი თარგმანია უფრო ადვილად გასაგები. ამ მიზნით ჩვენ შევადარეთ ერთმანეთს თავები პირველი მე-5, მე-6, მე-10 და მე-24 და ვგვინია, ისტორია არ გაგვამტყუნებს, თუ ვიტყვი, რომ ქართული თარგმანი არამც თუ ჩამოუვარდება რუსულს, არამედ აქა-იქ ჩვენ ის რუსულზე უფრო ნათლადაც გვეჩვენება.

რასაკვირველია, უნდა აღინიშნოს, რომ რადგან თარგმანი ტექსტუალურია, ამიტომ იქა-აქ ქართულ სინტაქსზე ვავლენა მოუხდენია გერმანულს, რედაქტორები ასეთ კომპრომისს ხშირად, უსათუოდ, შევინებულადაც მიმართავდნენ, რათა ამ საშუალებით მარქსის კლასიკური სტილის თავისებურებას ეხებ და ეხებ გაპოლოდნენ: და ამაში მათ ვერაფერს გაამტყუნებს, თუმცა იქა-აქ ზოგი სტილისტური კორექტივი შეიძლება უადგილო არ ყოფილიყო. მოვიყვანოთ ერთი უბრალო მაგალითი: მარქსის ფრაზა, „Wir ziehen die Nebelkappe tief über Aug und Ohr, um die Existenz der Ungeheuer wegleugnen zu können“, ქართულად



გადმოთარგმნილია, „ჩვენ კი უჩინმაშინის ქუდს თვალვსავსავს ვიფარებთ, რათა შევსძლოთ უარგყთ ურჩხულის არსებობა“, ჩვენ გვინდა ვიფიქროთ, რომ ქართულისათვის უფრო ბუნებრივია: „რათა შევსძლოთ ურჩხულის არსებობის უარყოფა“.

ერთ ერთი ძნელი ამოცანა, რომელიც რედაქტორებს უნდა დაეძლია ეს იყო ერთი მთლიანი ტერმინოლოგიის გამომუშავება. არაჩვეულებრივი ტერმინოლოგიური სიჭრელე, ხშირად საგნის სუსტი ცოდნიდანაც გამოწვეული, რაც ასე უხვად ახასიათებს ქართულ ენაზე გამოსულ ეკონომიური, და არა მარტო ეკონომიური, ხასიათის ლიტერატურას, აქ ერთხელ და სამუდამოთ უკუგდებული უნდა ყოფილიყო. „კაპიტალის“ გამოსვლასთან ერთად ეს საქმე უსათუოდ მოგვარებულად ჩაითვლება. შეიძლება უნაკლო არ იყოს, მაგრამ ერთი გარკვეული და მთლიანი პრინციპის შემცველი ეკონომიური ტერმინოლოგია აქ უკვე დადგინებულია. ჩვენს ეკონომისტებს, სატერმინოლოგიო კომისიას და განსაკუთრებით კი იმათ, ვინც ეკონომიური ხასიათის პოპულიარულ თუ სხვა ლიტერატურას სთარგმნის, უნდა მოეთხოვოთ, რათა ამიერიდან საჭიროთ სცნონ იმ ტერმინოლოგიის მიღება, რომელიც „კაპიტალის“ ქართულ გამოცემაშია ნახმარი. გარკვეულად უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული მიეკუთვნება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიური ხასიათის termini technici-ის და არა ყველა დანარჩენ ტერმინოლოგიური ხასიათის გამოთქმებს. ბევრი ფილოსოფიური, მათემატიკური, ტექნოლოგიური თუ სხვა ხასიათის მეცნიერული გამოთქმა, რომელიც აქ ნახმარია რასაკვირველია, სავალდებულო არ არის ყველასათვის. მაგრამ აუცილებელია, რათა აქ ნახმარი ეკონომიურ-ტექნიკური ტერმინოლოგია ერთხელ და სამუდამოთ დამკვიდრდეს.

ახლა რამოდენიმე შენიშვნა ქართული თარგმანის სიაკვარგეზე. ჩვენ ავიღეთ „კაპიტალის“ ყველა წინასიტყვაობა, პირველი, მეხუთე, მეექვსე, მეათე და (ნაწილობრივ) მეოცდაათზე თავი, ტექსტუალურად ვადარეთ თარგმანი გერმანულ ორიგინალს, აქა-იქ ჩაიხებდეთ რუსულ თარგმანშიაც. მიღებული შეთხვევები: ახალ ქართულ თარგმანში ლიტერატურაში „კაპიტალს“ არ ყავს მეტოქე. უდიდესი კეთილსინდისიერებით არის ეს შრომა შესრულებული. ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ერთი მნიშვნელოვანი წინადადება, რომელიც თარგმანის დროს ან აზრის სუსტი გაგების, ან ენის სტილისტური დაუმორჩილების გამო, დამახინჯებულად იყოს მოცემული. ზოგი ნაწილი, რასაკვირველია, ადვილი წასაკითხავი არ არის, მაგ. მეათე თავი, ეს ღრმა თეორეტიული თავი არც გერმანულ ორიგინალში იკითხება ადვილად. მაგრამ საერთოთ, მე სიყვარულით და ერთგვარი სიამაყით ვკითხულობდი ამ თარგმანს, როცა ვხედავდი, რომ მეცნიერულ აზრთა დენის მიმზე კონსტრუქციები, მარქსის რკინისებური დიალექტიკის იშვიათი ნიმუშები, უნაკლოდ, ნათლად და გასაგებად იწლებოდა ქართული წინადადების თავისებურ ქსოვილში!

რასაკვირველია, შეიძლება ზოგი ადვილის თუ აზრის სხვანაირი გამოთქმაც, ზოგი ტერმინის უფრო ზუსტი ფორმებით გამოხატვა, სანიმუშოთ ჩვენ მიუთითებთ რამოდენიმე მაგალითზე. სიტყვა Das Allgemeine ყველგან ნა-

თარგმნი „საყოველთაო“. შეიძლება აქა-იქ აზრის მიხედვით „საყოველთაო“ საჭირო იყო, მაგრამ საერთოდ დასახელებული ტერმინი უნდა ვთარგმნოთ—„ზოგადი“, მაგ. „Allgemeine Bewegungsformen“ უნდა ვთარგმნოთ—„მოძრაობის ზოგადი ფორმები“. სიტყვა Bestimmtheit—გადმოთარგმნილია, როგორც „განსაზღვრულობა“, ჩვენ კი გვინდა ვიფიქროთ, რომ „გარკვეულობა“ სჯობია, განსაზღვრა სიტყვიერათ ნიშნავს Definitio-ს და არა Bestimmung-ს; მით უფრო, რადგან ქართული ტერმინით „განსაზღვრა“ ზნაში ხმარების დროს ხუთიოდე სხვადასხვა გერმანული სიტყვის გამოსათქმელად არის ნახმარი, ასე მაგ. 138 გვერდზე—„Vermittelt“—„განსაზღვრავს“. Waarenwelt თარგმნილია „საქონელთასამყარო“, სამყარო ძალიან დიდი მოცულობის ცნებაა და ამიტომ აქ არ გამოდგება, საჭირო იყო ან „ქვეყანა“ ან და რომელიმე ამაზე ნაკლები მოცულობის სიტყვა. Konstante Grösse ნათარგმნია „მუდმივი სიდიდე“— აქ უნებლიე შეცდომასთან გვაქვს ადგილი, Konstante Grösse არის „უცვლელი სიდიდე“, მაგრამ არა მუდმივი. დიდად საჭირო ტერმინი Die Wahrnehmung-ისათვის არ არის დადგენილი შესატყვისი ქართული გამოთქმა, ამიტომ ის თარგმანში სხვადასხვა, სამოსელში გამოხვეული გვხვდება, რედაქტორებს რომ მტკიცედ აეღუნ ერთ-ერთი ქართული შესატყვისი ტერმინი, ან დღეს საყოველთაოდ ხმარებული „აღქმა“, ან ძველი „ათვისება“, გვეონია უკეთესი იქნებოდა. ამ სიტყვის არა ზუსტ ხმარებას შეუძლია აზრის მკერეოდენი გამარუდება გამოიწვიოს, ასე მაგ. როცა მარქსი კონკურენციის მეცნიერული ანალიზის შესაძლებლობაზე ლაპარაკობს, მას ცის სხეულთა მოწვევებითი მოძრაობას ადარებს და ამბობს, რომ ეს მისთვისაა გასაგები, „der ihre wirkliche, aber sinnlich nicht wahrnehmbare Bewegung Kennt“. ქართულად არის: „ვინც იცნობს მათ ნამდვილ, მაგრამ გრძნობით განუცდელ მოძრაობას“ (გვ. 271). გვეონია, რომ აქ „გრძნობით განცდაზე“ ლაპარაკი არ არის და არც შეიძლება იყოს. შეიძლება ვინმემ საკამათოდ გახადოს აგრეთვე ტერმინი „ხელფასი“, რადგან სიტყვა „ფასი“ ორი, არც ისე უმნიშვნელოდ განსხვავებული, გერმანული სიტყვის Lohn და Preis-ის ეჭვივალენტად გამოდის.

ასეთი მაგალითების მოყვანა, რასაკვირველია, ბევრის შეიძლება, მაგრამ, როგორც მოყვანილიდანაც ნათელია, გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ერთს მათგანს არ აქვს, მეტნაწილად ისინი ეხებიან არა ეკონომიურ-ტენსიკურ, არამედ უფრო ფილოსოფიურ-თეორიული, ხშირად მათემატიკური ტერმინოლოგიის სფეროს.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, თარგმანს დართული აქვს ქართული გამოცემის შთაფარ რედაქტორის საინტერესო წინასიტყვაობა. აქ მოყვანილი მთელი რიგი მაგალითებისა, რომლებიც გვაჩვენებენ, რომ ქართული თარგმანის რედაქციის დროს შეცდომები აღმოჩენილია რუსულ თარგმანში, ნათლად ამტკიცებს იმას, თუ რა კეთილსინდისიერი შრომა გაუწევიათ ქართული „კაპიტალის“ რედაქტორებს.

ამრიგად, ერთი დიდი საქმის დასაწყისი მკვიდრ საფუძვლებზე უკლებული. აუცილებელია მუშაობის და აღმშენებლობის გაგრძელება და მარქსისა და ენგელსის ნაწერების სრული კრებულის ქართულად გამოცემა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამ საქმესაც გამარჯვებით დააგვირგვინებს და მარქსისა და ენგელსის გენიას ქართულ მუშას ქართული თარგმანის საშუალებით უფრო დაუახლოვებს და უკეთესად გააცნობს.¹⁾

¹⁾ როგორც სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, მარქს-ენგელსის ნაწერების სრული ქართული გამოცემა უკვე გადაწყვეტილია და საგამომცემლო კომისია უკვე მუშაობს ამ მიმართულებით.

ბიბლიოგრაფია



ქართული
ბიბლიოფილთა
კავშირის
ლოგო

მათი ზალკა—მარადიული ზავი. 1930 წელი. სახელგამი.

დღეს დასავლეთ ევროპის რევოლუციონურ პროლეტარიატის მთავარ პერსპექტივას წარმოადგენს ყოველგვარ მილიტარისტულ ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა და საერთოდ მთელი იმპერიალიზმის საბოლოო განადგურება. ამ მოვლენას მკვეთრად უსვამს ხაზს კომინტერნის პროგრამა. ესაა მიზეზი, რომ ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც თემატიკურად უახლოვდება ხსენებულ მოვლენებს, ძლიერ დიდ საზოგადოებრივ რეზონანსს პოულობს. კერძოდ ეს უნდა ითქვას მათე ზალკას (უნგრელი მწერალი) წიგნების შესახებ. „მარადიული ზავი“ პოლიტიკურ-სოციალური ფართის პრინციპებით აგებული მხატვრული ფაქტია, ამით ის გარკვეულად დაპირისპირებულია ესტეტიზმის და სიმვალისტურ მსოფლმეგობრობის ნაშთებთან. ჩვენი აზრით ამ დაპირისპირების გარეშე შეუძლებელია პროლეტარიატის სოციალურ დაკვეთის შესრულება. ამ ნაწარმოების ლიტერატურული რაობა შეუფარდებულია იმინარაზე მომენტის მთელ რიგ თავისებურებებთან: მთელი რიგი ეპიზოდები ჭარბათაა დატვირთული პოლიტიკით, ამხროვ იგი კონტრასტიულადაა განწყობილი ბურჟუაზიულ რელიეზმთან, რომლის პრინციპის მიხედვით მოქმედების მთავარი ცენტრი სოციალურ პრობლემებიდან მოხსნილია და გადატანილია ოთახურ-კამერულ ყოფის, ვიწრო ფსიხიური მოვლენების სიბრტყეზე. „მარადიული ზავი“-ს სიუჟეტში მართალია არის სოციალური რომანიული ელემენტები, მაგრამ ეს არ სცვლის ძირითად განწყობილებას. ბურჟ. ლიტერატურის სიმვალისტური ნაკადი და საერთოდ მისი ყოველგვარი ნარჩენები თვითანალიზისა და ვიწრო მეტაფიზიკური ფსიქოლოგიზმის უკანასკნელ საზღვრამდე მივიდნენ, სამავიეროთ ამომავალ კლასის ლიტერატურ-

რამ გვერდი აუქცია სუბიექტივისტურ ფსიქოლოგიზმს, სოციალური ფართის ფართო მარაგზე გამოვიდა და ამით თავიდან აიშორა იდეალიზმის გამოუვალ ჩიბში მოქცევის საშიშროება.

როგორია რომანის იდეური ბაზისი? „მარადიული ზავი“ მიუხედავად მისი ნაკლებოვანებებისა, ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენაა საერთაშორისო რევოლუციონურ-პროლეტარულ მწერლობის ფრონტზე. მეოცე საუკუნის მანძილზე კაპიტალიზმმა თვისობრივი ბასიათის ცვლილება განიცადა, წარმოიშვა იმპერიალიზმი, როგორც უკანასკნელი საუფუტური კაპიტალიზმისა. მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციონურ მოძრაობის ფრონტზე საგრძობი გახდა კომინტერნის იდეური ჰეგემონია. გაიხრწნა სოციალ-დემოკრატია. „მან კლასობრივი ბრძოლის შრისხანე და ცხოველყოფილი თეორია გადააქცია კლასთა შორის მშვიდობიანობის უბიერო ქადაგებათ. კლასობრივ წინააღმდეგობის გამწვავების თეორია მან გასცვალა მეშინურ ზღაპარზე კაპიტალის იდეოკრატიაციის“ შესახებ. კაპიტალიზმის დროს ომების აუცილებლობის თეორიის მაგიერ მან წამოაყენა ბურჟუაზიული კრუპაკიფიზმი“¹⁾. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, კომპარტიას უხდება ბრძოლა ამ „ქრისტიანულ ხალხის თეორიების“ წინააღმდეგ, რომელნიც ფაქტიურად იმპერიალიზმის აგენტებსწარმოადგენენ. მათე ზალკას აზრით, მარადიული ზავი გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლის პირობებში პაციფისტური აბსურდია, რომელიც სცდილობს ჩაშალოს, შეასუსტოს მუშათა კლასის ძლევამოსილი ენერჯია, დაუმორჩილოს იგი კონტრ-რევოლუციონურ სოციალ-დემოკრატის გამხრ-

1) იხ. კომინტერნის ინტერნაციონალის პროგრამა, მიღებული მე-VI კონგრესის მიერ 1928 წ. 1 სექტემბერს.



წინელ ზეგავლენას და ამრიგად დარაზ-
მოს მასები კომუნისმის საწინააღმდეგო
მიმართულებით. ასეთია პაციფიზმის
უსუსური მიზნები. მის ბელადთ ხშირად
ავიწყდებათ, რომ პროლეტარიატი აღარ
შესცდება. ბრესტის, ვერსალის გაკვე-
თილების შემდეგ მან იცის ერთა ლი-
ვის ყაჩაღურ მიზნების სოციალური სა-
თავე. ფინანსიურ-კაპიტალისტურ პლუ-
ტოკრატის და საერთაშორისო მენშევი-
ზმის ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლაში
შხატერული მწერლობა ემბარგო მუ-
შათა კლასს, ეს უნდა ითქვას თვით სა-
რეცენზიო ფაქტის შესახებაც. „ბარა-
დიული ზავის“ იდეური სა-
ფუძველი არის კომუნისტურის
პროგრამა, ამ უკანასკნელს
მისდევს მათე ზალკა, რო-
გორც მწერალი და მუშათა
კლასის იდეოლოგი.

მათე ზალკა იდეალური რევოლუცი-
ონური მწერალია, რადგან არა ბარ-
ტო შხატერულ საშუალებებით, არამედ
პრაქტიკულად იბრძვის კაპიტალიზ-
მის წინააღმდეგ, ამ მხრივ იგი რადი-
კალურათ განიზრევა ისეთი ტიპის რე-
ნეგატებისაგან, როგორცაა პანაიტ ის-
ტრატი. საერთოდ ისტრატის უკანას-
კნელი ლიბერალური ამბოჯი ბურჟუ-
აზიული პოესის მიმართ შეიძლება
აიხსნას იმ გარემოებით, რომ იგი არის
წერალი ბურჟუა, ფსევრზე დამარული ბო-
ჰემა, რომელიც შენობევით ამოტივ-
ტივდა საერთაშორისო ლიტერატურის
ზედაპირზე, ამიტომ მოხდა, რომ ისტ-
რატის მეგობრობას საბჭოთა კავში-
რის მშრომლებთან ძლიერ სამარცხი-
ნო (ისტრატისათვის რასაკვირველია—
გ. ნ.) თინალო მოჰყვა. წინააღმდეგ ამი-
სა, მათე ზალკა შეურყევლად სდგას
პროლეტარიატურის სადარაჯოზე,
იგი პაციფიზმისა და ამავე დროს იმის
საშიშროების წინააღმდეგ ბრძოლის სა-
კითხს ბოლშევიკურ გადაჭრას აძლევს.
ეს კი დიდი მიღწევაა. დასავლეთ ევ-
როპის ლიტერატურულ ინტელიგენციის
ის ფრთა, რომელიც ამხედრდა იმპე-
რიალისტურ სასაკლავოს წინააღმდეგ
ხშირად ვერ ახერხებს თავისი იდე-

ების წარმართვას კომუნისტურის გე-
ნერალური ხაზით. ოქტომბრის რევოლუცი-
ონური ზოგიერად შექმნილი
ნივ გადაიხარენ, ამ მხრივ შეიძლება
დაფასებულთ ანრი გილბო, ბარბიუსი,
(საფრანგეთი) ფერს გოლენი, გენრობ
მანი, (გერმანია) და სხვა. როგორც
ი. მაცა ამბობს ინდივიდუალისმისა და
ჰუმანიტურ-პაციფისტური რივის იდე-
ალები არ აღმოჩნდენ საშიში იმის წი-
ნადროინდელ კაპიტალიზმისათვის. ამ იდე-
ების ტრადიცია მშვიდათ გრძელდება
იმ დრომდე, სანამ ინტელექციის
თვალში იმპერიალისტურმა კაპი-
ტალმა არ გამოაჩინა თავისი სრულყო-
ფილი სახე. მაშინ ინტელიგენციის რა-
დიკალური ფრთა გაემიჯნა პაციფისტურ
იდეებს და გააყვა პროლეტარიატს.
ამ გარდატეხის კვალი დააჩნდა ბარბი-
უსის იმ დროინდელ ნაწერებს და უმე-
თარქესად „ცუხლს“. როგორც იგივე
ი. მაცა ამბობს¹⁾ ბარბიუსი თავის შე-
მოქმედების პირველ პერიოდში მათე-
ლო იმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს
გამოდის წმინდა ეთიური თვალსაზრი-
სიდან; (მათე ზალკა პირველ რიგში პო-
ლიტიკურ თვალსაზრისს იყენებს); „ცუ-
ცხლი“ ეს არის ფსიქოლოგიური რეაქ-
ცია იმის წინააღმდეგ, იგი პასიური
პროტესტია, რადგან მისი წერის დროს
ბარბიუსი ჰუმანიტურ ინტელიგენციის
წრეებში იყო მოქცეული²⁾.

დღევანდელ ბარბიუსზე ეს, რასაკვი-
რველია, აღარ ითქმის. სამაგიეროთ ანა-
ლოგიური განწყობილებანი ჯერ კიდევ
ცოცხალია. მაგალითისათვის შეიძლება
დასახებულ იქნეს ერთ ბარბიუს რე-
მარქისა („დასავლეთით ფრონტზე უცვ-
ლელია“) და როლანდ დორაგელისის
(„ხის ჯვრები“) წიგნები, რომელთა ავ-
ტორები მართალია იბრძვიან „საერთოდ“
იმის წინააღმდეგ, მაგრამ მათ ხმა ვერ
აღუმაღლებიათ იმის სოციალურ-პოლი-
ტიკურ მიზნებისა და იმპერიალისმის

¹⁾ ი. მ. მაცა, „Литература и проле-
тарият на запад“ (1927, изд. Коммунадекия)

²⁾ ა. ბარბიუსი კომპარტის რიგებში
1923 წელს შევიდა, გ. ნ.

მკვებრი დაგმობისათვის და ამ რიგად ჰუმანიზმის იდეებიდან ვერ ამალღებულან პროლეტარიატის კლასობრივ პოზიციებამდე. ხსენებულ წიგნებში ასახულია საშინელი კომარები, აუტანელი ამბები. პაკიფისტური ინტელიგენცია ჯერჯერობით ამაზე შორს ვერ მიდის.

ახლა შევეხეთ უფრო დეტალურად „მარადიულ ზავს“.

ამ ნაწარმოებში დიდძალ ნედლ მასალას აწვს თავი მოყრილი. „მარადიული ზავის“ თემატიკურ მომენტების ფაბრიკარულ სისტემატიზაციას დაჯერებით მიჰყავს მკითხველი მხატვრულ ფაქტის ცენტრალურ იდეისაკენ. მოქმედების ქრონოლოგიური საზღვრები იწყება მსოფლიო ომის წინა ხანებიდან და მოდის დღემდე. რომანის შინაარსი ისეა დალაგებული, რომ იგი ნათლიანად ამოიწურება სასამართლოს ვეჭილის ოთხსაათიან სიტყვაში. ეს არის ავტორის სიუჟეტური სერბი. საბრალმდებლო სკამზე ზის პაულ კორბსი, რომელსაც საფრანგეთის პლუტოკრატის პროვინციის წყალობით ბრალად ედება საარეალდაუენის კომუნისტური ჯანყის მოწყობა. ამ საქმეში ბურჟუაზიის შეშინებული თვალები მხედავენ წითელი მოსკოვის ხელს და სხვა...

როგორც ვეჭილის სიტყვის შენდევ ირკვევა, ბოალდებული კომუნისტი არაადროს არ ყოფილა. ამ რიგად გაცოფებულ ბურჟუაზიას არაღუგაღუგად მომუშავე ბოლშევიკის მაგიერ ხელთ შერჩა ვილაყ პაკიფისტი, რომელიც თურმე მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში დინჯათ ქადაგებდა მარადიულ მშვიდობიანობის უპირატესობას— შედარებით გაჩაღებულ კლასობრივ ბრძოლებთან. „შე სისხლის ღვრის წინააღმდეგი ვარ, გაიძახის კორბსი, რევოლიუცია სისხლის დაღრიაო“, პაკიფიზმის ამ კლასიკურ ფორმაში გამომქლავებულა მისი (პაკიფიზმის) არქიურეაქციონური ხასიათი.

ვეჭილი ლუი ფერერის საქციელმა პირველ ხანებში აიღულვა არისტოკრატიული წრეები; „რესპუბლიკის მომავალმა მინისტრმა“ ხელი მოჰკიდა კომუნისტურ

აჯანყების დაცვის საქმის! თემატიკურად ფერერი იცავდა ვილსონის მარაყენებელ პიროვნებას, რომელსაც დიდი მოწერმოწერა ჰქონდა გაჩაღებული ამერიკის პრეზიდენტთან. პ. კორბსმა სამასწავლებლო სემინარია ომის წინ გაათავა და აქედან პირდაპირ ფრონტზე გაგზავნეს. ამ წერტილში მათე ხალკა ხსნის მთელ რიგ ინტიმურ ამბებს პაულსა და მეფებრივე ფერსტერის ქალიშვილ ემმას შორის; „მარადიულ ზავში“ ერთიმეორის პარალელურად მრავალი მოქმედება ვითარდება, ერთი მხრივ ავტორი აგვიწერს მსოფლიო ომის ფრონტზე არსებულ საშინელებებს, მეორე მხრივ იგი ნათლად სხავეს კაპიტალისტური ფაბრიკის მუშების აუტანელ ყოფას, ამავე დროს ეხება ახალგაზრდობის რომანიულ ცხოვრებას და ამ მოვლენებს შორის მიზეზობრივი კავშირი მაინც არაა ნიჩქმალული.

„საფრანგეთის მიწა—რა უცნაურიც ყველგან ომის ნარჩენებია: გკლიანი მავთული, რკინა, ცარიელი ვაზნების გროვები და... საფლავეები. უხედავ მოსჩანს გაფანტული ცალკეული საფლავეები და დიდი ბორცვები მშათა სასაფლაოების, ცარკით შეთეთრებულ ზის ჯვრებით“. ასეთ ფონზე იშლება ნაწარმოების ფაბულა. მტრის პროექტორები პერადან ათვალთვრებენ თხრილებში ჩაყრულ ჯარებს და პელეტავენ, შეეცურად ბლავიან დაჭრილები, ეწყობა სიბრტო იერიშები, არტილერია ასეკავს თხრილებს, წვიმასავით მოდის ყუმბარები; მთელი წიგნი ხმაშალა იძახის იმპერიალიზმის ბნელი საქმეების წინააღმდეგ.

ვალდაუენში ფერსტერის საღებავეების ფაბრიკას ნობილიზაცია ექნა სამხედრო მიზნით. აქვე მზროლაფი აირის პირველ გამოსაცდელად ხუთი ბუშა გამაოწყვდიეს ოთახში და სიცოცხლე მოუსსეს. მოქმედების მინძილზე აქა-იქ გაისმის ლიბანენტის სახელი. რომანის ბოლოს ნაჩვენებია კომუნისტების მუშაობა (ალისა მილლენი, ბუგეტი და სხვები).

სასამართლოს განაჩენის შემდეგ პაულ კორბსი ირკვევა პაკიფიზმის კლასიკურ ბუნებაში და ემიჯნება წერიალ-ბურჟუა-



ხიულ მიმდინარეობის ამ სამარცხეიშო სახეობას.

ეხლა შევეხოთ „მარადიული ზავის“ მხატვრულ რაობას. მათე ხალკას აქვს გმირის ჩვენების ორიგინალური ხერხები. იგი მომქმედ პირს გვიჩვენებს არა როგორც მკედარ აბსტრაქციას, არამედ როგორც სახ. ცხოვრების სფეროში აქტიურ მომქმედს. ხალკა ბურჟუაზიული მწერლობის ტრადიციებს მთლიანად არღვევს, იგი გმირების პორტრეტებს წინასწარ არ აწუქენს; გარემოს ასპარეზზე საზოგადოებრივ მოვლენის ირგვლივ წარმოებულ საქმიანობაში მკლდინდება ყველა ფიგურები, რომელნიც აცოცხლებენ ნაწარმოების სიუჟეტს. ასე მაგალითად, მექარხნე ფერისტერის მილიტარისტულ ფსიქოლოგიას ავტორი სახავეს არა შინაგანი სულიერი მექანიზმის განხილვის გზით, არამედ იგი ნაჩვენებია ქარხნის საწარმოო ყოფის ფონზე. ასევე შეიძლება ითქვას დანარჩენ გმირების შესახებ.

მათე ხალკას სტილით მკლდინდება მათ უნდა ჩაითვალოს ყველაფერი სახეების სშირი ხმარება, პროლეტარული თემატიკა ვერ შეუროვდება იდილიურ მეტაფორებს. მით უმეტეს პროზაულ ფაქტს აქვს ძლიერ დიდი შესაძლებლობა მხატვრული ლექსიკონის ინდუსტრიულიზაციისათვის. მას აქვს ასეთი გამოთქმები: „მსუბუქმა კამთამა სიოსავით შეარხია მოწყენილობა“, „დარბაზი ჰგავდა ვეფხების გალიას“, „საბარგო ავტო სდგას, მუშები დაქსევიან მას, როგორც ფუტკარი ყვავილს“ და სხვა... ყველა ეს შედარებები ფუტკართან, ყვავილებთან, სიოსთან და ვეფხებთან ეგზოტიურ რომანების სალაროდანაა წამოღებული.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ „მარადიული ზავი“ საქიროა ფართოდ გავრცელდეს მასებში. აქ მთელი ავტობიოგრაფიაა. „მარადიული ზავი“ რუსულიდან უთარგმნია გრიგოლ რობაქიძეს, თარგმანი კარგადაა შესრულებული.

გ. ნატროშვილი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
1. ნ. ზომლეთელი—მონაწილენი	7
2. ვასო გორგაძე—წითელარმიელი, მუშა წერაქვით	8
3. კალე ბობოხიძე—ელექტრო-მატარებელში	9
4. ს. კირსანოვი—ტურქები, თარგ. რუსულიდან ვ. გ.	10
5. ვიქტორ გაბესკირია—თეთრი იალქნები	13
6. აღ. აბაშელი—ჭალი სარკეში (გაგრძელება)	31
7. დავით ხუღიაშვილი—შორეული (გაგრძელება)	49
8. რაქდენ გვეტაძე—ჭიაკოკონა (გაგრძელება)	75
9. ნოე ზომლეთელი—აჯაბო (დასასრული)	94
10. სტ. ზორიანი—თეთრი ტალაქი—თარგ. სომხურიდან ლ. კარა- პეტრიანის	139
11. მ. პეტროსიანი—მე ბოლშევიკი ვარ—თარგ. სომხ. ლ. კარა- პეტრიანის	150
12. სოზრიყო ყულაევო—რკინის დევი—თარგ. ოსურიდან დ. კას- რაძის	155

კრიტიკა, მემნიერება, კუბლიცისტიკა

13. გ. სოხელია—ქართ. ტომ. სახელმწ. წარმ. საკითხი	172
14. დ. გვაზავა—წერილი წარმ. თეორია და კულექტივიზაცია (გა- გრძელება)	212
15. მოსე გოგიბერიძე—„კაპიტალი“-ს ქართულად გამოცემის გამო	231

ბიბლიოგრაფია

16. ვ. ნატროშვილი—მათე ზალკა—მარადიული ზევი	239
---	-----